1382/4

ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

9

1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 58-ე | № 9 | სექტემბერი, 1982 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში . . . 3

### პროზა, პოეზია

სსრკ — 60

ალექსი სურკოვი, ივან დრაჩი, ნელი ტულუკოვა, ზულფია, ჯუბან გულდაგალიევი, ვაგიფ სამედოღლი, იუსტას მარცინკიავიჩუსი, გრიგორე ვიერუ, ოიარ ვაციეტისი, ესენბულ იბრაევი, საიდალი მამური, გოზელ შაჰულიევი, აინ კაალეპი — ლექსები, თარგმნეს თ. ბექიშვილმა, ა. ახანიძემ, ბ. შალვაშვილმა, ბ. დანელიამ, ზ. მედულაშვილმა, გ. ალხაზიშვილმა, ვ. ხარჩილავამ, თ. აბულაძემ . . . 7

რეზო ჭეიშვილი — კომპოზიტორი ჩირიბერიძე. მოთხრობა . . . 16
ტარიელ ჭანტურია — ლექსები . . . 26
ოთარ დემეტრაშვილი — ალაწოდა. მოთხრობა . . . 31
ოთარ ჭელიძე — ლექსები . . . 39
მარი აბრამიშვილი — ლექსები . . . 41
გურამ კაპანაძე — თავგერა. რომანი. დასასრული . . . 44

### 1783 გეორგიევსკის ტრაქტატი 1983

ბორის ანდრონიკაშვილი — ვოლგისპირა სოფელი . . . 110
დიმიტრი ქუმსიშვილი — საქართველო — ათაბონების უშრეტი წყარო . . . 122

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ელიზბარ ჯაველიძე — პოეზიისა და პროზის მიჯნაზე . . . 127
გურამ ბათიაშვილი — თამაზ ჭილაძის პიესები . . . 147

### მეცნიერება

ვაჟა კიკნაძე — საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან . . . 156
რამაზ პატარიძე — მხატვრული მზე ვეფხისტყაოსნისა . . . 161

(იხ. მეორე გვერდი)

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

## შინაარსი (დასასრული)

### წიგნების მიმოხილვა


რგის ცაიშვილი — ღვაწლი უჩინარი, მაგრამ მნიშვნელოვანი . . . . 169

ალვა გოზალიშვილი — XX ს. ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიიდან 171

ემალ აფციაური — წიგნი „ქართველ სერვანტესზე“ . . . . . . . . 173



მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუ-ლავა, ო. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ო. პაჭკორია (პ/მგ. მდივანი), ნ. წუ-ლეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.



რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11 მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, განყოფი-ლებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 26. 08. 82 წ.; ხელმოწერი-ლია დასაბეჭდად 7. 09. 82 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი $70X108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ-საგამომცემლო თაბახი 16.58.

უე 08744. ტირაჟი 26800. შეკვ. 1851. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლე-ნინის ქ. № 14.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1982.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

**სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების შემოქმედებითი კავშირის შესახებ“.**

სსრ კავშირის მწერალთა კავშირი, მისი ბეჭდვითი ორგანოები, ნათქვამია დადგენილებაში, ახორციელებენ მნიშვნელოვან მუშაობას ხალხის ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან ლიტერატორთა შემოქმედებითი კავშირის განვითარებისა და გაღრმავებისათვის. ეს ხელს უწყობს ლიტერატურული ძალების შემდგომ კონსოლიდაციას, ააქტიურებს მწერალთა მონაწილეობას სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში. გაიზარდა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ჟურნალების როლი ლიტერატურული პროცესის ორგანიზაციაში.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ჟურნალებში გამოქვეყნებული ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა წიგნები, რომლებიც მკაფიოდ და შთამბეჭდავად ასახავენ სოციალიზმის მშენებლობის ჰეროიკას, საბჭოთა ადამიანების სულიერი სამყაროს სიმდიდრეს, სამშობლოს აღმშენებლობითი მიღწევების სიდიადეს, ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა და ჩვენი ლიტერატურის შთამაგონებელ მაგალითად გადაიქცა.

პარტიული კომიტეტებისა და მწერალთა ორგანიზაციების ხელშეწყობით ჟურნალების რედაქციებს შემოქმედებითი თანამეგობრობა აკავშირებთ სამრეწველო საწარმოების, დიდი მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებთან, არმიისა და ფლოტის მეომრებთან, მშრომელებთან კავშირი, ლიტერატურული საგუშაგოები, საშეფო მუშაობა უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ობიექტებზე, მკითხველებთან ერთად სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების საკითხთა განხილვა თანამედროვე თემატიკით ამდიდრებს ლიტერატურას, ამაღლებს ჟურნალების პუბლიკაციების კომპეტენტურობის დონეს.

მკითხველთა ფართო ინტერესს იწვევს სტატიები და ნარკვევები მეურნეობრიობის დადებითი გამოცდილების, სოფლის სოციალური გარდაქმნის პრობლემების, გარემოს დაცვის შესახებ, ზოგიერთი მათგანის თაობაზე მიღებულია პარტიული და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებანი.

ამასთან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ლიტერატურული ჟურნალების მუშაობა გასაუმჯობესებელია. მწერალთა გაზრდილი საზოგადოებრივი აქტიურობა, პოლიტიკური მოწიფულობა და პროფესიული ოსტატობა ლიტერატურულ-მხატვრულ პრესას საშუალებას აძლევს უფრო სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში, ხალხის კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალთა ორგანიზაციები, ჟურნალების რედაქციები ჯერ კიდევ საკმარისად მტკიცედ როდი აბამენ ნიჭიერ ლიტერატორებს აქტუალური მიმართულების ნაწარმოებებზე მუშაობაში. საბჭოთა ადამიანების ახალ თაობებს სჭირდება სულისკვეთებით და დროით ახლობელი დადებითი გმირი, რომელსაც როგორც მხატვრულ აღმოჩენას ისე აღიქვამენ, რომელიც გავლენას მოახდენს ადამიანთა ქცევაზე, გამოხატავს ხალხის ბედს.

ჟურნალების რედკოლეგიებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა და ავტორთა აქტივმა, აღნიშნულია დადგენილებაში, უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა იმუშაონ, არ უნდა შევურიგდეთ იმას, რომ ზოგიერთ ჟურნალში გამოქვეყნებულია ნაწარმოებები, რომლებშიც სამამულო ისტორიის, სოციალისტური რევოლუციის, კოლექტივიზაციის მოვლენები ისეა ასახული, რომ სერიოზულად ირღვევა ცხოვრებისეულ სიმართლეს. ცალკეული პუბლიკაციები შეიცავენ ავიატებულ, ზედაპირულ შეხედულებებს თანამედროვეობაზე. მთელ რიგ პერიოდულ გამოცემებში დაკნინებულია რედკოლეგიების როლი, ჟურნალების ხელმძღვანელები ყოველთვის როდი იჩენენ ჯეროვან მომთხოვნელობას ავტორებთან მუშაობაში. იბეჭდება ბევრი მხატვრული თვალსაზრისით სუსტი ნაწარმოები. რომლებსაც წვრილთემიანობა ახასიათებს.

ჟურნალების ფურცლებზე ჩნდება ისტორიულ-ლიტერატურული და ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომები, რომელთა ავტორები აშკარად ვერ ართმევენ თავს რთულ მასალას, ავლენენ მსოფლმხედველურ გაურკვევლობას, არ შესწევთ უნარი ისტორიული მკაფიო კლასობრივი პოზიციებიდან განიხილონ საზოგადოებრივი მოვლენები. ლიტერატურულ კრიტიკას ზოგჯერ აკლია გარკვეულობა და პრინციპულობა შეფასებებში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა სსრ კავშირის მწერალთა კავშირს, ლიტერატურული ჟურნალების ხელმძღვანელებს შემოქმედებითი მუშაკების მთავარი ყურადღება და მეცადინეობა, ლიტერატურული პრესის მხატვრული საშუალებები მოახმარონ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირეულ საკითხებს, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გადამწყვეტ მიმართულებებს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, სრულყონ შრომითს კოლექტივებთან კავშირი, ამასთან იხელმძღვანელონ იმით, რომ ამ მუშაობის მთავარი მიზანია ხელოვნების გამდიდრება აქტუალური ცხოვრებისეული შინაარსით, თანამედროვეობის შესახებ მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნა.

ლიტერატურულ-მხატვრულმა პერიოდიკამ, ნათქვამია დადგენილებაში, ფეხი უნდა აუწყოს დროს, შენიშნოს და მხარი დაუჭიროს ყოველივე ახალს, მოწინავეს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, განუხრელად იხელმძღვანელოს პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებით. მწერალთა ორგანიზაციებმა, ლიტერატურული ჟურნალების რედკოლეგიებმა უნდა წაახალისონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იმ კურსთან დაკავშირებული თემატიკა, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის ინტენსიფიკაციას, წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფას, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას. საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ახალი ამოცანები განუყრელადაა დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელ სფეროსთან, ახალი ადამიანის ჩამოყალიბებასთან. ეს ფართო ასპარეზს უსახავს მხატვრულ შემოქმედებას.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის მწერალთა კავშირი და ლიტერატურული ჟურნალების რედაქციები უნდა დაეხმარონ შემოქმედებითს მუშაკებს განსაზღვრონ თავიანთი ადგილი და როლი სკკპ ცენტრალური კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტის 1982 წლის მაისის პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ ამოცანათა რეალიზაციაში, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დაჩქარებული განვითარების საფუძველზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ლიტერატორებს ავალებს მთავარი ყურადღება მიაპყრონ იმ რეალობათა მხატვრულ ათვისებას, რომლებიც დაკავშირებულია სოფლად წარმოებისა და ყოფა-ცხოვრების ახალი პირობების შექმნასთან. ლიტერატურას ბევრის გაკეთება შეუძლია იმისათვის, რომ ახალგაზრდობას ჩაუნერგოს მიწის, ბუნების, სოფლის, შრომის სიყვარული.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის მწერალთა კავშირს, ჟურნალების რედკოლეგიებსა და რედაქციებს, ლიტერატურულ კრიტიკას რეკომენდაცია მისცა უფრო აქტიურად დაუჭირონ მხარი მხატვრულ ძიებას სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემატიკის სფეროში, დაამკვიდრონ საბჭოთა ადამიანის შესაფერი ცხოვრებისეული მიზნები, თანამიმდევრულად გამოააშკარავონ აპოლიტიკურობა და მუშტრის ფსიქოლოგია.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ მთელი შესაძლებლობანი უნდა გამოვიყენოთ მხატვრული სიტყვის აღმზრდელობითი მნიშვნელობის ასამაღლებლად, ისეთი მაღალი პატრიოტული ჟღერადობის ნაწარმოებთა შესაქმნელად, რომლებიც პოეტურად გამოხატავენ სამშობლოსადმი, პარტიის საქმისადმი სამსახურს. სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებისათვის არაფერია იმაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე საბჭოთა ცხოვრების წესის, კომუნისტური ზნეობის ნორმების ისეთ მორალურ ღირებულებათა სილამაზისა და სიდიადის დამკვიდრება, როგორიცაა პატიოსანი შრომა ადამიანთა საკეთილდღეოდ, ინტერნაციონალიზმი, ჩვენი საქმის ისტორიული სიმართლის რწმენა. ჟურნალებმა უფრო სრულად უნდა ასახონ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მხატვრული გამოცდილება, ყურადღება მიაპყრონ მოძმე ლიტერატურების ნაწარმოებთა რუსულ და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებზე თარგმნის ხარისხს, ხელი შეუწყონ სოციალისტური ერების კულტურათა შემდგომ დაახლოებასა და ურთიერთგამდიდრებას, საბჭოთა მრავალეროვანი საზოგადოების იდეურ და პოლიტიკურ შეკავშირებას, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა, მისმა ბეჭდვითმა ორგანოებმა უფრო ფართოდ უნდა მიიზიდონ საბჭოთა ლიტერატორები, საზღვარგარეთული კულტურის პროგრესული მოღვაწენი გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, თერმობირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის გამოსასვლელად, აღზარდონ მშრომელები საბჭოთა ხალხის რევოლუციურ მონაპოვართა დაცვისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით.

მხატვრული სიტყვა, აღნიშნულია დადგენილებაში, მუდამ იყო მეტად ბასრი იარაღი მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ორი მსოფლიო სისტემის იდეოლოგიურ ბრძოლაში. პარტია დიდად აფასებს მწერალთა საერთაშორისო მოღვაწეობას, მათ უნარს ეწეოდნენ შემტევ პოლემიკას იდეურ მოწინააღმდეგესთან, მათ აქტიურ როლს ანტიკომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. პოლიტიკური რომანის, პუბლიცისტური ფილმის, დრამისა და პოეზიის დიდი წარმატება ცხადყოფს, რომ ეს მიმართულება მხატვრულ შემოქმედებაში შეესაბამება დროის მოთხოვნას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის, რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკური კავშირების, ჟურნალების რედკოლეგიების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა კვლავაც განავითარონ მხატვრული პუბლიცისტიკა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდა ლიტერატორებს. შემოქმედებითი მივლინებები, რედაქციების დავალებებით პასუხსაგები მასალების მომზადება მათთვის შეიძლება გახდეს სერიოზული ცხოვრებისეული და პროფესიული სკოლა, სწორი გზით განავითაროს მათი ნიჭი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა ამაღლდეს ჟურნალების პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი სარედაქციო კოლექტივების მუშაობაში. მათ აქტიური გავლენა უნდა მოახდინონ თემატურ დაგეგმვაზე, გამოქვეყნებული მასალების შინაარსზე, მონაწილეობა მიიღონ რედაქციების მუშაკთა კადრების შერჩევასა და აღზრდაში, უზრუნველყონ დაკისრებული საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის ატმოსფერო, ხელი შეუწყონ რედაქციების კოლექტივებში კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტს წინადადება მიეცათ ყოველდღიურად მიაპყრონ ყურადღება ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების იდეურ-შემოქმედებითს საქმიანობას. წაახალისონ ლიტერატორთა თანამეგობრობა ქალაქისა და სოფლის მშრომელებთან, საქმიანად გამოეხმაურონ ლიტერატურული პრესის გამოსვლებს, უფრო აქტიურად გამოიყენონ ჟურნალების პუბლიკაციები იდეოლოგიურ მუშაობაში.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირს, სსრ კავშირის გამსახკომს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად დაევალათ განახორციელონ ჟურნალების გამოცემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მათი პოლიგრაფიული შესრულების, ტირაჟირებისა და გავრცელების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სსრკ — 60

ალექსი სურკოვი
რუსეთი

## გრძელი ღამე

უკვე გრძელი ღამეები მოვიდა,
შემოდგომამ ფანჯრის მინებს ნამავს.
ბავშვი ბორგავს :— დედა, წამო, ომიდან
მოვიყვანოთ მამა!

— არა, შვილო,
გარეთ მოთქვამს წვიმა,
ამ თავსხმაში მთვარეც დაიმალა.
მამას ახლა ულრან ტყეში ძინავს,
ბნელა ტყეში, ვერ ვიპოვით მამას.

დაიძინე, დაიძინე, მშვიდად,
ღამემ გზები ბნელში გადამალა,
პატარა ხარ,
მხოლოდ ერთი ციდა,
დაიღლები, არ გეყოფა ძალა.

ფურცელს შენი ხელი მივახატოთ
და ბარათი გავუგზავნოთ მამას. —
გინდა, ახალს მოგიყვები ზღაპრებს,
გინდა, გიმღერ, ძილისპირულ ნანას?

წვიმის ფრთები აწკარუნებს მინას.
ბავშვი უსმენს,
დედის ლოყას ეკვრის...
— გერმანელმა მგელმა, ერთხელ,
შვილო,
საშოვარზე გაიყვანა ლეკვი...

დაძუნძულებს მშიერი და ლოხი,
თოთო ბავშვთა ახრამუნებს
ძვალ-რბილს!
უსაფრდება ჩვენი სოფლის ქოხებს,
დაგეშილი სისხლიანი, ხარბი.

დასტრიალებს ჩვენს სამშობლოს
გაშლილს
ტკბილ ძილს მისი ვერაგობა გვიშლის,
რომ მამები დაგვიბრუნდნენ სახლში,
უნდა გაწყდეს მშიერ მგლების ჯიში...

მამაშენი მალე დაბრუნდება,
ჩაგიხუტებს გულისფიცართანა.
დაიძინე, ჩემო გულის შვებავ,
იავ-ნანა, ნანი, ნანი, ნანა!...

თარგმნა **თედო ბექიშვილმა**

---

ლექსების თარგმანი მოგვიმზადა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობათა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ. რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

სსრკ 60
ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ივან დრაჩი**

უკრაინა

## იბერიული მიზიდულობა

ხარ-კამეჩს აქეთ ვერ გამოჰყვები,
ღვედს ნუ გასანთლავ ტყუილ-უბრალოდ —
ლაშს ვერ დაახევ ბედაურებს...
ორი დღე-ღამე უნდა ელმავალს,
ხოლო თვითმფრინავს ორი საათი!
ყველაფერს გულით უნდა მიუზღო —
თანამედროვე ზე სისწრაფეს თუ
ძალუმ სიყვარულს ამ მიწისადმი,
რომელსაც ქედი უნდა უხარო,
რამეთუ იგი გიზიდავს ისე,
სახსრებში გლეწავს,
ან გაგდებს ფოთოლს ვულკანის ფსკერზე.
თეთრ ხალათებში წნევა აღწევს 230-ს,
პულსი მიმქრალა,
როგორც სუნთქვა მინდვრის პეპლების.
კაცი თავს იცავს ფრთხილი ხუმრობით.
შავგვრემან ქართველ ქალს განგმირვა თუ სურს
ინფარქტის,

მზერას რომ ესვრის გაკვირვებული:
— ღმერთო, ნუთუ ეს ბაყანია? —
დაჭედილ ცხენებს მიაგელვებს თბილისის ცაზე
ჭექა-ქუხილი.
და პროფესორი წარბებს იმტვრევს ელვის ტოტებზე...
დიახ, ეს მიწა
მუდამ ასე უნდა გიყვარდეს!..

უკრაინულიდან თარგმნა **ამირან ასანიძემ**

**ნელი ტულუპოვა**

ბელორუსია

ანა რიჟკოვას, ანა კალანდაძეს

ქართველო დაო,
ყვავილს თუ ბალახს,
ვიცი,
ისევე ხარ მინდობილი,

მიწით ისევე ხარ მონუსხული,
ვით ბელორუსი
შენი დობილი;
ისიც ფეხშველა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადის ზეცაში
და სიყვარულით
სავსე აქვს უბე.
რომ ნაირფერი ცისარტყელებით
დაუძმობილოს
ლრუბელი ლრუბელს.
ბუნებისა ხართ

თქვენ დესპანები
და... რამდენ ბილიკს მიაყურადეთ,
ვიდრე ჰპოვებდით
იმ გზას ჭეშმარიტს.
რომ გაგიკაფავთ
ხალხის გულამდე.

თარგმნა **ამირან ახანიძემ**

**ზულფია**

უზბეკეთის სახალხო პოეტი

## ფიქრები

წლები მიდის, დრო არ იცდის,
უკან დარჩა წლები,
უფრო მოუთმენელი და
მოფუსფუსე ვხდები.
დააკარგი დაიკარგა,
მე კი დედურ თმენით
ვეძებ წყაროს, რომლის წყალი
ვერ ვიგემე ჯერაც,
რომლით ტკბობა, რომლის პოვნა
მე ჯიუტად მჯერა.
აღმოვაჩენ მე ამ წყაროს,
ძებნის დროს კი ცეცხლი
თუ ჩამიქრა გულსა შინა,
მთები, წმინდა ვერცხლი,
ძალს მომცემენ თმა დავიწვა,
გავიჩალო ცეცხლი,
მივაკვლიო წყაროს ადგილს
და ვიგემო მადლი.
უნდა შევსვა ზეცა ლურჯი.
მზეს მივართვა მიწა ურჩი.
მთვარე, ერთი ოქროს პეშვი,
ავიტაცო ჩვილურბ ხელში.
თითო კაცი თითო მიწა,
პლანეტაა, სამყაროა,
სიუხვეა, სიკეთეა,
სასიცოცხლო ცხრა წყაროა.
ხან მიწაზე დავეშვები,
ხანაც მიწას ავეშვები,
სიკვდილამდე ამ მიწისთვის
ვიმუშავებ გავეშებით.

თარგმნა **ბელა შალვაშვილმა**

**ჟუბან მოლდაგალიევი**

ყაზახეთი

## მეზობლობა

გინდ ბევრი გვქონდეს, გინდა პურს ვჭამდეთ ხემსობით,—
ვამბობთ: წილხვედრი ჩვენ უფალმა მოგვცა მეზობლის".
სოგუმს[1] და სიურს[2] უმეზობლოდ პირს არ ვადებდით...

1. სოგუმი — ზამთრისთვის შენახული ხორცი.
2. სიური — დაშაშხული ხორცი, დელიკატესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭირი და ლხინი გაგვიყვია, ღმერთო, რამდენი!
ზღვარი დღე-ღამებრ არა გვყოფდა. — მადლი ზენაარს!
ერთი სულია მეზობლები, ერთი ენაა!...
სრა-სასახლენი თუმც არ გვედგა სტეპში ავბედითს.
მეზობლისათვის სულს ხალიჩად იქაც გავფენდით...
გვიჭირდა — სარჩოს გავუწვდიდით მაინც ერთმანეთს —
ჩვენი გულები პატივცემის რწმენით ფეთქავდნენ.
უფრო მეზობლებს ვაფასებდით, ვინემ მოყვასებს,
მომთაბარენიც ვოცნებობდით მეზობლობაზე...
გაჭირვების ჟამს არ ველტვოდით ცალად ხეტიალს, —
ერთადყოფნაში იმედი და სითბო მეტია.
ქალიშვილები ერთმანეთის რძლებად დაგვისვამს, —
კერაც გაიყო ჩვენმა ჯიშმა და გასაგისმა...
ერთი-ორჯერაც ერთმანეთზე ბრაზით ავივსეთ
(მოსაწყენია ეს ცხოვრება მთლად უამისოდ),
მაგრამ ჩვენ ნიჭი განჩინების მოგვდგამს ოდითგან —
ყონაღობაში პირუტყვული ჩვევა როდი გვაქვს.
სასახლეში ვართ თუ ოცნება გვიდგას კარავად,
ვამბობთ: „უფლება მეზობლისა თავანკარაა“.
გადაგვიხდია წინაპართა ვალი პირწმინდად,
მათ გზას ვაგრძელებთ მემკვიდრენი მათივ სიბრძნითა.
დროის ცას ბევრი ღრუბელი და ნისლი ებურა, —
მაინც ამოდის, მაინც ჩადის მზე ძველებურად,
ქვეყნად მშვიდობას მეზობლობა მაინც ინატრებს,
რაც უნდა შუღლი, დავა ჰქონდეთ მიწის ბინადრებს.

თარგმნა **ბათუ დანელიამ**

**ვაგიფ სამედოღლი**
**აზერბაიჯანი**

## არ ჰგვანან ერთმანეთს

ტელეფონის ნომრები
არ ჰგვანან ერთმანეთს,
მაგრამ ყველაში
კაცის ხმა ისმის.

არცა კაცთა ხმანი
ჰგვანან ერთმანეთს:
ერთში სიხარული სჭვივის,
მეორეში მწუხარება.

ორი მწუხარებაც
არ ჰგავს ერთმანეთს, —
ერთი უიმედოა,
მეორე იმედიანი.

არც თუ იმედები
ჰგვანან ერთმანეთს:
ერთის ბორბალს ღვთის ხელი
აბრუნებს,
მეორისას — კაცისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაცთა ხელებიც
არ ჰგვანან ერთმანეთს:
ერთი მიწას ხნავს,
მეორე კი კაცის სიცოცხლეს.

კაცთა სიცოცხლეც
არ ჰგავს ერთმანეთს:
ერთი თუ ცხოვრობს,
მეორე — ითმენს.

კაცთა თმენაც ხომ
არ ჰგავს ერთმანეთს:
ერთი ილუნება,
მეორე — ტყდება.

კაცის გატეხვაც
არ ჰგავს ერთმანეთს:
ერთი ორად იქცევა,
მეორე ნამსხვრევებად.

არცა ნამსხვრევები
ჰგვანან ერთმანეთს:
ერთი საუკუნის ტოლაა,
მეორე — დღისა.

განა დღეები კი
ჰგვანან ერთმანეთს? —
ერთი კარგია,
მეორე — ცუდი.

ცუდი დღეებიც
არ ჰგვანან ერთმანეთს:
ერთ დღეს შენ არ იღებ ხმას,
მეორე დღეს — ტელეფონი.

თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა

**იუსტინას მარცინკიავიჩუსი**

ლიტვა

## სიყვარულის მესამე ელეგია

მე ამ ყვავილით დედამიწას გადავირბენდი...
ვით კელეპტარი — შენი სახე მინთია თვალწინ.
ალერსისა და სიყვარულის გალობენ ჩიტნი...
რა მახსენდება? ნუთუ უკვე ამ სამოთხეში
ვყოფილვარ ადრეც და შენს ხელებს თაყვანსა ვცემდი?
ხე სიცოცხლისა შრიალებს ამოდ.
ფოთლად მოუსხამს სიყვარულის ნაზი სიტყვები.
ო, დავიწყებავ ნუ ჩამოყრი ამ ფოთოლს დაბლა,
ნუ გააშიშვლებ სიხარულის მაღალ კენწეროს,
ჯერ ადრე არის, რომ ყველაფერს ერქვას წარსული.
ო მიმქროლავო, ნუ დამიჭკნობ
ამ ლამაზ ყვავილს,
მე ამ ყვავილით დედამიწას გადავირბენდი!

თარგმნა თედო ბექიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გრიგორე ვიერუ**

მოლდაველი

## დედის ღამეები

უძილობისგან განაწამები
ველარ ისვენებ
და ძვლები გტეხავს,
რომ არ ეძინოთ რძალს და
　　　　ვაჟიშვილს,

შუქს აანთებდი,
მოძებნიდი ძაფს და ყაისნაღს
და თეთრ ტილოზე
შენს ტკივილებს ამოქარგავდი.

შორი სოფლიდან
ხმა მოგესმის მაცოცხლებელი,
თავისთან გიხმობს
მიწიერი, მარადი ზრუნვა.
და ფეხაკრეფით აივანზე ისე გადიხარ,
უახლოვდები დედამიწის დასასრულს
　　　　　　　　　　თითქოს.

გამთენიამდე ჩუმად აგროვებ
დაღლილობის მწიფე თავთავებს...
უცხოა შენთვის ჩირაღდნები
დიდი ქალაქის.

თარგმნა **გივი ალხაზიშვილმა**

**ოიარ ვაციეტისი**

ლატვია

* * *

ფოთოლცვენისას მე იქ წასვლა არ შემიძლია.

ის, იმ ქუჩაზე ცხოვრობს ახლაც
შემოდგომით რომ სახურავზე სეტყვასავით მოცვივა წაბლი.

ზაფხულობით მე იქ წასვლა არ შემიძლია.

ზაფხულობით ხომ, მწვანე ტოტებით გადახურული,
მისი ქუჩა ჰგავს მწვანე გვირაბს.
მე ვერ შევაღწევ მწვანე გვირაბში.

გაზაფხულობით მე იქ წასვლა არ შემიძლია.

მე მეშინია უსათუთესი ნორჩი ყლორტები
ცხელი სუნთქვით არ გადავბუგო,
არ შევაწუხო ნორჩი ყლორტები.
ზამთარში?
აბა, ზამთარში სად წავა კაცი?!

სამწუხაროა, წელიწადის მეხუთე დრო რომ არ არსებობს.
მე მასთან წასვლა არ შემიძლია,
მე იქით წასვლა არ შემიძლია.

თარგმნა **გივი ალხაზიშვილმა**

ეროვნული

ესენგულ იბრაევი
ყირგიზეთი

## მწყალობელო მიწავ!

დედამიწავ, შვილები ვართ შენი თუ
მარცვლებს ვგავართ შენს წიაღში შენივთულს,
მადლიანო, მადნიანო დედაო,
ცას მკერდს უშვერ მწვერვალებით შერითმულს.

ო, დედაო, სიკეთეს ხარ ჩვეული,
დახუნძლულო ხილით და ბალჩეულით,
ჩვენ ერთნი ვართ, ტყუპები ვართ მარადი,
მე მიწა ვარ, შენ კაცი ხარ რჩეული.

რასაც მიძლევნი, დაგიბრუნებ მთლიანად,
ბალს მოგირწყავ, აგიყვავებ ნიადაგს,
მე ძვლებს ჩავშლი შენს წიაღში მარადო,
შენ კი, მიწავ, მოხვალ ადამიანად.

შეისმინე, დედავ, შვილის ღაღადი,
მე ცრემლი ვარ შენგან გამონახადი,
მოვკვდები და მხოლოდ ღმერთი გაიგებს,
თუ რამდენჯერ გავთენდი და დავღამდი.

თარგმნა გივი ალხაზიშვილმა

საიდალი მამური
ტაჯიკეთი

## ასტრონომის მონოლოგი

ეძღვნება ახალგაზრდა ტაჯიკ ასტრონომს ვოსით სოთიბოლდიევს, რომლის სახელიც ეწოდება მის მიერ აღმოჩენილ ვარსკვლავს — „ვოსითის ვარსკვლავი“.

ო, ვარსკვლავებო, ეს თქვენი შუქით
მოდის, კვლავ ჩვენსკენ მოემგზავრება
და აქ, მიწაზე ბრუნდება უკან,
ზიარებია ვინც უკვდავებას.
მრავალნი იყვნენ ქვეყნად ისინი,

თავი სინათლეს ვინც ანაცვალა,
ვინც გაანათა ბნელი სიზმარი
და თვითონ იქცა მერე ვარსკვლავად.
ო, ვარსკვლავებო, ეს იბნ-სინაა,
ეს ვარსკვლავია ავიცენასი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც შეიტანა ბნელში სინათლე,
როგორც სანთელი დახშულ სენაკში
ეს ვარსკვლავი კი ხაიამია —
დიდი პოეტი, ვარსკვლავთმრიცხველი,
მარადიული, დრო და ჟამივით,
ვინც არასოდეს არ გვავიწყდება
ეს უგულბეკი — შაჰი, მზის მსგავსი,
მაგრამ ვის ახსოვს მისი შაჰობა,
მან უცნობ ვარსკვლავს მიაგნო ცაზე
და იქვე დარჩა ვარსკვლავთ მახლობლად.

ო, ვარსკვლავებო, ენთეთ, [illegible]
დე, კვლავ იწვოდეთ, როგორც
იწვოდით.
თქვენს შიგნით კაცის სული ბრიალებს,
თქვენ სიმბოლო ხართ კაცთა
სიცოცხლის.
შენ ნაწილდები ცაზე ვარსკვლავად,
შუქო, მიწიდან ამონაშუქო.
ბედო, მაშრომე, მტანჯე, მაწვალე,
ერთი ვარსკვლავი მეც რომ გაჩუქოთ...

თარგმნა **ვახტანგ ხარჩილავამ**

**გევორქ ემინი**

**სომხეთი**

შენ, როგორც ტალღა დაყინებული,
ხან თუ ტრფიალით მკერდზე
მემსხვრევი,
ხანაც მშორდები და გამექცევი —
ჩემი სინაზით დაშინებული.

მოხვალ, არ იცი, რა მოგაქვს ჩემთვის,
მიხვალ, არ იცი, მიგაქვს რამდენი;

არ იცი, რომ ხარ მაგ თვალთა ეშხით
თვალთა ჩემთაგან ცრემლის დამდენი.

ო, შენ გაქვს მართლაც ტალღის ბუნება,
ტალღად მოხველ და ისევ მშორდები,
თუმც კვლავ მოელის შენს დაბრუნებას
სული — ქვიშნარი დაუშრობელი.

თარგმნა **ზეზვა მედულაშვილმა**

**გოზელ შაყულიევი**

**თურქმენეთი**

## ვინა ხარ, რა ხარ?

ვინა ხარ, რა ხარ,
იქნებ მართლაც ლამაზი გეთქმის? —
ვიცი, რომ აქ ხარ,
არაფერი არ ვიცი მეტი.
სხვებსაც არ გავხარ,
აუგს აბა როგორ გაკადრებ,
მაგრამ ვინა ხარ,
სად იყავი ანდა აქამდე?

ისეთი თვალით დაგინახე,
ისე შეგიტკბე,
პასუხი მხოლოდ შენ გაეცი
ჩემს ძველ შეკითხვებს,
დაგინახე და
ჩემი კერპი გახდი მაშინვე,
დარდი წამგვარე,
დამაამე და დამამშვიდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ ვარსებობდი
ჭეშმარიტად შენს გაცნობამდი,
თავს ამდენს რატომ ვიტყუებდი,
სად მივტოპავდი?
მაინც რა ცოტა რამ მკლებია
სრულ სიბეცემდის,
არადა რატომ
მხოლოდ შენ და შენ არ გეძებდი?!

ვინა ხარ, რა ხარ,
საიდან და რატომ მოდიხარ, —
ახლაც არ ვიცი,
არ ვიცოდი როგორც ოდითგან.
შემომეძარცვა ყველაფერი,
მარტო გულიღა
შემრჩა და მხოლოდ მან იცის, რომ
სიყვარული ხარ.

თარგმნა **გიორგი ნიშნიანიძემ**

**აინ კაალეპი**
ესტონეთი

TRIWITAS[1]

სიზმარში უცხო სიზმარი ვნახე:
(თითქოს სიზმრებში ვცხოვრობდი
მაშინ)
შენ აღარ გქონდა სამების სახე,
გაორებული შენ კრთოდი ცაში.

და ჩემი სულის, ვით სარკის, ბრწყინვა
გერტყმოდა, როგორც სპეტაკი გარსი.
შენ იყავ — „ახლა“, შენ იყავ —
„წინათ“,
შენ იყავ ყველა და ყოვლის არსი.

შენ — ყოვლის დედას და ყველა
უძლურთ
შემფარეს, გადგა ნათელი ბრძნული...
შენ იყავ კალთა და ორი ძუძუ,
სრულყოფა სამი, სამება სრული.

იყავ ქალწულიც შენ უწყინარი,
მშვენობდი, უცხო მშვენებით სავსე.
შენ იშვი შენგან და შენს წინარე
შენ დადიოდი ლაჟვარდის გზაზე.

შენ — დასაწყისი და დასასრული,
შენ — წმინდა თრთოლვა და
ქრუანტელი,
შენ — უკვდავებით შემოგარსული,
შენ — შორეულ ცის ოქროს ნათელი.

...მემსხვრევა სული შეუცნობ შიშით,
ვით სარკე, სული მემსხვრევა ნელა
ძილიდან ძილში, ძილიდან ძილში
და ცხადში მხოლოდ ნამსხვრევი ელავს.

თარგმნა **თეიმურაზ აბულაძემ**

1. ლათ. — სამება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეზო ჭეიშვილი

# კომპოზიტორი ჩირიბერიძე

## მოთხრობა

თებერვლის ღრუბლიან-ბურუსიან დღეს დანიშნული სამხატვრო საბჭო დასასრულს უახლოვდებოდა, როცა სიტყვა მისცეს მწერალ გურამ ფოილოძეს. არც კი ვაპირებდი ხმის ამოღებასო, თქვა ფოილოძემ, მაგრამ რადგანაც სიტყვა აუცილებელია (სულ არ იყო აუცილებელი), ერთ გარემოებაზე გავამახვილებ ყურადღებასო და საბჭოს ორგანიზაციულ მხარეზე, რაც წევრთა სავალდებულო დასწრება-არდასწრებასაც ითვალისწინებდა, ილაპარაკა გაკვრით, ხოლოო, განაგრძო შემდეგ, ჩემთვის ახლობელი ადამიანის კორნელი წუიძის წარმოდგენილი ნაწარმოები პირადად მე არ მომწონსო. გადაღლილ, გაოცებულ აუდიტორიას გადახედა, ცოტა შეიცადა, სხვანაირად არ გამიგოთ, მიღებას კი არ ვეწინააღმდეგები, გინდა მიიღეთ, გინდა ნუ მიიღებთ, მაგრამ, რა ვქნა, გულახდილად გეუბნებით, პირადად მე, კორნელი წუიძის ნაწარმოები ძალიან არ მომწონსო.

ამ გაუთვალისწინებელ განცხადებას ხანგრძლივი და უხერხული სიჩუმე მოჰყვა. ადელაიდამ ფარდა გადასწია და ფანჯრიდან შემოსული ბურუსიანი დღის სინათლე დარბაზის ელექტრონის შუქში აითქვიფა, მოყავისფრომოყვითალო ფერი დაედო იქაურობას. მოყავისფრო-მოყვითალო ფერის საბჭოს წევრები დადუმდნენ და დალონებულნი მიაჩერდნენ ერთმანეთს.

„რა მრჯიდა, ნეტავი ვიცოდე, ვინ მექაჩებოდა ენაზე!“ — გაიფიქრა ფოილოძემ, დაჯდა და გოგი შურღაიას ჰკითხა, რა დღეა დღეს, ხომ არ იცი შემთხვევითო.

— ხუთშაბათი. — გამომწვევად უთხრა შურღაიამ.

— დაამთავრეთ? — დაინტერესდა თავმჯდომარე.

— დიახ, — უპასუხა სახეზე წამოხურებულმა ფოილოძემ. შურღაიას ხმა არ გაუგონია და არც სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარის (დირექტორის) მოკლე სიტყვისათვის მიუგდია ყური.

ადელაიდამ სხდომათა ჟურნალი დახურა.

ფოილოძის გამოსვლას სამხატვრო საბჭოს სხდომის შედეგსა და ავტორის იურიდიულ უფლებაზე გავლენა არ მოუხდენია, თუმცა ერთიც შეიძლებოდა მომხდარიყო და — მეორეც.

პირბადრი, ჭაღარა დრამატურგი კორნელი წუიძე გაუნძრევლად იჯდა განცალკევებით, ფანჯრისაკენ იხედებოდა თვალგაშტერებული, მოკლე თითებს მაგიდაზე ათამაშებდა და სახიდან დამცინავი თუ სულელური ღიმილი არ შორდებოდა.

„მეც კარგი ვინმე ვარ, რა ძალა მადგა!“ გასასვლელისაკენ მიდიოდა ფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილოძე. ლაპარაკ-ლაპარაკით მიიფანტებოდნენ დანარჩენებიც.

მოსაცდელში გადარაჯებული არჩილი დაინახეს. ზოგმა მარჯვნიდან აუარა გვერდი, ზოგმა — მარცხნიდან. ფოილოძე და წუიძე გაეხიდნენ შუაკარში არჩილის ცხვირწინ. იდგნენ და თვალში თვალისგაუსწორებლად კარგა ხანი უთმობდნენ ერთმანეთს გზას.

— თუ შეიძლება, გამატარეთ! — თქვა ადელაიდამ.

— მიბრძანდით!

— გელოდებით!.. — ჩაილაპარაკა ატუზულმა არჩილმა.

— აქა ვართ. — უგულოდ უთხრა ფოილოძემ. ტელეფონის ყურმილს დაწვდა, დარეკა, დამაგვიანდებაო, დაიბარა და საკიდარს მიაშურა. საწვიმარი რომ ჩაიცვა, ფანჯარასთან დაპატარავებული კორნელი დაინახა. ფრჩხილს იკვნეტდა მისდაუნებურად კ. წ. იგი აშკარად დაპატარავებულიყო, მუხლში იყო ჩატეხილი, თუ აცვენილ პარკეტში ჩავარდნილი, ფოილოძემ ვერ გაარკვია.

„რა ვუთხარი ახლა ისეთი, რაზე იკლავს თავს!“

— ხვალ რომ წავიდეთ არ შეიძლება? — ჰკითხა არჩილს.

— კარგი რა, თუ კაცი ხარ!.. — უცნაურად წაიგრძელა ხმაც და კისერიც არჩილმა. — სად არის, გოგია შურლაია?

ეზოში გამოვიდნენ.

„არ უნდა მეთქვა!“

არჩილი ამხანაგებს ანაწილებდა ჯგუფებად.

გოგია შურლაია თვალდახელშუა აორთქლებულიყო.

— მოვა იქ! — დაამშვიდა დაბალმა კრიტიკოსმა არჩილი.

— მეტი არაა ჩემი მტერი!... — ჩაილაპარაკა ვილაცამ.

ლიმონისფერი „ვოლგა“ სველ ასფალტზე მიშხუოდა. დაორთქლილ, წყალტალახით მოსვრილ მინაზე მიჭყლეტილი არჩილი დაბურულ ქუჩებს ათვალიერებდა გაფაციცებით. გოგია შურლაიას თუ ეძებდა ბურუსსა და უამინდობაში. ავტოინსპექციის ყვითელი მანქანა იდგა გაგარინის ქუჩის ასახვევში. საწვიმარში გახვეული, მობუზული ინსპექტორები ამოგანგლულ მანქანებს მძიმედ, ფილოსოფიური სიდინჯით აყოლებდნენ თვალს; იდგნენ და ელოდნენ.

— კარგად მოიქეცი, სიმართლე რომ თქვი! — ამოილაპარაკა კარგა ხნის დუმილის შემდეგ საჭესთან მოკალათებულმა საგეგმო განყოფილების უფროსმა ვიტალი დოხნაძემ.

— ჩემზე ამბობ? — გამოერკვა გვერდზე მჯდომი ფოილოძე.

— სწორად მოიქეცი-მეთქი. სიმართლე რომ თქვი. — გაიმეორა დოხნაძემ.

— რასაკვირველია, სწორად მოიქცა. — დაუმატა ორთაშუა ჩაჭედილმა კრიტიკოსმა.

„არ უნდა მეთქვა, რაღა ლაპარაკი უნდა!“

— ჩავსვამდი იმასაც, მაგრამ ვერ იყო გუნებაზე... — თქვა არჩილმა, დაორთქლილ-დაბურულ შუშას შუბლი მოაშორა, გოგია შურლაიას ძებნას დაანება თავი.

— სად ჩასვამდი? — კინაღამ შეიშალა გასრესილი კრიტიკოსი.

— თავისი მანქანით წამოვიდოდა, — ამხანაგებს გადახედა არჩილმა. — ადრე ვიტყოდი, თუ ასე გაგეხარდებოდათ!

— გავიტან ამ შუშას სადაცაა თავით. ცოტა რომ შევიწროვდეთ, არ იქნება?! — იკითხა ადელაიდას მეუღლემ.

— მართლაც!.. — ამოიხვნეშა შევიწროებულმა კრიტიკოსმა.

— გაიჭირვეთ, არაფერი გიშავთ, უარეს დღეში რომ ჩაცვივდეთ, მაშინ რას იზამთ? — ჩაილაპარაკა დოხნაძემ და სიგარეტს მოუკიდა.

— სად მივდივართ, ვიცოდე მაინც! — ამოიკნავლა ნეკნებშეზნექილმა კრიტიკოსმა.

— კარგი რა, ნუ დაიწყებთ თავიდან... — გული მოუვიდა არჩილს.



კ. მარქს[illegible]
სსრ სახელმწ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა დროს ხომ არაფერი მითხოვია ამნაირი?! სად წავიდა გოგია შურღაია? კაცია ამის შემდეგ მაგი!.. მეთქვა ნეტავი კორნელისათვის!..

— ჩასვამდი ხომ აქ!

რუსთაველის პროსპექტზე ნისლი იწვა. რძისფერ ბურუსში დაცურავდნენ ტროლეიბუსები. შეძარცვულ-შეშიშვლებული ჭადრების იქით ქვის სახლების გაფითრებული ფასადები ჩანდა. სქელი ასფალტი ლაპლაპებდა ალაგ-ალაგ. ფართო ტროტუარებზე, კინოთეატრებისა და სამინისტროების სადარბაზოებთან, მიწისქვეშა გადასასვლელების მისადგომებთან ბრუალობდნენ მოქალაქენი.

დორე მახარაძის მანქანით მოვიდნენ დანარჩენები. ზანტად გადმოლაგდნენ სალონიდან. გოგია შურღაია დორესთან არ აღმოჩნდა, ვერ დაენახათ იმ მანქანაშიც, რომელიც გზაში დაჰკარგოდათ.

— რაც არი, არი! — თქვა შეფიქრიანებულმა არჩილმა.

წელში გამართული, აყლაწული ადიოდა მარმარილოს კიბეზე. სქელკონდახიანი თოფი ჰქონდა ბეჭზე გადებული და მოყვითალო კრაგებს მიაჭრაჭუნებდა. ფუსისტემოდ შეიარაღებული რაზმელები მიყვებოდნენ უნდობლად.

„გაგვიძეხ, არჩილ, შე ძველო, მიდი, მოვდივართ!“ ამ შეძახილში ფოილოძემ თვალი მოჰკრა თანაკლასელს, რომელიც სკოლის დამთავრების შემდეგ აღარ ენახა. სამინისტროს შუა კიბეზე იდგა მოჩვენებასავით, არც წინ მიდიოდა, არც უკან იხევდა. „უნდა შევუტიოთ და გავაცამტვეროთ, მოფიქრების საშუალება არ უნდა მივცე და შეიძლება ვერ მიცნოს!“ თავდახრილი ადიოდა, თანაკლასელს თვალს არიდებდა. თანაკლასელი კი შუა კიბეზე იდგა და არ იძროდა, არც ჩამოდიოდა, არც გვერდზე აპირებდა გადგომას. შორიდან სხვა მეგონეო, უთხრა ფოილოძეს სანამ ხელს ჩამოართმევდა. ქუჩაში რომ შეგხვედროდი და არა კიბეზე, შეიძლება ვერ მეცნეო. ნუ ლაპარაკობო, გაუკვირდა ფოილოძეს. თუმცაო, რა ხანია არ მინახავხარ და შეიძლება ამიტომაცაო. რას მნახავდი, გადაკარგული ვიყავი, უკვე გადმოვედი, ბინა გადმოვცვალე, ჯერჯერობით საქვაბეში ვმსახურობ, ორჯონიკიძის რაიონის თბოცენტრში. ბავშვის მოწყობა მინდა მუსიკალური სასწავლებლის დირექტორად, ყველა მონაცემები გააჩნია საამისოდო.

— ამხელა ბავშვი გყავს?

— აბა.

— წარმოგიდგენია!..

—იმ კაცს არჩილი არ ქვია? კართან რომ დგას, ტყავის საქაღალდე რომ უჭირავს.

— არჩილი ქვია, კი.

— ვიცნობდი ერთ დროს და არ გამოიხედა ჩემკენ... ერთი ორ სიტყვას ვერ შემაწევს, საქმე ჩაწყობილი მაქვს, მაგრამ მაინც...

— არა მგონია, მუსიკალურების დირექტორები მაგას არ ეხება, თანაც სხვანაირი კაცია...

პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა თანაკლასელმა. სამუშაოდ გაამწესეს მეზობელ რესპუბლიკაში. წავიდა. იქედან ცენტრისაკენ გადაინაცვლა. მოღვაწეობდა საზღვარგარეთაც, საიდანაც პირდაპირ საქვაბეში მოხვედრილიყო. მშობლიურ ქალაქში აპირებდა დამკვიდრებას საბოლოოდ და საუკუნოდ. იმჟამად ბავშვს აწყობდა მუსიკალური სასწავლებლის დირექტორად და გურამ ფოილოძის შეტყობით, მეტი სამწუხარო და სადარდებელი თითქოს არა ჰქონდა რა. თამაზ, თამაზ... ძე-ზე მთავრდებოდა მისი გვარი. თამაზ ვილაცა-ძე.

— არჩილ, გაიცანი, ჩემი თანაკლასელია, თამაზ...

— თამაზი. — სახელი დაამრგვალა, გვარი არ თქვა.

— სასიამოვნოა, — უყურადღებოდ ჩაილაპარაკა არჩილმა და გაშლილ საქაღალდეში ჩაიხედა.

„რა გვარია, ღმერთო გამახსენე, რად მინდა მაგისი გვარი ახლა მაგაზე უნდა ვიჭყლიტო ტვინი... საქვაბეში მოწყობილა. თამაზ, თამაზ მექვაბიშვილი? არა. ძე-ზე მთავრდება...“

— შემოდით! — მოიხედა არჩილმა, — მაღალმა, კისერგაშეშებულმა, მელოტმა არჩილმა და მხარზე სქელკონდახიანთოფგადებულმა შეაღო უზარმაზარი კარი.

სიგრძე, სიგანე და სიმაღლე ერთი ჰქონდა კლასიკურად ნაგებ სხდომათა მცირე დარბაზს. სიმეტრიულად ჩალაგებულ ფანჯრებს, ცრუსვეტებს, ცრუფრიზებს, კარნიზებს, ჭაღის შვერილებს, სარკმლის წირთხლებს და რაფებს მოწითალო ფერი ედო. ფანჯრებზე ჩამოშვებული, გვერდზე მიყრილმინაოჭებული, მწიფე მარწყვისფერი ფარდები აწითლებდნენ და ანაირსხვაფერებდნენ ტყვიისფერ სინათლეს.

გურამ ფოილოძეს სამხატვრო საბჭო, დირექტორის კაბინეტი და მოსაცდელში, ფანჯარასთან დაპატარავებული კორნელი გაახსენდა. მაინც რა იყო ეს, რა ხდებოდა, როგორ მშვიდად და უდრტვინველად ჩადიოდა ქვევით კორნელი.

— კარგად მოიქეცი, სიმართლე რომ უთხარი! — გაიმეორა დოხნაძემ.

— ნამდვილად. — დაემოწმა ადელაიდას მეუღლე.

— ამ წუთას მოვალ, არ დაიფანტოთ! — დაიბარა არჩილმა, საქაღალდე გაშალა, დაკეცა და სადღაც გაუჩინარდა.

„არ უნდა მეთქვა, ცხადია!

— სწორად მოიქცა, აბა რა... — ღიმილით ამბობდა მაღალი, ლამაზი ლიტერატურათმცოდნე დორე მახარაძე და გურამ ფოილოძის თანაკლასელს უყურებდა, ვინ არისო, აინტერესებდა.

— გაიცანი, ჩემი თანაკლასელი, თამაზ...

— თამაზი. — მხოლოდ ბრუნვის ნიშანი დაუმატა საკუთარ სახელს.

— ვიღაცას ხომ უნდა ეთქვა ბოლოსდაბოლოს. — უთხრა დორეთემ.

— რასაკვირველია. — დაეთანხმა საქვაბის ინჟინერი, წარმოდგენა რომ არ ჰქონდა, რაზე იყო ლაპარაკი.

„არ უნდა მეთქვა, ამის დრო არის ახლა!“

დორეთემ ჯიბეებში ჩაიწყო ხელები, ძირს დაიხედა. აღარ ლაპარაკობდნენ. იდგნენ. ერთმანეთს აღარ უყურებდნენ. საქვაბის ინჟინერი მწიფე მარწყვისფერ, მძიმედ დაშვებულ ფარდებში აფათურებდა ხელს და ხის პერანგში შეყუჟულ, გალეულ ძველ რადიატორს ეფერებოდა.

— როდინდელია ნეტავი?.. ხედავ შენ!.. ათბობენ, ხომ იცი!

„რას აკეთებს ნეტავი ორჯონიკიძის რაიონის თბოცენტრში. ძე-ზე მთავრდება მაგისი გვარი. იყოს ეს მექვაბიშვილი, რა დაშავდება!“

შრიალით შემოვიდნენ კამელია წეროძე, არჩილი და ყოფილი ბანი ბესარიონ ნოშრევანიძე.

— ამას რა უნდა აქ?! — საკმაოდ ხმამაღლა უჩურჩულა დორე მახარაძემ გურამ ფოილოძეს და კამელია წეროძეს მიაშტერდა გაოცებისაგან ჩამოგდებული ქვედა ტუჩის ცმაცუნით.

„მართლა, რა უნდა?!“ გაიფიქრა ფოილოძემ და დორეს ანიშნა, თავი შეიკავე უხერხულიაო.

მუქი ფერის, მოყავისფრო კოსტუმი ეცვა კამელიას. სადა, მაგრამ ძვირფასი, საკილოვედან ოლოილამოგდებული პერანგი მოუჩანდა. მაღალი, გახამებული საყელო გულისპირს მოლიავების საშუალებას არ აძლევდა: არც იხსნებოდა, არც იხურებოდა საკინძე; რბილი, თეთრი ყელი და მკერდის მისადგომები ჩანდა.

— ბატონო ბესარიონ, მწერლები... მართალია ყველა არა, უფრო სწორად ბევრი ვერ, თუმცა ძირითადი ბირთვი... — არეულ-დარეულად წამოიწყო არჩილმა, უსისტემოდ შეიარაღებულ რაზმელებს გადახედა და უცნაურად შეატრიალა ღმობიერი თვალები.

— დიახ, კი, დიახ, რასაკვირველია... ხე, ხე... — ხორხიდან ამოსულმა ხმამ ამოატრიალა თებერვლის მზით აფუებული, მოყავისფრო ბელტი. თეთრი, გატკიცინებული ცხვირსახოცი მოისვა ტუჩებზე და ღიმილით წამოვიდა; გამოსცდა სათათბირო მაგიდას, შეფერხდა, გამომეტყველება შეეცვალა, ოდნავ სრული, ახალი ფეხსაცმელები გაუსვა ფრთხილად იატაკს, ჩასავარდნ ადგილს დაუწყო ძებნა სწორზე, შეუმჩნევლად შებორძიკდა, არარსებული ბარიერი გადალახა და სტუმრებს სათითაოდ ჩამოართვა ხელი.

კამელია წეროძე პირდაპირ მაგიდასთან დაჯდა არაფრისმაუწყებელი ღიმილით, მოკლე ქვედაწელი გადაიქაჩა მუხლებზე და შეამოწმა მაუდის სუფრა, როცა დარწმუნდა, მაუდის სუფრა მთლიანად ფარავდა მისას კი არა, მაგიდის ფეხებსაც, თავისუფლად, თუმცა საკმაოდ მძიმედ შეინძრა თხელ, ამ ინტერიერისათვის შეუფერებელ სკამზე.

ბესარიონ ნოშრევანიძე უკან ბრუნდებოდა. სათათბირო მაგიდასთან ახლო შეუმჩნევლად ახახუნებდა ახალთახალ ფეხსაცმელებს, ასასვლელს ეძებდა აბსოლუტურად სწორ იატაკზე; კიბორჩხალასავით ჭაწითლებული გაფანჩულ წარბებს ისწორებდა და კამელია წეროძის გვერდით იკავებდა ადგილს. არჩილი ფეხზე იდგა, ბესარიონის დაჯდომას ელოდა.

— ბატონი ბესარიონის თხოვნით... — დაიწყო თავჩაღუნულმა. — მოგიწვიეთ აქ საოპერო ლიბრეტოების დასაწერად... დანარჩენს თავად ბატონი ბესარიონი მოგახსენებთ.

ახლაღა მიხვდნენ, რატომ ეძებდა ასე დაგულმოდგინებით არჩილი პოეტ გოგია შურღაიას. წამოსულიყო მართლაც, რა მოხდებოდაო, გაიფიქრა კიდეც დოხნაძემ.

ბესარიონ ნოშრევანიძემ ქაღალდები გაშალა, გადაადგილა, რამდენჯერმე ჩაახველა ყრუდ, ქარის წისქვილის ფრთების ჭრიალივით.

— რასაკვირველია... დიახ, ხე, ხე... — თაბახის ქაღალდები არიია. — მოგიწვიეთ აქ, რისთვისაც წინასწარ გიხდით, რასაკვირველია, მადლობას...

არჩილმა თაბახის გვერდი ამოაცოცა საკუთარი საქაღალდედან და კისერგაშეშებული დააჩერდა თეთრ ფურცელს, რომელზედაც ბოლოს ერთი წერტილი აღმოაჩინა; წერტილი ჯერ გადიდდა, შემდეგ ისევ დაპატარავდა.

— რა უნდა, თუ კაცი ხარ, ამას აქ? — გადმოიხარა საგეგმო განყოფილების გამგე და ფოილოძეს ყურთან ტუჩი მიუტანა, კამელია წეროძესათვის კი თვალი არ მოუცილებია.

კამელიამ დოხნაძის მზერა დაიჭირა, შეუმჩნევლად დაამთქნარა და როგორც ფოილოძეს მოეჩვენა, ჩურჩულიც გაიგონა; პოზა არ უცვლია, თუმცა თავი შეატოკა და მოწითალო, სქელი თმა შეარხია.

ვიტალი დოხნაძეს, კამელიასათვის რომ ეგრძნობინებინა, შენზე არ ვლაპარაკობთო, საუბარი არ გაუწყვეტია. რა კარგი ქენი, დღეს რომ სიმართლე თქვიო, აქებდა გურამს.

„რა ძალა მედგა, ამის დრო იყო ახლა!“

დირექტორის კაბინეტის მოსაცდელში ჩაბურულ ფანჯარასთან იდგა ცალლოყაზე გაყავისფერებული კ. წ. დაფიქრებული და ყურადღებადაფანტული იკვნეტდა ფრჩხილებს, ჩადიოდა ქვევით, ნელა, უდრტვინველად იძირებოდა. ჩანისლული დღის სიფერმკრთალე ედებოდა ნაცრისფერ კედელს, მაგიდას, ტელეფონის აპარატებს.

— ხომ კარგად დამთავრდა, კორნელი, ყველაფერი? — შეეკითხა ხელშეკრულების გაფორმებით გართული კვამლისფერთმიანი ქალი.

— კი, ყველაფერი კარგად დამთავრდა... — გამოფხიზლდა კორნელი.

— აბა მეტი რა გინდა... — ჩაილაპარაკა თავჩაღუნულმა ქალმა.

— მეტი არაფერი... — ფრჩხილებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახედა, თვალები წაჭუტა და პიჯაკის კალთა ჩაიფერთხა ფრთხილად.

— მოაწერე ბარემ ხელი.

— აქ?

— აქ, აქ და აქ, კიდევ აქ, და აქ.

„სულერთია, მაინც არ უნდა მეთქვა!“

აგურისფერი ზერდაგი ლაპარაკობდა ხმადაბლა, გაბმულად, გუგუნით. ხმას მალავდა, გუდავდა, ხორხიდან ბოლომდე ამოსვლის უფლებას არ აძლევდა. ცხენი აბრუნებდა უზარმაზარ ჭახრაკს უდაბნოში. გადახეთქილ, გადამშრალ კალოზე დაფლაყუნებდა. ლერწმის მოკლე და მსხვილ ღერებს შტაბელ-შტაბელ ამოჰქონდა ამღვრეული წყალი. უდაბნოს დიუნების, დახეთქილი, უნაყოფო მიწის სიმხურვალე ედებოდა კამელია წეროძეს. თავი ოდნავ უკან ჰქონდა გადაგდებული; ზედმეტ მოძრაობას, ყელზე გამომშრალი ნაოჭების დაჩენას უფრთხოდა.

— რა უნდა აქ, თუ იცი? — მიუბრუნდა ჩადგმული კრიტიკოსი ლიტერატურათმცოდნე დორეს.

— არ ვიცი... — გაიცინა დორეთემ ჩარიწკინებული კბილების კრიალით. — გურამს ვკითხოთ.

— ჩუ!..

კამელიამ სქელი, მოწითალო თმა შეარხია, თავი შეაბრუნა, გაშეშდა, ჩანისლული, მორკალული ქუჩა აირეკლა ლურჯი თვალის ბროლზე, უფერო მანქანები გამოჩდნენ მოლუნულ პროსპექტზე. უხმოდ გამოცურდნენ თვალის გუგის ვირაჟზე.

„ნუთუ ეს ქალი მიყვარდა... რა ხანი გასულა მას შემდეგ!“ — წუხდა ფოილობე და ჭახრაკის ჭრიალს, დამშრალ მიწაზე დაუჭედავი ცხენის ფლოქვების ფლაყუნს უგდებდა ყურს.

—... თქვენ, რასაკვირველია, გაეცნობოდით ჩემს წერილს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური საოპერო მუსიკის განვითარების შესახებ. აღნიშნული წერილი, რასაკვირველია, ამ დღეებში გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთებში, რასაკვირველია, რადიოთი და ტელევიზიით. მართლაც, დიდი და განუზომელი ყურადღება ექცევა ჩვენს ქვეყანაში ოპერის, კერძოდ, როგორც მოგახსენეთ, ეროვნული ოპერის განვითარებას. ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სახალხო განათლების მიღწევები, რასაკვირველია, მჭიდროდ არის დაკავშირებული კულტურასთან, ხელოვნებასთან, მუსიკასთან ზოგადად და ოპერასთან კერძოდ. იმისათვის რომ შეიქმნას მხატვრულად სრულყოფილი, იდეურად გამართული, უნაკლოდ შესრულებული ეროვნული ოპერა საჭიროა ასევე იდეურ-მხატვრულად გამართლებული, მაღალიდეური დონის ლიბრეტო, რისთვისაც, რასაკვირველია, მოგიწვიეთ პოეტები, დრამატურგები და სხვა... შესაძლოა, სათანადო გამოცდილება ოპერის ლიბრეტოს შექმნის დარგში არც კი გაგვაჩნდეს. ეს არც არის გასაკვირველი. თქვენ წერთ ლექსებს, პოემებს, დრამატიულ ნაწარმოებებს, სახელმძღვანელოებს, პიესებს. მაგრამ ოპერის ლიბრეტოებთან შესაძლებელია პირველად მოგიხდეთ ახლო ურთიერთობა. ჩვენ შეგვიძლია სამუშაო დღეებში, არასამუშაო დღეებში, გარდა კვირა-უქმეებისა და, რასაკვირველია, დღესასწაულებისა, პირველი მაისის, ბზობისა და რვა მარტის გარდა გაგიწიოთ სათანადო კონსულტაციები ლიბრეტოების დარგში, რასაკვირველია. მთავარია, შეიქმნას სრულყოფილი, როგორც უწინარეს მოგახსენეთ, იდეურ-მხატვრულად გამართული (ჟანრით შეზღუდული არ ვიქნებით) ლიბრეტოები, რათა გავამდიდროთ, რასაკვირველია, ჩვენი საოპერო რეპერტუარი და ხელი შევუწყოთ ეროვნული ოპერის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას. წარმოდგენილ ლიბრეტოებს, უკაცრავად, ლიბრეტოებს ჩვენ გადავუგზავნით ჩვენდამი რწმუნებულ კომპოზიტორებს. ისინი დაწერენ ოპერებს. ჟანრს არ ექნება გადამწყვეტი მნიშვ-

ხელობა და ჩვენი საოპერო ეროვნული რეპერტუარი გამდიდრდება თანამედროვე კლასიკური მუსიკალური ნაწარმოებებით, თუ რაოდენ ეროვნულ, საშვილიშვილო, რასაკვირველია, მისაბაძ საქმეს ჩაეყრება საფუძველი თქვენის მეოხებით ამას თავადვე დაინახავთ და შეაფასებს სათანადოდ. გამდიდრებული ეროვნული მუსიკის შექმნის შემდეგ, გამდიდრებული მუსიკალური რეპერტუარი ხელს შეუწყობს, გამდიდრებული ეროვნული ოპერის შემდგომ, რასაკვირველია, აყვავებას, სრულყოფას და გამდიდრებას. მანამდე კი, ეს გამდიდრებამდე, ჩვენ დავავალეთ, რასაკვირველია, ბატონ არჩილს მოეწყო შეხვედრა თქვენთან, ქართველ მწერლებთან, ქართული დრამატიული პოეზიის კორიფეებთან. საქმის კურსში არიან... გვესწრებიან, რასაკვირველია, ქალბატონი კამელია წეროძე, არჩილი, იწერთ ხომ თქვენ?

— კი ბატონო. — ცარიელი თაბახის ფურცელი გაუწია. ქაღალდზე დაჩენილი ერთადერთი წერტილი გადიდდა, წამოვიდა ზევით, გადაფარა და გააშავა მაუდი, თანდათან დაეშვა, დაპატარავდა, გამწვანდა და გაქრა.

— ქალბატონო კამელია, ჩვენ სათანადოდ გავაფორმებთ, რასაკვირველია, დღევანდელი ღონისძიების ოქმს, შევადგენთ სათანადო დოკუმენტაციას... ხე, ხე...

ქალბატონმა კამელიამ ოდნავ დაუქნია თავი, მოწითალო თმაც შეარხია.

„აქ რა უნდა ნეტავი, საიდან სად?“ — ფიქრობდა დორე და კამელიას მიჩერებოდა უტეხად, გულისგამგმირავი მზერით. ჩემ თვალებს ვერ უძლებს. ვითომ ვერ მხედავსო, ქალი მაინც, სადაც არ უნდა დასვა იგი, სუსტი არსებააო, ეცინებოდა გუნებაში.

კამელია წეროძეს კი დორეთე მახარაძე გარდაცვლილი ეგონა. აბა ვის დაკრძალვაზე ვერ ჩამოვემგზავრე ამ რამდენიმე წლის წინო, ჩაიჩურჩულა გუნებაში. კაცი რომ მკვდარი გგონია და ცოცხალი გამოგეცხადება, — გული უნდა წაგივიდეს დადგენილი წესის მიხედვით, მაგრამ არაფერი ამისდამაგვარი კამელიას არ მოსვლია ცოცხალი დორეთეს დანახვისას. თქვენ წარმოიდგინეთ, არც შეშინებია, არც შემკრთალა. სხვა დროსაც (როდის და სად აღარ ახსოვდა) დამართნია ამდაგვარი რამ. არც მაშინ გადაწყდომია თავისი. „აბა ვის დაკრძალვაზე ვერ ჩამოვედი? გარდაიცვალა პერსპექტიული ლიტერატურათმცოდნე, სადოქტორო უკვე გამზადებული ჰქონდაო. ეტყობა, ეს ის არ იყო. ცხადია, არ იყო. აბა ვინ? მე ეს მეგონა. მეწყინა კია. ღმერთმა იცის. ვიტირე? ალბათ. ცრემლსაღვრელი იქნებოდა ეს თუ არა — ის. უფრო ეს“. ისევ გააქანა თავი, თავისდაუნებურად ამოიოხრა, ამ ოხვრაზე შეკრთა, მაგრამ არ დაიმჩნია; შეუმჩნევლად, თუმცა მძიმედ გასწორდა სკამზე.

— რა უნდა აქ, ხომ არ იცი? — მეოთხედ იკითხა დორეთემ.

— წარმოდგენა არა მაქვს... — უკვე მოურიდებლად ამოილაპარაკა ფოილოძემ.

„მისი ერთადერთი ღირსება სიკვდილი იყო. მომკვდარიც არ ყოფილა, მაშინ რაღა დარჩა? გარსი? ყოველ შემთხვევაში ის — რაც ჩანს!“ იგრძნო, როგორ წამოვიდა ცეცხლი ზემოთ.

„დაიწყო!“ — გაიფიქრა შეძრწუნებულმა.

შემოეხვია, შემოეტმასნა წელზე ცეცხლი. დანაწილდა ენებად და მკერდს დაუწყო ლოკვა. აცდა მკერდს, ყელს, სახე აახურა. ჰაერი!.. სად იყო ჰაერი. ფარშავანგის კუდით მოხატული ცისფერ-მტრედისფერი იაპონური მარაო აფარფატდა თვალწინ. საიდან გაჩნდა ეს მარაო ქალიშვილობაში რომ რჩებოდა თვალი. ახლა ვინღა ხმარობს იაპონურ მარაოს, — თანაც ბურუსსა და გაუგებრობაში.

„...ვერ გავუძლებ. ცოტაც. ღმერთო. მგონი, მიდის!“ ცხელი ჰაერი გაიშალა, ცეცხლის ენები ყელს, მკერდს, მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცელს ჩამორდა, დაიგრაგნა და სიცარიელე შეიკუმშა, ცეცხლის გეენა დაინთქა ყრუ გუგუნით.

ღრმად, გაუნძრევლად ამოისუნთქა და წითელ ფარდებს გაუშტერა მზერა. მეწამული გადაიკრა თვალის ბროლზე არეკლილმა მოლუნულმა პროსპექტმა.

— ...უნდა მოგახსენოთ, თანამედროვე ოპერები იდგმება საზღვარგარეთაც. იდგმება, რასაკვირველია, ამერიკაში, დასავლეთ ევროპაში, ესპანეთში, მედისონ-სკვერგარდენში. იდგმება ინტენსიურად, დადგენილებების გარეშე; იწერება თანამედროვე, უიდეო, რასაკვირველია, ლიბრეტოები.

— ლექსად? — იკითხა მექვაბიშვილმა.

— დიახ, ლექსად. — მშვიდად უპასუხა აგურისფერმა ცხენმა.

ადელაიდას ქმარი გურამს მიაჩერდა, მექვაბიშვილზე ანიშნა, ვინ არისო. საქვაბის ინჟინერს კი მართლაც აინტერესებდა, გარითმული ლექსით მღეროდნენ თუ არა ოპერაში; ვინ წერს ნეტავი ოპერის პიესებსო (ლიბრეტო არ იცოდა), უფიქრია სხვა დროსაც. კონცერტებისა და საზეიმო-სადღესასწაულო საღამოების ჩაუთვლელად რამდენიმე წარმოდგენა ჰქონდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ნანახი. ბუნდოვნად ახსოვდა „წითელქუდა“ და „პიკის ქალი“, ხოლო „ტოსკას“, რომელსაც „აიდაში“ ურევდა, ნოვოსიბირსკში მოუსმინა; ნოვოსიბირსკშივე იძულებითი წესით დაასწრეს „ევგენი ონეგინს“.

— ...როგორც მოგახსენეთ, იწერება უიდეო ლიბრეტოები საზღვარგარეთ. იდეურობა აკლიათ, რასაკვირველია. არა თუ აკლიათ, არ გააჩნიათ საერთოდ. ეს თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, შეხსენებაც არ გჭირდებათ. უიდეო ლიბრეტოები იწვევს უიდეო ოპერების შექმნას, — შესაბამისად... თანამედროვე ოპერებს კი ჭირდება თანამედროვე იდეური ლიბრეტოები, იდეურ ლიბრეტოებს ჭირდება სული, პოეტური ალმაფრენები. ლიბ[illegible] შეიძლება შეიქმნას საკოლმეურნეო თემებზე, თუნდაც ჭაობების ამოშრობაზე, სახალხო განათლების მუშაკებსა და ჩვენს სისხლსავსე, მჩქეფარე, რასაკვირველია, ცხოვრებაზე... აქ არის არჩილი, აქ არის ქალბატონი კამელია...

არჩილი წამოდგა. მრისხანედ ალიმართა აბჯარასხმული რაინდი. კისერგაშეშებულმა, ხმელმა, ძვალმსხვილმა, მელოტმა არჩილმა ცალი თვალით ჩაიჭვრიტა ნოშრევანიძის ქაღალდებში, რამდენი დარჩა კიდევო, გაიფიქრა და ნახა, რომ ბესარიონს თითქმის აღარაფერი დარჩენოდა.

„დაკარი არჩილ, შე ღმერთძაღლო, ამოიღე და დაკარი!“ — აბჯარასხმულმა მეხმლემ ფოილოძეს გადმოხედა, არ გამოვაო და დაჯდა.

— აქ გახლავს ქალბატონი კამელია, აქ არის ჩვენი არჩილი... წერთ თქვენ, რასაკვირველია, ხომ!

— კი, ბატონო. — ერთწერტილიანი, ცარიელი ქაღალდი გაუწია. — ამელამ გადავწერ, ჩამოვაყალიბებ და დილისათვის მზად მექნება დასტურლამალში შესატანად.

— ძალიან კარგი. ჩვენ დავსვამთ, უფრო სწორედ, აღვძრავთ საკითხს შესაბამის ინსტანციებში და იქნებ გაგიფორმოთ მივლინებები წინასწარ, აქ არის ქალბატონი კამელია... მივლინებებს, თუ კი ეს შესაძლებელი იქნება, გასვლითი ხასიათი მიეცემა... შეკითხვები თუ გაქვთ? — თეთრი, გატკიცინებული ცხვირსახოცი ამოიღო, რამდენჯერმე გადაისვა თავ-კისერზე.

— ანაზღაურება როგორ მოხდება? — იკითხა ადელაიდას მეუღლემ.

ნოშრევანიძემ გაკეცილი ცხვირსახოცი ჩაიდო ჯიბეში და სიგარეტის კოლოფს გაუსვა თითები.

— ანაზღაურება მოხდება ჩვეულებრივად, დადგენილი წესის მიხედვით, ქალბატონი კამელია დაგვემოწმება, რასაკვირველია. ხელშეკრულების წინასწარ დადების უფლება არა გვაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც კი მოიტანთ ლიბრეტოს, ანუ ლიბრეტოებს, ერთს, ორს, სამს, რამდენიც იქნება იმდენს, როგორც კი კომპოზიტორი შექმნის ოპერას, როგორც კი...

— დაიდგმება. — შეეშველა ადელაიდას ქმარი.

— დიახ, როგორც კი დაიდგმება...

— ჯიბეში ჩაიყო ხელი და სიგარეტის თბილი კოლოფი მოსინჯა. ერთი ნაფაზი მთლად ერჩია ყველაფერს. ერთი ნაფაზი რაღა იყო ბოლოს და ბოლოს.—დიახ, უფრო მეტიც, როგორც კი პირველ შემღერებას გაიარს დასი უორკესტროდ, ავანსს გადაიხდის შესაბამისი ორგანიზაცია... აქ არის არჩილი და რასაკვირველია, ქალბატონი კამელია. ეს არის, როგორც იტყვიან, საქმის ორგანიზაციული მხარე, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ბოლოსდაბოლოს ავანსზე და ფულზე ხომ არ არის საქმე.

— რასაკვირველია! — დაეთანხმა მექვაბიშვილი.

ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ უკვე — ხმამაღლა. მოურიდებლად იცინოდნენ წალმა-უკულმა შებრუნებულნი.

— კი ხომ, გატყდი! — ეხვეწებოდა ჩაჯირკვული კრიტიკოსი დორეთე მახარაძეს და ადელაიდას მეუღლეს თვალს უკრავდა მალულად.

— არა, კაცო! — იცინოდა დორეთე.

— თქვი, რას მალავ! — კამელიასაკენ იხედებოდა კრიტიკოსი.

— არა, კაცო, სინდისს გეფიცები, არა... — უარობდა დორეთე, ეგონა, მართლა არ სჯერათო და უხაროდა.

ერთი გაბოლება მთლად ერჩია ყველაფერს ბესარიონ ნოშრევანიძეს. გატკიცინებულ-გახამებული ცხვირსახოცი ამოჰქონდა ჯიბიდან დროდადრო, აგურისფერ თავზე ისვამდა და სიგარეტის სითბოს გრძნობდა ჯიბეში.

„ალარ მიდიან, რა არი, რა უბედურებაა!“

რაღაც მინდა ვკითხო და უხერხული ხომ არ იქნებაო, ნოშრევანიძესაკენ იხედებოდა საქვაბის ინჟინერი ორჯონიკიძის რაიონის თბოცე[illegible] გინდა, არ ღირსო, პასუხობდა ფოილოძე.

— თვითონ თქვა, მკითხეთო და იმიტომ.

— კი თქვა, მაგრამ მუსიკალური სასწავლებლები არ ეხება მაგას...

— სულ სხვა რამე მაინტერესებს.

— ბრძანეთ! — თავი დაუქნია პრეზიდიუმიდან არჩილმა.

ოპერაშიო, წამოდგა მექვაბიშვილი, გათბობის ძველი სისტემა, რომელიც ამა და ამ წელს, ამა და ამ კაცის პროექტის მიხედვით იყო დამონტაჟებული, ხანძრის შემდეგ მთლიანად, პრინციპულად გამოიცვალა თუ არაო.

— ხე, ხე, ხე, ხე, ხე, ხე... — იცინოდა ნოშრევანიძე. ნახევარ ოპერას მისცემდა ერთ სიგარეტში.

„...როგორ ათბობდნენ მართლაც ოპერას ჩემ ქალიშვილობაში... რა საჭირო იყო ისეთი გათბობა? ახლა როგორ თბება, ნეტავი!.. ვინ მოიგონა გათბობა, სითბო და იაპონური მარაო?!“ გამოდიოდა დაგრაგნილი ცეცხლი, ეხვეოდა წელს, მკერდს ეალერსებოდა, ყელს ლოკავდა და ალმურად ელამუნებოდა. ცხელი ჰაერი იკუმშებოდა, ბურთად იკვრებოდა, ფარშევანგისფრთებიანი მარაო იშლებოდა და იკეცებოდა. ცეცხლი ჩადიოდა ქვევით, ქალის მკერდს და მუცელს შორდებოდა, ინთქმებოდა ყრუ და შორეული გუგუნით. მთელ ოპერას იძლეოდა უკვე ბესარიონ ნოშრევანიძე ერთ სიგარეტში; კიდევ და კიდევ ბინდდებოდა, დღე იკლებდა, მძიმედ, შეუმჩნევლად ტრიალებდა დედამიწა.

„ბიჭო კორნელი, სადამდე!“

ერთდროულად გამოვიდნენ ქუჩაში.

— კარგი ქენი, სიმართლე რომ უთხარი! — შეახსენა ადელაიდას ქმარმა.

„მართალია, არ უნდა მეთქვა, ამის დრო იყო ახლა?!“

უპალტოოდ და უქუდოდ, უაბჯროდ, უხმლოდ და უკონდახოდ, ყელზე არასიმეტრიულად ჩამოკონწიალებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაშნეთი ჩამოირბინა არჩილმა, შეწუხებული აისვეტა კედელთან, კინოთეატრის სააფიშო ვიტრინის გვერდით.

— მერე რა მოხდა, შე კაი კაცო! — ღიმილით უთხრა გურამ ფოილოძემ.

მანქანებში ჩასხდნენ და წავიდნენ. კიდევ უფრო ჩამოინისლა. მოთენთილი ცა ჩამოემხო თვინიერ მთვლემარებაში წასულ ქალაქს.

საღამოს, ერთ მცირერიცხოვან წვეულებაზე გურამ ფოილოძეს გააცნეს ახალგაზრდა კომპოზიტორი გვარად ჩირიბერიძე. ჩირიბერიძე ალგზნებული ლაპარაკობდა, უმიზეზოდ იცინოდა და ერთხელ წამოიტირა კიდეც უგულოდ. ცრემლი შეიმშრალა მოურიდებლად და გურამს ჰკითხა, უკაცრავად კი ვარ მარა, თქვენ სად მუშაობთ, რა საქმიანობას ეწევითო.

— მწერალი გურამ ფოილოძე! — საყვედურნარევი კილოთი უპასუხა დიასახლისმა, სანამ კითხული ხმას ამოიღებდა.

— რას მეუბნები, არა მართლა! — გადაირია კომპოზიტორი ჩირიბერიძე.

— როგორ მართლა! — გაეცინა დიასახლისს.

— მწერალს ვეძებ რა ხანია და იმიტომ.

დაუპატიჟებელი სტუმრები მოვიდნენ ამასობაში.

— აბა თქვენ ხართ? — საფეთქლებს ისრესდა ჩირიბერიძე, ახლადმოსულთ მიჩერებოდა. — ქრისტინე უნდა მიშოვნოთ.

— მე მეუბნებით?

— დიახ, მწერალი ხომ თქვენ ხართ?!

— მერე, ვინ ქრისტინეზეა ლაპარაკი?

—მოთხრობა „ქრისტინეზე“, ვისი დაწერილია, აღარ მახსოვს...

მართლა გაუნათლებელი ჩანდა, თუმცა, ფოილოძის ვარაუდით, „ქრისტინეს“ ავტორს ნაღდად იცნობდა.

— ...ოპერას ვქმნი, დავიწყე და ლიბრეტოსათვის მოთხრობა არა მაქვს, მე თვითონ უნდა დავწერო, მიშოვნით?

— გიშოვნით. — ამოიოხრა ფოილოძემ.

— სიტყვა სიტყვაა!

— ცხადია.

კომპოზიტორს იმ დღის შემდეგ აღარ შეხვედრია და აღარც „ქრისტინე“ უძებნია, რადგან ჩირიბერიძეს თურმე „ბაკულას ღორები“ ჰქირდებოდა. წლის ბოლოს კი პოემა „თორნიკე ერისთავის“ მიხედვით დაამთავრა გმირული ოპერა „ერისთავი თორნიკე“, რომელიც წარმატებით დაიდგა ქუთაისის საოპერო თეატრში.

მუხლში ჩატეხილი კორნელი პარკეტში ჩაფლულიყო იმ დღეს; კიდევ და კიდევ ჩადიოდა თურმე.

სადამდე, ბიჭო კორნელიო?

ყელამდეო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ტარიელ ჭანტურია

ცნობილ პოეტს ტარიელ ჭანტურიას დაბადების 50 წელი შეუსრულდა. „მნათობის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია გულმხურვალედ ულოცავს ამ შესანიშნავ თარიღს, უსურვებს დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას, დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს.

# უხუცესთა ანსამბლი

შოთა ნიშნიანიძეს, ვანო თარბას

ხომ გვინახავა? — სხვაც გვინახავს ქვეყნად უხუცესები
ბორძიკით რომ ძლივს დადიან და ხელების ცეცებით!
თქვენ კი ჯამებს სულ ბოლომდე ავსებთ იზაბელათი!
თქვენი სიტყვა — თამადისა — გავს დამოძღვრას ბელადის!
კარგად იცით, რომ ამ ქვეყნად ღმერთიცა და ალაჰიც
ზელენ ერთი, ერთადერთი, ერთნაირი ტალახით,
რომ გაგრელი მთესვარიც და სირიელი ფელაჰიც —
არის ბოლოს... არის ბოლოს... არის ბოლოს ბალახი...
და მაინც: თქვენ მოზელილი ხართ სხვაგვარი ტალახით!

ასოცი წლის ჭაბუკებო! ძველქართულად — ჭაბუკნო:
ღმერთმა ქმნას და ას ოცი წლის მერეც ასე ჩაბუქნოთ!
ჯიშიანი მწევრებივით მიკრული გაქვთ ფერდები!
ცოცხლობთ ასე! ცხოვრობთ ასე! მაგრამ არკი ბერდებით!
არც ართრიტის იცით რამე და არც მიოზიტის!
„არგო“ ძვრასაც ვერ უზამდა, რაც თქვენ ტვირთი ზიდეთ!
საზრუნავი — საყვარული შვილის შვილის შვილთა —
გაცოცხლებთ და გახალისებთ! თქვენც — სიმღერა გინდათ!
და კვლავ ისმის „ოდოია“, „ვაჰარადა“ და „იროული“.
„ცერულს“ — „სიმდი“ ენაცვლება და „მთიულურს“ — „ცეროული“.
უფროსი ძმა გენატრებათ — სევდა მაჰაჯირის...
თქვენა თარჩიას ვენაცვალე და კვიცების ჯირითს,
თქვენს ახალუხს ახალთახალს, ჩოხის ქილებს — გილზებს!
ამაყად რომ ამაღლდებით კოლხურ უნაგირზე!

თქვენ გვასწავლეთ, სიყვარული რომ არასდროს ბერდება!
თქვენი ცეკვა თქვენს ნაშიერთ კარგად დაგვებედება!
ქაცარს დაკლავთ, სუფრას გაშლით ცაცხვების ქვეშ, გრილოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხან — მშვენიერ აფხაზეთში, ხანაც — სამეგრელოში!
იჩხუბებენ ზოგჯერ ძმები, ჩონგურ-აფხიარცა კი
იტყვიან, რომ არაფერიც არ მომხდარა ფარცაგი!
გვადღეგრძელებთ არა არყით ან უნიჭო „ბილეთი“ —
მხოლოდ „ლხინით“, „ოჯალეშით“ ანდა „იზაბელათი“...
ეს სუფრაა, სადაც მთელი საქართველო ვეტევით!
სუფრა, სავსე გალობით და მარჯვე პირუეტებით!
ჯიშიანი მწევრებივით რომ მიგკვრიათ ფერდები,
ათასი წლის გახდებით და მაინც არ დაბერდებით!

ხოლო რაკი სიყვარული არასოდეს ბერდება,
გვჯერა, თქვენი სინდისი და გული დაგვებედება!
არასოდეს გავაცინებთ ენაძუა კნეინებს!
ჰაჯი უსუბს — გამზრდელს ჩვენსას — თავს არ მოვაკვლევინებთ!
ჩვენც ვიცხოვრებთ თქვენი პურით, ღვინითა და წესებით
და თქვენსავით ჩვენც გავხდებით ერთ დღეს უხუცესები,
და ოდესმე თქვენს ანსამბლში თუკი ჩავირიცხებით,
ჩვენც მოვივლით დედამიწას ამ მიწის და ცის ქებით!

## სიმღერა — პარადოქსი

რაც რომ ჭკუა მომემატა,
ვერიდები კარგ ღვინოს:
კარგმა ღვინომ შეიძლება
ჭკუა დაგაკარგვინოს!
უცნაური კია, მარა
ვერიდები კარგ ქალებს:
კარგ ქალებს რომ დავინახავ,
რეტდასხმული ვკანკალებ!
ცუდი ღვინო! ცუდი ქალი! —
აი, ჩემი სტიქია!
ცრუ ქალი და ცრუ სასმელი
ნამდვილივით მიქია!
ხომ გითხარი! — ვერიდები
კარგ ქალსა და კარგ ღვინოს:
კარგმა ღვინომ შეიძლება
ჭკუა დაგაკარგვინოს!

კარგმა ქალმა შეიძლება
თავიც დაგაკარგვინოს!

. . .

ჩემი სისხლით მაძღარო სამცხე-საათაბაგოვ,
მიყვარს შენი პურ-ღვინო, სკა, ხეხილი, თამბაქო...

უნდა გამიმასპინძლდე, ჩემო საათაბაგოვ:
თუთის არყით დამათრო,
შოთას ლექსით დამბანგო!

ერთადერთი მასალის — ვეფხის ტყავით დაბალო,
ტანმოხატულ ველების მხარევ — საათაბაგოვ!

უნდა თბილისს ჩარჩენილ ძმებში დავიტრაბახო:

— რას მნახავდი, ბიძია — გახლდი საათაბაგოს!

„ფილიპ მორის“ რომ ქაჩავთ, თურმე მაგის თამბაქოს
აქა ზრდიან! აქ მოჰყავთ — სამცხე-საათაბაგოს!

მხოლოდ „ვეფხის ტყაოსნით“ მოლაღადე ბაგეებს
ვეგებები ყოველგან — ამაჯ ათაბაგებს!
ამ წალკოტის გარეშე არსებობაც არა ღირს!
— ჩამომისხი, ჯაყელო, მაი თუთის არაყი!

[illegible]ია მავთულზე
[illegible]ჭინა ჩიტმა,
[illegible] უჯდა ჩიტი ჩიტს,
რო[illegible]რც რითმას — რითმა.

ისხ[illegible]ნენ ასე, ვითარცა
ზუსტი შედარება!
ნისკარტებზე ეწერათ
ოდენ ნეტარება!

გამეცინა, ორი რომ
ერთი წვეთით დათვრა!
გაფრინდნენ და წაიღეს
ერთმანეთის ნატვრა!

მალე ისევ იპოვა
თავის ჩიტი ჩიტმა,
ისევ გვერდით მოისვა,
როგორც რითმამ — რითმა...

## შოფერი

შენ შოფერი კაცი ხარ,
და, ცხადია, დუმხარ!
ზოგჯერ ვერც კი ამჩნევენ, ახლომახლო თუ ხარ!
ალაგებენ პოეტებს ანბანით და რიგით!
სვამენ სადღეგრძელოებს ჯამითა და ჭიქით!
ბრუნვა ოთხი ბორბლის და ბრუნვა წუთისოფლის
შენზე უკეთ ვინ იცის — ეს ბედია შოფრის!
უყვართ შოფრებს გინება! — შენ — არც იგინები!
გზას გინათებს შვილების ციცქნა კიკინები!
ზოგჯერ — კუდი ტარანის ან ყირიმულ „ვობლის“ —
ბრუნვა — წუთისოფლის და ბრუნვა — ოთხი ბორბლის!

მიენდობი შუქნიშანს, როგორც მანიკურშას!
უჩერდები ჯოყმანით გადარბენილ ყურშას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ გიყვარს მოყოლა მოკლედ საამბობლის!
ისევ — ბრუნვა სოფლის და ისევ — ბრუნვა ბორბლის
სვამ ღვინოს და სვამ ბენზინს! ჭამ ხინკალს და ტაოტს!
და შენს გულში შენც გლოვობ არტანუჯს და ტაოს!
საქართველოს ქარი სცემს შენს დაბზარულ პარბრიზს!
ეს ის გზაა — მთესველი და მეურმე პაპის!
მიუშვირე ჯიქურად სახე მწიფე ხორბლის
ბრუნვას წუთისოფლის და ბრუნვას ოთხი ბორბლის!
თანაუგრძნობს კლასი კლასს და შოფერი შოფერს:
„ხაზეინის“ ლოდინში სეკას თამაშობენ!
შენ — მათთან ხარ ყოველთვის შენი სამი დამით,
წაგებული ყოველთვის — ალბათ სამუდამოდ!
ტიტულს გაძლევ! — სამშობლოს დიდი მიწისმზომლის!

...მარად — ბრუნვა ბორბლის და
ბრუნვა წუთისოფლის..

## ქორწილი გომეწრის ხეობაში

ა. ხ-ს

— შენ დაუკა, ლეკო! —
ჩაახვიეს ტუში!
სადღეგრძელოს ამბობს
გომეწრელი თუში!
თუშთან — თუშის ქალი! —
თვალებმოხატული
თვით იტალიიდან
ჩამოტანილ ტუშით!

აქ ყოველი თუში
ნაჯდომია „ტუ“-ში!
— შენ დაუკა, ლელავ! —
ცეცხლს აჩაღებს ტუში!
თუშის შეშინება
შეუძლებელია
მზით და ხიფათით და
შიმშილით და თოშით!

გული — მისი ოქრო!
მკერდი მისი — თუჯი!
მაგარია თუში!
მაღალია თუში!
მიდი, შაუბერე,
შე მგლის ნაშიერო!
შენ კი გენაცვალე
ე მაგ ყანყრატოში!

ტუში, ლომო, ტუში!

## ფუნიკულიორი

მეც ვიშოვი მეგზურსა და
ძმაკაცსა და ავან-ჩავანს,
და ტრამვაით, ვით ტურისტი —
ავალ-ჩავალ,
ავალ-ჩავალ!
დაბლაც, მაღლაც — ლუდს დავლევ და
მოვიბოშებ ქამარს — ჯავარს!
უსათუოდ უბილეთოდ —
ავალ-ჩავალ!
ავალ-ჩავალ!

ბიბლიოთეკა

პოეტი ვარ მეც დამწყები,
გიტარა ვარ, ქამანჩა ვარ!
მიყვარს ასე ბოდიალი:
ავალ-ჩავალ!
ავალ-ჩავალ!

დაგვიჭერენ ნამდვილადო —
მიმატოვა ამ ლაჩარმა!
არა უშავს, მარტოც ვივლი:
ავალ-ჩავალ!
ავალ-ჩავალ!

პანთეონსაც ვესტუმრები —
ხან აკაკი, ხან ვაჟა ვარ!
ვარ დამწყები მთაწმინდელი! —
ავალ-ჩავალ!
ავალ-ჩავალ!

## ციტო

აკაციის ყვავილის უბოლოო ცვენა
და რეცეპტის კუთხეში მიწერილი „ციტო“
ერთ დღეს მაინც მასწავლის შენს ღვთაებრივ ენას,
მაღრიბიდან მაშრიყს მოფრენილო ჩიტო...

ისევ ვცდილობ, დავუჯდე ქერა პარიკმახერს —
კისერს მიწვავს სუსანას ვარდისფერი ხელი...
ალუჩები ჭალაში ჯერაც არი მკვახე.
დღესაც დიდხანს ვაჭენეთ ქილიფთარის ცხენი.

როგორ ნელა ვიზრდებით, შე საბრალო ჩიტო!
წვეთებს თვითონ ვყიდულობ: „ციტო“. „ციტო“.
„ციტო“. —
უნდა მოვლონიერდე, რომ რაც შეიძლება
მეტი მძიმე ტომარა და ტკივილი ვზიდო!

დაგავიწყებს შიმშილს და დაღლილ ღიმილს მოგგვრის
ფისო, ულვაშმოთხვრილი ლელას გოგლიმოგლით...

ისევ გლოცავს მარია: გაიხარე, შვილო!
შვილო, იბედნიერე ამ მიწით და ცითო!
მალე გაიზარდეო — „ციტო“. „ციტო“. „ციტო“.,,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ დემეტრაშვილი

# ალაწოდა

## მოთხრობა

— მგონი დაიძინა ბიჭმა.

მამაჩემი წამოდგა. ტახტზე მიწოლილს წელზე ზეწარი წამაფარა, აკოკოლავებული ბალიში შემისწორა და მაგიდას მიუჯდა.

— აღარ გინახავს? — მესამედ შეეკითხა შაშო.

მამა ისევ წამოდგა. თახჩიდან უსიტყვოდ გადმოიღო გაზეთი, მიკეც-მოკეცა და ლამპას ააფარა.

სუფრის მხრიდან ქინქლები ახლა ნაკლებად ეხვეოდნენ ლამპას, აღარც სინათლე მიჭყიტინებდა თვალებში.

ზაფხულის ღამე იყო. თბილისური ცხელი და ჩამოხუთული ღამე.

სოლოლაკში რა უჭირდათ: ასეთი გაგანია სიცხე იქ უფრო ასატანი იყო. შიგადაშიგ ნიავი მაინც წამოუქიქინებდა ოქროყანიდან და სამადლოდან, ლელვთახევიდან და ავანაანთხევიდან.

გამოცდებოდი სოლოლაკს. ჩამოათავებდი კოზმანაანთ და მარუთაანთ უბნებს. ჩამოივაკებდი. შორიდანვე გამოჩნდებოდა ქარვასლა და ჩვენი უბანიც აქვე იყო.

აი აქ, — დღევანდელი ლესელიძის ქუჩის მიდამოებში — ბაზაზხანასა და შუაბაზარში, კიდევ ქვევით — თათრის მაიდანსა და აშპაშხანაში, დაბახანასა და სეიდაბადში — თბილისური ზაფხულის ხვატი უფრო გაუძლისი იყო.

ტყუილად როდი იტყოდა სულგანათლებული ბაბოჩემი მაგდანა: ჩვენი უბანი მუგუზალდაყრილი თონეაო.

უკვე ბინდდებოდა, როცა ალაწოდა მეზობელი შაშო მოეხირა. დასხდნენ და ველარ მოათავეს. ჩამოიცლებოდა ბოთლი, ღვინის შემოსატანად წამოდგებოდა მამაჩემი, წამოდგებოდა მამაჩემი და დაიბუხუნებდა შეზარხოშებული შაშო:

— იცოდე, ბოლოა!

რამდენჯერაც გამეღვიძა, იმდენჯერ ზარის დარისხებასავით ჩამესმა ყურში ალაწოდა შაშოს ბუხუნა ხმა:

— იცოდე, ბოლოა!

ჩოფურა და ალაწოდა შაშო ეზოში არ უყვარდათ. არ უყვარდათ კი არა, ბოლო ხანებში აიძულეს და გაიოიდეს.

იმდენი სიკეთე მე, რამდენჯერაც შევსწრებივარ, ნირწამხდარ შაშოს როგორ თათხავდა დაფეხვილი მიხადორა, როგორ ანქიქებდა შინაბერა სუსანა, როგორ სწყევლიდა და ქოქოლას აყრიდა გაწიწმატებული სოფია იაგოროვნა.

ენაჭარტალა დარო ეზოდან გასულ შაშოს ხან ლირწს და ბილწს ეძახდა, ხან ბეიყუთს და ბაბაყულს, ხან არლნის ჩიტს და ბაზრის კუკლას, ხან კიდევ ნაგავში ამოსულ მურაზის კენჭს.

ბოლო ხანებში გულისაშვილებმაც აიძულეს შაშო, ბარბაქაძეებმაც, დავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაშვილებმაც, ქაჯაიებმაც და ალიევე-ბმაც.

წითელ კვერცხებს, მორჩა, აღარც ძია ამბროსი და ძია არუთინა უგორე-ბდნენ, აღარც დეიდა ნატო და დეიდა ანო.

— აპრუწუწუნ! — ყვიროდა ბოლო-მდე მოშვებულ ონკანთან დოინჯშემო-რტყმული ეზოს რწმუნებული სათიკ მკრტიჩიანი, — აპრაწუწუნ, შაშო!..

სამზარეულოდან შემობრუნებულმა მამამ პირთამდე გალიცლიცებული ბოთლი მაგიდაზე შემოდგა.

— მესამეა?

— მეოთხე.

— ვანოჯან, იცოდე, ბოლოა!

სუფრას ავხედე.

მამა ბეჭებში წახრილი იჯდა. ალა-წოდა შაშოს იდაყვები მაგიდაზე დაე-ბჯინა, გადაჭდობილ ხელებზე ნიკაპი ჩამოედო და ფიქრებში წასულიყო.

გუმანით მივხვდი, ჩვენი ალაწოდა მეზობელი ჯულიაზე ფიქრობდა.

— მაშ, აღარ გინახავს ჯულია, არა რო?

— არა. — მოუჭრა მამამ.

ჯულია ალაწოდა შაშოს მეორე ცო-ლი იყო.

გუშინდელ დღესავით მახსოვს, რო-ცა ალაწოდა შაშომ თავისი ჯულია პი-რველად შემოიყვანა ეზოში, სახტად დარჩენილ მეზობლებს ეს ლამაზ-ლა-მაზი და თვალებბრდღვიალა ახალგაზ-რდა ქალი მისი შორეული ნათესავი ეგონათ.

ეზოში რა დაიმალება? მოდგნენ და-ინტერესებული მეზობლები, მიიძიეს, მოიძიეს, წვრილ-წვრილად მიიკითხეს-მოიკითხეს და მალე მთელმა უბანმა გაიგო, რომ ალაწოდა ოქრომჭედელმა შაშომ ახალგაზრდა მეორე ცოლი მო-იყვანა;

— ცოლია თუ შვილია? — ყასიდად კითხულობდა თალარის საჩრდილობე-ლში მიმჯდარი გაწიწმატებული სოფია იაგორეევნა.

— არც ცოლია, არც შვილია! — იჭაჭებოდა დაფეხვილი [illegible], მე და ჩემმა ღმერთმა, არც ცოლია, არც შვილი.

— ვა, მა ვინ არი?

— შვილიშვილია, სოფი იაგორევ-ნა, შვილიშვილი!

ძია ამბროსი ბოლმას ველარ იოკებ-და. აივლიდა და ჩაივლიდა. აივლიდა და ჩაივლიდა. შეჩერდებოდა თალარ-თან, ჩაიქნევდა ხელს, აიჩეჩავდა მხრებს და დანანებით ჩაილაპარაკებ-და:

— ჰაი, გიდი, თამარ!

— ჰაი, გიდი! — კვერს უკრავდა ძია არუთინა.

— ჰაი გიდი და ჰაი გიდი! — უფრო წიწმატდებოდა საჩრდილობელიდან ფეთიანივით გამოვარდნილი სოფია იაგორეევნა, — საცოდავი თამარა საფ-ლავში არ გაციებულა და ამ უნამუსომ უკვე მეორე ცოლი მოიყვანა!

— რათა უნამუსომ? — ითაფლავდა პირს ენაჭარტალა დარო, — უნამუ-სომ კი არა, უშვილძეო მაიმუნმა, კუ-რტნის ზინტლმა, ქვაწვიამ და ქვახა-რშიამ, აჯილღამ და კურომ, არღნის ჩიტმა და ბაზრის კუკლამ...

— აპრუწუწუნ! — პირველად მაშინ დაიყვირა ბოლომდე მოშვებულ ონ-კანთან დოინჯშემორტყმულმა ეზოს რწმუნებულმა სათიკ მკრტჩიანმა, — აპრუწუწუნ, შაშო!..

მამაჩემს და ალაწოდა შაშოს თან-დათან მოეკიდათ ღვინო. წამოწითლ-დნენ. ანანავდნენ. უფრო და უფრო აუწიეს ჩახრინწებულ ხმას.

ისხდნენ სახელდახელოდ გაშლილ ღარიბულ სუფრასთან. ჭიქას ჭიქას უჯახუნებდნენ. ყვებოდნენ აქეთურს, იქითურს, ძველს, ახალს, ცისა და ბა-რისას.

ერთი პირობა თავთავიანთ საქმე-ებზე ჩამოაგდეს სიტყვა. იდავეს, იკა-მათეს, ილაღავეს, ივიშვიშეს, ივაგლა-ხეს. არც რა გამორჩენიათ გასაკეწ-ლი, არც რა მიუფუჩუჩებიათ შესაქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, არც რა დავიწყებიათ ეს, არც რა მიუყურისძიებიათ ის...

ბოლოს, როცა ლაპარაკით გული მოიოხეს, ისევ მიუჯახუნეს ჭიქას ჭიქა, გადაეხვივნენ, ერთმანეთი გადაკოცნეს და მშრომელი კაცის ალალმართალი მარჯვენის სადღეგრძელო წამოიწყეს.

მამა გრავიორი იყო. ოჯახში სტუმრად მოსული მისი მეგობრებისგან ხშირად გამიგონია მშრომელი კაცის ალალმართალი მარჯვენის ჩვეული სადღეგრძელო.

ისიც მახსოვს, სუფრაზე შემოსწრებულ ალაწოდა შაშოს როგორ შეუქებდნენ ხოლმე ოსტატის მადლიან მარჯვენას ოქრომჭედელი ცაკანა და გრავიორი ლადო, მფერავი აბდულა და მომსევადებელი იოსები, მკუპრავი აკოფა და მეთუნე ოთურა, დაბალი გოგია და ხაბაზი სანდრო, ბაყალი მორდეხა და სირაჯი წამალ-კოლა.

უცნაური მუშაობა იცოდა თურმე ალაწოდა შაშომ. მიჯდებოდა საიუველირო არტელის დარაბებახსნილ სახელოსნოში, ვერსტაგზე მიმაგრებულ ვეებ. ჩაცმულ ტყავს მუხლებზე გადაიფარებდა, წელში მოიხრებოდა, ჩაღუნავდა თავს და აღარც ჭამა ახსოვდა, აღარც სმა, აღარც ძილი და აღარც ჩახრილი მუხლის გაშლა.

აკეთებდა და აკეთებდა ბაჯაღლო ოქროს ოთხმისხლიან საქორწილო ბეჭდებს, უხალო ბრილიანტის ნახევარკარატიან საყურეებს, მოსირმულ ძეწკვებს, მოზარნიშებულ ყელსაბამებს, მოსევადებულ სამაჯურებს, მომცრო გულისქინძისთავებს, ციცქნა შუბლისქინძისთავებს...

აკეთებდა და აკეთებდა ოქროთი და პლატინით, ლალითა და სადაფით, ქარვითა და საფირონით, გიშრითა და ზურმუხტით, ფირუზითა და ალმასით, ბადახშითა და მარგალიტით, ვერცხლითა და მინანქრით მოჩითულ-მოკაზმულ, მოოჭვილ-მოხატულ ათასნაირ პეწიან საიუველირო ნივთებს...

— მოდი, ეხლა მოუსავლეთში წასულების დავლიოთ, არა რო? — წამოიწყო შაშომ.

— დავლიოთ, — დაეთანხმა მამა.

ის-ის იყო ჩამოათავეს მოუსავლეთში წასულების ნათელში ყოფნის სახსენებელი, სასმისებს პურზე წაუქციეს თავი, თითებაფარებულ ჭიქას თითებაფარებული ჭიქა მიაგებეს, რომ ოთახში პიანინოს დაკვრის ხმა შემოიჭრა.

სოფა უკრავდა.

მაღალ-მაღალი, ფაშფაშა, მუდამ კისკისა და ცოტა ცეტი სოფა ჩვენი სახლის პირდაპირ სამსართულიან შენობაში ცხოვრობდა.

კვირაში ორჯერ, ხან სამჯერ, ზუსტად აღარ მახსოვს, კვირაში ზოგჯერ ოთხჯერ, მარტოხელა სოფას ერთოთახიან ბინაში ყოველთვის ლხინი და გაუთავებელი ღრეობა იმართებოდა.

მიუჯდებოდა ხოლმე სოფა თავის დანჯღრეულ პიანინოს. ჯერ, როგორც წესი, ძველებურ ქალაქურ სიმღერებს დაუკრავდა, მერე — ახალს, მერე — ვალსს, მერე — ტანგოს, მერე კი — სევდიან რუსულ რომანსებს.

ბოლოს რომელიღაც მუცელგამტყვრალი მეინახე, როგორც ეტყობა, სკამზე შეხტებოდა, ხელებს მაღლა ასწევდა და მთელი უბნის გასაგონად დასჭექავდა ხოლმე შემაზრზენი ხმით:

— ციგანშჩინა!

პაიდა და პაიდა! წამოვიდოდა და წამოვიდოდა ქრუანტელის მომგვრელი ბოშური სიმღერები.

ბოშურ სიმღერებს ცეკვა მოჰყვებოდა, ცეკვას — ტაში, ტაშს — სიცილი, სიცილს — კისკისი, კისკისს — წივილი, წივილს იატაკზე ფეხების გაუთავებელი ბაგუნ-ბაგუნი.

დომხალივით აირ-დაირეოდა და ერთმანეთში ჩაიხლართებოდა ტანგო და მაზურკა, პოლკა და ჩიჩოტკა, შალახო და კრაკოვიაკი, ვალსი და ბალდადური, რუმბა და ჩარდაში, ფოქსტროტი და კინტაური...

იყო ერთი რია-რია და გნიასი, წივილ-კივილი და სტვენა, გადაძახილ-გადმოძახება და ხორხოცი, სიცილ-ხარხარი და:

— ციგანშჩინა!

ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. მიწყნარდებოდა სოფას რიარია. მყუდროება დაისადგურებდა ჩვენს უბანში. დაისადგურებდა და რიკულებმოყანყალებულ აივანზე ახლა ქადაგადდაცემულივით გადმოდგებოდა დაბანჯგვლული სევანოვი.

დაბალ-დაბალი, მკვრივად შეკრული სევანოვი ჯერ მელოტ თავზე გადაისვამდა ხელს. ჩაახველებდა. ყელს ჩაიწმენდდა. ზეცას ახედავდა და მთელი უბნის გასაგონად დასძახებდა ომახიანი ხმით:

— Большевики на восемь тысяч рублей товар отобрали!..

ასეთი ზნე მოდარიდარალე მარტოხელა სევანოვს თურმე იმის მერე დასჩემდა, როცა თბილისში, მანგლისსა და სურამში ფართლეულის მაღაზიები ჩამოართვეს

სევანოვი ცოტა აფრაკად იყო: წამდაუწუმ ზრდიდა და ზრდიდა ჩამორთმეული ფართლეულის ფასს.

ხუთი ათასი მანეთიდან დაიწყო. უმატა, ზარდა, აბარტყა, მოაჩიტა და ერთ მშვენიერ დღეს ათი ათას მანეთამდე აიყვანა.

— ჯერ სადა ხართ, — ხითხითებდა თვალებმილულული სოფია იაგორევნა, — აბა ნახეთ, სადამდე ავა!

აგიხდათ ყოველი სიკეთე!

მოდგა ერთხელ რიკულებმოყანყალებულ აივანზე დაბანჯგვლული სევანოვი. მელოტ თავზე რამდენჯერმე გადაისვა ხელი. ჩაახველა. ყელი ჩაიწმინდა და მთელი უბნის გასაგონად დასძახა ომახიანი ხმით:

— Большевики на двенадцать тысяч рублей товар отобрали!..

თანდათან მომერია ძილი.

სოფა ტანგოს უკრავდა. „ციგანშჩინამდე“ ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი.

როცა გამეღვიძა, მამაჩემი ჩაფიქრილი იჯდა. ცალი ხელი სკამის ზურგის ძგიდეზე ჩამოედო, მეორე ხელის თითებში ახრჩოლებული პაპიროსი გაეჩარა და ფიქრებში წასული შესცქეროდა ალაწოდა შაშოს.

საათს ავხედე. ისევ გაჩერებულიყო.

ერთი უცნაური ზნე სჭირდა ჩვენ გირებიან საათს. დაბანჯგვლული სევანოვივით მალ-მალე რაღაც აკვიატებული ხუშტური წამოუვლიდა. დაინამუსებდა. მოულოდნელად ატიკტიკდებოდა და ერთ დღე-ღამეში ორი საათი გარბოდა წინ.

მოიოხებდა ვულს. მოიკლავდა ჟინს. ბეკის ჯორივით დადგებოდა და მოგჭამათ ჭირი: აღარც შელოცვა და გამოლოცვა შველოდა, აღარც დაზეთვა, აღარც ხრახნების მიჭერ-მოჭერა და აღარც ძეწკვზე ნახევარკილოგრამიანი გირების ჩამოკიდება-ჩამოკონწიალება...

— მაშ მე ვარ დამნაშავე, არა რო?

— მოულოდნელად ჩამესმა ყურში ჩვენი ალაწოდა მეზობლის უცნაურად დაძაბული ხმა.

— შენა ხარ!

— რატომ?

— ოჯახში არ უნდა შეგეყვანა და იმიტომ.

ალაწოდა შაშომ ხელში შერჩენილი დასორსოლავებული პურის გული იატაკზე მოისროლა. ღვინით სავსე ჭიქა ნელ-ნელა მიდგა წინა და მამაჩემს ჩააშტერდა თვალებში.

— ვანოჯან.

— ა?

— არ შემეძლო... ვაჰმე!.. სხვანაირად არ შემეძლო!

— შენ რა, ბიჭ-ბუჭა ხარ?

— ჯანდაბა და დოზანა ვარ! რა ვიცი, რა ვარ... ჯულიას გარეშე კი არ შემეძლო!

შაშომ მუშტი დაჰკრა მაგიდას.

— შემარცხვინა მაგ სახეძაღლმა! თავი მომჭრა მაგ ღდინძაღლმა! ქუდი მომხადა მაგ ძუძუძაღლმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიცა!

— ეზოში გამამასხარა! უბანში გამამაიმუნა! ქალაქში გამაბითურა! ცხოვრებაში რქა დამადგა!

— მოიცა!

—მოიცა არ უნდა მაგას! ვანოჯან, რაც მქონდა, მაგას შევაჭამე, რაც ვიშოვე, მაგას შევალიე, რაც გადავინახე, მაგას გადავაგე.

— მოიცა-მეთქი!

— ასეთი რამე გაგონილა? უპატრონო და უნათესაო მოვიყვანე... უსახლკარო და უნიფხვო შემოვიყვანე... ეს რა მიყო ამ კახპამ ამან! ჰა?!..

შაშომ ისევ ძალუმად დაჰკრა მუშტი მაგიდას.

— დედას ვუტირებ!

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეხლა სად არი? — ისე, თითქოს სხვათა შორის იკითხა მამაჩემმა.

— პაპაჩემ გიგოლასთან!

შაშომ ასანთს გაჰკრა. ცეცხლი წაუკიდა პაპიროსს და კბილებშუა გამოსცრა:

— სად არის და თხოვდება.

— ვიცი. ენაჭარტალა დარომ წააყრანტალა.

— ისიც იცი, ვიზე თხოვდება?

მამამ უარყოფის ნიშნად გააქნია თავი.

— ტინგიცაზე. ცარიელ-ტარიელ ბიჭზე.

მამამ ახლა კითხვის ნიშნით ახედა ალაწოდა შაშოს.

— ასეა, ვანოჯან, ასე! ძაფი რა არის, ძაფიც არა აქვს თურმე თითზე გადასახვევი.

— მა რა უნდა ჭამონ?

— ეეე! ჭამა რათ უნდათ? — შაშომ პაპიროსი ხელიდან ხელში მოინაცვლა, — ჭამა რათ უნდათ? ჯეელები არიან. ილაღებენ და იღლაბუცებენ, იბღლარძუნებენ და იბუღრავებენ...

— მერე?

— მერე გამაძღარი სიძეკაცი ლიმონივით გამოწურულ უმზითვო პატარძალს უკანალში ლაზათიან ჰიტლაყს ამოარტყავს და ქუჩაში გამოაგდებს. არა რო?

მამა წამოდგა.

— იცოდე, ბოლოა! — მაყრიონივით დაადევნა უკან ალაწოდა შაშომ სამზარეულოსკენ მიმავალ მამაჩემს.

ოთახში სოფას სიმღერა შემოიჭრა.

კარგად მღეროდა ის შეჩვენებული!

მოდიდან გამოსულ, ძველებურ მოყირჭებულ სიმღერას ისე ოსტატურად შაქრავდა, ისე ანელებდა და არაკრაკებდა, ისე სწევდა და აზანზარებდა, — წამდაუწუმ ნეტარების საამო ჟრუანტელი მივლიდა ტანში.

როგორც კი სოფამ სიმღერა დაამთავრა, გულამომჯდარი ზლუქუნი შემომესმა.

ყურები ვცქვიტე. უხმაუროდ შევინაცვლე გვერდი და ოთახის კუთხეში ცერად მიდგმულ მაგიდას გავხედე.

ალაწოდა შაშო ტიროდა.

მაგიდაზე დაყრდნობილ ხელებზე ნიკაპი კი არა — ჩაწითლებული ცხვირის წვერი ჩამოედო. თვალები მოეჭუტა. სახადიანივით ცახცახებდა და გულამომჯდარი ზლუქუნებდა.

როცა აივანზე მამას ფეხის ხმა გაისმა, შაშო დაფაცურდა. სწრაფად შეიმშრალა ცრემლები. შუბლზე დალალ-დალალად ჩამოშლილი ხვეული თმა შეისწორა. გაშლილ ხელისგულს ტკაცანით დაჰკრა დაძაგრული მუშტი, დაიხარა და მწვანილს დაუწყო ჭამა.

ოთახში შემოსულ მამას შაშომ თვალი აარიდა. წამოდგა. აცაბაცა ნაბიჯებით რამდენჯერმე უსიტყვოდ გაიარ-გამოიარა ოთახში. გაშლილ ხელისგულს ისევ ტკაცანით დაჰკრა დაძაგრული მუშტი და მაგიდას მიუჯდა.

— ვანოჯან.

— ა?

— ჯეელობა და სილამაზე ჩიტივით წავა და გაფრინდება, არა რო?

— ჩიტივით წავა და გაფრინდება.

— სიყვარულს თავისი საფანელი უნდა ჰქონდეს, არა რო?

— უნდა ჰქონდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოდა, როცა ყველაფერი მიეთ-მოეთივით წავა და გაფრინდება, ცარიელ-ტარიელ ბიჭს ცარიელ-ტარიელი ჭულია რაღაში დასჭირდება?

ჩაფიქრებულმა მამამ ქეჩო მოიქექა.

—ზეინაბი გახსოვს?

— აბა, ზეინაბი? — ჩაეძია შაშო.

— ბოზანდარა ზეინაბი. წინ-წინ რო დარბოდა. იმრუშა, იკახპავა და ბოლოს ისეთი ტკბილი ოჯახი შექმნა, მტერს თვალები დაუყენა.

— მახსოვს.

— ისიც გახსოვს, აქაოდა მოვიშორეთო, გახარებულმა მეზობლებმა ტაშ-ფანდურითა და ცეკვა-სიმღერით რომ გააცილეს ხარფუხში გათხოვებული ზეინაბი?

— ეგეც მახსოვს.

— ისა, ყამითა და ბეჩოთი გაწყობილი ზურნა-დუდუკი დაკვრა-დაკვრით რომ მიუძღვებოდა ზეინაბის მზითვებით დაზურგულ ქურტნიან მუშებს?

შაშომ გადაიხარხარა.

— ეგ კი არა, ისიც მახსოვს, შეითან ბაზარში დაქირავებული ბაბალაშვილების მედუდუკეთა დასტა ბოზანდარა ზეინაბს წამდაუწუმ შიქასტებს რომ უმღეროდა.

— თასნაფებს?

— თასნაფებს და მუღამათებს!

— მასრაფებს?

— მასრაფებს და ბაიათებს!

ახლა მამამ გადაიხარხარა.

— შაშოჯან, როგორ იყო, ქურტნიან მუშებს ხარფუხის აღმართზე ზეინაბის სამზითვო მაფრაშა და წითელი ხის კამოდი რო დაუვარდათ ძირს?

— დაუვარდათ. მოკირწყლულ ქუჩას ფერად-ფერადი ყვავილებივით მოედო და მოეფინა ზეინაბის პოლსაპოშკები და ყურთმაჯიანი კაბები, ფილტიკოზის ჩულქები და აბრეშუმის ქვედა საცვლები...

— ქირმანშალის ქალაღაიები და ყალამქარიანი მოსახვევები...

— ყურთუკიანი მუთაქები, ოქროსყაითნიანი ბალიშები, [illegible] ჩიხტიკოპები...

— ტიკინური ხალიჩები და ხევსურული ფარდაგები...

— კამოდიდან გადმოყრილი დახალული ნუღლი და დაუხალავი ფალუსტაკი, შაქარ-ნაბათი და ლახათ-ლუხუმი, ლაბლაბო და იაღლი...

დიდხანს იხარხარეს მამამ და ალაწოდა შაშომ. ბოლოს მამამ ღვინით სავსე ჭიქას წამოავლო ხელი. ულვაშზე გაწკეპილი თითი გადაისვა და ღიღინ-ღიღინით ამოარაკრაკა:

— მოდი, ეხლა დამწვარ-დადაგულების დავლიოთ.

შაშო სდუმდა.

— არ დავლიოთ?—მამამ გაოცებით ახედა მოღუშულ შაშოს.

სადღა იყო წელანდელი ხალისი. მამა გასუსული იჯდა. აღერილი შაშო პურის გუნდას ასორსოლავებდა და გამმაგებული ბურდღუნებდა რაღაცას.

ბოლოს წამოდგა. წელანდელზე უფრო აცა-ბაცა ნაბიჯებით რამდენჯერმე აიარ-ჩაიარა ოთახში და მამას წინ შეჩერდა.

— უნდა მოვკლა!

მამა სკამიდან წამოდგა.

— გაგიჟდი?!

— დღესვე უნდა მოვკლა!

— შენ რა, ხათაბალაში გინდა ჩაიგდო თავი?

თვალებჩაწითლებულ შაშოს აღარაფერი ესმოდა.

— ყელი უნდა გამოვღადრო!

— მოიცა, ნუ ყვირიხარ.

— ამ წუთისოფელში ცუდი არავისთვის გამიკეთებია... ჩემს გამაიმუნებას არ შევარჩენ!

— მეზობლების მაინც მოგერიდოს.

— გაიგონ!... ყველამ გაიგოს!... სანადირო დანით უნდა გამოვღადრო ყელი მაგ კახპას!.. სანადირო დანით! ყველამ გაიგოს! უნდა მოვკლა!..

არეულ-დარეულ ოთახში ჯერ ნამძინარევი ძია არუთინა შემოვარდა, მერე გაოგნებული ძია ამბროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის-ის იყო, გავეშებული ალაწოდა შაშო აივანზე უნდა გაეყვანათ, რომ გამოღებულ სარკმელში ენაჭარტალა დარომ და დაფეხვილმა მინადორამ გვრიტებივით გადმოყვეს თავები.

მთელი ეზო აიშალა.

საწოლებიდან წამოცვენილი ქალი და კაცი ფუტკრებივით დაეხვივნენ ალაწოდა შაშოს. ეფერებოდნენ და აშოშმინებდნენ. ეხვეწებოდნენ და ჰკოცნიდნენ. ბოლოს, როცა ველარაფერი გააწყეს, დევივით ბრგე ალაწოდა შაშო ილაჯგაწყვეტილმა მეზობლებმა კოჰწია ქალწულივით გოგმან-გოგმანით აიტაცეს ხელში და ციმციმით გააქანეს თავის პატარა ოთახში...

ამ ამბის შემდეგ ორი კვირა არც იყო გასული, როცა მამამ და მე ნაოპერაციები დედა საავადმყოფოდან შინ წამოვიყვანეთ.

დედა ჯერ კიდევ სუსტად გრძნობდა თავს. გაგანია სიცხეში შალით წელშეხვეული ფაიტონის თქარა-თქურით მოვაგრიალეთ შინ.

— რა არის ახალი ჩვენს უბანში? — არეულ-დარეულ ოთახში შემოსვლისთანავე იკითხა დედამ და კუთხეში მიდგმულ სკამზე ჩამოჯდა.

რა უნდა ყოფილიყო? ორი კვირა ისეთი რა დიდი დროა, რომ ალაწოდა შაშოს ორომტრიალის შემდეგ ჩვენს პატარა უბანში სხვა ახალ-ახალი ამბები მომხდარიყო?

ის კია: გასულ ხუთშაბათს ფაშფაშა და ცოტა ცეტმა სოფამ თავისი დანჯღრეული პიანინო გაყიდა, ვიღაც ხეიბარ ბეითალს ცოლად გაჰყვა და დღესაც არ ვიცი, კრასნოდარში თუ კრასნოიარსკში გადავიდა საცხოვრებლად.

სხვა? სხვა ახალი ამბავი ის გახლდათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაბანჯგვლული სევანოვი ისევ მოადგა თავის რიკულებმოყანყალებულ აივანზე. მელოტ თავზე გადაისვა ხელი. ჩაახველა. ყელი ჩაიკოკლოზინა და მთელი უბნის გასაგებად ისევ დასძახა ომახიანი ხმით:

— Большевики на двадцать тысяч рублей товар отобрали!..

— სულ ეს არის ახალი ამბები? — იკითხა დედამ.

— სულ ეს გახლავს. — ჩვეული ღიმილით მიაგება გაბადრულმა მამაჩემმა.

დედა თანდათან მომჯობინდა. რამდენიმე დღის შემდეგ წვრილ-წვრილ საოჯახო საქმეებსაც გაართვა თავი და ერთი-ორჯერ ლოტოც წაითამაშა.

იმ დღესაც თალარის საჩრდილობელში მიმსხდარი მეზობლები ლოტოს თამაშობდნენ, როცა ახლად მორწყულ ეზოში ქოშინ-ქოშინით შემოვარდა გახვითქული სოფია იაგორევნა.

— რა მოხდა? — მაშინვე დააჭყიტა თვალები დაცქვეტილმა ენაჭარტალა დარომ.

— ჯულია გათხოვდა!

ჯულია გათხოვდაო, თალარის საჩრდილობელიდან წამოშლილი მეზობლები გნიას-გნიასით შემოეხვივნენ გარშემო თვალებმილულულ სოფია იაგორევნას.

— გათხოვდა და მზითვებიც წაიღო თან!

— რაო? — ახტა და დახტა, შეხტა და შემოტრიალდა მორბედი ბიჭივით აცუნდრუკებული ენაჭარტალა დარო. — რა მზითვები წაიღო თან?

— რა და, — სოფია იაგორევნამ ნეკათითი მოკეცა, — დაძეძგვილი მაფრაშა. შენ ხარ ჩემი ბატონი.

— კიდევ? — ველარ ისვენებდა სატლიკინოდ სალერლელაშლილი ენაჭარტალა დარო.

— წითელი ხის კამოდი. — ახლა არათითი მოკეცა სოფია იაგორევნამ.

— მეტი არაფერი? — სასოებით ამოიღნავლა კისერწაგრძელებულმა კაფანდარა შინაბერა სუსანამ.

— ფრაჟის საწოლები. — ნეკა და არათითს შუა და საჩვენებელი თითებიც მიაკეცა სოფია იაგორევნამ, — ერთი ტახტი, ორი ბალიში, ერთი სამოვარი, ორ-ორი საბანი და მუთაქა. შენ ხარ ჩემი ბატონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საკუთარი თვალით ნახე? — მშვიდად იკითხა დეიდა ნატომ.

— აბა რა! — სოფია იაგორევნამ ეზოს რწმუნებულის წახედულებით ცალი ფეხი წინ წადგა, ყირყიზა ყელი მოიღერა და ორივე ხელით დოინჯი შემოირტყა წელზე, — ეგ კი არა, ისიც ვნახე, შეითან ბაზარში დაქირავებული ბაბალაშვილების დასტა დაკვრა-დაკვრით რომ მიუძღვებოდა კუსპეიკა ჯულიას მზითვებს.

— დიდება შენდა, ღმერთო! — სამჯერ ზედიზედ გადაიწერა პირჯვარი გაყეყეჩებულმა ენაჭარტალა დარომ, — ცარიელ-ტარიელ ჯულიას ამდენი შემწეობა ვინ მისცა?

— მე რა ვიცი, ვინ მისცა! — მხრები აწურა სოფია იაგორევნამ, — მე კი არა, თვითონ ჯულიამაც არ იცის, ვინ მისცა!

სოფია იაგორევნამ ხელის აწევით შეაჩერა აყაყანებული მეზობლები.

— არ იცის! მამაზეციერს გეფიცებით, არ იცის!.. თვითონ ჯულიამ მითხრა: ამდენი მზითვები საიდან დამეცა თავზე, წარმოდგენა არა მაქვსო!.. შენ ხარ ჩემი ბატონი.

— უყურე შენ!

— გასაოცარია!

— იქნებ მოგატყუა?!

— ზოგს რა ბედი აქვს!

— შეიძლება, ძველმა საყვარელმა გაუგზავნა!

— აუ!

ბოლომდე მოშვებულ ონკანთან დოინჯშემორტყმულმა ეზოს რწმუნებულმა სათიკ მკრტიჩიანმა ორი სიტყვით შეკრა და შეაჯამა მეზობლების ვარაუდები:

— ზუხტმუტიკარა, ჯულია!

ლოტო ვილას ახსოვდა.

ისხდნენ თალარის საჩრდილობელში საგონებელში ჩავარდნილი მეზობლები. ბჭობდნენ, კამათობდნენ, ზომავდნენ, წონიდნენ, ლობე-ყორეს ედებოდნენ.

კარგად იყო შებინდებული, როცა ეზოში ბანცალ-ბანცალით შემოაბოტა გალეშილმა ალაწოდა შაშომ.

თალარის წინ გავლისას თავდახრილი შაშო ქუდის მოხდითა და ორთავე ხელის აწევით მიესალმა მეზობლებს.

და მაშინ, როცა წვალებ-წვალებით შეაღო თავისი პატარა ოთახის კარი, მთელმა ეზომ მკაფიოდ გაიგო ალაწოდა შაშოს ბუხუნა ხმით ნათქვამი სიტყვები:

— მოვკლავ!.. სულ ერთია, ბოლოს მაინც მოვკლავ!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

## სიზმრებში ზრდა

საზარელ სიზმრებში გვაწრიალებს
და გვზარავს მეოცე ასწლეული,
გარეთ კი ზარივით დაწკრიალებს
ბავშვობა — სკოლისკენ გაქცეული.

ო, ღმერთო, ისინი დაიფარე,
იხსენი საშინელ სიზმრებიდან,
რომლებიც სიზმრებში დაფრინავენ
და მზიურ სიზმრებში იზრდებიან.

## მ ი ვ ა ლ...

—ძმებო, შვილიშვილებს მიპატრონეთ,—
დაუბარებია ბაბუაჩემს, —
მიწის ანაბარა მიმატოვეთ,
ჩემი ნაშიერი ალმომაჩენს...
მაგრამ უდროობა ქესატობას
ისე გადაება სიბერემდის, —

მარტო უღიმღამო შესანდობარს
ვამბობ დაკარგული იმედების.
მალე ავყვავდები ია-ვარდად
ათას დარდუბალაგადახდილი
და ჩემს მივიწყებულ წინაპართან
მივალ საკუთარი ბალდახინით.

## გადაბელვა

ვეება ჭადარი გვიჩრდილავდა
რუსთველის პროსპექტზე გადასასვლელს;
სიბერის კარამდე იშრიალა
და მერე ქოჩორი გადაპარსეს...
მოკვეთეს, მოხერხეს, გადაბელეს,
მოსხიპეს ტოტები გაბარდული,
ტიტველი წარუდგა ქალაქელებს
ელექტროსვეტივით გარანდული...
მას აღარც ჩიტები ესევიან
და წამით არ უნდა დავიწყება,
რომ ძველი, ბებერი ფესვებიდან
ახალი სიცოცხლე დაიწყება.

ბიბლიოთეკა

## ბზარი

„სიბერევ, სადა ხარ? უშენოდ ვბერდები.

**გიომ ხაგანელი**

თვალში გაებზარა ბროლი
და სიბერე ვერ ნახა,
როგორც იანვარმა — თოვლი,
როგორც რთველი — ვენახმა.
და ეს ერთადერთი ბწკარი
დარჩა ორად გაყოფილს,
როგორც უსაშველო ბზარი
ქვეყნად ყოფნა-არყოფნის:
„სიბერევ, სადა ხარ? უშენოდ
ვბერდები!“

## სამაგიერო

**ბალადა-ეპიტაფია**

ციხისთავის ბრძანებით
ტყვეებს სამ დღეს ვდარაჯობდი,
იყვნენ, თურმე, ძაღლები
ბნელ ხაროში ჩასახრჩობი.
ჩემი ქვეყნის ამკლებნი —
შემეცოდნენ ტუსაღები
და მამღვრევდა ნაღველით
მათი კვნესა ყურწამღები.
ღრმა და უკუნ ხაროში
სამი სურა წყაროს წყალი
თოკით როცა ჩავუშვი,
დამილოცეს მკვდარ-ცოცხალი.
იყვნენ, თურმე, ძაღლები
ჩემის ხელით დასახრჩობი...

ციხის თავის ბრძანებით
ტყვეებს სამ დღეს ვდარაჯობდი.
ჩავაწოდე სამთავეს
დედაპური დაბრაწული,
სამივ კაცად ჩავთვალე,
დავაპურე, დავარწყულე.
ვთქვი: — დანაყრდნენ, მადლია...
და უძილოს, ღამენათევს
ზეზეურად წათვლიმა,
ველარ მოვკარ თვალი ნათელს.
მათ გამგუდეს იმ თოკით,
რითაც ვაწოდებდი სარჩოს.
სიკეთეზე მონდობილს,
დამხრჩვალს ეხლა დარდი მახრჩობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარი აბრამიშვილი

## ერთი ქუდი

მე ვერ ვიტყვი:
აჭარა თუ გურია,
მე ვერ გავყოფ:
კახეთი და რაჭა,
ბარი მთაზე
იაე გადაბმულია.
ბზარი რაა —
ერთი ბზარიც არ ჩანს.
სადაც წაველ —
ყველგან გაზაფხულია.
თოვლი მხოლოდ
მყინვარწვერზე დარჩა;
ყველგან ჰყვავის
საქართველო სრულიად.
ყველგან ფეთქავს
ერთი დიდი მაჯა.
სვანურია ის თუ
აფხაზურია —
სიახლე ბორგავს
ადუღებულ მაჭრად,
ყველგან ჩემი დედის
ცხელი გულია —
ღმერთმა ნუ ჰქნას
ნაწილ-ნაწილ დაჭრა.
ვის რას ეკითხავ —
ქუდი სადაურია
(როცა ძველის მოგონებაც მტანჯავს),
როცა ყველას ერთი ცა გვახურია —
ვარსკვლავებით მოოჭვილი ფარჩა.
ყვირილაა, თუ შმაგი ენგურია —
სამშობლოსთვის
მათაც შვენით გაოჯა.
ბნელს თუ უბღვერს,
განა სისხლი სწყურია
მტკვარს
თბილისის
მოლაპლაპე ხანჯალს.

წარსული,
აწმყო
და მომავალი
ერთი სიახლეა,
ერთი ნერვები, —
ვით პაპა, მამა
და შვილიშვილი,
ერთ სახლს აგებენ
ბედნიერების.

წარსული,
აწმყო
და მომავალი
ერთი გულია
მძლედ ნაძგერობი. —
შესჭიხვინებენ ერთურთს შორიდან
ყალყზე შემდგარი
დროის მერნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთები

შეხედე ამ მთებს!
შვენით ცად
აწვდილთ
ხან მოფერება,
ხან განრისხება, —
ამ მაღალ მთებში
ქართველი კაცის
მაღალი სული იგულისხმება.
შეხედე ამ მთებს —
მაღალ სიმღერას,
მთებს —
საქართველოს ავლადიდებას,
ხურჯინივით რომ არ აიღება
და სხვის მხარზე არ გადაიდება.
შეხედე ამ მთებს —
ჭაღარის ვერცხლით
მოხუცი მამა წინ დაგიდგება,
მის ჭაღარა თავს
მხოლოდ მზის ცეცხლი,
მხოლოდ მზის ცეცხლი
წაეკიდება.

* * *

მე დამავიწყდა —
რა ფერი აქვს
ან და რა გემო,
ან თუ რა სურნელს აკმევს
სიხარული.
შენ, ჰეი! მანდ რომ
ბრძენის სახით
დაბრძანებულხარ
და ზედ აზიხარ
სიხარულის ზვინს,
ერთი წუთით ადექი,
ვნახოთ,
მანდ ხომ არ არის ის —
ჩემი წილიც?

## სამკაული

სხვით —
შენ ვერაფრით
იამაყებდი,
იყავ ოცნებით ნასაზრდოები,
იბრძოდი ბლაგვი
იარაღებით:
სიკეთით,
რიდით
და სათნოებით.
მზეზე ბრწყინავდნენ
მშრელი ცელები,
რათა გქონოდა შიში
ულევად, —
მორცხვი ღიმილი,
წრფელი ცრემლები —
აი, რა გესხა
სამკაულებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .

ერთ სუფრაზე
    აუგი თქვა ვიღაცამ
კაცზე, ღმერთად მესახება
    რომელიც;
თითქოს წმინდა ტაძარი
    გამიძარცვეს,
თითქოს ბილწად შემიგინეს
    მშობელი.
გული ყელში მომებჯინა,
    გავხევდი,
ხმა ვერ დავძარ — მთვრალი იყო
    მგმობელი,
შური იყო მისი გულის
    დამხვრელი,
ღვარძლი იყო
    მისი დამათრობელი.

## გული

როგორ უყვარდა,
როგორ კეთილად,
როგორ შვენოდა ცეცხლი
    გურგურა,
როგორ ჩამწვარა და
    ჩაფერფლილა,
გადაბუგულა და
    გაქურდულა;
როგორ გამტყდარა ოქროს
    გალია
და გაფრენილა
    ჩიტი ქლურტულა.

—•—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ კაპანაძე

# თ ა ვ ბ ე რ ა

რომანი

## ნაწილი III

## ნიჩაფას წყალი

1.

რამდენი წლის იყო?... აღარ ახსოვდა. დიდი ხანია წლებმა დაჰკარგეს ფრთები და საიდუმლოება. ამინდსაც აღარ აქცევდა მაინცდამაინც ყურადღებას. მხოლოდ წვიმები აწუხებდა ხოლმე — ეზოში გასვლისას ტლაპოში ეფლობოდა და ზოგჯერ ტომრის წამოფარება ავიწყდებოდა. ავდარში მეზობლებიც აღარ აკითხავდნენ. თანდათან იფარგლებოდა, ვიწროვდებოდა ანტიოფეს სამყარო. მთვარე, ღელე, წაბლის ხეები, ომბალო, ციცინათელები, სასწაულები იქით დარჩნენ, გაღმა, უცხოეთში, სამუდამო მხარეში. მიქელგაბრიელი ყურს უკან ედგა, კვირია თვალს არიდებდა. მჭადს დღეგამოშვებით აცხობდა და დერგში ოთხი თუ ხუთი თავი ყველი ეწყო. ცოტაოდენი ლობიო, კარტოფილი, ნიორი, ბროწეული, კვერცხი... ჰყოფნიდა, არ წუწუნებდა და ზოგჯერ მხოლოდ ცივი წყალი ენატრებოდა ზაფხულობით. აღარაფერი არ დარჩენოდა — არც წარსული, არც მომავალი, გარდა ერთი ეშმაკობისა, ერთი ხერხისა — თუნგულა ცივი წყლის, „საოტკე" წყაროს წყლის როგორმე მოპოვებისა, ხელში ჩაგდებისა. ექვსი ქალ-ვაჟი ჰყავდა. მათგან ხუთი მოუკვდა და დარჩა ერთი — ქალალთვალება ამბროსი. ამბროსი საჩხერეში ცხოვრობდა და თვეში ერთხელ ან ორჯერ აკითხავდა მოხუც დედას.

ანტიოფემ მონდომებით დატენა ჩიბუხი, შემდეგ რამდენჯერმე გაჰკრა ტალი კვესს და, როგორც იქნა, ცეცხლი მოუკიდა თუთუნს.

მის პირდაპირ ცხრა-ათი წლის ბიჭი იჯდა ბალახზე. ჯუმბერა თვალს არ აშორებდა მოხუცს. ამ დროს მისი გული და სულ პატარა ტვინი დედაბრის ტყვე იყო. მოჯადოებული შესცქეროდა ანტიოფეს ყალიონს. მან ჯერ არ იცოდა, რომ წუთისყოფის მოთხოვნილება — საშინელებაა, რომ იგი ყველას აცლის ფეხქვეშ ნიადაგს — ლიფსიტასა თუ ზვიგენს, მამლაყინწასა თუ დადინჯებულ მამალს — და ტოვებს ჰაერში სასაცილოდ ჩამოკიდებულს, თუ კი წადილს დროზე ვერ აიხდენს.

— როგორი თუთუნია? — იკითხა ჯუმბერამ.

— ჩინებული.

დასასრული. იხ. „მნათობი", № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ გამოგიგზავნა?

— სავლემ.

— დუშაში მოგსვლია.

სავლე, ანტიოფეს ძმისწული, თბილისში ცხოვრობდა. თბილისი ჯუმბერას წარმოდგენით ან მთვარეზე იყო ან შორაპანის იქით. იმ სიშორიდან კი ვინ გამოგზავნიდა ცუდ თუთუნს. არ უნდა გამოეხედა აქეთკენ, პირდაპირ წყაროზე უნდა წასულიყო.

— რაღაცა მბურძგლავს, ანტიოფე... რა მოუხდებოდა, თუ იცი?

— ჭინკობისთვეში ხარ დაბადებული? — ანტიოფემ მოქაჩა და გააბოლა.

— მომაწევინე ცოტა.

— სულს ვერ წავიწყმედ.

— გაზეთის ნაგლეჯში გამიხვიე პაწია.

— ბალანა ხარ, თვალებზე ლიბრი გაქვს გადაკრული. არ შეიძლება, თორემ ხომ იცი, შენთვის არაფერი მენანება.

— მახალა მოგიკრიფავ, ბებია!

„თავით მარილი რო დოუნაყო, მაინც ვერ დაინახავს“.

— მახალს სავლეს ვუნახავ.

— არ ჩამოვა, შარშანდელივით ჩამოგილპება... კალინკასაგან გამიგონია — ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევსო.

ანტიოფემ კოპები შეიკრა.

—შე მოკლეკოჭა, კალინკა ელეშუტაა... ლევანტიას უნახავს ქალაქში სავლე, აუცილებლად ჩამოვალო ზაფხულშიო.

— აბა, შენ იცი. უცადე.

ბიჭი ვერასგზით ვერ წყვეტდა თვალს ჩიბუხიდან ამომავალ მიმზიდველ კვამლს. გაგანია თოვლიან ზამთარში ბუხრიდან ამოფრენილ კვამლს აგონებდა.

— ინჩე რას შვება. ბიჭო?

— ინჩე რა ხანია მოკვდა. შემოდგომაზე დავასაფლავეთ.

იმ საიდუმლოებას, რომელსაც ცხოვრების წლები ეწოდება, უწინ ანტიოფე კანტიკუნტად იცნობდა. [illegible]აულ არ ჰქონდა წარმოდგენა, საბოლოოდ დაიბნა. ინჩეს სიკვდილი არ გაკვირვებია. მას სხვა აოცებდა.

გათხოვებამდე ექში ცხოვრობდა. სოფლის მღვდელს გაჰყვა ცოლად და ნიჩაფაში გადმოვიდა საცხოვრებლად. დაღამებამდე ან ბოსტანში ფუსფუსობდა ან ეზოში, ან ორღობეში გარბოდა ან კარის მეზობელს წყევლიდა, დაბადა ექვსი შვილი. მათგან ხუთი დამარხა, ორჯერ თბილისშიც კი ესტუმრა სავლეს. და ახლა მაინც ყოველდღე ცივ წყალზე, „სოტკე“ წყაროს ერთი თუნგულა წყლის მოპოებაზე უნდა ეფიქრა.

ჯუმბერმაც იცოდა. რა აწუხებდა ანტიოფეს. წყლის სანაცვლოდ შეიძლება თუთუნიც მიეღო. ესეც იცოდა. მაგრამ ჯერ ჩაფით წყალი უნდა აეტანა სახლში. ზეცას შეხედა.

— კურკუმელა ღამე დადგება, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ.

— რაზე ატყობ?

— ორ ქორს ვხედავ ძალზე მაღლა... მომაწევინე, ბებია, — ისევ გადააგდო ანკესი.

— რა მკვდრის სულივით შემომტრიალებ, ბიჭო.

მაშინ ჯუმბერა ადგა. უკან შარვალი დაიფერთხა და ჩაფს დაწვდა.

— როდის გამოივლი?

— ვნახოთ, — თქვა და ჭიშკრისკენ გასწია. ალუბლის ხესთან შედგა და შემოტრიალდა, — კაი, გამოგივლი და მერე მოვილაპარაკოთ.

დაუყვა ორღობეს ჯუმბერა.

ნიჩაფას დასაწყისი არა აქვს. მარად იყო მისი არსებობის იდეა. ეს ქალაქები შენდებიან და ინგრევიან. ნიჩაფა კი იყო მიწყივ და დარჩება — თავისი საქორიათი და შავმორევათი, ატრაოზებითა და ექიმბაშებით, თავისი გულუბრყვილო ნიჩაფელებითა და გიორგის საშინელი მოზვერითა.

ორღობეში გიორგის მოზვერი მოიზლაზნებოდა. ჯუმბერამ სუნგალს გაჰკრა. თვალები გაუფართოვდა და ყურე-

ბი დაუგრიელდა. მაგრამ ვიდრე მუხლები აუკანკალდებოდა, სწრაფად ჩამოაცვა სარზე ყურით ჩაფი და კოპიტზე ავარდა. ერთხელ ნიშანსვეტთან სიმონიკამ ჯუმბერას უთხრა, რომ შიშს ვერაფრით ვერ მოკლავო. ვერც ლენტორას ორლულიანი თოფითო, ჰკითხა მაშინ ჯუმბერამ. ვერც თოფითო, რადგან სად დაუმიზნებო — არც გული აქვა, არც თავიო. ახლა, როდესაც მოზვერს უყურებდა, რაღაც ეჭვი შეეპარა სიმონიკას სიმართლეში.

როდესაც ხიდან ჩამოცოცდა, ცარიელი ჩაფი იქვე შემოიდგა მხარზე და ღიღინით დაუყვა გზას.

წყაროზე ჩაფი აავსო და უკან გამობრუნდა. კოპიტთან, იმ ხესთან, წელან გასაჭირს რომ დააღწია თავი, დაბასკული გურამა შემოხვდა, მეცხრე კლასის მოწაფე.

— ბიჭო, რამე არ გაგვარდეს, — უთხრა მან ჯუმბერს.

— არხეინად იყავი და ბევრს ნუ ბჟუტურობ.

გურამა შედგა.

— დაძნეყვა ხომ არ მოგენატრა?.. გინდა მოგდებ ქეჩოში?

ჯუმბერა ქვემოდან შეცქეროდა. გურამამ პანღური უთავაზა და გზა განაგრძო.

რას იზამ, უნდა მოითმინო, შეიძლება გურამაც ბზიკნაკბენია, შეიძლება მასაც შემოხვდა ზემოთ გიორგის მოზვერი და ბიჭს თავზარი დასცა. ჯავრი კი მასზე იყარა. ამ ფიქრებით დამძიმებულმა ჯუმბერმა გზის გაგრძელება გადაწყვიტა. მძიმედ შემოტრიალდა. თავი ოდნავ მაღლა ასწია და წინ გაიხედა. ცხვირწინ მოზვერი იდგა. ნაღვლიანი დიდრონი თვალებით უყურებდა. ჯუმბერამ ჩაფს ხელი გაუშვა. ჩაფი მიწამ მიიზიდა და ლაყე კვერცხივით გასკდა. მოზვერი წაძუნძულდა. ჯუმბერა შუა გზაში ჩაჯდა.

ერთი ამ ქვეყნად იმისთვის მოდის, ზღვა რომ იხილოს, მეორეს დაბადებისთანავე მიართმევენ ხოლმე ყველაფერს — სახლს, აგარაკს, განათლებას, თავხედურ გამოხედვას, მესამე — სხვების მოსატყუებლად არის გამოგზავნილი, ზოგიერთი კი — ჭიტლაყების მისაღებად და თავში ხელწამოსარტყამად არის გაჩენილი. როდესაც ჯუმბერა მიხვდა, რომ შინ ალიყური არ აცდებოდა, ერთი მაგრად დაიყვირა:

— ვაი, დედაჩემის ჩაფო!

ანტიოფემ ყალიონი ჩააქრო, ქისაში ჩადო და ქვედატანის ჯიბეში შეინახა. წელან იცრუა, სავლეს არაფერიც არ გამოუგზავნია. ამიტომ უნდა გამოეზოგა თუთუნი. იქვე ამბროსის თუ მოაგონდებოდა დედაბერი. სავლე კი თითქმის წელიწადი იყო, რაც დუმდა.

ანტიოფე წელში მოხრილი აუყვა აივნის კიბეს, ზალაში შევიდა, გადმობრუნებული გობი ასწია და მჭადის ნატეხი გამოიღო. შემდეგ ყველი მოიტეხა, პრასზე მარილი მოაყარა და მონგრეული ყბები მძიმედ აამუშავა. ჭამდა და ფიქრობდა, რომ გაზაფხული და ზაფხული მაინც ჯობდა ზამთარს. ზამთარში შეშის, ბუხრის ანთების პრობლემა ჩნდებოდა დამატებით. ხის სახლში, რომლის კედლები ბამბითა და გაყვითლებული გაზეთის ფურცლებით იყო ამოგმანული, ზოგჯერ საშინელი სიცივე იპარებოდა. ზამთარში ღამეც გულისგამაწვრილებლად გრძელი იყო. ზოგჯერ აჩრდილებიც აკითხავდნენ, შორეული, კეთილი, წასული სულები. მაშინ პირჯვარს იწერდა და თვალს არ აშორებდა სარკმელს, სადაც განთიადის სხივი უნდა აციმციმებულიყო ადრე თუ გვიან.

შეუცნობლად მიხვდა, რაც აწუხებდა და კიდევ უფრო მეტი მარილი მოაყარა პრასს. პატარა ბავშვივით იქცეოდა, იმ უგუნურ ადამიანივით, რომელიც საკუთარ სახლს ცეცხლს უკიდებს ხოლმე. უსაშველოდ მიიზიდა „საოტკე“ წყაროს წყალმა, ყველა სასმელზე მეტად სასიამოვნომ, ზამთარში — თბილმა, ზაფხულში — ცივმა. წყალმა, რომლის საშუალებით ქვეყანაზე ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზე საუკეთესო არაყი — „ოტკა“ იხდებოდა. ასკილი რომ თავს დაიქნევს, ის დრო დამდგარიყო ანტიოფესთვის.

თვალწინ დაუდგა წყარო—გვერდამომტვრეული ჭური და პატარა ნახვრეტიდან ფრთხილად მოჩუხჩუხე ანკარა წყალი. ანტიოფე ნათლად ხედავდა, საით მიედინებოდა წყალი, სად მიუხვევდა, სად იკარგებოდა, სად ამოჰყოფდა ისევ თავს და სად კვდებოდა საბოლოოდ. პატარა ნაკადული ყოველთვის მდინარისკენ მიისწრაფვის. ის კი თავის მხრივ — თავის დასასრულისაკენ. იბადებიან და კვდებიან, ცოცხლობენ და ჰქრებიან, ისევე როგორც ადამიანები. ნაკადულები — წუთებია, მდინარეები — დღეები, ზღვა — წლები და საუკუნეები. ანტიოფე, „საოტკე“ წყარო, ყვირილა, რიონი, შავი ზღვა — გაუთავებელი სრბოლაა, გაუთავებელი სიკვდილი და დაბადებაა.

როგორ მოენატრა ცივი წყალი! ვის შეეძლო მეზობლებიდან გამოევლო? მაგრამ არა, თანასოფლელს თუნგულა წყლის ამოტანას არ თხოვს, ყველას თავისი საზრუნავი აქვს. ანტიოფესთან კი დასასვენებლად მოდიოდნენ. თუ კი შეაწუხებ, შენს პატარა გაჭირვებას მოახვევ თავზე, მეორედ აღარ გაგეკარება. ვერ გაამტყუნებდა ნიჩაფელებს, ვერც მოატყუებდა. მხოლოდ ბავშვების შეცდენა შეეძლო, ჯერ მხოლოდ ჯუმბერას გაცურებას ახერხებდა, ისიც ზოგჯერ.

ეზოში ჯუმბერა შემოვიდა.

— ანტიოფე ბებია! — დაიძახა მან.

ანტიოფემ ვერ გაიგონა. ჭამდა და იატაკს დასცქეროდა. დიდხანს ყვიროდა ჯუმბერა. როდესაც ჭამას მორჩა, ანტიოფე აივანზე გავიდა და მაშინ შეამჩნია პატარა ბიჭიც.

— რა ამბავია?

— ვაი, დედაჩემის ჩაფი, — თავში შემოიკრა ჯუმბერამ ხელი.

— უბედურება შეგემთხვა?

— რა მეშველება ახლა?... ვაი, დედაჩემის ჩაფი... ვაი, დედაჩემის ჩაფი.

— მწყერები ააფრინე, ბიჭო? [illegible]ყა ხომ არ ჭამე წყაროზე?... წესიერად გამაგებიე რა მოხდა.

— ვაი, საბრალო ჩემო თაო... ანტიოფე, დედაჩემის ჩაფი გავტეხე.

— სად?

— კოპიტთან, ქვას წამოვკარი ფეხი.

— ფეხი ხომ არ იტკინე?

— ფეხს დავეძებ ახლა?! სახლში არ მიმესვლება, ამ წელიწადს მეორე ჩაფი გავტეხე... სად გადავიკარგო ეხლა?... ზესტაფონი საითაა?... ფეროში წავალ სამუშაოდ.,

გულის უთანაბრო ბიძგები იგრძნო ანტიოფემ, ასე უმიზეზოდ აუფართხალდებოდა ზოგჯერ.

— ამოდი ზემოთ, მოვილაპარაკოთ.

ბიჭმა თავი დაღუნა და კიბეებისკენ გასწია. ტანდაბალი და ჭორფლიანი იყო. ანტიოფე თვალს არ აშორებდა. თავის გარდაცვლილი შვილები — მიზანა და ბიძინა მოაგონდა. მიზანას ჰგავდა ჯუმბერა.

ბიჭი ზალაში შეიყვანა და ერთ კუთხესთან დააყენა.

— რომელი ჰგავს ამათგან დედაშენის ჩაფს?

ჯუმბერა დააკვირდა.

— არცერთი, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ, — მაგრამ ამას, — ხელი დაადო ერთ-ერთს, — რაღაც მსგავსება უნდა ჰქონდეს.

— წაიღე. შეიძლება ვერც კი მიხვდეს. თუ შეამჩნია, უთხარი რომ ვიღაცა ოხერმა შეგიცვალა, სანამ ანტიოფეს მსხალს უკრეფავდი.

ბიჭმა ხელი წაავლო ჩაფს და აივანზე გაიტანა.

— როგორც კი ამ საქმეს მოვითავებ, უსიკვდილოდ გამოგივლი.

ანტიოფემ გაიფიქრა, რომ ახლა ვირიკელა საიმედოდ იყო დაბმული ბაგაზე.

ჯუმბერა წაცუნცულდა. ანტიოფე სკამზე დაჯდა და ჭიშკარს მიაპყრო თვალი. დიდხანს მიშტერებოდა. შემდეგ ჯიბისკენ წაიღო ხელი. დაავიწყდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თუთუნი უნდა გამოეზოგა. ცეცხლი აანთო, მოუკიდა, გააბოლა და ისევ ჭიშკარს მიაცქერდა.

ზედიზედ დაარტყა ნაფაზი, ზედიზედ გააბოლა... და, უცებ მოეჩვენა, რომ თავბრუ დაესხა, თითქოს წამით გონებაც კი დაკარგა, რადგან რასაც ხედავდა, სინამდვილე არ უნდა ყოფილიყო. ღია ჭიშკართან ორი ანგელოზი იდგა, ვაჟი და ქალიშვილი, მსუბუქნი, განუმეორებელნი, ჰაეროვანნი. მერე, მართალია აღმოაჩინა, რომ ვაჟი აბელას ფეხებზე იყო შემდგარი, მაგრამ საერთო შთაბეჭდილება მაინც არ შეცვლია. ისევ აუფანცქალდა გული.

— ამობრძანდით... ვინ ხართ?

— კალინკა ბებია, ქრისტიანები ვართ.

ვაჟი ღიმილით მოიწევდა წინ, ამოიარა კიბე, გაიარა აივანი და მოხუცს გადაეხვია.

ბიკენტიმ გაიფიქრა, რომ იმ დიად ფასეულობიდან, რაც კი კაცმა შექმნა, ან რაც ადამიანისათვის არის მოგონილი, ალბათ ყველაზე სასიხარულო — შეხვედრის წამია.

ანტიოფე გაირინდა. შემდეგ სკამზე ჩამოჯდა და აქვითინდა. მაგრამ მოთქმას უფრო ჰგავდა, ვიდრე ტირილს, რადგან ცრემლი დიდი ხანია დაშრობოდა, როგორც სისხლი, ლიმფა და სხვა წვენები. შემდეგ მეხსიერების იმ უზარმაზარ ტბიდან, რომელიც უწინ გააჩნდა და რომელიც ახლა ერთ პატარა გუბედ გადაქცეულიყო, ნაცნობი სახე ამოტივტივდა.

— ბიკენტია, შენ ხარ, ბიჭო?

— მე ვარ, დიდედა.

— რამდენი წელია, რაც აღარ გამოგიხედია ნიჩაფასკენ?

— შერცხვენილი ვარ, ბებია.

— ეს ანგელოზი ვინ არის?

— ჩვენი დამამშვიდებელი და დამაწყნარებელი, — ბიკენტი ისევ აკვირდებოდა ანტიოფეს, — გვარიანად გამოცვლილხარ, ძლივს გიცანი.

— დავბერდი, ბიკენტია.

— არა, რაცხა სხვა სახე გაქვს, თუმცა...

მედეა აივნის თავში გავიდა და ყვირილას გადახედა. მაშინვე გვერდში ამოუდგა ბიკენტი და წელზე მოხვია ხელი. ბიკენტისთვის აქედან სამი-ოთხი კილომეტრის მანძილზე თითოეული კენჭი, ყოველი ლოდი, თითოეული შქერი, მორგვი, ჯირკი, თხმელა, ტირიფი, ჩრდილი, ბექობი და თხრილი, ალაგ-ალაგ სილიანი ნაპირი ნაცნობი და ახლობელი იყო. რაც კი ამ მდინარესთან და მის ნაპირთან იყო დაკავშირებული, თითოეული ანკესით დაჭერილი თევზი თუ გაღმა ყანაში სიმინდის ტაროების მოპარვა, შავმორევაში ცურაობა თუ ბურჭალობა, აქ იყო დარჩენილი. მდინარის ტალღებს არ წაუღიათ მოგონებები, იქვე დატოვეს, იქვე გამოსილეს, იქვე გამორიყეს.

— ზემოთ, სულ ზემოთ, აი, იმ ხევში წისქვილი იყო, აქედან არ ჩანს, — აჩვენებდა მედეას ბიკენტი, — ნიყვს კი აი, იმ ტყეში ვეძებდით, მაგრამ მე მუდამ რატომღაც ვარყა სოკოს ვპოულობდი... იქ კი, შავ მორევში ორჯერ ვიხრჩვებოდი, ნუგზარამ გამომიყვანა... იმ ბექობის თავზე შემდგარ ტყეში კი თხა მელანია და ვაცანა დამყავდა... იქით კოლექტივის ყანაა, იქით საადრო ყურძენი, სულ იქით კი ერთი ქლიავის ხეა, ყველაზე გემრიელ ნაყოფს რომ ისხამს მთელ იმერეთში... ამ მსხლიდან კი ორჯერ გადმოვვარდი. მომეჩვენა, რომ მორიელი მიყურებდა და შიშისგან ხელი გავუშვი შტოს... მედეა, ყველაფერი რასაც ხედავ, ბიკენტი იყო, ბიკენტის ნაწილი... ერთხელ კი ყველანი წავალთ — ეს მსხალიც, ის კაკალიც, ეს ყვირილაც. ის ქლიავი, ბიკენტი და მედეაა სინამდვილე, დროც და სივრცეც. დანარჩენი მოგონილია. ის, რაც მარადიულია — სინამდვილეში არაფერია, არ არსებობს, როგორც უფალი, დრო და სივრცე, აბსოლუტური ჭეშმარიტება და თავისუფლება... აკაკივით რავა ვთქვა...

— აკაკი დაიჭირეს, — ბებია ჩაერთო ლაპარაკში.

— სხვა აკაკიზე ვამბობ, კალინკა... დიდ აკაკიზე, საჩხერელ ბრძენზე... ხოდა, მედეა, თუ კი რამ კარგია ჩემში, აი ამ ადგილებიდან, ამ სოფლიდან, ნიჩაფადან არის აღებული...

— ცრემლები არ წამოგცვივდეს.

ბიკენტიმ ამოიოხრა და ბებიას მიუბრუნდა.

— აბა, ახლა თუნგულა მომაწოდე და ცივ წყალს ამოგიცუნცულებ.

2.

— სად არიან? — ჰკითხა ჯუმბერამ.

— წყაროზე ჩავიდნენ.

— სად ეძინათ?

— აივანზე.

— ერთად?

— ცალ-ცალკე... მარა ერთად რომ დაეძინათ რა მოხდებოდა?

— ცოლია?

— რავა ყველაფერში გინდა ჩაყო ცხვირი, დეიღუპე აქედან.

— თუთუნი ჩამოგიტანეს?

— კიე.

— დაგიდგა ამინდი?

ჯუმბერამ კისერი მოითხანა. ფეხის წვერით მატლი გასრისა და ისევ შეანათა ანტიოფეს თვალები.

— თურქულიაო. — თქვა ანტიოფემ. — აქლემი ახატია კოლოფს.

— მომაწევინე.

— ბალანა ხარ.

— ეხლა ვარ ბალანა?... წყალი აღარ გჭირდება ხომ?

— ჩაფზე რა გითხრა დედამენმა?

— სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ.

— მოგალევანდა?

— მომაწევიე, თორემ ყველაფერს ვიტყვი.

— რა უნდა თქვა?

— იცი, შენ კარგად... ვერ გადაურჩები კალინკას...

— რაა არახუნებ მოშლილ წისქვილივით.

— მომაწევიებ?

ანტიოფემ უსიტყვოდ [illegible]ბიდან ქისა, გახსნა და ბიჭს მუჭაში ჩაუყარა თუთუნი.

— ცოტაა.

ანტიოფეს კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ თვალებში ჩახედა და ბიჭი მაშინვე გაიძურწა. როდესაც ჭიშკარში გადიოდა, მოხუცს დაუძახა:

— მაპატიე, ანტიოფე, გაჭირვებამ მაიძულა.

მაგიდაზე ცხელი მჭადი, ყველი, მოხარშული ქათამი, პრასი, ქინძი, კიტრი და ღვინით სავსე დოქი იდგა. სავლესთვის შენახულ პატარა ჭურს მოხადა თავი ანტიოფემ. ახლა იჯდა და წყაროზე წასულ მედეას და ბიკენტის ელოდებოდა. ასეთი სიხარული ალბათ არასოდეს არ განუცდია. რა მოეგონა, რა ეშმაკობა ეხმარა, რომ ცოტათი კიდევ გაეხანგრძლივებია ეს ბედნიერება? ისევ გაფართოვდა მისი სამყარო დროებით, ისევ აივსო ეზო და სახლი ქიმერებით. ერთხელ სიმონიკას წყაროსთან შეკრებილ ხალხისთვის უთქვამს: ვიდრე თავს იტყუებთ, სიცოცხლე მშვენიერია. არავითარ შემთხვევაში არ მოიხსნათ ნიღბები. ნიღბებისგან ბერიკაობის დასასრულს თავისუფლდებიანო... ასევე ხდება სიცოცხლის მიწურულშიც. იცხოვრეთ მოჩვენებების, ალების, ატრაოზების და ქაჯების გვერდით, თუ კი გინდათ გაღმა გასვლამდის, პეწი და ლაზათი რომ არ დაეკარგოს თქვენს არსებობას. „ღმერთო დიდებულო, კიდევ ერთი დღე მაინც. მარგუნე მათი თავი"... მაგრამ მაინც საიდან ჩნდება, საიდან იფეთქებს ერთი წამით ცეცხლი ჩამქრალი. წყალგადასხმულ კერიაზე და ათეროსკლეროზული ფოლაქებით გამოტენილ უხეშ, გაძვალებულ სისხლძარღვებში? კიდევ სად პოულობს საწვავს ნახევრად მიწად ქცეული სხეული?

ეზოში მედეა და ბიკენტი შემოვიდნენ. ბიკენტიმ სატროფოს ჰკითხა:

— მედეა. შენ არ გეჩვენება. რომ

ჩვენ ერთხელ უკვე ვიყავით ამ არემარეში?

— არა.

— აი, როდესაც ბუდისტურ მეტამფსიქოზს გაეცნობი, სხვანაირად ილაპარაკებ.

ანტიოფე სტუმრებს მიეგება. მან ხელი მოუსვა ლოყაზე ქალიშვილს. ბიკენტი კი გულში ჩაიკრა.

— დილა მშვიდობისა, — თქვა მედეამ.

ბიკენტიმ თვალები მინაბა:

— მედეა, რომ იცოდე, ახლობელი, ნათესაური სისხლი რა ძალით მიილტვის ერთურთისაკენ.

სამივენი მაგიდას მიუსხდნენ.

— მიირთვით.

ბიკენტიმ პერანგის სახელო დაიკაპიწა.

— რომელი აბრაამის ტაბლა შეედრება ნიჩაფურ სუფრას, — თქვა მან და თეფშზე ქათმის ბარკალი გადმოიღო.

— ეს ჩვენი ეზოს ტყემალია, — მიართვა ტყემლით სავსე ჭიქა ბიკენტის ანტიოფემ.

შემდეგ ბიკენტიმ ზედიზედ სამი ჭიქა ღვინო გადაჰკრა.

— უჰ, რა ფუცხუნა ღვინოა.

ბიკენტის წინ მედეა იჯდა. თავჩაღუნული ჭამდა და დროდადრო წყაროს წყალს აყოლებდა. ანტიოფე კი ღვინოს წრუპავდა. ბიკენტი იღიმებოდა.

მშვენიერი ქალიშვილი, დავიწყებული საყვარელი ბებია, წინ განუმეორებელი ყვირილა, ეზოში — ბავშვობის მეგობრები — ცაცხვი, მსხლის, ბიის, ბჟოლის, ბროწეულის, ალუბლის ხეები, ბებერი მუხა, უკან და ხელმარცხნივ — სოფელი, ხელმარჯვნივ — პაპიაეული სახლი, და ბიკენტი ზღაპრულ განცხრომას მიეცა. დაივიწყა ძველი დარდები და შეურიგდა ქვეყანას. ლაპარაკობდა ბევრს. უფრო მეტს კი ტრაბახობდა. სიტყვა ხშირად მალავს ადამიანის ნამდვილ აზრებს, შესაძლებლობებს, ჰორიზონტებს, ამიტომ მედეამ სახეში შეხედა ექიმს, სახე ხომ ბუნების და სულის სარკეა. ბიკენტის პირი ჰქონდა ღია, თვალები ნათელი, ბრწყინვალე, ყურები აქეთ-იქით გაშვერილი, ღაწვები მოვარდისფრო და წარბები აწეული. მედეას გულში რომელიღაც ძაფი ჩაწყდა. ასეთი გაბერილი და გახარებული თბილისში არასოდეს არ უნახავს ბიკენტი. ნუთუ ნიჩაფვა მედეაზე მშვენიერი იყო? ქალიშვილმა ქალაქში დაბრუნება გადაწყვიტა.

ამ დროს ჭიშკარი გაიღო და ეზოში დედაბერი შემოვიდა. მოხუც ქალს გაძვალტყავებული ქეციანი ძაღლი მოსდევდა, უფრო ბებერი და დაშლილი. დედაბერმა მძიმედ დაუკრა თავი მედეას, შემდეგ ბიკენტის მიუახლოვდა და ყური აუწია.

ექიმს ისევ ძველი იერი დაუბრუნდა — გაბითურებული, მოტყუებული და ოდნავ გაბოროტებული კაცის შესახედაობა. მარცხენა ხელში ჭიქა ეჭირა.

— ვა, ბაირამობაა?! — თქვა მან და დედაბერს დააკვირდა, შემდეგ მედეას შესჩივლა, — რა ხდება, ეშმაკმა ჩამომიარა თუ მთვრალი ვარ?.. მედეა, სულს დავაგირავებ ლომბარდში, ეს თუ ნამდვილი კალინკა არ იყოს... რა ხდება, მეგობრებო?

ბიკენტიმ ახლა ანტიოფეს გადახედა. ანტიოფეს თავი ჩაექინდრა.

— იმე, — თქვა ექიმმა.

— გაეცი პასუხი, ანტიოფე... ახლა აგეკრა პირი?

ანტიოფე დუმდა, ალალმა წამოუქროლა.

— ანტიოფე?!. განა კალინკა არ არის? — იკითხა გაშტერებულმა ბიკენტიმ.

— კალინკა მე ვარ.

ბიკენტიმ ჭიქა დასცალა და ტყემალში ამოუწო ქათმის ნაჭერი. სისულელეა, გაიფიქრა მან, რომ თითქოს კაცი მთელი სიცოცხლე უნდა იბრძოდეს და მახვილამოწვდილი კვდებოდეს. ისიც სიჩერჩეტეა, როცა ადამიანი მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ ჭკუის კოლოფის ავსებას ცდილობს, ერთადერთი ნაღდი და პატივსაცემი ორგანო — სტომაქია, ხოლო სათაყვანებელი, გასაფეტიშებელი არსება — დედაკაცი.

— მედეა, მოდი მოგეხვევი.

— იმ ღლაპუცამ გამყიდა ხომ? — ჰკითხა ანტიოფემ კალინკას.

ჯუმბერა ღობის ჭუჭრუტანიდან იყურებოდა ეზოში.

— კაი ბროლა კაკალი ხარ, — თქვა კალინკამ, — დაუკრეფავში გადახვედი, ანტიოფე.

— რა მეთქმის, არტახში მიბია ხელი.

— ლუნწი ხარ, ანტიოფე, — გაისმა ჯუმბერას ხმა ღობეს იქითა მხრიდან.

კალინკამ მედეას და ბიკენტის ჩაკიდა ხელები.

— წავედით, ბიკენტო... აგი ვინ არის? — მედეაზე ჰკითხა შვილიშვილს.

— საბედოა, ბებია.

როდესაც ორღობეში გავიდნენ, კალინკამ ჯუმბერას უთხრა:

— უდანოდ დაკვლაა ყველაზე საშინელი, ხოლო ყველაზე უბედური კი — უცეცხლოდ დამწვარია.

— კი, ბებია... თუთუნი ხომ არ დაგავიწყდა?

— მართლაც, — გაახსენდა ბიკენტის, — ყველაფერს ხომ ვერ დავუტოვებთ ცრუ კალინკას... მედეა, ავტეხო ჩხუბი, ვუჩივლო სასამართლოში?

კალინკამ თქვა, რომ კაცი დიდსულოვანი უნდა იყოს, რომ ჭინჭი, ჩვარი, ტკბილეულობა და მოსაწევი — სატყუარაა და მეტი არაფერი, რომ ადამიანის სიცოცხლის მთავარი მიზანი — მოვალეობაა. დანარჩენი ყველაფერი თაღლითობაა. ნიჩაფაში კი ყველაზე პატიოსანი არსება აბდულაა.

ძაღლმა კუდი გაუქიცინა. ჯუმბერა არ დაეთანხმა.

გზაში ბიკენტიმ იკითხა:

— კი მარა, ის სახლი ხომ ბაბუაჩემია იყო?

— ყველაფერს აგიხსნი, — უთხრა კალინკამ, — ახლა კი მითხ[illegible]რი ექიმი გამოხვედი?

— ფინაჩი.

— რატომ?

— ფულს ვერ ვშოულობ.

— ბიკენტო, ნუ გაიტეხავ გულს, მე შეგილოცავ.

მიდიოდნენ წინ — კალინკა, ბიკენტი და მედეა, უკან — ჯუმბერა და ქეციანი აბდულა.

3.

რუხი ღრუბლები უცებ მოვარდებიან, მევალეც გაუფრთხილებლად წამოგადგება უთენია ტიტლიკანას თავზე. მუცლის გვრემა, შაკიკი, შარდის შეხუთვა, ტვინის ღრძობა, გადაბრუნება — რამდენი მოულოდნელი მტერი ჰყავს პატარა კაცსა. არც სხვა უბედურება არ აჭერს წინასწარ ზარის ღილაკს თითს. ნუთუ მართლა შემთხვევითობა განაპირობებს ბედილბალს? მარადიული თვალთვალი მსხვერპლისა, ჩასაფრება, უკანიდან მიპარვა და ზურგზე შეხტომა. საინტერესოა, მანამდის სად აფარებენ თავს, სად იდებენ ბინას, სად იყუჟებიან, სად ორსულდებიან, სად ყრიან ლეკვებს — სისასტიკე, ტკივილი, ძალდატანება? ჩვენც რომ ჩავუსაფრდეთ ან მივეპაროთ ან ხაფანგი რომ დავუგოთ? თუ ეს არაკეთილშობილური საქციელი იქნება?

მედეა, სხივის ნაწილი, ბრწყინვალე და კაშკაშა, ახლა ჩამქრალი — თმაგაწეწილი, არეული, შეშლილ თვალებიანი, განადგურებული იდგა ბიკენტის წინ. და ექიმი უცებ მიხვდა, თუ რატომ ვარაუდობენ, რომ მშვენიერებაა საშინელების დასაწყისი. მის დანახვაზე ბიკენტის პირკატა ეცა.

ასე უსიტყვოდ იდგნენ ნახევარი საათი, შემდეგ დასხდნენ და ბიკენტიმ მოუსმინა. ბუნდოვნად ლაპარაკობდა ქალიშვილი, წყვეტილად, დაბნეულად. ახსენა ჯვრის ტაძარი, აგარაკი მცხეთაში, ტალღების ტყლაშუნი, აქეთ მტკვარი, იქით არაგვი, სუკები, შოთი პური-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, აადრეთ ატამი, საზამთრო, შამპანური, „აბბა“, ჩელენტანოს დამათრობელი ხმა, მოდური თეთრი ლექსები, გაზაფხულის ბოლო დღის მომატყუებელი სურნელება... შემდეგ შეურაცხყოფა, ძალდატანება და არაფერი, სიცარიელე... „ვინ იყვნენ?“... „გიზო და სტეფანე — ბრონტოზავრი“...

ბოლოს ბიკენტიმ ის დასკვნა გამოიტანა, რომ ცით მოვლენილი მშვენიერება გაითელა მიწიერი დაუნდობლობისა და ვერაგობის მიერ. სად იყო ჩვენი უფალი — უხილავი, უთქმელი, ბრმა, უგრძნობი და ყრუ? დიდი გრანდის — სინამდვილის წინაშე ბითურობაა სიკეთე, მოწყალება და პატიოსნება. ცარიელი სიტყვები ვერ დაიცავენ სისუსტესა და სინაზეს. მედეაში ამაღლებულ ნაწილებთან ერთად არის ნატეხებიც, თიხაც, ტალახიც, ქაოსიც, უაზრობაც. ისინი ეცნენ მხოლოდ მის მშვენიერებას და გაატალახეს. „არამზადები!“... შემდეგ შორეულ მხრიდან ფრინველების ფრთებზე შემჯდარი ხმებიც მოფრინდნენ და ბიკენტის მოაგონეს ანტონიუსი, კალიგულა, ოტელო. მაშინ ზიზღით შეჰყურებდა გაუბედურებულს და სხვადასხვა ვარიანტს არჩევდა — მოგუდვას, დანის ჩაცემას ან ზოოპარკში გასეირნებას და ბეჰემოთის ხახისკენ ფარულად ხელის ბიძგებას... „სხვაგან კვერცხსა დებს და ჩემთან კაკანებს. წმინდაო ნინო, როგორ მოვიქცე: ჯერ არ შემირთავს და უკვე რქოსანი გავხდი... ვის უთმობდნენ უწინ ლამაზი ქალიშვილები, ვის წინაშე წვებოდნენ ზურგზე? — გმირების, გამარჯვებულების, ღირსეულების წინ. ახლა ვინ შეცვალა ის რაინდები? ჭკუანაღრძობებმა, სიცრუით, სიყალბით, მოტყუებით გამდიდრებული მამიკოების ნაშიერებმა“. ბიკენტიმ გაიფიქრა, რომ ადამიანი მტაცებელ ცხოველზე უფრო დაუნდობელია. ავაზა და სასტიკი ადამიანი რომ შეახვედრო ყანაში, რომელი შეჭამს?... ავაზა... არა, ადამიანი... რადგან კაცს გულში უშველებელი მახრჩობელა უზის, [illegible] უცებ შემოეხვევა ავაზას და გაგუდავს.

ბიკენტიმ იფიქრა, და ბოლოს ცხოვრება დიდ მდინარეში მოცურავეების შეჯიბრს შეადარა. ერთნი მთელი ძალღონით უსვამენ მკლავებს და წინ იჭრებიან, მეორენი დინებას მიჰყვებიან, მესამენი — გამოპენტერებულები — დინების საწინააღმდეგოდ ცდილობენ გაცურვას. ერთი აშკარად, მეორე ჩუმჩუმად გავლებს ფეხში ხელს და გქაჩავს. როდესაც ჩაყვინთავ, მესამე სიცილისგან იგუდება. ხოლო როდესაც თვითონ გადაყლაპავს წყალს, ცრემლებით ავსებს მდინარეს. ამ შეჯიბრებაში ბევრი სხვა ვნებაც გამოვლინდება და ბიკენტი ფიქრობდა, რომ ერთადერთი სიმართლე ის არის, რომ ღიმილით ადევნო თვალყური არემარეს და შეჯიბრების მონაწილეების ცდასა და ფუსფუსს. იმ აზრსაც კრეჭითა და სიცილით უნდა შეხვდე, რომ ყველას ბოლო, დასასრული, ჩაყვინთა და ტალღებში სამუდამო გაქრობაა.

კეთილი და პატიოსანი, ეს საკენკი შეიძლება სხვას დაუყაროს, მაგრამ თვითონ როგორ მოიქცეს ახლა? რა ფარული ძალები ამოქმედდნენ ისევ, როგორც ერთხელ, მრავალი წლის წინ? დროზე ხომ არ აუშვას აფრა და მოუსვას? შემდეგ ისევ ამოტივტივდნენ თავკომბალები — პასუხისმგებლობა, მოვალეობა, მოწყალება, და მთლად დაიბნა ბიკენტი. მან გაიფიქრა, რომ ძალზე გამოუცდელია და რომ ასეთ ვითარებაში ყოველთვის უმჯობესია ბრძენს მიადგე კარზე და რჩევა ჰკითხო. მან ბორისს მიაშურა.

უფროსმა მეგობარმა ყურადღებით მოუსმინა. ბოლოს უთხრა:

— რასაც ახლა გეტყვი, ძველი აზრია. ძველ, გამოცდილ აზრს კი, ისევე როგორც მრავალი წლის წინ აღმოჩენილ და შესწავლილ წამლებს — სტროფანტინს, ნიტროგლიცერინს, პაპავერინს, მაგნეზიას ვენდობი. ყოველგვარი ნუგეშში დამამცირებელია. თანაგრძნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, სიბრალული ისევე ზედმეტი და დაუშვებელია, როგორც სხვისი გაბითურებული კონცერტის დროს უბის ჯიბიდან სალამურის ამოღება და დაკვრა. შებრალება მხოლოდ აორმაგებს ტანჯულის ტანჯვას.

— გამოდის განწირულ კაცს ხელი არ უნდა გაუწოდო?

— მე მაგ არ მითქვამს.

შინ დაბრუნებული ბიკენტი მიხვდა, რომ ადამიანი ყველა მდგომარეობაში მარტოხელაა, განსაკუთრებით გაჭირვების წუთებში, რომ ყოველთვის გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღო და რომ მოწინააღმდეგეს, თუნდაც გველეშაპი იყოს, მარტოდმარტო უნდა ეკვეთო. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ხან მოვალეობა ეგდო ძირს, ხან დეზერტირობა. მარგარიტას აჩრდილიც კუთხეში იდგა. გათენებისას სიკეთემ იმარჯვა. მხოლოდ ძლიერი ტკივილი ათავისუფლებს მონობისაგან ადამიანსაც და სულსაც. პირდაუბანელი გავარდა საავადმყოფოში ბიკენტი, შევიდა მთავარ ექიმთან და ათი დღით უხელფასო შვებულება თხოვა. მთავარმა ექიმმა მაშინვე დააკმაყოფილა მისი თხოვნა და საჩხუბრად გამზადებული ბიკენტი ოჩანი ხარივით დადგა.

— სხვა წარმოდგენა მქონდა თქვენზე, — ჩაიბურტყუნა მან.

—ბეღურაც ვერ ამჩნევს ცაში ვარსკვლავებს.

მედეას ნიჩაფაში წაყვანა გადაწყვიტა ბიკენტიმ. ყვირილას შავი ტალღები განბანენ მის გულს. ჯადოქრული ნიჩაფას მთები ნიავს დაუქროლებენ, ნიავთან ერთად — რწმენას, სიხარულსა და სიმშვიდეს. ბიკენტი რიყეზე ფიჩხს მობოჭავს და ცეცხლს დაანთებს. იქვე აგიზგიზდება სიცოცხლის ალი, ჩირაღდანი მედეას გულში; ჩირაღდანი, რომელზედაც წყალი გადაასხეს და მის ნაადრევ ჩაქრობას შეეცადნენ, რომ მხოლოდ გამოფიტული, გამომშრალი და ნაცარმოყრილი სინამდვილე დაეტოვებინათ. მოშუშდება ჭრილობა და ისევ გაგრძელდება მარადიული დღესასწაული. ისევ გაიღება ალაყაფის კარები და გამოჩნდება უკიდეგანო სივრცე, ისევ აღორძინდება ხე, ისევ ამწვანდება მისი ტოტები... „ღმერთო ჩემო, რა შეედრება დალუპულ კაცის გადარჩენას, რა შეედრება ზრუნვას მეორე ადამიანზე. უილბლო, მარცხიანი, ბედუკუღმართი კაცის თმაში ხელის წატანება და ნაპირზე გამოყვანა, გამშრალება, საკუთარ პერანგში გახვევა, მოფერება, დაყვავება... ტიმოთე, ბორის, განა ეს არ არის სიცოცხლის ფესვი და წყარო?.. მაგრამ პერანგთან ერთად აუცილებლად სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქონელიც უნდა შესთავაზო — იმედი, ნუგეში და რწმენა... მაცხოვარო, კინაღამ მეორეჯერ არ დავუშვი საბედისწერო შეცდომა?!“

წინასწარმეტყველია, ვინც ახალგაზრდა დაავადებულ, უდროოდ გაჩერებულ გულს ნიჩაფაში წაიყვანს და ისევ აამუშავებს.

4.

შუაღამეა. ბიკენტის აივანზე სძინავს. საბარგო მატარებელი შემოდის სოფელში. სასიამოვნოდ გრუხუნებენ ბორბლები ლიანდაგზე.

განუმეორებელია ეს ხმა, როდესაც გძინავს და ბუნდოვნად გესმის ჯერ სულ ახლოს, ყურის ძირში, შემდეგ მოშორებით. იგი თანდათან სუსტდება, თანდათან და ბოლოს ქრება. და შენც ნელ-ნელა იკარგები სიკვდილის უმცროსი ძმის სამფლობელოში, სასიამოვნოდ, განუმეორებლად. შემდეგ კი როდესმე, ერთხელ ან ორჯერ, უნებლიედ, სულ სხვადასხვა ვითარებაში — შეიძლება ოპერაშიც, ან სერიოზულ კრებაზეც კი — აუცილებლად წამოტივტივდება გონებაში ეს ღამე და აზრიც: თუ სიკვდილიც ასეთია, მაშინ დიდებულად ყოფილა ჩვენი საქმე.

მამლები აყივლდნენ. აბდულამ სიმონიკას ბახულას შეუყეფა. სადღაც მოზვერმა დაიზმუვლა. აკაკანდნენ ქათ-

ეროვნული

მებიც. ზემოდან „საჩხერე-ქუთაისი“ ჩამოდგა. ბიკენტის გაეღვიძა... მაინც რამდენი სახე აქვს ნიჩაფას? ყოველი მათგანი უყვარდა, ყოველი მათგანი ახლობელი იყო. ყოველთვის მიილტვოდა მისკენ, სინამდვილეშიც, ქვეცნობიერად. ერთადერთი ადგილი, რომელიც არასოდეს არ გიღალატებს, ერთადერთი ადგილი, სადაც ნიღაბი არ დაგჭირდება... და მაინც იშვიათად თუ იხედები მისკენ. ვინც არ გღალატობს, მას შენ თვითონ ორგულობ. რაღაცაა გამჯდარი ადამიანში, ნადირის მსგავსად მარადიულ სირბილისთვის, ვერაგობისთვის რომ არის განწირული.

კალინკა ეზოში ფუსფუსებს. მეზობლებმაც მოაკითხეს. ჯუმბერამ უკვე ამოარბენინა თუნგულათი წყალი.

ნიჩაფა, თითქოს დამარხული და საბოლოოდ დაკარგული, ისევ ცოცხლდებოდა. სისულელეა, შინ ან ძველ ადგილებში მრავალი წლის დაბრუნების შემდეგ თითქოს ადამიანს გული უცრუვდებოდეს. ბავშვობის წლები არასოდეს არ მიგატოვებენ. შეიძლება დროებით მოეფარონ ხეს, სახლს, ავადმყოფებს. მაგრამ საბოლოოდ არ მოგეშვებიან. როგორც საკუთარი ჩრდილი არ მოგშორდება, როგორც დედამიწა მზეს ვერ გაუდგება განზე.

ლელვის ჩეროში შორეული წლები მოაგონდა ბიკენტის, მოლოდინში გატრუნული ლორები, ცალი თვალით მომზირალი, დროდადრო მოღრუტუნე და ალბათ ბედნიერი. უცებ ექიმს ახსენდება, რომ ეს ის ლელვი არ იყო. მაინც რატომ ეაცვალა კალინკამ სახლი?

ბიკენტი პირს იბანს, წვერს იპარსავს და ფოთხილად შედის ოთახში. მედეაც ამდგარა. ისევ მოღვენთილი თვალები შესცქერიან ნიჩაფას.

— როგორ გეძინა?

— გვარიანად.

ეზოში კი სუფრაა გაშლილი. სიმონიკა, ამბაკო. პალუა თბილისელებს ელოდებიან. კალინკა მჭადებს აცხობს. აბდულა ბუზებს იგერიებს. ჯუმბერა ორღობეში დგას, შემდეგ ალ[illegible] მოდის და ბიის ქვეშ ყუჩდება.

საუზმობენ. სიმონიკას ეღიმება. მედეაზე მიუთითებს კალინკას და ამბობს:

— ამ ბალანას ისეთი სახე აქვს, თითქოს სიცოცხლის მთელი თასი გამოეცალოს და ამაში ვერაფერი სასიამოვნო ვერ ენახოს.

— უშობელი ხომ არ გაგექცა ტყეში? — ახლა ამბაკო დაინტერესდა.

— ჩვენ, ბიძიკო, — სიმონიკამ კბილი დაასო ნიორს, — არ გვიყვარს, როცა რაიმეზე ვაი-უშველებელს ტეხავენ— თუნდაც უშობელის დაკარგვაზე. ხოლო ის რა კაცია, ნიჩაფაში რომ არ გაეცინება. გაიხედე ჯერ მარჯვნივ და შემდეგ მარცხნივ, — სიმონიკამ ამბაკოს და პალუას გადახედა, — და თუ ორ წუთში ორივე ხელი მუცელზე არ დაიდო, მომშერი თავი... შეხე, ამ საცირკო ღრანჭებს.

ამბაკომ აუჩქარებლად გადაყლაპა ლუკმა.

— ამის მაგალითზე, — თქვა მან და სიმონიკაზე მიუთითა მედეას, — ყველა ნიჩაფელი შტერი არ გეგონოს.

ახსენეს წინაპრები და შესვეს. სიმონიკა დაინტერესდა, თუ სად მოღვაწეობდა ბიკენტი. გულის საავადმყოფოშიო.

— სიკვდილთან ბრძოლა პატარა საქმე არ არის, პალუა. კიტრის მოყვანას ჯობია, ზესტაფონის ბაზარში კვახებისა და მსხლის გაყიდვასაც.

— მაგით რა გინდა მანიშნო?

— ის, რომ დროზე მოეგო ჭკუაზე და სამედიცინოზე შეხვიდე.

— მაგი ჩემი საქმეა, სადაც ვტკაუცავ თავს

— მათემატიკაში ინჩიბინჩი არ გესმის, გეოგრაფიაზე წარმოდგენა არ გაქვს — ახალციხე აფრიკა გგონია და წალენჯიხა — ბრაზილია. ლიტერატურა ბნელეთია შენთვის — ერთი ლექსიც კი არ დაგიწერია ცხოვრებაში, სახლის აშენება შენ არ გეხერხება. პამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორს თესავ და ლობიო ამოგდის... ხოდა, დაგრჩა, ბიძია, სამედიცინო. თბილისელებიც ასე არ არჩევთ ამ პროფესიას, ბიკენტი?

— სინამდვილეა, სიმონიკა, — კვერი დაუკრა ექიმმა.

სიმონიკას გამომშრალი თვალები ატრაოზივით იჭყიტებოდნენ. მედეა ყვირილას ხეობას გასცქეროდა დანაღვლებული. ჯუმბერა ქვაზე იჯდა და უფროსებს უგდებდა ყურს. ახლა ქვაც რომ დაგერტყათ თავში, ადგილიდან ძვრას ვერ უზამდით. პატარებს მაშინ ეჯავრებათ უფროსები, როცა ჭკუას ასწავლიან. ისე კი მათი საზოგადოება ჯამბაზების წარმოდგენასაც ურჩევნიათ. მორიახლო კიდევ სამი არსება იდგა, ენაგადმოგდებული სამი ძაღლი. სიმონიკამ თავის ყურშას მჭადის ნატეხი გადაუგდო. მჭადის ნაჭერი პალუას ძაღლმა აართვა.

— სულ პატრონს არ ჰგავს, — იწყინა სიმონიკამ. შემდეგ ყურშას გაუწყრა: — დოყლაპიავ!

იმდენად თავმოყვარე ძაღლი იყო, რომ მაშინვე კუდი ამოიძუა და გაიძურწა ეზოდან.

ბიკენტიმ ცერად გახედა მედეას. „წყლისპირზე ხომ არ გამომყვებოდა, ნეტავ?.. როდის იყო ეს?.. დიდი ხნის წინ. მაშინ ვერ უშველა, დააგვიანა, ალღო ვერ აუღო, ვერ გაერკვია ვითარებაში... ახლა მან იცის თამაშის კანონები. არასოდეს არ უნდა დაჰყარო ფარ-ხმალი, არ უნდა გაგიტყუოს სასოწარკვეთამ და არასოდეს არ უნდა დაიჭრა სასიკვდილოდ".

— ბებია, ეს კვერცხი მაინც მიირთვი, ამ დილაადრიან დადო დედალმა, — შესთავაზა კალინკამ მედეას.

— კი მაგრამ, რა ჭირს ამ გოგონას, სულ დაღვრემილი რომ ზის? — იკითხა სიმონიკამ.

— ჭადრაკის თამაში არ გამოდის.

— არ გამართლებია ცხოვრებაში. ჭადრაკში რომ გაწაფულიყო, უცებ მოივლიდა მთელ ქვეყანას. ახლა აიაჩოში იჯდებოდა ან რიოდეჟანეიროში, [illegible] ქვეშ და არა ცაცხვთან, როგორც ამ წუთას... სინამდვილეში რა მოხდა?

— ბზიკმა უკბინა გულზე, — თქვა ბიკენტიმ.

— მეც ვიყავი ორჯერ თუ სამჯერ მაგის მდგომარეობაში... თავის თავს უნდა გაექცეს. ასეთი ადამიანი ყოველთვის ძვირფასი იყო ღმერთისა და წმინდანებისთვის... ახლა ჩვენ, ნიჩაფელები, მაიმუნები ვგონივართ, სინამდვილე კი ორთქლმავლის ორთქლი... და იცი რამ გამომიყვანა ამ მდგომარეობიდან?

— არა, ბატონო.

— ნიჩაფას წყალმა... საკმარისია სამი-ოთხი აბაზანის მიღება, რომ მზემ ისევ გამოანათოს, რომ შაშვი ისევ აჭახჭახდეს, ისევ წამოყოს მაჩიტელამ თავი და ისევ გაიმართოს აფრა ეული.

— ნიჩაფას წყალზე მეც ბევრი მსმენია, — კვერი დაუკრა კალინკამ.

— აქედან შორს არის? — იკითხა ბიკენტიმ?

— სამი ვერსია.

ბიკენტიმ ჭიქა ასწია და გაირინდა. „ამ წუთას მართლა ემალება მედეა რალაცას, თუ განგებ ჩამოიფარა რკინის ნიღაბი?" საიდან შემოუაროს? თუ ისევ დალიოს, შეაჯდეს მარტორქას ზურგზე და აბასთუმანში გავარდეს?.. „გამაჭვრეტინეთ მილში, შემახედეთ ჩემს ვარსკვლავს... უბედური დაბნეული ბიკენტი, რწმენა ჩამორთმეული და აკვნიდანვე მონობისთვის განწირული... იცი, ბორის, ბოლოს და ბოლოს მოწყალება და ზრუნვაც მოსაწყენი ხდება, თუ კი ერთხელ მაინც არ მოგასმევინებენ ხელს სხეულის იმ ნაწილზე, რომელიც გხიბლავს და გიზიდავს".

— ბიკენტი, მიმართა ექიმს სიმონიკამ, — ქალაქელი კაცი ხარ, სიცოცხლის სახელოსნოში მოღვაწეობ შეგირდად, ჭკუა შენ არ გაკლია და შემართება... ხომ ვერ მიპასუხებ ერთ შეკითხვაზე?

— გიპასუხებ.

— ბოროტი უფრო ძლიერია თუ კე-

ეროვნული

თილი, შავი თუ თეთრი, თანამდებობიანი თუ გულუბრყვილო, უგულო თუ გულიანი?

— კეთილი, გულუბრყვილო, თეთრი, უხორცო და გულიანი.

— მაშინ შორაპანთან, იქ, სადაც ყვირილა ძირულას უერთდება, ბრძოლა რატომ არ გრძელდება დიდხანს, რატომ აბოროტებს სულ რამდენიმე წამში შავი თეთრსა?

მატარებელიც შემოვიდა ზემოდან. ვაგონებიდან რამდენიმე კაცი გადმოვიდა. შემდეგ ელმავალმა დაიწივლა და მიიხურა კარები. ნელ-ნელა დაიძრა შემადგენლობა. თანდათან მოუმატა სიჩქარეს, გასრიალდა, გაქანდა, ღელესთან მარჯვნივ მოუხვია და სათამაშოს დაემსგავსა.

5.

მეორე დილით უთენია წამოხტა ბიკენტი. ასე ადრე დგებოდა ზოგჯერ ოციოდე წლის წინ, როდესაც დაგებული ანკესების ამოსაღებად გარბოდა ყვირილაზე. დაუფსტვენდა ნუგზარა და გაშპებოდნენ ორღობეში. ნუგზარა მატარებელმა გაიტანა, თვრამეტი წელი რომ შეუსრულდა, თან წაიღო ანკესები, სიმღერები, სოკოები, შაშვის ბუდეები, რიყის კენჭები, სიმინდის ღეროსგან გამოჭრილი თოფები, ღიმილი და სიყმაწვილის დიდი ნაწილი... როდის იყო?... თორმეტიოდე წლის წინ. რამდენ ხანში ივიწყებენ მიცვალებულს? ისე, რომელი უფრო დიდხანს ძლებს — ნამდვილი საფლავი, თუ ტვინის სიღრმეში დამარხული სახეები, საგნები და სურათები? უზარმაზარი სასაფლაო. როდესაც გადაივსება, რა ხდება მაშინ?... მაშინ ტაბიკიც გადატყდება ალბათ... თევზაობიდან თითქმის ყოველთვის ხელცარიელი ბრუნდებოდა, ან ერთ-ორ ლიფსიტას თუ გააბამდა მახეში. დიდი გამარჯვება არცერთხელ არ უგემია, არ მოუპოვებია. „სიმბოლო, ბედისწერა, ნიშანი... ცხოვრებაშიც იგივე დავიჭირე ჯერჯერობით, ერთი-ორი [illegible] მეტი არაფერი".

ხეები შრიალით შეხვდნენ მედეას, კალინკა — ღიმილით, ბიკენტი — ორი ჩაყლურწული მსხლით.

ექიმმა გაიფიქრა, რომ მშვენიერებას ვერასოდეს ვერ მოკლავ, რომ შეურაცხყოფასაც კი ვერ მიაყენებ. რამდენიც არ უნდა ესროლო ტალახი ზეცას და უფალს, მაინც ვერ წაბილწავ.

— მედეა, უწინ სიცოცხლე გაღვიძება, საავადმყოფოში გაქცევა და იქ მკლავების დაკაპიწება მეგონა... მაგრამ მას შემდეგ, რაც გადაგეყარე, აზრი შემეცვალა. მივხვდი, რომ რაღაც კიდევ უფრო ნაღდი არსებობს, დაურღვეველი, მტკიცე, რომ სიცოცხლე, ისევე როგორც ყოველი ადამიანი, ორსახოვანი და ორაზროვანია, რომ სიტყვა, აზრი საქმე და სინამდვილე ისეთივე დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან, როგორც ბუზანკალა, მუმლი, პეპელა და ობობას ქსელი. ყველანი ბოლოს და ბოლოს ობობას ქსელში ვიხლართებით. მედეა, მე შენი ბუზანკალა ვარ, შენ ჩემი ობობას ქსელი, თევზი ვარ, შენ კი ანკესი და ბადე.

— ნიჩაფას წყალი დაგაწყნარებს, სითამამეს და გამბედაობას მოგიმატებს, — უთხრა კალინკამ ბიკენტის.

კალინკამ ჭიშკრამდის მიაცილა ისინი. ტოპრაკით კი საგზალი გაატანა — მჭადი, ყველი, ლობიო, პრასი, ბოლოკი, კიტრი, მარილი და დოქი ღვინო.

გაიარეს ორღობე, ჩაუარეს ვენახებს, ყანებს, ჭალას, აუყვნენ აღმართს. უწინ ხშირად დადიოდა ამ ბილიკებზე ბიკენტი, ხშირად დაუტოვებია წვიმიანში თავისი კვალი. ნიჩაფას მიწა — ზაფხულში გამხმარი, დახეთქილი, დანაოჭებული, შემოდგომაზე — დალარული, დარბილებული, სურნელოვანი. შავი მიწა — აქა-იქ, უფრო მეტად — აყალო, ქვიშნარი.

— რა ყველაფერი შენ გედება: კოპიტის ტოტი, ეკალბარდი თუ ბირკაბირკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ის ვისი სახლია? — იკითხა მედეამ.

— დომენიკეს და ევას... აი, იქ კვახი მომჰპარავს. იმ ხრამში კი ღელეა. საათობით ვმჯდარვართ ბუჩქებში ჩამალულნი სოფლის გოგოების მოლოდინში, ერთი ტიტლიკანა ზურგისთვის მაინც რომ შეგვევლო თვალი... მედეა, ამ ბორცვიდან ჩემი წარსული გითვალთვალებს, პატარა ბიკენტინო.

როდესაც აღმართი დამთავრდა, მთელი სოფელი ხელისგულივით გამოჩნდა. ბიკენტიმ თვალი მოავლო ნიჩაფას და თქვა:

— ცხოვრებაში ერთხელ მაინც აუცილებლად შეგხვდება რაღაც საოცარი და უჩვეულო. ამ ქვეყანაზე სიყალბისა, დეკორაციისა, სიბრიყვისა და სიცარიელის გარდა, არის კიდევ მისი საწინააღმდეგოც — ნამდვილი და სავსე, სიბრძნე და ჩუმი სევდა სულისა, ნიჩაფა და მედეა. კაცი, რომელიც ასეთ რამეს ვერ იგრძნობს, ან კოჭლია, ან ბრუციანი ან უბედური.

მედეა დუმდა. მაშინ გზა განაგრძეს. ერთხელ ხვლიკმა გადაუჭრა გზა, ერთხელ ქორმა გადაუქროლა თავზე, ერთხელ უხსენებელიც მოეჩვენათ გასრიალებული დიდი ლოდის ქვეშ და ნიჩაფას წყლებსაც მიაღწიეს.

ნიჩაფას აბაზანები ერთი ფარდული აღმოჩნდა, სამი გაყვითლებული აბაზანა ოთხი ჩელტითა და ფიცრებით შემორაგული. ჩაფებით ავსებდნენ აბაზანებს. ირგვლივ ნიავი დაჰქროდა, ზემოდან მზე იჭყიტებოდა.

— უკვდავების წყალია, — უთხრა მათ აბაზანების „დირექტორმა".

— რას უხდება?

— ყველაფერს: შაკიკს, მუცლის შეკვრას, უმადობას, უშვილობას, უხსენებლის ნაკბენს, პირის სიმყრალეს, ნიკრისს, ჭაჭებს, ჭიებს, ჯიბლიბოს, სლოკინს, გულის შეღონებას, ნაწლავის ქარსა, კაეშანს, უფულობას...

— აკმარისია.

— მარტვილაძე ვარ გვარად, ევგენი.

ევგენი მარტვილაძეს ჩალის ქუდი ეხურა, ძველი, გახუნებული ხალათი, დაკერებული შარვალი და ქალამნები ეცვა.

— რა დაჯდება?

— რა, ბატონო?

— სეანსი.

— არაფერი... ათი მანეთი, ურიგოთ თოთხმეტი.

— კი მაგრამ, რიგს რაცხა რომ ვერ ვხედავ?

— ა, რამხელა სია მაქვს, — მარტვილაძემ დასვრილი ქაღალდი გაუწოდა.

მედეამ უარი განაცხადა აბაზანაში ჩაჯდომაზე. მაშინ ბიკენტიმ აუხსნა, რომ ეს პატარა აუზი თავისებური ჯადოქრული სამყაროა — მომხიბვლელობისა, თავისუფლებისა, დაღლილი მეომრის ოცნებაა მშვიდობაზე და გამდიდრებაზე. ნიჩაფას წყალი ახშობს შიშსა და აღელვებას. ზოგიერთი ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ მის სხეულს ისე მაგრად ეწებება ყოველი წვრილი და ქეცი, უბედურება და უფულობა, როგორც მაგნიტს რკინა. ნიჩაფას წყალი ბანს, აშორებს წვირს ასეთ ადამიანს და უკან უბრუნებს განძსა და სილაღეს. ვინც მისი შხაფის ქვეშ დადგება. ცხოვრებაში მხოლოდ სინათლეს, ალერსს, გედებს და ენძელებს გადაეყრება.

ბოლოს ბიკენტიმ დაიყოლია მედეა. შემდეგ თვითონაც გადაივლო მშობლიური მიწის წყალი. როდესაც დაღმართს დაუყვნენ ისევ, მედეამ თქვა:

— ბიკენტინო, მოვრჩი.

მის თვალებში რაღაც ახალი სხივი ჩამდგარიყო, მორჩენილი ავადმყოფის მადლიერი სხივი. ღია ყავისფერი თვალები ისევ ხარბად იყურებოდნენ, ისევ ამჩნევდნენ ჩიტუნებსა და კალიებს. გამქრალიყო შიში, დაბნეულობა, ისევ გაიმარჯვა დიადმა ნებისყოფამ სიცოცხლისადმი.

— ქვეყნად ნიჩაფაზე უკეთესი ადგილი არ არსებობს, — თქვა საღამოზე სიმონიკამ, [illegible] დასხდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვარსკვლავების გამოჩენის მოლოდინში ტკბილად დაიწყეს საუბარი.

ამბაკომ კუდიანი დედაკაცის თავგადასავალი მოჰყვა, რომელსაც ნიჩაფას აბაზანების პირველივე სეანსის შემდეგ კუდი გაუქრა და ისევ დაუბრუნდა წესიერ ცხოვრებას. ერთი აბდალი კი მთელი ცხოვრება შარვალგამოხეული რომ დადიოდა, ნიჩაფას წყალში ბანაობის შემდეგ ამაღლდა — პროკურორად დაიწყო მუშაობა ჭიათურაში და იაეთი ქონება შეიძინა, რომ ოთხ თაობას ეყოფოდა.

ამ დროს პალუამ დაასლოკინა და სიმონიკამ გაკიცხა.

— ეს ზადი, რაც ამ ნიჩაფელას აქვს, იმიტომ არის საშიში, რომ მისი მიზეზი ახალგაზრდობა კი არ არის, არამედ ის, რაც ამ ყმაწვილის სულსა და გონებაში ზის. ამას დროზე უნდა მიაქციონ ნიჩაფელებმა ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი ნიჩაფელი საბოლოოდ დაჰკარგავს გზას და სამუდამოდ გაველურდება.

მერე მთვარეც გამოჩნდა, ნიავმაც დაუბერა და ბიკენტი კიდევ უფრო გაბედნიერდა. რაც მარტივი და ბუნებრივია ცხოვრება, მით უფრო მომხიბლავია. როდესაც ბევრს არ მოითხოვ სამყაროსგან, ყველა კმაყოფილია — მეზობელიც, მშობელიც და ისიც, ვისაც ყველაფერი აქვს და ვინც მუდამ მზად არის ყბები რომ მოგამტვრიოს, თუ კი წინ გაჭრის ან ზემოთ ახტომის ხალისი და სურვილი გაგიჩნდება. „წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ვუბრუნდებოდეთ კერიას, ბებიას კალთას, სიყმაწვილის, წარსულისა და მოგონებების თავშესაფარს...

6.

მზე ჰიმჰიმაზე იდგა, როდესაც ბიკენტიმ პირველ ავადმყოფს ფონენდოსკოპი დაადო გულ-ბოყვზე. შემდეგ თვალებდაკუსული მიაჩერდა და ჰკითხა:

— სარი ხომ არ გადაგიყლაპავს? — მუცელიც მოუსინჯა.

— არა, ბატონო... ამ ბოლო დროს გული შემიყვანცალდა რაცხა.

— ფეხები გისივდება?

— ვენახში მუშაობისას, შენ დაგენაცვლე.

ბიკენტიმ ნუგეში სცა საზანოელ სნეულს და წამლები გამოუწერა.

— ღმერთმა შენი ულური ნუ მოგვიშალოს.

ზალაში სინჯავდა გაჭირვებულებს ექიმი. ეზო სავსე იყო ხალხით. ავადმყოფები მეზობელ სოფლებიდანაც მოვიდნენ. ჯირკებზე, ქვებზე, შემაღლებებზე, ბალახზე ისხდნენ და თავის რიგს ელოდებოდნენ მორჩილად. ერთმა ბოსლეველმა ნიჩაფელს ჰკითხა:

— ეს მარწყვივით გოგონა, ეს კვანწია, ვინ არის?

— ექიმის ხვითოა.

ბიკენტი ოფლში იწურებოდა და ანგელოზებს უფრთხობდა ღვიძლში თუ ჭაჭებში, ელენთაში თუ სტომაქში, გულში თუ ჯირკვლებში ჩაბუდებულ სიავეს. მოჰქონდათ წიწილები, ქლიავი, ვაშლი, ომბალო, ნიახური, პრასი, ყველი, პარკი ლობიო, მჭადი, ღვინო, არაყი, მანეთი, სამი მანეთი. ავადმყოფი ყოველთვის იყო და დარჩება ყველაზე ახლობელ და საყვარელ არსებად. იგი დიდი ნუგეშია ექიმისათვის. ჩაცმა-დახურვა, სმა-ჭამა, სახლის აშენება, მანქანის ყიდვა, გასეირნება ზღვის სანაპიროზე ან მთაში ან საზღვარგარეთ — აი, ცხოვრებისეულ რამდენ მშვენიერ მხარეს ახალისებს ავადმყოფის ქისა.

ზალაში შუახნის მამაკაცი შემოვიდა. გახუნებული პერანგი ეცვა და თავზე

ეროვნული

კვარაჭინა ქუდი ეხურა. ხელები ზურგს უკან დაიწყო და ექიმს გაუღიმა.

— რა გაწუხებს? — ჰკითხა ბიკენტიმ.

— კინწის კვრით ჩამიშვა ორმოში ცხოვრებამ, — აუხსნა გლეხმა თავის გაჭირვება.

ბიკენტიმ შეათვალიერა. შემდეგ სკამზე დაჯდომა შესთავაზა. ავადმყოფმა მოიბოდიშა, ტყეში მიეჩქარებოდა, შეშა უნდა მოეჭრა. ამიტომ სასწრაფო რჩევა და სახელდახელო დახმარება თხოვა ქალაქელ პროფესორს.

— ჯერ პროფესორი არა ვარ.

— მალე გახდები.

— მაშინ ლვედს გამოგიწერ, ესროლე ლელვის ტოტს, დაეკონწიალე და ამოცოცდი მაღლა.

— შენ დაილოცე.

ორმოში დიდხანს მჯდარ კაცს შერყეული რწმენა და გაორებული მხედველობა აქვს. მაგრამ უდრეკი ნების ვაჟკაცმა ყველაფერი უნდა გადალახოს: ადიდებული რიო ნეგრო-ყვირილაც და ცხოვრების სხვა მდინარეებიც. მაშ, ნაძალადევად ნუ აიფორიაქებს ვნებებს და ერწმუნოს, დაუჯეროს, რომ ვიდრე ისევ სამუდამოდ უკრავენ თავს იმ ორმოში, სიცოცხლე თუ მშვენიერება არ არის, ასატანი მაინცაა...

— შენზე უკეთესი ექიმი არ მეგულება... მგონი უკვე მოვცოცავ.

— ნუგეშიანად ბრძანდებოდე.

— ა, ეს ორი კვერცხი ჩემგან, — ნიჩაფელმა შარვლის ჯიბიდან ორი ქათქათა კვერცხი ამოაცურა და მაგიდაზე დადო.

— შენც აგაშენა ღმერთმა.

ხვატი იდგა. ბიის, ალუბლის, ვაშლის, ბროწეულის, ცაცხვის ხეები გარინდულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს. შინაური ფრინველებიც გაყუჩებულიყვნენ. მხოლოდ აბდულა წამოიყეფებდა ზოგჯერ. ხალხის რიგი კი არ ილეოდა. კალინკას სიხარულისგან ლაპალუპით ჩამოდიოდა ცრემლები. მადლობას უთვლიდა წმინდა გიორგის, იმედ[illegible] გაუცრუა. წინალამით სანთლები აუნთო იმ წმინდანს, ნიჩაფელების მფარველს. შემდეგ ბიკენტის შეულოცა. ისე დაჯერებით პუტპუტობდა კალინკა, რომ ბიკენტიმ მაშინვე ირწმუნა — მალე გავარდებოდა მისი სახელი დუნიაზე, სულ მოკლე დროში აავსებდა მუთაქებს სამყაროს ყველაზე მშვენიერი წარმონაქმნით — ფულებით... ნიჩაფას წყალი და კალინკას ლოცვა.

სალამოზე, როდესაც მთვარე ამოვიდა აბაშიძეების ყოფილი ტყის თავზე, ეზოში ცაცხვის ქვეშ მდგარ მაგიდას შემოუსხდნენ კალინკას სტუმრები და მეზობლები. მხოლოდ ფაცია იდგა განმარტოებით თავჩაღუნული.

— რას ჯეკნი მაგ ბალახს, აგერ დაჯექი, ქალო.

— უი, არა.

კალინკამ ჯუმბერას ჰკითხა:

— წყაროზე ხომ არ წაქვანქვალდები, ბებია?

ჯუმბერას სიბნელეში გვერდში ცრიდა. ამიტომ ფეხის ტკივილი მოიმიზეზა. პალუამ მუჯლუგუნი ჰკრა ჯუმბერას. პატარა ბიჭმა ეს გამოხტომა იუკადრისა:

— რას იჯგიმები თუ იცი:... რას აქიცინებ მაგ თავს აბრეშუმის ქიასავით?

მალე სუფრაც გაიშალა და კიდევ უფრო გამხიარულდნენ. მხოლოდ ამბაკოს მოერია კაეშანი უმიზეზოდ. იგი ადგა და ეზოში გაიარ-გამოიარა. მერე კვერნა დაიჭირა. უშველებელი ვაშლი მოწყდა ხეს და თავში დაეცა. ატყდა ხარხარი. ხალხს მოულოდნელი ახარებს და ახალისებს. ამბაკოს საშინლად აემღვრა თვალები. ცოტას გაწყდა, ჯუმბერას წკეპა არ გაადენინა ყურისძირში.

— იმე, რავა ყველამ მე დამიბრიყვა, — იყვირა ჯუმბერამ.

— ხმა ჩაიწყვიტე, აპა, სიმონიკას ხომ არ მოალევანდებს, შე კრუხის პალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალინკამ ცივი ტილო დაადო მეზობელს თავზე.

— ნიჩაფელი ნიჩაფელისათვის დიდი ნუგეშია, — თქვა სიმონიკამ.

ბიკენტიმ კი აღნიშნა, რომ ეს პატარა თავგადასავალი სიმბოლიური იყო. ეს დიდ ადამიანებს ეცემათ ხოლმე თავში რაღაც — აგური, კუ თუ ვაშლი. განგებამ მიანიშნა კიდევ ერთხელ, რომ ნიჩაფელები რჩეულთა რიგს განეკუთვნებიან. ხოლო ის ადამიანი, ვისაც თავში ურტყამს ბუნება თუ მეორე კაცი, წარჩინებულია.

კალინკამ ჩაყვინთა. მედეამ მხარზე მიადო თავი ბიკენტის. ექიმი გაიტრუნა. პალუამ ლოყაზე მოუთათუნა ხელი ჯუმბერას. ამბაკომ თვალი ჰკიდა ზეცას, სადაც მთვარე ინჩეს ნიგოზს უახლოვდებოდა. სიმონიკამ ნიჩაფელების სადღეგრძელო შესთავაზა თანამოინახეებს და აღნიშნა, რომ ყველა ერს, დაჯგუფებას, ტომს, კუთხესა თუ ცოცხალ არსებას თავის წინამძღოლი, მედროშე ჰყავს — ოთხფეხების თვალის ჩინი ლომია, პლანეტების — მზე, რომაელების — კეისარი იყო, ნიჩაფელების თავი და სული კი — ბერი.

— რამდენჯერ შეიძლება ერთი და იგივეს მოყოლა? — იკითხა პალუამ.

სიმონიკამ ბიკენტის მიმართა:

— ორ მთას შორის მომწყვდეულ ხეობაში, გამოკეტილ სოფელში გაზრდილ გლეხის ბიჭისგან ეს ნუ გაგიკვირდება, — შემდეგ პალუას მიუბრუნდა, — ერთი და იგივე ნიახურის ჭამაა მოსაბეზრებელი. ხოლო თუ კიდევ შემაწყვეტინებ, ტომარას გადაგაფარებ თავზე, წაგაპორწიალებ და ყმად გაგყიდი ბეგლევში ან წიფლავაკეში.

— გააგრძელე, სიმონიკა.

— ნიჩაფელების ბერების თავი გამჭრიახი გონების ადამიანი იყო. ნიჩაფელებიდან პირველი მიხვდა, რომ რაგინდ კარგი საჭამადი არ უნდა მიირთვას კაცმა, ათი-თორმეტი საათის შემდეგ აღარც ახსოვს. თანასოფლელებიც სწრაფად დაარწმუნა, რომ არავითარი განსხვავება არ იყო — ბუმბულიან ბალიშზე ედებოდა კაცს თავი თუ ჯირკზე, ცხენზე შემჯდარი ჩაისეირნებდა შორაპნამდის თუ ფეხით იპორწიალებდა, ბაწარი ეკიდებოდა კისერზე თუ ოქროს ძეწკვი. ხალხს უნდა აუხსნა, რომ მაძღარი, ჩაცმული და ათასი ქისა მარჩილის პატრონი უბედურია. სამოთხის გასაღები — სიღარიბე, მორჩილება, ამტანობა და სიყეყეჩეა. ბრბო ძალიან გამგებიანია... ბერის რთულ ბუნებას გაცნობთ.. იმ კაცს ნიჩაფაც უყვარდა, თავისუფლებაც, ხალხიც, მაგრამ ცხოვრების ფასიც იცოდა. ვიდრე სიმართლეს, ჭეშმარიტებას შეამჩნევდე, მანამდის ათას სხვა რაღაც წვრილმანს, უმნიშვნელოს უნდა შეავლო თვალი. თავბერაც მორევში მოხვედრილი ნაფოტივით გრძნობდა თავს — ტრიალებდა, წრიალებდა, აწყდებოდა ნაპირს და ისევ შუაგულისკენ ვარდებოდა.

— დაიხრჩვა ბერი? — იკითხა ჯუმბერამ.

— ა, ელაპარაკე ამათ განზოგადოებით, სახეებით... ნიჩაფელი მაინც ნიჩაფელია... ჩაიყურყუმალავა, აბა რას იზამდა? გინახავს კაცი ერთხელ მაინც რომ გაქცეოდეს ამ ცხოვრების შავმორევას? მაგრამ ვიდრე დაიხრჩობოდა, საგმირო საქმეები ჩაიდინა.

— რატომ ვერ გამოსცურა, მხარი ხომ არ ჰქონდა ნაღრძობი? — იკითხა ისევ ჯუმბერამ.

— ბიკენტის ვერ მიმართა? — იყვირა კალინკამ, როდესაც ყური მოკრა რომელიღაც ადამიანის ფიზიკურ გაჭირვებას.

— ბიკენტი რა შუაშია?

— როგორ თუ რა შუაშია?!... ბიკენტა პირველი ექიმია თბილისში.

თოთხმეტ წლამდე საოცარ ცხოვრებას ეწეოდა მომავალი ბერი. დილიდან საღამომდე რიყეში დარბოდა, ყვირილაში ცურაობდა, დიდ ქვებს აგორებდა კლდიდან, მძლავრად ურტყამდა თოხს გამხმარ მიწას. მისი მეგობრები იყვნენ — მდინარე, ტყე, ვენახი და გალმელი

ვასიკო, საოცრად გამხდარი და სუსტი ბიჭი, წიგნების მოყვარული და ბევრი ზღაპრის მცოდნე. მთელ დროს ერთად ატარებდნენ. როდესაც შიმშილობის თვეები დგებოდა, მომავალ ბერს ჩუმჩუმად მოჰქონდა მეგობრისთვის მჭადი და ყველი. თოთხმეტი წელი უსრულდებოდათ, როდესაც ერთხელ დიდ ლოდზე იდგნენ და შავმორევს ჩასცქეროდნენ. მომავალმა ბერმა ხელი ჰკრა მეგობარს და წყალში გადააგდო. უწინაც უხუმრია ასე, მაგრამ ახლა ეს ბიძგი საბედისწერო გამოდგა, ვასიკომ წყალში თავი დაჰკრა ქვას. ეს პირველი გამოცდა იყო სოლომონის ცხოვრებაში, შემაძრწუნებელი, უაზრო, გაუგებარი, მტკივნეული, სულის გამხრწნელი და გამატლანქებელი. შემდეგ დედა ქუთაისელ ჩარჩთან ერთად გაიპარა სოფლიდან. შემდეგ ძმას ქურდობისათვის მარჯვენა მოათალეს. მაშინ მიხვდა სოლომონი, რომ უბედურებაც, ისევე როგორც თვალი, გაუმაძღარია, რომ ცხოვრების პერანგი მთლიანად შემთხვევითობისაგანაა მოქსოვილი. მაშინ ათი წლით გადაიხვეწა სოფლიდან, ათი წელი ხეტიალობდა დედამიწაზე. როდესაც ნიჩაფაში დაბრუნდა, ბერად აღიკვეცა.

— იტალიაში ხომ იყო? — იკითხა ბიკენტიმ და მედეას გადახედა.

სიმონიკა ჩაფიქრდა. ბოლოს თქვა:

— იყო.

— აი, მედეა, ხომ გეუბნებოდი, რომ წარმოშობით იტალიელები ვართ.

სოლომონი არ გაბოროტებულა. მხოლოდ უკვე აღარ იცინოდა, აღარ დარბოდა და ლოდებსაც აღარ აგორებდა მთებიდან, ხელს უწვდიდა სუსტებს, უბედურებს, ჩერჩეტებს. მან გააერთიანა ნიჩაფელები, მან გამოაცხადა ხელშეუხებელ პიროვნებად გაჭირვებული კაცი და სნეული.

— ამიტომ არ გაქრა ნიჩაფა იმ უამრავ სოფელსავით. რომელიც უკვალოდ შთანთქა მიწამ თავისი კერპებითა და კანონებით, თავისი სალოცავებითა და ენითა, თავისი მწუხარებითა და იმედებითა, — თქვა სიმონიკამ.

— რა სიმაღლის იყო?

— ტანად დაბალი, მაგრამ მხარბეჭიანი გახლდათ.

— ნაკელით განაყოფიერება აკლდა ალბათ.

— ნურას უკაცრავად, ფრინველივით მსუბუქი იყო, მუხასავით უდრეკი და ავაზასავით სწრაფი.

— ღელეზე თუ დადიოდა ტანის დასაბანად?

— ნიჩაფას წყლის აბაზანებს ლებულობდა აკვნიდან.

ერთხელ მარტოთუბნიდან ბრუნდებოდა ბერი. ერთ ადგილას ყვირილას მიადგა. ადიდებულ მდინარეში ჯორი არ ჩაჰყვა. ცხოველი მხდალი არ გახლდათ, მაგრამ ყვირილა მართლაც ძალზე ბობოქრობდა. მაშინ ბერმა პირუტყვი აიტაცა და ჯიქურ გადაცურა მდინარე, ასეთი იყო თავბერი. ასე ეწოდა ჩვენს კუთხეს თავბერეების კუთხე.

— ერთხელ თავბერამ კიდევ უფრო გაუთქვა სახელი ჩვენს არემარეს. სოლომონ მეფე თურქეთის ხონთქარს მასპინძლობდა ზემო იმერეთში. წვეულება ნიჩაფაში გაიმართა... ა, იმ კოპიტნარში. თურქეთის ხონთქარს თან ჩამოეყვანა მთელ მცირე აზიაში განთქმული მოჭიდავე... ის მკვდარძალლები, თურქები, მაშინაც კარგად ჭიდაობდნენ... ახოვანი თურქი სულ ერთიანად გაპოხილი გამოსულა საჭიდაოთ მოედანზე. რამდენიმე წუთის განმავლობაში ოთხი ჩვენი მოჭიდავე გააკრა ნიჩაფას მიწაზე. მოკლედ, წაგვაჯირგალა იმ ლორცხონებულმა. დაღონდა დიდი სოლომონ მეფე. — თვალებს აფახულებდა და ყვებოდა მასწავლებელი, — უცებ როკაპი მიუახლოვდა მეფეს და რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. მალე ნიჩაფელი ბერი მოგვარეს მეფეს. თუ როგორ დამთავრდებოდა ეს ორთაბრძოლა, ხვდებით ალბათ. ბერმა ჯორივით აიტაცა უზარმაზარი თურქი და საქართველოს, ისევე როგორც ნიჩაფას,

სახელი მოუხვეჭა მთელს ქვეყანაზე. სოლომონ მეფემ იმ კუთხეს, საიდანაც ბერი იყო, თავისუფლება უბოძა. ხოლო თვით ბერი უამრავი ოქრო-ვერცხლით დაასაჩუქრა. ასეთი დიდი წინაპარი გვყავდა.

ნიჩაფელლები კმაყოფილებით შეხვდნენ სიმონის ამ ინფორმაციას. შემდეგ ბიკენტის თხოვეს, გამოეთქვა თავისი აზრი. ბიკენტიმ ბევრი არ ახვეწნინა თანასოფლელებს. მან თქვა, რომ აქ, ნიჩაფაში დაიბადა სიყვარული მასა და სამყაროს შორის, რომ ნიჩაფა, დამარხული გონებაში და თითქოს სამუდამოდ დაკარგული, ისევ ილვიძებდა, ისევ ამოდიოდა მიწიდან, ისევ იბადებოდა. ხოლო აქომამდე გაცუცურაკებული ბიკენტი ისევ შეეჯაჯგურება ცხოვრებას, მოახრჩობს სულში ჩამძვრალ ათთავიან ურჩხულს — ტიფონს. მიწყივ ჭეშმარიტების საწინააღმდეგოს სიყალბე კი არ წარმოადგენდა, არამედ თვალის ახვევა და მოჩვენებითი სახე, ხილვა და ნისლი, რომელიც გარს ერტყმის საგანს და გაურკვეველ ფორმას ანიჭებს მას, ორაზროვნად აქცევს სულის უკიდეგანო, უსასრულო და მარადიულ ჩვენს ზემო იმერეთს — მარტოთუბანსა და ჯოყოეთა, სალიეთსა და ბეგლევს, ნიჩაფასა და ბოსლევს.

— საკრამენტალური გრძნობა დამეუფლა, — თქვა ბიკენტიმ. — ნიჩაფა უფალმა გამოუგზავნა კაცობრიობას შესასწავლად და წასაკითხავად.

სიმონიკამ, პალუამ, ამბაკომ და ჯუმბერამ ტაში დაუკრეს. კალინკა აქვითინდა. აბდულამ მთვარეს შეუყეფა... ამბაკომ კი იკითხა:

— მაინც რაა ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად საიდუმლოებით მოცული?

— ქალი, გული და ნიჩაფას სიყვარული, ჩემო ამბაკო, — მიუგო ექიმმა.

7.

მეორე დღეს ბიკენტიმ თვალებში ჩახედა მედეას. მედეას უკან კი მიხაკო. ვენახი გადაჭიმულიყო, მარჯვნივ, შორს, წაბლებით დაფარული მთა იდგა, მარცხნივ — ყვირილას ხეობა მიიკლაკნებოდა, ხოლო ზემოდან ზეცა დასცქეროდა. დილით საუზმის შემდეგ ორივე ზაფრამ მოიცვა. მაშინ გადაწყვიტეს ბუნებას შეერთებოდნენ. სხვა რა უნდა გააკეთო სოფელში, როცა ქალაქელი ხარ და სევდა მოგერევა?

ბიკენტი წუთით ყმაწვილი ქალის თვალთა უსაზღვრო სამეფოში ჩაეფლო. სად მთავრდებოდა ეს სამფლობელო, რას პირდებოდა ეს ახალი, უჩვეულო სამყარო? უეცრივ ბიკენტი წინათგრძნობამ მოიცვა, რომ ეს დილა სამუდამოდ, მთელი ცხოვრება დაამახსოვრდებოდა.

ვენახის თავში მოზვერი ძოვდა ბალახს.

მშვენიერი მედეა გატრუნული იჯდა და მოჯადოებულ ექიმს საშუალებას აძლევდა დამტკბარიყო მისი მშვენიერებით. ქალიშვილს თეთრი ბლუზა და ჯინსის ქვედატანი ეცვა და ტირიფს, წაბლს, აკაციას, ნარგიზს და იმერეთის თვალწარმტაც დილასაც კი ჩრდილავდა. „შენც, პეპელავ, ნუღარ დაფრინავ მინდორში“, — ღიღინებდა ექიმი გუნებაში. ამ მეყში ყველაფერი უყვარდა ბიკენტის — გვიმრები, გარშემო მობზუალე ბზიკები, მიწის და მდინარის სუნი, კორტოხები, ბილიკები, ღელეები, ლიფსიტები, თავკომბალები, ქორები, წისქვილი, კოლექტივის დიდი მარანი, ორღობეები, და მიხაკოს მოზვერიც კი. ხოლო ეჯავრებოდა ომები, მიწისძვრები, შავი ღრუბლები, ეპიდემიები და თვით ინფარქტიც კი, ყველაზე დიადი მისი მეტოქე.

უცნაურად უცემდა გული. ბიკენტი კარგად იცნობდა გულის ცემის ყველა ვარიანტს — აჩქარებას, შენელებას, აჩქარების პაროქსიზმს, არათანაბარ ცემას, ციმციმის ვარიანტს და საბოლოოდ გაჩერებას. დარწმუნებული იყო, რომ დაავადებული გულის მესაიდუმლე გახლდათ, დაღლილი, გაცვეთილი, მიტოვებული, დასუსტებული, გამოფიტული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბზარული ორგანოს მფარველი, შამანი და მედიუმი. მაგრამ ახლა ვერასგზით ვერ მიხვდა, თუ რა უნისონში ცემდა ამ წუთას ეს საოცარი წარმოქმნა. გაუკვირდა, რადგან ყოველთვის სჯეროდა, რომ ბუნების ერთ ნაწილს დიდი ხანია ახადა ფარდა, რომ მართალია ზერელე წარმოდგენა ჰქონდა ტვინზე, ღვიძლზე, ჯირკვლებზე, მაგრამ გულს კი იცნობდა. მაშინ წელზე მოხვია მედეას ხელი. ამ დროს მოზვერმა ნაზად დაიზმუვლა და ქალიშვილმა ბიკენტის ხელი მოიცილა.

— გვითვალთვალებენ, — თქვა ექიმმა, — ხან ჯუმბერა, ხან საკუთარი გონება და ხანაც პირუტყვები.

მაგრამ მოზვერმა მაინც ვერ შესძლო ბიკენტის სულიერი წონასწორობის განმუხტვა, რადგან როდესაც ირგვლივ ჰარმონია დასადგურდება, მისი დარღვევა ძნელია. სცენაზედაც კი, როდესაც თამაში აწყობილია, როდესაც გარშემო ურთიერთგაგებაა, დისონანსის შეტანა უნიჭო მსახიობსაც გაუჭირდებოდა ძალზე.

წამები სავსე იყო მოსალოდნელი თავდავიწყებით, სასიამოვნო ტკივილითა და საიდუმლო ფერადი კადრებით.

მათ შეძლეს შერწყმოდნენ ნიჩაფას ბუნებას, რადგან ერთი ნიჩაფას მარადიული ნაწილი იყო — ბიკენტი თავბერა, ხოლო მისი პარტნიორი — მშვენიერი მედეა — გარდასახვის არაჩვეულებრივი ნიჭით გახლდათ დაჯილდოებული.

— ნიჩაფას ზამბახო, — უთხრა ექიმმა ქალიშვილს, — ჩვენ ამ ბუნების შვილები ვართ, მინდა საბოლოოდ შევერწყათ ამ მიწას და ზეცას... მსურს გაგხადო...

— შეუძლებელია.

— რატომ ჩემო იადონო?

— მაშინ შიშველი დავრჩები.

— ო, რა ძვირფასი ხარ რომ იცოდე... ახლა ნამდვილად ვიგრძენი, მალე ერთ სხეულად გადავიქცევით... მედეა, შენისთანა ქალიშვილები დედიშობილა უნდა დაიარებოდნენ. ზნეობასთან ხერხემალგამრუდებულებმა, მკერდჩაცვენილებმა გამოიგონეს. შენისთანა ქალიშვილები თექვსმეტიდან ოცდაოთხ წლამდე არაფერს არ უნდა იცვამდნენ.

ბიკენტის თვალებში ველურმა ნაპერწკალმა გაიელვა, კიდევ უფრო სწრაფად აუთამაშდნენ წამწამები.

მაშინ მედეამ ჰკითხა:

— ხომ არ დავბრუნებულიყავით უკან?... კალინკა ბებია მომენატრა.

— ნაძირალა არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ შენც ნუ იქნები გულქვა.

მოზვერმა ისევ დაიზმუვლა. მედეამ თავი მიაბრუნა. ყმაწვილი კაცი კი სულ უფრო მეტად გრძნობდა მისი სხეულის სიმდიდრეს, დამლუპველობას და გამაოგნებელ, მსუსხავ ბიოდენებს. „ჩვენც პირუტყვები ვიყავით ახლო წარსულში“, — გაიფიქრა ბიკენტიმ.

ბლუზაზე ღილი შეუხსნა. მედეა მოზვერს უყურებდა და იღიმებოდა.

— შენც ღონიერი ხარ? — ჰკითხა მან.

„ზღვას ქარი აღელვებს მხოლოდ, — გაიფიქრა ვაჟმა, — მამაკაცს — დედაკაცი. ქალს კი ძალა, ცხოველური თვისება, სიყვარულის არა ნაზი, რუსთაველური მხარე, არამედ ამ გრძნობის სასიკვდილო ხელოვნება, შემაშფოთებელი, გამაოგნებული, ეშმაკისეული სუნთქვა, ტკივილი, დაცემა და გატალახიანება. ამ თამაშში გამოხედვა, სიტყვები, დაპირებები, ცრემლები, ოხვრა მხოლოდ დეკორაციებია, დროებით აგებული ხუხულაა“.

— აფორიაქებულ შავმორევაში მოხვედრილი ნაფოტი ვარ... რა ვილონო?

— აიტაცე!

— ქარიშხალში მოქცეულ ფოთოლივით ვგრძნობ თავსა... როგორ მოვიქცე?

— ხელში აიყვანე!

— მედეა?

— არა... მოზვერი.

ბიკენტის გაეღიმა. ყოველთვის ხიბლავდა ადამიანი, რომელსაც უწყინარი

ეროვნული

დაცინვის გრძნობა გააჩნდა. ხოლო თუ შენი ახლობელი ასეთი თვისებებითაა დაჯილდოებული, იგი კიდევ უფრო ძვირფასი ხდება... სიცილს ვერ ისწავლი. დიდი ხნის წინათ მიხვდა ბიკენტი. ერთხელ სკოლაში კინორეჟისორი ესტუმრათ და რამდენიმე ბიჭი სტუდიაში მიიწვია. შემდეგ მთელი საათი ეხვეწებოდნენ კინოაპარატის წინ დამდგარ ბიკენტის, რომ გაეცინა. მაშინ იგრძნო პირველად, რომ ეს მკრეხელობაა, როცა ნაძალადევად იღიმები. ძალით არც სიცრუის სწავლა შეიძლება, არც ექიმობის და არც ლექსების წერისა. ძალდატანებით ვერაფერს ვერ შეითვისებ. ძალდატანებით მხოლოდ სულის დამახინჯება და სხეულის წაბილწვაა შესაძლებელი.

— შენ გულისთვის მთელ დედამიწას შევისვამ მხარზე.

— მხოლოდ მოზვერი... დამიმტკიცე, რომ იმ ბერის შთამომავალი ხარ, ჯორი ადიდებულ ყვირილაში რომ გაიყვანა.

— სერიოზულად მეუბნები?

დილა კი ისეთი ნაზი იყო, ისეთი მიმზიდველი. მაგრამ ახლა ქალიშვილის სხეული ეფარებოდა ყველაფერს: მარადიულ მთას, მიწას, მდინარეს, პატარ-პატარა, გაჭირვებას, სწრაფვას, შავი ქვით დატვირთულ საბარგო მატარებელს, კალინკას... სიყვარულისა და ვნების გარდა ყველაფერს კალთას აფარებდა, ყველაფერს ცვლიდა. ამიტომაც მივარდა ბიკენტი მოზვერს და ფეხებში წვდა. მოზვერმა ნაღვლიანი თვალებით შეხედა. ექიმმა ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, მთელი კუნთები დაძაბა, დიდ შეჯიბრებაში მოასპარეზეს იერი მიიღო და მაღლა აიხედა. ასეთ დროს ღმერთი არ ღალატობს გაჭირვებულს...

— ჩვენ გზა აგვერია, მედეა. — თქვა დაბოლოს ბიკენტიმ. შუბლზე ოფლის წვეთები უბზინავდნენ, — გადავიკარგეთ, დავბორიალობთ და ვიმედოვნებთ, რომ ვიღაცა გამოგვიყვანს ტყიდან. ერთადერთი გზა კი ჩვენი სიმართლე და შემართებაა. ჩვენ თვითონ უნდა ვიპოვოთ ის ბილიკი, თავად უნდა ვუშველოთ კაცს.

— საქართველო დაიღუპებოდა დავით აღმაშენებელი, ერეკლე და თავბერა რომ არ ყოლოდა.

— მედეა, ყველაფერი მოგონილია, დავითზე და ერეკლეზე რა მოგახსენო, მაგრამ ბერის ამბავი ნამდვილად გაზვიადებულია... ძაღლი ან ბატკანი თუ გაიყვანა ყვირილაში... საშუალო ზომის ცხვარს მეც ავწევ.

მედეა შეყვარებულისაგან ვაჟკაცობას მოითხოვდა. სიმამაცე, სიმტკიცე, ურყევობა, გაჭირვების წუთებში სიმშვიდე, მფრინავი არწივები, ნამდვილი იტალიელები იზიდავენ ცხრამეტი წლის ქალიშვილებს. პირველყოფილი ბუნება, ჟანგბადით მდიდარი ჰაერი, დილის მზის სხივები, ყვავილების და ბალახის სურნელება, წარსულის შესანიშნავი სურათი — აბობოქრებულ მდინარეში ჯორის უფათერაკოდ გაყვანა — აღაგზნებს მათ წარმოდგენას და ნერვულ ბოჭკოებს. შეყვარებული შეყვარებულისათვის მემენტო მორია, ჰერკულესის თორმეტი დაუვიწყარი თავგადასავალია, ქართული ზღაპრების ერთადერთი უფლისწულია, თურმანიძის მალამოა ნაადრევი ჭრილობებით დასერილ სხეულისა და გულისათვის, შეუდარებელი წინასწარმეტყველია.

— მომაჯადოვე, ბიკენტი!

— კიდევ ხომ არ ვცადო?

— სცადე, ძვირფასო.

ისევ მიუახლოვდა მოზვერს ბიკენტი, ისევ შეანათა დიდრონი წყლიანი თვალები პირუტყვმა.

— აფრინდი, ჩემო ბოჩოლავ, — შეეხვეწა ექიმი. მაგრამ მოზვერმა ფრენა არ იცოდა. ბიკენტის ისევ მოეცარა ხელი, ვერ აიტაცა, ძვრაც კი ვერ უყო.

— კალინკა დაგვეძებს ალბათ... — თქვა მედეამ.

— შეუძლებელია შეუძლებელი მოთხოვო ადამიანს. ეს ტირანია, ავტოკრატია ან სადიზმია... გაშიშვლება და დიონისეს რაზმეულის ცეკვის გამართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა და ჩოჩორის ან მოზვერის აწევა ერთი და იგივე როდია. მედეა... შეუძლებელია საშინელი სენით — სიმსივნით დაავადებულის განკურნება, ძნელია დიდი ხნით პატიოსან კაცად დარჩენა, ისევე როგორც ზოგჯერ შეუძლებელია პატიოსანი ილეთებით აგარაკის აშენება ან იაპონიაში გასეირნება, შეუძლებელია ძლიერი ტკივილის გაყუჩება მორფიუმის გარეშე, შეუძლებელია სიკვდილის საბოლოოდ მოტყუება, შეუძლებელია მშრალად გამოძვრე, როცა შუა მინდორში დგახარ და კოკისპირულად წვიმს, შეუძლებელია ისე მოიკლა წყურვილი, თუ კი წყაროს არ დაეწაფები, შეუძლებელია დიდი ხნით მილიონობით ადამიანების დამონება... მათხოვრობა სიყვარულშიც დამამცირებელია.

— მაშინ რა არის შესაძლებელი?

— ქვედატანის გახდა... სეკუნდების ამბავია...

— კიდევ?

— ბევრი რამ... შესაძლებელია პატარა ტვინით პროფესორობასაც კი მიაღწიო, შესაძლებელია კიტრები, ყვავილები, ნივთები გაყიდო და კაცი გამოხვიდე, შესაძლებელია სუსტს მუშტი მოსდო ყბაში და დამრტყმელი ბიჭის სახელი მოიხვეჭო. შესაძლებელია ისე განვლო მთელი ცხოვრება, რომ ვერ შეამჩნიო დიადი ყვირილა, ნიჩაფას მარადიული წყალი, და ბიკენტი თავბერა. შესაძლებელია ერთ ადამიანში ყველაფერი იყოს თავმოყრილი — ძალა, სილამაზე, სისასტიკე და სიმდიდრე, მეორეში კი — არაფერი, უბედურების გარდა სხვა არაფერი. შესაძლებელია მთელი ცხოვრება გულის საიდუმლოების ამოცნობას შესწიროს კაცმა თავი და მაინც ვერაფერი დაინახოს...

აქ ბიკენტიმ ლაღადი შეწყვიტა, უეცრივ მოაგონდა, რომ დრო გარბის, რომ ხაყოფი თუ კი დროზე არ მწიფდება, უნდა მოწყვიტო, რადგან შემდეგ, მომწიფებული, შეიძლება სხვას ჩაუვარდეს პირში. ბიკენტიმ ხელში აიტ[illegible] ქალიშვილმა სილა გააწნა.

ახლა კი ალენთო თავბერა, წონასწორობა დაკარგა და ყველაფერი უთხრა, რასაც ფიქრობდა. წელან, როდესაც ნიჩაფას ამ ერთ კუთხეს შეაფარეს თავი, მიხვდა, რომ დღეს აქ მნიშვნელოვანი რამ დატრიალდებოდა. ასეც მოხდა. ბოლოს და ბოლოს ერთხელ მაინც იქნება სიცოცხლეში პირდაპირი. რამდენიმე დღის წინ მედეას მცხეთაში ყველაზე დიდი მარცხი მოუვიდა ცხოვრებაში. ასეთ დროს იმედის გაცრუება გარდუვალია. მაშინ გაუწოდა ხელი ბიკენტიმ დალუპულს. მან კი რით უპასუხა? გულგრილობითა და სიავით. მისი გალახვაც კი გაბედა მშობლიურ სოფელში, მეგობრების — ყვირილას, მდელოების, ვენახების და ბოჩოლას თვალწინ.

— რა მარცხი მომივიდა მცხეთაში? — იკითხა მედეამ.

— ორჯერადი გაუპატიურება.

მაშინ მედეა გადაფიჩინდა. იცინოდა და ცრემლებს იწმენდდა ცხვირსახოცით.

— წყალი მომაშველე საიდანმე, — შეეხვეწა ბიკენტის და ისევ განაგრძო სიცილი.

— თუ ახლავე არ დაწყნარდი, თხმელებში გადაგიყვან და მეც ვიძალადებ.

— ნიჩაფაში მლვიმე არსებობს?

—ქელიძეების ყანის თავზე, — მიუგო დალვრემილმა ბიკენტიმ.

— აი, იმ გამოქვაბულის მაცხოვრებელი ხარ, ადამის დროინდელი პიონერი.

— უხეირო და უადგილო სიცილი ყველაფერს სპობს და ლუპავს, რასაც კი შეეხება — ლტოლვას, სიყვარულს, იმედს და ნიჩაფას დილასაც კი, სიცოცხლეს ჯოჯოხეთად აქცევს, ადამიანს მუტრუკად.

— მაშ, გაუპატიურებული გეგონე?

— მედეა, სრულებით არ გაშინებს, რომ შეიძლება საბოლოოდ შემექნას აზრი, თითქოს ქარაფშუტა იყო?.. მოდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროზე აანთე გონების ჩირაღდანი და დამნებდი... ეცი გადამრჩენელს პატივი.

— არა.

ბიკენტიმ ხელი ჩაიქნია, ზურგი შეაქცია ქალიშვილს და მდელოზე წამოწვა.

მაშინ მედეამ გული გადაუშალა. ათიოდე დღის წინ მცხეთაში გიზომ და ბრონტოზავრმა ძალა დაატანეს და ორი ჭიქა შამპანური დაალევინეს. შუშხუნა სასმელმა ალმოდებულ ბენზინივით იფეთქა ძარღვებში და მედეამ უცებ მიიღო გადაწყვეტილება.

— საკუთარი ნებით გაწექი ზურგზე?

— წამოხტა ბიკენტი.

ქალიშვილმა განაგრძო. თეატრის გარეშე სიცოცხლე არ წარმოუდგენია. ხოლო ბოლო დროს ეჭვი ეპარებოდა თავის თავში. ასეთ დროს მერცხლის ფრთები კუს ფეხებად გეჩვენება, სირინოზის ხმა — ვირის ყროყინად, ხოლო უკვდავება — მომაკვდავად. ამოვარდნილი ქარიშხალი მისი სხეულის და სულის წალეკვას აპირებდა. ამიტომ მოინდომა საკუთარი თავის და ნიჭის სასწრაფოდ შემოწმება, და გადაწყვიტა როლის გათამაშება. ამ საქმისთვის საჭირო იყო გულუბრყვილო მაყურებელიც... მან ბიკენტი აირჩია. გაუბედურებული ქალიშვილის როლის გათამაშება ბევრ სიძნელეს აწყდება. ბნელეთითა და ლურსმნებითაა მოფენილი ეს გზა. მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. რადგან სიცოცხლე დიდებულია. ხოლო სცენა ხომ იგივე სიცოცხლეა?

ახლა ბიკენტიმ გაიცინა. ისევ სინათლე იდგა ნიჩაფაში. ისევ ძოვდა ბალახს მოზვერი, ადამიანივით ჭკვიანი თვალები რომ ჰქონდა. ისევ გარბოდა ჯვირილა შორაპნისკენ. ფსკერისკენ წასულებმა ისევ ამოყვინთეს. კიდევ ერთხელ გაიფანტა ნისლი, კიდევ ერთხელ ჩაიქროლეს ღრუბლებმა და ლურჯა ცხენებმა. მარადიული თამაში გრძელდებოდა.

8.

— ბებია, რატომ გადაცვალე ჩვენი სახლი პატარა ქოხზე?

— გეტყვი, ბიკენტო.

— ბებია, ოთხმოცი წლის წინათაც ასეთი იყო ქვეყანა?

— არ გაგიმჟღავნებ.

— რატომ, კალინკა?

— გული რომ არ გაგიტყდეს.

— ლა ნონა, ვივეკანანდა თუ გაგიგონია?

— სად ცხოვრობს, დილიკოურში?

— აპოკალიპსეს თუ იცნობ?

— წყაროზე დიდი ხანია ველარ ჩავდივარ.

— იოჰან ბორგენს, დორიფორეს, კორეჯოს?

— არა.

— ნუ დაგწყდება გული, მაინდამაინც არაფერი არ წაგიგია...

ღამღამობით თუ გძინავს?

— სულ მძინავს, ბებია, თვალები რომ მაქვს გახილული მაშინაც.

— ვაცანას თუ ხედავ სიზმარში, ბახულას, ლამაზოს, ჭრელას?..

— ვხედავ ზოგჯერ... უფრო ხშირად კი ბაბუაშენს იასონს, გალინას, ფულუნიას, თეოდოტეს, ზინაიდას.

— კაპიტონი ცოცხალია?

— მოკვდა.

— დომენიკე?

— შარშან გაუყვა გზას.

— ლეონინა?

— ქუთაისში უნახავთ, მთლად წასულა ხელიდან.

— გინდა ისევ თექვსმეტი წლის რომ გახდე?

— ღმერთმა დამიფაროს.

— კალინკა, რატომ გაცვალე სახლი?

კალინკას არ ესმის. ის ამბობს:

— მომისმინე, ბიკენტი. მედეა შენი ბედია... ნუ აწყენინებ.

— როგორ ფიქრობ, ბრიყვებს ხაფანგი დაუგო ჯობია თუ შეულოცო?... ან რა ჩანს, ბებია, მთვარეზე: ღრუბლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, ჩვენი წუხილი თუ მიცვალებულთა სულების სასაფლაოა?

— მორიელი ხომ არ დაგესიზმრა წუხელ?

— ლა ნონა, ხეები მაინც ჩურჩულებენ ხოლმე... რა საერთო აქვს ცაცხვს ბროწეულთან, ნიგოზს — მყრალ კოპიტთან?.. ბებია, ყველა ჩერჩეტს ეჟვანი რომ ჩამოკიდო, რა მოხდებოდა?

— სწრაფად დავყრუვდებოდით, ბებია.

— კალინკა, წამომყევი თბილისში, ერთად ვიცხოვროთ... მედეაც შეგეჩვია... ნუთუ ეს ბია, ქეციანი აბდულა და ყვირილა ჩემზე ძვირფასია? მზე თბილისშიც ამოდის, ზოგჯერ მთვარეც გამოჩნდება, ბოლოს და ბოლოს, აბდულას წაყვანაც შეგვიძლია. ხალხი იქაც დარბის შუკაში წინ და უკან, იქაც ბევრ სისულელეებს მოისმენ; იქაც დარწმუნებულნი არიან რომ ცოცხლობენ. იქაც ათამაშებს კატა თაგვს, კატას — ძაღლი, ძაღლს — ადამიანი, ადამიანს კი ბედი. ბოთე და რეგვენი თანაბრად არის განაწილებული ქალაქად და სოფლად. ნიღაბი პატრიოტიზმისა, განსწავლულობისა, სიდიადისა და საჭირო საქმის კეთებისა იქაც უხვად იხმარება. იქაც ზოგიერთი ოსტატურად იყენებს ადამიანთა სიბრიყვეს, სისუსტეს, გაუნათლებლობას, უგუნურობას. სიცოცხლის ნაბედისწერო არსი ყველგან ამოუცნობი რჩება, როგორც „იარმუკის" უბანში ისე ნიჩაფაში. ხოლო ფილისტერები და სნობები სიყალბით და სიცრუით ცდილობენ მის გადაწყვეტას. ზერელე, ზედაპირული, ხელმისაწვდომს იოლად ემორჩილება ადამიანი... ერთად დავანთოთ კერია, ერთად გავეფიცხოთ ბუხარს ზამთარში.

— სხვა ქალაქში წასასვლელად ვემზადები.

— ჭიათურაში ხომ არ აპირებ გადასვლას?

— უფრო შორს, ბიკენტი.

— ჯერ ადრეა, კალინკა.

„მედეას თვალები ალუბლებს ჰგვანან. ვინ იტყვის თავხედი და ტლანქია არის ის, ვინც მის მოსანადირებლად ათი დღით ნიჩაფაში გადაიხვეწება? ამ თვალების ფსკერზეა მოთავსებული ყმაწვილი კაცის თავისუფლება, გააზნაურება, და ბორკილებიც. განა ეს თვალები იმიტომ არ იძერწება, რომ საკუთარ თავს გაექცეს მეორე კაცი, დამალოს, დამარხოს სამუდამოდ ის, რაც მასში ფარული და საშინელია — ღორები და ქორები, გიენები და გომბეშოები? ამ თვალების სიღრმეშია გაფანტული სიცოცხლის არსის მცირეოდენი ნაპერწკალი. ის შეცვლის ნიჩაფას, წლებს და იმედის გაცრუებას"...

მედეა ნათელამ წაიყვანა დილით მაყვლის საკრეფად ღელეში. ბიკენტიმ კი გულღია საუბარი გააბა კალინკასთან. ყველაფერი აინტერესებდა, რაც კი ნიჩაფას შეეხებოდა. ექიმი ეკითხებოდა, კალინკა მოკლედ პასუხობდა. აი, ის კითხვებიც, რომელიც ექიმმა მისცა: ვინ იყო თავბერას შემდეგ ყველაზე ცნობილი ნიჩაფელი? ჰქონდათ თუ არა ნიჩაფელებს საპატიო წიგნი ღირსეულთა სახელის უკვდავსაყოფად? სად უფრო სხარტად მუშაობდნენ ნიჩაფელი კოლმეურნეები — ყანაში თუ ვენახში, საკუთარ თუ საკოლმეურნეო ნაკვეთში? რომელი იყო დაძმობილებული სოფელი — ბოსლევი თუ ბეგლევი? ისევე რომ გაეთეთრებიათ ყვირილა, გული ხომ არ დაწყდებოდათ? ხშირად ილვრება თუ არა ქათმების სისხლი ამ უბიწო მიწაზე? ხორცს თუ მიირთმევდნენ ზოგჯერ მაინც? რატომ არიან ასეთი მხიარულები, უდარდელები და კეთილშობილები? ან კაცობრიობის აკვანი ნიჩაფაში ხომ არ დაირწა პირველად? იყო თუ არა დაჯგუფებები სოფელში და რომელი მეთაურობდა თითოეულ მათგანს? დევები რომ დაეცნენ სოფელს, წაუწვებიან თუ კეტებს ალმართავენ და ეკვეთებიან მტარვალებს ვითარც უხორცონი? როდის აპირებენ თავბერას ძეგლის ალმართვას წყაროსთან? ყოფილა როდისმე რომელიმე ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაფელი ამერიკაში ან იაპონიაში? ელექტროდენს ხომ არ იპარავენ? ხომ დროზე აქცევენ ზურგს ანონიმური წერილების ავტორს? ყავის სმა თუ დაიწყეს?...

— მაინც რატომ გაცვალე სახლი? — უკანასკნელი კითხვა ასეთი იყო.

მაშინ კალინკამ უპასუხა:

— სასაფლაო შემოვრაგე, ბიკენტი... ცოტაოდენი კუბოსთვის გადავდევი, დანარჩენი კი შენ შეგინახე.

ბიკენტი წამოხტა, აივანი გაირბინა და თუნგულას ეცა. მაღლა აიტაცა და ჭურჭლის ბაგეს დაეწაფა. სვამდა და სვამდა. როდესაც გამოსცალა, თქვა:

— როგორ გაგისწორო ახლა მზერა?.. რაღა დამრჩენია, თავის გადაპარსვის გარდა?... როგორ ვიყივლო აწი, როგორ შევეგებო განთიადს? რა დააწყნარებს უეცრივ აფორიაქებულ გულს — „სოტკე" წყარო თუ ნიჩაფას აბაზანები? ამ წუთის შემდეგ ველარასოდეს ისე ლაღად და თავისუფლად ველარ ავკვანწალდები, ველარც ვიცეკვებ, როგორც აქომამდის. ბებია,ამიერიდან სიცოცხლე—ყოველდღე საკვებისა და ჩასაცმელის შოვნაზე ზრუნვა, სირბილი, პატარ-პატარა ტყუილი და ფლიდობა, შეიძლება მოსაწყენი გახდეს... დღეიდან გამიჭირდება თავისუფლად დაველაპარაკო ჩვენს ძმებს — ნიავს, ნაკადულს, თხებსა და ძროხებს, თელასა და ძეწნას... ჩემი გულის ია მაინც გამოჩნდეს მალე, დამამშვიდებს, ნუგეშსა მცემს და მომილოლიავებს... გმირი ყველაზე ძლიერ დარტყმას მშობლიურ კერაში ღებულობს. კეისარისთვის მახვილი ეგვიპტეში ან ატლანტის ოკეანის სანაპიროსთან რომ ჩაეცათ, გადარჩებოდა. ასჯერ მეტად მოწამლულია ნაჯახი, ისარი თუ სიტყვა საკუთარ ზეცის ქვეშ. დაკოდილი, გალეწილი მთვრალი და ტალახში ამოსვრილი ყოველთვის შინისკენ გარბის. სადაც მალამო, ტაშტი და თბილი წყალი ეგულება. ხოლო თუ მშობლიურ მიწაზე გირტყამენ სადღა უნდა გაიქცე, საით უნდა გაიხედო? ბებიას აივანზე მიღებული ჭრილობა ფართო, ღრმა და მოუშუშებელია... ცვალერიანის წვეთები ხომ არ გაქვს?

— ატატოს წამალს დაგალევინებ, სიცოცხლის ნექტარს.

კალინკა ოთახში შევიდა და სიმინდის ქუჩეჩით დაცობილი დოქი გამოიტანა. წამალი დიდ ჭიქაში ჩაასხა და შვილიშვილს გაუწოდა.

— შესვი, გაამოს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბიკენტიმ თავი უკეთ იგრძნო.

— ეს რა მითხარი ბებია... აქეთ უნდა გუხმარებოდე, — ცივი ტილო დაიდო შუბლზე და უსამართლობაზე გაუბა საუბარი.

— იყუჩე, ბიკენტი, დაწყნარდი... ნუ ღელავხარ...

— მართალია არაფერი მაბადია, მაგრამ ბუნებით და აღზრდით ოპტიმისტი ვარ. ადამიანს ცხოველზე მაღლა ვაყენებ. ავადმყოფს დროზე ვსინჯავ და ვმკურნალობ. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ მწამს მომავლის და შორეული ჰორიზონტებისა. დადგება დრო და ადამიანი ადამიანს გადაეხვევა, პითონი კურდღელს სიყვარულით ჩახედავს თვალებში, იუდა კი ვერცხლს შეიჯავრებს... მაგრამ ახლა მაინც ძალიან მცირე ხელფასს გვაძლევენ. ხოლო სულის გაყიდვა რატომღაც ჯერ-ჯერობით არ მინდა, ბებია. სანამდისაც შევძლებ ვივლი ძველი შარვლით ლაღად და თავაწეული. ეგ ფული კი შენ მოიხმარე... უპატიური და უხსენებელი ბევრი დაიკლაკნება ნიჩაფაში?

— როგორც ყველა სოფელში, — უპასუხა კალინკამ.

— მედეას არ უკბინონ.

— უი, როგორ გეკადრება, სტუმარს ცნობენ ნიჩაფაში... შენ კი წამოწექი, მოისვენე პატარა.

— ვისაუბროთ, ბებია, ვინ იცის როდის შევხვდებით კიდევ...

— რა გამოგიგზავნო თბილისიდან?

— არაფერი... შენ იყავი კარგად, მოუარე თავს, უქუდოდ არ გახვიდე ქარიან ამინდში, წვიმაში ფეხის დასველებას მოერიდე, დროზე ჭამე საჭმელი და ღვინის სმას ნუ გადაყვები.... იყავი ბედნიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეასთან ერთად და ზოგჯერ ჩვენც მოგვიგონე, ისე ხანდისხან, თვარა იმითაც არაფერი დაშავდება, თუ კი არ გაგახსენდებით... რაცხა ძალიან იბინება მზე, წვიმამ არ დასცხოს საღამოზე.

ბიკენტი ტახტზე წამოწვა და ძველ, ნიკოლოზისდროინდელ მუთაქაზე მიდო თავი.

— მოდი, კალინკა, ბავშვობაში გადავინაცვლოთ... დიდედა, რატომ მჭრიდი თავს რატომ მარცხვენდი ტოლებში?

— რავა?

—რატომ გადმოდგებოდი ხოლმე საღამოობით და ვიდრე ხმას არ გაგცემდი, არ მორჩებოდი ყვირილს: „ბიკენტო, ბიკენტო, ბიკენტია!". გურამა როგორ არის?

— ბათუმში ცხოვრობს, ელმავალი დაჰყავს.

— ამოდის?

— ზოგჯერ.

— გახსოვს როგორ მატყუებდი?.. დიდი მჭადი და პატარა ყველიო... ახლა რატომღაც მეჩვენება, მაშინ ყველის დიდი ნაჭერი რომ მოგვეტეხა ან გესწავლებია, რომ დიდი ნაჭერი ყოველთვის ჯობია პატარას, ახლა ჩემს ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფდა... რა სანთელსაც ბავშვობაში მოგაჩეჩებენ ხელში, იმით ინათებ მერე ცხოვრებაში გზას.. პაწია ჭრაქით კი შორს ვერ გახვალ, ვერ გაინათებ ორღობეს, ბებია, ვერ გადაურჩები მგლებს... ჯუნგლებში თუ გიცხოვრია?

— სამჯერ ვიყავი თბილისში, ორი კვირის მეტი ვერ გავძელი.

— რა ჩიტივით გაფრინდა ათი დღე... რომელზე ჩამოდის მატარებელი?

— გვიან ღამით... მაგაზე ნუ იფიქრებ, არ დაგაგვიანდება, ხვალ მთელი სოფელი გაგაცილებთ.

— რამდენი წუთით ჩერდება?

— ათი წამით.

— კალინკა, გამახსენე, როგორ მაგზავნიდი სიმონიკასთან ერთად წისქვილში სიმინდის დასაფქველად, როგორ გამაყიდიე ერთხელ ნიჩაფას სადგურში მსხალი. ‌‌|

„იმ წარსულ დღეთა მოგონება შეუდარებელია... მაგრამ მაინც რა შეედრება?... მედეას ყელს, პირველად დანახულ ცისარტყელას, ინდოეთის რაჯას ბრილიანტს, აკაკის ლექსს, გამოუცდელ და ნაოჭებით დაუღარავ გულს, ნიაღვარში შეღწეულ მზის სხივსა და წყლის წვეთებს, მარგალიტად რომ იქცევიან, დილის ნიავს, ციცინათელებს თუ მიქელანჯელოს და ლეონარდოს ქმნილებებს, რომლებსაც ვერასოდეს ვერ იხილავ, ისევე როგორც არასოდეს აღარ განმეორდებიან ის წლები?... თუმცა, სასწაული რომ მოხდეს და რომში ამოჰყო თავი?... ან სამი ათასი წლის შემდეგ რომ აღმოცენდე აგრიგენტოში ან ახლომახლო სადმე? არა, ბიკენტი ვეღარ მოტყუვდება, ოცდაათი წლის ასაკში თავის მოტყუება შეუძლებელია. ჩვენგან იტალიაში უფრო ხშირად საქმოსნები, ფილისტერები, კიკიმორები და ლეყვერები ხვდებიან:.. ვაცანასთვის მიქელანჯელოს მოსე რომ გეჩვენებიათ, როგორ მოიქცეოდა?... აღტაცების ნიშნად წვერებს გააცანცარებდა და დაიკიკინებდა... ათჯერ რომ დაიბადოს ის არქიელეშუტე და ვაცანა? ისევ სნობად და ვაცანად დარჩებოდა!

საღამოს წვიმა წამოვიდა. მეორე დღესაც წვიმდა. ილვრებოდა ცის ცრემლები მიწაზე, პატარ-პატარა ნაკადულებად იქცეოდა და თავდაღმართზე მიიკლაკნებოდა. გალუმპული ქათმები ხის ქვეშ შეიყუჟნენ და უხალისოდ იყურებოდნენ. ნიჩაფა თანდათან ეფლობოდა სისველეში. შუადღეზე ჯუმბერამ მოირბინა და მაშინვე გავარდა.

შემდეგ ეზოში ქოლგიანი ქალი გამოჩნდა. მარცხენა ხელში ხელკალათი ეჭირა. ციაგა, რომელსაც სულ ოთხი კლასი დაემთავრებია, ნიჩაფაში ყველაზე გემრიელ ხაჭაპურებს და მჭადებს აცხობდა. ეკალას დამზადებაშიც ბადალი არ ჰყავდა. ციაგამ სადილად მიიპატიჟა ბიკენტი და მედეა.

— ვერ წამოგყვები, — უთხრა ექიმმა. — ვიცი, შენ გამოწყობილი და გამოპრანჭული სტუმრების მიღება გიყვარს, ასეთ ამინდში კი ახალ შარვალს, პერანგს და ჰალსტუხს ვერ გავაფუჭებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქოლგას გათხოვებთ.

— ტლაპოს როგორ გადავურჩე?

— ასეც ვიცოდი... ამიტომ წამოგილეთ ცხელი ჭადები, ყველი, ხაჭაპურები, კიტრი, პრასი და ეკალა.

ბიკენტი ჩინებულ გუნებაზე დადგა.

— დიდხანს იცოცხლე, — თქვა მან, — შენ დაგაბერა კალინკასავით, არ გამოგილიოს უფალმა ეზოში ჭუკები, წიწილები, გოჭები, თხები, ცხვრები და ძროხები.

— როდის მიბრძანდებით?

— საღამოზე.

— აპა, წავედი ახლა... კეთილად გემგზავროთ... ხომ ჩამოხვალთ ისევ მალე?

— ერთ თვეში, ციაგა.

— მაშინ წიწილებს დაგიკლავთ, გოჭს შეგიწვავთ და ნიყვს მოგიკრიფავთ ტყეში.

ბიკენტიმ უთხრა:

— ნიანგები უნდა დაცურავდნენ ყვირილაში, ზებრები რიყეში დარბოდნენ და ცაში არწივები დაფრინავდნენ. ყველა ეზოში თითო შვლის ნუკრი მაინც უნდა კუნტრუშობდეს და იადონები გალობდნენ... ერთი აბანო, ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი და სამი ჩოგბურთის კორტი. დიდებული ნიჩაფელები ყველაფრის ღირსი ხართ... იეროგლიფებს უნდა კითხულობდეთ და პირამიდებს აგებდეთ.

— შენ გაეზარდე დედას, — ციაგამ ქოლგა გაშალა.

როგორც კი წავიდა, ბიკენტი კალათას ეცა.

უცებ ბიკენტის გაეღიმა. ისევ შორეული წლები მოაგონდა. ომი მძვინვარებდა მსოფლიოში. შიმშილი იდგა ნიჩაფაში. ერთხელ მიხაკო ეწვია სტუმრად. ხელში გაზეთში გახვეული მჭადი ეჭირა. მეზობელმა საუბარი გააბა კალინკასთან და მარიამთან. მეორე ოთახში გაყუჩებული ბიკენტი და მურმანი ჭუჭრუტანიდან უთვალთვალებდნენ . სტუმარს. დრო გადიოდა. მიხაკო კი ფეხს არ იცვლიდა. მიხაკოს და კალინკას ოჯახები მეგობრობდნენ. მაშინ პირველად მოჰკრა ყური ბიკენტიმ სიტყვას — „ვალდებულება". მეზობელმა რამდენჯერმე გაიმეორა, ვალდებული ვარო. ლოდინი ჰგავდა წამებას, მიხაკოს წასვლის შემდეგ მჭადის ნატეხების გადაყლაპვა — ზღაპარს. მას შემდეგ ექიმი ყოველთვის ცდილობდა, იქ სადაც საჭიროება მოითხოვდა, ამ სიტყვის მსახური ყოფილიყო. ნიჩაფაში ასწავლეს, პირველი დიდი გაკვეთილი ჩაუტარეს მოვალეობისა და კაცთმოყვარეობისა.

— მედეა, რაც არ უნდა თქვა, ნიჩაფურ ეკალას არაფერი შეედრება.

მედეამ მხრები აიჩეჩა. სიამოვნებით ამოჰყოფდა ახლა თავს „ივერიის" კაფეში და აქეთ-იქით გაიხედავდა. როდესაც წვიმს, როდესაც თბილისი უსაშველოდ შორს არის, როდესაც ყავასაც ვერ გთავაზობენ, ასეთ დროს ქალიშვილს ზოგჯერ თვალის უპეები ცრემლითაც კი ევსება. მაგრამ იმ აზრმა, რომ დრო ყველა თვითმფრინავზე სწრაფად მიჰქრის და რომ სულ მალე მატარებელში ჩაჯდებოდა, ისევ ღიმილი მოჰგვარა ყოფილ სტიუარდესას.

— ბებია! — გაისმა ჭიშკრის მიღმა ვილაცის ხმა.

— რომელი ხარ? — გასძახა კალინკამ და ხელი მიიდო შუბლთან.

— ნუგზარა ვარ, ბებია... შეიძლება?

ნუგზარა გამხდარი, თმააბურძგნული ვაჟი იყო. კიბეზე სწრაფად ამოვიდა და შეჩერდა.

— რატომ არ შემოდიხარ? — ჰკითხა კალინკამ.

— იატაკს ვერ გაგისვრი.

— რა გაქვს მაგ კალათში?

— ნიყვი... წუხელ იწვიმა და ამოვიდა, ძველი სადგურის თავზე მოვკრიფე ტყეში.

ბიკენტის მჭადის ნატეხი გამოუვარდა პირიდან.

— რას ათასებ?

— რავა გეკადრებათ, ისე მოგართვით.

ნიყვს განუმეორებელი გემო აქვს. ვერ შეედრება ვერც ხოხობი, ვერც ფარშევანგის ტვინი და ვერც ჩინური ბაყაყი, ეს იცოდა ბიკენტიმ. მან კალათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ჩაიხედა. სულით ძლიერი ადამიანები ნიანგის ხახაშიც კი არ დაახამხამებენ წამწამს. მაგრამ სამაგიეროდ შეიძლება სულ უბრალო სიტუაციაში გაფითრდნენ ან გონება დაკარგონ. რადგან მათ მგრძნობიარე გულიდან ისევე სწრაფად სხლტება იმპულსები, როგორც ყინულზე ფეხი. წითელთავიანმა ნიყვმა წუთით დააბრმავა და მიწა გამოაცალა ფეხქვეშ ბიკენტის.

კალინკამ წყალი დაასხა თავზე.

— რას შვები, ბებია, — მაშინვე წამოსტა ექიმი.

ნიყვი კეცზე შეწვეს. საღამოზე კიდევ უფრო მაგრად დაუშვა. აგრილდა. კალინკამ ხალათი მოახურა მედეას. მაღლიდან საბარგო მატარებელი დაეშვა ზესტაფონისაკენ. ორღობეში ვილაცამ აიარა. აბდულამ დაიყეფა სოფელმა ჩაიძინა. ბიკენტიმ საათზე დაიხედა და წამოდგა:

— კალინკა, ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი ამ ქვეყანაზე მაინც დროა... აი, ჩვენც მოგვაკითხა მან.

— მშვიდობით, ბიკენტი.

— ნახვამდის, ბებია.

მედეა თმას ისწორებდა. კალინკამ ქაღალდში გახვეული ფული ჩაუდო ბიკენტის ჯიბეში.

— რა არის მაგი?

— ბიკენტო, მოხუცებულს, განსაკუთრებით სოფლელს, ისევე როგორც ბალანას და ყვავს, კაკალსაც კი ვერ გააგდებინებ. მაგრამ ეტყობა საბოლოოდ გამოვჩერჩეტდი ან დანაშაულის გამოსწორებას ვცდილობ, ერთხელ მაინც მინდა ყველის მთლად დიდი თუ არა, საშუალო ნაჭერი მაინც ჩაგიდო ხელში.

ბიკენტი ბებიას გადაეხვია.

—დიდედა, თოფი მესროლე... მაგრამ იმათაც შეურცხვა ცხვირ-პირი, ვინც ასეთ მდგომარეობაში ჩამაყენა... სად გაგონილა წელში მოხრილი ბებია რომ ეხმარებოდეს ისევ ოცდაათი წლის ჩოჩორს, თანაც ექიმს.

მერე მედეას ჩასჩურჩულა ყურში, რომ მალე შეატყობინებდა ერთ ცნობას, რის შემდეგაც კიდევ უფრო [illegible]ლდებოდა ქალიშვილის და მისი მეგობრების თვალში.

— ანტიოფეს მოკითხვა გადაეცი, ბებია, უთხარი მაპატიოს რომ ვერ გამოვემშვიდობე და დაარწმუნე, რომ წელიწადში ბარე სამჯერ ან ოთხჯერ თუთუნს გამოვუგზავნი.

გამოთხოვების წინ უნდოდა ეკითხა, კალინკა, რატომ გაგიხუნდა ასე თვალები, რატომ ველარ დარბიხარ, რატომ მიგატოვა ყველამ? ან რა გქონდა ამაღელვებელი — ტანჯვის, წვალების, რწყილებისა და ზრუნვის, ნიჩაფას პატარა კომედიური თეატრის გარდა სხვა?

საშინლად წვიმდა, რუხი ღამე იდგა და ნიჩაფელებმა ვერ გააცილეს სტუმრები.

მატარებელი ჩამოდგა. ვაგონის ყველა კარი დახურული დახვდათ. ისევ სიჩუმე და გულგრილობა, ისევ გაუგებრობა და დაბნეულობა. მატარებელი დაიძრა. მაშინ ქალიშვილის შემზარავი კივილი გაისმა. ამ ხმამ ისევ გააქვავა „საჩხერე-თბილისი“. ერთ-ერთი ვაგონის კარიც გაიღო. მედეა და ბიკენტი მკვირცხლად ავარდნენ კიბეზე.

— ახლა გვიშვებთ, გვრთავთ ნებას, მოგზაურობა რომ გავაგრძელოთ? — იკითხა ერთმა არყისაგან გამოლენჩებულმა მგზავრმა.

— გიშვებთ, — უპასუხა ექიმმა.

მგზავრმა ორი თითი ჩაიდო პირში და ვითომ დაუფშტვინა. ელმავალმა დაიწივლა, დაიძრა.

ბიკენტიმ სახელურებს მაგრად ჩაჭიდა ხელები და ვაგონიდან გახედა ჩაძინებულ სოფელს.

— არივედერჩი ლა ნონა, მშვიდობით კალინკა!.. მშვიდობით ნიჩაფავ!

არავის გაუგონია. სოფელს ეძინა. კალინკა ნახევრად ყრუ იყო, როგორც სინამდვილე, როგორც სამყარო, როგორც ბედი თუ მეორე ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი IV

## კვარჩხალი

### I

ბიკენტიმ წყალი შეისხა სახეში. შემდეგ თავი ასწია და სარკეში ჩაიხედა. თვალის უპეები ოდნავ შეშუპებოდა. ისევ შეისხა. გაზქურაზე წყალი დუღდა. პირსახოცით სახე შეიმშრალა და თმა დაივარცხნა. ოთახში დივანში ჩაჯდა და ელექტროსაპარსი ჩართო... ასე იწყება დღე, პოემა. შემდეგ რბოლა ტაძრისაკენ. ხელში კი ლამპარი გიჭირავს და ცდილობ ტროლეიბუსში რომ არ ჩაგიქრეს: უტევ, მუჯლუგუნსა ჰკრავ, ფეხს ფეხზე აბიჯებ თანასოფლელს, თანამზრახველსა და თანამებრძოლს. ისიც გპასუხობს, ისიც უფრთხილდება თავის ჭრაქს... ცხოველური სულის განუწყვეტელი საზრუნავი...

ბიკენტიმ ტელეფონის ყურმილი აიღო.

— რას აკეთებ? — გაისმა ტიმოთეს ხმა.

— მუტაბორ! — გარდავიქმნები.

— მაშინ სამსახური გამიწიე.

— კეთილი, ვამეხ... როგორ გეძინა?

— მშვიდად, ფრატელიო.

ტიმოთეს უფროსის ნათესავი გამხდარიყო ავად. ხომ იცის, სოფლის მამის გულის მოყვავილება პატარა საქმე როდია. ავმაღლდებით, ღიმილს დავიმსახურებთ. ექიმმა პირობა მისცა, რომ სამსახურის დამთავრების შემდეგ ინახულებდა ავადმყოფს.

ყურმილი დადო და საათზე დაიხედა. „სად გაჰქრა მედეა?.. ძინავს თუ შხაპის ქვეშ დგას?“... სამსახურში გაქცევის წინ მშვენიერ თბილისელზე ფიქრი სასიკეთოდ განგაწყობს, სასიამოვნოდ ჯთენთავს, ჩასაქრობად გამზადებულ ცეცხლს ისევ აგიზგიზებს ბუხარში... კედლიდან მარიამი ულიმის... „მარიამ, კალინკა, ბორის... სურათის გარდა კიდევ რა რჩება ადამიანებისაგან?..

გაჩერებიდან საავადმყოფომდე მართლაც ზორბად გარბოდა ბიკენტი. სატაბელოს დაფასთან ზუსტად ცხრა საათზე მიიჭრა.

— ყოჩაღ, — უთხრა მეტაბელემ.

— ვცდილობ, ვარდენ, — გაუღიმა ბიკენტიმ და ოფლი მოიწმინდა ცხვირსახოცით შუბლიდან, — ჯერ კიდევ არ მღალატობენ კანჭები და სწრაფვაც გამაჩნია.

— ყოველთვის პატიოსან და პირდაპირ კაცად მიმაჩნდი. ამაშია შენი ფარული ძალა... შეპირებული შუშა სად არის?

— ვარდენ, საცაა ოცდაათი წელი შემისრულდება და დიდი ხანია იმ ასაკიდან გამოვედი, როცა ტყუილის თქმა აღარ შემეფერება... კონიაკი ამ კვირის ბოლოს დაიდება შენს მაგიდაზე... ვარდენ, დიდი მისია გაწევს ამ ქვეყანაზე, რთული და საიდუმლო. ასე თუ ისე, საავადმყოფოს თანამშრომელთა სადაეების მპყრობელი ხარ, დიდო.

— ნაჭერში გახვეული მოიტანე, ბიკენტი... ბოთლი, რაც მეტად არის შეფუთვნილი, მით მეტად მიმზიდველი და გამახალისებელია.

— მართალი ხარ, საიდუმლოება — კეთილდღეობის საწინდარია... ვარდენ, აუცილებლად გავიმარჯვებთ... მე კონიაკს გაჩუქებ დროდადრო, შენ ხუთ წუთს, ზოგჯერ მთელ დღესაც. ამბობენ, ერთი კვირა ათი მანეთი ღირსო. ერთი კვირის თავისუფლება და რამდენი სიხარული დაისადგურებს გულში... ვარდენ, მე ვიცნობდი ერთ კაცს, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში არც ერთი დღე არ გაუცდენია სამუშაოზე. მეორე კი — ორმოცი წლის განმავლობაში ნახევარჯერ არ დადიოდა... აი, ის მეორე უფრო პატივისცემით სარგებლობდა, როგორც ნამუსდაკარგულთა, ისე პატიოსანთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ, ბიკენტი?

— იმიტომ, რომ მას და მამამისს ბევრი ბრენდი და სხვა ნივთები ჰქონდა, რომლის წინაშე პასუხისმგებლობა, თავდადება და ოფლის ღვრა ისეთივე დამოკიდებულებაშია, როგორც მგლის თავი სახარებასთან... ვარდენ, აქ არავითარი დრამა არ არის. ტრაგედია მაშინ იწყება, როცა არაფერი გვაქვს გასაცემი.

— მთელი გულით გეთანხმები, ბიკენტი.

საავადმყოფოდან წასვლის წინ ბიკენტიმ ბორისს გაუარა. მეგობარმა სავარძელი შესთავაზა. ბიკენტის ეჩქარებოდა.

ბიკენტი დაემშვიდობა და მაჩაბლის ქუჩისაკენ აიღო გეზი. სასურველი სახლი სწრაფად მოძებნა. მაგრამ ვიდრე აუყვებოდა კიბეებს, შეჩერდა. პორტფელი ფეხებს შორის გაირჭო და გულმოდგინედ შეისწორა თმა. ამ დროს ორი ყმაწვილი გამოვიდა შესასვლელიდან, ერთი წამით შედგნენ, დააკვირდნენ ბიკენტის და გაიცინეს. „ლამაზდება ბიძა", — გადაუჩურჩულეს ერთმანეთს და მოჰკურცხლეს.

ბიკენტიმ თითი დააჭირა ზარის ღილაკს.

ბიკენტიმ ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა პაციენტის ბინა. და კიდევ ერთხელ დაინტერესდა, თუ როგორ ახერხებს ასე დიდებულად დაფუძნებულ სასახლეში რუხი მგელი — ინფარქტი შემოძურწვას. მხოლოდ მეომარი და ცხოვრებასთან პირისპირ მებრძოლი კაცი თუ შეძლებდა ამ ბროლის ჭურჭლის, სურათების და სხვა ნივთების დაპატრონებას. ნუთუ ასეთი კაცი არ არის ღირსი უბედურებას რომ გაექცეს? ჩვალ შეიძლება სამარეში ამოჰყოს თავი, მისი ნამდვილი ადგილი კი მოსამართლეებია, გამომძიებლების, ცნობილი პრაქტიკული ექიმების, მეღვინეების, მექუდეების, სახელმოხვეჭილი საქმოსნების გვერდითაა. კაცმა, რომელიც ნაადრევად მიხვდება, რომ ნამუსი და პატიოსნება მხოლოდ ბრიყვებისთვისაა მოგონილი, უშფოთველად უნდა იცხოვროს.

ტიმოთე წინ წაუძღვა ექიმს. ფრთხილად შეაღო კარი. ჭალარა მათემატიკოსი, უნივერსიტეტის დოცენტი თვალდახუჭული იწვა. სასთუმალთან მეუღლე და ქალიშვილი იდგა.

— ძლივს ჩაეძინა. — ჩურჩულით თქვა მადლენამ, მეცნიერის მეუღლემ.

ხელზე იმდენი ბეჭედი ეკეთა, რამდენი თითიც ჰქონდა.

— არ დაუჯეროთ, არ მძინავს, — თქვა მათემატიკოსმა და თვალი გაახილა.

მადლენას შებროწებული ლოყები წუთით გაუფითრდა. მაგრამ მალე ისევ პიონერული კოცონივით აუგიზგიზდა.

— ვაშლის წვენი ხომ არ მოგაწოდო?

— სკამი მიართვით ექიმს, — მშვიდად გასცა განკარგულება და წამით ისევ დახუჭა თვალები.

ბიკენტი დაჯდა და კარდიოგრამა მოითხოვა. ტიმოთეს საყვარელ ძაღლივით ეჭირა თავი, კუდს რომ უკაკუნებს სიამოვნებით მიწას.

— ცხოვრების გზა ყველაზე უფრო ოკრობოკროა — ჩვენ გზებზე მეტად მოუწყობელი... ექიმო, რას მიმზადებს ჩემი მიმავალი მომავალი?

„ვის მაგონებს, — გაიფიქრა თავბერამ, — რომელ გმირს?... ვის დასტყუა ეს ჭკვიანი, ბევრის მნახველი თვალები?".

— გადაიღალა, — თქვა მადლენამ, — მოგეხსენებათ რა რთული საგანია მათემატიკა.

— პოსეიდონი დამისხით, — უთხრა კაკომ მეუღლეს, — და თუ ღმერთი გწამს, ხმას ნუ ამოიღებ, ნუ გამატრიზავებ ძვირფასო, ექიმს მე ვუპასუხებ.

ქალიშვილი ოთახიდან გავიდა და მცირე ხნის შემდეგ წყლით სავსე ჭიქა შემოიტანა. მათემატიკოსმა მოსვა.

— ძნელად გასაგები, იკლიკანტური შეთხვევაა, — თქვა მან.

ბიკენტიმ თავი დაუკრა. ნამდვილად მოსწონდა ავადმყოფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიონისესაც ხომ არ ინებებთ? — ჰკითხა ღიმილით ტიმოთემ, ბატონო ბიკენტი, პოსეიდონი წყალია, დიონისე — ღვინო, დემეტრა — პური, ხოლო ჰეფესტოსი — ცეცხლი.

ავადმყოფმა თვალები მილულა. მან თქვა, როდესაც წრიულ მოძრაობაში მოხვდები, ირონიის ქურქით უნდა შეიმოსო... რატომ შეიპყრო ულონობამ? რატომ აღარ იზიდავს საუკუღმართოადგილები? სად გაჰქრა ლტოლვა, ჟინი?.. თითქოს ახლა უფრო მეტი აქვს. მაგრამ უწინ მაინც ბედით უფრო კმაყოფილი იყო და მხიარულიც ჩანდა. ეტყობა რაღაც მაინც გაფანტა. ოღონდ რა — ვერ მიმხვდარიყო.

არითმეტიკას და მის ადეპტებს ბავშვობიდანვე პატივს სცემდა მომავალი ექიმი. როდესაც რიცხვების და ცხოვრების საიდუმლოებას ცუდათ ფლობს, ადამიანი იბნევა, განსაკუთრებით ხელფასის აღების შემდეგ. შეშინებული დადის მაღაზიიდან ბაზარში, თვალს ვერ უსწორებს ვერც გამყიდველს, ვერც ნაცნობს და ვერც ოჯახის წევრებს. ობობა — ყოფიერების ქსელში გახლართული ითვლის და ითვლის აღებულ გულს. პატარა კაცის მაჰატმა იმღვრევა, ფორიაქდება და ადამიანს აღარა აქვს სურვილი, ვისმეს შეურაცხყოფა მიაყენოს, სირბილში გაუსწროს თუ ქალი შეაცდინოს. მხოლოდ ერთი სწრაფვა რჩება —ნახირს შეერიოს, ფარეხში გაიქცეს, გაითქვიფოს, განზავდეს. ის კი, ვინც განტოლებებს ეთამაშება, სულსაც ინარჩუნებს და სხარტ გონებასაც, ყოფიერების ისეთ მაღალ ფორმებთან ერთიანდება, როგორიცაა სიტკბოება, სიხალისე და გაბატონება უმრავლესობაზე... რიცხვები.. ყველაფერი იცვლება რიცხვებზე და რიცხვები — ყველაფერზე.. ათიანი — ოცდახუთიანი — ორმოცდაათიანი.

ბიკენტიმ დაწვრილებით გამოიკითხა წარსული. შემდეგ ფონენდოსკოპი მოიმარჯვა. ავადმყოფის საწოლთან თავს თავისუფლად გრძნობდა. ამ სამყაროში მისთვის ყველაფერი ნათელი, ნაცნობი და გასაგები იყო. მაგრამ საწოლის მიღმა, იქით იმდენი გამოუცნობი სოფელი და ქვეყანაა, რომ მათ თვით პითაგორაც კი ვერ დაითვლიდა.

— ბატონო ბიკენტი, მაცხოვარი ხომ არ მიხმობს?... გუშინ ისე ვიყავი თითქოს ტრიტონი გამომეცხადა, თითქოს იმ ვერაგს ნახევარ სახეზე ტყირპი ჰქონდა გადაკრული.

— ტყირპის გაგდებინებამდე მუშაობს, — წაიცრემლა მადლენამ, — მოწაფეებმა იმსხვერპლეს.

— რამდენი გყავთ?

— ოცდაათამდე.

— ასეთი დავიდარაბა დაღს ასვამს მშრომელ ადამიანს.

წელის მძივშიც გაჰკრავდა ზოგჯერ ტკივილი. მუცელიც ძალიან აწუხებდა. ბიკენტი წამოდგა.

— რა გადაწყვეტილებას ღებულობს გლადიატორი? — იკითხა ტიმოთემ.

ბიკენტი მაგიდასთან დაჯდა, კალმისტარი მოიმარჯვა. ინფარქტისგან დაშინებულ კაცს შემწედ სახელგანთქმული ექიმი და იმპორტული წამლები მიაჩნია. ბევრ წამალს ლამაზი ქალის ბედი სდევს — გამოჩნდება, გაიბრწყინებს, თავბრუს დაახვევს თავის მრევლს, რამდენიმე წელი აათამაშებს, სიცოცხლეს აზრსა და შინაარსს მისცემს, და მერე სამუდამოდ გაქრება. დარიკო, ვიოლეტა, ლიზეტა, ჟანეტა იგივეა, რაც წარმავალი და მოკვდავი ინტენსაინი, პერსანტინი, ინტერკორდინი. მაგრამ მარადიული საგულე საშუალებებიც არსებობენ — ნიტროგლიცერინი, სტროფანტინი, ლაზექსი. ისინი კლეოპატრას, ნესტანს, იზოლდას განასახიერებენ და განაიგივებენ. ისევ და ისევ რომ უწვდიან ხელს წყვდიადში გზადაბნეულ, შეშინებულ კაცს.

ბიკენტიმ სუფთა ფურცელზე — „ლიზეტა და ჟანეტა“ დაუწერა მათემატიკოსს, ის წამლები, რომლებიც ყველაზე მოდური და ძვირფასი გახლდათ იმ ჟამად, რითაც სიხარული მოჰგვარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაკოს და მის ჯალაბობას.

ხელის დაბანვა შესთავაზეს ექიმს. სააბაზანო ირანული შავი შორენკეცით იყო მოპირკეთებული. ნერონიც ალბათ ასეთ აბაზანა-აუზში ნებივრობდა. რა კეთილმოწყობილად ცხოვრობს ჩვენი ხალხი, გაიფიქრა ბიკენტიმ.

— რამდენს უხდის მოწაფე? — ჰკითხა ბიკენტიმ ტიმოთეს.

— ათას მანეთს... მისაღებ გამოცდებზეც ეხმარება, კურსიდან კურსზე გადასვლაშიც... საცოდაობაა ასეთი მოქალაქის დაძაბუნება.

ბიკენტი ხელს იბანდა.

— ვამეხ, — თქვა მან, — მომისმინე... ხომ ვერ ამიხსნი, რატომ გამახსენდა უცებ აბო თბილელი და ბიძინა ჩოლოყაშვილი, ცოტნე დადიანი და თევდორე მღვდელი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები?

— არ დაუჯერო ზღაპრებს... მითხარი, ერთხელ მაინც შეგხვედრია ქუჩაში ან მდელოზე აბო ან თევდორე?

— ვითომ მართალი ხარ?.. როგორ არ მინდა დაგეთანხმო.

ლენინის მოედანზე ბიკენტი გამოემშვიდობა ტიმოთეს და მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავიდა. „ჩვენთვის ცხოვრება ზეიმი და სანახაობაა. მაგრამ მას აწყობენ, თავისთავად არ გესტუმრება“...

კედელს მიეყრდნო და გამვლელებს დააკვირდა. როგორ იზიდავდა სიყმაწვილეში ადამიანების გრძელი ან გაბუშტული ცხვირები, ჩამოყრილი ყურები ან უცნაური დრუნჩები. რამდენს იცინოდა... რატომ დაჰკარგა მათი ჭვრეტის ინტერესი?.. აი, მეორე მიზეზიც, თუ რატომ უნდა იჩქაროს

მკვეთრად შემობრუნდა და ისევ უკან გასწია. კარი მადლენამ გაუღო.

— განმეორებით უნდა გავსინჯო... ბატონი კაკო უბრალო მოკვდავი როდია.

აკადმყოფს სიხარულით გაუბრწყინდა თვალები.

— აი, ახლა მომწონხარ, თქვა მან, — ახლა კი დაგიჯერებ... ბიკენტი, ერთი ხიდან ვართ გამოჭრილები.

როდესაც წასასვლელად გაემზადა, მათემატიკოსმა თვალი უყო მეუღლეს. გასასვლელში ბიკენტი წამით შეყოვნდა. მაშინ მადლენამ დრო იხელთა და პიჯაკის ჯიბეში კონვერტი ჩაუდო. ბიკენტიმ გაუღიმა. შემდეგ სარკის წინ შეჩერდა წამით და დიასახლისს მშვიდობა უსურვა ჭერქვეშ. პორტფელი განგებ დატოვა სკამზე, ავადმყოფთა ზრუნვით გადაღლილ ექიმს ყველაფერი წვრილმანი ავიწყდება. შემობრუნდა და კართან მივიდა. მაშინ მადლენამ შეახსენა. ექიმმა მოიბოდიშა.

გარეთ კონვერტი გახსნა ბიკენტიმ. სამი ათმანეთიანი ულიმოდა.

ნიჩაფას უებარი წყალი ისევ მოქმედებდა.

2.

ბიკენტიმ სინათლე აანთო, თვალები მოჭუტა და საათს დახედა. სამის ოცი წუთი იყო.

ტელეფონი უსიამოვნოდ წკრიალებდა. სინათლე ჩააქრო და ისევ მიძინება გადაწყვიტა. ეშმაკსაც წაუღია მოწყალება, შუალამეზე ბიკენტი თავბერა მთლიანად ჩინელ ლაოძის უბამს მხარს.

მაგრამ ტელეფონი არ წყნარდებოდა. თუ ისევ მეომრად წარმოიდგინოს თავი?

სახეზე მოისვა ხელი. მერე ყურმილს დასწვდა და სულ ახლოს ქალის სასიამოვნო ხმა გაისმა. მაშინ საბოლოოდ გამოფხიზლდა.

— ცირა, წელან მზის სხივით და ქარვისფერი სქელი სითხით სავსე ორი მტევანი მესიზმრა... სად შეიძინე ასეთი მკერდი?.. რომელ ნომერ ლიფს ხმარობ?

— მერე გეტყვი.

— ცირა, ეს შენისთანებისთვის ყვინთავენ ზღვაში მარგალიტების საძებნელად... მომისმინე, საბოლოოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც შენი ყურბანი გავხდები. საიდან რეკავ?

— საავადმყოფოდან

— ლენჭყოთაა საქმე? ისევ დაგეკარგათ ყიბლანდი?

— ავადმყოფი მოიყვანეს, ძალზე მძიმედაა... ახალგაზრდაა, ისეთი სიმპათიური..

ღამის ქალაქი მიმზიდველია, უკაცრიელია, ჩუმი. გამეფებულია სიცარიელე და ძილი. თუ ესეც მოჩვენებაა?

საორდინატოროში ბიკენტიმ ხალათი ჩაიცვა. ახალგაზრდა ორდინატორმა — ბესო მამალაძემ კარდიოგრამა გაუწოდა.

— რაზე შეგაწუხეს?—იკითხა მან.

თავდაჯერებულად ეჭირა თავი. მისი თვალები გამჭოლ იყურებოდნენ და ყველაფერს ამჩნევდნენ, გარდა იმისა, რომ კარდიოგრამაზე სრული ბლოკადა იყო.

— როდის დაამთავრეთ? — ჰკითხა ბიკენტიმ.

— შარშან.

„ინდივიდუალობა ოჯახში და სასწავლებელში ჩაუკლეს, ხოლო ექიმობა ეს პალატებში გასეირნება ჰგონია. ამისთანებს ზემოდან გვიგზავნიან, ფხიზლად რომ ვიყოთ. ისინიც საჭიროni არიან, განსხვავება თვალსაჩინო რომ გახდეს. მაგრამ მაინც მათ დონეზე დაშვება, როდესაც ფხიზელი ხარ, ძნელია. სუფრაზე ამის გათამაშება შედარებით იოლია, საკმარისია ოთხი ჭიქა ღვინის დალევა და საქმეც დამშია მოყვანილი".

— შენ გამიტეხე ძილი და სურვილი, — უთხრა ბიკენტიმ ცირას.

ღამის ექთანი მონიტორის პულტთან იჯდა.

— მაპატიეთ.

— ღამის ფერები და დაღლა ძალიან გიხდება... ვინ წევს კიდევ პალატაში.

— სალამოზე პოეტი მოიყვანეს, მაგრამ ეტყობა ცრუ განგაშია.

— რომელი პოეტი?

— გახსოვთ ჰორაციუსი?

— შტრინგი გოგონა ხარ, — ცირამ.. მაშ, გავეშუროთ იქით, სადაც გულები უფრო მძაფრად ცემენ.

მონიტორზე გაფითრებული ტიმოთე იწვა. ბიკენტი სკამზე ჩამოჯდა და მეგობარს გაუღიმა.

— ვამეხ, ეს დუქანი როდია, ეს საავადმყოფოა.

— ვიცი, ბიკენტი.

„ჩვენ არასოდეს არ გვჭერია ხელში ნამდვილი საჩუქრები, — გაიფიქრა ექიმმა, — ველოსიპედი, ნაირფეროვანი ბუშტები, ალლუმი, ნამდვილი ქალები, საიდუმლო კუნძული ტაიტი, პლატონის ჭვრეტა, შადიმანის ვერაგობა, კრეზის სიმდიდრე, სიბრიყვით მონიჭებული სიმშვიდე, უდარდელი სიცილი, გულის ფანცქალი, და ისინიც, რასაც ცხოვრება ქუდბედით დაბადებულ კაცს მიართმევს ხოლმე... მხოლოდ ხეზე შემომჯდარ ყვავებს ვითვლიდით, ვკოცნიდით ნაძირალებს და თავი მამაკაცებად წარმოგვედგინა, ღვინოს ვსვამდით და გვეგონა დროს ვატარებდით, მზის ქვეშ ვიდექით და გვეჩვენებოდა, რომ წყვდიადს გავექეცით. თავს ვიტყუებდით რუმით, რემბოთი, ვაჟათი, ჩვენი მთებით, მტკვარით, ბილიკებით, ჩვენი სულისა და ზენაარსის ერთიანობით"...

წნევა არ ეზომებოდა ტიმოთეს. მაშინ წვეთოვანი მოითხოვა ბიკენტიმ.

— ვენას ვერ ვიპოვნით, დაჩუტულია, — წაიჩურჩულა ცირამ.

— წვეთოვანი! — გაბრაზებით გაიმეორა ექიმმა.

ცხვირსახოცით ოფლი მოწმინდა მეგობარს.

ვენაში ვერ მოხვდნენ. მაშინ სისხლძარღვის გაკვეთა გადაწყვიტა. მანამდის კი კუნთებში დიდი რაოდენობით შეუყვანეს პრედნიზოლონი, მეზატონი, ატროპინი, კორდიამინი.

სიცოცხლისათვის ბრძოლაც ისეთივე ხელოვნებაა, როგორც ჩოგბურთის თამაში და ვიოლონჩელოზე დაკვრა, რომ ყველაფერი ექიმის ოსტატობაზე

და არტისტობაზეა დამოკიდებული. მაგრამ დღეს ასკლეპიუსიც ჩვენს მხარეზე იქნება. ხომ უნდა თეთრი მამალი რომ მიიღოს საჩუქრად?"

მარცხენა ტერფზე ვენა იოლად იპოვნა ბიკენტიმ, ფრთხილად გაკვეთა, მილი ჩაუდგა, სისტემას შეუერთა და პრილობა ამოკერა... ისევ პრედნიზოლონი, ნორადრენალინი, ატროპინი, კორდიამინი.

გულის ტონები ძლივს ისმოდა. ფილტვებში კი შეგუბება იყო. სიკვდილის იალქნები თანდათან იბერებოდნენ.

უცებ ბიკენტის გონებაში გაუელვა, რომ დიდიხანია, რაც არ სწვევია სიზმრები, არაჩვეულებრივი მოჩვენებები, სინამდვილისაგან დამცველი ფარი, სულის და სხეულის შემარიგებელი, დამაყვავებელი. მისი დახმარებით აღწევს კაცი გაუგონარ ნაპირებს. განიცდის მომაჯადოებელ წუთებს, აშენებს ჯამბაზების და მეარღნეების სამყაროს" „არაოდეს არ დავყრით იარაღს, არასოდეს არ ჩავაგებთ ქარქაშში ხმალს, არ ვიქცევით არარაობად. შეიძლება გადავგვარდეთ, შეიძლება ადამიანის სახე დავკარგოთ, დავემსგავსოთ სატირებს, ვისწავლოთ ყალბი ფულის მჭრელის ხელობა, მიპარვით დანის დარტყმასაც შევეჩვიოთ, ოღონდ არარაობად, არაფრად არასოდეს არ ვიქცევით... ხოლო აგვისტოში, ვამეხ, ისევ გავისეირნებთ გაგრისაკენ, ფულს წავართმევთ ავადმყოფებს, ვიყიდით მანქანას და ულამაზეს კუთხეებს ვესტუმრებით. ისევ ვიქცევით ცხოვრების, სიცოცხლის მფლანგველებად. ეშმაკსაც წაუღია შემწყნარებლობა და მოწყალება. ვინც იძირება, ვინც ფსკერისკენ მიდის ხელ-ხელა, ჩაიძიროს, ტიმოთე, ჯერ ყველაფერი როდია დაკარგული, ჯერ შეიძლება მხოლოდ ნახევარი გზაა გავლილი. ხოლო შემდეგ შეიძლება სხვისი სიცოცხლის მითვისებასაც შევძლებთ, ისევე როგორც ქალაქების, სხვისი ქონების. ჯაფის დატაცება ვისწავლეთ ერთხელ ობივატელებსა და მეშჩანებსაც ავუწყობთ ხმას, მუხლებზე ხოხვასაც შევეჩვევით თავმოყვარეობის შეულახავად. გავხდებით გულგრილები ხეიბრების, მახინჯების, ბავშვების, მოხუცების, შინაბერების მიმართ. ოღონდ, გასაგებია, ხმამაღლა ამას არ ვიტყვით, თავისუფლებას აუცილებლობით, ყოველდღიურობით შევცვლით. დიად წრეს, სპირალს, კაცობრიობის განვითარების საფეხურს, მრავალ თაობათა თავაულებელ შრომას, ადამიანთა ჯვარცმულ გზას აღარასოდეს გავყვებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წნევა კვლავ არ იზომება. სისხლძარღვები დუმან, აღარ პასუხობენ, არ იკუმშებიან.

— სხვა მხრიდან უნდა მივუდგეთ კედელს, ცირა, მაგრამ როგორ?

ექთანს გაეგებოდა გულის ავ-კარგი.

— ნუთუ ინოზიეც ნაგავია? — იკითხა მან.

„ნუთუ ისევ უკანასკნელი ამოსუნთქვა? — ფიქრობდა ბიკენტი, — როგორ მოიმოქმედებდა ამ შემთხვევაში თომას ბრაუნი — ექიმი და ფილოსოფოსი?"

ბიკენტიმ მეგობარს დახედა. ნისლი, მოგონებები, განურჩევლობა ჩამოფარებოდნენ მის მილულულ თვალებს.

უცებ ველურმა იდეამ მოიცვა ექიმი, ბარბაროსული რისკის გაწევა გადაწყვიტა. მაშინ მაგიდიდან დიბაზოლის ამპულა აიღო, გატეხა და წვეთოვანის სისტემაში გაუშვა. საშინელი მკრეხელობა, უგუნური ნაბიჯი, დაკანონებულზე ხელის აღმართვა.

დილის ექვს საათისათვის წნევის აპარატში სინდიყმა ორმოც მილიმეტრამდე აიწია, შვიდ საათისათვის კი ოთხმოცამდის. ეს გამარჯვების საწინდრად მიიჩნიეს.

— რა იხმარე, ბიკენტი ექიმო?

— ვგონებ ორწოხი გავიარეთ... ცირა. ჩვენი წინაპრები ბიბლიური გმირები იყვნენ, შენ კი მნათობების სხივი ხარ, ხორცი ხარ უხორცობის დროს, გაზაფხულის პირველი თვე ხარ. ღირსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხარ სოლომონის ჰარამხანის მდგმურობისა... და შენ უამრავი ლიგვირი და სხვა პატიოსანი თვალი, მშვენიერო მოწყალების დაო.

— მე თქვენ ლექსს მოგიძღვნით, — უთხრა ბიკენტის პოეტმა.

— მე. კი ყვავს მოგიდუღებთ, — უთხრა ექთანმა.

საორდინატორო ოთახში გაბოლა. ბესო მამალაძეს ეძინა მედეაც მორფეუსის ქვეყანაში იყო ალბათ. თუ კი ეს ქვეყანა მოგონილი და ზღაპარია, მოხდეს ისე, რომ' ახლა ბიკენტი მედეას გვერდით აღმოჩნდეს ოთახში. საინტერესოა, პერანგი თუ აცვია. ღრმა და განუმეორებელ სახეებს შექმნიდნენ. ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულ ქალ-ვაჟისაგან შედევრის დაბადება გასაკვირი როდია. რაც უფრო ცივილიზებულია ადამიანი, მით უფრო დიდ სასახლეებს აგებს. მირიადი მთელემარე კომბინაციაა დაფარული ქალვაჟის შინაგანი არსის სამალავში. ფროიდმაც კი არ იცის მათი რიცხვი და შესაძლებლობა. თავიდან ამოიგდებენ გონებაში მოელვარე ათას წვრილმანს საგანსა და სხვა სწრაფვას, საშინელ „მე“-საც გააძევებენ და მთელ ყურადღებას ერთ საგანზე გადაიტანენ. ერთ ღვთაებაზე. ამ ნივთის მსახურები გახდებიან , განზავდებიან მასში და ერთმანეთში. ამ ხელობის სახელგანთქმულ ოსტატებს დაესესხებიან შემართებას და სწრაფვას. ეს კიდევ ერთი განუმეორებელი წარმოდგენა იქნება...

„მედეა, მოვდივარ“...

სიზმარში ყვავაც შესვა. ყავა უარყოფაა ღამის შავი ფრთებისა. ტვინის ღარებში ჩაფენილი დაღლის ძტვრისა და კუნთებში გაჩენილი რძის ძჟავისა.

როდესაც გაეღვიძა. პირი დაიბანა და ქვევით ჩავიდა. ტიმოთე წყნარად სუნთქავდა. ბიკენტიმ ფრთხილად მოკიდა მაჯაზე ხელი. სხეული გამთბარიყო. გულიც თანაბრად ცემდა.

— სისხლს დღეს ნუ აუღებენ ვენიდან, — უთხრა ცირას.

— მესია ხარ. ბიკენტი ექიმო.

— კი... დიდი ხანია, რაც ვგრძნობ ფეხქვეშ ლითონსა და წყალსა... ცირა, დაიმახსოვრე. ორი ათასი წლისთვის საბოლოოდ გავაძევებთ ინფარქტსაც და სხვა ბორკილებსაც.

დილის ხუთწუთიანი კონფერენციის შემდეგ ბორისთან გადავიდა. პათანატომი პრიმას აბოლებდა და როგორც ყოველთვის. წიგნში ჩაერგო ცხვირი. ბიკენტი მიკროსკოპს მიუახლოვდა და შიგ ჩაიხედა. მოწითალო-მოლურჯო სხვადასხვა ფორმის საგნები დაინახა, მირიადი სამყარო. ისინიც განცალკევებით იდგნენ, როგორც მედეა. ტიმოთე თუ ბორისი. რამდენიმე საათის წინ ახლობელი ადამიანის ბედი ბეწვზე ეკიდა. როდესაც ამ ბეწვის გამსხვილებაში და გამაგრებაში წილი გიდევს. ყოველთვის მარადიულ საგნებზე აჩერებ ყურადღებას. მაშინ ხვდები, თუ რატომ ამოირჩიე ტიმოთე და ბორისი მეგობრებად. მაგრამ ბორისი მაინც ერთადერთი ადამიანია მთელ დედამიწის ზურგზე, რომელსაც ყველაფერს უზიარებ. პათანატომის გვერდით გავიწყდება, რომ შეიძლება მართალიც იყო ერთი წინასწარმეტყველი, რომ კაცის გული ცბიერია და ამიტომ ლპება და კვდება ახლა ასე გამალებით. იხედები სარკეში და პირველად ამჩნევ, რომ სუსხიანი, გამჭოლი გამოხედვა გაქვს. და არა პირიქით, როგორც ხხვებს სურთ შთაგაგონონ — თითქოს სუსტი და უნებისყოფო, ჩვეულებრივი კაცუნა იყო, მათი მსგავსი, მათი მოდგმის, და ყველაფერი ნასესხები გქონდეს — გამბედაობა, სახელი და სიცოცხლის საათებიც კი.

— განა შეიძლება ცეცხლი და ლავა დიდი ხნით დამალო მიწაში? — ჰკითხა მან ბორისს.

მეგობარმა მიუგო, რომ ეს შეუძლებელია.

— რაღაცას მაგონებ დღეს, — თქვა ბორისმა და დააკვირდა.

— მაგსა და ფაკირს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადამიანი გონების სიფართის მხრივ შეზღუდულია, მაგრამ ცხოველებთან მსგავსებაში კი უსასრულოა.

— ბორის, განმგებელმა თიხისგან შეგვქმნა, შემდეგ სიყვარული და მეგობრობა შთაგვბერა ნახვრეტებიდან.., შენ კი ეს სული უკან გინდა გამოდევნო და ისევ ტალახად მაქციო... ნურასოდეს ნუ შეადარებ მეგობარს ცხოველს.

— ვინ გადაარჩინე?

— ტიმოთე.

— მარილი ხარ მიწის და ჩვენი საავადმყოფოსი.

ისევ მეგობრებად დარჩნენ. შეთანხმდნენ, რომ ეს გრძნობა ამაღლებაა ყოველდღიურობაზე, რომ ეს სულიერი ერთიანობა ერთადერთი გაბრწყინებაა ამ ყომრალი ღრუბლებით დაფარულ ზეცის ქვეშ, რომ თუ კი შურისა და მტრობის მეშვეობით სამყარო ცდომილებაში შეჰყავთ, ეჭვის, უნდობლობისა და შიშის წამოსასხამში ახვევენ, მისი — მეგობრობის მეოხეობით ყველაფერს შუქი ეფინება და სასიამოვნო ხდება—ბორკილებიც კი, და შეუმჩნევლად გაპარვაც კი ამა ქვეყნიდან.

— ახლა კი წავედი ჩემს კანიონში, — თქვა ბიკენტიმ.

ტიმოთეს წყალს ასმევდნენ.

— ინფარქტი მაქვს? — ჰკითხა მან ბიკენტის.

— ბორისი მოკითხვას გითვლის.

— მხოლოდ ხუთიოდე წელი სიცოცხლე... ისიც უკეთესშემთხვევაში, ხომ?

ბიკენტიმ ხელი დაადო მხარზე.

— ვამეხ, რომ იცოდე რამდენი მოკლე კაბიანი გოგონა გველოდება გაგრაში...

— მე კი მათზე ლექსებს შევთხზავ, — იყვირა ჰორაციუსმა, — ასეთი ლექსები გვირგვინოვანი ძარღვების სისხლის მიმოქცევას გააუმჯობესებენ და ინფარქტისგან დაიცავენ გულს.. გამაგრდი ვამეხ! — ბიკენტის კი, რომელიც პოეტს მიუახლოვდა, წაუჩურჩულა:

— ყველაზე დიდებული სანახაობა იყო.

— არა, ჰორაციუს ეს ყველაზე დიდი გამოცდა გახლდა.

ბიკენტი პალატიდან გავიდა. მონიტორის პულტთან დალი მორიგეობდა. ექიმმა თავი დაუკრა. ბიკენტი პატარა მაგიდას მიუჯდა და ჟურნალი გადაშალა. შემდეგ ვიღაცამ შემოიხედა. შემდეგ ქირურგიული განყოფილების ექთანმა ქოშები და წინდები შემოუტანა დალის და გოგონები აჩურჩულდნენ. დერეფანში იატაკს აპრიალებდნენ სანიტრები. და უცებ ჰორაციუსის შემზარავი ხმა გაისმა. ბიკენტი და დალი პალატაში შეიჭრნენ. გაფითრებული ჰორაციუსი ტიმოთესკენ იშვერდა ხელს. უსულო მეგობარი თვალახილული იწვა. კარდიოსკოპზე სინუსური რითმი იწერებოდა.

ბიკენტი სკამზე ჩამოჯდა.

— რატომ არ იწყებთ გულის მასაჟს?! იყვირა ექთანმა.

— ზედმეტია, დალი... ალარაფერი ეშველება, გასკდა გული.. ვერ დავაფრთხე, მაინც შემოგვეპარა ავი ფრინველი — წმინდანიანი.

ელექტროკარდიოგრამაზე თანდათანობით წყდებოდა გულის ბიოელექტრული აქტიურობა.

ბიკენტიმ მეანები გაიხსენა. ხომ შეიძლებოდა, ისიც გინეკოლოგი გამოსულიყო, ფულიც ექნებოდა და მრავალჯერ განიცდიდა იმ სიხარულს, რასაც პატარა ადამიანის პირველი ამოსუნთქვის დანახვით განიცდის ექიმი. პირველი ჩასუნთქვა და უკანასკნელი ამოსუნთქვა — უზარმაზარი მანძილია მათ შორის... მაგრამ მაინც რატომ მიძვრებოდა ყოველთვის იქითკენ, სადაც სიძნელეები, სიკვდილი და გაუგებრობაა?. ხომ არ შეაქციოს ზურგი ბაიარაღს, ლურჯა ცხენებს? როგორ გინდა ისევ შეხედო მთვარეს, ისევ ეწვიო ყვირილას, გაგრას, ისევ გაუსწორო მზერა ბასკოს?.. ამ დროს რატომ ვერ შეელიან ძველი მეგობრები, ღიმილის ოსტატები — მომოსი, სილენოსი, ლამაზი თალია? .ან იმის შთაგონება, რომ წუხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და დარდი სამყაროს მეშჩანური გაგების ნაწილია? სიკვდილი კი ისევ გაუგებარი რჩება, როგორც სიყვარული ხუთი წლის ასაკში. შეიძლება მომაკვდავის გაყინვაშია გამოსავალი?.. ისევ თავის მოტყუება, ისევ სიცრუე. ადამიანი ყველაფერს ეპოტინება, ყველაფერს — ხავსს, აჩრდილს, მგლის ეშვებსაც კი... ამბობენ უზარმაზარი, უკიდეგანოა ეს სამყარო, და პატარა კაცს კი მაინც გალიაში ათავსებენ. მაშინ რა მოიმოქმედოს, ვის მიენდოს აწი ბიკენტი?

3.

ამ სხეულით წუთისოფლის მოტყუებაც შეიძლება... ორი დემონი, ორი გატენილი, სავსე შემართული ნადირი იყურებოდა სარკიდან. ვერონიკას თმები კი, თანავარსკვლავედში რომ კიაფობდნენ მაღლა, მხრებზე გადმოშლოდა. გულმკრედის ქვემოთ საოცარი მუცელი, ვერაფერს რომ ვერ შეადარებ — ვერც უდაბნოს, ვერც თეთრ ღრუბლებსა და ვერც ზღვის ქაფსა. კიდევ უფრო ქვემოთ — კიდევ უფრო დიდი საიდუმლოება... ქებათა-ქება სხეულს.

ადამიანის გულს ქარი და უდაბნო კი არ ფიტავს, არამედ სნობის მზერა და სუნთქვა. ფეხების სერენადა, წელის მხრების და ყელის პასტორალი ცვედანისთვის ისევე გაუგებარია, როგორც უმრავლესობისათვის „მთაწმინდის მთვარე", „სალამბო", ცისარტყელა და მაჩიტელები. სხეულის ზოგიერთი სამყარო მათ მხოლოდ დამამცირებელ, ჯოჯოხეთურ წარმოქმნად წარმოუდგენიათ, მაშინ როდესაც სინამდვილეში სხეულის ერთი ნაწილი პოეზიაა, მეორე — პ ი ზა,მესამე კი — მუსიკა.

ღოის ოცი წელი უსრულდებოდა მედეას. დედიშობილა იდგა სარკის წინ. ოცი წელი, სიყვარულისა და ნდობის წლები... წელი, რომლის უფლებაც ყველას აქვს ერთხელ სიცოცხლეში, რომლის ნაწილიც სამუდამოდ რჩება ადამიანში, მიწაში გადასახლების შემდეგაც კი, სადაც ათასობით დამსხვრეული გული, უამრავი [illegible] გემი, სერესქელი განადგურებული, მუნდირჩამოხეული არმიაა.

ვინ გაებედნიერებია დღეს — ოჯახი, კლასის მეგობრები თუ სხვა? მისი ყურადღება ბიკენტიზე შეჩერდა. ეს უცნაური ექიმი თავისებურად ხიბლავდა, ზოგჯერ თავსაც კი ჰკარგავდა. მედეას მოწონდა, როდესაც ბიკენტი მას ანდრომედას ადარებდა, საკუთარ თავს — გმირ პერსევსს, ხოლო ცხოვრებას კი — ვეშაპს, ლამაზ გოგონებს რომ სანსლავდა დროდადრო, თან პატარა თვალებს აპარპალებდა და ყურებიდან კვამლს უშვებდა...

ისევ შეავლო თავის ორეულს თვალი... ამ დროს ვერავინ ვერ დაარწმუნებდა, რომ ერთხელ, თუნდაც ათასი წლის შემდეგ, ის ბებია კალინკას დაემსგავსებოდა. რა გაახუნებს ამ თვალებს? რა დაუკარგავს ამ საოცარ კანს ფერსა და სიცოცხლეს? ხოლო თუ კალინკა მაინც რეალობაა, მაშინ მედეა შეევაჭრება ცის ინსპექტორს. უცვლელობა და სანაცვალოდ ათი წელი, თხუთმეტი, თუნდაც ნახევარი სიცოცხლე. ხომ ახერხებენ მერცხლები ზამთრისგან თავის მორიდებას... თვრამეტი-ოცი-ოცდაოთხი წელი თავისი ჯადოსნური საჩუქრებით და საიდუმლოებებით. როცა ბუნება ღვთაებას გამსგავსებს, მას სხვაც ექნება ჩაფიქრებული.

მედეამ სავარცხელი ჩამოისვა თმებზე. ერთი გარემოება აოცებდა ქალიშვილს — რატომ ვერ ამჩნევდნენ მხატვრები და პოეტები, რატომ არ დასდევდნენ კუდში? ცხოვრების სამალებში მასზე უკეთეს მარგალიტს სად შეხვდებიან? რატომ არ გადააქვთ ტილოზე და ფურცლებზე მისი საიდუმლოებანი? თუ არ გვყავს მგოსნები, მარადიულ სულთან შერწყმა რომ გაბედონ?

მედეა დარწმუნებული იყო, რომ ქალის უპირველესი დანიშნულება — მოხდენილად ჩაცმაა. ცხოველი შრომამ კი არ გაააადამიანურა, არამედ სამოსელმა, ძოწისფერმა და ციურმა. შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგლიჯეთ ადამიანებს შარვალი ან კაბა, და ისევ პირუტყვები გახდებიან.

დღეს წითელ კაბას ჩაიცვამს, დედოფალი გახდება, თვალისმომჭრელი. თავწეული გაივლის რუსთაველზე, თითქოს სასახლეში მიდიოდეს ან ეშაფოტზე, ამაყი და მიუღწეველი. მგოსნებს დააკავშირებს მთვარის შუქთან, სიოსთან და ვარდზამბახის სურნელებასთან, აამსუბუქებს. ხოლო მხატვრებს ფუნჯებსა და საღებავებს გაუწვდის ცის, ხმელეთის და ზღვების უკვდავსაყოფად.

ქედდადრეკილი ელოდებოდა ბიკენტი — „რუსთაველის“ კინოთეატრთან. მედეამ შორიდანვე შეამჩნია. როდესაც მიუახლოვდა, ისევ გაოცდა ბიკენტი. მან იკითხა, სილამაზის კაბინეტში იყო, თუ ბენედიქტეს მალამო იხმარა ქალიშვილმა, რომ ასეთი იერით ყველა თეატრალური სასწავლებლის კარებს შეიღებდა.

მედეას კი არ მოეწონა ბიკენტის გამოხედვა, მხრებში გამართვა და თვალებშიც, ჩაჩუტულ ბურთებს რომ დამსგავსებოდნენ, სხივის ჩადგომა მოთხოვა.

ბიკენტი გაიჭიმა. მაგრამ თვალებს ვერაფერი ვერ მოუხერხა — ვერაფრით ვერ აანთო ჩირაღდანი, ვერაფრით ვერ ჩააბუდა ჭრელზოლიანი ვეფხვები.

მედეამ ცხვირი ჩამოუშვა. ბიკენტიმ საფრთხე იგრძნო და ქალიშვილს შესთავაზა:

— მოდი გავიხაროთ, ვიდრე დრო გვაქვს... მოდი, მაღლიდან გადმოვხედოთ თბილისს.

დაეთანხმა. ოღონდ გაიფიქრა. ვისაც ზიანითი არ გააჩნია, ზედმიწევნით დახვეწილი უნდა იყოს. მედეა მოპირდაპირე მხარეს იყურებოდა, თითქოს მარტო მიდიოდა პროსპექტზე, თითქოს ბიკენტი უცხო ყოფილიყოს.

— მომისმინე, ბიკენტი, — თქვა მან, — მე წინ წავალ, სამი წუთის შემდეგ უკან დამედევნე და ტაქსების გაჩერებასთან შევხვდეთ.

— რომ ველარ მიცნო?

— პაროლი დავთქვათ.

— შესანიშნავია... ტრეპენტეჩიტო გეტყვი, შენ მიპასუხებ — ლა პრეგო დი სკუზარმი.

— კეთილი.

— მედეა, ღმერთი ორი სახით წარმოგვიდგება — როგორც დიადი ბუნება და როგორც საოცარი ქალი. ორთავე მისი შეცნობის ფორმაა, მისი არსი და ტაძარი... მედეა, ოღონდ არ დაგავიწყდეს, ღმერთი მოწყალეცაა... დამელოდე გაჩერებასთან, არ გაიპარო.

მთაწმინდიდან თბილისი ყველაზე თვალწარმტაცია. ზიხარ ვერანდაზე, გრილა, თავისუფლად სუნთქავ, ყლაპავ შამპანურს, ილევი და თავს ბედნიერად გრძნობ. ხოლო თუ შენს პირდაპირ ყოფილი სტიუარდესა ზის, აღარც თავისუფლება გაინტერესებს, არც ბრიყვების ხაფანგში გაბმა და აღარც კაცობრიობის ბედი.

— მედეა, რატომ მაგონებ საქართველოს, მის ბედს?... შენი წარბები — ყვირილაა, შუბლი — ყაზბეგი, შუბლის იქით რაც არის — ზესტაფონის ბაზარია კვირა დღეს, თვალები — რიწის ტბაა, წელი — რიკოთის უღელტეხილი, გულმკერდი — აჭარა და აფხაზეთია... დიდ ფორთოხლებთან იწვევს ასოციაციებს... საქართველოსავით სიშვიდეს უკარგავ ყველას.

მედეა საამო ულონობამ შეიპყრო. ისიც მოიხიბლა ხედით, შუშხუნა სასმელით, სიმღერით, დარბაზში მსხდომნი რომ აგუგუნებდნენ, და იმ შეგრძნობით, განუმეორებელი რომ გახლდათ. დიდებულად მიცურავდა დრო. მან თვალები მილულა, ნიკაპით ხელის გულს დაეყრდნო და თავის დღევანდელ რჩეულს ჰკითხა:

— რით გამაკვირვებ, ბიკენტინო?

ვაჟმა ჭიქა მაგიდაზე დადო და ზეზე წამოდგა.

— პატიოსანი თვალით, — თქვა მან და ხელი ჯიბისაკენ წაიღო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ? — გაოცდა ქალიშვილი, წამოწითლდა და წამოიწია.

ბიკენტიმ ჯიბიდან წიგნაკი ამოიღო და რაღაც ჩაიწერა. მან უმშვენიერეს ქალიშვილს უთხრა:

— როცა გავმდიდრდები, ღლევანდელი თარიღით მოგართმევ... ეს ჩავინიშნე... მედეა, უარს ნუ მეტყვი, მიიღე ჩემგან ეს პატარა საჩუქარი.

ამ დროს ოფიციანტი მიუახლოვდათ და მაგიდაზე ორი შამპანური დადო. მალე ძღვენს გამომგზავნიც მოჰყვა. იგი მედეას ძველი ნაცნობი გამოდგა. ზებედე ბოშასავით შავგვრემანი იყო და ბოშების ბელადივით ეჭირა თავი. გიტარა აკლდა, შავრა და ტრიალი მინდორი. ტვიდის კოსტუმი ეცვა. პიჯაკის ზედა ჯიბიდან ჭრელი ცხვირსახოცის წვერი მოუჩანდა.

როდესაც ზებედემ მშვენიერების სადღეგრძელო შესვა, მედეა კიდევ უფრო გამხიარულდა. ბოშას იმიტაციამ თქვა, რომ ქალისადმი თაყვანისცემა კანდელსა ჰგავს, ხოლო სიყვარული — კოცონს,

ქალიშვილს თვალებში აუციმციმდაჩანგლით კიტრის ნაჭერი აიღო, ფრთხილად უკბიჩა და ნაზად გადაყლაპა.

ზებედე ნასწავლი ღიმილით ასაჩუქრებდა მასპინძლებს, ნაკადულივით ილვრებოდა, გაუთავებლად, ქვიშის საბელსა ქსოვდა.

ბიკენტიც იღიმებოდა. „მაინც რატომ იზიდავენ ვეშაპები ქალებს? არა მგონია ანდრომედა ალტაცებული დარჩენილიყო, ვეშაპს პირიდან რომ გამოსტაცა პერსევსმა. ვეშაპი ისეთი ძლიერი და უხეშია, ვეშაპი ისეთი დიადია. ვეშაპი მართალია, ბოლოს და ბოლოს, გადაგსანსლავს, მაგრამ მანამდის ყველა მტაცებელ თევზებისაგან დაგიცავს საიმედოდ... განა გადაყლაპული ლიფსიტა სახელმწიფოები სინდისის ქენჯნას, თავმოყვარეობის შელახვას ან სხვა ამის მსგავს რაიმეს განიცდიან დიდი სახელმწიფოს სტომაქში?“

ბიკენტი ძალღის გუნებაზე დადგა. ტიმოთე უკვე მიწასთან იქნებოდა გასწორებული. მან წარმოიდგინა გულხელდაკრეფილი, გაციებული, გალურჯებული მეგობარი ნამდვილ წყვდიადსა და სიცარიელეში. ცალი თვალით კი მედეას და ზებედესკენ იხედებოდა ბიკენტი. იცინოდნენ, დაფრინავდნენ, თამაშობდნენ... მაინც დიდი, თავისებური უსინდისობაა, როდესაც ქალი შენ გეკუთვნის, შენ მოიყვანე წვეულებაზე და სხვას კი ეკურკურება.

ზებედემ ხელი ხელზე დაადო მედეას და ცეკვა შესთავაზა. ისინი დარბაზში გავიდნენ. ბეკინტიმ სიგარეტი გააბოლა და თბილისს გადახედა. შავ ფიქრებში ჩაძირულმა, სახლს დაუწყო ძებნა. კაცთმოყვარეობა დასაძრახისი არ არის, მაგრამ როდესაც შენი გოგო საცეკვაოდ გაჰყავთ, რაღაც უნდა მოიმოქმედო.

როდესაც მოცეკვავე წყვილი უკან დაბრუნდა და ბიკენტიმ თვალი ჰკიდა მედეას, უცნაურად შეეკუმშა გული. როგორ ჰგავდა ახლა მარგარიტას. წმინდაო იოანე, მარგარიტასავით განწირული ხომ არ არის? თუ მარგარიტას ათეული წელი ეძინა? შეიძლება თმების წყობამ შეიყვანა შეცდომაში ბიკენტი? მაგრამ ეს წარბები, ეს გამოხედვა, ეს ბაგე ხომ იმ გოგონას ეკუთვნოდა? ვის გაუმხილოს ეს აღმოჩენა? სად ნახოს სასწრაფოდ კაცი, რომელიც დაეთანხმება? რატომ არ ესმის ერთ კაცს მეორისა, რატომ არის დედამიწაზე იმდენი ენა, რამდენიც ადამიანია! რატომ ძვრება ერთი უფსკრულში, მეორე კი პირიქით, კლდეზე მიცოცავს მაღლა, მესამე — ზღვაში ყვინთავს? რატომ არ ამოირჩევენ ერთ მდელოს, რატომ არ გაშლიან ერთ სუფრას, რატომ არ შემოუსხდებიან გარშემო და სიმღერითა და პატარ-პატარა ჭიქებიდან ღვინის სმით არ შეეგებებიან განთიადსა და უკანასკნელ ამოსუნთქვას? ნუთუ ისეა აწყობილი ადამიანი, რომ დიდხანს ვერ გაძლებს, თუ კვანტი არ დაუდო მეორეს, თუკი ნეფრიტით შეპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრობილ მეზობელს ჩუმად კერძში კვინჩხი მარილი არ ჩაუყარა, თუკი ბონდზე მიმავალ მეზობლის ცოლს ქვემოდან არ ახედა ცნობისმოყვარე და ოდნავ მიბნედილი თვალებით, თუკი სამების ეკლესიაში წმინდა იესოს სანთელი არ აუნთო, რათა იმან თავისი ფარული აგენტების საშუალებით კინჩხი მოსტეხოს წინ გავარდნილ კაცსა... მაგრამ ახლა რა ილონოს?

— მედეა, ტრეპენტეჩიტო!

ქალიშვილმა გაკვირვებით გამოხედა, მაგრამ მაშინვე უპასუხა:

— ლა პრეგო დი სკუზარმი, ბიკენტინო.

ზებედეს მაშინვე დაუგრძელდა ნიკაპი.

— ვინ არის? — ისე ჰკითხა, თითქოს მედეა მისი გოგო ყოფილიყოს, თითქოს მას, და არა ბიკენტის, ამოეყვანოს ტაქსით მთაწმინდაზე.

—იტალიელია,—მიუგო სიამაყით მედეამ.

ამის შემდეგ ქალიშვილი თანაბრად ანაწილებდა ყურადღებას, თანაბრად ფლანგავდა ღიმილსა და სხივებს, და ბიკენტის ლაგრანჟეს კანონი მოაგონდა. როდესაც სამ მოძრავ ციურ სხეულიდან ორს დიდი მასა აქვს, ხოლო მესამე კი ძალზე მცირეა, დიდი მასის მქონე სხეულების მოქმედებით პაწაწინა წარამარა იცვლის თავის ორბიტას და მისი მოძრაობა მერყევი, ცვალებადი, მოყოყმანო და ლადარი ხდება. მართალია, არც ერთი ციურ სხეულს არ წარმოადგენდა, მაგრამ რადგან მიკროკოსმიც თითქმის იგივე კანონებს ემორჩილება, რასაც მაკრო, ამიტომ ისინიც ისე იქცეოდნენ, როგორც ლაგრანჟეს პლანეტები.

მეორედ მედეა აღარ გაჰყვა საცეკვაოდ. ზებედე კი არ ეშვებოდა. „ასეთები არასოდეს არ იხევენ უკან, — გაიფიქრა ბიკენტიმ, — ყველა ხერხს იხმარენ გოგო რომ აცეკვონ, ურიგოდ რომ გაძვრნენ სალაროსთან, პირველნი რომ ავარდნენ თვითმფრინავში, ყველაზე დიდ კერძს რომ დააცხრნენ, ყველაზე დიდხანს რომ დაეპატრონონ თანამდებობის კაცის ხელს. ასეთები მხოლოდ ბაირაღს დაგითმობენ დიდსულოვნად კრწანისისა და დიდგორის ველზე, შოთასი და აკაკის ენის დაცვასაც წარბშეუხრელად მოგანდობენ“.

ზებედე ადგა და ისევ გაუმეორა თხოვნა ქალიშვილს. „ყაზბეგიანთ სალამიო, ონბეშ თუმან ზარალიო“, — გაიფიქრა ბიკენტიმ და გადაწყვიტა რაიმე ეღონა.

— მეგობარო, — უთხრა მან სტუმარს, — ოთხ ბოთლ შამპანურს გიგზავნით.

ყმაწვილი კაცი გამოლენჩებული უყურებდა. ისედაც პატარა თვალები წერტილებად ექცა.

— მეცეკვები?—კიდევ ერთხელ ჰკითხა მედეას.

— არა.

— კეთილი, — თქვა მან ბოლოს და ბოლოს და ბიკენტის გადახედა, — ნახევარ საათში ავიშლებით.

„ამ ყმაწვილის ინსტინქტები მრავალფეროვანი და კვაზარებივით სწრაფია, ტვინის მოძრაობა კი დუნე და ჩლუნგი. ამიტომაცაა საინტერესო, ამიტომაცა ჰგავს ხარს თუ ცხოვრებას, ამიტომაც პატიობ სისულელესა და ქვებუდანობას“, — ფიქრობს ბიკენტი და კბილებს უჩვენებს:

— იქნება, ძველო.

როდესაც წავიდა, ბიკენტიმ მედეას უთხრა, რომ მთაწმინდის რესტორანში გაორება სახიფათოა, ან მსახიობი უნდა იყო ან მაყურებელი, ან ზეცას უნდა ეკუთვნოდე ან მიწას.

— გარსონ, — თითი დაუქნია ოფიციანტს ექიმმა, — ოთხი შამპანი იმ მაგიდას... მოიწყინე, მედეა?

— წავიდეთ.

— ამოვახვიოთ ცხოვრების შული, ცხრათვალავ?

სახლთან მედეამ წინდები აიჭიმა ფეხებზე. ექიმი მდაბიო არ იყო, მან თავი ისე დაიჭირა თითქოს არაფერი არ დაენახოს, თითქოს უბადლო სიამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზის ბარძაყები მხოლოდ სკამის ფეხები ყოფილიყო. მაგრამ შემდეგ თვალებს მაინც არ ენდო და ხელი აიფარა სახეზე. „ნათელი ბნელსა შინა“, კვნესოდა სისხლი და ხორცი.

აქ სხვა გარემოებამაც დააინტერესა ექიმი. რატომ არ იზიდავს კაცს ვენახში ყურძენი, ყაყაჩოებით გადაპენტილ მინდორში — ყაყაჩო, ზეცაში — ანგელოზები, წინანდლის ღვინის უკიდეგანო სარდაფში— სასმელი, პლაჟზე — ნახევრად შიშველი სხეული? რამდენჯერ უნახავს ეს ბარძაყები გაგრის სანაპიროზე, ასე კი ახლა განიცადა. რა ხდება, რაზე მიგვანიშნებს? ფარულის, შეუცნობელის, საიდუმლოების საიდუმლოებაზე ხომ არ მეტყველებს? ყოფიერება და სამყაროც იმიტომ ხომ არ არის საინტერესო და ასატანი? მუჰამედი ალბათ ჭეშმარიტებას ღაღადებს, ჩვენც უნდა გავახვიოთ ქალები ზეწარში. როდესაც მარტო დარჩა, პატარ-პატარა აზრები ისე დაესიენ, როგორც ბზიკები. ჯერ ტიმოთე მოაგონდა და უნდოდა მწუხარებას მისცემოდა. გრძნობდა, რომ დღევანდელ საღამოს ისე არ ეპირა თავი, როგორც მიწას მიცემული მეგობრის პატივისცემა მოითხოვდა. მაგრამ მალე ისევ გახვია მედეამ ბადეში. მაინც რატომ აქვს სხვა პეწი ცხოვრებას, როდესაც ასეთი ფეხები მოგდევენ გვერდში? იყო ასკლეპიუსის რჩეული დიდი ბედენა როდია, იყო მედეას მესაკუთრე — უდიდესი პრიზი და გამარჯვებაა. წელანდელმა ხილვამ უფრო მწარედ აგრძნობინა სულის უსუსურობა ვარდისფერი ხორცის წინაშე, ეშმაკების უძლეველობა.

შორს, სადღაც შორს იყურებოდა ბიკენტი და მიდიოდა. ფაციფუცი ტრიალებდა მის გულში. ყოფიერების დაქინებულ მზერას თვალს ვერ უსწორებდა. ვის არ განუცდია სულმოკლეობის წუთები. მაგრამ ხშირად ფერის დაკარგვა და ნიკაპის აცახცახება კურდღელს ამსგავსებს ადამიანს. ცხოვრებაში კი მაინც მგელს ჯობია ჰგავდე, ვიდრე მის მსხვერპლს. მან გაიფიქრა, რომ იმ დროს, როდესაც ამ ქვეყანაში შემოდიოდა, რომელიღაც ფერიას აერია და თვალები უკან მოუთავსა. მხედველობის ორგანოს ასეთი განლაგების დროს მხოლოდ წვრილმანებს ამჩნევ: მზის ამოსვლას, ატმის ყვავილობას, გედებს, წყნეთის აგარაკებს, არტახებს, მსაჯის არაობიექტურობას მშობლიურ სტადიონზე, გასტრონომებში თაროების სიცარიელეს, უკიდეგანო რიგებს, მოსამართლეების ლიპებს, პროკურორების სახლ-მუზეუმებს, დაღვრემილ ჩვენს წინაპრებს ზოოპარკის გალიებში.

უმრავლესთა ცხოვრება ძალზე ჰგავს სიზმარს, რადგან სიზმარშიც იტყუება კაცი, იქაც ეშინია ვილაცის, იქაც თავისუფლება ქიმერაა და მეტი არაფერი. ეტყობა ცერბერი-ცენზორი სამუდამო მხარეშიც არ მოეშვება კაცს. ქვეცნობიერების სიღრმიდან წამოსული პოლიციელები და არტახები ყოველთვის მზადყოფნაში იქნებიან ნებისყოფისა და გონების წინაშე... პატარა ბუნების კაცს სიზმარშიც არ წყალობს ბედი, იქაც მხოლოდ ოდნავ მაღლა დგას თავის ძმა-მაიმუნთან შედარებით...

4.

ბორისმა სათვალე მოიხსნა და მაგიდაზე დადო. შემეცნების დემონი არ ეკარებოდა. ჰვრეტასაც თავისი იდუმალი სამალავი და საწყისი აქვს, და თვით ფილოსოფოსებიც კი ზოგჯერ ჩვეულებრივ ადამიანებად იქცევიან. და მიშტერებიან ჭერს. ის, ვინც ამაყია, ასეთ წუთს მიკროსკოპს, საცდელ კურდღელს თუ კალამს გვერდზე გადადებს. პატივმოყვარე კი თავს იტყუებს და ცდილობს სხვების გაბმასაც სიცრუისა და სიყალბის ბადეში. ბორისმა როკიტანსკი თაროზე შემოდო.

ამირინდო პალატიდან გამოვიდა და შედგა. რაღაც გაურკვეველი გრძნობა ეუფლებოდა, დამთრგუნველი; სასწრაფოდ საორდინატორო ოთახს მიაშურა, სადაც ყოველთვის ხალხმრავლობა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიხალისეა. შემდეგ ანდროს და მამუკას მიუახლოვდა და თვალი გადაავლო ჭადრაკის დაფას. ფიგურებმა, თითქოსდა ადამიანთა ვნებებისა და კლასობრივი იერარქიის სიმბოლოებმა, ერთი წუთით მიიპყრეს მისი ყურადღება. ისევ შემობრუნდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ლამაზ ინტერნს — მეექვსეკურსელ ალას გაუღიმა და მკლავში წაავლო ხელი. ცოტა ხნის შემდეგ კი განზე გადგა და სულის სიღრმეში ჩაიხედა. მაშინვე გაუფართოვდა თვალები და შეძრწუნდა. იქ მარტოობა დაინახა, საშინელი სიცარიელე და მიხვეულ-მოხვეული ბილიკები. მაშინვე საორდინატოროდან გაიყვანა ალა და მაია. მან საოცარი ადამიანის გაცნობა შესთავაზა გოგონებს. გოგონები დათანხმდნენ...

— ღორმუცელობამ დაგღუპათ, — უთხრა მან ავადმყოფს ხმამაღლა.

— არა... პატივმოყვარეობამ.

ბიკენტი დაინტერესდა. გაიოზ წითლიძემ გული გადაუშალა.

— როგორ მოვიქცე აწი?

—იოცნებე და ნუ იფიქრებ.

ბიკენტი წამოდგა. მას წამდა, რომ ასეთ დროს მორჩილება და ყუჩილი — უძვირფასესი თვისებაა, ყველა პერსანტინზე და ჰეპარინზე საუკეთესო წამალია.

— გმადლობთ, — გაუღიმა გაიოზმა, — ბაალ-შემი ბრძანდებით.

— ხელფასი რამდენი გაქვთ? — ჰკითხა ექიმმა. წყალბურთელმა მიუგო, — თითქმის ოთხჯერ მეტს აკეთებთ, ვიდრე ჩემისთანა უბედურები, ბიკენტიმ ორაზროვნად გაუღიმა.

ექიმს წუხანდელი სიზმარი მოაგონდა და ბორისის მონახულება გადაწყვიტა.

ბორისის ოთახში ამირინდო და ინტერნები დახვდნენ. ბორისი მათ შორეული საუკუნეების მკურნალობაზე მოუთხრობდა. ძველი ექიმები ადამიანების საშველად ცოცხლობდნენ. ბიკენტიმ ჩაურთო, რომ იცოცხლო უნდა ჭამო, ხოლო რომ არ გაცივდე, უნდა ჩაიცვა. შემდეგ დაისვა კითხვა, თუ რამდენი საუკუნის შემდეგ გადაწყდებოდა სმა-ჭამის და სამოსელის პრობლემა, როდის მიეცემოდა ადამიანს აზროვნების, ცეკვის, მოგზაურობის, მუშტიკრივის, ერთი სიტყვით, სიცოცხლის საშუალება. სულ ბოლოს კი ინფარქტზე შეაჩერეს ყურადღება.

ამ დროს ოთახში მთავარი ექიმის მდივანმა შემოყო თავი. მთავარი ექიმი ბორისს და ამირინდო იბარებდა თავისთან.

— მთავარი ექიმი ცოფებსა ყრის, — თქვა მდივანმა.

ისინი ოთახიდან გავიდნენ. მხოლოდ ბიკენტი დარჩა კაბინეტში... რა შველის კაცს გაჭირვების მეყში, ვინ შემოგვთავაზებს იმ ძალას, რომელიც ცხოვრების მხრებზე ზედაწოლლას აგვატანინებს?... მოგონება?...

ბიკენტიმ ერთი თავგადასავალი გაიხსენა.

„სად მოღვაწეობდი?“ „ლენინგრადსა და მოსკოვში ვცდილობდი კვალის დატოვებას, მაგრამ იქ იმდენი ნაფეხურია, იმდენი უსასრულო ბილიკია, რომ ბოლოს და ბოლოს თავბრუ გეხვევა, ბოლოს და ბოლოს გეჩვენება, რომ ყველაფერი გვერდს გივლის და ისევ მიწისკენ მიილტვი“ უპასუხა ახალგაზრდა ქალმა. „სად ანათებ, რომელ ველზე იბრძვი სახელისა და დიდების მოსაპოვებლად?“ — ბიკენტიმ არაყი მოსვა. „სარეცელზე“, — გაიცინა ჯულიეტამ. „გაიხადე, სად გინახავს მტრედს კაბა რომ ცმოდეს, — ისევ ჩააცივდა ტიმოთე, — წარმოიდგინე აგვისტო, თაკარა მზე, გაგრა, პალმები, ზღვა“. „ქალს სამოსელი უხდება“. არაყს, როგორც ცივ ლიმონნათს პაპანაქება სიცხეში ისე სვამდნენ. ცეცხლოვანი სასმელი ღვინის ჭიქებში ისხმებოდა, ჭიქებიდან კუჭში, იქიდან კი მთელ სხეულში. და ერთი ტამერლანი ხდებოდა, მეორე — ეკლესიასტე, მესამე კი — წმინდა მარიამი. ეკლესიასტე ბიკენტი მეხუთე ჭიქის გამოცლის შემდეგ ქადაგად დავ-

არდა. მან თანამოინახეებს მიანიშნა, რომ არასოდეს არ აივსება ადამიანის სტომაქი შამპანურითა და არყითა, ისევე როგორც თვალი ვერასოდეს ვერ გაძღება ცქერითა და ყურები კი ხმების მოსმენით. ჯულიეტამ ბიკენტის უმკითხავა. ექიმის მარჯვენა ხელი ხელზე დაიდო და დააკვირდა. „ჩაზნექილი ხელისგული მიუთითებს იმაზე, რომ თქვენი მატერიალური მდგომარეობა სავალალოა“. „ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება“, — გაიცინა ტიმოთემ. „ხაზები სუსტად გაქვს გამოხატული, ფანტაზიის მთვარის ბორცვი — განუვითარებელი და ინფანტილურია. მარსის — ძალის და ნებისყოფის ბორცვი საერთოდ არ ჩანს. სამაგიეროდ ღვიძლის ხაზი და როზეტას ბორცვი ყორღანივით გაფურჩქვნილა. სიცოცხლის ხაზიც საკმაოდ გრძელია“. „ერთი სიტყვით ელეშუტე ყოფილხარ“, — იცინოდა ტიმოთე. თავის ქალაზე კეფა მოუსინჯა ჯულიეტამ, შემდეგ თხემი, საფეთქლები და შუბლი. „პატარა, მრგვალი თავია, ჩანაჭდევებისა და გამობურცულობის გარეშე — რაც მისი პატრონის მერყევ ხასიათზე მიუთითებს... ხომ არა გწყინს?“... „როგორ გეკადრება“. როდესაც ჯულიეტამ კაბა გაიხადა, ვაჟკაცებს ტკბილად ეძინათ... ბიკენტი გულის ტკივილმა გამოაღვიძა. წამოდგა, ონკანი მოუშვა და თავი შეუშვირა. შემდეგ ისევ ოთახში დაბრუნდა. სავარძელში ჯულიეტას ჩანთა შეამჩნია. „ვინ არის მაინც?“ ისევ მოუჭირა გულზე. ბიკენტიმ კარადა გამოხსნა, ანალგინის სამი ამპულა გატეხა და შიგთავსი წყალთან ერთად შესვა. ისევ მოხვდა მხედველობის არეში ჯულიეტას ჩანთა. ტკივილი მარცხენა მხრისკენ გავრცელდა. ექიმმა გულზე მოისვა ხელი. შემდეგ ჩანთას დაწვდა და გახსნა. ჩანთაში სავარცხელი, ბინტი, უბის წიგნაკი, პასპორტი და ოთხი მანეთი აღმოჩნდა. „ასე ვეშვებით ფსკერზე თანდათან, — გაიფიქრა ბიკენტიმ, — ახლა ის ადგილიც ხომ არ დავათვალიერო, მეკობრეებმა მშვენიერ[illegible] დას რომ მოუსინჯეს?“ მაგრამ ბიკენტიმ მაშინვე ინუგეშა თავი. არ არსებობს არც ფსკერი და არც მწვერვალი, ორივე მხოლოდ აბსტრაქციაა, სამყარომ არც „ზედა“ და არც „ქვედა“ იცის. მაშინ პასპორტი გადამალა. ამ დროს ოთახში ჯულიეტა შემოვიდა. „ნახე ყველაფერი?“ „ვნახე, სვეტლანა“. „ახლა ნამდვილად მომწონხარ და შენ გეკუთვნი... ალარაფერი ალარ გვიშლის ხელს, ორივე ნაძირალები ვართ.. წამომყევი მეორე ოთახში, გეთაყვა“...

კარები გაიღო და ოთახში ბორისი შემოვიდა.

— რამ გაგაფითრა? — სავარძლიდან წამოხტა ბიკენტი. — ხომ არ გამართლდა ჩემი წუხანდელი სიზმარი?

— პენსიაზე გამიშვეს... ამირინდო კი საავადმყოფოდან დააპანღურეს.

ავტობუსების გაჩერებასთან დარბაისელი კაცი დაეწია ბიკენტის.

— თქვენ თურმე ოთხჯერ ნაკლებ ხელფასს ღებულობთ ზოგიერთებთან შედარებით, — უთხრა მან ექიმს ღიმილით.

— ვინ ბრძანდებით?

— წითლიძის მამა ვარ.

დიდხანს ისაუბრეს. ბიკენტი უმტკიცებდა, რომ ექიმი პატიოსანი და დიდსულოვანი უნდა იყოს. დარბაისელი კაცის აზრით თეთრხალათიანი არ უნდა ფიქრობდეს კვერცხზე და ყველზე, წინდებზე და ქალამნებზე, რომ ყველა ექიმს ორსართულიანი სახლი და ორი მსუბუქი მანქანა უნდა ჰყავდეს. ბიკენტი დაეთანხმა. წითლიძემ რაღაც ჩაუდო ჯიბეში. ბიკენტიმ იუკადრისა. მაგრამ დარბაისელმა კაცმა ბოლოს და ბოლოს დაარწმუნა.

5.

ბიკენტიმ ალმაცერად გადახედა პამიდორივით წითელ აპარატს. არაფრის გუნებაზე არ იყო. გარეთ კი ჩიტუნები გალობდნენ. მზე აცხუნებდა მიწას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლით სავსე ხეები ამწვანებდნენ არემარეს.

წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი რევაზ ლებანიძე რჩევას თხოვდა. ბიკენტი შეპირდა, რომ მოინახულებდა ამ დღეებში. ექიმმა უთხრა, რომ გლადიატორი არენაზე ლებულობს გადაწყვეტილებასო.

ბიკენტიმ ყურმილი დადო და ისევ წამოწვა საწოლზე. ახლა რომ მხატვარს დაეხატა იგი, რას დაარქმევდა სურათს? „სევდიანი ჭაბუკი“ გაიფიქრა ექიმმა. აბუეტი, რომელმაც იცის, ათასი წელიც რომ იცოცხლოს, თავის დიდგორს მაინც ვერასოდეს ვერ შექმნის... ვერც „დაჭრილ არწივს“, და ვერც სვეტიცხოველს. ელეშუტე ელეშუტედ რჩება მარად. ოღონდ მთელი უბედურება ის არის, რომ ბენტერა ვერასდროს ვერ გრძნობს თავის სიბენტერეს. იგი კი განგებამ რატომღაც ჭვრეტის უნარით საკმაოდ დააჯილდოვა. სხვა მხარეში ხომ არ გაიქცეს? ირგვლივ ყველას მნათობად წარმოუდგენია თავი. მას კი ამ წარმოდგენის უნარიც არ გააჩნია. სად ეძებოს სამალავი, სად ჩაიჩოქოს, სად ამოთხაროს მიწა? რომელ ბილიკს დაადგეს, თუ კი ნაკვალევს ვერავინ ვერ ტოვებს, თუ კი ყველაფერში თავად უნდა გაერკვე, თავად უნდა იმოძრაო თვალახვეული ხელების ცეცებით? სად აკვარახჭინებენ, რომელ სპეცმაღაზიაში შოულობენ სასიცოცხლო ენერგიას, ცოტათი თავხედურ გამოხედვას და მცირეოდენ ფულსაც?... თუმცა არა, ფულის შოვნა უკვე ისწავლა... ფულის მოხვეჭას დიდი ნიჭი არ უნდა — ცოტაოდენი ჭკუა და უფრო მეტი — სილირფე... აწი სხვებმა იზრუნონ, თუ როგორ აცდენს დაბნეული კაცუნა ნიანგის ხახას ან მარტორქის გამოშვერილ წვეტიან ცხვირსა... მაგრამ მაინც სად არის ის სხივი, ცისკრის ნათელი, რომელიც ვალდებულია ერთხელ მაინც რომ შეაღწიოს გულის ნახვრეტებში? შეიძლება თეთრი გიორგი ან წმინდა მარიამი დაეხმარება? სახით მახინჯი, სულით კი პრაქსიტელეს ქალებზე ულამაზესი სოკრატე რას ურჩევდა ბიკენტის? ოცდაათი წლის განმავლობაში ერთ ჭკვიან ადამიანს მაინც ხომ უნდა გადაეყარო? თუ ესეც კარტოფილი, კვერცხი, კარაქი, ხორცი და იტალიური წუღებია? ელოს კოეფიციენტით ყველაზე გონიერი თბილისელი მერამდენე იქნებოდა დედამიწაზე? ან რა არის აბსოლუტური სიცოცხლის ხანგრძლივობის შემეცნება, უსასრულო მოწყალების გამოვლენა?...

ჯოვანი ჯენტილე, ლუკრეცია ბორჯია, მარკოზი სადი, ივანე მრისხანე, მურვან ყრუ, ათასი ჩვეულებრივი პატარა ჯენტილე და შაჰ-აბაზი — ისინიც სამყაროს წარმოადგენდნენ, სიცოცხლის დიდ ნაწილს, მტკიცებით გამოვლინებას და რომლებიც ისევე დაბრუნდებიან, სხვა ფორმით, სხვა ნიღბით. ამათ გამომზეურებას ხომ არ მოვკიდოთ ხელი?! ამდენ ტკივილს, ღვარძლს, სიყალბეს, უაზრობას და გაუგებრობას რომ აფრქვევენ ირგვლივ. ხომ მოვერიეთ ფიზიკურ ტკივილს, ნაწილობრივ მაინც ხომ დავამარცხეთ? დემაგოგებსაც დავუმიზნოთ ტალამონალი და მაგარი პანღური.

გადაიღალა, ნამდვილი ექიმი კი მისგან ვერ დადგა. შეტევით ციხის აღება ვერ შესძლო. სახელის, თუნდაც ყალბი სახელის მოხვეჭა არც ისე იოლი აღმოჩნდა, წმინდანობის, უფლის ოსტატის წოდების მოპოებისთვის ტანკის ქვეშ ერთხელ შევარდნა საკმარისი როდია. ასი ავადმყოფის მორჩენაც არაფერია. ერთი ხის ჩარგვა, ერთი ლექსის დაწერა, ერთი სიკეთის დათესვაც თვალთმაქცობაა. სიცოცხლე მრავალი დღისგან შედგება, რომლის, თითქოს, ულევ შარაზე ბევრჯერ შეგხვდება უბედურება, სასოწარკვეთა, ათასი ქალი, ათი ათასი სნეული, ცოფიანი ძაღლები, უგუნურება, სკორე, სახელგანთქმული მედუზა, ყალბი გმირები და სამკაულები. დაჩეხილი ხეები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულები, დრაკონის კბილები, უხეში ფლოქვებით გათელილი კონდარი... აი, რამდენ რამეს უნდა აუარო გვერდი, რამდენჯერ უნდა გაისვარო, წაიფორხილო, მუხლებზე დაეცე. და თუ გაუძლებ, გადარჩები, ჯილდოდ შეიძლება მხოლოდ წესიერი კაცის ცარიელი სახელი მოიპოვო, რომელსაც არავინ არ ამჩნევს — არც ანანკე და არც ირგვლივ მყოფნი.

ხომ არ ბოროტდება, ბიკენტი?

რამდენიმე წლის წინ ერთი ხანდაზმული ქალი განმეორებით შემოვიდა საავადმყოფოში. როდესაც ბიკენტის მოჰკრა თვალი, გაოცება გამოეხატა სახეზე. „რა უყავი შენი ღიმილი? — ჰკითხა მან ყმაწვილ კაცს, — ღმერთო ჩემო სად დამარხე?... მომისმინე ბიკენტი, გაიქეცი, მოშორდი აქაურობას, ვიდრე დროა!“... ეს მეორე ადამიანი იყო, რომელიც ამ აზრს უმეორებდა. მაშინ ექიმმა უპასუხა, რომ წლებმა შეცვალეს მისი გამოხედვა და არა სიკვდილის ხილვამ. ქალმა თავი გააქნია — დრო ფერს, ხაზებს, გულის სიცხლძარღვებს ცვლის და არა ღიმილს. წლები ხერხემალს ამრუდებენ და არა კაცის სულის გარეგან გამოვლინების საშუალებას — თვალის ჩინსა და ღიმილს. როდესაც სახე აღარც სიყვარულს, აღარც სიძულვილს და აღარც ზიზღს არ გამოხატავს — ეს სულის უხილავი წყლულის ნიშანია.

როდესაც სხვას შველი და შვებას ანიჭებ, ეს ყველაზე დიდი გამარჯვებაა, თევდორე მღვდელის თავდადების ტოლფასოვანია. ხმამაღლა იტყვის ასე, თავს კი აღარ მოიტყუებს. ეს საკენკი სხვას დაუყარონ ახლა... თუ ისევ გააძევოს დემონი დეზერტირი ფიქრები? შეუძლებელია ოცდაათი წლის ასაკში მოგწყინდეს გაჭირვებული, დასნეულებული კაცის შველა. დაუჯერებელია რომ ოცდაათი წლის კაცი ბერად აღიკვეცოს. ჯერ რამდენი რამ აქვს შესაცნობი და სანახავი: ხიზილალა და თავისუფლება, სნობების დაცემა და საქონელით გატენილი მაღაზიები, ადამიანების პატივისცემა და მგლების ხაფანგში გაბმა, შუშის თვალების ნამდვილი თვალებით შეცვლა და გამომზეურება სიყალბის, სიცრუის, დემაგოგიის.

ოცდაათი წელი, სიცოცხლის წრის ნახევარი, წლების პატარა იდუმალი არქიპელაგი. მაგრამ მაინც რამდენი გატაცება დაიფერფლა ამ ხნის განმავლობაში. რამდენი სურვილი, იმედი, შეჭიდება, სისხლი, ცრემლი, ოფლი და წვენი. რამდენჯერ შეიცვალა სიმართლე სიცრუით, სიკეთე ბოროტებით, სიხარული ტკივილით, და პირიქით. რამდენჯერ აღიარეს მოღალატე გმირად. როსკიპი სათნოების სიმბოლოდ, რამდენჯერ დაგვამცირეს, რამდენჯერ მოგვიძოვია ბალახის ნაცვლად ჯინჭარი, რამდენჯერ მოგვიკურცხლავს სიმართლისაგან, ბუნების ყველაზე საშინელ გამონაგონისაგან, რთულ და შეუცნობელ პროტოპლაზმისაგან.

რაც უფრო დიადია ადამიანი, რაც უფრო უხვად არის დაჯილდოებული ზეცის მიერ, მით მეტი ავი და კეთილი აზრები უგროვდება პატარა თავში, მით უფრო მეტ საგნებს ამჩნევს, მით მეტად ემონება სატრფოს სხვადასხვა ნაწილს, მით უფრო ხშირად ეპოტინება ნივთებს, იფანტება, იძირება, ნაწილ-ნაწილ ორთქლდება და ჰქრება...

ბიკენტი საწოლიდან წამოხტა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა. მედეა არ პასუხობდა. „სამყარო და ადამიანები გულქვანი არიან. ყველას თავისი ტკივილი და საზრუნავი აქვს. არც სატრფო, არც მეგობარი არ დაგიხვდება შინ გაჭირვების წუთებში... ჰეტერები და ფერდძლიერნი, გრამატიკოსნი და წეროებზე და ყარყატებზე მონადირენი, ცხოვრების სადავეების მპყრობელნი და უკვდავნი შაბათობით დროს არ კარგავენ და ერთობიან“.

მაგრამ ვიდრე ბიკენტის საბოლოოდ მოიცავდა სასოწარკვეთა. მედეამ თავად

ეროვნული

დარეკა და ჩოგბურთის თამაში შესთავაზა.

6.

უკანასკნელ დროს სულ უფრო ხშირად მიუწევდა ბიკენტის გული ჩოგბურთის კორტებისკენ. ჩოგბურთი მისი სიჭაბუკის წლები იყო· თუ თავდაღმართი დაიწყო, თუ გადაიწვერა მზე დასავლეთისაკენ?

კორტებზე ყველა გატაცებით დარბის და ცდილობს ბურთს ზუსტი მიმართულება მისცეს· ბუნებამ ადამიანი სათამაშოდ ხომ არ შექმნა? ჩოგბურთის მოედანი — ქალაქის ეს პატარა შემოსაზღვრული ნაწილი — დედამიწის აურზაურსა და ფუსფუსში ოქროს ხანის მინდორსა ჰგავს, მადლმოფენილ, გასულიერებულ არსებათქცეულ ხეებით და თეთრ მამლაყინწებით გავსებულ სივრცესა. როდესაც ადამიანი ზღაპრებისადმი ინტერესს დაჰკარგავს, ბავშვობის პერიოდიც დასრულდება. მაშინ ზღაპრებს ჩოგბურთი ცვლის. ხოლო როდესაც კაცს შოთაც და ჰეგელიც ველარ ატყუებენ, დასასრულიც სულ მალე ეწვევა· მაგრამ მანამდის მაინც ჩოგბურთია იმედის ფარი.

საავადმყოფო სატუსაღოსავითაა — ან ღუპავს საბოლოოდ ადამიანს, ან ძირში მოიქცევს, ან ანთავისუფლებს ქიმერებისგან. ფაკირივით, მეფოკუსესავით ცვლის სიცოცხლის ფორმებს, ცნებებს, იდეებს და მიმართებას. ჩოგბურთიც გამოცდაა: ან გამაღლებს ან თავს გახრევინებს მორცხვად· თუ მიგილო, უცებ მოხვდები საოცარ სამყაროში· იგი მთლიანად იპყრობს ადამიანს. მისი უბრალოება და მრავალფეროვნება მშვენიერი და დამთრგუნველია. თამაში გრაციოზული, ელეგანტური და მიმზიდველია. პატარა თეთრი ბურთის დამორჩილება კი გაცილებით რთულია, ვიდრე ბულასი თუ ამორძალისა. ნამდვილი ჩოგბურთელი ვაჟი გაგონებს ერთდროულად ტორეადორს, მოცეკვავეს, ავაზას, განუმეორებელ მხედართმთავარს, მშვენიერი ქალიშვილი კი ყველაფერს — ალვის ხეს, დაუოკებელ ბალერინას, ხორცის წამიერ უკვდავებას, თივის სუნსა და ოცნებას.

დიდი ჩოგბურთელი ვერ ამჩნევს ბრბოს, იგი თავის თავს უძღვნის გამარჯვებას. განუმეორებელი სილამაზის მოძრაობები, გამაოგნებელი სისწრაფე ბურთისა და არაამქვეყნიური სითეთრე სპორტული კოსტუმისა, ბრძოლის ღვთიური ვარიანტი და არავითარი მდაბიური სიახლოვე· როგორც ღმერთი გმირავს უშორესი მანძილიდან სულიერს, ისევე ჩოგბურთელიც ამარცხებს, თრგუნავს, თავის ნებისყოფას ახვევს მოწინააღმდეგეს ბადეს მეორე მხრიდან, გამოყოფილ, მოშორებულ კუნჭულიდან·

როდესაც „დინამოს“ კორტებზე ზემოდან დასცქერი სახელგანთქმულ ჩოგბურთელებს, თამაში მარტივი, უბრალო და გასაგები გვეჩვენება, როგორც ყველა დიდი ხელოვანის ნაწარმოები. ჭეშმარიტად ჩოგბურთიც ადამიანის გულის იმ სიმებს ეხება, რასაც პოეზია, ამაღლებულს, მოულოდნელს, შეუცნობელს. თუ ჩოგბურთის ენა არ გესმის, შეუძლებელია კორტებზე წარმოდგენა მიიღო, თუ ერთდროულად რა დიადი და აბსურდულია თამაში, სიცოცხლე და ყოფიერება. ამიტომ ეტმასნება ბევრი უფერული ყმაწვილი ჩოგბურთს. აქ სახელის მოხვეჭაზე ოცნებობენ. თავიდან ვერ ხვდებიან, რომ უნიჭოებმა ყველგან შეიძლება დაიდოს ბინა—დიდ სავარძლებში, მეცნიერებაში და ხელოვნებაშიც... გარდა ჩოგბურთისა· ხოლო ისეთ შეუდარებელ ქალიშვილებს, როგორც საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებაზე წააწყდებით, ვერსად იხილავთ. ბალერინას ფორმაში გამოწყობილებს, გაშიშვლებულ ჯიშიან ფეხებს, ტორსს, გულმკერდს, განუმეორებელ სახეს, ძველ ქვეყანაში, დიონისეს და ვენერას სამფლობელოში გადაჰყავხართ. ამ გოგონების მსუბუქი მიმოხვრა, [illegible], სირბილი აჯადო-

ეროვნული

ებს თვალებს, საგნებსა და მიძინებულ სულს. ისინი ისევ აღვიძებენ სიცოცხლის სიყვარულს, სიამაყეს, გამბედაობას და იმის რწმენას, რომ შენც მხედართმთავრების, ახალი მიწების აღმომჩენების, მეკობრეების მოდგმისა ხარ. ერთხელ კიდევ გაბედავ თავის მოტყუებას, რომ სხვაგან სხვა დროს რომ დაბადებულიყავი, შენც აიღებდი შენს ქალაქს, ერთხელ მაინც შეგამკობდნენ დაფნის გვირგვინით.

თეთრი სპორტული ფორმა თავისებურად უხდებოდა მედეას. ჩემპიონთა გვერდით რომ დამდგარიყო, ვერაფრით ვერ გაარჩევდით ბედის რჩეულთაგან.

„ეს იმაზე მეტყველებს კიდევ ერთხელ, — გაიფიქრა ბიკენტიმ, — რომ სამოსელის მიხედვით ადამიანის ღირებულებაზე მსჯელობა დაუშვებელია“.

მედეა მონდომებით დასდევდა ბურთს, მაგრამ თამაშზე წარმოდგენა არ ჰქონდა. ბიკენტი მსუბუქად იქნევდა ჩოგს და ბურთი თითქმის ყოველთვის ქალიშვილის წინ ეცემოდა.

მოყვარულ სპორტსაც აქვს თავისი მიმზიდველობა, მოძრაობა და სურვილი. მაგრამ სინამდვილეში მაინც გაუგებრობა და სიყალბეა. ის, რაც უმრავლესთა ხვედრია, ყოველთვის ეჭვს იწვევს. შებოჭილი მოძრაობა, დაგვიანებული რეაქცია, ილეთების სიმცირე, ჩამქრალი თვალები და რაღაც დამთრგუნველი სურათი, იმის მსგავსი, როდესაც მუყაოს ხმლით ცდილობენ დრაკონის განგმირვას, როდესაც დაგვაჯული, მოკლე ხელებით ბრწყინვალე ზეცას ეპოტინებიან. ის სიდიადე, რაც ყველა რჩეულ ჩოგბურთელშია, აქ გაყალბებულია, გაჯამბაზებულია, დამცირებულია, გატინგიცებულია. როგორც ზოგიერთი ადამიანის დაბადება და არსებობაა წინასწარ გაპამპულებული. ის თვისება, რაც თამაშს ხელოვნებად და ზოგჯერ თვით სიცოცხლედაც კი აქცევს, მათში ჩამკვდარია. პროფესიონალი ჩოგბურთელი ვერასოდეს ვერ გახდება მოყვარული.

სულ მალე ლოყები შეუფაკლა მედეას, თვალებში კეთილი სხივი ჩაუდგა და გულმა უფრო გამალებით დაუწყო ფეთქვა. დამდგარი სისხლი ამოძრავდა.

— მას, ვინც ჩოგბურთს მოხდენილადა და გატაცებით თამაშობს, საჩუქრები: მარადიული გაზაფხული, ფრანგული სუნამოები და გასეირნება გაგრაში, — დაუძახა ბიკენტიმ ქალიშვილს.

— როდის მოვუსვათ ზღვისკენ?

— გამოცდების შემდეგ.

— ბიკენტინო, ზღვა, ჩოგბურთი და სცენა... მე მეტი არაფერი მინდა.

ახლა ის ისე აღიქვამდა სინამდვილეს, როგორც მას სურდა ყოფილიყო. ასეთი ზმანება ხელსაყრელია დროდადრო. იგი იცავს ადამიანს. და იგი, სინამდვილე, მომხიბვლელი ხდება. ხოლო მისი სხეული, გამოხედვა, წამწამების თრთოლვა კიდევ უფრო საიდუმლო და მიმზიდველი.

ბიკენტი მშვიდად თამაშობდა. მან გაიფიქრა, რომ საქართველოს თავისი სამი განუმეორებელი პირამიდა გააჩნდა: შოთა, მრავალფეროვანი ბუნება, კონცენტრირებული საოცრად პატარა, ერთი ნაბდის გაშლის ხელა მონაკვეთში და ქალები. შოთამ უკვდავყო ენა, მიწამ შეიხიზნა უამრავი ტომის ხალხი, ქალებმა აღამაღლა მამაკაცები. ერთ-ერთი მათგანი ახლა რკინის ბადის იქითა მხარედან მიშტერებოდა მედეას შიშველ კანჭებს. ჩოგბურთის მოყვარულს არ ჰგავდა. პატიოსანი ჩოგბურთის ტრფიალი თამამად შემოდის სტადიონზე და იქიდან ტკბება პატარა წარმოდგენით. ასეთი „მოყვარულები“ განსაკუთრებით ზაფხულობით მრავლდებიან სტადიონის ირგვლივ, როდესაც გოგონები ბალერინებს ემსგავსებიან და თითის წვერებზე ცეკვავენ ფერიების თამაშს. როდესაც შენს პარტნიორს სტადიონზე მყოფნი შესცქერიან, საამაყოცაა. მაგრამ როდესაც რკინის ბადეს იქითა მხრიდან მიშტერებიან, უნდა გაღიზიანდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიკენტიმ მხარეების შეცვლა შესთავაზა მედეას. ქალიშვილი დათანხმდა. ბიკენტი თავჩაღუნული გაემართა მოპირდაპირე მხრისკენ. უცნობი გაუნძრევლად იდგა. იგი მხოლოდ მაშინ შეტოკდა ოდნავ, როდესაც მედეას მიერ დარტყმული ბურთი მის სიახლოვით გაჩერდა და ბიკენტი ასაღებად დასწვდა. ბიკენტიმ ტერფითა და ჩოგის თავით აიგდო ბურთი და უცნობს გახედა. მათი მზერა ერთმანეთს გადაეყარა.

— ბიძია, მოგწონს ეს მისტერია? — ჰკითხა იქედნური ღიმილით ბიკენტიმ.

— გვარიანი ბურჟალობაა, — ღიმილითვე უპასუხა მამაკაცმა...

7

ბიკენტი თხელ პატარა თუნუქის ფირფიტას დასცქეროდა.

— რატომ დაგაგვიანდა? — ჰკითხა მეტაბელემ.

— ძაღლმა კანჭში მტაცა პირი.

— პარასკევს ხოჭოდ იქეცი ლოგინში... ახლა ნაგაზი მოიგონე... ვა, ბაირამობაა?!

ბიკენტი თვალს არ აშორებდა ტაბელს. თვეში ორჯერ თუ სამჯერ ეს პატარა და, საერთოდ, ყველა საგანი, რისთვისაც ადამიანები ფუსფუსობენ, დარბიან და ლაყე კვერცხებს ესვრიან ერთმანეთს, რაღაც უსიამოვნო გრძნობას იწვევდა. თავისუფლება მაცდუნებელია. რამდენ ქალაქს, პოეტს თუ ერს მოუყრია მუხლი მის კვარცხლბეკთან. რამდენი თავი გაგორებულა მის სადიდებლად და მოსახიბლავად... გასტყორცნოს?... ბიკენტი შეყოყმანდა... თავისუფლება სიცოცხლეზე დიდია. გონების და კუჭის აშლილობაც კი შეიძლება გამოიწვიოს მასზე ფიქრმა. ბიკენტიმ თვალი თვალში გაუყარა მეტაბელეს და... ფირფიტა ლურსმანზე ჩამოკიდა.

ამ დროს გერონტი გამოჩნდა. იგი სწრაფად მიუახლოვდა ბიკენტის, ხელი მკლავში ჩაჰკიდა, გვერდზე გაიყვანა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ყველაფერს თავისი დასასრული და საზღვარი აქვს. მაგრამ ამირინდოს ასე უეცრად დატყვევებას არავინ მოელოდა. ნიჭმა, პატივმოყვარეობამ, ხელოვნების სიყვარულმა და ბახუსმა შეაცდინა. საბოლოოდ კი ბგერითმა იოგებმა დაღუპეს. კიდევ ერთხელ დამტკიცდა ყველას მიერ აღიარებული ჭეშმარიტება — ვინც მახვილს აიტაცებს, ამ იარაღითვე გაიტაცებს გაღმა თავის მოკვეთილ თავს...

წინა შაბათს ოცდამესამე საავადმყოფოს ნაღები საზოგადოება შეკრებილა ლამაზი ექიმ ჯულიეტას დაბადების დღეზე. აქ ყოფილა თავდავიწყება, გოჭები, ხიზილალა, შამპანურები, სიმღერები, სუკები, სოკოები, წიწილები, ცეკვები, მჭადები, გონებამახვილობა. ყველა ისე ამჟღავნებდა თავის ხასიათს, როგორც მეომარი ბრძოლის ველზე, როგორც ნამდვილი ქალ-ვაჟი თაფლობის თვეში. აი, რატომ გაება ყმაწვილი კაცი მახეში, რატომ გაიტაცა თვითდამტკიცების, აღიარების სურვილმა რამოდენიმე ჭიქის შემდეგ. იმ საღამოს ამირინდომ დიდი გაოცება და პატარა შურიც გამოიწვია თანამშრომლებში, ნახევარ საათზე მეტს უსმენდნენ და ხარხარებდნენ. ამირინდომ მიბაძვის არაჩვეულებრივი ნიჭი გამოამჟღავნა. მის ხმას ვერასგზით ვერ გაარჩევდით წარმოდგენილ თანამოქალაქის ხმისაგან. გმირების განუმეორებელი სახეები შექმნა — მსახიობების, მწერლების, ექიმების, საზოგადო მოღვაწეების და ამა ქვეყნის ძლიერთა და საჭეს მპყრობელთა. თანამშრომლები სიცილისგან იჭაჭებოდნენ და განმეორებით თხოვდნენ სცენაზე გამოსვლას.

მეორე დღეს მართალია კვირა დღე გახლდათ, მაგრამ მთავარმა ექიმმა უკვე ყველაფერი იცოდა — თუ ვინ რამდენი ჭიქა დალია, თუ ვისი ხელი ვის მუხლებზე იდო სუფრის ქვეშ, თუ ვინ მიირთვა ყველაზე მეტი ხიზილალა, ან ვინ რა თქვა ან ვინ რამდენჯერ გავიდა ტუალეტში. ამირინდოს გამოსვლებზე ბევრი იცინა.

ეროვნული

გერონტიმ დასძინა:

— უფრო უპრიანი იქნებოდა დაბადების დღეზე სოკოებით მოწამლულიყო უბედური ყმაწვილი კაცი, როგორც რომის ერთი იმპერატორი.

ერთი კვირა დაჭირდა მთავარ ექიმს ამირინდოს მზის სინათლეზე გამოსაყვანად. ერთი კვირის შემდეგ ერთი საათით უსაუბრიათ, რის შემდეგაც უმალ ჩაესვენა დიდი მომავლის მქონე ყმაწვილი კაცის მნათობი. იგი სამუდამოდ ტოვებდა საავადმყოფოს. მაგრამ მითქმა-მოთქმა და სანახაობა ამით არ დამთავრებულა. მალე ისევ ამოტივტივდა ბორისის პენსიაზე გასვლის საქმე. თავიდან ბიკენტიმაც ვერაფრით ვერ დაუკავშირა ეს ორი უბედურება ერთმანეთს. სწრაფად გავრცელდა ხმა, რომ ორივე საავადმყოფოს შემარცხვენელი იყო. ყველა, მათ შორის თავიდან ბიკენტიც, კმაყოფილი იყო ამირინდოს გაბითურებით, იმ ყმაწვილის გაპამპულებით, რომელიც ასე სწრაფად მიიწევდა მედიცინის დიდებულ მწვერვალისაკენ მიმავალ საფეხურებზე. მაგრამ სულ მალე ბიკენტის ეჭვი შეეპარა, რადგან მისი ნახევარი ტვინი მაინც სალად მუშაობდა და ბუნებითაც მაინცდამაინც ღვარძლიანი არ ყოფილა. გუმანით იგრძნო, რომ აქ საქმე გაცილებით უფრო ჩახლაფორთებული იყო, ვიდრე ჩანდა...

„მაინც რა მოხდა?“ — გაიფიქრა ბიკენტიმ, როდესაც მარტო დარჩა. ბევრი იფიქრა და ბოლოს ისევ იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ანანკე განაგებს ადამიანის ბედს, გინდ კურდღელი იყოს ბუნებით და გინდაც მგელი, რომ სიფხიზლე, გარჯა, დიდი კაცის ზურგი თუ მამაცობა ბოლოს და ბოლოს მაინც ერთ ძალას ემორჩილება. მაგრამ, როდესაც ჭკვიანი ზღვის ცხოველი დელფინი და შტერი ბატი, ბუმბერაზი და ქონდრისკაცი, უფლისწული და გლეხის ბიჭი, სახელგანთქმული ტენორი და მეწალე ერთ ბედქვეშ აღმოჩნდებიან, დამთრგუნველად მოქმედებს.

ბიკენტიმ ავადმყოფი გასინჯა და ბორისს მიაშურა. მეგობარს [illegible] ქუდი ეხურა და ისე ეჭირა თავი, როგორც უდარდელ და თავქარიან მამაკაცს.

— ქემერტელიძემ ოთხი კილოგრამი ხორცი მომიტანა, — უთხრა ბიკენტიმ ბორისს, — ადამიანის სიკეთეს საზღვარი არა აქვს... ნახევარი შენთვის დამითმია.

— დიდი მადლობა.

— გინდა ცირკში წავიდეთ დღეს? ჰკითხა ბიკენტიმ.

პათანატომმა ისევ მადლობა მოახსენა ყურადღებისათვის.

— მაშინ, მოდი, ორიოდე დღით ნიჩაფაში მოვუსვათ, ყვირილას ხეობაში, თავისუფალ სამყაროში... ყვირილას ხეობა თავისებური მხარეა — თვითმყოფადი, ჩუმი, მოწყვეტილი სინამდვილისაგან, საიდუმლო, გამოუცნობი. აქ ყველაზე იშვიათად აღწევდნენ ალბათ გადამთიელები, რომაელები, თურქები თუ სპარსელები, მონღოლები თუ არაბები. ამიტომაც მიწა და ზეცა აქ უფრო ნაკლებად სისხლიანი, ვერაგი და დაუნდობელია. მაინც საიდან მოიგონეს ასეთი ლამაზი სახელები — მარტოთუბანი, ნიჩაფა, ბოსლევი, ბეგლევი, რკვია, სალიეთი, ჭიათურა, კაცხი, ძარკვეთი, საჩხერე?

— ჩამოჯექი.

— როდესაც სახედარს ყურები ჩაჩის ქვეშა აქვს დამალული, როგორ უნდა გამოიცნო?

— უნდა მოხადო ჩაჩი.

— შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს და აუცილებლად ტლინკებს დაუშენს შენს ქოხს, ასე საიდუმლოდ და სათუთად რომ აშენებდი მთელი სიცოცხლის მანძილზე. შეეცდება მის დანგრევას, აფეთქებას.

— ნამდვილი ჩოჩორის ყურების გამომზეურება ღირს ერთი სამყაროს შერყევის ფასად.

— როგორც ანატომმა, ხომ არ იცი, რომელი ორგანოა დაჭრილი, დანაწიბურებული გულის ავთანდილი?

ბორისი დაფიქრდა, მაგრამ მაინც ვერ უპასუხა. ან თავი შეიკავა.

— დაუძინებელ მტერს რას უსურვებდი?

ის პასუხობდა, მაგრამ მაინც სხვა კუნძულზე იჯდა, სხვა სოფლის ორღობეში მიაბიჯებდა. ბიკენტის გამჭრიახი მზერა ყველაფერს ამჩნევდა. კუნძული უკაცრიელი იყო, ორღობე ვიწრო და სავსე წუმპეებით. იქ წუთი დღეს უდრიდა, ექვსი საათი წელიწადს. როგორ გადმოიყვანოს, სად იშოვოს აფრა ეული?

— ბორის, მეც შენს ბანაკში გადავწყვიტე ბინის დადება. მკვდარი გაცილებით უწყინარი და საინტერესოა, ვიდრე ცოცხალი. ხოლო პათანატომია უფრო მყუდრო ნავსაყუდელია, ვიდრე კლინიკა... რა შეედრება ადამიანის ნაწლავებში ხელის ფათურს. ელენთის, თავის ტვინის ხვეულების დათვალიერებას.

ბიკენტი ისევ თვალთმაქცობდა. ახლა ყველას აურევს გზაკვალს, რომ მის საიდუმლოებას არ ჩაწვდნენ. მას ბავშვობიდანვე იზიდავდა ადამიანები, რომელთაც თავისი, საკუთარი სამალავი ჰქონდათ.

— არა, ბიკენტი, შენ მოწოდებით ჯარისკაცი ხარ, მეომარი, რომელიც წინა ხაზზეა მუდამ. ზურგში ისინი დარჩებიან — სიცრუისა და სიყალბის გაუვალ ჯავშნით შემოსილნი. შენი ადგილი ბოლოს და ბოლოს უსახელო ჯარისკაცის საფლავი იქნება, ყველაზე წმინდა ადგილი, სიმბოლური, საიდუმლო, იგავის მსგავსი. გვიანია ბუჩქებში მიმალვა და რწმენის გამოცვლა. ექიმი-ჯარისკაცი მოწყალებისთვისაა დაბადებული.

— წინა ხაზზე ველარავითარ სილამაზეს ველარ ვამჩნევ, დაღლისა და თანდათანობითი გამოთაყვანების გარდა.

— სათნოება და საშველად ხელის გაწვდენა — ყველაზე მშვენიერი ტაძარია დედამიწაზე, არსაკიძის ნაგებობასავით მიმზიდველი და დაუნგრეველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამბობენ, თანდათანობითი დაშვებაც შეუდარებელი ყოფილა. აქაც მოიძებნება ჩვენი ბანკონგი, სინგაპური და ჩიკაგო... გადმოგიხედია როდისმე ულევიდან ქვეყნიერებისათვის?

— ეს უკვე პოეზიაა... მედიცინა და ლიტერატურა ახლოს დგანან ერთმანეთთან, ორი მეზობელი სოფელია, ორი შორიახლო გამავალი შუკაა.

— ახლა რა გეგმებს დაისახავ? რაზე აწყობ ხუხულას? როგორ ჩაიდებ გულში ქვას?

— ჯერჯერობით ჩემი თავგადასავალიც არ დამთავრებულა, ჯერ ბოლომდის არ გამილია დიდი კეისრის — სიცოცხლის ხარკი. სანამ სანაგვეზე მოვხვდებოდე, ვიდრე გალმაგასულებს შევუერთდებოდე, იმ შემღვრეულ სითხეს, რომელიც ფიალაში დარჩა, ჩემს გემოზე შევსვამ. შევეცდები აღარ დავინტერესდე, თუ რა არის მისაღები და მიუღებელი ამ ქვეყანაზე. იმ წრეში, რომელშიც ვდგავარ, აღარავის არ შემოუშვებ, სიმშვიდისა და მივიწყების გარდა, სხვას აღარავის, რომ იმ ღვთიურ მარტოობას, რომლის გაძარცვასაც დაბადებისთანავე იწყებენ, აღარავინ შეეხოს, აღარავინ წაეპოტინოს. მოვინახულებ ერთხელ კიდევ ნეკრესს, ბახტრიონს, მოდი ნახეს...

— ზღვაზე წამოგვყვები?

— ვისთან ერთად?

— მე ვიქნები, მედეა, ბასკო და შენ.

ბორისმა მიუგო, რომ ამ საკითხზე დაფიქრდებოდა...

— ზღვა ზაფხულობით ხმაურიანია, და გულსაც ზედმეტად აღელვებს.

— მასწავლებელო, მე როგორღა გავძლო უშენოდ იმ სასტიკ, შემოსაზღვრულ სამყაროში, მედიცინას რომ უწოდებენ?

— ავადმყოფებს დაეყრდენი.

— მაინც რა მოხდა, ბორის, როგორ შეეწირეთ ბედს ერთდროულად ორი სხვადასხვა დიამეტრის თავის ადამიანი?... შეძლებს წამოდგომას ის ყმაწვილი ცხრა დათვლამდის?

— უნდა გაუძლოს.

მან საათზე დაიხედა. სამი სრულდებოდა.

— მაესტრო, რატომ დილაობით ისეთივე ენთუზიაზმით არ გამორბიან სამუშაოზე, როგორც აქედან დღის ბოლოს, თითქოს ქარონი მისდევდეთ, ისე მოჰკურცხლავენ ხოლმე.

— ბიკენტი, როდესაც კაცს სადაცისკენ მიუწევს გული, როდესაც უკანასკნელი თავშესაფარიც არ დაუკარგავს, ისევ გამოუცნობი რჩება. ხოლო რაც საიდუმლოებითაა მოცული, ყოველთვის მიმზიდველი და წამახალისებელია. საიდუმლოებაა სამყაროსა და ადამიანის არსებობის გამართლება.

საავადმყოფოდან ბასკოს გაუარა ბიკენტიმ. ბიჭი შინ არ დახვდა, პიონერთა სასახლეში წასულიყო. ბიკენტიმ სქელ ქაღალდში გახვეული ხორცის ნაჭერი დადო მაგიდაზე. მელანია, ბასკოს ბებია, უღიმოდა. ტიმოთეც უღიმოდა სურათიდან. ექიმმა გაიფიქრა, რომ მის მეგობარსაც რამდენიმე სახე ჰქონდა. რომელი იყო ნამდვილი? შეიძლება ეს, ქაღალდის ნაჭერზე რომ დარჩა? შეიძლება ყველა ყალბი იყო. მაშინ რატომ მოწონდა, რატომ უყვარდა ბიკენტის? შეიძლება სიყალბესაც თავისი მშვენიერება აქვს? შეიძლება უიმისოდაც შეუძლებელია არსებობა? მართლაც, რა გაუგონარი ერთფეროვნება და მოწყენილობა გამეფდებოდა სამყაროში, წყვდიადი, ქარიშხალი, ნაღველი, ბოროტება, უფსკრული რომ გამქრალიყო.

— ჭადრაკზე ბოდავს დღედაღამე, — უთხრა მელანიამ.

— ვინ? — გამოერკვა ბიკენტი.

— ბასკო.

ასე დარბოდნენ ისინიც — ჯერ ჭადრაკზე, შემდეგ კრივზე, ცურვაზე, ჩოგბურთზე... ბოდვა, თრთოლვა... უცებ ბიკენტი მიხვდა, თუ რატომ იტყუებდა თავს გუშინ ჩოგბურთის კორტზე. უწინ, შორეულ წარსულში, დაკარგულ დროში, იქ — ისიც ბოდავდა, როგორც დღეს ბასკო ჭადრაკის დაფასთან. გუშინაც დარბოდა, იცინოდა, კმაყოფილ იერს [illegible]ულობდა, ისეთს, როგორიც მაშინ ჰქონდა. მაგრამ ყოვლის მცოდნე [illegible]ობრიობამ დიდი ხანია დაადგინა, რომ ქიმერა ერთხელ თუ გაჰქრა, ველარ იპოვნი, რომ წარსული წლები სამუდამოდ იკარგება, რომ ჩოგბურთიც ილუზიაა და თუ გსურს ეს ვარდისფერი, ცარიელი, ჰაეროვანი მშვენიერება სამუდამოდ რომ არ გაგიქრეს გულის კუნჭულიდან, აღარასოდეს არ უნდა დაუბრუნდე აგურისფერ მოედნებს, როგორც მოთამაშე... ტიმოთესაც დაივიწყებს სამუდამოდ, როგორც ლოდს, როგორც სულის დამამძიმებელ ზედმეტ ტვირთს, როგორც მოჩვენებას.

სახლის შესასვლელთან ამირინდო ელოდებოდა.

8.

ოთახში საქოჩრიდან კოჭებამდე შეათვალიერა ამირინდო, როგორ გინდა აულო ალღო სხვის გაჭირვებას, როდესაც საკუთარისა არაფერი გაგეგება?

ამირინდომ ჩანთიდან ხუთვარსკვლავიანი კონიაკი, ძეხვი, პური, ბოლოკი, კიტრი, პამიდორი ამოალაგა და მაგიდაზე დააწყო.

ყმაწვილი კაცი შეცდა, ბიკენტი ცუდი მსმენელია. მართალია დროდადრო იღიმება კიდეც, მაგრამ ყოველთვის სხვა საგანზე ფიქრობს, თავის სათამაშოებზე, აყალო მიწისაგან ან ძვალრბილისაგან გამოყვანილ ფიგურებზე... მოტყდა თუ ისევ ნიახურის ფოჩივით მოაქვს თავი?

არყის ჭიქებით სვამდნენ. ბიკენტიმ თქვა, რომ ზაფხულსაც თავისი მშვენიერება აქვს — ბალი, ალუჩა, ტყემალი, გაგანია სიცხე, ოფლი, ცივი შხაპი, გაჩაღებული ფეხბურთი. ქალებიც თითქმის შიშვლები დადიან, წინ კი ზღვა და მთაა — შესვენება, გაქცევა, ახალი ნაპირების, სივრცისა და სხეულების ხილვა... ყველაფერი ეს ისევ აღელვებს და ახალისებს კაცსა. მაგრამ მაინც რატომ გაუდგა მფარველი ანგელოზი?

— მთავარი ექიმი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უფრო დიდი... მთავარანგელოზი, ბიძია ანგელოზი.

მაშინ ყმაწვილმა კაცმა თავისი პატარა თავგადასავალი მოჰყვა — დაბადებიდან ვიდრე დაპანლურებამდე, ოცდახუთი წლის წინ მოევლინა ქვეყანას. მადიანად სვამდა რძეს, სტაფილოს წვენს, შეექცეოდა ფაფას, კარაქიან პურს, კარტოფილს, ვაშლს, რითაც პირველად იწყება სამყაროს გაცნობა. დედამიწის მთელი სიკეთე მას ეკუთვნოდა. ყველგან, სადაც კი მოეპრიანებოდა, ჰყოფდა თითს, ფეხს ან ცხვირს. საბავშვო ბაღში იატაკზე გულაღმა წოლა შეუყვარდა, თავიდანვე ცნობისმოყვარე გახლდათ, საათობით ელოდებოდა ლამაზი მასწავლებლის გავლას. მაგრამ გულუბრყვილო იყო. საიდან უნდა სცოდნოდა, რომ საგნები ასე იოლად როდი იხდიან ნიღაბს, რომ ქალიც და ბუნებაც გაფაციცებით ჩქმალავს სინამდვილეს და საიდუმლოებას, და ვიდრე ქანცს არ გაგიწყვეტს, ვიდრე არ გამოგტყუებს უძილო ღამეებს, სიხალისეს, წლებს თუ ქისას, ასე იოლად არ დაგნებდება, ასე უბრალოდ არ გადაგიშლის გულს თუ სხვა რამეს. შემდეგ სკოლაში გაგზავნეს და არ აუხსნეს, რომ ვიდრე ხელში დაიჭერდა კვერთხს ან ბუს კვერცხებს (რაც უფრო ხშირად ხდება ხოლმე, გამომდინარე კაცობრიობის გამოცდილებიდან და ისტორიიდან) ადამიანმა, ასე, ათიოდე წლის მანძილზე უნდა იტრიალოს სკოლის ჩანთის, უხალისოდ დაწერილი სახელმძღვანელოების, საწერკალმების, ხევრია გოგო-ბიჭებისა და ჭკუის დამრიგებლების ატმოსფეროში. ასწავლიდნენ ანბანს, მიზიდულობის კანონს, ასწლიანი ომების დაწყების მიზეზს, ლოგარითმებს, გოგირდმჟავას ფორმულას, მაიმუნის აგებულებას და... ერთხელაც არ წამოცდენიათ, თუ როგორ მოქცეულიყო, როგორ დაეჭირა თავი — ეყვირა თუ მერხის ქვეშ ჩამძვრალიყო, მუხლებზე დაცემულიყო თუ ხელები დაეკოცნა მასწავლებლისათვის, როდესაც სასაფლაოების სამ[illegible]ის უფროსის ენაბლუ შვილს—[illegible]ვრმეტყველებაში, დიდი კაცის იოლახა ბიჭს — ფიზმომზადებაში, ხო[illegible] მეყგავივლე გოგიას ვიწ[illegible]ლიან ნაშიიერს — ალგებრაში ხუთიანებს უხატავდნენ. ან რომელ სახელმძღვანელოებში ამოეკითხა, თუ რატომ ეცვა ერთს „დუბლიონკა“, მეორეს კი გაქუცული პალტო, რატომ ცხოვრობდა დარდიმანდი მოდებაძე ორსართულიან სახლში, მერკვილაძე კი — ერთ ოთახში. ან რატომ ულიმის ქლუსურად სულ ქიმი[illegible] მასწავლებელი იგივე მოდებაძეს და რ[illegible]ტომ გადახედავს ასე იშვიათად განურჩეველი თვალებით მერკვილაძეს? რატომ მოჰყავთ ბიჭიაშვილი გაკრიალებული შავი „გაზ-24“-ით, რომის პაპია ბაბუამისი? რატომ პატიჟებს დაბადების დღეზე პატარა ანგელოზი რუსიკო, სახე ფისოს რომ მიუგავს, მხოლოდ იმ ენაბლუს და ჩოლოხას? ასეთ წვრილმან კითხვებისათვის სკოლაში არ ეცალათ.

— ლექსებს ხომ არა წერ? — შეეკითხა ბიკენტი, — რამ ამოგაყოფინა თავი სამედიცინოზე?

— ფულის სიყვარულმა და მამაჩემმა... ჩემი მეზობელი ქირურგი იყო, პროქტოლოგი... პირდაპირ მწვანე ხუთთუმნიანებს აძრობდა კლიენტებს. ის, რაც ბალნობაში დაგაკლდა, გინდა სიცოცხლის მეორე ნახევარში აინაზღაურო.

ბიკენტიმ გაიღიმა და ახალგაზრდა კოლეგას დააკვირდა. თანდათან მეტი ყურადღებით უსმენდა. „თანდათან საინტერესო ხდება, თანდათან იხდის ბანალურ ნიღაბს, თანდათან ამჟღავნებს ნამდვილ სახეს და ხასიათს“.

— კვერცხი ხომ არ შევწვა?

— ნება შენია.

ბიკენტი სამზარეულოში გავიდა.

ამირინდო სკოლის დამთავრების წელსვე მოეწყო სამედიცინოზე. ამით მან დაამტკიცა, რომ ყმაწვილი კაცი თუ კი მოიწადინებს, ყველაფერს მიაღწევს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი მოეწყობა, ინსტიტუტში სწავლების პერიოდში სიცოცხლე ლაღად ჩქეფდა, აუდიტორიებში თუ კაბინეტებში ყველა და-ძმა და თანასწორუფლებიანი იყო. კაციშვილი არ გიშლიდა ხელს ლექციებზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრებას. აქ თეატრისაგან, მატარებლებისაგან და სანატორიუმებისაგან განსხვავებით პირველი რიგები, რბილი ადგილები და ლუქსები არ არსებობდა. სასადილო და საპირფარეშოც საერთო იყო. არცერთ კარზე არ იყო გამოკრული აბრა წარწერით: „მხოლოდ პროფესორის შვილებისათვის“ ან „მხოლოდ ვისაც სავსე ქისა აქვს“. ყველა სტუდენტი დარწმუნებული იყო, რომ ქალის მიერ შობილი თანასწორუფლებიანი და სიხარულის ღირსია. ხოლო შემდეგ ადგილები ისე განაწილდება, როგორც მათ ნიჭს, სულის მშვენიერებას და მეცადინეობას შეეფარდება. რასაც ეუბნებოდნენ, ყველაფრის ჯეროდათ და წამდათ. ქამი იდგა სოლცარი, სტუდენტური, გულუბრყვილო. ამირინდო ფრიადებზე აბარებდა გამოცდებს. წამდა, რომ სტუდენტი — ჯანისკაცის მოწოდება და ბედნიერება ადამიანის მშვენიერი სხეულის საიდუმლოების შესწავლაში მდგომარეობდა. დიდ იმედებს ამყარებდნენ ნათესავები. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მალე სახელოვანი ექიმი დადგებოდა და რომ მის მოწოდებას მეცნიერება წარმოადგენდა. ხმალამოწვდილი მიიწევდა ცოდნის დაბურულ ტყეში. „მაგრამ მითხარით, რას ვაქნევ სიბრძნეს ან მხოლოდ მთვარიან ღამეს, ვარდის სურნელებას და ბულბულის სტვენას თუ სიყვარულიც არ იქნა“. მეოთხე კურსზე როსტოვის სამედიცინო ინსტიტუტიდან ჟოზეფინა რიგვავა გადმოვიდა, სათნო, ბეჯითი და მიმზიდველი გოგონა. ერთი საწოლი დაიკავა, საერთო საცხოვრებელში. თავთან მშობლების სურათი დაკიდა, პატარა მაგიდაზე კი წიგნები დააწყო. დილით ლექციებზე მიდიოდა, საღამოზე სახელმძღვანელოში რგავდა თავის პატარა, კოხტად გამოთლილ ცხვირს. ლექციებზე და პრაქტიკულებზე არცერთ სიტყვას არ გამოტოვებდა. მალე მისმა კონსპექტებმა მთელ კურსზე გაითქვეს სახელი. ჟოზეფინას პატარა თავი, კოხტა მკერდი, გამოყვანილი წელი, გრძელი კიდურები და არაჩვეულებრივად დიდი თვალები ჰქონდა. ერთხელ ორჯონიკიძის ქუჩაზე, სადაც ჟოზეფინა და მისი თანაჯგუფელები მიდიოდნენ, ამირინდო უნებლიეთ სამი შეზარხოშებული მამაკაცის ალტაცების მოწმე გახდა. სტუდენტებს კანისა და ვენეროლოგიის კათედრაზე მიეჩქარებოდათ. მამაკაცები სასადილოდან ბრუნდებოდნენ, როდესაც ჟოზეფინას მოჰკრეს თვალი. პირკატა ეცათ, გაატარეს, შემობრუნდნენ, შუბლზე ხელი იტკიცეს და ვიშვიში ატეხეს. „განუმეორებელო!.. იცოცხლე მარად!“ ეს გულწრფელი განცვიფრება და მოულოდნელობა გახლდათ. არავითარი სიბილწე, არავითარი მრუშობა გამოხედვაში. მხოლოდ ალტაცება და გონების დაკარგვა. მხოლოდ ის გრძნობა, რაც კოლუმბის მეზღვაურებმა განიცადეს ამერიკის კონტინენტის პირველად ხილვის მეჟში, რომელიც უბიწო ბალღს ეუფლება სათამაშო ცხენის დანახვისას, რასაც ყველა მგრძნობიარე კაცი განიცდის ბუნების დიდი ნაწარმოების — უშბის თუ საქორიას ხილვისას. ახალგაზრდა კაცზე, ნახევრადმშიერ სტუდენტზე, მასზე უფროსის, მასზე გამაძღარი მამაკაცის აღფრთოვანება დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი სამუდამოდ იჭრება მეხსიერებაში. როგორც დიდი რეჟისორის მიერ დადგმული სპექტაკლი, როგორც არაჩვეულებრივი კინოსურათის კადრები, როგორც ბავშვობაში პირველად ნახული წისქვილი, გველი, თავკომბალა, ქორი, ტბაში დამხვრჩალი კაცი, მირიადი ბუჩქი, ქვა, საგნები თუ მოვლენები. „მაგრამ ეს მაინც დასაწყისი გახლდათ, განაცხადა ამირინდომ, — საბედისწერო წუთი შემდეგ დადგა“.

ზაფხულის ერთ მშვენიერ კვირადღეს. როდესაც სტუდენტები ქალაქში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიკრიფნენ. როდესაც ოთახში სიცხის ლული იდგა, როდესაც სევდაც ჭიასავით ღრღნიდა გულს, ამირინდომ შხაპის ქვეშ დადგომა გადაწყვიტა. პირსახოცი მხარზე გადაიგდო და საშხაპესაკენ გასწია. ფსტვენა-ფსტვენით უსიამოვნოდ უცემდა გული, თითქოს რაღაც ავბედითი უნდა დატრიალებულიყო მის თავზე. მამაკაცთა და ქალთა საშხაპე ერთმანეთის გვერდით იდგა და დაჭედილი კარით იყო გამოყოფილი. ნელ-ნელა გაშიშვლდა ჭაბუკი. შემდეგ წყალი მოუშვა. მერე ყოველშემთხვევისათვის კარის საკეტის ხვრელში შეიხედა, რომელიც ქალთა მხრიდან დიდი ხანია კარგად იყო ამოგლესილი. შეიჭვრიტა და იქვე გაშეშდა. ჭუჭრუტანიდან შიშველი ჟოზეფინა დაინახა...

და იმ დღიდან კაეშანი მოერია, ურვას მიეცა, დასნეულდა, ჩამოხმა, გაყვითლდა, ცხადად თუ სიზმარში, ლექციებზე თუ რუსთაველის პროსპექტზე, „დარიალში" თუ წიგნის კითხვისას მხოლოდ ის ედგა თვალწინ, რასაც ყმაწვილი სტუდენტი მზეს, ვარსკვლავს და თეთრ ქრიზანთემებს ადარებდა. დაჩემდა უძილობა, უცნაური გაშტერება, თვალების ხამხამი, ვალების აღება, ჩუმ-ჩუმად ცრემლის ღვრა, მტკვრის ნაპირისაკენ ლტოლვა. საგამოცდო სესიაზე ხუთიანების ნაცვლად ოთხიანები დაიმსახურა... მაგრამ რა არის სასურველი და სანატრელი სტუდენტობის წლებში — შიმშილი თუ კეთილდღეობა, ტანჯვა თუ ქარაფშუტობა, ლექციების გაცდენა თუ სხეულის ერთი მშვენიერი ნაწილით მოჯადოება? ალბათ ეს მხოლოდ ზევით, ზეცაში იციან. მაგრამ როდესაც ოცი წლის ასაკში უსაშველოდ ეცემი მიწაზე და ფეხზე ველარ დგები, ვიღაცამ უნდა გამოგიწოდოს ხელი.

ხელის გაწვდომის ეს ცდა მისმა ჯგუფის მეგობრებმა მურმანმა ითავა. „ქვაჭუტა და ბრუციანი არ ვიყავი, ულვაშები მიხდებოდა და ტვინიც არ მქონდა ნალრძობი. აი, რატომ ჩამესახა იმდღის სხივი. აი, რატომ უნდა ამხდომოდა საწადელი. მაგრამ ბედი სხვა აზრისა გახლდათ". როდესაც მეგობარი დაუდგა შუამავლად ჟოზეფინასთან და საქმის ვითარება აუხსნა, სათნო ქალიშვილმა მორცხვად დახარა თავი. სახლი აქვსო? — იკითხა მზემ, ვარსკვლავმა და ქრიზანთემამ და გაწითლდა. არაო, მიუგო მეგობარმა. სახლის შესაძენი ფულიო?... არაო... მაშ, რა გააჩნიაო? უდიდესი სიყვარული, მიუგო მურმანმა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა და სამი თვის შემდეგ ჟოზეფინა ცოლად გაჰყვა ქუთაისის ავეჯის მაღაზიის გამგეს. მაშინ უკანასკნელ კურსზე იყვნენ. მაშინ, როგორც სანჩო, იტყოდა, ცა თავის ანჯამებიდან დასხლტა.

— გეყურბანე, მთლად ხომ არ წამხდარხარ ბიჭო? — ჰკითხა შეპერანგებულმა ბიკენტიმ.

— არა, ბიკენტი... მერე ისევ მედიცინას ვეკვეთე.

— ყოჩაღ... ჭაბუკს, რომელსაც ასეთი უზარმაზარი ზვავიც კი ვერ გადაჩეხავს ნაპრალში, დიდება და პატივისცემა.

— ისევ ავიტაცე კურსის ბაირაღი ხელში, ისევ განვიმსჭვალე იმედებით.

— მჯერა, ძლიერი ხასიათის ადამიანისათვის ამ ქვეყანაზე შეუძლებელი არაფერია... შეუძლებელია იმ კაცის დაყენება ფეხზე, ვინც წაქცეული იბადება. ესე იგი უმრავლესობისა... ამირინდო, რამდენი მტერი იქნება ამჟამად დედამიწაზე?

— ოთხ მილიარდამდე.

— მოაზროვნე?

— ათას კაცამდე.

— აი, სწორედ ამ ოთხ მილიარდ და ათას კაცს შორის მიმდინარეობს გაафთრებული ბრძოლა. პირველი ჯგუფი გადაჭრით მოითხოვს გათანასწორებას ყველაფერში, მათ შორის ჭკუაშიც.

— აბა, ჰაკად ყოფილა საქმე.

— არც ისე... მხოლოდ საჭიროა რამოდენიმე მამაცის აღმოჩენა მოაზროვნეთა შორის. ეს ოთხი ან ხუთი რაინდი ყინულოვან ოკეანისაკენ გაიქცევა. მტრები გამოედევნებიან და მამაცებთან ერთად გადაიჩეხებიან ოკეანეში...

ეროვნული [illegible]

ცივი წყალი ყინავს სიშტერეს, უვიცობას, სიყალბეს, ზერელობას, ვერაგობას და უტვინობას... ასე შეუერთდება ათასს ოთხი მილიარდი, და არა პირიქით.

სტუდენტობის უკანასკნელი წელიც იწურებოდა. პირველი სასოწარკვეთის თასიც დაცლილი იყო. მაგრამ წინ მაინც იმედით და სიმართლით სავსე დღეები ჩანდნენ... შემდეგ განაწილება... შემდეგ სახელმწიფო გამოცდები. ყველა პროფესორის, ტრესტის მმართველის, დიდი ხელოვანის, პროკურორის, საწყობის გამგის და მებუფეტის შვილი თბილისში დარჩა სამუშაოდ, ყველა პატრიოტი რაიონებში მიმოიფანტა.

— შენ რომელ ბანაკში აღმოჩნდი?

— უპატრონოებთან...

— მიწყივ ასე იყო... მწიფე ტყემლის ძირას მჯდომი კაი ბიჭები, ის, ვინც სახელით ან ფულებით კოჭაობს, ხელშეუხებელია.

— ლაყუჩებში ჩაგვავლეს ხელები და პარტყაპურტყით გაგვიშვეს ქალაქიდან.

ამირინდო მამაცური შემართებით გაემართა დაბრკოლებების გადასალახავად. კულაში ამოჰყო თავი. გულმოდგინედ ემსახურებოდა დავრდომილებს, უხვად აფრქვევდა იაფფასიან სიკეთეს და ბედნიერებას და იგივეს იხვეჭდა — იაფფასიანს სახელსა და წარმატებას. მაგრამ წვრილმანებით დაკმაყოფილება მის ხასიათს არ ეწყობოდა. მთელ თავისუფალ დროს კულაში მხოლოდ ფიქრებში ატარებდა. აი, სწორედ ამ ფიქრებმა დალუპეს. ღვინო რომ ესვა, კარტი რომ ეთამაშა, ქალებთან რომ ეღლაბუცა, ახლა კაცი იქნებოდა. ფოთლების შრიალი რიონის ხეობაში, წრიული ბრუნვა მზისა, გაჭირვებისა და ანანკეს გარშემო, ჰაკარაკების ქალაქის საუკეთესო საავადმყოფოებში და ინსტიტუტებში მოხვედრა — აი, რა რჩება მარადიული, უცვლელი და დაუმარცხებელი, ეს მან კულაში აღმოაჩინა. „სიცოცხლე იწურება, — ვუთხარი საკუთარ თავს, — გაანძრიე ფუყე ჭკუა!“

მაშინ ასპირანტურაში [illegible] წელი აბარებდა ზედიზედ ორჯერვე ლოჭინზე ნაკურთხებმა გადაუღობეს გზა. „კულაში აღარ დავბრუნებულვარ. მთაწმინდაზე ავედი, ლოდზე ჩამოვჯექი და ჩავფიქრდი — რატომ უნდა იყოს თბილისი და მეცნიერება თეთრი შაშვი ჩემთვის?“ ასეთ დროს ათასი აზრი მოსდის კაცს თავში: მძარცველის გაძარცვა, სპეკულაცია, შეძლებულ ოჯახიდან გოგოს მოტაცება... და ზოგიერთი სხვა უკვე ნაცადი ხერხი. უსამართლობას და ხელნაკლებობას გული ვერ ეწყობა. „მივხვდი, თუ ზენა არ მწყალობს, ყოვლისმხილველი ხელს თუ არ გიწვდის, თავად უნდა გაინძრე... თავი სანეხვეზე კი არ მიპოვნია, ღდინს გაგიგდებთ, დავემუქრე ქვემოთ ვილაცეებს... შემდეგ დღე და ღამის გაყრის დროს გადაწყვეტილება მივიღე“.

— რა ხერხს მიმართე? — ჰკითხა ბიკენტიმ.

— დიდი კაცის დისშვილი გავხდი.

— მომიტევე, ცოტათი ხომ არ ჩმახავ?

— ერთ მშვენიერ დღეს ავიღე ყურმილი და სამინისტროში დავრეკე ერთი დიდი კაცის ხმით და ვუბრძანე დისშვილი — ამირინდო გინეკოლოგად განეწესათ რომელიმე სამშობიარო სახლში... იფიცეს, რომ გინეკოლოგის თავისუფალი ადგილი არ გააჩნდათ და ოცდამესამე საავადმყოფოში კარდიოლოგობა შემომთავაზეს.

ბიკენტის ცალი თვალი შუბლზე აუვარდა:

— მომისმინე, ოდნავ მთვრალი ვარ და ამდენ ცნობას სწრაფად ვერ ვამუშავებ... ყური მიგდე, სინამდვილეში ხომ იმ დიდი კაცის ბიძაშვილი ხარ?..

— ბიკენტი, ყველაზე დიდი კაცი ჩვენს გვერდში სამტრედიის სადგურის უფროსის მოადგილეა — მამაჩემის ძმისშვილი.

ბიკენტის სიცილი წასკდა.

— აბა, ასე გამოდის, ტყუილუბრალოდ გელაქუცებოდნენ ერთი წლის განმავლობაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ?... ამაში ისინი დიდ სიამოვნებას ნახულობდნენ.

— მაშ, სულ ტყუილად მშურდა შენი?.. ლაწვზე უნდა გაკოცო, მოიწიე ოდნავ.

შემდეგ შამპანურის ბოთლი გახსნეს ბათქითა და ხმაურით.

— განა შეედრება ამ ხმას რაიმე ქვეყანაზე?

მაღალ ჰიქებში ჩამოასხეს სასმელი.

— ბიკენტი, შამპანური ღუპავს კაცს? ... შეუძლია მომსპოს საბოლოოდ?.. მართალია, რომ ირგვლივ ყოველთვის იყო და დარჩება ბოროტება და სისასტიკე?

ბიკენტიმ თავზე გადაუსვა კოლეგას ხელი:

— შესვი, ამირინდო, შამპანური შვებას მოგიტანს, დაგავიწყებს წყენას და დროებით გაჭირვებას... შამპანური ფრინველია, თავისუფალი, ლაღი ფრთოსანი, ცაში მოფარფატე, სიხარულისა და სიწყნარის მომტანი.

ამირინდომ შესვა. ბორისის საქმეშიც მისი ხელი ერია. იგი პატივს ცემდა ამ დარბაისელ კაცს, ადამიანს, რომელმაც ჩუმად და ყველაზე ბრძნულად გაიარა თავისი ორღობე. იგი საოცრად მოქმედებს უპატრონოებზე, ამშვიდებს აფორიაქებულ გულს, წმინდავს სულის ამღვრეულ მდინარეს. ის ნათელია სხვა სამყაროდან, სხვა სოფლიდან, სხვა კუთხიდან, იმედის მომცემი, დამცველი კეთილისა, იმ წმინდისა და სიდიადისა, შინაგან ხილვას რომ უწოდებს ზოგიერთი.

— ჩემმა დარეკვამ იხსნა მაშინ პენსიაზე გასვლისაგან... რა უფლება მქონდა, რომ არ დამეცვა, რომ არ გადამეფარებინა ჩემი კალთა.

ბიკენტი სიცილისაგან იგუდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ უთხრა:

— ამირინდო, ამბობენ, დედამიწამ რამდენიმე მილიარდი წლის განმავლობაში ორჯერ მოიმატა მოცულობაშიო... შენც ორჯერ გაიზარდე ჩემს თვალში ამ რამდენიმე საათის მანძილზე... რით გცე პატივი?.. ნება დამრთე შენი სადღეგრძელო შევსვა[illegible] ეს სიამოვნება!

კოლეგამ მორცხვად დახარა თავი და დაეთანხმა.

— გმადლობთ, ბიკენტი.

— გამაგრდი... საომარი ეტლი, რომელშიც ოცნება, ფანტომი და იმედია შეკაზმული, არასოდეს არ იმსხვრევა... რწმენის და ილუზიის არაჩვეულებრივი კონცხი... ძლიერი ადამიანის ნავსაყუდელი, ტიპიური პროექტის, ნორმების დარღვევით აშენებული საფარავი, გაფაციცებით შემოღობილი, სხვისი თვალისთვის დაუნახავი... გამაგრდი... დიდო, დემონიურო მნათობო — ელგულო... გულს ნუ გაიტეხ, რაც უფრო დიდი და კაშკაშაა ვარსკვლავი, მით უფრო სწრაფად წვავს თავის წყალბადს და სიცოცხლეს... თავს ვხრი იმ კაცის წინაშე, ვინც იმედს არ ჰკარგავს, თუმცა დიდი ხანია სინამდვილეში დაღუპულია... მაინც სად აპირებ ახლა თავის შეფარებას?

— სასწრაფო დახმარების სადგურში.

— არავითარ შემთხვევაში, — იყვირა ბიკენტიმ, — მენდე და ყურად იღე ჩემი რჩევა.

— ასეც ვიცოდი, — ამირინდომაც იყვირა და მარჯვენა ყური ტუჩებთან მიუახლოვა უფროს კოლეგას.

ბიკენტი ათი წუთის განმავლობაში ჩურჩულით უხსნიდა თავის აზრს. ამირინდო დროდადრო თავს უკრავდა.

9.

ერთ დღეს მელანიამ დაურეკა ბიკენტის. მზე დასავლეთისაკენ იწვერებოდა, მაგრამ მაინც უხვად აბნევდა თავის სიკეთეს. ბიკენტი რუსთაველის გამზირზე მიაბიჯებდა... რუსთაველის პროსპექტი — მთელი თბილისი, მთელი საქართველო. მარცხნივ — დიდებული პიონერთა სასახლე, მთავრობის სახლის მშვენიერი შენობა, შემდეგ პირველი სკოლა, ბიკენტის სიხარულის გაჭირვების და აღმაფრენის წლები. შემდეგ გადაკეთებული კავშირგაბმულობის სახლი, მის უკან შინაგან სა-

ქმეთა სამინისტრო, ოფიცერთა სახლის შემდეგ ბორჯომისა და ლაღიძის წყლები, სამსართულიანი მიმზიდველი სახლები, „ზარია ვოსტოკა“ და რუსთაველის პაწია მოედანზე დიდი შოთას ძეგლი... მარჯვენა მხარეს — კინოთეატრი „რუსთაველი“, „ინტურისტი“, ქაშვეთი სასტუმრო „თბილისი“, „რუსთაველის“ ოპერის თეატრები, და დიდებული „ივერია“. ამ სამყაროში გაიზარდა ბიკენტი, აქ იყო მისი სავანე, საქართველოს ჯადოსნური, ჟინიანი, ყველასათვის და ყოველთვის მიმზიდველი, ვნების და დასაკუთრების გრძნობის აღმძვრელი გულმკერდი. აქ ან შორიახლო გადიოდნენ რომაელი ლეგიონერები, ბერძენთა, სპარსელთა,, ოსმალთა და სხვათა გამარჯვებული და დანგრეული არმიები. მიწა გაჟღენთილი სისხლით, ცრემლითა და სიცრუით. ხეებად, ბალახებად ქცეული ხორცი და ძვალი. მრავალსაუკუნოვანი „ეგო“, სიკვდილის შემდეგაც რომ აგრძელებს სიცოცხლეს, უსასრულო ჯაჭვი, რომლის რგოლები ადამიანთა თიხისაგანაა მოზელილი. ცოცხლები აგრძელებდნენ ამ ჯაჭვს, თითოეული კაცი ხილული თოკით, ქსელითაა დაკავშირებული ნათესავთან, მეგობართან, ნაცნობთან. ხოლო უხილავი ქსელი კიდევ უფრო ფართოა — მთელი საქართველო, მთელი დედამიწა, მთელი სამყაროა. როდესაც ერთი რგოლი სუსტდება, თხელდება და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი წკიპზე დგას, უმალ უნდა შეეშველო, გაამაგრო და გაასქელო. ამით შენ რგოლსაც იცავ... ახლა ბასკო, პენსიონერი ბორისი და ხელმოცარული ყოფილი აბითურიენტი მედეაა სუსტი რგოლები. რაც უფრო მაღალი და დიდია ადამიანი, მით მეტი თოკი აკავშირებს საგნებთან...

— ამბობენ, ცხოვრების ფერხულში ბრმად და ღრმად ჩაბმული ველარაფერს ამჩნევსო — ძველ ნაცნობებსაც კი.

ბიკენტი შედგა. მის წინ ჰორაციუსი იდგა, გალიმებული, ლაღი, თავისუფალი. მის თვალებში წარსული ეჭვის ნატამალიც არ დარჩენილიყო. მკურნალისა და ყოფილი პაციენტის უცაბედმა შეხვედრა ახალისებს რაღაცას, აზრს მატებს არსებობის იდეას.

— შენმა ლექსებმა მომხიბლეს, განმეორებით გადავიკითხე.

პოეტმა კი გაიფიქრა: რას ერჩოდა, რატომ ვერ ეგუებოდა მაშინ? რატომ ვერ ვიტანთ გადამრჩენს, აღმზრდელს, მშველელს?... ან სინამდვილეში ვინ არის ბიკენტი — ბითური თუ სამყაროს მტვრისგან გაჩენილი ვარსკვლავი?

ჰორაციუსმა თავი დახარა და თქვა:

— ექიმს, რომელსაც ლექსები უყვარს, არ შეიძლება დიდი მკურნალი არ იყოს.

ბიკენტი პავლოვის ქუჩის დასაწყისში ჩამოვიდა, მოპირდაპირე მხარეზე გადავიდა, რამდენიმე კვარტალი გაიარა და ერთ ხესთან შეჩერდა. ამ დროს მედეამ ჩამოჰყო თავი ფანჯრიდან. დედამიწაზე ყველაზე მშვენიერმა გოგონამ ხელით ანიშნა ამოდიო.

ბიკენტიმ მოწიწებით შეაბიჯა საოცარ სამფლობელოში. „ეს ქალიშვილი მშვენიერების მაცნეა, ჩემი დამლუპველი და ამამაღლებელი. მისი წმინდა, კრიალა სხივი ახლა ჩემს სახეს სინათლეს და დიადემას მოჰფენს“.

— წმინდა მუგუზალო, — უთხრა მან ქალიშვილს, — ხედავ, როგორ გავხდი, გავყვითლდი და დავსუსტდი?

ოდესღაც ოტელომაც ასეთი ხერხი იხმარა, ასე მოატყუა ქათქათა დეზდემონა.

მედეას მშვიდად, დიდებულად ეჭირა თავი, თითქოს გუშინ არ ჩაჭრილიყოს გამოცდაზე, თითქოს უკვე დაემთავრებინოს თეატრალური ინსტიტუტი და უმალ დეზდემონას როლი შეეთავაზებინოთ. შეუდარებელია მარადიული სიმშვენიერის ჭვრეტა. რა განუმეორებლადაა აგებული სამყაროს ხუხულა, ფიქრობდა ბიკენტი.

ბიკენტი დივანში ჩაესვენა. იგი ეთანხმებოდა ბრძენს, რომ მშვენიერების ჩასახვის მომენტში შემოქმედს ერთ ხელში უმაღლესი თავისუფლების ფანარი ეპყრო, ხოლო მეორეში — მკაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი აუცილებლობის და კანონზომიერების დიდი მსხვილი ფანჯარი.

— უფლის შუამავალო, ჩამოჯექი ჩემს გვერდით, — თხოვა ბიკენტიმ ქალიშვილს.

მედეამ შეუსრულა სურვილი.

— ბიკენტო, ბამზე გადავწყვიტე წასვლა.

ექიმმა ხელი მოხვია.

— ასე მიყურე.

— ასე?

— ოღონდ დიდხანს, მთელი საათი...

— რატომ გქონდა წელან ქვემოთ გაუბედურებული სახე, ვინ დაგაშინა? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— ციკლოპებმა, ასხელიანმა გოლიათებმა, ველურმა ტიტანებმა, ქაოსის შვილებმა... მიშველე, მედეა, გამიზიარე ცეცხლი, რწმენა და სასთუმალი.

ამ დროს ორი მტრედი შემოჯდა ღია ფანჯრის რაფაზე. ეს განგების მინიშნებად მიიღო ბიკენტიმ, ღმერთების კეთილ განწყობად. მტრედები ღუღუნებდნენ, ეფერებოდნენ ერთმანეთს და მედეა და ბიკენტი უცებ მიხვდნენ, რომ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი რელიგიაა, ერთი რწმენაა, რაშიც ადამიანის უკვდავება, დიდება, კმაყოფილება და დღესასწაული აირეკლება. ეს ორფეხების რწმენაა იმ სიცოცხლისა, იმ გაზაფხულისა, იმ სიყვარულისა, ღია სარკმლიდან რომ შესცქეროდათ. ადამიანს ეჯავრება ინფარქტი და სიკვდილი. უყვარს სიცოცხლე, ქონება და გართობა. რამდენიმე საათის წინ ორივეს მიწა ეცლებოდა ფეხქვეშ, გულზე მაჯლაჯუნა აწვებოდათ, ვიღაცა ცხვირზე და პირზე აფარებდათ ხელებს, რომ არ ესუნთქათ. ახლა კი თვალები უბრწყინავთ, სხეული უკანკალებთ, ხელებით იწყებენ კავშირის დამყარებას, ყნოსავენ, ტუჩებით მეორე ტუჩებს ეძებენ. ასე იმარჯვებს სიცოცხლე, სიკვდილზე. იგი უფრო ეშმაკი, მარჯვე და მოხელთებულია ზოგჯერ.

ბაგემ იპოვნა ბაგე. ირგვლივ კი კეთილშობილური უბრალოება და [illegible]ნიერი სიმარტივე სუფევდა.

10.

ბიკენტი თვალს არ აშორებდა ბორისს. ადამიანი იბნევა, როდესაც თბილ სიტყვას შეაწევენ, როდესაც ღიმილით ჩახედავენ თვალებში.

— არ უნდა გასულიყავი პენსიაზე... შენ სოკრატე არ ხარ, მთელი ცხოვრება პენსიაზე რომ იყო, ქუჩა-ქუჩა რომ დაწანწალებდა და უსაქმურობაში და ყბედობაში რომ ატარებდა წუთებს, — უთხრა ბიკენტიმ ბორისს და კარდიოგრამას დახედა.

— ბიკენტი, ეს ღვთიური ირონიის გამოვლინებაა, ორფეხების კომედიის მომხიბლავი ფინალია... კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი ველზე კვდება. მაგრამ როდესაც ხმლები ქარქაშშია ჩაგებული, მაშინ გული საკუთარი მახვილით იკლავს თავს...

— ინუგეშე თავი... ისე, კარდიოგრამაზე არაფერი ჩანს საშიში.

მაგრამ ბორისი აღგზნებული იყო. თუ თამაშობდა?

—მეოცე საუკუნის კუდიც გამოჩნდა, ახალი მითოსი კი ვერ შევქმენით, ბიკენტი... რა გვემართება? ვერცერთი საიდუმლო ვერ ამოვხსენი, თვალი ვერ ვკიდე დაუბადებელ, შეუბილწავ ყვირილას, შენი სიცოცხლის საწყისს, ჩვენი მეგობრობის შავ არტერიას...

— ყვირილა შენი გასამასხრებელი არ არის.

— ბიკენტი, მეშინია... საით აგვილია გეზი, საით მოგვეჩქარება?

— ზღვისაკენ, ბორის... ტალღები გვიხსნის...

ისევ გასინჯა დაკვირვებით ბიკენტიმ უფროსი მეგობარი, ისევ იგრძნო წმინდა ცეცხლის ძალა. მიძინებული ღვთიური საწყისი, რომლის საზომი მოწყალებაა, ილვიძებდა. მან იცოდა, რომ წესიერი ადამიანები სამებისათვის — მშვენიერებისა, ჭეშმარიტებისა და სიკეთისათვის იბრძვიან, რომ სინამდვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეში არავის არ აქვს არცერთ მათგანზე წარმოდგენა, ადამიანის ამ ყველაზე მეტად დახლართული ლაბირინთების სამყაროს მკვიდრებზე. მაგრამ მაინც მოწყალება რაღაცათი ჰგავდა პოეზიას. ორივეს ერთი და იგივე მფარველი ჰყავს, ორივე მარადიული და აუცილებელია. ორივე, ხასიათებს მოითხოვს, სიმაღლესა და ენერგიას, დახვეწილ შემსრულებლებს, მსახიობებს, ღმერთის ოსტატებს. მათი შექმნის დროს ქრისტე თუ მოსე, ალახი, თუ ბუდა, კრიშნა თუ ბუნება იყენებდნენ უმაღლესი ხარისხის მასალას და შეუდარებელ თავისუფლებას.

დროებითი სულმოკლეობა უნდა დაეძლია. ბიკენტი ჯერ მხოლოდ ოსტატობის კანდიდატია, მაგრამ მას ყველა მონაცემები გააჩნია მაესტრო რომ დადგეს, როცა ორმოცი, ორმოცდაათი, სამოცი წელი შეუსრულდება, თუ კი ზოგჯერ ზურგქარიც დაუბერავს მის იალქანს... ბიკენტი ისევ თავის მოწინავე პოსტზე რჩებოდა. იგი წინა ხაზზე ბრძოლისთვისაა დაბადებული. მედიცინა მწვავე და ქრონიკული დაავადებებისაგან შედგება, როგორც მორბენლები — სპრინტერებისა და სტაიერებისაგან. ის სპრინტერი იყო, მწვავე ბრძოლების თაყვანისმცემელი.

ისევ განიცადა ბიკენტიმ მოულოდნელი მოზღვავება ენერგიისა, თრთოლვა და სწრაფვა უცნობ ნაპირებისაკენ. კაცის სულის მოტეხვა, ნებისყოფის დათრგუნვა, ცის თაღზე შავი ზეწრის გადაფარება არც თუ ისე იოლია. ისევ თავის სამყაროს უბრუნდებოდა, სადაც მისი სახლი იდგა, სამუდამო სამყოფელი. სიცოცხლის მანძილზე შეიძლება მრავალ ქალაქს ესტუმრო, მრავალ სოფელში დაიდო დროებით ბინა, მრავალ კუთხეს შეაფარო თავი, შეისვენო, სული მოითქვა. მაგრამ კერია ერთ ადგილას უნდა გენთოს, სადაც შენი ხეა დარგული, სადაც შენი ჯაჭვია მიბმული პალოზე, სადაც მშობლიური საწყისია ყველა ნივთისა, სადაც საკუთარი მითოსების წყარო ჩუხჩუხებს. ერთი სამყარო, განუყოფელი, ერთიანი, უმლო ენა მოწყალებისა და დედამიწის ყველა კუთხეშია შეჭრილი. იგი ფარულ სიდიადეს, განუმეორებლობას ანიჭებს ადამიანებს, ერს. გაცილებით ალამაღლებს, ვიდრე უკვდავი ქვები, ტილოები თუ ფოლიანტები.

ბიკენტი იმ ადამიანს ჰგავდა, რომელმაც მამაცურად მოიგერია გამძაფრებით თავს დამტყდარი ბედის გაავებული ძალლები, შემდეგ კი თავი შეყო წარმოუდგენელი სილამაზის თავისუფლების ქუდში, რომლის პატრონსაც ურიგოდ ატარებდნენ ყველგან, მდაბლად უკრავენ თავს და იცავენ ბუნების დამანგრეველი და მრისხანე, ღრმად ჩამჯდარი თვალებისაგან. ადამიანი თვალის დახამხამებაში სპობს სულისკვეთებას, ჩასახულს თანამემამულისა და მოძმის სულში, ქუსლს აჭერს კვერცხიდან გამოჩეკილ მომავალ მშვენიერებას, ცეცხლს უკიდებს წვალებით აშენებულ ქოხის კედლებს, საუკუნეებს ხარჯავს სიბრიყვის შესაქმნელად და ასაყვავებლად. სამაგიეროდ მეორე ადამიანი გაფაციცებით ასხამს წყალს უბედურის ცეცხლწაკიდებულ ქოხს, ორმოში ჩავარდნილს თოკს უგდებს, ამოჰყავს და შემდეგ საკუთარ შხაპს, საპონსა და ხელსაცხებელს სთავაზობს, გაჭეჭყილს საავადმყოფოში მიარბენინებს და ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში ათავსებს. შემდეგ ისევ გამორბის, დამწვარი ქოხის მისადგომებთან მუგუზალს პოულობს და იმედის ცეცხლს აღვივებს დაბნეულ ორფეხებში... აი, ამ მეორე ადამიანთა ტომს ეკუთვნოდა ბიკენტი.

— ბორის, ბამბოჩიო რჩება თავის პატარა ნავის საჭესთან.

— მომწონხარ.

— ბამბოჩიო ისევ შეუდგება უფერული სურათების ხატვას.

— ბიკენტი, ბამბოჩოადასაც თავისი გამართლება აქვს, უფლის სიბრძნის გაობიექტურება ძირითადად კაცის უჭკუობაში ხდება.

— გიჯერებ, მასწავლებელო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხოლო კომედია ერთადერთი ნათელი სხივია გვირაბში. ის —ის გრძელი და სანდო ძაფია, რომელსაც უნდა ჩაებღაუჭო და გაჰყვე, თუ გინდა რომ ხევში არ ჩაგიცურდეს ფეხი. იგი პატარა ადამიანის უმაღლესი ბედის გამოხატულებაა, გახვეული ირონიის, ჩვენი დამცველი ღიმილის სამოსელში, აუცილებლობის, ბედისწერის მომთვინიერებელ, დამაოკებლ ქურქში. კომედია ბირთვია თავისუფლებისა, მარადიული სიცოცხლისა, ემანსიპაციაა ბრიყვებისაგან, ქაოსისაგან, წყვდიადისაგან და ინფარქტისაგან.

ბორისმა ხელი გაუწოდა ბიკენტის. ბიკენტიმ ჩამოართვა და ჩაფიქრდა. როგორც ყველა დიდი სიმფონია, მისი მეგობარიც მსგავს გრძნობას იწვევდა, თითქოს ბოლომდის ვერ აღვიქვი, ბოლომდის ვერ ჩავწვდი მის სიღრმეს და საიდუმლოებას. ამიტომ კიდევ უფრო გიზიდავს და ძალაუნებურად გაჯადოებს. თითქოს რაღაც სიმბოლური იყო მის პიროვნებაში, კაცობრიობის საუკეთესო თვისებების, სწრაფვის, აზრის, არსებობის გამართლების აღმნუსხველი და გამომხატველი.

— საბოლოოდ დავემორჩილე ბედს, — თქვა ბიკენტიმ.

— რომ იცოდე რა სიხარულს განვიცდი.

— ზღვაზე გამგზავრების მოლოდინით?

— არა, შენი დაბრძენებით...

ამასობაში ჩამოღამდა. რატომ გარბის დრო ასე სწრაფად, როდესაც მსუბუქად საუბრობ?

— მაშ ასე, ზეგ ტაქსების გაჩერებაზე შევიკრიბებით, — თქვა ბიკენტიმ და წამოდგა.

— ერთი წუთით... ვიდრე ჩამოუშვებდეთ ფარდას, ხომ არ შემატყობინებ ამირინდოს საბოლოო ბედს?

— საბოლოოდ დამუნჯდა და დაყრუვდა, — მიუგო ბიკენტიმ.

— როგორ განვითარდა მოქმედება?

— დაპანღურებიდან მეორე დღეს საორდინატოროში უეცრივ გაფითრდა, დაკარგა გონება და იატაკზე დაენარცხა. მაშინვე პირიდან პირში ჩაბერეს ჰაერი, გულის მასაჟი ჩაუტარეს და გააცოცხლეს. მაგრამ მეტყველება და სმენა ვერაფრით ვერ დაუბრუნეს. შეეხვეწნენ, დაპირდნენ, შემდეგ დააშინეს კიდეც, მაგრამ ერთი სიტყვაც კი ვერ დააცდენინეს.

— კავშირგაბმულობა სამყაროსთან მთლიანად დაერღვა თუ რაიმე ხერხით ისევააწყო? — იკითხა ბორისმა.

— წერილების საშუალებით გვატყობინებს სხეულის გაჭირვებას, სულის იმედს თუ ნაღველს.

— ცის ნათელი დასცემია... სრული სიჩუმე, არაფერი არ მესმის. ვერაფერს ვერ ვამბობ... რა არაჩვეულებრივი კუნძულია — ადამიანთა და საკუთარი თავის სიცარიელისა და სიჩლუნგისაგან თავის დასაღწევი ერთადერთი ბოლაზი. იყინება ყურის არხები, ჟანგი ედება ენას. სამაგიეროდ ფართოდ იხსნება სულის დარაბები სამოთხის ჩიტებისთვის, ზეცის სიოსთვის. მდინარესა და ნაკადულივით დაკლაკნილია სისხლძარღვები, მდინარესა და ნაკადულის წყლებივით ცნობილია სისხლის გზა — მიედინება, იფანტება, ორთქლდება, იკრიბება და ისევ მეორდება ერთი და იგივე გზა, გვირაბი, აორტა, კაპილარები. მხოლოდ სულის არხების კონტურებია გაურკვეველი და მხოლოდ მაშინ იხსნებიან ისინი, როდესაც ნაწილობრივ მაინც ჰკარგავს ადამიანი მიწიერ კავშირგაბმულობას, და უხვად ივსებიან მანამდი უხილავ და გაუგონარ რაღაცათი, რაც სინაზეზე, ნაღველზე, მოგონებაზე და თვით სიყვარულის სუფთა ცვარზეც მეტია... ფსიქიატრებმა რა აზრი გამოთქვეს?

— სხვადასხვა... ერთმა აღნიშნა, რომ არაამქვეყნიურმა, ყინულივით სიომ დაჰბერა და მაგრად შეატოკაო, მეორემ თქვა, რომ ადამის ძე მაგიდა არ არის, რომ იგი არც ჩვარია და არც ნივოზი. მხოლოდ წვერებას შეეპარა ეჭვი მის ხნეულებაში, სიმულიანტად გამოაცხადა.

— როდესაც ქვეყანა, სიმართლე, თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგრძნობა და მთავარი ექიმის მოადგილე ზურგს შეგაქცევენ, საშველად საკუთარ თავს უნდა მიმართო, შენს კუნჭულს უნდა შეაფარო თავი, დროებით უნდა დამუნჯდე, დაბრმავდე და დაყრუვდე... თავს დამტყდარი უბედურება შუაზე ტეხავს ადამიანს, ან სამუდამოდ ხეიბრად აქცევს. ტყეს — საზოგადოებას ერთი ხის — ერთი ადამიანის ბედი მაინცდამაინც არ ადარდებს. განწირული ხე უჩუმრად ხმება თანამოძმეთა გულგრილობის რკალით გარშემორტყმული... მთავარმა ექიმმა რა სახე მიიღო, რომელი ილეთის ჩატარებისათვის მოემზადა?

— შეუნდო ყველაფერი, დატოვა თავის პოსტზე.

— ხომ არ თვალთმაქცობს?

— ყოველ დღე აკითხავს და თავზე უსვამს ხელს.

გამომშვიდობების წინ ბორისი და ბიკენტი შეთანხმდნენ, როდესაც თავისუფლად ვერ ლაპარაკობ, როდესაც სიტყვას ისე უყურებენ, როგორც ნადირს და ცდილობენ რკინის გალიაში მომწყვდევას, მუდმივი დუმილი და სიყრუე — სიხარულია.

11.

ბასკო აეროპორტის უკიდეგანო სივრცეს გასცქეროდა. გაშტერებული, პატარა, სუსტი, დაბნეული. მაგრამ უკვე ავსილი იყო დაუოკებელი ჟინითა და სიჯიუტით. მოუმწიფებელ სულში ნაკადულები ჩუხჩუხებდნენ, ბორცვიდან დაბერილი სიო სუნთქავდა, ციცინათელები დაფარფატებდნენ. აეროპორტის არემარე ცამეტი წლის ბიჭისათვის რეალობა როდია. იგი ოცნებაა, განცვიფრებით ავსებაა, მაუგლის სამფლობელოა. აქ ყველაფერი უცნაურია, განსხვავებულია ყოველდღიურ სურათებისაგან. სხვაგვარადაა გაშუქებული სახეები. აქ შეიძლება ხალხის თვალწინ მზერა მიაპყრო ზეცას, სადაც სულ მალე აიჭრები და სადაც საიდუმლოების ყველაზე დიდი კიდობანია, მოთავსებული. ბუნდოვანი წინათგრძნობა უფართხალებდა გულს, მუჯლუგუნს სთავაზობდა წარმოდგენას, ასაფეთქებლად ამზადებდა მირიად კვირტს. აეროპორტის მიღმა მდგომი სამყარო მზად იყო მის მისაღებად. ისიც განეწყო ასაფრენად, ცნობიმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ოღონდ აწი აღარავის გაანდობს საიდუმლოებას, გულის ზვაშიადს, იმ ადამიანსაც კი აღარ ჩაახედებს თვალებში, რომელიც ახლა მის გვერდით იდგა და ყველაზე ახლობლად ეგულებოდა.

მზე კი სერესქელ სხივებს აფრქვევდა.

— ყველაფერი მეორდება, — ბიკენტიმ მნათობისაკენ გაიშვირა ხელი, — ასეთივე იყო შარშან... ერთი თვითმფრინავი ჯდება, მეორე მიფრინავს. შემდეგ ის დაჯდება, ეს კი აფრინდება. ძველად ნუმიდიაშიც ყოფილა ტბილისი... ერთი ჰქრება, მეორე ჩნდება... ვხვდები, რამაც აგაფორიაქა. ისევე, როგორც სინათლე იყოფა უსასრულო ვარსკვლავებამდე, ასევე ადამიანის სული და მხედველობა იშლება მირიად ნაწილებად. შემეცნება განცვიფრებიდან, მოწიწებიდან იწყება. აგათრთოლა უხილავმა, რასაც ფორმა არა აქვს, რაც ბურთზე, კოჭებზე და ზღვაზე მეტია. ეს სიმდიდრეა, უეცრად შეძენილი ველოსიპედია, ალმოჩენილი განძია ხილვისა, სიხარულისა, განტევებისა, განზავებისა შერწყმისა უკვდავებასთან... ფორმა კი — ის, რასაც სასრული აქვს, ქალი იქნება თუ ჭადრაკი, განწირულია.

ბასკომ ყურები ცქვიტა. ისევ წაუფათურეს ხელი სულში. მაგრამ უკვე გამოცდილია, მომზადებულია. მაშინვე უდარდელი, მიამიტი ბიჭის ნიღაბი აიფარა სახეზე და იკითხა:

— რამდენ ხანში გავითქვიფებით ციურ სულში?... ტაროსიც კარგი დაგვიდგა, არა ბიძია?!

ოღონდ ბიკენტიც ეშმაკი იყო. მიუგო და ისევ განაგრძო:

— ზამთარში კაცს ცივა. ამიტომ იკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტება თბილ ოთახში და უფრო მეტად ფილოსოფოსობს. ზაფხულში კი გარეთ გამორბის და შენსავით შეჰყურებს ზეცას, და ისევ ბუნების შემადგენელ ნაწილად იქცევა... ბასკო, ახლა რასაც გეტყვი შეიძლება ვერ მიხვდე, რადგან ღლაპი ხარ, მაგრამ მერე გაგახსენდება აუცილებლად... ვინც გულის საიდუმლოებას ჩაწვდა, მომავლის წინათგრძნობის დიდი უნარი გააჩნია. ეს ეგრეთ წოდებული მეორე მხედველობაა...

ასეთი უნარით დაჯილდოებული პიროვნება ნათლად ხედავს სხვას და საკუთარ თავს მომავალში.

— ოცი წლის შემდეგ რა მოგველის?

— სხადასხვა მიზეზის გამო ამის ხმამაღლა თქმა არ შემიძლია... რაღაც დაინგრევა სამუდამოდ, რაღაც აშენდება.

— ორასი საათის შემდეგ?

— შავი ზღვის ტალღებში ვილივლივებთ. ორ საათში განვიწმინდებით გაგრის განუმეორებელი სანაპიროს ხილვითა და ლურჯი ცრემლებით.

ბასკომ ხარხარი ატეხა, ამას ბებიაჩემიც კი ამოიცნობდაო.

ბიკენტიმ ყურადღება არ მიაქცია ამ სიცილს, სულ ცოტა ხანი და ზღვაში დურთავდა თავს, ქარივით თავისუფალი, დაუოკებელი გახდებოდა, ისევ შეუცნობი, ლაღი და გამარჯვებული. სიდიდით სავსე, წარმატებებს შეჩვეული კაცივით გარინდებულიყო.

ბასკომ მეორე მხრიდან მოუარა:

— მოლოდინით ტკბები, ბიძია?

— ახლა, ამ წამში განმეორების, შეკრული წრის უხილავი და ხილული ძალების გაგებით ვიყავი გატაცებული.

— როგორ ახერხებ ამდენი რამის დანახვას?... წინ, სადაც არაფერია, უცებ გვრიტებს, ყაყაჩორას, ერკემალს, ნაპერწკლებს, კვარკვალას, ნაკადულებს ამჩნევ... ახლა ვის მოჰკარი თვალი?

— სიზიფეს.

— მფრინავია?

— არა.

— აბა, რით ისახელა თავი?

— განმეორების პირველსაწყისს განასახიერებს.

— აგარაკი აქვს, მანქანა ჰყავს?

— რა სიტუტუცეა... შენ გგონია, მხოლოდ ის არის კაცი, ვინც აგარაკებს, მანქანას და პატიოსან თვლებსა ფლობს?

— მაშ რა გააჩნია?

— მარადიული ქვა, იდეა, შთაგონების ველური ცეცხლის დასამარხი ლოდი.

— ბიკენტი, რატომ ხარ ყველაფრით უკმაყოფილო?

— იმიტომ, რომ ჩვენში ჯილდოებს, პრიზებს არასწორად არიგებენ.

— ზღვა ცოტათი მაინც დაგაწყნარებს, არა?

— ზღვა სატურნის მშვენიერი ლურჯი ცრემლი და ადამიანების დიადი დამაკავშირებელია. ყველა — დიდი თუ პატარა, მდინარე თუ ნაკადული მისკენ მიისწრაფვის... არიოსტო, ტასო... ზღვა სარკეა ზეცის და ჩვენი წარსულისა.

— რატომ გიყვარს ყველაფრის გართულება, ბიკენტი?.. ან ვინ არიან არიოსტო და ტასო?... სად გამოქექავ, რომელ სკივრიდან ამოაძვრენ ხოლმე?

ამ დროს მედეა და ბორისი გამოჩნდნენ. როდესაც მათ მიუახლოვდნენ, ბიკენტიმ წარმოსთქვა:

— დროა... ალონს, ანფან დე ლა პატრი!

აეროპორტის უფროსი კაბინეტიდან გასცქეროდა თავის სამრეკლოს. ვაზის უბნის დასახლებაში ცხოვრობდა. მეუღლე და ორი გოგონა მშვენიერები იყვნენ. ბავშვებს ინგლისურ და ქართულ ცეკვებს ასწავლიდა. საღამოობით, როდესაც შინ იყო, ზღაპრებს უკითხავდა ან ტელევიზორს უყურებდნენ ერთად. და იქ, ვაზის უბნის ცხრა სართულიანი სახლის მეოთხე სართულზე, ყოველთვის მოუთმენლად ელოდებოდნენ. მაგრამ მაინც მხოლოდ აქ, აი, ამ ოთახში, საიდანაც გასცქეროდა ასაფრენ ბილიკებს, მიწას მოწყვეტილ ან დასაშვებად წამოსულ თვითმფრინავებს, უბრუნდებოდა ბენედიქტე სინამდვილეს, საკუთარ თავს, მხოლოდ მაშინ განსხვავდებოდა სხვა ადამიანებისაგან, მაშინ ხდებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდა გამოუცნობი, ძლიერი, აქ უბრუნდებოდა ნათელი დამშვიდებული ხედვის უნარი, და ყველასადმი თანაგრძნობა — მეუღლისადმი, ბავშვისადმი, უბილეთო, დაგვიანებულ ან დეზინფორმირებულ მგზავრებისადმი, რომლებსაც აეროპორტში საათობით ცდისა და წვალების საზღაურად გულგრილობას სთავაზობენ... მაინც რატომ ხიბლავდა ეს ადგილი ასე, რატომ იყო მისგან სამუდამოდ დატყვევებული? იმიტომ ხომ არა, რომ ასე საათობით შეეძლო დგომა და ლოდინი იმ დიდი სიხარულისა, რომელიც იქიდან, ზემოდან უნდა მოსულიყო, უსასრულო ღრმა და მონატრებული. საიდან ჰქონდა ეს ალღო თუ წინათგრძნობა ასე უშეცდომოდ რომ ანსხვავებდა ნამდვილ ხიფათს ცრუ განგაშისაგან? აი ახლა მისი ყურადღება ოთხმა მგზავრმა მიიპყრო. ერთი ქალიშვილი იყო, მეორე ბიჭი, მესამე ახალგაზრდა მაღალი ვაჟი, ხოლო მეოთხე — ხანდაზმული კაცი. ისინი აეროპორტის სიღრმისაკენ გარბოდნენ იქით, სადაც არცერთი თვითმფრინავი არ იდგა; რატომღაც სულ არ აღელვებულა. უეცრობის ელემენტი, შემთხვევითობა და გართულებები აეროპორტში მინიმუმამდე იყო დაყვანილი. მგზავრებმა ორასიოდე მეტრი გაირბინეს და შედგნენ. შემდეგ სამოსელის გახდა დაიწყეს. თვალის დახამხამებაში ოთხივე საცურაო კოსტუმებში დარჩნენ. არაჩვეულებრივი, მოულოდნელი ხიბლავს გულს, და სიცოცხლეს ახალისებს პატარა დროით. მაგრამ ინსტინქტურად მაინც წაიღო ხელი ყურმილისაკენ. მორიგემ შეატყობინა, რომ საქმის კურსში იყო და რომ სათანადო ზომებიც მიეღო. უცნაურია აეროპორტი, გაიფიქრა უფროსმა, ზოგჯერ მაინც ავსებს სიცარიელეს და იმ დროს, რომელიც უსაშველოდ იყინება ხოლმე და აღარ იძვრის.

ექვსი ტალიკ-ტალიკი მილიციელი გარბოდა ნახევრად ტიტლიკანა მგზავრებისაკენ. აეროპორტის უფროსმა ბორჯომის წყალი მოსვა. ადამიანების შეპყრობაც მომხიბვლელია [illegible] გათოკვაში, დაჩოქებაში არაფერია შემაძრწუნებელი.

ამ დროს კი მილიციელები უცნაურ მგზავრებს ეცნენ.

— რა ხდება?! — იყვირა მილიციის კაპიტანმა.

— ტყავს ვიძრობთ, — უპასუხა ბიკენტიმ.

— ტყავს იქ,განყოფილებაში გაგაძრობთ!.. ოთხივე გათოკეთ!

ორი მილიციელი ჩემოდნებს ჩაუცუცქდა. დანარჩენებმა მგზავრებს დაუწყეს ხელებით ფათური. განსაკუთრებით ერთი აქტიურობდა, მედეასთან რომ იდგა.

—ხელები შორს ქალიშვილისაგან, ტარტაროზო! — იყვირა ბიკენტიმ, — უტიფრადაც ნუ შესცქერი... უპატრონო არ გეგონოს!

მილიციელმა, რომელსაც ბიკენტის ხელები ეპყრო, ყისტი მოსდო ექიმს. ბიკენტის ეწყინა. მაგრამ მაინც შეიკავა თავი.

— რას დაეძებთ? — იკითხა გაფითრებულმა ბორისმა.

— ყუმბარას.

როდესაც ცეცხლსასროლი იარაღი და ყუმბარები ვერ აღმოაჩინეს, პატარა რაზმის წინამძღოლი — მილიციის კაპიტანი კიდევ უფრო გაავდა.

— შენ მაინც რამ გაგაბრიყვა, რამ შეგიკიჟნა? — ჰკითხა მან ბორისს.

— აუცილებლობამ და ცხოვრებამ. როდესაც სინამდვილე ზურგზე კეცკეცად გაძრობს ტყავს, რაღაც უნდა მოიმოქმედო.

მედეას თვალები უციმციმებდნენ. ბობოქარმა ტალღამ გადაუარა წელან გულმკერდზე. ნახევარზე მეტად გაშიშვლებული სამი განკაცხულის მზერა ახალი სიხარულით, ახალი სისხლით ავსებდა მის გულს. თვავად კი სამყაროს სიმშვიდის, გულგრილობის გაუგონარ საიდუმლო ხსივებს სტყორცნიდა. წრე, რომელშიც ის ტრიალებდა, ფართე იყო, გაცილებით მეტი, ვიდრე ბიკენტის წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმოედგინა. მედეა მილიციის კაპიტანს მიუბრუნდა:

— თუ შეიძლება...

— არავითარ შემთხვევაში! — იყვირა კაპიტანმა, — არ შედგეთ!

— მე გთხოვთ.

— ნუ მთხოვთ!

— მაიორო, თქვენ პატივს სცემთ პირველქმნილ მშვენიერებას?

— კაპიტანი ვარ.

— მაიორიც გახდებით.

— უფროსო, — მიმართა ბიკენტიმ, — თქვენ არ გეჩვენებათ, რომ ეს ქალიშვილი ჩვენი სამშობლოს სამკაულს წარმოადგენს?

— ყველა როგორ აფრენთ?!

— პიტიახშის მშვენიერი ასული სერაფიტაც ერთხელ ცხრამეტი წლის იყო. — უთხრა მილიციელს ბიკენტიმ.

ბასკო მედეას არ შორდებოდა. მას სიამოვნებდა ტანაშოლტილ ქალიშვილის გვერდით სიარული. შიშიც კი გაუქრა.

შეპყრობილები პარტყა-პურტყით გარეკეს მილიციის პუნქტისაკენ.

გზად პატარა გოგონამ თვალი მოჰკრა ნახევრადშიშველ ადამიანებს, დედას კაბის კალთაში წაავლო ხელი და იყვირა:

— უიმე, ცირკის ჯამბაზები... ეს მოხუცი — მამაა, ის პატარა — შვილიშვილია, ესენი კი შვილებია... ახლა წარმოდგენას გაგვიმართავენ!

ბორისი გაწითლდა და თავი ჩაღუნა.

პატარა ოთახში ბიკენტი შეეცადა ვითარებაში გაერკვია კაპიტანი, შეეცადა ლარბაისლური საუბარი გაება. ადამიანის ამაღლებული თვისებები პატივისცემის გრძნობას ბადებს, მშვენიერი კი — თაყვანისცემას. ამის გამო მათ, ვინც ამ უნარითაა დაჯილდოებული, ვირის აბანოში კი არ მიერეკებიან, არამედ დიდ ჩიტამდე აცილებდნენ და ხელს უქნევენ.

— შეიძლება ჩამოვჯდე? — იკითხა ბიკენტიმ.

— ვიდრე ყველაფერს არ ჩამოკაკლავთ, არც დაგსვამთ და არც შეგმოსავთ... თქვენი საქციელი აღმაშფოთებელია, საზოგადოებისათვის მიუღებელი და საჯაროდ გასაკიცხია... სად მუშაობთ?

— კომანდორო, — მიმართა მედეამ მილიციის კაპიტანს, — როგორ ფიქრობთ ამის შემდეგ ველარ მოვხვდებით სამოთხეში?... და ისევ სათხოვარი, თუ შეიძლება ჩვენების მოცემის შემდეგაც ამ მსუბუქ სამოსელში დავრჩები.

ოთახში აეროპორტის უფროსი შემოვიდა, დაკავებულები შეათვალიერა. ბიკენტიმ კი ბორისს გადახედა. ნახევრად შიშველი მეგობარი გაყუჩებულიყო, კაეშანი მორეოდა, სამარცხვინო სამყაროში ჩანთქმულიყო.

როდესაც ხანდაზმული მამაკაცი სასაცილო მდგომარეობაში ხვდება, როდესაც წინ მხოლოდ ლეღვის ფოთოლი აფარია, უნდა გაამხნევო.

კაპიტანმა აეროპორტის ექიმს გამოუძახა. ექიმმა გულდასმით გასინჯა ოთხივე. მან თქვა:

— ხომ წარმოგიდგენიათ, ბატონო კაპიტანო, ასეთი კადრი კინოსურათში რომ აჩვენონ ან პოეტმა პოემაში რომ აწეროს, არავინ არ დაუჯერებს... სინამდვილეში ასე არ ხდება.

— სინამდვილეში როგორღაა? — იკითხა ბიკენტიმ, — მაინც რა არის სინამდვილე, ეშმაკური თამაში თუ ჩახლაფორთებული საიდუმლოებაა?... როგორია?

— ცხოვრების ჩვეულებრივი ფერხულია... ის, რასაც ხედავ.

— ირგვლივ მხოლოდ ბრიყვებს ვხედავ... დედამიწას კი მეამბოხეები, ერეტიკოსები, მეოცნებეები, შეშლილები ალამაზებენ.

— განა შეიძლება უაზრობაში სიცოცხლის აზრი ეძიო? ხოლო წვრილმანი და ლაჩრული ხასიათით მხოლოდ წვრილმანი და უმნიშვნელო რაიმეს განხორციელება თუ შეიძლება. სიჯიუტე კი პაროდიაა ნებისყოფისა და ხასიათისა... მეთანხმებით?

— თქვენ მოზონეიზმის მტერი ხართ, კოლეგა?

— უფრო გასაგებად?... მეორეც, მე თქვენი კოლეგა არა ვარ.

— სიახლის ჯალათი ·ბრძანდებით?

მხოლოდ რეგვენობის.

— მთლად არ მოგვთხარა?! ამოიღე ხმა, ბორის, — იყვირა ბიკენტიმ, — მომისმინეთ, ქინის, გატაცების, ახალის ძიების გარეშე არაფერი დიდი არ შექმნილა ამ ქვეყანაზე. ხოლო ადამიანს უფლება აქვს წელიწადში ერთხელ რომ გააფრინოს, გამოამჟღავნოს ფულისა და გონების კონფლიქტი.

აეროპორტის ექიმმა ბორისზე მიუთითა:

— ამ ასაკში მსგავსი გამოვლინებები ხშირია. შესაძლებელია თავი საკუთარ ოთახში წარმოიდგინა და გამიშვლდა... გაანთავისუფლეთ.

მაგალითიც მოიყვანა. ერთი მოხუცი, არც ისე მთლად გამოჩერჩეტებული, დილაობით საყვარელი ძაღლის გასეირნებით ირთობდა თავს. ლამფიონთან, როგორც წესი, პირუტყვი მაღლა სწევდა უკანა ფეხს და ბოძს ასველებდა. ერთხელ უძაღლოდ გამოსულა სახლიდან მოხუცი. ლამფიონთან შეჩერებულა და ჩაფიქრებულა. შემდეგ შარვლის ღილები შეუხსნია, მარჯვენა ფეხი ოდნავ აუწევია და...

— კირიე ელეისონ, — წაიჩურჩულა ბორისმა. მის თვალებში იმდენი ნაღველი იყო, რომ ამომშრალ შავი ზღვის ბასეინსაც კი აავსებდა. ბიკენტიმ ველარ მოითმინა და ექიმს ჰკითხა:

— რატომ არის, რომ ნივთი, რაც ძველია, მით უფრო ძვირფასია, მაგალითად ძველი დაშნა ან ხატი. ადამიანს კი თანდათან ეკარგება ფასი?

— დაფქვით ყველაფერი! — იყვირა კაპიტანმა.

აეროპორტის უფროსი და ექიმი ოთახიდან გავიდნენ. დაკითხვა და შემოწმება სამ საათს გაგრძელდა. კაპიტანი ოდნავ ნერვიულობდა. წარამარა ცივ წყალს სვამდა და ოფლიანდებოდა. მაშინ ცხვირსახოცით იმშრალებდა სახეს. შემდეგ მკაცრ და უეცარ კითხვებს იძლეოდა. თან გამჭოლ უყურებდა დაკავებულებს. მიადგებოდა [illegible] სწრაფად შემოტრიალდებოდა და მეორე შეპყრობილს ესვროდა გაყინულ მზერას და კითხვას. ბოლოს ოთახიდან გავიდა ზემდგომ ორგანოებთან დასაკავშირებლად, რჩევისა და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

ეროვნული

— მგლის სუნი მომედინა, ბიკენტი, — შესჩივლა ექიმს ბასკომ, — მეშინია, ახლა ტყლიპზე გაგვასიებენ თუ ფეხებით ჩამოგვკიდებენ?

— თავს ყურსა და ყურს შორის ამოგაყოფინებენ... დომინუმ, მასწავლებელო, გამხიარულდი, — მიმართა მან ბორისს.

შემდეგ თქვა, რომ კაცმა, რომელიც ციხეში არ მჯდარა, თავისუფლების ფასი არ იცის. ღვლიპი გული კი სამყაროს ცენტრია, ათასი მზის სისტემითა და კომეტებით გარშემორტყმული. იგი კვებავს და აბრუნებს თავის გარშემო მირიად უჯრედსა და სულს... ხოლო პატარა ერი თანამგზავრია უფრო დიდისა და მეტი არაფერი, სატურნის თანამგზავრს მხოლოდ მის გარშემო ბრუნვის უფლება აქვს და თავის ბედს ვერსად გაექცევა. მაგრამ მაინც თუ გაბედავს და გავარდება სადმე, ისევ დიდი პლანეტა, მაგალითად ურანი, დაიჭერს და თავის ორბიტაზე გაიყვანს საცეკვაოდ... ადამიანებშიც ასეა, ერთს თუ გაექცევი, მეორე დაგიჭერს.

— სიყვარულზე რას იტყვი? — იკითხა მედეამ. ქალიშვილი კარგ გუნებაზე იყო. არდადეგები მხიარულად დაიწყო.

— სიყვარული ჩვენი გადამრჩენია, ასე ოცდაათ ოცხათხუთმეტ წლამდის.

— შემდეგ?

— შემდეგ, როგორც მასწავლებელი იტყვის, ილუდო და დესიპიო... კაცის მოტყუების სხვა საშუალებებიცაა.

— რა მომხიბლავად ყვები... გააგრძელე, რა, — შეეხვეწა ბასკო, — რას უსურვებდი ადამიანს სატუსაღოში ჩაჯდომის წინ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიკენტიმ ჩაახველა, კაპიტნის ჭიქიდან წყალი მოსვა და თქვა:

— წარსულისა და მომავლის ათასობით საიდუმლო სახეებია ჩამარხული ადამიანის სულის სამალავში. დროდადრო წარმოჩნდებიან და მათი დანახვა, შეცნობა უდიდესი სიამოვნებაა. საიდუმლოება — ეს ღვთიური ნაკლია. რაც მეტია ადამიანში ფარული და შეუცნობი, მით მეტად საინტერესო და უკვდავია იგი. იმ ზეწარს, რომელიც ყოფიერებამ გადაიფარა თავზე, ვერცერთი მოკვდავი ვერ აზდის. ეს იცის ცხოვრებამ და ეშმაკურად, ფარულად გვირტყამს სახეში მჯილებს იმ ფარდის ქვემოდან. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ერთის სიცოცხლე ისე ჰგავს მეორისას, როგორც წყლის წვეთები ან ორად გაჭრილი ვაშლი, სიცოცხლე მაინც საინტერესო და სასიამოვნოა. მართალია კაცის კვალი ამ სამყაროში ისევე სწრაფად ჰქრება, როგორც ნაფეხური თოვლზე და რომ შორეთიც გადატანილია უსახელო სახელებით, მაგრამ მაინც სიცოცხლე სიზმარზე მეტია... ბონა სერა, სენიორე, მგლის მადა, ჯანსაღი ძილი, ყისმათი... ჩაო, ბამბინო... ინ ნომინე პატრის, ეტ ფილიი, ეტ სპორტუს ვინი... ნუ იქნები ურმაგი, არ დაივიწყო კლემენციო და დიდი მისერაბია. გაუწოდეთ ხელი ბონდზე გამავალ დაფსხრიკულს, მოხუცსა და ინფარქტგადატანილს, რომ შემთხვევით ჩელტს არ წამოკრას ფეხი და ტალღებში არ გადაეშვას... ყველაფერზე ნუ აკვანწალდებით... თუმცა ფაცაფუცი და ფუსფუსია ჩვენი გადამრჩენელი. საგანი ან მოვლენა, რომელშიც ირონიაა ჩამალული, მხოლოდ ის წარმოადგენს რეალობას. და თუ კი ჩვენ ზოგჯერ თხებად ვიქცევით, კიდევ არ დაგვიკარგავს ადამიანობა, რაღაცის რწმენა, ხოლო ის, ვინც სულს უარყოფს, ადამიანებიც ფეხებზე ჰკიდია. მდაბლად დაუკარით თავი მომოსს, სილენოსს, ეზოპეს, კლდიაშვილს. არასოდეს არ გიღალატებენ. სიბერეში პრონსტატის საღ-სალამათად ყოფნა. ღვიბოვანი ორგანოების სიმტკიცე — სახელისე. ყველა ჩოჩორი მხოლოდ თავის მსგავს ჩოჩორთან მეგობრობს. შეუძლებელია სახედარის და მერანის ძმაკაცობა, არ გამიგონია. ხოლო როდესაც უკანასკნელი დღე დადგება, მაინც დამაინც ნუ დაგწყდებათ გული.

— როცა გავიზრდები რა პროგრამით ვიმოქმედოთ, ძიო? — იკითხა ბასკომ.

— ყველგან დააგე მახე, ხაფანგი და ბადე სიცრუის, სიყალბის, სიბეცის, სიბრიყვის, ტვინთხელობის, ლეყვერობის, დემაგოგიის შესაპყრობად... თუნდაც ლიფსიტა სნობი რომ გააბა, ესეც საქმეა. პატარას დიდი მოჰყვება... ეს გადაგვარჩენს... როდესაც სულის კუდის რიკამდის გატყავებას ცდილობენ სად უნდა ეძებო სიმართლე — ზეცაში თუ დედამიწაზე, ანგელოზებში თუ საკუთარ თავში?... უხსენებელი უნდა გაისრისოს.... ხაფანგები, ორმოები, ქსელები, მლვიმეები, ბადეები... არ შეიძლება რომ არ გაებნენ!

— ძიო, თუ მართლა წინასწარმეტყველი ბრძანდები, ახლა სად უნდა ვყოფილიყავით?

— ბასკო, ნუ იქნები მკაცრი და ურწმუნო... ხოლო ეს კი, რაზედაც შენ მიმანიშნე, კიდევ იმის მაგალითია, რომ ზოგჯერ შეიძლება წინასწარმატყველიც შეცდეს, რომ სამყარო და მომავალი შეიძლება შეუცნობი დარჩეს... ჩაო ამიგო, ბამბინო, ამოროზო, არივედერჩი პრესტო, სალუტი ა ტუტი, ბონ ვიაჯიო... დაუჯერეთ ბიკენტი თავბერას, ვისაც სიკვდილისათვის ათასჯერ ჩაუხედავს თვალებში, ამ ქვეყანაზე თავისუფლებას არაფერი არ შეედრება, თვით დიადი სიცოცხლეც კი.

ბასკომ კეფა მოიფხანა.

— ძალიან მაინტერესებს, ახლა აქედან როგორ გახვალ?... ვერტმფრენის ჩამოფრენას ელოდები, თუ გემის მოდგომას ამ უსახელო კუნძულთან?

— ბასკო, სულის კვარჩხალი მორჩა... ფინიტა ლა კომედია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორის ანდრონიკაშვილი

# ვოლგისპირა სოფელი

გორკიდან ას კილომეტრზე, ვოლგის ქვემოთ, მაღალ ციცაბო ნაპირზე გადაშლილია უძველესი ვოლგისპირა სოფელი ლისკოვო (ახლა ქალაქია).

მის ფერდობზე მიმოფანტული მჭიდროდ ნაგები ფერად-ფერადი სახლები ზემოდან გადმოყურებს მდინარის ორივე ნაპირს, ვოლგის გაღმა მხარეს — ვარდისფერი კვამლის ბურუსში გახვეულს და მეწამული კერძამის ტყეების ჰორიზონტს.

ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, ლისკოვოს ადგილას იყო დიდი ქალაქი ვოლგის ბულგართა სუნდოვიტი. მისი ციხე-სიმაგრეთა ნაშთები. გასულ საუკუნემდე იყო შემორჩენილი ირმის მთაზე, „რომელიც მეტისმეტი ციცაბო ადგილის გამო ახლა უკაცრიელია, საიდანაც გადაშლილია ვრცელი შემოგარენის უშესანიშნავესი სანახაობა“.

ეს იყო ხორბლით ვაჭრობის მსხვილი ცენტრი. „ლისკოვოში 1000 სახლზე მეტია, უზარმაზარი ნავმისადგომია, სადაც ჩერდება ხორბლით დატვირთული გემები და ბარჟები. ქუჩები ფართოა, როგორც ქალაქებში, ირგვლივ, ბორცვებზე, ასზე მეტი წისქვილია, აქვეა ლუდის სახდელი და ღვინის დამამზადებელი ქარხნები, ნავსადგურში ხორბლით ვაჭრობის დროს უამრავი ხალხი რიალებს.

„ლისკოვოში 10.000-ზე მეტი მცხოვრებია, ხალხმრავლობით ტოლს არ უდებს არცერთ გუბერნიის ქალაქს“.

და საერთოდ ეს იყო დიდებული სოფელი. მოგზაურები აღფრთოვანებული სიტყვებით იხსენიებენ: „სოფელი ლისკოვო... დიახ, ვინ არ იცის მისი ამბავი?“ „აი ისიც, ცნობილი ლისკოვო“. „აი ის, სახელოვანი ლისკოვო“.

ვოლგისპირელ ავაზაკებსაც ჰქონდათ მის მცხოვრებლებთან განსაკუთრებული გულითადი ურთიერთობა. ლტოლვილები ყოველთვის პოულობდნენ თავშესაფარს, ასევე ყველა ისინი, ვისაც რაიმე ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი ხელისუფლებასთან.

როდესაც ლისკოვოში გამოჩნდა რაზინის პირველი „რაზმები“, სოფელი ზარების რეკვით, ჯვრებითა და ხატებით შეეგება. წინ სამღვდელოება მიუძღოდა და ხმამაღლა გალობით სტეფანე ტიმოთეს ძის ჯანმრთელობას ევედრებოდნენ უფალს.

ერთი ცნობილი ვოლგისპირელი ატამანთაგანი, სახელგანთქმული კულაგას ამხანაგი, იყო ლისკოველი თედორე ვასილევი.

ამ სოფელში ჩამოდიოდა ვანკა კაინი, ავაზაკი და სულთამხუთავი. იგი „გამოჩნდებოდა მაკარის ბაზრობაზე, დათარეშობდა სომეხთა რიგში, გადადიოდა ლისკოვოში და ბოლოს ნიჟნი ნოვგოროდში“.

ვოლგის გაღმა, პირდაპირ დგას ცნობილი მაკარის მონასტერი. როდესაც ცურვით მიუახლოვდები ლისკოვოს, მონასტერი უეცრად იშლება შენს თვალწინ. ასე გგონია მისი ქვით ნაშენი კედლები და გუმბათები პირდაპირ უძრავი წყლიდან ამოვიდაო. ოქროსფრად მბრწყინავი ეკლესიის გუმბათები ლურჯ სივრცეში ცურავენ და ყოველივე ეს მოულოდნელად გადაგეშლებათ თვალწინ, როგორც არაჩვეულებრივი ზღაპრული სანახაობა.

მონასტერი დაარსდა 1435 წელს ნიჟეგოროდელ მაკარის მიერ, რომელიც განთქმული იყო თავისი ბერმონაზვნური და მისიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნერული მოღვაწეობით არარუსულ მოსახლეობას შორის. თათართა მიერ დანგრეული, აღდგენილ იქნა მე-17 საუკუნეში. განსაკუთრებით ცნობილი გახდა ეს მონასტერი 1624 წლიდან, როდესაც მის კედლებთან ყოველწლიური სახალხო ბაზრობა იმართებოდა. იარსება თითქმის 200 წელი — 1816 წლამდე, როდესაც ბაზრობამ ნიჟნი ნოვგოროდში გადაინაცვლა. ეს იყო უდიდესი სავაჭრო ცენტრი, სადაც ჩამოდიოდნენ მრავალი ქვეყნის ვაჭრები — აღმოსავლეთიდან, ინგლისიდან, დანიიდაან, შვეციიდან და სხვა ევროპული სახელმწიფოებიდან.

მონასტრის კედლებთან სიცოცხლე დუღდა და ჩქეფდა. აქ იდგა 400-მდე დუქანი, გაჩაღებული იყო ვაჭრობა ციმბირული ბეწვეულითა და სპარსული აბრეშუმით, პატიოსანი თვლებითა და ხალიჩებით, მაუდითა და ბამბის ქსოვილით. უცხოენოვანი ლაპარაკი, უჩვეულო ჩაცმულობა, შინაურისა და უცხოელების მოძალება ყოველი წლის ივლისის თვეში მონასტერს ხდიდა ყველაზე მიმზიდველ ეკონომიური იმედების ცენტრად. ვოლგაზე ზემოდან და ქვემოდან სოფელ ლისკოვოს გავლით ვოლგის გაღმიდან მოედინებოდნენ ოთხთვალები და ხალხი, ერთდროულად ისმოდა თავშეუკავებელი და მხიარული გუგუნი.

შემდეგ ბაზრობა მთავრდებოდა, ვაჭრები და დროსტარების მოყვარულნი თავისი გზით მიდიოდნენ, მტვერი ჩადგებოდა და მონასტერი კვლავ მოუხმობდა ღვთისმოსავეებს ზარების რეკვით.

ბაზრობისაგან გარშემო მდებარე სოფლები დიდ სარგებლობას ნახულობდნენ. „ლისკოვოს ტილო, კერჟენეცის ხის ჭურჭელი, ვოლგისიქეთური ქუდები და თექები, მურაშკინული ხელთათმანები, სათბურები და ქუდები იყო ამ ბაზრობაზე შემოტანილი პირველი საქონელი“.

მონასტრის ახლოს ადგილის უქონლობისა და მოძრავი ქვიშის გამო ვაჭრები იძულებული იყვნენ საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილი ლისკოვოში შეენახათ და შემდეგ, საჭიროებისდამიხედვით გადაეტანათ ვოლგის გაღმა. მიწის იჯარას უხდიდნენ სოფლის პატრონს“.

„ხაზინა კარგავდა სარგებელს იმის გამო, რომ ვოლგის მარჯვენა ნაპირი, სადაც ინახებოდა ძვირფასი საქონელი, სადაც ჩერდებოდა გემები, ეკუთვნოდა თავად გრუზინსკის, რომელსაც აქედან უზარმაზარი შემოსავალი ჰქონდა“, — წერდა „ნიჟეგოროდის გუბერნიის უწყებები“.

ბაზრობის ზრდისა და განვითარების გამო, მისი ადგილსამყოფელი უხერხული აღმოჩნდა. წამოიჭრა ლისკოვოში მისი გადატანის აზრი, სადაც უფრო ადვილად შემოიტანდნენ საქონელს, ვიდრე მარცხენა ნაპირიდან.

მაგრამ ბაზრობა გადატანილი იქნა ნიჟნიში, რამაც, რასაკვირველია, ძლიერი გავლენა მოახდინა ლისკოველების ინტერესებზე. ისინი თვლიდნენ კიდეც, რომ ბაზრობას ბოლო მოელო ნიჟეგოროდის ხელისუფლების ნებასურვილით, რომლებსაც ფარულად მტრული ურთიერთობა ჰქონდა თავად გრუზინსკისთან.

მაგრამ ლისკოვო, როგორც ხორბლით ვაჭრობის ცენტრი და როგორც ბაზრობასთან ახლოს მდებარე სოფელი, რომლის ნახევარი მოვაჭრეები მის ტერიტორიაზე იდებდა ბინას, რასაკვირველია, უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. აქვე იმართებოდა ვაჭრობა, იმ დროს, როდესაც სხვებს უნდა შემოეტანა მასთან თავისი ნაწარმი.

ლისკოვოს ცენტრში სპასოპრეობრაჟენსკის ტაძარში დაკრძალულია თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკი — ვახტანგ VI-ის შვილთაშვილი, ბაქარის შვილიშვილი, ალექსანდრე ბაქარის ძის ვაჟი, ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრე, რომელიც ცდილობდა ერეკლე მეორისათვის ტახტის წართმევას. მისი მეუღლე — ბარბალე ნიკოლოზის ასული, დედა — დარია ალექსანდრე მენშიკოვის ასული, პეტრეს თანამოღვაწის შვილიშვილი, და — ისიც დარია ალექსანდრეს ასული ტრუბეცკაია, დეკაბრისტ თავად ს. პ. ტრუბეცკოის დედა. მისი ვაჟი ივანე გიორგის ძე. ანტონი — მეფის ვაჟის ათანასეს ვაჟი, მოსკოვის ობერ-კომენდანტი, ვახტანგ მეექვსის ძმა, ვლ. ტრუბეცკოის მცირეწლოვანი შვილები, თავად გრუზინსკების ნათესავები.

აქ ცხოვრობდნენ აგრეთვე სხვა ქართველებიც, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ გრუზინსკების ოჯახთან.

ოთხი წელი დაჰყო ლისკოვოში საქართველოს უკანასკნელმა კათალიკოსმა ანტონ მეორემ.

ლისკოვო ერთ-ერთი ძეგლთაგანია XVII-XIX საუკუნეთა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა.

1946 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, შემდგომში პროფ. თორნიკე ჭყონიამ, აღმოაჩინა გორკისა და ლისკოვოს მუზეუმებში რელიქვიები, რაც საქართველოს ისტორიას და კულტურას მიეკუთვნება.

ეს იყო ზეთის საღებავებით შესრულებული პორტრეტები — ერთადერთი შემონახული გამოსახულება ვახტანგ მეექვსისა, ალექსანდრე ბაქარის ძისა, საქართველოს უკანასკნელი კათალიკოსის ანტონ მეორისა, საქარ-

ეროვნული

თველოს მეფეების ბრინჯაოს გერბი ანტონის სასაფლაოდან, აგრეთვე თეიმურაზ მეორის გრავიურა ე. ვინოგრადოვისა და ა. გრეკოვის ნამუშევარი — 1761 წელს პეტერბურგში დამზადებული ა. ანტროპოვის დედანის მიხედვით.

აღმოჩენილი იქნა აგრეთვე თავად გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკის და მისი მეუღლის ბარბალე ნიკოლოზის ასულ ბახმატევას და ანა გიორგის ასულ ტოლსტაიას და მათი ქალიშვილების პორტრეტები.

პროფესორ თ. ჭყონიას მიერ აღმოჩენილ მასალებს შორის იყო უძველესი ხელნაწერები: „მარხვანი“ გადაწერილი 1782 წელს და 1368 გვერდისაგან შემდგარი დიდტანიანი მანუსკრიპტი — სამკურნალო წიგნი — დაახლოებით 15 საუკუნისა ვახტანგ მეექვსის ჩანანიშნებითურთ, აგრეთვე მეთორმეტე საუკუნის სახარება, ქართველი მეფეების გენიალოგია, შედგენილი ვახტანგ მეექვსის მიერ, საქართველოს მოკლე ისტორია („საქართველოს სამფლობელოების ისტორია“), კიდევ სხვა გენიალოგია, შედგენილი ვახტანგის შვილთაშვილის გიორგი გრუზინსკის მიერ, ნიჟეგოროდის კეთილშობილთა საკრებულოსათვის და სხვა საბუთები.

ყველა ზემოთჩამოთვლილი მასალა თ. ჭყონიამ საქართველოში ჩამოიტანა. მაგრამ გ. ა. გრუზინსკის არქივის დიდი ნაწილი დარჩა აღმოუჩენელი, თუ საერთოდ არ დაიკარგა გასულ წლებში.

გ. ა. გრუზინსკის ჰქონდა უმდიდრესი ბიბლიოთეკა რუსულ, ქართულ და ევროპულ ენებზე. მისი ქალიშვილის ანა გიორგის ასულის — გრაფინია ტოლსტაიას გარდაცვალების შემდეგ მას დაეპატრონა სტოგოვი — თავადის უკანონო შვილი, ისე როგორც მთლიანად მის ადგილ-მამულს, შემდგომში კი ნაწილი გადავიდა ნიჟნისა და ლისკოვოს ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში, ნაწილი კი დარჩა სტოგოვის შთამომავლებს და უცხოებს ჩაუვარდათ ხელში. თავად გიორგი ალექსანდრეს ძის სახელი გუბერნიის საზღვრებს გასცდა მისი ხელგაშლილი პურმარილის წყალობით. იგი ცხოვრობდა ლისკოვოში „ხელგაშლილად, მდიდრულად, სტუმართმოყვარულად“.

ვოლგის ნავმისადგომთან მუდმივად მორიგეობდა რამდენიმე სამცხენა ეტლი „ყველა, ვინც კი გადმოვიდოდა ამ ნავმისადგომზე, ვალდებული იყო, წვეოდა თავადს, სადაც ყოველთვის მზად იყო შესანიშნავი ვახშამი“.

თავადის სასახლე (რასტრელის პროექტი) იყო თავისი დროისათვის ერთ-ერთი ულამაზესი შენობა. მას გარს ერტყა ხიდებიანი, ფანჩატურებიანი, ფლიგელიანი, ოუზარმაზარი, უძველესი პარკი „მრავალრიცხოვანი შინაყმები ასრულებდნენ თავადისა და მისი სტუმრების ყოველგვარ ახირებას“.

ადვილი როდია თავადის ცხოვრების აღწერა.

იგი ძალზე მდიდარი იყო, ლისკოვოში საბოლოოდ გადასვლამდე, ცხოვრობდა მოსკოვის ახლოს ვსესვიატსკოეში, სადაც ბევრი რამ ააშენა და მის ტრადიციულ ცხოვრებას უჭერდა მხარს. ჰქონდა საზამთრო და საზაფხულო სასახლე, ხელოვნური კუნძულები, ფანჩატურები, გონდოლები, სხვადასხვა გასართობები, ჰყავდა ბოშები. შემდეგ სოფელზე გაიყვანეს სანკტ-პეტერბურგის გზატკეცილი, იქაურობა გახდა მტვრიანი, ხმაურიანი და თავადი ლისკოვოში გადასახლდა.

ლისკოვოში გიორგი ალექსანდრეს ძემ იცხოვრა ნახევარ საუკუნეზე მეტხანს. აქვე შეირთო ცოლი, აქ შეეძინა ქალიშვილები, აქვე დაასაფლავა ახლობლები და თავადაც აქ გარდაიცვალა.

მისი კარ-მიდამო მდებარეობდა ნახევრად მთაზე, მის მიერ აგებულ ამაღლების ტაძართან. ყოველივე ეს ერთად წარმოადგენდა არქიტექტურულ ანსამბლს, ახლა იგი აღდგენილია. ხუთგუმბათიანი ეკლესია იდგა კვადრატული ეზოს ცენტრში, ოთხივე კუთხეს ერთი ტიპის დაბალი კოშკი და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები ერტყა. ერთში იყო სამრეკლო, მეორეში — გეორგიევსკის საზამთრო ეკლესია, მესამეში — სასულიერო სასწავლებელი. ამ კუთხური ნაგებობებიდან გადარჩენილია მხოლოდ ორი.

თავადმა გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკიმ ლისკოვოში ააშენა სკოლა, საავადმყოფო, ბიბლიოთეკაც კი, რაც იმდროისათვის იშვიათი მოვლენა იყო. მოგზაურები აღტაცებაში მოდიოდნენ: „ლისკოვო, განსვენებული თავად გრუზინსკის დედაქალაქი, ბევრად აღემატებოდა მაკარის ქალაქს მცხოვრებთა რიცხვითაც, ეკლესიების რაოდენობითაც და ფართო ქუჩებზე განლაგებული ქვის სახლებითაც. სოფელი, სადაც არის ბიბლიოთეკა, კლუბი, სასწავლებელი, აფთიაქი, ექიმი, საავადმყოფო, სარდაფები, შამპანური, მოდების მაღაზია“.

ეს აღწერა ეკუთვნის 1852 წლების (გ. ა. გრუზინსკის გარდაცვალების წელი) შემდგომ დროს, მაგრამ სულ ერთია „ბიბლიოთეკა-სამკითხველო“, ექიმი, საავადმყოფო და აფთიაქი აღინიშნება, როგორც ღირსეული საოცრება.

თავად გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკის ყავდა დიდძალი ნათესაობა. ბაგრატიონების გარდა მის სანათესაოში შედიოდნენ მენშიკოვები, ბახმეტევები, ტრუბეცკები, ტატიშჩევები, ორი შტო. გოლიცინებისა, ტოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტოლებისა, სენ-პრისა, ოდოევსკების, ურუსოვების, აგრეთვე კენსონოვები, ოსტერმანოვი, და მრავალი სხვა, ესე იგი თითქმის მთელი დიდგვაროვანი დიდებულები.

თავადის ზამთრის სასახლეში იყო მეორე ქვის სახლი, სადაც ცხოვრობდნენ შვილები ივანე გიორგის ძე და ანა გიორგის ასული.

მთავარ სახლში ცხოვრობდნენ თვითონ თავადი და თავადის მეუღლე, ანა ათანასეს ასული ჩერკასკაია, ვახტანგ მეექვსის ძმის უფლისწულ ათანასეს ქალიშვილი.

„ამასთანავე 9 სხვადასხვა ადამიანი, 2 შიკრიკი ბიჭი, ორი ჯუჯა, პეტრე და ანუშკა და მოხუცი ქალები". სულ 500-მდე შინაყმა ჰყავდა.

აქვე ცხოვრობდა გიორგი ყორღანაშვილი სიდედრთან დარია ივანეს ას. ლომიძესთან ერთად. ქართველი ეგორ მატვეევი, გიორგი ჭაბუკოვი — ლისკოველი აზნაური.

თავადს ემსახურებოდა გადამდგარი ექიმი ფრანგი ლაბომი. ის იყო გადმოსახლებული ნიჟნში მოსკოვიდან რამდენიმე ფრანგთან ერთად იმისათვის, რომ ცნობდა „მათ მიწაზე ახლანდელ მთავრობას", ესე იგი იაკობინელებს, და უარს ამბობდა „ამ მიწაზე ულმერთოთა და მათ ახლანდელ ალმაშფოთებელ სარწმუნოებრივ წესებზე".

1687 წელს რუსეთში ჩამოსულმა მეფე არჩილმა მიიღო ლისკოვოს, ტერიუშევსკის, ბელგოროდსკის, მოსკოვის ახლოს ვსესვიატსკოე და სხვა მიწები სამფლობელოდ. მისი სიკვდილის შემდეგ 1713 წელს მას დაეუფლა მისი ქალიშვილი დარეჯანი — დარია არჩილის ასული, როგორც მას რუსეთში უწოდებდნენ. უშვილო დარეჯანმა, მთელი თავისი ქონება უანდერძა ნათესავებს — უფლისწულებს ბაქარს და გიორგის. ლისკოვო, ტერიუში, კურილოვო ბაქარს ერგო, კატუნკი და სხვა მიწები გიორგის.

ნიჟნიში არჩილი ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში გამგზავრებისას და უკან დაბრუნებისას.

აი აღწერა მისი პირველი შეხვედრისა ნიჟნი ნოვგოროდში:

„ნოემბრის თვეში ნიჟნი ნოვგოროდში ჩამოვიდა მეფე არჩილი დედოფლითა და ბავშვებითურთ, რომელთათვისაც მოსკოვიდან მეფის მიერ გამოგზავნილი იყო სამეფო კარეტა და აზნაურები, ბოიართა შვილები. მთელი ქალაქი უკლებლივ შეხვდა".

მეფე არჩილის ლისკოვოში ყოფნის ზუსტ ცნობებს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ შეუძლებელია, ამ სოფლის გვერდით ჩავლისას, არ შეევლო მის მდიდარ მამულში. ძნელი დასაშვებია აგრეთვე, რომ ლისკოვოში სპასოპრეობრაჟენსკის მონასტერს, რომლის მშენებლობა 1711 წელს დამთავრდა, ესე იგი არჩილის სიცოცხლის დროს, არ ქონდა მასთან რაიმე კავშირი. შეუძლებელია, თუ მოსკოვში დონის მონასტრის მშენებლობას ამდენ ყურადღებას აქცევდა არჩილი, სწირავდა დიდძალ ფულს, არავითარი ყურადღება რომ არ მიექცია ლისკოვოს მონასტრისათვის. შეუძლებელია აგრეთვე, რომ მონასტერი აშენებულიყო სოფლის მფლობელის მონაწილეობის გარეშე.

1716 წელს ლისკოვოში ცხოვრობდნენ მისი ცოლი იმერეთის დედოფალი ეკატერინე დავითის ასული და მისი ქალიშვილი დარია. მათთან ერთად იყო დედოფლის მსახური თავადი სიმონი.

ლისკოვოში ვახტანგ მეექვსის ყოფნის კვალიც არაა შემონახული, მაგრამ ბაქარი აქ ჩამოდიოდა, კერძოდ, როდესაც მიდიოდა ასტრახანში გუბერნატორ ტატიშჩევთან, რათა მის მამულში „ტერიუშევსკის აჯანყების" ჩასახშობად სამხედრო ძალები დაეხმარებინა.

დიდი და პატარა ტერიუში იყო მორდოვების სოფელი. საერთოდ, ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნიაში ცხოვრობდნენ აგრეთვე ჩერემისები და ჩუვაშები.

საქართველოში ბაქარის გამგზავრებისას მისი მამული ხაზინის მიერ ჩამორთმეული იქნა და მისი სიკვდილის შემდეგ დანაწილებული დაუბრუნდათ მის შვილებს და ქვრივს ანა გიორგის ასულს.

1763 წლის 22 აპრილის „მოსკოვის ვედომოსტი" № 32-ის დამატება იუწყებოდა: „განსვენებული გენერალ-ლეიტენანტის და კავალერის ქართველი უფლისწულის ბაქარის მეუღლემ, ქვრივმა ანა გიორგის ასულმა, მისმა ვაჟმა გვარდიის პრინცმა იზმაილოვსკის ჯარების კაპიტანმა ალექსანდრე გრუზინსკიმ მენოვის ბანკში ოცდათხუთმეტ ათას მანეთად უნდა დააგირავოს თავისი უძრავი ქონება ნიჟნი ნოვგოროდის მაზრაში".

ალექსანდრე ბაქარის ძეს მუდმივად გარს ერტყნენ კრედიტორები. 1765 წელს ეკატერინეს გაუგზავნა თხოვნა განსახილველად წარმოდგენილი თამასუქებისა, რომელიც გაცემული ქონია, როგორც თავად წერს „მხოლოდ მისი წრფელი გულითა და მიამიტობით".

პასუხი გამოუგზავნეს ანა გიორგის ასულს, ალექსანდრეს დედას: „თამასუქების განხილვას მისი უდიდებულესობა ზედმეტად თვლის".

პეტერბურგის ბანკში შემთხვევით აღმოჩნდა განსვენებული არქიმანდრიტ ნიკიფორეს (500 ჩერვონეცი), რითაც ალექსანდრე წავიდა საქართველოში. სხვა ფული მას არ აღმოაჩნდა. ფულის ხარჯვის გარდა, ყმებიც

ეროვნული

ხშირად უარს ეუბნებოდნენ ლალაზე. 1743–45 წლებში მეფისწულ ბაქარის ტერიუშევსკის თემში აჯანყებამ იფეთქა, რომელიც დიდი ვაივაგლახით ჩააქრეს სამხედრო ძალების დახმარებით.

1797 წელს „უფრო ძლიერი, აშკარა ხელისუფლების საწინააღმდეგო მღელვარება მოხდა თავად დ. ე. ციციანოვის სოფელ კატუნკაში. ეს სოფელი ბალახნინის მაზრაში შედიოდა და ეკუთვნოდა ლევან ბაქარის ძეს. მისი სიკვდილის შემდეგ ამ სოფელში ცხოვრობდა ლევანის ქვრივი პრასკოვია ევგრაფის ასული ტატიშჩევა. მას კატუნკის კნეინას ეძახდნენ. ნიჟნიში მათ ჰქონდათ სახლი ბარბალესა და ნიკოლოზის ეკლესიებს შორის. მოგვიანებით იქ ცხოვრობდა თავადი ლევან ლევანის ძე — გიორგი ალექსანდრის ძის ბიძაშვილი. საქართველოში ალექსანდრე ბაქარის ძის „გამგზავრების შემდეგ ლისკოვო დარჩათ მის შვილებს: ორ ვაჟსა და ორ ქალიშვილს. ისინი დარჩნენ ბებიის ანა გიორგის ასულ არაგვის — ერისთავის, ბაქარის ქვრივის მზრუნველობის ქვეშ. მოსკოვში ოხოტნი რიადზე ცხოვრობდნენ, მეფე არჩილის სახლში (ყოფილი გოლიცინების სახლი), რომელიც მას გადაეცა მემკვიდრეობით. ბავშვებმა იცოდნენ ქართული ენა, იზრდებოდნენ ქართველთა შორის. ასწავლიდათ მოსკოვში მცხოვრები ქართველი მასწავლებლები. გიორგი ალექსანდრეს ძეს ქართული ენა სიბერეშიც კი არ დაუვიწყებია. იერომონაზონი ფ. კიკნაძე, რომელიც იყო მონაწილე 1832 წლის ქართველ აზნაურთა შეთქმულების ოპოზიციისა, გიორგის წერდა, უგზავნიდა მასალებს სათარგმნად და კერძოდ, ვაჟის გარდაცვალების გამო სამძიმარს ქართულ ენაზე წერდა“.

მალე ბავშვები დედასთან დარია ალექსანდრეს ასულ მენშიკოვასთან ერთად, ეკატერინეს გადაწყვეტილებით, პეტერბურგში გაგზავნეს. დედოფალი ამის თაობაზე თავად წერდა მოსკოვის მთავარსარდალს მ. ნ. ვოლკონსკის, — ალექსანდრე ბაქარის ძე, — წერდა იგი „მადლიერებით მიიღებს ჩვენს მზრუნველობას ბავშვებზე, როდესაც შეიტყობს, რომ ჩვენ ისინი საკუთარი კეთილდღეობისათვის ჩამოვიყვანეთ აქ“. ანა გიორგის ასულს კი შეუთვალა, „დედას მეტი უფლება აქვს შვილებზე მზრუნველობისათვის, ვიდრე ბებიასო“.

ამ ბავშვებს ჰყავდათ მამიდა ელისაბედ ბაქარის ასული, ოდოევსკის მეუღლე, რომელიც ცხოვრობდა მოსკოვში და გარდაიცვალა აქვე 1768 წელს. მამიდას, ეტყობა, ძმისშვილებთან ჰქონდა ურთიერთობა, რადგან ეკატერინეს მოუთხოვია გრაფ ნ. ი. პანინისათვის „მცირეწლოვანი თავად გრუზინსკების მეურვეობის, მათი ვალ[illegible] ვეგმა“, თან უთქვამს: „მათი მდგომარეობა ახლა დამძიმებულია მამიდას გარდაცვალების გამო“.

ჩანს, დედა ნაკლებად აქცევდა ბავშვებს ყურადღებას და ელისაბედ ბაქარის ასულის გარდაცვალების შემდეგ მათი მდგომარეობა გაუარესდა.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე საკმაოდ ახალგაზრდა გარდაიცვალა, შთამომავალი არ დარჩენია.

ანა ცოლად გაყვა თავად ბ. ა. გოლიცინს. ეს ის ანა გოლიცინაა (1763–1842), რომელიც არაჩვეულებრივი სილამაზით იყო განთქმული პეტერბურგის სალონებში. მის მამულში, სოფელ სიმშო იურევო-პოლსკის ახლოს, გარდაიცვალა და დროებით დაკრძალულ იქნა თავადი პ. ი. ბაგრატიონი.

დარია ალექსანდრეს ასული ცოლად გაყვა თავად პ. ს. ტრუბეცკოის და გარდაიცვალა 1796 წელს, მეუღლეს დაუტოვა ხუთი მცირეწლოვანი შვილი, რომელთაგან უფროსი სერგეი პეტრეს ძე ტრუბეცკოი იყო დეკაბრისტული მოძრაობის ერთერთი გამოჩენილი მოღვაწეთაგანი.

გიორგი ექვსი წლის იყო 1768 წლის პირველ იანვარს, როდესაც პეტერბურგში დაიწყო სამსახური პოდპრაპორშჩიკად სანკტ-პეტერბურგის ფეხოსანთა პოლკში. 1772 წლის პირველ იანვარს გახდა პრაპორშჩიკი, იმავე წლის 28 მაისს გახდა ადიუტანტი წლების დამსახურებით, 1773 წელს 1 იანვარს პოდპორუჩიკია. მაშინ იგი მხოლოდ 11 წლისა იყო, იმ დროს როდესაც გურამიშვილი, რომელმაც ამდენი ომები და ლაშქრობა გამოიარა, პორუჩიკად დარჩა, კაპიტნის წოდებასაც კი ვერ ეღირსა. პორუჩიკი თავადი გრუზინსკი 1776 წლის 25 დეკემბერს გადაყვანილი იქნა ელიზავეტგრადსკის მსუბუქ-ცხენოსანთა პოლკში. 1778 წლის 16 მაისს დაჯილდოებული იქნა კაპიტნის ჩინით და ათი წლის შემდეგ კი, 1788 წელს, თადარიგში გავიდა მაიორის წოდებით.

ასე ადრიანად სამსახურის დაწყება არ იყო უჩვეულო. დიდგვაროვანთა შვილები პირდაპირ ირიცხებოდნენ დედაქალაქის გვარდიის პოლკებში და ღებულობდნენ ოფიცრის ჩინს, შინ კი, განაგრძობდნენ სალდათობანას თამაშს. მის კარიერაზე არ უმოქმედნია არც მამის არყოფნას, რომელიც ეძიებდა ქართლის ტახტს სპარსეთსა და თურქეთში, არც ეკატერინეს საკმაოდ გულგრილ დამოკიდებულებას მათი გვარის მიმართ. გიორგი ალექსანდრეს ძე კიდევ ხუთ წელს განაგრძობდა სამსახურს. გასაკვირი სხვა რამაა. ყოველგვარი ხილული მიზეზის გარეშე მოულოდნელად თადარიგში გასვლა,

ეროვნული

უნდა ვივარაუდოთ მისი თავშეუკავებელი ხასიათის გამო, რომლითაც მამას გავდა. მოხდა რაღაც განსაკუთრებული შემთხვევა, რაიც არ იყო დაკავშირებული არავითარ პოლიტიკურ მოვლენებთან. მაგრამ, ასევე შესაძლებელია, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღო მამის გარდაცვალების გამო, იგი დაახლოებით ამ დროს გარდაიცვალა სმოლენსკში და ამიტომ აუცილებელი შეიქნა მეურნეობის პირადად გაძღოლა.

გიორგი ალექსანდრეს ძე იყო განათლებული ადამიანი: იცოდა ფრანგული, გერმანული, იტალიური და ქართული ენები; ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ფორტიფიკაცია, არტილერია და არქიტექტურა.

სოფლები და დაბები, რომელსაც იგი ფლობდა, მდებარეობდა ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნიის ბალახნის, მაკარიევის, სემიონოვისა და კნიაგინის მაზრებში.

1790 წელს გიორგის ძმა ალექსანდრე კიდევ ცოცხალი იყო და მასთან ერთად ფლობდა ლისკოვოს.

გიორგი ალექსანდრეს ძეს ნიჟნი ნოვგოროდში ჰქონდა ორი სახლი, ერთ მათგანს ორი კვარტალი ეკავა. სახლი იდგა გრუზინსკის შესახვევში შემაღლებულ ადგილას, ქუჩიდან მოშორებით. სახლი ერთსართულიანი იყო, მაგრამ უზარმაზარი. მთავარი ფასადი დამშვენებული გახლდათ ტერასებით, რომლის წინაც ხარობდნენ არყის ხეები. ბაღს, რომელიც დაბურული იყო ცაცხვის ხეებით და მრავალნაირი ხეხილით — გრუზინსკის შესახვევში ერთ ვერსზე მეტი ფართობი ეჭირა.

მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებში, როდესაც ამ სახლში ცხოვრობდა მისი ქალიშვილი გრაფინია ტოლსტაია, ბაღი ნიჟეგოროდის მცხოვრებთა სასეირნო ადგილი იყო. ბაღში იყო საკონდიტრო, „მის დარბაზში უკრავდა მუსიკა და ცეკვავდა განათლებული საზოგადოება". გიორგი ალექსანდრეს ძის დროს ეს სახლი თავადაზნაურთა საკრებულო იყო: თავადი მართავდა მდიდრულ მეჯლისებსა და სადილებს, იყო დიდი მხიარულება და დროს ტარება.

ნიჟეგოროდის მხარეთმცოდნეობის კრებულში მოთხრობილია: „გრუზინსკის შესახვევი ეკუთვნის ლისკოვოს ყოვლისშემძლე მფლობელს, რომელიც ვახტანგ მეექვსის შთამომავალია. მასვე ეკუთვნოდა ეგრეთწოდებული გრუზინსკების ყაზარმებისა და ბუგროვის ბაღის კარმიდამო".

„გრუზინსკის შესახვევი იწყებოდა დიდ პაკროვკაზე ბოლოტნი შესახვევის პირდაპირ და მთავრდებოდა ოშარსკიზე. სახელწოდება ამ შესახვევმა მიიღო გრაფინია ტოლსტაიას სახლისა და ბაღის გამო, რომელიც წინათ ეკუთვნოდა მამამისს თავად გრუზინსკის. ამ შესახვევში მდებარეობდა ილინის სამრევლო სასწავლებელი".

ახლანდელი გრუზინსკის შესახვევი გორკში, არის არქიტექტორ პოკროვსკის მიერ აგებული ხრაჩვეულებრივი სილამაზის სახელმწიფო ბანკის შენობის წინ — ესაა ყოფილი ბოლოტნი შესახვევი.

სვერდლოვისა და გრუზინსკის ქუჩის კუთხეში იყო „ნიჟეგოროდსკი ლისტოკის" რედაქცია, სადაც 1896-1901 წლებში თანამშრომლობდა გორკი.

გრუზინსკის შესახვევის № 23 სახლში მოთავსებული იყო გორკის მოზარდ მაყურებელთა თეატრი, მანამდე კი კომერციული კლუბი, რომელშიც გორკი არაერთხელ გამოსულა და წაუკითხავს თავისი ნაწარმოებები.

გიორგი ალექსანდრეს ძემ ლისკოვოში დასახლების შემდეგ მიიღო მონაწილეობა სათავადაზნაუროთა არჩევნებში და გახდა მაკარევის მაზრის დეპუტატი 1792 წლის 1 იანვარს.

დაახლოებით ამ წლებში შეირთო მან ბარბალე ნიკოლოზის ასული ბახმატიევა, რომლის ძმა ალექსი ნიკოლოზის ძე შემდგომში გახდა ნიჟეგოროდის გენერალ-გუბერნატორი, რომელმაც საკმაოდ ცუდი როლი ითამაშა სიძის ბედ-იღბალში. რთული ურთიერთდამოკიდებულება ჰქონდა აგრეთვე მისი დის მეუღლესთან, გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლთან — თავად პ. ს. ტრუბეცკოისთან.

1795 წელს გიორგი ალექსანდრეს ძე არჩეული იქნა გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად. ეს იყო გავლენიანი და დიდი თანამდებობა, რომელიც იცავდა თავადების ინტერესებს, რაიც იმდროისათვის წარმოადგენდა ყველაზე ძლიერ მმართველ ფენას. წინამძღოლებს ფარული კენჭისყრით ირჩევდნენ სამი წლის ვადით.

გ. ა. გრუზინსკი მომდევნო სამი წლითაც იქნა არჩეული 1798 წელს, მაგრამ იმ წელს ნიჟნიში ჩამოვიდა პავლე პირველი, რასაც მოყვა შემდეგი:

„იმ წლის 1 ივნისს საღამოს 7 საათზე" გუბერნიის მთავრობის დასწრებით ვიცე-გუბერნატორმა თავადმა უხტოვსკიმ გამოაცხადა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანება:

„გავალებთ თქვენ განუცხადოთ აქაურ თავადაზნაურობას ჩემი ნება-სურვილი, რათა თავად გრუზინსკის ადგილზე არჩეული იქნას სხვა გუბერნიის წინამძღოლი. დავშთები თქვენდამი კეთილგანწყობილად. პავლე".

ვიცე-გუბერნატორმა იმავე დღეს სასწრა-

ფოდ შეკრიბა იქ მყოფი თავადაზნაურობა და განუცხადა მათ მონარქის ნება სურვილი.

„თავადაზნაურთა შეკრებისთანავე გუბერნიის გამგეობაში წაკითხულ ექნათ ბრძანება", რის შედეგადაც მათ სასწრაფოდ — იმავე დღეს აირჩიეს სხვა წინამძღოლი, სახელდობრ კიშენსკი ეგორ ვასილის ძე.

რა იყო იმპერატორის რისხვის მიზეზი თავადის ასე სასწრაფოდ გადაყენებისა თანამდებობიდან?

ამის მიზეზი ჩვენ არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში ეს იყო ეპოქის სტილი და ამას არავინ გაუკვირვებია. პავლეს დროს მინისტრები, კამერგერები, სარდლები ერთ დღეში ხელისუფლების სიმაღლეებიდან იგზავნებოდნენ გადასახლებაში ან გამოალპობდნენ ციხეებში. ამისათვის საკმარისი იყო უხეირო პასუხი ანდა იმპერატორის უგუნებობა, რათა ასეთი შავი დღე დადგომოდათ.

1801 წელს თავადი გრუზინსკი იყო ნიჟეგოროდის თავადაზნაურთა დეპუტატი ალექსანდრე პირველის კურთხევის დროს. აქ მან წარუდგინა იმპერატორს საქართველოს სახელმწიფო რელიქვია — საქართველოს განმანათლებლის წმინდა ნინოს თმებით შეკრული ვაზის ჯვარი, რომლითაც იგი ქადაგებდა და სასწაულებს ახდენდა. ეს ჯვარი ყოველთვის ინახებოდა ქართველ მეფეებთან და თუ მათ სახელმწიფოს ფარგლების დატოვება უხდებოდათ — მცხეთის საკათედრო ტაძარში ასვენებდნენ. ეს იყო საქართველოს უნიკალური რელიქვია, შესაძლოა, მისი უძვირფასესი მემკვიდრეობა.

1723 წელს, თურქების შემოსევის დროს, რის შედეგადაც ვახტანგმა დატოვა საქართველო, ჯვარი ანანურში იქნა გადატანილი და ეკლესიაში შენახული, შემდეგ კი ქართველმა მიტროპოლიტმა ტიმოთემ ჩამოუტანა ბაქარს შესანახად. მიუხედავად ერეკლე მეორის მრავალგზის თხოვნისა, ვახტანგის შთამომავლებმა ჯვარი არავის დაუთმეს.

და, აი ახლა, როდესაც საქართველო როგორც ერთ-ერთი პროვინცია შეუერთდა რუსეთს, ვახტანგის შვილთაშვილმა წმინდა ნინოს ჯვარი მიართვა იმპერატორს.

ალექსანდრე პირველი დიდსულოვნად მოიქცა: ჯვარი წარავლინა საქართველოს ეროვნულ სალოცავში.

მომდევნო წელს თავადი გრუზინსკი გახდა ნიჟეგოროდის კეთილსინდისიერი მოსამართლე. 1802 წლის 10 თებერვალს, უმაღლესი რესკრიპტით როგორც უმოწყალოდ დაზარალებულს სრული კამერგერობა ებოძა.

ამ დროს განთავისუფლებული იქნა ვიბორგის ციხიდან თავადი ალექსანდრე ამილახვარი მისი მამის თანამოაზრე, [illegible] 1783 წლიდან იჯდა იქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსაჯულობიდან გიორგი ალექსანდრეს ძე განთავისუფლებული იქნა მისი თხოვნით. 1804 წელს და 1807 წელს ხელახლა იქნა არჩეული გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად, მან შეცვალა თავადი ტრუბეცკოი. თავადი გრუზინსკი 21 წლის განმავლობაში იყო ამ პოსტზე, მას ყოველ სამ წელიწადში ისევ და ისევ ირჩევდნენ.

თავადი პეტრე სერგის ძე ტრუბეცკოი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი და ბრიგადირი, იყო სოფელ ლაპშიხის მფლობელი, 40 კილომეტრით დაშორებით ნიჟნის სამემკვიდრო მამულიდან. ტრუბეცკოები, როგორც სალტიკოვები, შერემეტიევები და ორლოვები იყვნენ შთამომავლობითი აზნაურები ნიჟგოროდის გუბერნიისა და აქ საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდნენ. ტრუბეცკოების გვარიდან ბევრმა დატოვა შესამჩნევი კვალი რუსეთის ისტორიაში.

პეტრე სერგის ძეს გაყვა ცოლად გიორგი ალექსანდრეს ძის და, დარია. „ტრუბეცკოების შთამომავალთა თქმულებაში" ჩაწერილია, რომ პეტრე სერგის ძე ორჯერ იყო დაქორწინებული პირველად „თავადის ასულ დ. ა. გრუზინსკაიასთან, რომელიც მეფის შთამომავალი იყო", მეორედ — ნიჟეგოროდელ აზნაურ მართა პეტრეს ასულ კრომინასთან.

პირველი ქორწინებიდან ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ყავდა. ესენი იყვნენ სერგი პეტრეს ძე, დეკაბრისტი (1790–1860), ალექსანდრე პეტრეს ძე, პოლკოვნიკ-კავალერგარდი, რომელიც დაქორწინებული იყო ლუიზა ვალენტინის ასულ როსციშევსკიზე. (1792-1853), პეტრე პეტრეს ძე დეისტვიტელხი სტატსკი სოვეტნიკი (1793–1840), დაქორწინებული იყო ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ბახმეტიევაზე, გარდაიცვალა 1825 წელს, პავლე პეტრეს ძე (1795–1802). მათი და — ანა პეტრეს ასული დაბადებული 1793 წ. გარდაიცვალა 1827 წელს, როდესაც სერგი პეტრეს ძე გადასახლებაში იყო.

ტრუბეცკოების მეორე და — (მეორე ცოლისაგან) ცოლად გაყვა სერგი პავლეს ძე პოტიომკინს, ვაჟს იმ პ. ს. პოტიომკინისა, რომელმაც ხელი მოაწერა რუსეთის სახელით გეორგიევსკის ტრაქტატს საქართველოსთან.

იმავე პოტიომკინის ცოლი იყო, შემდეგ ალექსანდრე სერგის ძე პუშკინის ქორწილში საპატიო დედად რომ იჯდა.

დეკაბრისტმა სერგი პეტრეს ძემ ბავშვობა და ყრმობა გაატარა ნიჟნიში მამისეულ სახლში. ზრდიდა მას ინგლისელი გუვერნიორი ინეზიუდი, გერმანულს ასწავლიდა ადგილობრივი პასტორი, ფრანგულს — კავალერიის ჯარების კაპიტანი ემიგრანტი სტადლერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპარჩენ საგნებს — მთავარი სახალხო სასწავლებლის მასწავლებლები.

ჩვიდმეტი წლის სერგი პეტრეს ძე გვარდიის პოლკში შევიდა. ამ პერიოდს ეკუთვნის ცნობილი გრაფინია ბლუდოვას მოგონებები, რომელიც ცხოვრობდა ტრუბეცკოების ახლოს ცარსკოე სელოში, სადაც იდგა ტრუბეცკოის პოლკი:

„ხშირად ვხვდებოდით ტრუბეცკოების ოჯახს. ეს იყო ლამაზი და ნიჭიერი ბავშვების ოჯახი. უფროსი ვაჟები უკვე ვაჟკაცები იყვნენ, ჩვენ დავუმეგობრდით სერგის, რამდენადაც შეიძლებოდა დამეგობრება მეჯლისებსა და საღამოებზე, რადგან ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა არ გვქონდა. ის იყო გონებამახვილი, მხიარული და კეთილი ახალგაზრდა, რომლის მსგავსებიც ყოველთვის რჩებიან მიშად ანდა საშად, ანდა კოლიად, ის ჩვენთვის ბოლომდე სერიოჟად დარჩა და იყო განსაკუთრებით უილბლო. ყმაწვილობისას არაჩვეულებრივად ლამაზი იყო, მარჯვე, მხიარული და ბრწყინავდა, როგორც გარეგნობით, ისე ჭკუა-გონებითაც, მას თბილი და კეთილი გული ჰქონდა და ის ჭაბუკური უზრუნველობა რაღაც გიჟმაჟობა, რომელიც სიმამაცით ისაზღვრება და ამიტომ, შესაძლოა, გატყვევებდეს“.

გრაფინია ბლუდოვა მაღალი წრის საზოგადოების ქალი იყო. მუსიკით, მეჯლისებითა და საღამოებით გართულ ქალს არ ესმოდა საშინელ უღელში გაბმული დაჩაგრული ხალხის კვნესა. აი რას წერს იგი შემდგომ: „იგი არასოდეს არ ყოფილა ბოროტი, ხარბი, სამწუხაროა ასეთი ნიჭიერი ადამიანი სულ ამაოდ რომ დაილუპა“.

სულ ამაოდ! ცოდნოდა მაინც გრაფინიას, რომ იმ ეპოქის რუსეთის დიდებას პუშკინი და დეკაბრისტები წარმოადგენდნენ.

სერგეი პეტრეს ძის სიდინჯე ყველაზე მღელვარე მომენტებში, სიმამაცე და ვაჟკაცობა დაამახსოვრდათ მის ოფიცერ ამხანაგებს.

„ლიუცენის ბრძოლების დროს, როდესაც გვარდიას საშინელი სროლა აუტეხეს, თავადი არაფერს ყურადღებას არ აქცევდა, წყნარად თამაშობდა ამხანაგებთან, ერთი ადგილიდან მეორეზე ისროდა მიწის გუნდებს“. „შეტევაზე წინ მიუძღოდა ბატალიონს, თავსზევით დაშნით სხვადასხვაგვარ არტიკულაციებს აკეთებდა“. „ყოველივე ამასთან ერთად იყო მოქმედი და ძალზე გულჩათხრობილი ორგანიზატორი დეკაბრისტების საზოგადოებისა“.

1808 წელს დანიშნულ იქნა სემიონოვის პოლკში, სადაც მსახურობდნენ აგრეთვე ძმები მურავიოვ-აპოსტოლები, იაკუშინი და სხვანი, ამბოხების მომავალი მონაწილეები.

სამამულო ომში ვილნოდან მოსკოვამდე იხევდა უკან, მონაწილეობდა ბოროდინოს ბრძოლებში, შემდგომ იბრძოდა ტარუტინთან, პრუსიასა და საქსონიაში, კულმთან, ლაიპციგთან დაიჭრა.

1819-20 წლებში ცხოვრობდა პარიზში, იმ ხანებში გატაცებული იყო ქიმიით, „რამდენჯერმე“ დაესწრო ცნობილ მეცნიერთა ლექციებს. დასავლეთ ევროპელი ხალხის ცხოვრების შედარების შემდეგ მივიდა დასკვნამდე: „რუსეთის მდგომარეობა ისეთია, რომ უსათუოდ საჭიროა გადატრიალებაო“. მთავარ ბოროტებად ბატონყმობა ესახებოდა. ძალზე აღაშფოთებდა „საყოველთაო საჩივრები გუბერნიებში ჩინოვნიკთა პარპაშის გამო“.

იყო იმ სამთაგანი, რომელთაც შექმნეს პირველდაწყებითი დეკაბრისტული საზოგადოების ხსნის კავშირი (ა. მურავიოვი, ნ. მურავიოვი, ს. ტრუბეცკოი). შემდგომში საზოგადოებაში ჩაებნენ ძმები მათე და სერგეი მურავიოვ-აპოსტოლები და ი. იაკუშინი, პეტრეს მიერ შექმნილი, სახელოვანი სემიონოვის პოლკის ოფიცრები. საზოგადოებაში ეჭირა მნიშვნელოვანი მდგომარეობა. კეთილდღეობის კავშირმა, რომელიც შეიქმნა მხსნელთა კავშირიდან, უარი თქვა ნელი მოქმედების პირველდაწყებითი ტაქტიკიდან და შემობრუნდა სამხედრო რევოლუციურ ტაქტიკისაკენ. „რესპუბლიკელების აზროვნებამ მონარქიულს აჯობა“ (პესტელი).

კეთილდღეობის კავშირი ოთხ სექციად იყოფოდა. ტრუბეცკოი ოთხივეში მონაწილეობდა, ამავე დროს დამოუკიდებლად მუშაობდა რესპუბლიკის მონარქიის შეცვლის საკითხებზე, დედაქალაქის ნიჟნი ნოვგოროდში გადატანაზე.

აჯანყების წინ არჩეულ იქნა დიქტატორად. მანიფესტი რუსი ხალხისადმი მისი ხელითაა დაწერილი. პირველი პუნქტი ასეთია — „ყოფილი მმართველობის განადგურება“. მანვე შეიტყო ზამთრის სასახლეში ახალი მეფისადმი ფიცის მიცემის დღე და საათი.

მიესაჯა სიკვდილი, რომელიც სამუდამო კატორღით შეუცვალეს.

მისი ძმა პეტრეც იყო ეჭვმიტანილი, საზოგადოების წევრიაო.

„ს. პ. ტრუბეცკოი „ჩანაწერებში“ იგონებს:

„ლევაშოვი: თქვენი ძმა, რომელიც კავალერგარდის პოლკში მსახურობს, საიდუმლო საზოგადოების წევრია?

— მე: ტყუილია.

ლევაშოვი: ბ. სემიონოვი ასწავლიდა თავად ტრუბეცკოის უმცროს ძმას და მიიღო იგი საიდუმლო ორგანიზაციაში.

მე: ტყუილია. ჩემი ძმა, რომელზედაც გენერალი ლევაშოვი მოგახსენებთ, არ იყო ფარული საზოგადოების წევრი. არც ერთმა ჩემმა ძმამ არ იცოდა მისი არსებობა. ბ. სე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიონოვი ჩამოვიდა მოსკოვიდან ჩემს დედინაცვალთან ერთად და ნახევარი წლის განმავლობაში ცხოვრობდა მის სახლში, ასწავლიდა ჩემს უმცროს ძმას. ბ. სემიონოვი რომ ყოფილიყო იმ ორგანიზაციის წევრი, მაინც არ შეეძლო ჩემი ძმის მიღება, რადგან იგი თხუთმეტი წლისაც კი არ იყო მაშინ. იმ დროს ბ. სემიონოვი არც კი გახლდათ ორგანიზაციის წევრი, მის შემდეგ ჩემი ძმა აღარ უნახავს".

ძმა, რომლის შესახებაცაა აქ ლაპარაკი, პეტრე პეტრეს ძე, კეთილდღეობის კავშირის წევრი, არტილერიის პოლკოვნიკი, 1823 წლიდან თადარიგში გავიდა, 1824 წლიდან — სამოქალაქო მრჩეველი იყო. ორგანიზაციიდან გავიდა 1821 წელს, ფარულ ორგანიზაციაში მის ყოფნაზე ლაპარაკობდა ი. ბუცევი.

პასუხისგებაში არ მიუციათ, მოგვიანებით საბაჟო ნაწილში მსახურობდა.

სერგეი პეტრეს ძეს ცოლად ჰყავდა გრაფინია ლავალი, საფრანგეთის პეტერბურგელი ელჩის ქალიშვილი.

თანამედროვენი აღნიშნავენ მის გულთბილობას, ადამიანურობას. ის იყო „გულკეთილობის განსახიერება".

დეკაბრისტების ცოლთაგან ეკატერინე ივანეს ასული პირველი წავიდა გადასახლებაში მყოფ ქმართან. 1839 წელს ტრუბეცკოი საცხოვრებლად სოფელ ოეკში, ირკუტსკის გუბერნიაში დასახლდა. ამინისტიის შემდეგ ნება დართეს კიევში ცხოვრებისა.

ნაპოლეონის შემოსევამ როგორღაც აამოქრავა ნიჟეგოროდელების მიძინებული ძალები.

ფრანგების მოახლოებისას მოსკოვიდან ევაკუირებულნი იქნენ ნიჟეგოროდში — ნ. მ. კარამზინი, ვ. ლ. პუშკინი (ორივე ნიჟეგოროდელი მემამულეები), ხ. ნ. ბანტიშ-კამენსკი, ა. ფ. მალინოვსკი, ი. ა. ნელედინსკი-მელეცკი, კ. ფ. ბატიუშკოვი, ს. ნ. გლინკა.

კარამზინი — მას ჰქონდა საკუთარი სახლი ტიხონოვის ქუჩაზე — განაგრძობდა მუშაობას „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაზე". ხალხის გმირული წარსულით შთაგონებული თავისი ბინის ფანჯრიდან უთვალთვალებდა კრესლს და ამბობდა: „რუსები, როგორებიც იყვნენ 1612 წელს, ისეთივენი იქნებიან 1812-შიც".

მალინოვსკიმ პოჟარსკის ბიოგრაფიის წერა დაიწყო ბატიუშკოვი და ვ. ლ. პუშკინი პატრიოტულ ლექსებს თხზავდნენ:

„მიგვიღეთ თქვენს მფარველობაში,
ვოლგისპირეთში დაზრდილნი!"

ვასილი ლვოვის ძის ეს სტრიქონები, რომელიც აქ დაიწერა, საყოველთაოდ ცნობილი გახდა.

გიორგი ალექსანდრეს ძე, როგორც თავადაზნაურთა წინამძღოლი და საერთოდ ცნობილი ადამიანი — ამავე დროს არჩეული იყო ნიჟეგოროდის სახალხო ლაშქრის უფროსად, იმ დროისათვის ყველაზე მთავარი საქმისა — რასაკვირველია, შეუძლებელი იყო არ შეხვედროდა მათ. ამას გარდა, კარამზინს, უთუოდ აინტერესებდა თავადის არქივის მასალები, რომელიც, როგორც ჩვენ ვიცით, მას ჰქონდა და შეუძლებელი იყო რუსეთის ისტორიის შემდგენლის ყურადღება არ მიექცია. მაგრამ ზუსტი მონაცემები მათი შეხვედრისა და გაცნობისა არა გვაქვს.

ცოტათი ადრე ნიჟნიში გადმოსახლებული იყო მ. მ. სპერანსკი, რომელსაც ბრალდებოდა „ნაპოლეონისადმი სიმპატიურად განწყობა", ბარონი მ. კორფი, პუშკინის თანამოაზრე, რომელმაც ბევრად გვიან დაწერა სპერანსკის შესახებ შრომა, ახსენებს თავად გრუზინსკის.

ბარონი მ. კორფი წერდა, რომ „სპერანსკის ნიჟნიში თავად გრუზინსკისთან გულწრფელი საუბარი ჰქონდაო".

ასეთი დამოკიდებულება შეუძლებელი იყო, მათ რომ ადრე არ ჰქონოდათ ნაცნობობა. მ. მ. სპერანსკი იყო უაღრესად წარჩინებული დიდებული და ხელმწიფის ახლობელი. მათი ნაცნობობა მეტყველებს გიორგი ალექსანდრის ძის კავშირებზე დედაქალაქში.

სპერანსკიმ — შესაძლოა თავად გრუზინსკისთან ნიჟნიში გაიცნო კარამზინი. იგი აგრეთვე იყო მაკარიევის ბაზრობაზე და დადიოდა გიორგი ალექსანდრეს ძესთან ლისკოვოში.

1812 წლის 6 ივლისის ალექსანდრე პირველის მანიფესტში ხალხისადმი გამოთქმული იყო მოწოდება მტრისათვის გაეწიათ წინაალმდეგობა.

„კეთილშობილო რუსეთის თავადაზნაურობავ! შენ ყოველ დროს იყავი სამშობლოს გადამრჩენი!"

მანიფესტი ნიჟნიში მიღებული იქნა „17 ივლისს ნაშუადღევის 4 საათზე", იმავე დღეს „თავადაზნაურთა წინამძღოლმა სრულმა კამერგერმა და კავალერმა თავადმა გრუზინსკიმ" გუბერნიის ხელისუფლებისაგან მიიღო მიმართვა მტერთან საბრძოლველი ძალების შეკრების გამო.

გრუზინსკიმ ისარგებლა იმით, რომ თავადაზნაურთა უმეტესობა იყო ბაზრობაზე, რომელიც ყოველთვის 15 ივლისს იხსნებოდა, აქ მოაწყო მაზრის წარმომადგენლებისა და თავადაზნაურთა შეკრება, რომელმაც დაადგინა:

„მოწიწებით ვღებულობთ ხელმწიფე იმპერატორის მოწოდებას... ვალდებულებას ვღებულობთ არა მხოლოდ ქვეშევრდომებისაგან შევადგინოთ ახალი ძალები, არამედ პირადად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავწიროთ თავი ხელმწიფისა და სამშობლოს დასაცავად!„

სახალხო ლაშქრის უფროსად თავადი გრუზინსკი იქნა არჩეული, მისი პირველი შემცვლელის კანდიდატად — გენერალ-მაიორი ვ. ს. შერემეტიევი.

სიმბირსკის, ყაზანის, ვიატკის, პენზისა და კოსტრომის გუბერნიები ნიჟგოროდთან ერთად შეადგენდა სამ ოლქს, რომლის სარდლად დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი, სენატორი და კავალერი გრაფი პ. ა. ტოლსტოი. ოლქის შტაბი იყო ნიჟნიში, სადაც თავს იყრიდა ახალი ნაწილების ფორმირების ყველა საქმე. მასში უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ აგრეთვე კორპუსის მეთაური გენერალი მურავიოვი, ვიცე-გუბერნატორი კრიუკოვი და შტაბის უფროსი ჟურავლიოვი.

სამი ოლქის სარდალი სენატორი და კავალერი გრაფი პ. ა. ტოლსტოი იყო ახლობელი და თანამებრძოლი პ. ი. ბაგრატიონისა. დაიბადა 1761 წელს დაიწყო კაპრალად სამსახური პრეობრაჟენსკის პოლკში. მონაწილეობდა მაცეოვიცთან (სადაც ტყვედ ჩავარდა კოსტიუშკო) ბრძოლებში და პრაღის იერიშის დროს, სუვოროვის რეალიციებში წერია: „გრაფი ტოლსტოი, რომელიც ორ ბატალიონს მეთაურობდა, წინ მიუძღოდა მათ, პირველი ავიდა ბატარიაზე და დაიპყრო, სადაც დაიჭრა". იმპერატრიცა ეკატერინე მეორემ პრაღასა და ვარშავის ბრძოლებში წარმატებისათვის თავად დაჯილდა გიორგი მესამის ორდენი. იმ დროს იგი 24 წლისა იყო.

შემდგომში მეთაურობდა პრეობრაჟენსკის პოლკს, სადაც დაიწყო სამსახური და იყო პეტერბურგის ინსპექტორი. 1801 წელს კორპუსს მეთაურობდა. იბრძოდა აუსტერლიცთან. სპეციალური დესპანი იყო პარიზში, მონაწილეობდა ტილზიტის შეხვედრაში. საფრანგეთთან ლაშქრობაში 1813–14 წლებში იყო მორიგე გენერალი ალექსანდრე პირველისა, მისი „თვალი". მას უნდა მოეხსენებინა ყოველივე გულახდილად.

მაგრამ ჩვენთვის გრაფი ტოლსტოი, კიდევ უფრო საინტერესოა იმის გამო, რომ ცოლად ჰყავდა მეფისწულ გიორგის ვახტანგ VI-ის ვაჟის შვილიშვილი — მარიამი. ამგვარად გრაფი გიორგი ალექსანდრეს ძეს ნათესავად ხვდებოდა, მარიამი მისი ბიძაშვილის შვილი იყო.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ გრაფ პ. ა. ტოლსტოის და მარიამის შვილს მოგვიანებით ცოლად გაჰყვა გიორგი ალექსანდრეს ძის ქალიშვილი ანა. ანა გიორგის ასული და ალექსანდრე პეტრეს ძე მეოთხე თაობის ბიძაშვილები იყვნენ. ასე შეიკრა ბაგრატიონთა ორი ახლო შტო. ძმების ბაქარისა და გიორგის შთამომავლობა. გრაფი და გრაფინია ტოლსტოები კიდევ იმით არიან ცნობილნი, რომ მათ სახლში ცხოვრობდა და გარდაიცვალა ნ. ვ. გოგოლი. ეს ის ცნობილი სახლია სუვოროვის ბულვარზე, მოსკოვში, სადაც გოგოლმა თავისი სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა, სადაც დაწვა „მკვდარი სულების" მეორე ნაწილი და სადაც დგას გოგოლის ძეგლი. გრაფი და გრაფინია ტოლსტოები, ბაქარისა და გიორგის შვილთაშვილები, იყვნენ ის ადამიანები, ვის სახლშიც გოგოლმა დაივანა სიცოცხლის ბოლო წლებში.

მაგრამ ზემოთ აღწერილ დროს, როდესაც სახალხო ლაშქარი იქმნებოდა, ისინი მოზარდები იყვნენ, ნათესავები, ანდა, როგორც მაშინ უწოდებდნენ „კუზენები".

17 აგვისტოს გრაფმა ტოლსტოიმ თავად გრუზინსკის გაუგზავნა ბრძანება შედგომოდა შეკრებას. მაშინვე დაიწყო შემოწირულებათა მიღება. კომიტეტში არჩეულ იქნენ შახოვსკი და ვაჭართაგან ა. კოსტრომინი.

შეწირულებას იღებდნენ, როგორც ცალკე პირები, ისე სახელმწიფო დაწესებულებები.

თავადმა გრუზინსკიმ ბაზრობაზე იყიდა 430 თოფი (აქედან 30 შტუცერისა), ეგრული თოფი — 31, 710 — თოფის ლულა, საკეტები — 800, პისტოლეტი — 504, ხმალი — 400, პატრონტაში — 119, ჩანთა — 48. მანვე სოფელ პაველოვოსა და ტულაში მოაწყო ამ იარაღების გადამუშავება, ლულებს ხიშტები და კონდახები მოარგეს. „ყველა ეს იარაღი თავისი მოწყობილობით ღირს 16643 მან. 50 კაპ."

„მოწყალეო ხელმწიფეო ჩემო, პატივი მაქვს გაუწყოთ ნიჟგოროდელი თავადაზნაურთა შეწირულების თაობაზე" — აუწყებდა თავადს გრაფი პ. ა. ტოლსტოი.

არქივში შემონახულია სხვა ქაღალდები და საბუთები, რომელიც მოწმობს თავადაზნაურთა წინამძღოლის ენერგიულ მოქმედებას სახალხო ლაშქრის შეიარაღების თაობაზე. საბუთები გვამცნობენ ცხენების შეკრებასა და მათ განაწილებას, ფურაჟის და სხვა აუცილებლობის შესახებ, ზუსტადაა ჩამოწერილი ყოველი მაზრის წილი.

8 ოქტომბერს მიიღეს მოსკოვის დატოვების ცნობა.

1814 წლის 28 ოქტომბერს სენატის ბრძანებით სახალხო ლაშქარი დათხოვნილი იქნა და გამოეცხადა დიდი მადლობა ერთგულებისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს სამსახურის დროს.

გიორგი ალექსანდრეს ძე გაემგზავრა ვსესვიატსკოეს ასლადგენად, რომელიც ფრანგთა შემოსევის დროს ძალზე დაზიანდა. მან კიდევ მეტი ფუფუნებით აღადგინა მტრის მიერ დანგრეული და ნახანძრალი, პარკის

ბალში დადგა სახელმოხვეჭილი რუსი მეომრების ქანდაკებები.

ნიჟნისთან და ლისკოვოსთან არის დაკავშირებული ქართველთა მეფის გვარეულობის კიდევ ერთი სახელი, რომელმაც აქ დაამთავრა თავისი დღეები.

უკვე გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელმოწერის შემდეგ, ჭავჭავაძის საელჩოს შემადგენლობაში იმყოფებოდა ერეკლე მეორის ორი შვილი — ბატონიშვილები მირიანი და ანტონი. მირიანი რუსთა სამსახურში შევიდა, ანტონი კი უკვე სასულიერო წოდების პირი იყო, მასთან 1784 წელს ცარსკოესელოს კარის ეკლესიაში დედოფლისა და სასახლის მთელი დიდებულების თანდასწრებით ხელდასხმულ იქნა არქიელად ნინოწმინდელის სახელწოდებით. ეკატერინემ აჩუქა მას მსხვილ-მსხვილი ბრილიანტებით მორთული ძვირფასი პანაღია.

ერეკლემ მას ალავერდელის მიტროპოლიტობა მისცა, ხოლო 1789 წელს, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, იგი გახდა კათალიკოსი. მაშინ 26 წლისა იყო.

1801 წლის 10 მარტს, ე. ი. თავისი სიკვდილის წინადღეს, იმპერატორმა პავლემ მიიღო ცნობა, მთელმა საქართველომ რუსეთთან ქვეშევრდომობის ფიცი დასდოო, კათალიკოს ანტონ მეორეს უბოძა სერაფიმებით მოხატული, ბრილიანტის ჯვრიანი თეთრი ბარტყულა.

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მეფედ კურთხევის დღეს იგი ალექსანდრე ნეველის ორდენით დააჯილდოვა.

ოც წელიწადზე მეტ ხანს მართავდა იგი ქართულ ეკლესიას. 1810 წელს გაიწვიეს რუსეთში, სადაც ალექსანდრემ სინოდის წევრად დანიშნა, მდიდრულად დაასაჩუქრა, შესაფერი მანტია უბოძა და ანდრია პირველწოდებულის ორდენით დააჯილდოვა, თან დაუნიშნა ძალზე მნიშვნელოვანი პენსია 54000 მანეთი ყოველ წლიურად.

პეტერბურგში ცხოვრების სიძვირემ, სადაც უნდა შეენახა მრავალრიცხოვანი ამალა და კლიმატურმა პირობებმა აიძულეს იგი გადასულიყო ამ ქალაქიდან. მან აირჩია ნიჟნინოვგოროდის გუბერნია, ალბათ იმიტომ, აქ ცხოვრობდნენ მისი ნათესავები. გიორგი ალექსანდრეს ძე, რომელიც ბიძაშვილად ერგებოდა, ლევან ბაქარის ძის ქვრივი თავისი ოჯახითა და ნათესავი დედის მხრიდან ნ. ა. დადიანი. ყველანი პოკროვის საყდრის მრევლს ეკუთვნოდნენ.

ანტონს თან ჩამოყვნენ ბერები, აგრეთვე კარისკაცები ოჯახებით — ყველანი ქართველები. მასთან იყო კიდევ მისი ბიძაშვილი თავადი ე. დ. ციციანოვი, მისი საქმეთა მმართველი. თან ახლდნენ ქართველი ფარეშები და მოსამსახურენი.

ანტონი თითქმის ოთხ წელიწადს ცხოვრობდა გიორგი ალექსანდრეს ძესთან ლისკოვოში, ხოლო 1824 წელს გადავიდა ნიჟნიში, პოკროვის საყდრის პირდაპირ მდებარე სახლში.

ამ ეკლესიაში ქართველებს გამოუყვეს ხარლამპის ეკვდერი — კვირაობითა და უქმე დღეებში „მათ ენაზე“ მღვდელმსახურების შესასრულებლად.

ანტონ მეორემ ეკლესიას აჩუქა წმინდა სამების ძველი სასწაულთმოქმედი ხატი, რაიც დღევანდლამდე იქ ინახება.

ანტონი ზოგჯერ ასრულებდა მღვდელმსახურებას საკათედრო ტაძარში — ჯვართამაღლების მონასტერში, რაც ქართულ ენაზე ტარდებოდა იმ დროს, როცა დანარჩენი მღვდლები და მგალობლები რუსულ ენაზე წირავდნენ და გალობდნენ.

ნიჟნი ნოვგოროდში მან წესი აუგო კარეტაში უეცრად გარდაცვლილ მღვდელმთავარს მოსეს. ამ ცერემონიალში მონაწილეობდა ბერძენთა მიტროპოლიტი ალაფანგალი, რომელიც ნეჟინის ნაცვლად „შემთხვევით“ ნიჟნიში აღმოჩნდა.

ალექსანდრე პირველის გარდაცვალების შემდეგ ანტონმა ორჯერ (ჯერ კონსტანტინესა და მეორეჯერ ნიკოლოზისათვის) დააფიცა ნიჟეგოროდელები ტახტის ერთგულებაზე.

მას უყვარდა შინაარსიანი, დარბაისლური საუბარი, ინახავდა მისთვის ძვირფას წიგნთა კოლექციას, რაიც ანტონ პირველისაგან დარჩა.

პარადული გასვლების დროს მოოქროვილი კარეტით მგზავრობდა. ეს კარეტა ალექსანდრე პირველმა აჩუქა, რომელიც წინათ დედოფალ ელისაბედს ეკუთვნოდა.

კარეტა ფრანგული გახლდათ და შიგ ექვსი საუცხოოდ მორთულ-მოკაზმული ცხენი იყო შებმული. კათალიკოსს გზადაგზა უამრავი ხალხი ხვდებოდა.

ძალიან ხელგაშლილად ეხმარებოდა ღარიბლატაკთა და აგრეთვე ნიჟნი ნოვგოროდში მცხოვრებ ქართველებს.

სიკვდილის წინ, რადგან სიმდიდრე არ გააჩნდა, ითხოვა, ჩემს მსახურებს პენსია დაუნიშნეთო. თხოვნა შეუსრულეს.

ნიკოლოზ პირველმა სახელმწიფო ხარჯით დაიკრძალვინა, გაუსწორა ვალები და დიდი თანხა გაიღო მისი ძეგლის ასაგებად.

მისი დაკრძალვისათვის დიდად გაისარჯა გიორგი ალექსანდრეს ძე. ჯერ საკათედრო ტაძარში დაასაფლავეს, მაგრამ 14 წლის შემდეგ „თავად გრუზინსკის საკუთარი ხელით“ გადატანილ იქნა ფერისცვალების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ ტაძარში, სადაც დაკრძალეს დიმიტრის ექვდერის საკურთხეველში — მარჯვენა მხარეს. ეს ტაძარი არსებობდა 1350 წლიდან, მაგრამ მრავალჯერ შეიცვალა მისი კედლები და მთელი ალნაგობა. აქ დაკრძალულია დიდი მთავრები და მინინი, 7 მიტროპოლიტისა და მთავარეპისკოპოსს შორის არის პიტირიმი. მათ გვერდით განისვენებს ანტონ მეორე.

ტაძრის ხატთა შორის არის ყოვლადმოწყალე მაცხოვრის სახე და ივერიის ხატი (1672 წლისა), რომელიც აქ გადმოიტანა დიდმა მთავარმა კონსტანტინე ვასილის ძემ სუზდალიდან. მისი მხატვრობა ეკუთვნის გამოჩენილ ოსტატს სიმონ უშაკოვის ყალამს.

ანტონის ძეგლი გააკეთა ცნობილმა არქიტექტორმა ეფიმოვმა. იგი ალმართულია ტაძრის სამხრეთ კედელთან — თეთრი მარმარილოსაგან გამოკვეთილი საქართველოს კაშკაშა ბრინჯაოს გერბით.

ანტონი გარდაიცვალა 1828 წელს „შორს იმ ადგილიდან, რაიც იყო მისთვის უძვირფასესი და სანუკვარი".

ახლა ლისკოვო ლამაზი, თანამედროვე ქალაქია. მასთან ერთად შენარჩუნებული აქვს თავისი წინანდელი სასურველი ელფერი. ჯერ კიდევ გიორგი ალექსანდრეს ძის მიერ აგებულ სკოლათა შენობებში გაისმის ბავშვების ჟივილ-ხივილი, ალმართულია ტაძრები, რომლებიც ინახავენ წარსულ დღეთა ხსოვნას. არის კიდევ რამდენიმე შენობა, რომელთაც ახსოვთ ეს წარსული, მაგრამ, საერთოდ, აქ ახლა სულ სხვა ცხოვრებაა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული.

მხოლოდ უცვლელად დარჩნენ მძლავრი დედა-ვოლგის წარმტაცი მიდამოები და მის გალმა მაკარის ძველი ბაზარი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიმიტრი ქუხიშვილი

# საქართველო — შთაგონების უშრეტი წყარო

ორი საუკუნე საკმაო დროა იმისათვის, რათა შემოწმებულიყო აუცილებლობა და გონიერება .გეორგიევსკის ტრაქტატის დადებისა...

ის კითხვა, რომელიც ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“ იყო დასმული, დრომ დადებითად დაადასტურა.

გამართლდა მეფე ერეკლეს სიტყვები:

> „ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
> მშვიდობა ნახოს საქართველომა,
> მან საფარის ქვეშ მხოლოდ რუსეთის
> ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის“.

ეს ისტორიული აქტი განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ორივე ხალხის კულტურისა და ლიტერატურის განვითარებისა და გაფურჩქვნისათვის.

საქართველო, თავისი წარმტაცი ბუნებით, თავისუფლებისმოყვარე ხალხით, რუსი პოეტებისა და მწერლების შთაგონების მაცოცხლებელი წყარო გახდა.

დიდი რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი სრულიად მართებულად წერდა: „საოცარია! კავკასიას თითქოს წილად ხვდა ყოფილიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვანი, მათი მუზების შთამაგონებელი და გამომწვრთნელი, მათი პოეტური სამშობლო. პუშკინმა უძღვნა კავკასიას ერთ-ერთი თავისი პირველი პოემა „კავკასიის ტყვე“; მისი ერთ-ერთი უკანასკნელი პოემაც „გალუბი“ აგრეთვე მიძღვნილია კავკასიისადმი; რამდენიმე მისი შესანიშნავი ლირიკული ლექსიც აგრეთვე კავკასიას განეკუთვნება, გრიბოედოვმა კავკასიაში შექმნა თავისი „ვაი ჭკუისაგან“.

და აი, გვევლინება ახალი დიდი ტალანტი (იგულისხმება ლერმონტოვი დ. ქ.) და კავკასია ხდება მისი პოეტური სამშობლო, მის მიერ მგზნებარედ შეყვარებული მხარე. კავკასიონის მიუწვდომელ, მარად თოვლით მოსილ მწვერვალებზე პოულობს იგი თავის პარნასს. კავკასიონის მძვინვარე თერგში, მისი მთების ჩანჩქერებში, მის განმკურნებელ წყაროებში პოულობს იგი თავის კასტილის წყაროს, თავის იპოკრენას“[1]

თვითონ მიხეილ ლერმონტოვი აღფრთოვანებული იყო კავკასიითა და კერძოდ საქართველოთი. აქ იგი თავს დევნილად და გადასახლებულად კი არა გრძნობდა, არამედ ისეთ ადამიანად, რომელმაც მონობას დააღწია თავი...

1837 წელი. რუსეთის მოწინავე საზოგადოება გლოვამ მოიცვა — მოკლეს გენიალური პოეტი პუშკინი, მოკლეს მაშინ, როდესაც იგი თავისი უნიკალური ნიჭის გაფურჩქვნის ზენიტში იყო.

ახალგაზრდა, ოცდასამი წლის, ჯერ კიდევ უცნობი პოეტი მიხეილ ლერმონტოვი წერს ლექსს „პოეტის სიკვდილი“, რომელშიც დიდი გულისტკივილია გამოთქმული პუშკინის უდროო დაღუპვის გამო და სასიკვდილო განაჩენია გამოტანილი იმათ მიმართ, ვინც მოაწყო ეს უსაზიზღრესი ბოროტმოქმედება, მეფე და მის ირგვლივ თავმოყრილი გარეწრები — სამარცხვინო ბოძზეა გაკრული.

ლერმონტოვის ხელნაწერი ხელიდან-ხელში გადადის, ელვის სისწრაფით ვრცელდება ხალხში და შურისძიების კანონიერ ხანძარს აჩაღებს.

---

1 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. 1, 1952, გვ. 351.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პოეტის სიკვდილის" ხელნაწერის შინაარსი მეფის ყურამდე აღწევს... მეფე იღებს სასწრაფო ზომებს. ლერმონტოვის მეგობარს — სვიატოსლავ რაევსკის ასახლებენ ოლონეცკის გუბერნიაში, პუშკინის სიკვდილზე დაწერილი ლერმონტოვის ლექსის გავრცელებისათვის, ხოლო თვითონ ამ ლექსის ავტორს, მეფე ნიკოლოზ I ბრძანებით, 1837 წლის 27 თებერვალს გზავნიან კავკასიაში, ნიჟნი ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში, რომელიც კახეთში ციხე-სიმაგრე ყარაგაჯში იყო დაბანაკებული.

ნიკოლოზ I და მის მრჩევლებს, ეტყობა, ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ კავკასიასა და საქართველოზე, რადგან სასჯელის მოხდის ადგილად მიაჩნდათ.

თუმცა, აკი ერთხელ გაუმართლდათ — კავკასიაში გამწესებული გრიბოედოვი სპარსეთში მოკლეს.

ამჯერად არ გაუმართლა მეფის მთავრობას. მათი აზრით, ლერმონტოვი ველურთა ქვეყანაში გადაასახლეს, სადაც მას აუცილებელი დაღუპვა ელოდა. სინამდვილეში კი ლერმონტოვი მოხვდა უძველესი კულტურის მატარებელი ხალხის გარემოცვაში, სადაც ისევ გაისმოდა 1832 წლის შეთქმულების ექო; ლიტერატურულ სალონებში თავის ლექსებს კითხულობდნენ გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, აქვე იყვნენ დევნილი დეკაბრისტები. ამ დროს ნიჟნი ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში მსახურობდა პოეტი-დეკაბრისტი ალექსანდრე ოდოევსკი. უწინ ამავე პოლკის ოფიცერი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძეც.

ლერმონტოვი 1837 წლის თებერვლიდან 1837 წლის ბოლომდე საქართველოში იმყოფება.

სავარაუდოა, რომ ლერმონტოვი წინანდალში არაერთგზის იქნებოდა სტუმრად ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში, სადაც ცხოვრობდა ნინოსი და ეკატერინე ჭავჭავაძეების აღმზრდელი პროსკოვია ახვერდოვა, რომელიც ლერმონტოვის ბებიის, არსენიევას ბიძაშვილი იყო.

როგორც ირკვევა, მიხეილ ლერმონტოვი თბილისშიც ორჯერ ჩამოსულა, და, რაც მთავარია, ჩვენი სასიქადულო პოეტის — ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლის სტუმარიც ყოფილა. ამის უტყუარი საბუთია ლერმონტოვის მიერ დახატული სურათი, რომელზეც აღბეჭდილია თბილისის ხედი — მეტეხის მიდამოები, ეკლესიით, მტკვრითა და მიმდებარე სახლებით.

ეს ხედი სწორედ ალ. ჭავჭავაძის სახლიდან იშლება, რომელიც ახლანდელ თელავის ქუჩაზე მდებარეობდა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლი თბილისში იყო მოწინავე ქართველი ინტელიგენციის თავშესაყარი ადგილი. ალექსანდრე ჭავჭავაძე აგრძელებდა თავისი მამის — გარსევან ჭავჭავაძის საქმეს. ცნობილია, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვოდა მას საქართველოსა და რუსეთის დაკავშირების პოლიტიკაში. ალექსანდრე ჭავჭავაძემ არა მარტო თავისი ქალიშვილი მიათხოვა რუსეთის საამაყო შვილს ალექსანდრე გრიბოედოვს, არამედ მისი სახლის კარი ღია იყო ყველა მოწინავე რუსი მოღვაწისათვის, განსაკუთრებით კი იმათთვის, ვინც დევნილი და გადმოსახლებული იყო საქართველოში. უდავოდ, ლერმონტოვი ერთი იმათთაგანი იყო, ვინც მის სახლში გულითადად მიიღეს და ქართულ კულტურას, ქართულ ყოფას აზიარეს.

ის ცოტა ხანი, რომელიც მიხეილ ლერმონტოვმა კახეთსა და თბილისში გაატარა, მისი მოგზაურობა საქართველოს სამხედრო გზით, გენიალური პოეტისათვის ძალზე ნაყოფიერი და შთამაგონებელი გამოდგა, ნანახმა, განცდილმა და გაგონილმა წარუშლელი კვალი დააჩნია მის შემოქმედებას.

საქართველოში ლერმონტოვის შემოქმედებითი ინტენსივობა შეიძლება შევადაროთ ბოლდინის შემოდგომას პუშკინის ცხოვრებაში.

დეკაბრისტი კ. ს. რაევსკისადმი მიწერილ ბარათში მ. ი. ლერმონტოვი ასე გადმოგვცემს თავის განცდებსა და შთაბეჭდილებებს საქართველოში ყოფნის გამო: „ბოლოს და ბოლოს, მე ისევ გვარდიაში დამაბრუნეს, მაგრამ მხოლოდ გროდნენის პოლკში, და თუ არა ბებია, მაშინ, სინდისს ვფიცავარ, სიამოვნებით დავრჩებოდი აქ, რადგან არა მგონია, რომ „პოსელენიე" საქართველოზე მხიარული ადგილი იყოს... არასოდეს არ ვყოფილვარ ასე ჯანმრთელად, ეს იმიტომ, რომ სამაგალითო ცხოვრებას ვეწევი: ღვინოს მხოლოდ მაშინ ვსვამ, როდესაც მთებში ღამით გათოშვის შემდეგ ბინაში ვბრუნდები, ვთბები... კარგი ახალგაზრდა აქ ბევრია, განსაკუთრებით თბილისში ძალიან წესიერი ადამიანები არიან...

მე სახელდახელოდ ჩავიხატე ყველა შესანიშნავი ადგილის ხედი, სადაც კი ვყოფილვარ, ასე რომ, საკმაოდ დიდი კოლექცია მომაქვს თან; ერთი სიტყვით, ვმოგზაურობდი, როგორც კი ქედი გადავლახე და საქართველოში მოვხვდი, ეტლი მოვიცილე და ცხენით გავუდექი გზას; ავძვერი თოვლიან მთაზე (ჯვარზე), სულ მთლად მაღლა, რაიც არც ისე ადვილია; იქიდან ნახევარი საქართველო, როგორც ლამბაქზე, ისე მოჩანს. მე ვერ აგიწერ და ვერც აგიხსნი ამ საოცარ გრძნობას: ჩემთვის მთის ჰაერი — ბალზამია; ეშმაკსაც წაუღია მოწყენილობა, გული ფეთქავს, მთელი მკერდით

ვსუნთქავ — ამ დროს სხვა არაფერი მინდა: ასე ვიჯდებოდი მთელი სიცოცხლე და მხოლოდ ჭვრეტით დავტკბებოდი".

ლერმონტოვზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს წარმტაცმა, განუმეორებელმა ბუნებამ. იგი აკეთებს საქართველოს ხედების ჩანახატებს; დიდი კოლექციიდან ჩვენამდე მოაღწია სურათებმა, რომლებიც მეტყველებენ მხატვრის უტყუარ ნიჭზე და სიყვარულზე საქართველოსადმი, მათ შორისაა „დარიალი", „ნანგრევები არაგვის ნაპირზე", „ბანზე მოცეკვავე ქართველი ქალები", „თბილისის მაიდანი მეტეხით" და სხვ.

საქართველოში ლერმონტოვის საოცარი შემოქმედებითი აფეთქების შედეგად, მრავალი ჩანაფიქრი მომწიფდა და მრავალი ნაწარმოებიც დაიწერა.

საქართველომ შთააგონა ლერმონტოვს რუსული პოეზიის ისეთი ბრწყინვალე შედევრები როგორიცაა: „ხანჯალი" („შურისგებისთვის ფიქრიანმა ქართველმა გჭედა"); „როს მომესმება შენი ხმა" (პოეტი მოხიბლულია ქართველი ქალის კდემამოსილი მშვენიერებით); კავკასიური ბალადები — „თერგის საჩუქრები", „თერგის ჩივილი", „თამარი" და „დავა".

ამ უკანასკნელში გადმოცემულია დიალოგი იალბუზსა და ყაზბეგს შორის. ამ დიალოგის აზრი წინასწარმეტყველური და ღრმაა: საქართველოს აღარ უნდა ეშინოდეს აღმოსავლეთის ხალხების: ეგვიპტელების, არაბების, სპარსების, რადგან ურალიდან დუნაიამდე — ამ დიდ მდინარემდე, რაზმნი ელვასავით წამოვიდნენ, მკერდებს მოარხევენ, მათ წინ მიუძლვის თმათეთრი სარდალი;

ლერმონტოვის შემოქმედების მწვერვალები — „მწირი" და „დემონი" სწორედ პოეტის საქართველოში ყოფნის შედეგად იხვეწებიან და იღებენ იმ დასრულებულ სახეს, რომელსაც აღფრთოვანებაში მოჰყავს მკითხველი, აგერ უკვე საუკუნენახევრის განმავლობაში.

თუ რა დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პოეტის შემოქმედების ევოლუციისა და გაფურჩქვნისათვის კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში ყოფნას, მის კონტაქტებს ქართველ ინტელიგენციასთან, ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების გაცნობას, ამაზე ნათლად მეტყველებს „მწირისა" და „დემონის" შემოქმედებითი ისტორია. ამ გენიალური ქმნილებების საბოლოო რედაქციები, დიდი ხნის ძიებისა და მრავალი ვარიანტის შექმნის შემდეგ, მხოლოდ პოეტის საქართველოს გაცნობის შედეგად ჩამოყალიბდა.

„მწირში" ჩაქსოვილი იდეა ლერმონტოვს ყრმობიდან აწუხებდა. ჯერ კიდევ 1829-1830 წლებში, 15 წლის პოეტი თავისი ჩანაფიქრის ხორცშესხმას ცდილობს პოემა „აღსარებაში", ხოლო 1835-1836 წლებში „ბოიარინ ორშაში". ამ ნაწარმოებებში ავტორისეულმა ჩანაფიქრმა ვერ ჰპოვა სრულყოფილი განსახიერება.

1839 წელს იქმნება „მწირის" უკანასკნელი რედაქცია, რომელშიც ლერმონტოვმა უცვლელად შეიტანა ზემოთ დასახელებული ნაწარმოებებიდან ზოგიერთი სტროფი.

მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ლერმონტოვმა იმოგზაურა საქართველოს სამხედრო გზით, შესაძლო გახდა პოემა „მწირში" ეთქვა ის, რის თქმაც ვერ მოხერხდა პოეტის ადრინდელ ნაწარმოებებში.

ლერმონტოვის პირველი ბიოგრაფი პ. ა. ვისკოვატოვი ეყრდნობა რა ა. ი. ხასტატოვისა და ა. პ. შან-გირეის ცნობას, წერს: „როდესაც ლერმონტოვი მოგზაურობდა ძველი საქართველოს სამხედრო გზით (ეს შეიძლება მომხდარიყო 1837 წ.), ეცნობოდა ადგილობრივ თქმულებებს, რომლებმაც გადაასხვაფერეს პოემა „დემონი", იგი მცხეთაში შეხვდა ერთ მონაზონს, მონასტრის ძველ მსახურს, ქართულად „ბერს", ახლომდებარე გაუქმებული მონასტრის დარაჯს. ლერმონტოვი გამოელაპარაკა მას და მისგან გაიგო, რომ იგი წარმოშობით მთიელია, ექსპედიციის დროს გენერალი ერმოლოვის მიერ ბავშვობაში დატყვევებული. გენერალმა იგი თან წამოიყვანა და გზაში ავადგამხდარი ბიჭი მონასტრის მსახურთ დაუტოვა. აქ იგი გაიზარდა. ვერ ეჩვეოდა მონასტერს. მოწყენილი იყო და რამდენჯერმე სცადა მთებში გაქცევა. ერთ-ერთი ასეთი ცდის შედეგად იგი მძიმედ დაავადდა, რამაც ის ლამის სამარის კარამდე მიიყვანა: ბერის საყურადღებო და ცოცხალმა ნაამბობმა ლერმონტოვზე შთაბეჭდილება მოახდინა. ამავე დროს იგი ესადაგებოდა მისთვის ნაცნობ მოტივს, და მან გადაწყვიტა გამოეყენებინა ყველაფერი ის, რაც „აღსარებაში" და „ბოიარინ ორშაში" იყო ხელსაყრელი, ხოლო პოემის მოქმედება ესპანეთიდან და ლიტვის საზღვრიდან საქართველოში გადმოიტანა".[1]

ამრიგად, ლერმონტოვმა თავისი დიდი ხნის ჩანაფიქრი თემატურად საქართველოს დაუკავშირა, რაც შეეხება პოემის დედააზრს, იდეას, ამ მხრივაც, საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებების წყალობით, იგი ნათელი და საოცრად ღრმა შინაარსის შემცველი გახდა.

„მწირის" ქართულ ვარიანტში ლერმონტოვმა დააყენა და ბრწყინვალედ გადაჭრა ზოგადსაკაცობრიო საკითხი — რაში მდგომა-

[1] «Русская старина», 1887, № 10, стр. 124—125.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობს სიცოცხლის არსი და ადამიანის ბედნიერება?

პოემის კომპოზიციის ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ადამიანი ბედნიერებისათვის იბადება, ხოლო ადამიანი ბედნიერია მაშინ, როდესაც თავისუფალია, უყვარს და იბრძვის. ეს ყველაფერი კი შესაძლებელია სამშობლოში, საკუთარ მიწა-წყალზე, მშობლიური ხალხის გვერდით.

ამ იდეის ნათელყოფას ემსახურება პოემის დახვეწილი კომპოზიცია და მთავარი გმირის — მწირის ხასიათი, რომელიც ნაჩვენებია საქართველოს წარმტაცი ბუნების ფონზე.

მწირს ვერ წარმოუდგენია თავისი სიცოცხლე სამშობლოს გარეშე; დაუძლეველი და ჩაუქრობელია მასში „მიწის ყივილი", რომელიც ესოდენ ნიშანდობლივია კავკასიელებისათვის, კერძოდ, ქართველებისათვის.

მწირი მონასტრიდან გარბის. სამი დღე-დალამე, გატარებული მონასტრის კედლებს გარეთ, ბედნიერი იყო მისთვის, ამის გარეშე მისი სიცოცხლე ჩალათაც არ ელირებოდა. ამ დღეებში იგი თავისუფალი იყო, სამშობლოში დაბრუნების იმედი ასულდგმულებდა და ძალას მატებდა; ქართველ ქალიშვილთან შეხვედრამ სიყვარულით გული აუძგერა, ხოლო ჯიქთან შებრძოლებამ გამარჯვების სიხარული მოჰგვარა, ჩაუნერგა რწმენა, რომ სამშობლოში იგი სხვებზე ნაკლები მებრძოლი არ იქნებოდა.

ასეთია ლერმონტოვის შემოქმედების ეს ბრწყინვალე შედევრი, რომლის საბოლოო დახვეწა და მხატვრული სრულყოფა პოეტის საქართველოში ყოფნის შედეგია.

„მწირის" შესავალში ლერმონტოვი აღნიშნავს საქართველოს რუსეთთან შეერთების დიდ და სასიკეთო მნიშვნელობას ორივე ხალხისათვის:

«...Сметает пыль с могильных плит,
Которых надпись говорит
О славе прошлой — и о том,
Как, удручен своим венцом,
Такой-то царь в такой-то год
Вручал России свой народ.

. . . . . . . . . . . . .

И божья благодать сошла
На Грузию! — она цвела
С тех пор в тени своих садов,
Не опасаяся врагов
За гранью дружеских штыков.

ახლა ვნახოთ, თუ რა როლი განეკუთვნება საქართველოს ლერმონტოვის გენიალური ქმნილების „დემონის" საბოლოო, ეგრეთწოდებული, კავკასიური რედაქციის შექმნაში.

პოემა „დემონის" პირვანდელი ჩანაფიქრი 1829 წლით თარიღდება, აქედან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ლერმონტოვს არ შეუწყვეტია პოემაზე მუშაობა. 1838-39 წლებამდე პოეტმა პოემის სამი ძირითადი ვარიანტი შექმნა, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა ვერ დააკმაყოფილა ავტორი. მოქმედება რომელიღაც გაურკვეველ ქვეყანაში იშლებოდა, სიუჟეტი და მოქმედ პირთა სახეები ჯერ კიდევ არ იყო ნათლად გამოხატული. პოეტს ისიც არ ჰქონდა საბოლოოდ გადაწყვეტილი ლექსად დაეწერა „დემონი" თუ პროზად.

მხოლოდ იმის შემდეგ, რაც პოეტმა 1837 წელს გაიცნო კავკასიის ხალხების, კერძოდ, ქართველი ხალხის ცხოვრება, ყოფა და ლეგენდები, შესაძლებელი გახდა პოემის საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბება. 1839 წელს უკვე დაწერილი იყო „დემონის" ეგრეთწოდებული კავკასიური რედაქცია, რომელშიც დიდებულად აისახა საქართველოს შეუდარებელი ბუნება და ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებები.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში პ. ა. ვისკოვატოვი აღნიშნავდა, რომ „პოეტმა, საქართველოს სამხედრო გზით მოგზაურობისას, შეისწავლა ის ადგილობრივი თქმულებები, რომლებიც საფუძვლად დაედო დემონის ახალ რედაქციას".

მართლაც, წინა ვარიანტებისაგან განსხვავებით, საბოლოო რედაქციაში მოქმედება მთლიანად საქართველოს წარმტაცი ბუნების ფონზე იშლება და დემონის სულიერი დრამაც ქართველი თავადის მშვენიერი ქალიშვილის — თამარის გარშემო ტრიალებს. მ. ი. ლერმონტოვმა ხანგრძლივი ძიების შემდეგ, მხოლოდ საქართველოში ჰპოვა ნაწარმოების ძირითადი იდეის ნათელყოფისათვის, დემონის სახის საბოლოო გამოკვეთისათვის საჭირო და აუცილებელი გარემო და მასალა.

მ. ლერმონტოვის უკვდავი პოემა მკითხველს ატყვევებს უპირველესად თავისი იდეური სიღრმით და შეუდარებელი მხატვრული ოსტატობით.

გენიალური ფერმწერის ფუნჯით, წარმტაცი ფერებით ხატავს ლერმონტოვი საქართველოს პანორამას:

„გამოჩნდა თეთრი კავკასიონის
მიმოფანტული ძირს მწვერვალები:
იდგა მყინვარის მთა თოვლიანი,
ალმასის ფერით და ელვარებით
და დარიალის შავი ხაპრალი
იკლაკნებოდა მთების წინარე,
სად შემოეგდო ზურგზე ფაფარი
და ღრიალებდა თერგი მძვინვარედ.
ფრინველებს ცით და ნადირებს გორით
აკრთობდა მისი ძახილი შორი.
მოოქროვილთა ღრუბელთ ჯარები
სამხრეთის მხრიდან აუჩქარებლივ

მას აცილებდნენ ჩრდილოეთს ფრენით,
გადმოხრილიყვნენ მიჯრილნი კლდენი,
გარინდებულნი იდუმალ თვლემად,
უმზერდნენ თერგის ტალღათა ცემას;
გაღმოსდგომოდნენ კლდეებს მრისხანედ
ციხენი ნისლში ლამენათევი,
თითქოს საომარ აბჯარს ისხამდნენ
დარაჯად მდგარი გოლიათები,
ერთობ ველური, ტურფა იერით
ჩანდა ქვეყანა ღვთივმშვენიერი..."

(თარგმანი რ. თვარაძისა).

დემონი, რომელიც ზიზღითა და სიძულვილით უყურებს ღვთის მიერ შექმნილ სამყაროს, დემონი, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა ყველაფერს არსებულს, ისეა მოჯადოებული ქართველი ქალიშვილის — თამარის მშვენიერებით, რომ ლამისაა ღმერთს შეურიგდეს.

დემონის ხასიათში ბევრი რამ ისეთი აისახა, რაც ტიპიურია იმდროინდელი საქართველოს სულიერი ცხოვრებისათვის — თავისუფლებისადმი ლტოლვა, არსებულის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ჟინი, მეამბოხე სული... ამიტომ იყო, რომ მოწინავე იდეებით გამსჭვალულ, თავისუფლებას მონატრებულ ქართველობას იტაცებდა დემონის სახე.

არცერთი რუსი, ანდა უცხოელი მწერლის არცერთი ნაწარმოები იმდენჯერ არ არის თარგმნილი ქართულად, რამდენჯერაც ლერმონტოვის „დემონი".

დემონის პირველი თარგმანი შესრულებულია მამია გურიელის მიერ ჯერ კიდევ 1891 წელს, ხოლო 1896 წელს გამოქვეყნდა ვაჟასეული თარგმანი.

ცნობილია, რომ პოეტები, განსაკუთრებით ისეთი პოეტი, როგორიც ვაჟა-ფშაველაა, სულიერად მახლობელი პოეტის ნაწარმოებებს თარგმნიან. ისიც ცნობილია, რომ ვაჟა იშვიათად თუ ვინმეს თარგმნიდა.

არ შეიძლება დიდი ნათესაობა არ დავინახოთ ვაჟას გენიალურ „გველის მჭამელსა" და ლერმონტოვის „დემონს" შორის. იქაც და აქაც, მინდიაც და დემონიც ყოვლისმცოდნენი, გარე სამყაროს არსს არიან ჩამწვდარნი. დემონი და მინდიაც ებრძვიან იმას, რაც ზიანის მომტანია ადამიანისათვის, და, რაც მთავარია, ორივენი ილუპებიან იმიტომ, რომ თავის რწმენას უღალატებენ.

რევოლუციის შემდეგ „დემონი" ოთხჯერ ითარგმნა: 1928 წელს გამოქვეყნდა კ. ჯაფარიძის, 1939 გ. ძიგვაშვილის, 1941 კ. ჭიჭინაძის, ხოლო 1957 წელს რ. თვარაძის ბრწყინვალე თარგმანი.

საქართველო მიხეილ ლერმონტოვის შთაგონების ჭეშმარიტად მაცოცხლებელი წყარო იყო. აქ, საქართველოში გაშალა ფრთები მისმა პოეტურმა ფანტაზიამ, აქ შეიქმნა მისი გენიალური ქმნილებები „მწირი" და „დემონი", რომელთაც აღფრთოვანებაში მოჰყავს ჩვენი პლანეტის ყველა მკითხველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზბარ ჯაველიძე

# პოეზიისა და პროზის მიჯნაზე

თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში ხასიკეთო ძვრები მოხდა. ორმოცდაათიან წლებში დაიძრა ყინული, რომელსაც მოჰყვა ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა გადახალისება და თვისობრივად ახალ და მრავალფეროვან მიმართულებათა დამკვიდრება. ვინც თვალყურს ადევნებს ქართული ხელოვნების განვითარებას, არ შეიძლება, არ ალიაროს, რომ ის სრულყოფის ახალ საფეხურზე ავიდა. განსაკუთრებით თვალში საცემია ჩვენი კულტურული ცხოვრების კონტაქტი დასავლეთ ევროპის ხელოვნებასთან, მის საუკეთესო მიღწევათა გაცნობა და შეთვისება და გადმონერგვა, რაც, უცილობლად, დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. არცერთი დიდი და ჭეშმარიტი ხელოვნება არ არსებობს კონტაქტების გარეშე. თავის ნაჭუჭში ჩაკეტილი, მსოფლიოს ხალხთა კულტურულ ცხოვრებას მოწყვეტილი ხელოვნება, განვითარებისა და სრულყოფის რაც არ უნდა მაღალ საფეხურს აღწევდეს, განწირულია დასაღუპავად. ამ აზრის ჭეშმარიტება ისტორიულად დადასტურებულია. ჩვენი ღრმა რწმენით, სწორედ ევროპულ კულტურულ სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტმა განაპირობა ის, რომ დღეს ქართული თეატრი, კინო, მუსიკა, ფერწერა და ლიტერატურა დგას ევროპულ თუ მსოფლიო მასშტაბით თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე.

მაგრამ, როცა კაცს არ გააჩნია ნიჭი, აკლია საკუთარი, ეროვნული კულტურის სიყვარული და ზომიერების გრძნობა, არსებობს სხვა საშიშროებაც, რომ უცხო ხელოვნებასთან ზიარებამ შეიძლება წარმოშვას ბრმა მიმბაძველობა და ეპიგონობა, რაც ყველგან და ყოველთვის დასაგმობი იყო და არის. პლატონმა მთელი კოსმოსი და მსოფლიოს ცივილიზაცია თავისი ეთიკურ-ზნეობრივი სისტემებით აითვისა ისე, რომ პლატონად დარჩა.

ასევე იყო დანტეც და რუსთაველიც; დასავლეთის თუ აღმოსავლეთის კულტურას ზიარებულნი, როდი კარგავენ თავისთავადობას. ჭეშმარიტ შემოქმედებას რომ დიდი კულტურა და განათლება უნდა ასაზრდოებდეს, ამაში, ვგონებ, არავის ეპარება ეჭვი. მოგეხსენებათ, უდაბნოში შობილი ველური ადამიანი ვერასოდეს შექმნის ხელოვნების შედევრს. მაგრამ არაფერია იმაზე ცუდი, როცა სხვის დაღეჭილ ლუკმას წავეპოტინებით, ვერ გადავყლაპავთ და მოუნელებლად უკან გადმოვაგდებთ. ასეთი რამისგანაც არავინ და, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა, დამწყები თაობა არაა დაზღვეული, ამიტომაც ამ მხრივ სიფრთხილე გვმართებს.

საერთოდ, ხელოვნების მოდელები და კანონები დიაქრონულ ჭრილში ცვალებადია. ცვალებადია მისი აღქმისა და შეფასების კუთხეც. ამიტომაც ხელოვნების ისტორიაში ერთ მიმართულებას ცვლის მეორე, ძველის ნაცვლად მკვიდრდება ახალი სისტემა და, ბოლოს, ესთეტიკის გარკვეული ტიპის ადგილს იჭერს მეორე. მაგრამ ეს ცვლილება უმტკივნეულოდ არ ხდება, თავს იჩენს მრავალი წინააღმდეგობა, განპირობებული სოციალური თუ ფსიქოლოგიური ფაქტორებით. საერთოდ, აუდიტორიას ეძნელება ჩვეულის დათმობა და ახლის გათავისება. სწორედ იმ დროს, როცა ხდება ესთეტიკური სისტემის პარადიგმების შეცვლა, ყველაზე მკვეთრად წარმოჩინდება ხოლმე ორი ცნების — ტრადიციულისა და ორიგინალურის ურთიერთმიმართება, მათი ერთგვარი დაპირისპირება და ამ ცნებათა ურთიერთშეჯერების ფონზე იცვლება შეფასების კუთხეც. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ხელოვნების შემსწავლელ დარგებში ყვე-

---

იბეჭდება განხილვის წესით.

ლა: ხშირად ეს ცნებები და მოდუსები ფიგურირებ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღეს ბატონობს „და"-რისპირების" ესთეტიკა, რომლის კრიტერიუმებ[illegible]უგულებელყოფს ყოველგვარ შაბლონურს, უკვე არსებულს და დამკვიდრებულს და წინ წამოწევს ახალს, უცხოსა და ორიგინალურს. ასეთია ამ ტიპის ესთეტიკური სისტემის შეფასების კრიტერიუმები. და ფაქტს ვერსად გავექცევით. ის კი არა, შეფასების ასეთმა მეთოდმა ისე მოიკიდა ფეხი ჩვენში, რომ შუა საუკუნეების ხელოვნებასაც, რომლის ესთეტიკური სისტემა რადიკალურად განსხვავდება დღეს ფეხმოკიდებული კანონებისაგან და იგივეობის ესთეტიკას წარმოადგენს, უმეტეს წილად, დაპირისპირების ესთეტიკის კრიტერიუმებით აფასებენ და ცეცხლში წყალს ეძებენ. რადგან თანამედროვე მკითხველს თუ მაყურებელს მოსწონს ორიგინალური და ახალი, ამიტომ მწერალი თუ რეჟისორი ცდილობს ყველგან და ყოველთვის ორიგინალური კუთხით წარმოუდგეს აუდიტორიას. ეს სავსებით ბუნებრივი და მოსაწონია. მაგრამ ისიც აუცილებლად საჭიროა, რომ არ გვიღალატოს ზომიერების გრძნობამ, თორემ ზოგიერთმა შეიძლება შარვალი შემოიგლიჯოს და წარსდგეს საზოგადოების წინაშე, ერთი შეხედვით — რა ორიგინალური ვინმე ვარო.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ასეთმა უკიდურესმა ლტოლვამ ორიგინალურობისკენ გამოიწვია ირონიული და ნიჰილისტური დამოკიდებულება ტრადიციული კულტურისადმი, რასაც მოჰყვა ზოგჯერ ეროვნული ფენომენის აბუჩად აგდება და უგულებელყოფა. ცინიკოსის პოზიციიდან საუბარი არ არის ძნელი. მაგრამ თუ სიცილს ზნეობრივი საფუძველი აკლია, სხვისკენ მიმართული მახვილი ჩვენვე მოგვიბრუნდება. ეროვნულის ხელყოფის უფლება არავის არ აქვს. რაც არ უნდა კოსმოპოლიტი იყო კაცი, თუ ეროვნულს აიგდებ აბუჩად, თავად გამოხვალ მასხარა და იმ ტოტს მოჭრი, რომელზედაც ზიხარ, და, საერთოდ, არ შეიძლება ყველაფერი ანგარიშგაუწევლად ცინიზმის პრიზმაში გავატაროთ, არის თვალსაზრისები, რომელთაც ჩვენ არ ვიზიარებთ, მაგრამ მათ ერის წარსულისათვის ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ თუ ჩვენ სიმპათიებს არ იმსახურებენ, ანგარიშგასაწევი მაინც არიან. მწერალი რომ ისეთი ირონიით ილაპარაკებს ბიბლიასა და სახარებაზე, როგორც ეს ვახტანგ ჯავახაძემ გააკეთა, ის, უპირველეს ყოვლისა, თავის ერის წარსულს იგდებს მასხრად და მერე თავის თავს.

ხოლო ამ ირონიულმა დამოკიდებულებამ ტრადიციისადმი და ორიგინალობისაკენ მიდრეკილებამ, წარმოშვა ის მცდარი აზრი, რომ თითქოს ტრადიციული და ორიგინალური ურთიერთგამომრიცხავი და შეუთავსებელი ცნებებია. მაშინ, როცა სინამდვილეში [illegible] ბა დიალექტიკურად ერწყმის [illegible] და ერთმანეთის გარეშე არ არსებობს. როგორც ნათელის აღქმა შეუძლებელია ბნელის გარეშე, ისევე ახლის წარმოდგენა შეუძლებელია ძველის გარეშე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხელოვნებაში არ არსებობს არც ერთი ახალი მიმდინარეობა, რომ მანამდე არსებულს, ტრადიციულს არ ეყრდნობოდეს, თუნდაც ის სავსებით ორიგინალურ სისტემას წარმოადგენდეს, მისი ეს სიახლე მხოლოდ ძველთან, ტრადიციულთან მიმართებაში აღიქმება. ახალი სისტემა, შეიძლება ებრძოდეს და ანგრევდეს ტრადიციულს, მაგრამ, ჯერ ერთი, ის ამ ბრძოლაში უცილობლად ანგარიშს უწევს ძველს. რადგანაც ხელოვნებაში რაიმეს უარყოფა უდავოდ ატარებს დიალექტიკურ ხასიათს: მე უარვყოფ რითმას იმიტომ, რომ რითმა არსებობს და ანგარიშგასაწევია. როგორც მართებულად არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში: „არც ერთი ნაწარმოები არ არის ორიგინალური, ამ სიტყვის აბსოლუტური გაგებით. ის ამასთანავე არის შედეგი სხვა ნაწარმოებთან და მათ ავტორებთან კამათისა". მეორეც, ახალი სისტემის დამკვიდრების დროს უცილობლად გამოყენებულია ხელოვნებაში არსებული და უკვე მიღებული ზოგადი ესთეტიკური კანონები და პრინციპები, რომელთა უგულებელყოფაც ანტიხელოვნებამდე მიგვიყვანდა. მესამეც, ეს ახალი და ორიგინალური მოჩვენებითი ხასიათისაა, ჩვენ გვგონია, რომ ახალია, მაგრამ სინამდვილეში აღმოჩნდება, რომ ძველის გაცოცხლებაა. ამიტომ ორიგინალურობის მოდუსი წარმოჩინდება მხოლოდ ისტორიულ კონტექსტში. მეოთხეც, პოეტური და, საერთოდ, მხატვრული კონტექსტი დინამიკური ხასიათისაა. ამიტომაც მრავალგზის ნახმარი სიტყვა თუ სახე შეიძლება საოცრად ორიგინალურად აჟღერდეს ამა თუ იმ კონტექსტში. ასე რომ, როცა ვსაუბრობთ რომელიმე ხატის ორიგინალურობაზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა ამოვიდეთ კონკრეტული კონტექსტიდან. დაბოლოს, ყოველგვარი სიახლის ხარისხი, მისი აღქმის სიმძაფრე დამოკიდებულია და აუცილებლად გულისხმობს ტრადიციულს, როგორც დიაქრონულ, ასევე სინქრონულ პლანში. სხვაგვარად მისი განცდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეუძლებელია, რადგანაც ორიგინალურობის მოდუსის ეფექტი ძირითადად აგებულია მოულოდნელობასა და სიახლეზე, რაც თავისთავად უკვე გულისხმობს ძველის, ტრადიციულის არსებობას.

საერთოდ, ხელოვნების ძეგლის აღქმა ექსტრატექსტის სფეროს განეკუთვნება და დამოკიდებულია რეციპენტის ფსიქოლოგიურ დონეზე. ამიტომაც აღქმის შედეგად აღძრული განცდა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება

ეროვნული

იყოს ერთჯეროვანი და მუდმივი. რადგანაც, საყოველთაოდ ცნობილია, რომ მკითხველის სტრუქტურა ისევე სხვადასხვა და მრავალგვარია, როგორც თავად მკითხველი თავისი განუმეორებელი ფსიქიკით და ბიოსოციალური არსებით. ტექსტისა და მკითხველის, ანუ ტექსტისა და ექსტრატექსტის, უფრო სხვანაირად რომ ვთქვათ, შემოქმედებისა და აღქმის ესთეტიკების ურთიერთმიმართება ურთულესი საკითხია. ამაზე ჩვენ სხვაგან გამოვთქვით ჩვენი აზრი და და აქ აღარ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ როგორც მწერალი არ არის ვალდებული ანგარიში გაუწიოს ყოველი დონის მკითხველს, ასევე მკითხველიც არ არის ვალდებული მოიწონოს ყოველგვარი ნაწარმოები. ამიტომ კრიტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის დანიშნულება ის კი არ არის, თითი უქნიოს მკითხველს და გამოაცხადოს ის დიალექტიკურ აზროვნებას მოკლებულ ადამიანად, როცა ეს უკანასკნელი ამა თუ იმ მიმდინარეობას არ მიიღებს და არ მოიწონებს, არამედ, პირიქით, უნდა ახსნას და განმარტოს, თუ რა არის ხელოვნების ძეგლის საიდუმლოება, რაში ჰგიებს მისი ესთეტიკური ფენომენი და შემოქმედების ძალა. გაიზიარებს თუ არა მკითხველი მის თვალსაზრისს — ეს უკვე სხვა საკითხია. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ახალ მიმართულებებს ჩვენში და სხვაგანაც უჩნდება ქომაგები, რომლებიც ცდილობენ ამ ახალი მიმდინარეობის ახსნას და ერთგვარ დაცვას. ახეთი მეცენატობა მოსაწონია, მაგრამ დაცვაც არის და დაცვაც. მკითხველს თუ არ მოეწონა ესა თუ ის ნაწარმოები და მან თავისი აზრი ხმამაღლა გამოთქვა — ეს არ უნდა ავხსნათ, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, „არასრულფასოვნების კომპლექსით“ და მისგან განთავისუფლების შიშით. პირიქით, ჩვენ პირადად გვგონია, ზოგიერთი მკითხველი ყოველგვარ ახალს და მოდერნისტულს განურჩევლად იწონებს და ტაშს უკრავს იმ მიზეზით, რომ გაუნათლებლობა და ჩამორჩენილობა არ დასწამონ. ეს კი მართლაც კომპლექსის გამო მოსდით.

ყოველივე ზემოთქმულის მოხმობა იმიტომ დაგვჭირდა, რომ დღესდღეობით ქართულ ხელოვნებაში შეიმჩნევა დასავლური კულტურით ზედმეტად და, არც თუ იშვიათად, ბრმა გატაცება და საკუთარის, ტრადიციულის მივიწყება და უგულებელყოფა. ვიმეორებ, სასურველია და გვმართებს დასავლეთის — და არა მარტო დასავლეთის — მიღწევების გათვალისწინება ხელოვნებაში, მაგრამ ყველაფერში საჭიროა ზომიერება და უცხოს გათავისება ისე, რომ საკუთარი თავი, საკუთარი ხელწერა არ დავკარგოთ.

იმ მრავალ თვალშისაცემ სიახლეთა და თავისებურებათა შორის, რომელთაც თავი იჩინეს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, აღსანიშნავია ჟანრის გაუცხოება, უფრო კონკრეტულად, პოეზიისა და პროზის გამმიჯნავი საზღვრის მოშლა, რაც, ჩვენი აზრით, დასავლეთის ლიტერატურის ზეგავლენით ხდება.

უკვე კარგა ხანია, თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებაში შეიმჩნევა პოეზიის „გაუბრალოების“ ტენდენცია. უფრო სხვანაირად რომ ვთქვათ, პოეზია ცდილობს მაქსიმალურად მიუახლოვდეს პროზას და თავისი რთული სისტემური მოდელის გამარტივებით მაქსიმალურად ემსგავსება ჩვეულებრივ სამეტყველო ენას. ლექსის სტრუქტურის გაუბრალოების გზით დასავლეთში თანდათანობით გაბატონდა თავისუფალი ლექსი (*vers libre*), რომელმაც ამ ბოლო დროს ფართო გავრცელება ჰპოვა ჩვენშიც.

საერთოდ, არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისები პოეზიისა და პროზის განვითარებისა და ურთიერთმიმართებისა. ზიგმუნდ ჩერნის აზრით, პოეტური მეტყველება უფრო რთული სტრუქტურაა, ვიდრე პროზის ენა. ამიტომაც ის ფიქრობს, რომ ამ ჟანრების ევოლუცია ასე წარიმართა: „უტილიტარული პროზა (სამეცნიერო, ადმინისტრაციული, სამხედრო, იურიდიული, სავაჭრო, სამრეწველო, გაზეთის და სხვა), ჩვეულებრივი პროზა — ლიტერატურული პროზა — ლექსი პროზა — რიტმული პროზა *vers libre* თავისუფალი სტროფები, თავისუფალი ლექსი, კლასიკური ლექსი, რომელიც მკაცრ წესებს ემორჩილება“. უფრო რთულად და სხვაგვარად წარმოადგენს ი. ლოტმანი საქმის ვითარებას. მისი აზრით, ჯერ მოხდა ჩვეულებრივ სამეტყველო ენისგან განმსგავსება, შეიქმნა პოეზიის ენა და მხოლოდ ამის შემდგომ დაიწყო მიმსგავსების პროცესი. ამ არამსგავსი მასალით იქმნებოდა სინამდვილის ილუზია, ადამიანური ენით იქმნებოდა მოდელი — ნიშანი. ასე რომ, თუ სინამდვილესთან მიმართებაში ენა იყო ერთგვარი მეორედ ამსახველი სტრუქტურა, ლიტერატურა გამოდიოდა უკვე როგორც სტრუქტურის სტრუქტურა. აქედან დაიწყო ტენდენცია მეორადი სტრუქტურის გამარტივებისა. საერთოდ, აქ ზედმეტი არ იქნება, აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში და ფოლკლორში პროზას სხვა სტრუქტურა და ტენდენციები აქვს, ვიდრე თანამედროვე ლიტერატურაში. შუა საუკუნეებში პროზა ცდილობს გაემიჯნოს სასაუბრო მეტყველებას, ამიტომ მასში ძალზე ხშირად ვხვდებით ისეთ ელემენტებს (რიტმი, რითმა, გაქვავებული სახეები, სიმბოლოები და სხვ), რომლებიც მას პოეტურ მეტყველებას უახლოვებენ და განასხვავებენ ჩვეულებრივ სამეტყველო ენისგან. სხვა სპეციფიკურობანი ახასიათებს თანამედროვე პროზას, ის საზრდოობს იმ წარმოდგენით, რომ უმაღლესი ხელოვნება არის „არა პოეტური“, ამიტომაც ეყრდნობა „ცხოვრებისეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინამდვილის“ ესთეტიკას, რომელიც სინამდვილეს აცხადებს ერთადერთ წყაროდ პოეზიისა. საერთოდ, ი. ლოტმანი ფიქრობს, რომ პროზის ესთეტიკური აღქმა შესაძლებელი გახდა მხოლოდ პოეტური კულტურის ფონზე. სწორედ ამ მიზეზის გამო მწერალს თამამად შეუძლია მაქსიმალურად მიუახლოვდეს სამეტყველო ენას, რადგანაც პოეტური ტრადიციების მქონე მკითხველი მაინც მიხვდება, რომ საქმე აქვს არა სინამდვილესთან, არამედ მის მეორად, პირობით ასახვასთან. ასე რომ, ი. ლოტმანის მართებული აზრით, მოჩვენებითი უბრალოების მიუხედავად, ესთეტიკურად პროზა „უფრო რთულია პოეზიაზე, მისი უბრალოება მეორადია“. ზოგადად პოეზიისა და პროზის ურთიერთმიმართება სხვადასხვაგვარი იყო სხვადასხვა ეპოქებში, რის გამოც ამ პრობლემაზე მსჯელობის დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს ისტორიული კონტექსტი: განვითარების გარკვეულ ეტაპზე მთლიანად ბატონობდა ლექსი, შემდგომ პროზა დომინირებდა და ცდილობდა მთლიანად განედევნა პოეზია. ხოლო უფრო მოგვიანებით, ისინი არსებობენ, როგორც დამოუკიდებელი მხატვრული სისტემები, რომლებიც უცილობლად გულისხმობენ ურთიერთმიმართებას. ბოლოს კი ხდება პოეზიის ისეთი გაუბრალოება და პროზის ისეთი „გაპოეტურება“, რომ ძნელი ხდება საერთოდ საზღვრის გავლება ლექსსა და მოთხრობას შორის, რაზეც თავის დროზე მართებულად მიუთითა ბ. ტომაშევსკიმ. როცა პოეზიისა და პროზის საზღვრის გავლების სიძნელეზე საუბრობენ, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობენ თავისუფალ ლექსს, რა სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება ვერლიბრი; ლექსის რთული, ორგანიზებული სტრუქტურა, რომელიც მრავალ ელემენტთა იერარქიულ მიმართებებს მოიცავს, შესაძლებლობის ფარგლებში უკიდურესად მარტივდება. უგულებელყოფილია, ყოველგვარი „სამკაულები“, შედარებების, ეპითეტების, მეტაფორების, სიმბოლოების ხმარება მინიმუმამდეა დაყვანილი, ფონემურ დონეზე არ კეთდება აქცენტი, იგნორირებულია გამოკვეთილი რიტმი და, ბოლოს, უკუგდებულია რითმაც, ეს ლექსის უძველესი და განუყოფელი ელემენტი, რომელიც „სისტემატურად ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ დაშვებას პროზამდე“ (პ. ვალერი). ერთი სიტყვით, თავისუფალ ლექსში უგულებელყოფილია თითქმის ყველა ის ელემენტი, რომლებიც ქმნიან პოეტურ ტექსტს, როგორც პროზისაგან განსხვავებულ სტრუქტურას. ხშირად ეს „გამარტივება“ და პროზასთან მიმსგავსება ისეთ უკიდურესობამდე დადის, რომ მკითხველი მხოლოდ გრაფიკული გამოსახვის პრინციპით ხვდება, რომ საქმე გვაქვს ლექსთან და არა პროზასთან.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასეთი „გამარტივების“ მეთოდით დაწერილი ლექსის ეფექტის მოხდენა და ემოციის აღძვრა, უფრო რთულია, ვიდრე ორგანიზებული, რთული პოეტური სტრუქტურით. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ უბრალოების პრიმატის, როგორც მხატვრული ღირებულების, აღიარება ხელოვნებაში მოგვიანებით მოხდა და მაჩვენებელია ადამიანის კულტურის განვითარების მაღალი დონისა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამ გამარტივებული ხელოვნების აღქმა ხერხდება მხოლოდ ტრადიციულად არსებული მდიდარი სიტყვაკაზმული პოეზიის ფონზე. საერთოდ, ხელოვნების ყოველგვარი ნიმუში ტელეოლოგიურად აგებული სისტემაა, რომელიც აღმქმელ სუბიექტს გულისხმობს. ყოველგვარი მხატვრული ტექსტი, თუ კი ჭეშმარიტ ხელოვნებასთან გვაქვს საქმე, მოიცავს ესთეტიკურ ინფორმაციას, რომელმაც გარკვეული ემოცია (დადებითი თუ უარყოფითი) უნდა აღძრას მკითხველში. ამიტომაც, როგორც ცნობილია, მხატვრული ნაწარმოები არ გახლავთ მხოლოდ ტექსტი, რომელშიც მოცემულია კოდირებული სისტემა და მხატვრულობის ეფექრის მიმნიჭებელ ელემენტთა იერარქიული განლაგება პარადიგმატიკულ და სინტაგმატიკურ დონეებზე, არამედ ის პოტენციურად გულისხმობს რეცეპციის სტრუქტურასაც. დღეს, ვგონებ, აღარავის ეპარება ეჭვი, რომ მხატვრული მოდელი რთული და კომპლექსური მიმართებაა ტექსტის და ექსტრატექსტისა. აქედან გამომდინარე კი ყოველგვარი ელემენტი მხატვრულად ორგანიზებული ტექსტისა, უნდა ფასდებოდეს არა თავისთავად, იზოლირებულად, არამედ ექსტრატექსტულ მიმართებებში. ესა თუ ის ელემენტი თუ ხერხი უდავოდ ფუნქციონალურ ხასიათს ატარებს და მისი ვარგისიანობის განსაზღვრა ყოველთვის მიმართებითი ცნების წინ წამოწევით უნდა მოხდეს, სხვაგვარად შეუძლებელია. ასე რომ, როგორც დაუშვებელია ამა თუ იმ ელემენტის ამოგლეჯა ტექსტის მთლიანი სტრუქტურიდან და ისე განხილვა, ასევე შეუძლებელია ამ ელემენტის მიმართების გარეშე წარმოჩენა და მოაზრება. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ვერლიბრის ზემოქმედების ესთეტიკა უფრო რთული და ძნელად აღსაქმელია. მაგრამ ეს სირთულე იმით კი არ არის გამოწვეული, რომ მკითხველი ტრადიციულ პოეზიაზეა აღზრდილი. პირუკუ, თავისუფალი ლექსის ეფექტის ხარისხი ძირითადად მოსალოდნელის მოულოდნელ გაბათილებაშია გაუჩინარებული და სწორედ ამიტომაც მისი აღქმა უცილობლად გულისხმობს პოეტური ტრადიციების არსებობას და, რაც უფრო მეტად არის გამჯდარი ეს ტრადიცია, მით უფრო ძლიერია ზემოქმედების ხარისხი. თავის დროზე პუშკინმაც დაწერა თავისუფალი ლექსი (Вновь я посетил), რომელმაც უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ზემოქმედება იქონია იმდროინდელ მკითხველზე, ვიდრე ამას ტრადიციულად დაწერილი ლექსი ახდენდა. როგორც ცნობილია, პოეტის ამ ლექსს არ გააჩნდა არც რიტმი, არც რითმა, არც ტროპის ტრადიციული სახეები და სწორედ მათი არსებობით ანუ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მიღებული, მინუს ხერხებით ხდებოდა მკითხველის ემოციის აღძვრა. ამიტომაც, ჩვენი აზრით, თავისუფალი ლექსი მით უფრო მეტად აღიქმება, რაც უფრო დიდია კლასიკური ლექსის ტრადიციისადმი ერთგულება. ასე რომ, სავსებით სხვა იყო, ალბათ, ურითმო ლექსის აღქმა პოეზიის განვითარების ადრეულ ეტაპზე, როცა რითმა არ იყო მოსალოდნელი, ვიდრე კლასიკურ პერიოდში, როცა მას წამყვანი ადგილი ეჭირა. ვერლიბრის ესთეტიკური ზემოქმედების სირთულე ის არის, რომ ემოციის მთელი ეფექტი ექსტრატექსტის სფეროში ექცევა. აქ ტექსტში მატერიალურად არგანსხეულებული, მაგრამ პოტენციურად არსებული ელემენტი — სწორედ თავის მატერიალური არარსებობით ანუ მინუს ხერხით, ექსტრატექსტულ მიმართებებში ფუნქციონალური დატვირთვით წარმოჩინდება, მაშინ, როცა ტრადიციული ლექსის სტრუქტურაში, ყველა ხერხი და ელემენტი მეტ-ნაკლები სიცხადით არის მოცემული რთულ იერარქიულ მიმართებაში და გარკვეული კოდებისა და ნიშნების მეშვეობით აღიქმება რეციპენტის მიერ. ასე რომ, ტექსტში განივთებული ელემენტი ნათლად აღიქმება ექსტრატექსტულ დონეზე. მთავარი მაინც ის არის, რომ ტექსტის მკაცრი ორგანიზებული ხასიათი და მწყობრი და რთული იერარქიული სისტემა ყოველ ელემენტს — დაწყებულს ფონემით და დამთავრებულს სიმბოლოთი — ტვირთავს ახალი სემანტიკით და ფუნქციონალური თვისებით ესთეტიკურ ველში. ავიღოთ თუნდაც რითმა, რომელიც, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არის აღნიშნული, აწესრიგებს, კრავს და სისტემურს ხდის ლექსს. რითმა აბრუნებს მკითხველს უკვე, ადრე წაკითხულ კონტექსტთან. მაგრამ მთავარი ის არის, რომ „მსგავსი „დაბრუნება“ აცოცხლებს მეხსიერებაში არა მხოლოდ თანაჟღერადობას, არამედ პირველი სარითმო სიტყვის მნიშვნელობასაც“. ასე იქმნება გარკვეული სიგნალი, რომელსაც, განსხვავებით ჩვეულებრივი სამეტყველო პროცესისაგან, აქვს სივრცული ხასიათი და არა დროში მიმდევრობითი. ამასთან ერთად, სარითმო ერთეულები ლექსის სტრუქტურაში ახალ სემანტიკას იძენენ და გამოხატვის პლანში უფრო მეტ ინფორმაციას გვაწვდიან, ვიდრე ჩვეულებრივ სამეტყველო ენაში. გამოდის, რომ რითმა არა მხოლოდ ჟღერადობის, მუსიკის გაძლიერებას უწყობს ხელს, არამედ უფრო ტევადად ხდის ლექსის ინფორმაციას. ამიტომაცაა, რომ რითმის სიმდიდრეს არა მხოლოდ ბგერათა თანაჟღერადობა განაპირობებს, არამედ მისი სემანტიკური მხარეც. საერთოდ, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული, „რითმა დიალექტიკური ხასიათისაა თავის ბუნებით“ და მისი დანიშნულება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ის „აახლოვებს განსხვავებულს და მსგავსში წარმოაჩენს განსხვავებულს“. თუმცა რითმის ძირითადი ფუნქცია, როგორც აღნიშნავენ, სტრიქონების დაბოლოებათა ბგერითი მოწესრიგებაა და არა რაიმე იდეის გადმოცემა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ლექსის რთულ სტრუქტურულ ორგანიზმში რითმა უაღრესად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს და, სხვა ელემენტებთან ერთად, უმთავრესად ემსახურება პოეტური ტექსტის ზემოქმედების გაძლიერების ეფექტს და სემანტიკური, აზრობრივი მხარის გაღრმავებას, ამის უარყოფა დღეს ყოვლად შეუძლებელია. უფრო მეტიც, ხშირად გემოვნებით შერჩეული და ორიგინალურ რითმათა მიმართება, მთელი ლექსის ემოციური დატვირთვის ეპიცენტრად და მისი გასაიდუმლოებული სემანტიკის ამოხსნის ძირითად გასაღებად გვევლინება. საილუსტრაციოდ მრავალი ლექსის მოხმობა შეიძლება, მაგრამ ამჯერად თავს ვიკავებთ. ამიტომაც ურითმო ლექსი რეცეპციის დროს თავისთავად უკვე მოკლებულია ზემოქმედების მძლავრ იარაღს, რომლის კომპენსაცია უნდა მოხდეს სხვა ელემენტების საშუალებით. ზემოთქმული მხოლოდ რითმას როდი ეხება?! ჩვენი ღრმა რწმენით, ნიჭიერად დაწერილი ტრადიციული ლექსის სტრუქტურაში არ მოიპოვება ელემენტი, რომელიც ექსტრატექსტულ მიმართებებში სრული დატვირთვით არ ფუნქციონირებდეს. თუ კი ასეთი რამ არსებობს, ეს ნაწარმოების დიდ ნაკლად უნდა მივიჩნიოთ. საერთოდ, ტრადიციული ლექსის რამდენიმე კოდური სიგნალი ერთდროულად მიმართულია მკითხველისადმი და აღძრავს მის ემოციებს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თავისუფალი ლექსის ავტორი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ლექსის მარკირებული ელემენტები; ის უგულებელყოფს რითმას, რიტმს, ტროპის სახეებს და ა. შ. მაგრამ პოეზია რომ პოეზიად დარჩეს და ჭეშმარიტი ხელოვნების საზღვრებს მიღმა არ აღმოჩნდეს, ამისათვის საჭიროა პოეტმა ამ იგნორირებული ელემენტების ნაცვლად, რომლებიც, როგორც ვთქვით, თავისი მარკირებული ხასიათით დიდ სემანტიკურ და ემოციურ ფუნქციას ასრულებენ, რაღაც გარკვეული ხერხები, თუ გნებავთ, მინუს ხერხები და სხვა პოტენციურად პოეტური ღირებულების მქონე სიდიდეები შემოგვთავაზოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელოვნებასთან კი არ გვექნება საქმე, არამედ მის იმიტაციასთან. აქვე უნდა დავძინოთ, რომ, ჩვენი ღრმა რწმენით, ყოველგვარი ხელოვნების მიზანია ესთეტიკური ინფორმაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაწოდოს რეციპიენტს. მაგრამ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორ და რა საშუალებებით ახერხებს ამას. ხელოვნებაში მთავარია წარმოსახულის და ქმნილების მხატვრულობის ხარისხი, მაღალი დონე და არა წარმოსახვის მიზეზი და მეთოდები. ამიტომაც არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ვერლიბრს წერს პოეტი, თუ ტრადიციულ ლექსს, მთავარია, როგორ წერს, რა ნიჭიერებით! მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ჭეშმარიტი თავისუფალი ლექსი, სწორედ თავის უბრალოებისა და სიმარტივის გამო, უფრო ძნელი დასაწერია და ძნელადაც ალსაქმელი, ვიდრე ტრადიციული. მოხდა კი პირიქით! მრავალმა უნიჭომ და ხელმოცარულმა შემოქმედმა, რომლებიც მუსიკალურ სმენას და პოეტურ ხილვებს მოკლებულნი არიან, ვერლიბრს შეაფარა თავი, რამდენიმე სიტყვა „პოეტური ალოგიკურობით“ ასოციაციურად ურთიერთს დაუკავშირა, შემდგომ მრავალი წერტილი დასვა და ცხოვრების გადაუწყვეტელ პრობლემებზე ღრმად დაფიქრებული შემოქმედის პოზით მოგვევლინა. ზოგმა შეიძლება არ დაგვიჯეროს და გვითხრას, რომ უნიჭო და ნიჭიერი პოეტები ყოველთვის იყვნენ და იქნებიანო და აქ ვერლიბრი არაფერ შუაშიაო. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ტრადიციულ ლექსში სიყალბე და უნიჭობა მაშინვე იჩენს თავს, ხოლო თავისუფალ ლექსში უნიჭობის შენიღბვის უფრო მეტი საშუალება არსებობს და ამიტომაც ძნელად გასარჩევია, სადაა ჭეშმარიტი პოეზია და სად არა.

ამჯერად, ჩვენ არ ვაპირებთ მოჩვენებით პოეტებზე საუბარს, რადგანაც ამ წერილის მიზანი სხვა არის. უნიჭობას თუ ლიტერატურათმცოდნეობა არ გამოუტანს განაჩენს, დროის მსაჯული მიუზღავს საკადრისს. ჯერ არ ახსოვს არავის, ხელოვნების ისტორიას შემთხვევითი კაცის სახელი შემოენახოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ნიჭიერ შემოქმედსაც ზოგჯერ ღალატობს ზომიერების გრძნობა და ისეთ თავისუფალ ლექსებს წერს, რომ მათზე კი ღირს ყურადღების შეჩერება.

ჩვენი აზრით, თუ ვერლიბრი დამკვიდრდა ქართულ სინამდვილეში და არსებობის უფლება მოიპოვა, ეს ნიჭიერი პოეტის ბესიკ ხარანაულის დამსახურებაცაა. ვისაც მისი ლექსები და განსაკუთრებით კი პოემა „ხეიბარი თოჯინა“ გულდასმით წაუკითხავს, არ შეიძლება ჩვენი აზრი არ გაიზიაროს. ბესიკ ხარანაულის თავისუფალი ლექსი მკითხველის ყურადღებას იქცევს, უპირველეს ყოვლისა, მკვეთრად ცვალებადი და მრავალფეროვანი რიტმული ორგანიზაციით, სამყაროს მოვლენათა სავსებით ორიგინალური აღქმით, ჯერაც არ ნახული, „გონით მიუაზრებელი“ პოეტური ხილვებით და, რაც მთავარია, აზრობრივი სიღრმითა და პრობლემის მოაზრების საკუთარი ხელწერით. მაგრამ ზოგიერთი მისი ლექსიც, ჩვენი ფიქრით, პოეტის მაღალი ნიჭიერების და პოტენციური შესაძლებლობის საკადრისი არ არის. საერთოდ, არ არსებობს შემოქმედი, რომელსაც არ გააჩნდეს მეტ-ნაკლებად სუსტი და ძლიერი ლექსი. ნიჭიერ ხელოვანს, როგორც წესი, სწორხაზოვანი განვითარება არ ახასიათებს. ამიტომაც, როცა ამდენი ნიჭიერად დაწერილი ლექსი აქვს პოეტს, იქნებ არც ღირდეს მის, ასე ვთქვათ, „სუსტ“ ლექსებზე შეჩერება. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე: ჯერ ერთი, ეს ლექსები არსებული ლიტერატურული მოდის გამო მოწონებას იმსახურებს პროფესიონალურ თუ არა პროფესიონალურ წრეებში და, მეორეც, რაც მთავარია, ამჯერად საქმე გვაქვს არა შემთხვევით ჩავარდნასთან, არამედ პოეტის შეგნებულ შემოქმედებით პოზიციასთან და, თუ შეიძლება ასე ითქვას, წინასწარ განზრახულ პოზასთან.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თავისუფალი ლექსი მაქსიმალურად დაცლილია პოეტური სამკაულებისაგან და ცდილობს — „გამარტივების“ მეთოდით შეძლებისდაგვარად მიუახლოვდეს პროზას. ამასვე აკეთებს ბესიკ ხარანაულიც. ის შეგნებულად იღებს ყოველდღიურ ყოფით დეტალს და არატრადიციული პოეტური ფერწერის საშუალებით ცდილობს მის მხატვრული პირობითობის დონეზე განზოგადებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ამას ვერ ახერხებს. ასე, მაგალითად, თუ კაცმა რამე შეიძლება არაპოეტურად მიიჩნიოს, მათ შორის უპირველესად იქნება „ბავშვის ყურის ტკივილი“, „კარტოფილის ამოღება“ და სხვ. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ცხოვრება და, საერთოდ, სამყარო არ იყოფა პოეტურ და არაპოეტურ მოვლენებად. მაგრამ, ბესიკ ხარანაულს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ქართველი კაცის ფსიქიკისათვის კარტოფილის ამოღება არავითარ ესთეტიკურ და პოეტურ განცდას არ წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, ვენახი და კარტოფილი ესთეტიკური ფენომენის მოაზრების თვალსაზრისით ქართველი მკითხველისათვის ტოლფარდი ცნებები არ არის. ამიტომაც არის, რომ, რამდენადაც ვიცი, ქართულ პოეზიაში დღემდე კარტოფილი და მისი ამოღება არ ყოფილა არამც თუ პოეტის მსჯელობის ცალკე თემად, არამედ ზოგადად მხატვრული აზროვნების ფაქტურად გამოყენებული. ბესიკ ხარანაულმა ეს კარგად იცის, ამიტომაც თავის ნაწარმოების სათაურად გვთავაზობს „კარტოფილის ამოღებას“ და ამით შეგნებულად ხაზს უსვამს ლექსის თემის ყოფითობას და პროზაულობას. ხოლო ამ ხაზგასმით პოეტი, ჯერ ერთი, უპირისპირდება, საერთოდ, ტრადიციულად არსებულ აზრს და დამოკიდებულებას პოეტურობის გაგების შესახებ და, მეორეც, მას სურს მოულოდნელობის, სიახლის და ორიგინალურობის ელემენტით მოახდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოს ეფექტი მკითხველზე. მართლაც, ლექსის სათაური იმთავითვე იქცევს ტრადიციული პოეზიით განებივრებული მკითხველის ყურადღებას, მას უჩვეულოდ აღიქვამს ქართველი მკითხველი (ქართველი მკითხველი-მეთქი აღვნიშნავ, თორემ სხვა ხალხისათვის, მაგ., რუსებისათვის, ეს ჩვეულებრივი რამ იქნებოდა). და ინტერესით იწყებს ნაწარმოების კითხვას უჩვეულოს მოლოდინში.

ეს მოლოდინიც მართლდება ოღონდაც იმ მხრივ, რომ პოეტი უარყოფის მეთოდით, უფრო სწორად, მინუს ხერხებით ცდილობს მკითხველზე ესთეტიკური ზემოქმედება მოახდინოს. ამ ლექსის სტრუქტურაში თითქმის სავსებით იგნორირებულია რიტმი, ტროპის სახეები და კლასიკური ლექსის სხვა ელემენტები. პოეტი ასე იწყებს თავის ლექსს:

-- ხვალე კარტოფილი უნდა ამოვიღოთ!—
მითხარი შენ
და საწოლისკენ სკამი მიიწიე,
რომელზეც შემდეგ,
შუქს რომ ჩააქრობდი,
ტანსაცმელი უნდა დაგეწყო.
მე კედლისკენ გადავბრუნდი.
ამით ისიც გაგრძნობინე,
რომ გავიგე შენი ნათქვამი
და ისიც გითხარ, რომ ხვალინდელ დღეს
სულ სხვა რამეებს ვაპირებდი:
— მე თხუთმეტი წლისა ვიყავი,
ხვალ კვირა იყო
და მე მქონდა ჩემი გეგმები,
მაგრამ შენ თქვი, რომ
ხვალ კარტოფილი უნდა ამოვიღოთ...

ტრადიციული პოეტიკის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ ამ ლექსს, აღმოვაჩენთ, რომ ამ საკმაოდ მოზრდილ ციტატაში არ არის არცერთი ტროპული ელემენტი, არ გვხვდება უბრალო შედარებაც კი. ოდნავ გამოკვეთილი რიტმი (6. 6. 4 4 5 5 6 5 4 4 4 4. 4 5 5 5 და ა. შ.) ფონემათა იშვიათი ურთიერთმსგავსება, რეფრენული ბწკარი — ხვალვე კარტოფილი უნდა ამოვიღოთ — და გრაფიკული გამოხაზულება არის ის ნიშნები, რომლებმაც უნდა გვაგრძნობინონ; რომ პროზასთან არ უნდა გვქონდეს საქმე. ბესიკ ხარანაულის ეს საკმაოდ მოზრდილი, ლამის პოემის ხელა, ნაწარმოები თავიდან ბოლომდე ამ მანერით არის დაწერილი. პოეტი მოგვითხრობს კარტოფილის მოპოვების ისტორიას, როგორ იღებდნენ მას მეორე სამამულო ომის დროს, როგორ ცვლიდნენ სხვა პროდუქტებში; როგორ იღებენ ახლა: „როცა დედაჩემი მიწას აცლის კარტოფილს, ანდა სადმე დამალულს ეძებს, თავის გრძნეულ თითებით, მე, ბარის ტარს დაყრდნობილი, ვუყურებ რამეს. ხოლო, როცა ახალი ორმოს თხრას შევუდგები, ის მეტყვის რამეს"... მერე გადმოგვცემს თავის განსჯას ამ პროცესთან დაკავშირებით:

ამოვთხაროთ ჩვენი წარსული,
ამოვყაროთ ოქროები,
პირი ვუჩინოთ,
ოთხ-ხუთ საათს მოვიწყინოთ, გული
დავიტკბოთ
და მერე ისევ გაისამდე მიწაში ჩავფლათ.

პოეტს არ ავიწყდება გადმოგვცეს თავისი ამბოხი დედის წინააღმდეგ, რომელიც ყოველ გაზაფხულზე უთვლის — კარტოფილი „უნდა დავთესოთ", ხოლო შემოდგომაზე მოუწოდებს — „უნდა ამოვიღოთ". მაგრამ ბოლოს პოეტის ამბოხი იმით მთავრდება, რომ აიკრავს გუდანაბადს და მიდის თიანეთისკენ. შარშან კი კარტოფილის ამოსაღებად თავისი თხუთმეტი წლის ვაჟიც წაიყვანა, რომელმაც კარტოფილის ამოღებას ტოლ-ბიჭებთან თამაში ამჯობინა. ბოლოს „კარტოფილის ამოღება" „სენტიმენტური ვახშამით" მთავრდება. ერთი-ორი ჭიქა არაყგადაკრული პოეტი უმტკიცებს დედას, „რომ ყველაფერი კარგად მიმდის, რომ გაზაფხულზე ჩამოვალ და კარტოფილს დავთესთ", მაგრამ დედას იოლი ლაპარაკი არ შეუძლია: „არც მიწაზე, არც ცხოვრებაზე, არც ზამთარზე და არც გაზაფხულზე, ყველაფერი ძალზე რთულია და ძალზე ძნელი".

ჩვენ კარგად გვესმის, რომ, საერთოდ, ლექსის შინაარსის ამდაგვარი გადმოცემა დიდი ცოდვაა და მკრეხელობა, რადგანაც ასეთ შემთხვევაში მთლიანად იკარგება ის აზრობრივი სიღრმე და ნიუანსები, რომლებსაც, როგორც წესი, ლექსის სტრუქტურის სხვადასხვა დონის მარკირებული ელემენტი ქმნის. მაგრამ, ჩვენი აზრით, კონკრეტულ შემთხვევაში სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე: ეს ნაწარმოები პროზად გადმოცემით ბევრს არაფერს კარგავს, რადგანაც პოეტის მიზანი სწორედ ის არის, რომ მაქსიმალურად მიუახლოვდეს პროზის ინტონაციას. ამასთანავე ერთად, ამ ლექსის პროზად გადმოცემის დროს არ იკარგება ის სპეციფიკური ელემენტები, რომლებიც მხოლოდ ლექსის რთულ სტრუქტურაში ფუნქციონირებენ და დიდად ზრდიან ზემოქმედების ეფექტს. ამ ვრცელ ლექსში სულ რამდენიმე შედარებაა ნახმარი, ისიც ისეთი, რომლებიც შეიძლება ყოველგვარ პროზაულ ტექსტში შეგხვდეს. ნიჭიერად მიგნებული რამდენიმე პოეტური ხედვა (ასე, მაგ.: „და ძილის წინ კოცნის მსგავსად და თმაზე ხელის გადასმასავით ხმადაბლა მითხარ". კიდევ: „ულელი ხარი თუ გამოიყვანს მას დილის ძილიდან და ისიც მაშინ, თუ კი იმ ხარებს ჩემნაირი ოხერი მეხრე ეყოლება"), ანდა ბუნებაში გარდასახვისა თუ გარინდების შედეგად სამყაროს საინტერესო კუთხით წარმოსახვა (მაგ. „და მე ვფიქრობდი ქარზე, რომელმაც ფოთო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივით წამიღო. ამ წუთში მთელმა სამყარომ ჩვენი ეზოს ჭიშკარი შემოაღო, ჩვენ ღობეებში შემოიმწყვდა და აქაური სამოსი მოარგო და დიდხანს, დიდხანს დიდხანს ვთამაშობდი მასთან, ვმსჯელობდი, ვკითხულობდი, ვიდრე ჭიშკრის იქიდან ჩემი ბიჭის მხნე და მხიარული ძახილი არ გაისმა") საბოლოოდ ვერ ქმნის იმ ეფექტს და ნაწარმოებს ვერ ამაღლებს იმ დონემდე, ბუნებრივი ნიჭიერებით შეთხზულ ლექსს რომ ახასიათებს და ამშვენებს. მთელი ეს ვრცელი ნაწარმოები იკითხება დუნედ და პროზისა და პოეზიის ზღვარზე ლასლასებს.

რა თქმა უნდა, ჩვენ პოეტს იმას კი არ ვსაყვედურობთ, რატომ ტრადიციული ლექსისათვის სპეციფიკური ელემენტები (შედარება, ეპითეტი, მეტაფორა და სხვა) არ გამოიყენა. ეს დაახლოებით ის იქნებოდა, რომ მხატვარს, რომელმაც ცხენი დახატა, უსაყვედურო, ვირს არ ჰგავსო. არა, ჩვენ იმას აღვნიშნავთ, რომ ეს ლექსი, თუ შეიძლება მას საერთოდ ლექსი ვუწოდოთ, ჭეშმარიტი პოეზიის სიმაღლეზე ვერ დგას. პოემაში თუ სხვა ლექსებში ბესიკ ხარანაული საოცარი პოეტური ხილვებით და აზრობრივი სიღრმით აღწევს მხატვრულობის ზღვარს და სასურველ მიზანს და მდიდარ ემოციურ ინფორმაციას აწვდის მკითხველს; ამჯერად ასე არ ხდება. ამ ნაწარმოებში არც რიტმული კონსტრუქცია იპყრობს მკითხველის ყურადღებას, არც პოეტური ხილვები და არც, რაც მთავარია, აზროვნებისა და განსჯის სიღრმე. საერთოდ, ვერლიბრისა და ტრადიციული ლექსის ერთი არსებითი განმასხვავებელი ნიშანი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ ტრადიციული ლექსის სემანტიკა გაძლიერებული და გაღრმავებულია სხვადასხვა დონეზე მოქმედი მარკირებული ელემენტებით, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ლექსის აზრობრივი პლანი აღიქვას მკითხველმა. აბა, სცადეთ და ფონემური, რიტმული, რითმული, ტროპული და სხვა დონეების გაუთვალისწინებლად გადმოეცით ამ სტროფის სემანტიკა:

მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო
მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის
ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა
ცხენები.

ხოლო, რაც შეეხება ვერლიბრს, აქ ძირითადად ამა თუ იმ პრობლემის ორიგინალურმა წარმოჩენამ და მისი მოსაზრების მაღალმა დონემ, რაღა თქმა უნდა, მინუს ხერხებთან ერთად, უნდა შექმნას ემოციური ველი. გავიხსენოთ თუნდაც თავად ბესიკ ხარანაულის პოემის ერთი ნაწყვეტი:

აი, ასეთმა ცამეტმა წლის თეთ[illegible]
როგორც ძაღლთან მივლენ ფრთხილად,
როგორც ნიშში მორიდებით შეიხედავენ,
ვით საოცრებას შემახო ხელი.
მას შემდეგ დიდი დრო გავიდა,
იმ შენახებმა არა და არ შეიკრა პირი
და იქცა ხვრელად,
საიდანაც, როგორც ბუნაგში,
მცურავები შედიან სულში
და ქარებს შეაქვთ მთელი ქვეყნის
ალიაქოთი.

თუ კაცს ოდნავ გააჩნია გემოვნება და პოეზიის აღქმის უნარი, ის ამ ადგილს გულგრილად ვერ წაიკითხავს. მან არ შეიძლება არ აღიაროს, რომ ჭეშმარიტ პოეზიასთან გვაქვს საქმე. ნამდვილ ხელოვნებასთან შეხვედრის დროს რეციპენტი როდი იწყებს გამოძიებას, რა წესებითა და მეთოდებით შექმნილ ნაწარმოებებს აღიქვამს. ის უშუალოდ ეძლევა მის ჭვრეტას და განცდას. ასევეა, როცა სრულყოფილი ნიჭიერებით დაწერილ ლექსს ვკითხულობთ, როდი ვიწყებთ გამოძიებას, თუ რა პოზიციებიდანაა იგი დაწერილი. მთავარია, რომ მაღალ მხატვრულ გემოვნებასა და დონეს ესადაგებოდეს. მაგრამ, ჩვენი აზრით, ზემოთ განხილულ ლექსში შეგნებულმა და გამიზნულმა „უბრალოებამ" პოეტი პრიმიტივიზმამდე მიიყვანა. მან ვერ შესძლო ძველი საკითხის — დედა-შვილის ურთიერთობის — განზოგადება და ვერც რაიმე ახალი საკითხის წამოჭრა, რომელიც მკითხველის ცნობიერებაში სააზროვნო მარცვალს აღმოაცენებდა. ოჯახის ინტიმური ურთიერთობა შეგნებულად „პროზაული" ფერებით გამოძერწა და პრიმიტივისტის პოზით წარმოდგა. პირადად ჩემზე, მიუხედავად იმისა, რომ დედა-შვილის ურთიერთობას ძალზე პატივს ვცემ და კარტოფილის ამოღებისთვის გაწეულ შრომასაც ანგარიშს ვუწევ, ვერ მოახდინა ის შთაბეჭდილება, რასაც ჩვეულებრივ უნდა ახდენდეს პოეტური ქმნილება. უფრო მეტიც, ეს ლექსი, ეშვება ყოველგვარ პოეზიაზე დაბლა და, საერთოდ, მოკლებულია იმ ზემოქმედების უცილობელ ძალას, რომელიც, როგორც წესი და აუცილებელი პირობა, ყველა მხატვრულ ძეგლს უნდა გააჩნდეს. ამავე დროს მკითხველი ამ ნაწარმოების კითხვის დროს გრძნობს ხელოვნურ და მოჩვენებით უბრალოებას, რაც იწვევს ელიპტიკურ დეკოდირებას. ბესიკ ხარანაულს ამ ტიპის რამდენიმე ლექსი აქვს დაწერილი (მაგ., „ყურის ტკივილი, ბავშვი და დედ-მამა", „მეგობრის წერილი ბავშვების აგარაკიდან", „მოღალატე ცოლები" (ირონიულია) და სხვა), რომლებშიც ცდილობს პოეზიის მსჯელობის საგანი გახადოს ყოველდღიური ცხოვრებისეული წვრილმანები. მაგრამ, ჩვენი აზრით, ვერ ახერხებს ამ წვრილმანების მხატვრულ დონეზე გა-

ნზოგადებას და იმ პირობითობამდე ამაღლებს, რაც უნდა ახასიათებდეს ხელოვნებას, როგორც ცნებას და რაზეც, ჯერ კიდევ, არისტოტელე წერდა.

ხელოვნების არსი ესთეტიკურ ზემოქმედებაში არის მოცემული. ესთეტიკური ზემოქმედების გარეშე არ არსებობს არავითარი ხელოვნება. ხოლო ამის მისაღწევად, უფრო სწორად, ესთეტიკური ველის შესაქმნელად, არსებობს ათასგვარი საშუალება და მეთოდი, რომელთა სისტემური გამოყენება წარმოშობს ხელოვნების სფეროში სხვადასხვა და ნაირგვარ მიმართულებებს. ჩვენი აზრით, ხელოვნებაში მთავარია მიზანი და შედეგი და არა ის, თუ რა გზით, რა საშუალებებით, რა პრინციპებით აღწევს მას. ამიტომაც დღეს როგორც რეალიზმის ესთეტიკას, ასევე აბსურდის ხელოვნებასაც აქვს არსებობის უფლება. რა გზით მივა ხელოვანი მშვენიერებასთან, ეს პირადად მისი საქმეა, ჩვენ ეს ნაკლებად უნდა გვაღელვებდეს. მთავარია, რომ ჭეშმარიტ ხელოვნებას გვაზიაროს მან. საერთოდ, წმინდა აზრი ფილოსოფიის სფეროს განეკუთვნება, ხოლო ესთეტიკური — ხელოვნების კუთვნილებაა. ამით განსხვავდება კანტის „წმინდა გონების კრიტიკაში" აღძრული ოთხი თეზა-ანტითეზა. დოსტოევსკის რომანში — „ძმები კარამაზოვები" — წარმოსახულ ამ პრობლემათა გაშუქებასთან, იქ აზრისა და გონების პრიმატია წინწამოწეული, აქ მხატვრულ განსხეულებაზე კეთდება აქცენტი. ხელოვნება ხელოვნებას უნდა ჰგავდეს და მეცნიერება მეცნიერებას. ცუდია, როცა მეცნიერება ხელოვნებას ჰგავს და ხელოვნება მეცნიერებას. ყოველ შემთხვევაში, ამით ორივე სფერო ზიანდება და თავის მიზანს და მოწოდებას არ ემსახურება.

განა ვინმეს სადავოდ გაუხდია ის, რომ დღეს ვერლიბრსაც არსებობის ისეთივე უფლება აქვს, როგორც ტრადიციულ ლექსს. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს სფერო არ უნდა იქცეს უნიჭო შემოქმედთა თავშესაფარად და, მეორეც, საჭიროა ზომიერების დაცვა: პოეზია პოეზიად უნდა დარჩეს და უნიჭო პროზამდე არ უნდა დაეშვას. პოეზიასა და პროზას შორის არსებული საზღვრის მოშლა არავითარი საჭიროებით არ არის განპირობებული და, ჩვენი ფიქრით, ამას არც რაიმე პერსპექტივა აქვს.

მაგრამ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში შეიმჩნევა საპირისპირო ტენდენცია, პროზაში ვხვდებით პოეტური ნაკადის შემოჭრას. ამჯერად, ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს რევაზ ინანიშვილის მაღალი ნიჭიერებით დაწერილი მოთხრობები, რომლებშიც პოეტური ხილვები და პოეზია (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) მკვეთრად წარმოჩინდება, არამედ ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ამ ბოლო ხანს დაიწერა თავისუფალ ლექსჩართული ისეთი პროზა, რომლის წაკითხვის დროს გვიჭირ[illegible] კვეთ, სად მთავრდება პროზა და [illegible] პოეზია. შეიქმნა მოთხრობა, რომლის ენობრივი ფაქტურა და ზოგადად წერის სტილი უგულებელყოფს იმ ჟანრულ პრინციპებს, რაც მხოლოდ პროზისათვის არის ნიშანდობლივი. ერთი სიტყვით, ხდება ჟანრის გაუცხოება, რასაც საფუძვლად ედება ორ, ურთიერთისაგან განსხვავებულ, მოდელს შორის არსებული საზღვრის იგნორირება: ერთი მხრივ, ლექსი ისწრაფვის მიუახლოვდეს პროზას, მეორე მხრივ კი, პროზა ისწრაფვის პოეზიისაკენ და ეს ურთიერთლტოლვა ძირითადად განპირობებულია და გამიზნულია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროზასა და პოეზიას შორის არსებული იმ საზღვრის უგულებელსაყოფად, რომელიც მათ განსხვავებულ სტრუქტურულ მოდელს ქმნის.

სწორედ ასეთი პრინციპებით არის დაწერილი გურამ დოჩანაშვილის უდავოდ საინტერესო მოთხრობა „ვატერ (პო) ლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები (ფანტასტიკური მოთხრობა)", რომელიც ახლახან გამოქვეყნდა, იმთავითვე მიიქცია მკითხველის ყურადღება და კამათისა და სჯა-ბაასის ობიექტი გახდა. მკითხველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მოსწონს ეს ნაწარმოები, გარკვეულ ნაწილს — არა. როცა მხატვრული ქმნილება აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ეს თავისთავად უკვე მეტყველებს იმაზე, რომ საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე. მართლაც, გ. დოჩანაშვილის ეს მოთხრობა სავსებით ორიგინალური და უცხოა ქართული ლიტერატურული ცხოვრებისათვის. ამიტომაც მასზე უკვე დაიწერა საინტერესო წერილი, რომელშიც ახსნილია მწერლის მეთოდის რიგი თავისებურებანი. რადგანაც გ. დოჩანაშვილი თანამედროვე პროზის ერთ-ერთ ნიჭიერ წარმომადგენლად მიგვაჩნია და მისი ეს მოთხრობაც ქართული სინამდვილისთვის უცხო ესთეტიკური პრინციპებით არის დაწერილი, გადავწყვიტეთ, ჩვენც გამოგვეთქვა მასზე აზრი.

მაგრამ, ვიდრე უშუალოდ ნაწარმოების ანალიზს შევუდგებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანამედროვე დასავლეთის ზოგიერთი მიმართულებისა და მათი ესთეტიკური სისტემის მოკლე მიმოხილვა, რათა უფრო კარგად გავერკვეთ ავტორის პოზიციასა და მისი წერის მანერის ზოგიერთ თავისებურებაში.

გასული საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისში ტექნიკის არაჩვეულებრივი ჩქარი ტემპით განვითარებამ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებამ გამოიწვია ტექნიკის კულტი, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, დაუპირისპირდა მისსავე შემქმნელ ადამიანს. დაიწყო, ე. წ. „ტექნიკური გაუცხოების" ეპოქა. ტექნიკის გაფეტიშებამ შეზღუდა

ადამიანის თავისუფალი მოქმედების ნება, რასაც მოჰყვა ადამიანის თვითგანსხვისება და გაუცხოება. დროისა და სივრცის ჩარჩოებით შეზღუდული ადამიანი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ცდილობდა სასრული ცნებების დაძლევას და კოსმიურ ჰარმონიაში გარდასახვას, კიდევ ერთი ცნებით, მისივე აზროვნებისა და შრომის შედეგით, დაისაზღვრა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის სიცოცხლის არსი მის აქტიურ მოქმედებაში ჰგიებს, უმოქმედობა მისთვის სიკვდილის ტოლფარდია. ადამიანი ილვწის თავის ფიზიკურ და სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამიტომაც ის ცდილობს შეისწავლოს და დაიპყროს ფიზიკური სამყარო, რათა გაიუმჯობესოს ცხოვრების პირობები. ადამიანის ასეთმა სწრაფვამ კი კაცობრიობის მთელი ყურადღება წარმართა გარესამყაროსა და ტექნიკური მეცნიერებისაკენ. გაბატონდა, ე. წ. ნატურალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს პასიურობასა და უმოქმედობას უქადდა. მაქსიმალურმა ყურადღებამ გარესამყაროსადმი, ტექნიკის კულტის გაბატონებამ გამოიწვია უკურეაქცია; ნატურფილოსოფიას დაუპირისპირდა სიცოცხლის ფილოსოფია (ნიცშე, ბერგსონი, დილტეი და სხვ.), რომელიც ცდილობდა „დაეძლია ფეტიშიზმი გარესამყაროსი". ამიტომ ადამიანის ნებას ის ანიჭებს უსაზღვრო თავისუფლებას. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები, უპირველეს ყოვლისა, აუმხედრდნენ გონებას, რომელიც, მათი აზრით, „ტექნიკური გონების" ტოლფარდია, გმობენ მას და წინ წამოწევენ ირაციონალურ და ქვეცნობიერ იმპულსებს. ადამიანის შემოქმედების საფუძვლად გამოცხადებულია ინტუიცია, ხოლო მისი ასახვის ობიექტად ირეალური მოვლენები, უფრო სწორად, მოვლენის ირეალური არსი. მათი აზრით, ონტოლოგიურად არსებული რეალური სამყარო და მისი მიზეზ-შედეგობრივი მიმართებებით განპირობებული ყოფა მისაღებია მხოლოდ ინდივიდუალური, შინაგანი სამყაროს სუბიექტური ხედვითა და აღქმით. ადამიანის ხედვა, რომელიც მიმართული იყო გარესამყაროსაკენ, მთლიანად ბრუნდება შინაგანობისაკენ. ობიექტურად არსებული მოვლენები მთლიანად სუბიექტურ პრიზმაში უნდა გარდატყდეს. ამან კი გამოიწვია რეალიზმის ესთეტიკის და მეთოდების უგულებელყოფა. რეალიზმი, რომლის ძირითადი მიზანი არის ობიექტური რეალობა ჰხატოს ისე, რომ ასახას და ასახულ საგნებს შორის დაამყაროს მსგავსების ლოგიკური ჯაჭვი, ველარ აკმაყოფილებს XX საუკუნის დასავლეთის შემოქმედებით აზროვნებას. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რეალიზმი ველარ გადმოგვცემდა ცხოვრების ნამდვილ არსს. დღევანდელ უაზრო ყოფაში, მხოლოდ დეფორმირებული, „დატეხილი" ფორმებით და უჩვეულო მოვლენებით შეიძლება ცხოვრების ნამდვილი არსის გადმოცემა, მეორეც, მხატვარმა უნდა დახატოს არა ისე, როგორც ამას ყველა ადამიანი ხედავს და როგორც ეს ნატურაშია მოცემული, არამედ ისე, როგორც ამას მისი ინტუიცია და განუმეორებელი ინდივიდუალური ხედვა კარნახობს, როგორც ეს მის სულში ირეკლება. ასე წარმოიშვა მხატვრობაში მოდერნიზმი, თავისი მრავალგვარი მიმართულებებით, რომლებმაც წამოაყენეს ახალი ესთეტიკური და შემოქმედებითი პრინციპები. ეს პრინციპები, რომელიც ზოგადად უარყოფდნენ ყოველგვარ რეალურს და კონკრეტულს, „გონების თვალით" დანახულს და წინ წამოწევდნენ აბსტრაქტულს, დეფორმირებულს და ინტუიციურ და ქვეცნობიერ დონეებს, დამკვიდრდა შემდგომ ლიტერატურაში და ნიჭიერ შემოქმედთა წყალობით (ჯოისი, კაფკა, ჟან-პოლ სარტრი, ალბერ კამიუ, ადამოვი, ბეკეტი, იონესკო და სხვ.) წამყვანი ადგილი დაიკავა როგორც თანამედროვე პროზაში, ისევე დრამატურგიაში.

ცხადია, შეუძლებელია ამ წერილის ფარგლებში თანამედროვე ხელოვნების მრავალგვარ მიმართულებათა სპეციფიკურ ნიშანთვისებათა ზერელე გადმოცემაც კი. მაგრამ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის არის აღნიშნული, XX საუკუნის თანამედროვე ხელოვნებისათვის ზოგადად დამახასიათებელია ონტოლოგიურად არსებული რეალური სამყაროს და მასში ობიექტურად მოცემულ კანონზომიერებათა უგულებელყოფა და ყოველივეს ქაოსად და აბსურდად გამოცხადება. ნეორომანისტების გაგებით, სამყაროში არცერთი მოვლენა არ შეიძლება ლოგიკურად აიხსნას, ყველგან ქაოსი და დისჰარმონია სუფევს. ამ უაზრობის ოკეანეში აბსურდულია და განწირულია ადამიანის ყოფაც. აქედან გამომდინარე, მათი რწმენით, ყოველგვარი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც მიზნად ისახავს გადმოგვცეს ეს ქაოსი, თავად უნდა იყოს მოკლებული ლოგიკურ სტრუქტურას, ის უნდა გადმოგვცემდეს არა ემპირიულ სინამდვილეს, არამედ დეფორმირებულ, გამოგონილ და ილუზირებულ პირობითობას, რომელიც არ უნდა ქმნიდეს რეალურობის იმიტაციას. ამ მიზეზით ხდება აგრეთვე ის, რომ ადამიანის ხასიათების, ინდივიდუალური თვისებების გადმოცემის ნაცვლად, წინ წამოწეულია სქემა-მოდელები, რომლებიც, როგორც აღნიშნავენ, ავტორისეულ საცდელ ლაბორატორიაში მოქმედებენ ისე, როგორც ამას ცდის კანონზომიერება მოითხოვს. საერთოდ, უგულებელყოფილია ყოველგვარი ცნება, რომელთაც შეუძლიათ რეალურობის შეგრძნება გაგვიჩინონ. ასე რომ, დაძლეულ უნდა იქნეს დროის, სივრცის, მიზეზ-შედეგობრივი კატეგორიები და, რაღა თქმა უნდა, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ელემენტები. ამიტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაცაა, რომ რომანში ამბავი უმეტესწილად ფანტასტიკური და გამოგონილია და ხდება გამოგონილ, უცხო მხარეში. ასეთი მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტის წყაროდ უფრო მეტად გვევლინება მითი, რომელიც უშვებს რეალურობის დეფორმაციის ყოველგვარ შესაძლებლობას. ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ რეალურობისა და კონკრეტულობის განცდის ილუზია დაძლეულ იქნას და მხოლოდ აბსტრაქტულ სიბრტყეზე მოხდეს მოვლენის არსის განზოგადება და აღქმა. ამავე დროს, შეიმჩნევა ამ მიმართულებისათვის დამახასიათებელი მოდელების, ესთეტიკური მოდულების დამკვიდრება და კანონიზაცია, რაც იღებს საყოველთაო და მუდმივ მოქმედი ზოგადი კანონის ფორმას, ე. ი. იქმნება ახალი ესთეტიკური სისტემა, მიმართულება, რომელსაც შეიძლება პირობითად ვუწოდოთ „გაუცხოების ესთეტიკა".

ზოგიერთს პარადოქსად მოეჩვენება, მაგრამ, ვინც ესთეტიკური აზროვნების განვითარებას თვალს ადევნებს, მისთვის ადვილად შესამჩნევია, რომ ყველა ეს ზემოთ მოტანილი ნიშნები ზოგადად ახასიათებს შუა საუკუნეების ხელოვნებასა და ლიტერატურას, ოღონდაც იმ განსხვავებით, რომ იმ დროის შემოქმედის ინდივიდუალობა და ორიგინალობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი და ყოველგვარ შემოქმედებას წარმართავდა გაბატონებული და მიღებული ხელოვნების კანონები, რომლებიც, როგორც წესი, საერთო და საყოველთაოდ აუცილებელ ხასიათს ატარებდნენ. ამ ბოლო დროს XX საუკუნის ლიტერატურაში შეიმჩნევა ამ ზოგადი კანონებით წერის ტენდენცია. თუ კი ესთეტიკური მეთოდები კვლავაც ამ გზით განვითარდება, მაშინ საფიქრებელია, რომ „დაპირისპირების ესთეტიკა", რომელიც XX საუკ. მხატვრულ აზროვნებას დაედო საფუძვლად, უკანა პლანზე დაიწევს და წინ წამოიწევს „იგივეობის ესთეტიკა", რომელიც შუა საუკუნეების მხატვრულ სისტემას ასაზრდოებდა. თუმცა, ეს არც არის გასაკვირი! ხელოვნების ისტორიაში გარდასულ საუკუნეებში გაბატონებულ ესთეტიკურ მოდუსებს ევოლუციური განვითარების გარკვეულ საფეხურზე, არც თუ იშვიათად, თავი წამოუყვია მივიწყების ძირიდან და ახალი ძალით ამოქმედებულა. ხელოვნების სული, განვითარების ახალ საფეხურზე ასული, ხშირად ძველი სამოსით იმოსება, მაგრამ ადექვატური სიზუსტით არასოდეს იმეორებს თავს. „გაუცხოების ესთეტიკაც" ხელოვნების განვითარების თვისობრივად ახალი საფეხურია და ძველი, ადრე მოქმედი კანონების თავისებური და ახლებური სისტემური ამოქმედებაა.

სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეების მსოფლმხედველობრივი სისტემა ბევრი რამით ეხმიანება და გვაგონებს დღევანდელი დასავლეთის ფი[illegible] ესთეტიკურ მოძღვრებებს. შუა საუკუნეებში სამყაროსა და ადამიანის გათიშვამ წარმოშვა დისჰარმონია, რომლის დაძლევასაც მოაზროვნე სუბიექტი ცდილობდა თავის „მესთან" დაბრუნებით, თავის თავში ჩაძირვით და მისტიკური, ირაციონალური ელემენტის წინ წამოწევით. ამიტომაც ის არსებულ, რეალურ სამყაროს მხოლოდ სიმბოლურ, რელატიურ მნიშვნელობას ანიჭებდა და ზეცას შეჰყურებდა იმედის თვალით. ამან კი განაპირობა ის, რომ ხელოვნებამ და მწერლობამ აბსტრაქტული, პირობითი ხასიათი მიიღო, ხოლო სიტყვამ და ხატმა სიმბოლური გაგება. ასევე მოხდა მეოცე საუკუნეში: სამყაროსა და ადამიანის გათიშვამ და წარმოქმნილი დისჰარმონიის დაძლევის ტრაგიკულმა ცდამ — სუბიექტი „რელიგიამდე" მიიყვანა, თავის „მე"-ში გაუცხოვდა" და სუბიექტური, ინტუიტური ხედვით დაიწყო „აბსურდული" სამყაროს აღქმა. რეალურმა სამყარომ, როგორც აბსურდული მოვლენების ქაოტურმა თავმოყრამ, დაკარგა რაციონალური თვალსაზრისით თავისთავადი აზრი და შეიძინა რელატიური მნიშვნელობა, ოღონდაც, ამჯერად სუბიექტურობის და არა ირეალური ცნების წინ წამოწევით. ამიტომაცაა, რომ, დღევანდელი ხელოვნება თუ ლიტერატურა უკიდურესი სუბიექტიზმით ხასიათდება, ხოლო სიტყვა და სახე, უმეტესწილად, კარგავს თავის პირველად აზრს, ახლებური სუბიექტური სემანტიკით იტვირთება. უფრო მეტიც, ხშირად ის ყოველგვარ აზრს მოკლებულ, უბრალო სიტყვის თამაშად წარმოგვიდგება.

მაგრამ თუ შუა საუკუნეების ადამიანი, ირეალური და მომავალი ცხოვრების რწმენით, გულუბრყვილოდ აღიქვამდა სამყაროს სილამაზეს, როგორც უმაღლესი მშვენიერების ასლს, და ცდილობდა თავის თავის ან სილამაზეში გარდასახვას და თავის „მე"-ს გაკოსმიურებას, XX საუკუნის ადამიანი თავის სკეპტიკური ხედვით, ყოველივეს ამაოებასა და აბსურდულობაში დარწმუნებული, მძაფრი ცინიზმით აღიქვამს სამყაროს და საზოგადოებრივ თუ პირად ყოფას. ამიტომაც ის, თავის „მე"-ში ჩაკეტილი, კი არ ცდილობს შეერწყას ამ აბსურდულ სამყაროს, არამედ უპირისპირდება და გაურბის მას. დღევანდელმა ადამიანმა დაკარგა იდეალი. მას აღარც ქვეყნის სწამს, აღარც ცის. და ფიქრობს, რომ გადარჩენის და ამაღლების ერთერთი გზა ცინიზმი, ყველაფრისადმი დაუნდობელი ირონია და სარკაზმი ასაზრდოებს მის გონებას. სწორედ ამით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ დღევანდელი დასავლეთის ხელოვნების ყველაზე უფრო გავრცელებულ ჟანრად გროტესკი გვევლინება. ასეთია ძალზე ზოგადად XX საუკუნის დასავლეთის კულტურული ცხოვრების ზოგიერთი სპეციფიკური ნიშანი, რომლის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთვალისწინებლად, ჩვენი აზრით, გაძნელდება თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში არსებულ ზოგიერთ მოვლენაზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა.

სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ ჩვენ მაინც მიზანშეწონილად მიგვაჩნია თვალის ერთი გადავლებით გავიხსენოთ ავანგარდისტების ხელოვნება და დრამატურგია, რომელიც ექსისტენციური ფილოსოფიის ძირითადი პრინციპებით საზრდოობდა და პოპულარობით სარგებლობდა დასავლეთის და, კერძოდ, საფრანგეთის თანამედროვე თეატრალურ ცხოვრებაში.

ავანგარდისტებმა მთელი თავიანთი მოღვაწეობა წარმართეს მანამდე არსებული ტრადიციული ფორმების წინააღმდეგ. მათ სურდათ, შეექმნათ ახალი „ანტითეატრი“. რომელსაც თავის საკუთარი ფილოსოფია, ახალი იდეები და, რაც მთავარია, ახალი ენა ექნებოდა. როგორც ექსისტენციალიზმის მიმდევრები, ისინი ფიქრობდნენ, რომ, საერთოდ, ცხოვრება აბსურდია .ამიტომაც ადამიანის სიცოცხლესაც უაზრობად მიიჩნევდნენ. მათი აზრით, ადამიანის ყოფას ამქვეყნად არ აქვს ფასი და თავად ადამიანი იქმნის თავის არსებობის მნიშვნელობის ილუზიას. გარდა ამისა, ისინი ფიქრობდნენ, რომ ადამიანი ვლინდება მხოლოდ თავის მოქმედებებში. ეს უკანასკნელი კი არ ექვემდებარება არავითარ ლოგიკას. ამიტომაც ადამიანი არსებობს მხოლოდ სიტუაციებში და მისი დახატვაც უნდა მოხდეს განსაკუთრებულ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლაბორატორიულ ვითარებაში, რაც განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოაჩენენ მათ არსს. ამ მოძღვრების მიმდევრები პრინციპულად არ გადმოგვცემენ კონკრეტულ-ისტორიულ გარემოს და გმირის მოქმედების ასპარეზს, არც მის სოციალურ მდგომარეობას და ინდივიდუალურ ხასიათს. ავანგარდისტები გვიხატავენ ადამიანის განზოგადებულ, აბსტრაგირებულ სახეს, რომელიც გარკვეულ სქემა-მოდელს ასახიერებს. რადგანაც მათ პიესებს არ გააჩნდა მოქმედების განვითარება, წარმოდგენილი იყო მხოლოდ ცალკეული სიტუაციები, ამიტომაც მოქმედი პირები არ საჭიროებდნენ ლოგიკური მეტყველების უნარს. ისინი უარყოფდნენ საერთოდ ენას, როგორც საკომუნიკაციო საშუალებას. ჯერ მათ დაიწყეს ტრადიციული გამოთქმებისა და შტამპების წინააღმდეგ ბრძოლა და, ბოლოს, ეს ბრძოლა დაამთავრეს იმით, რომ საერთოდ უარყვეს ენის ძირითადი ფუნქცია. მათი აზრით, ენა ვეღარ ასრულებს თავის დანიშნულებას, ამ აბსურდულ და დანაწევრებულ სამყაროში ის კი არ აკავშირებს ადამიანებს, არამედ აცალკევებს მათ. რადგანაც, მათი გაგებით, ენა ვეღარ გადმოგვცემდა მოვლენათა ნამდვილ არსს, ამიტომაც დაიწყეს სამეტყველო ენის დაშლა და შექმნეს უაზრო, აბსურდულ სიტყვათა ფორმები და გამოთქმები, რითაც სურდათ კიდევ ერთხელ ხაზი გაესვათ იმ ფაქტისათვის, რომ ყოველგვარი არსებობა და ყოფიერება უაზრობა და აბსურდია. ავანგარდისტები უგულებელყოფდნენ გამოხატვის ყოველგვარ ტრადიციულ ფორმებს და შემოჰქონდათ უცხო და უჩვეულო ელემენტები, რომლებითაც სურდათ განეცვიფრებინათ მკითხველი და მაყურებელი.

ამ მოძღვრების საუკეთესო წარმომადგენლებმა — არტურ ადამოვმა, სემუელ ბეკერემ და განსაკუთრებით კი ეჟენ იონესკომ — შექმნეს მაღალი რანგის მხატვრული ქმნილებები, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს დასავლეთის თეატრალურ და, საერთოდ, ლიტერატურულ ცხოვრებაზე. ეს შემოქმედნი განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ სამყაროს ქაოტურობას, ადამიანის სიცოცხლის უაზრობას. ისინი წარმოგვიჩენდნენ აბსურდამდე დაყვანილ დეფორმირებულ სინამდვილეს, რომელიც რეალურისა და ირეალურის ზღვარზე იკვეთებოდა და კოშმარული ზმანებებით იყო აღსავსე. წინ წამოწევდნენ საშინელ და უჩვეულო ელემენტებს, რომლებიც ცხოვრებისეულ ლოგიკას არ ექვემდებარებოდნენ და შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენდნენ მკითხველზე. მართალია, დღეს „აბსურდის თეატრის“ ხელოვნება უკვე ისტორიად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ ზემოთ ხსენებულ მწერალთა შემოქმედება, რომელიც მრავალი ნიშანთვისებით ჰგავს ბრეხტის დრამატურგიას და განსხვავდება კიდეც მისგან, განსხეულების მაღალი მხატვრული დონით ყოველთვის დარჩება ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებად.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ და მოკლედ ვიტყვით, რომ გ. დოჩანაშვილის ზემოხსენებული მოთხრობა, როგორც უკვე კრიტიკაშიც აღინიშნა, გაუცხოების პრინციპებით არის დაწერილი. უფრო სწორად, ის მიმართავს იმ შემოქმედებით მეთოდს და ხერხებს, რომლებითაც, შეიძლება ითქვას, ჩვენი დროის უდიდესი ხელოვანნი (კაფკა, კამიუ, მარკესი, ბრეხტი, ბეკეტი, იონესკო და სხვ.) მეტნაკლები გულმოდგინებითა და საკუთარი მიდგომით სარგებლობდნენ. ერთი სიტყვით, ზერელობაში არ ჩამოგვერთმევა თუ ვიტყვით, გ. დოჩანაშვილი ზოგადად ეყრდნობა „გაუცხოების ესთეტიკას“, რომელიც ექსისტენციურ ფილოსოფიურ მოძღვრებაზე აღმოცენდა. მწერლის ამ მცდელობაში ჩვენ ვერ ვხედავთ ნაკლს და დასაგმობს. პირიქით, სასურველია და მოსაწონი, როცა მწერალი თავის თვალსაწიერს ამდიდრებს თანამედროვე ხელოვნების მიღწევებით. მაგრამ როგორ ხდება ამ „უცხო ელემენტების“ გაშინაგანება, როგორ ესადაგება ის მწერლის სულს და როგორ ფუნქციონირებს, საერთოდ, მის მხატვრულ სისტემაში და, კერძოდ, კონკრეტულად ამ მოთხრობის მოდელში?! აი, ეს არის მთავარი. ამაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი პასუხი მოთხრობის კონკრეტულმა ანალიზმა უნდა გაგვცეს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაწარმოები გროტესკული ხასიათისაა და დაწერილია ერთდროულად ტრაგიკომიკური ფერებით, რაც ერთ-ერთი ნიშანდობლივი და თითქმის აუცილებელი თავისებურებაა თანამედროვე დასავლური პროზის. ამ ნაწარმოებში ალეგორიულად და ხშირად ქვეტექსტების მოშველიებით დაუნდობლად არის გაკრიტიკებული სახელმწიფო მართველობის ის სისტემა, რომელიც ცდილობს უხეში ფიზიკური თუ სამხედრო ძალით ადამიანთა ცხოვრების წარმართვას და მათ ფსიქიკურ და გონებრივ გარდაქმნას. მწერალი წინ წამოწევს დიქტატორის პრობლემას, რომელიც თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში დიდი პოპულარობით სარგებლობს (გავიხსენოთ თუნდაც მარკესის „პატრიარქის შემოდგომა“) და მას, როგორც უხეშ და პოლიტიკური ძალის სიმბოლოს, უპირისპირებს შემოქმედის სახეს, რომელიც არის ხატი სულიერი სრულყოფილებისა და ამაღლებულობისა. კერძოდ, ამ მოთხრობაში დაპირისპირებულია ორი ისტორიული პიროვნება: ნაპოლეონი და ბეთჰოვენი და ამ ისტორიულ პიროვნებათა დაპირისპირებას ენიჭება განზოგადებული მნიშვნელობა, როგორც საერთოდ, პოლიტიკური მოღვაწისა და ხელოვანის ღირსებათა ურთიერთშეჯერებას. მწერალი უფრო შორს მიდის, ის დასცინის ზოგადად ადამიანის ყოფასა და ცხოვრებას, რომელშიც, როგორც წესი, უმეტესწილად ბატონობს უსამართლობისა და დაუნდობლობის კანონი. ცხოვრება მწერლის პაროდიული დახატვით, თამაშია, სადაც მთავარია გამარჯვება. უფრო სწორად, ადამიანთა ურთიერთობა მას აგონებს წყალბურთს — ვატერპოლოს, რომლის დროსაც მოთამაშეები წყალზემოთ ძალზე მორიდებულად და ეთიკურად ღირსეულად ექცევიან ურთიერთს, ხოლო სიღრმეში, ე. ი. წყალსქვევით, არ ერიდებიან არავითარ ხრიკებსა და საშუალებებს, რათა გამარჯვებას მიაღწიონ. მოთხრობის ერთ-ერთი საინტერესო პერსონაჟი — აღმზრდელი, რომლის პედაგოგიური მისია ის არის, რომ როგორმე ჩაკლას ადამიანში ყოველივე ადამიანური და კეთილშობილური, თავის აღსაზრდელებს ეუბნება: „თვით ცხოვრებაა ვატერპოლო, თვითონ ცხოვრება, და ყოველი მოქალაქის მთავარი მიზანი რადგან ისაა, ცხოვრებაში რომ გამარჯვებული გამოვიდეს, გამარჯვებული კი ისე ვერ გამოხვალ, სხვას თუ არ დაამარცხებ და სხვა რომ დაამარცხო, ათასნაირი ხერხი და ხრიკია საჭირო და ამეებს კი ვატერპოლოზე უკეთესად სხვა ვერაფერი შეგასწავლით“. და სწორედ ეს მეტად საინტერესო პრობლემა ექცევა ტრადიციულ რკალში, რომელიც ზოგადად კეთილისა და ბოროტის ბრძოლამდე დადის.

დავასწრებთ აზრთა მსვლელობას და ვიტყვით, რომ ამ ნაწარმოებში ქვეტექსტურად გატარებულია მრავალი საყურადღებო აზრი, რომლებიც დაამშვენებდნენ ყველა რანგის მხატვრულ ქმნილებას. მაგრამ, რამდენადაც ჩვენ გვესმის, ამ მოთხრობის დედააზრი ის არის, რომ ცივილიზირებული სამყარო და გართულებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი რყვნის და სპობს ინდივიდის პირველყოფილ უცოდველობას და ზნეობრივ სიფაქიზეს. უფრო მეტიც, საზოგადოებრივი ყოფა და მმართველობის სისტემა, რომელიც ძალმომრეობის კანონებით და მუშტით აწესრიგებს ადამიანთა ურთიერთობას, ამხეცებს თავად ადამიანს და სპობს მასში ყოველგვარ ადამიანურს, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით; მაგრამ, ამავე დროს, იძულებითა და შიშით გამხეცებული ადამიანი თავად ხდება საშიში მოძალადე საზოგადოებისათვის.

საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობა, ინდივიდისა და პიროვნების უგულებელყოფა, ადამიანთა ურთიერთარგაგება და გაუცხოების პრობლემა, როგორც ცნობილია, თანამედროვე მხატვრული აზროვნების ძირითადი თემაა. თითქმის ყველა დასავლელ მწერალს გაუხდია ეს პრობლემა მსჯელობის საგნად. დიდი ადგილი ეთმობა ამ პრობლემის გაშუქებას ე. იონესკოს შემოქმედებაშიც. დრამატურგის აზრით, მხოლოდ მარტოობაში ჰპოვებს ადამიანი თავის თავს. მწერალი ფიქრობს, რომ, რაც უფრო მარტოა ადამიანი, მით უფრო გაუგებს სხვებს, „მაშინ, როცა სოციალურ ორგანიზაციაში, რომელიც არის ფუნქციათა ორგანიზაცია, ადამიანი დადის მხოლოდ თავის გაუცხოების ფუნქციამდე“. რადგანაც ე. იონესკოს ღრმა რწმენით, „ყოველგვარ საზოგადოებაში მოქმედებს „მჩაგვრელი ძალები“, რომლებიც ადამიანის თავისუფლებას და ინდივიდუალობას სპობენ. და ეს განსაკუთრებით ხდება იმ ქვეყნებში, სადაც ბატონობს ფანატიზმი, ადამიანი მოკლებულია შინაგან თავისუფლებას და კრიტიკული აზროვნების უნარს და მზა ლოზუნგებითა და იდეებით აღზრდილი, მზადაა დაემორჩილოს ტოტალურ ძალას. ასეთ საზოგადოებაში პოლიტიკური ბელადი ითვლება ელიტად, რადგანაც ის არის ავტორიტეტი ყველასათვის და მას ემორჩილება, ნებსით თუ უნებლიეთ, ყველა. ეს აზრი ე. იონესკოს მრავალ პიესაშია გატარებული. დაახლოებით ამასვე გვთავაზობს გ. დოჩანაშვილი თავისი მოთხრობის ქვეტექსტური აზროვნების საფუძვლად.

გ. დოჩანაშვილს არ განუზრახავს დაგვიხატოს რომელიმე კონკრეტული საზოგადოებრივი ფორმაცია. მას არ აინტერესებს ამ იდეის კონკრეტულ ვითარებაში, უფრო მართებულად, სოციალ-ეკონომიკური განვითარების რომელიმე გარკვეულ საფეხურზე გააზრება, არამედ ის ცდილობს პრობლემის არსის განზოგადებულ

სიბრტყეზე წარმოჩენას, რაც აგრეთვე აბსურდის ხელოვნების ერთ-ერთი სპეციფიკურობაა. ასე რომ, ის ისწრაფვის თავად იდეის არსში ჩაგვახედოს და არა მის კონკრეტულ გამოვლინებაში. ამიტომ მწერალს არ სურს წარმოსახოს რეალურ-ყოფითი და ისტორიული სინამდვილე და ამით მოთხრობილს მომხდარი ფაქტის დამაჯერებლობა მიანიჭოს. არამედ, პირიქით, ის ცდილობს იდეა მხატვრული პირობითობის ისეთ დონეზე განავითაროს, რომ აღწერილ ფაქტს და რეალურ სინამდვილეს შორის ლოგიკური კავშირის დამყარება მოხერხდეს მხოლოდ გადატანის, დაშვების გზით. სწორედ ამის გამოა, რომ მწერალი ძირითადად ცხოვრების და ადამიანთა ურთიერთობის რთულ სისტემას კი არ გვიხატავს, არამედ — თამაშს — ვატერპოლოს და ამით შესაძლებლობას გვაძლევს მოთხრობაში მოცემული სემანტიკური დონის მრავალგვარი გაგებისა. ამავე მიზეზით გ. დოჩანაშვილს თხრობა გადააქვს გამოგონილ სამყაროში, სადაც უცხო და ხელოვნურად გამოგონილი პირები მოქმედებენ. ეს არის გაუცხოების ხერხი, რომელიც დაკანონებული იყო შუა საუკუნეების ლიტერატურაში და დღესაც ფართოდ არის მიღებული. მთავარი მიზანი ამ ხერხისა ის არის, რომ დაძლეულ იქნას კონკრეტული, გეოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული გარემოს აღწერით აღძრული რეალურობის განცდის ილუზია, რომელიც ასე ძლიერად არის გამჯდარი თანამედროვე მკითხველში. მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩვენი მწერალი ამბის გაუცხოებით არ კმაყოფილდება, ის გამოგონილ სამყაროში გამოგონილ სიტუაციებს მოგვითხრობს. უფრო სწორად, თამაშის დეფორმირებულ სიტუაციას გვიხატავს და ამგვარად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორმაგ და კიდევ უფრო მეტ დისტანციას ქმნის მხატვრული სამყაროს აღქმისა და რეალურობის შეგრძნებას შორის. ამას ემატება ისიც, რომ გ. დოჩანაშვილი უგულებელყოფს კონკრეტულ, ისტორიულ დროს და ცდილობს დაძლიოს სივრცისა და მიზეზ-შედეგობრივი კატეგორიები.

საზოგადოდ, ამ ნაწარმოებში ძირითადად ორი სიუჟეტური ხაზია მოცემული. ერთი — ბესამეს თავგადასავალი, რომელიც ძირითადად ამ მოთხრობის იდეურ ჩანაფიქრს წარმოაჩენს და რაციონალურ ლოგიკასა და დამაჯერებლობას არაა მოკლებული, და მეორე — აფრედერიკმე-ს და კარმენის ერთგვარი „ლირიკული დიალოგები“, რომელიც, ჩვენი აზრით, ებრძვის მიზეზ-შედეგობრივი მიმართებებით აგებულ ძირითად სიუჟეტურ ხაზს, არღვევს ნაწარმოების ლოგიკურობას, შემოაქვს აბსურდის ელემენტი და ამკვიდრებს უსისტემობას. ცხადია, ეს ავტორის განზრახვით ხდება. ასეთი რამ ჩვეულებრივია აბსურდის ხელოვნებისათვის და ის გარკვეული მსოფლმხედველობრივი [illegible] მის გამომხატველი პოზიციაა.

ახლა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს ურთიერთგადამკვეთი ხაზები: ბუნების უცოდველ შვილს, სოფლის ობოლ ბესამეს მოხუცი მუსიკოსი ჩამოიყვანს მუსიკის ტრადიციებით მდიდარ ქალაქში, ალკარასში, რომელსაც განაგებს დიქტატორი. ბესამე არაჩვეულებრივი მუსიკალური ნიჭის და ძლიერი განცდის ბავშვია. მუსიკასავით წმინდაა და ამაღლებული მისი სული. ასევე ამაღლებული და წმიდა სიყვარულით შეუყვარდება მოხუცი მუსიკოსის შვილიშვილი რამონა. ცხოვრება ჩვეულებრივ მიმდინარეობს, ბესამე დადის კონსერვატორიაში, ეუფლება მუსიკის ჯადოსნურ სამყაროს, ესწრება პროფესიონალი მუსიკოსების კონცერტებს, რომელთა მოსმენაც ისეთ ზემოქმედებას ახდენს მასზე, რომ ლამის სიკვდილის პირას მიდის. მაგრამ მას უთანხმოება მოუვა ისტორიის მასწავლებელთან — კარტუზო ბაბილონასთან. ამ განხეთქილების მიზეზი ის არის, რომ ბესამე ბეთჰოვენს უფრო აფასებს, ვიდრე ნაპოლეონს. ბესამეს აღდგენით სამუშაოებზე გაამწესებენ. აქედან იწყება მისი უცნაური თავგადასავალი. ირკვევა, რომ აღდგენითი სამუშაოები — ეს არის — ვატერპოლოსათვის მზადება საოცარი და უცნაური მეთოდებით, რომლის ძირითადი მიზანია ფიზიკურად გააძლიეროს და სულიერად გაანადგუროს ადამიანი, გახადოს იგი დაუნდობელი მხეცი და დააკარგვინოს ყოველგვარი ადამიანური თვისება. ამას ძალზე ჩინებულად ახერხებს საოცარი მწვრთნელი რიხობერტო დანიელ ჟუსტინო რექსაჩი ანუ იგივე ჩიტუნელა. ჩვენი აზრით, ამ მოთხრობის ყველაზე არსებითი და მთავარი სათქმელი ამ მონაკვეთშია მოცემული. მწერალი აქ ისეთ სიტუაციებს ხატავს, რომ მათი რეალურ ცხოვრებასთან მიმსგავსებაც კი გაგიჭირდებათ. უფრო სწორად, მოთხრობილი ამბავი რეალური ცხოვრების ილუზიას არ გვიქმნის. მაგრამ გ. დოჩანაშვილი მხატვრული პირობითობის ისეთ დონეზე ახსნულებს თავის ჩანაფიქრს, რომ მკითხველს აქვს შესაძლებლობა, მრავალი საყურადღებო ქვეტექსტური აზრის ამოკითხვისა და მისი ფილოსოფიურ თუ ზნეობრივ პლანში დანახვისა. ვარჯიში რამდენიმე „მონაკვეთად“ იყოფა. მეორე მონაკვეთზე, მაგალითად, ჩიტუნელა თავის აღსაზრდელებს ჩაყრის ერთ ვიწრო სენაკში, სადაც განძრევის საშუალებაც არ აქვთ, და თავზე თაგვებს და ვირთხებს აყრის. თანაც ასეთი სიტყვებით მიმართავს: „გვრიტუნებო, ეს ვირთხებია, თქვენ სტუმრები, აი, ახლა კი გეტირებათ უმწიკვლო ყოფა, რას იკლაკნებით, მაგოდენა ვირგლა ბიჭები — ვირთხებმა როგორ დაგაშინათ, ჰაამ?! თავზარდაცემულ აღსადგენელებს კი წამიწამ სადმე ედებოდათ ნაცრის სხმარტლა სისველე — ყურზე, ლავიწზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნემსჩაუგდებში, ტანი უთრთოდათ, ერთმანეთს მძლავრად ებჯინებოდნენ, იატაკისკენ ძნელ გზას ეძებდნენ ჭრილა ვირთხები და აღსადგენელებს რაღაც მორუხოდ შეკრული ლორწო სხეულებშუა უსავსავებდათ"...

მართლაც კოშმარული სურათია დახატული. არც ერთ ჭკუათმყოფელს არ მოუვა თავში, რომ ამ ამბავში მომხდარი ფაქტის თუ აღზრდის ამგვარი მეთოდის რეალურად შესაძლებლობა დაინახოს. მაგრამ ამ შემთხვევაში, რაც უფრო იგნორირებულია რეალურობისა და ნამდვილობის აღქმა, მით უფრო ფართოდ იშლება მკითხველის თავისუფალი აზროვნების ჰორიზონტი და მას შესაძლებლობა ეძლევა ამ მხატვრული დეტალის სხვადასხვა კუთხით აღქმისა და დანახვისა. ჩვენი აზრით, ამ კონტექსტის სემანტიკის ერთ-ერთი ახსნა ის არის, რომ ხდება საზოგადოების გარკვეული ფორმაციის მიერ ადამიანის ძალდატანებითი აღზრდა და გარდაქმნა, რაც. გარკვეული კუთხით, გვაგონებს ე. იონესკოს პიესაში („მოვალეობის მსხვერპლნი") გადმოცემულ სიტუაციას, როცა ინსპექტორი ხელმოცარულ დრამატურგს ძალად ატენის პირში პურს და აიძულებს ჭამოს, რათა ამით ამოუვსოს გონების ცარიელი ადგილები.

მართლაც, ბესამე, რომელიც უცოდველობისა და სათნოების განსახიერება იყო და ოცნებობდა მოესმინა მოცარტის მუსიკა, ამ აღზრდის შედეგად გარდაიქმნება და პირველივე „ვარჯიშის" შემდეგ, რაღაც ბოროტი დაისადგურებს მასში და როცა შინ მობრუნებულს რამონა დახვდა და უთხრა: „ჩქარა, ბესამე, კონცერტზე არ დაგვაგვიანდეს", ესლა იკითხა: „რა კონცერტია..." „რა, აღარ გახსოვს? — და საზეიმოდ გამოუცხადა — უკრავენ მოცარტს", ბესამემ კი თქვა — „ერთი მაგისი"... რაღაც უხმო ხმა, ბოროტი ჰქონდა".

მაგრამ ვარჯიშები გრძელდება და ბესამეც თანდათან კარგავს ადამიანურ სახეს. მწვრთნელი რექსაჩი, რომელიც სადისტი მასწავლებლის გავრცელებულ სახეს გვაგონებს, მეთოდურად ზრდის თავის აღსაზრდელებს: „დაუნდობლები უნდა იყვნეთ, ჩემო კარგებო. სხვას თუ დაინდობ, ის არ დაგინდობს და ის არ სჯობია, შენ არ დაინდო, შოშიებო, ჰა?!" და კვლავაც აგრძელებს: „ვატერპოლოში (ე. ი. ცხოვრებაში — ე. ჯ.) ამხანაგობა ვის გაუგია. დაუნდობელი უნდა იყვნეთ, ამდენს ტყუილად ვქადაგებდი?" და მისი აღზრდილნიც თანდათან უფრო მხეცდებიან და დაუნდობლები ხდებიან. მაგრამ ბესამემ, რომელიც მათში ყველაზე უცოდველი და სუსტი იყო, ყველას გადააჭარბა თავისი ფიზიკური ძალით... ამის მიზეზი კი იყო ის, რომ იესოსავით ღარიბმა ბესამემ ვერ შეძლო ქრთამის გაღება და ამით ყველაზე უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ყველა მას ებრძვის — აღსაზრდელებიც და მწვრთნელიც. თავდაცვის ინსტინქტმა კი ის მხეცივით დაუნდობელი გახადა. ბესამე დარწმუნდა, რომ თუ არ გინდა დაიჩაგრო ამ ცხოვრებაში, უნდა გაგაჩნდეს რისხვანარევი ღონიერება, ძალა, სიძულვილი და, რაც მთავარია, სითვალთმაქცე. მწერალი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით და ჭეშმარიტი მხატვრის ნიჭიერებით გადმოგვცემს იმ სცენას, როცა ბესამეს ჩახრჩობა სურთ მის ყოფილ მეგობრებს და ეს უკანასკნელიც თავდაუზოგავად ებრძვის მათ. ამ მოთხრობაში ნიჭიერებით განხეულებული მრავალი დეტალია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს კონტექსტი სრულყოფილებით ყველას აჭარბებს. ვგონებ, მიზეზი ამისა, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ მთელ მოთხრობაში ეს სცენა ერთადერთია, როცა ავტორი არ ცდილობს შექმნას ხელოვნური დისტანცია და მკითხველიც აღწერილს უშუალოდ აღიქვამს. ეს კონტექსტი ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას იძენს და მკითხველის თანაგანცდას იწვევს. სხვანაირად რომ ვთქვათ, აქ ტრადიციულ, თუ გნებავთ, მიმეტურ ხელოვნებასთან გვაქვს საქმე. ვიღაცას შეიძლება გაეღიმოს, ტრადიციულ ლიტერატურაზე აღზრდილ მკითხველს მოსწონს ტრადიციულად ხორცშესხმული ადგილიო. მაგრამ, ჩვენი ღრმა რწმენით, ეს ადგილი იმიტომ კი არ არის საუკეთესო, რომ კათარზისს იწვევს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მხატვრული განსხეულების მაღალ ნიჭიერ დონესთან გვაქვს საქმე. მისი კითხვის დროს აშკარად იგრძნობა შემოქმედის დიდი უნარი ამგვარი წერისა. ერთი სიტყვით, იგრძნობა სილაღე და თავისთავადობა. ვინმეს შეიძლება გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ, ვგონებ, ამ ადგილის წერის დროს გ. დოჩანაშვილი თავის შინაგანობას, მეობას წარმოაჩენს. ის რჩება თავის თავთან და განთავისუფლებულია იმ ხელოვნური პოზისაგან, რომელიც ამ მოთხრობაში განსაკუთრებული სიმძაფრით აღიქმება.

მაგრამ მივყვეთ მთავარ სიუჟეტურ ხაზს: ვარჯიშმა შედეგი გამოიღო, ბესამე გახდა საყოველთაოდ ცნობილი წყალბურთელი, რომელიც დიდი პოპულარობით და საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს. აქ მწერალს ზოგადად ის აზრი აქვს გატარებული, რომ ეპოქაში, როცა დაკარგულია და არაა გამოკვეთილი ჭეშმარიტი იდეალები, ხელოვანზე უფრო მეტად აფასებენ სპორტსმენს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ბესამე დაუნდობელ მხეცად იქცა. მასში ნატამალიც აღარ არის ძველი სიწმინდისა და სათნოებისა. ჩვენ ზემოთ ხშირად ვახსენეთ სიტყვა მხეცი, მაგრამ არა როგორც ეპითეტი, არამედ მოვლენის არსის ზუსტად გამომხატველი. ამ ძალდატანების შედეგად რომ ადამიანი მხეცად იქცევა, ამაზე კარგად მეტყველებს ერთი საინტერესო ეპიზოდი: რექსაჩი

ხშირად გაირეკავდა თავის აღსადგენლებს ქალაქში და ამაყად დასეირნობდა. „მაგრამ ერთხელ, წაბლის ყიდვისას, ფრიად უცნაური სანახაობის მოწმენი გახდნენ — ამაზრზენი რამ ღრენა მოესმათ; მიიხედეს და, ადამიანი იყო, ოღონდ ზედმეტად კუნთოვანი, თუჯკაცა, რექსაჩიც მთლად აიწურა, სადი კბილები გამოაჩინა, მოიხარა და დაუნდობელი ნახტომისათვის განემზადა, ისიც, უცნობი ორფეხი, მორკალული და თმა-წარბაშლილი, ძალიან ავად იღრინებოდა, და აი, ასე შესცქეროდნენ ერთურთს, მაგრამ რექსაჩმა მაინც იმარჯვა, ძალუმი თვალით მაინც გატეხა იმის მზერა და შედარებით ხუსტი ღრენით სულ უკან-უკან ნელა გაბობღდა აის უცნობი, ქუჩის კუთხეც და მიეფარა თვალს, ბალღებმა შვებით ამოისუნთქეს, ხოლო ფრანსისკომ, მთლად წამხდარმა, როცა ხავილით ძლივს იკითხა: „ვინ იყო ძიოვ“...რექსაჩმა დიდის თავმომწონებითა თქვა: — აი, ეს ჩემი საუკეთესო მოწაფე იყო“. და რა გასაკვირია, რომ ადამიანობადაკარგული ბესამე, გამდიდრებული და სიმრუშის ჭაობში ჩაფლული, ტყედ მიმავალ თავის პირველ სიყვარულს, უმწიკვლო რამონას, ნადირივით ამოიდებს იღლიაში და მიათრევს ნამუსის ასახდელად. ბესამეს ქცევიდან თუ სიტყვებიდან აშკარაა, რომ მოხდა მისი მეტამორფოზა, ის მხეცად, ნადირად იქცა. მაგრამ ამ დროს გამოჩნდება მოხუცი მუსიკოსი, რომელიც დინჯად მიმართავს თავის ყოფილ მოწაფეს: „ადამიანი იყავი ერთ დროს და რამ გაგამხეცა“. მოხუცი მუსიკოსი ჯადოქარივით მოქმედებს ბესამეზე და მას კვლავ ადამიანურ სახეს უბრუნებს. სიმბოლურად არის დახატული ფინალი. მოძღვარს ბესამე შეჰყავს გომურში, სადაც „ჩამყაყებული, დამძიმებული, ობმოდებულად წებოვანი რამ სუნი იდგა... და აქ, ამ უწმინდურ შენობაში, ბინძურ უკუნეში, მუხლებამდე ზიზღში იდგა და იდგა, ხელთ კი ფლეიტა დაეჭირნა, ისეთი სუფთა, გრილი, შიშველი... უფრო დამძიმდა მოხუცის ხელი, ჭანგები მხარში ესობოდა, ეგება შველას უპირებდნენ, აფრენას მაღლა... შხამი და ლორწო კი დაბლისკენ ეზიდებოდა, მთლად წაბილწული სუნთქვა ეკვროდა, რა იყო მაინც ასეთი სუნი! ასეთი უნდო, ასეთი მჟავე, გამოსავალი სად იყო ნეტავ — მიიდე პირზე და ეამბორე“. ეს სიმბოლური კონტექსტი ადვილად ასახსნელია. თანამედროვე ცივილიზაცია კარგს არაფერს უქადის ადამიანს, რომლის უმწიკვლო და უცოდველი სული, ძალმომრეობის და უხეში ფიზიკური ძალის წყალობით, ჭუჭყში და ბნელეთში ეფლობა. ადამიანი კარგავს თავის უმაღლეს თვისებას — სიკეთეს და კაცთმოყვარეობას და დაუნდობელ ნადირად გვევლინება. მაგრამ ხელოვნების მეშვეობით ანუ ამაღლებულის წყალობით, იბრუნებს თავის დაკარგულ პირველ სახეს. ბესამე გაურბის ცივილიზებულ ქალაქს, სადაც პოლიტიკური ძალმომრეობა [illegible] ზიკური ძალა, ფული და ჭუჭყი [illegible] უბრუნდება სოფელს, რომელიც პირველყოფილი უცოდველობის სიმბოლოდ გვევლინება. უნდა ვაღიაროთ, ასეთ ტრადიციულ ფინალს ამ მოთხრობის კითხვისას არ მოველოდით. ალბათ, ესეც ავტორის გარკვეულ თვალსაზრისზე და მის წერის თავისებურ მეთოდზე მიგვითითებს.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ გ. დოჩანაშვილი ამ მოთხრობაში არ ცდილობს, ინდივიდუალური ხასიათების ფსიქოლოგიური სიმართლით და დამაჯერებლობით დახატვას. ის წარმოაჩენს ერთგვარ სქემებს, რომლებიც, ავტორის ჩანაფიქრით, მკვეთრად გამიჯნული სიკეთის ან ბოროტების სიმბოლოებს წარმოადგენენ. უფრო მეტიც, ამ ნაწარმოების ზოგიერთი გმირი, მაგალითად რამონა, მოკლებულია ონტოლოგიური არსებობის საფუძველს. ის თითქოს თავისთავად არ არსებობს და მხოლოდ სხვა პირთა, კერძოდ ბესამეს, სუბიექტური აღქმით წარმოდგება ნაწარმოებში. ამიტომაც ის, სიტუაციურად აღძრული შეგრძნებით გამოწვეულ ემოციების მიხედვით, სხვადასხვაგვარად წარმოჩნდება ჩვენ წინაშე: ოთახის რამონა, ჭიშკრის რამონა, დილის რამონა, ბინდის რამონა, ჭალის რამონა, ნდობის რამონა, თანაგრძნობის რამონა, სიზმრის რამონა, მაღალფარდოვნების რამონა და კიდევ სხვა ათასგვარი რამონა. მაგრამ მას მწერალი თითქმის არსად არ იხსენიებს, როგორც, უბრალოდ, რამონას, ე. ი. თავისთავად არსებულ პირს. პერსონაჟის ხატვის ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, იმპრესიონისტული ხერხი გავრცელებულია თანამედროვე დასავლეთის ხელოვნებაში.

ერთი სიტყვით, მწერალს არ განუზრახავს ამ მოთხრობაში ხასიათების შექმნა და მათი განვითარების გადმოცემა. ის გვთავაზობს სქემა-იდეებს, რომლებიც უჩვეულო სიტუაციებში მოქმედებენ და ამ მკვეთრად გროტესკულ, არაბუნებრივ სიტუაციებში ხდება მთავარი მოქმედი გმირის მეტამორფოზა, რითაც მწერალი პრობლემის არსს, სათქმელის იდეას წარმოაჩენს და ამიტომაც სწორედ მასზე (მეტამორფოზაზე) გადააქვს მთელი ყურადღება. წარმოსახვის ასეთი მეთოდიც თანამედროვე დასავლეთის ლიტერატურიდან არის აღებული.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ, მწერალი სათქმელს ისე გადმოგვცემს, რომ თითქოს არც ერთი ეპიზოდი (ზოგიერთი ადგილის გამოკლებით) არ გვიქმნის რეალური ცხოვრების ილუზიას. მაგრამ გ. დოჩანაშვილი ამით არ კმაყოფილდება. მას შემოაქვს მეორე დამატებითი სიუჟეტური ხაზი, რომელიც დროდადრო კვეთს განვითარების ძირითად ღერძს, ალოგიკურობის და უაზრობის ელემენტი, შეაქვს მოთხრობის მთლიან კომპოზიციაში. ავტორი აფრედერიკ მეს სახელით, რომელიც ერთდრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულად ავტორიც არის და სხვა პირიც, ალბათ, იმის შიშით, რომ მკითხველისათვის ყველაფერი გასაგები და ჩვეულებრივ აღსაქმელი არ გახდეს, მართავს დიალოგს კარმენთან. ეს დიალოგი, რომელიც მხატვრული სტრუქტურის ყოველგვარი ლოგიკის გარეშეა ჩართული ნაწარმოებში, წარმოადგენს მხატვრული პირობითობის ისეთ დონეს, სადაც იგნორირებულია დროის, სივრცის, რაციონალური აზროვნებისა და მიზეზ-შედეგობრივ მიმართებათა ყოველგვარი ელემენტი. აფრედერიკ მე თამბაქოს ნაწარმის „კარმენის" მეშვეობით ესაუბრება რომანტიკული ელფერით გაცოცხლებულ კარმენს და ამ გზით მოთხრობის სტრუქტურაში შემოაქვს, ავტორისავე სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ფანტასტიკური მოვლენები". უფრო მართებულად რომ ვთქვათ, აბსურდის ელემენტი, აი, თუნდაც ეს ადგილი, ნაწარმოების დასაწყისში მოულოდნელად ჩართული: „აქ აფრედერიკ მეს ცოტათი მოგვიშივდა და გაახსენდა, ფანტასტიკურ ნაწარმოებში ფანტასტიკური მოვლენებიც საჭირო როა, ხოლო დანიშნულება ესე დააკისრა ისეთ მარტივ და ამ შემთხვევაში უწყინარ საგანს, როგორიცაა სიგარეტი და, მაშინვე თამბაქოს ნაწარმი „კარმენი" (ნამდვილი კარმენიც აკი თამბაქოს ქარხანაში მუშაობდა ერთხანს, სანამ მოლიპულ გზას საბოლოოდ დაადგებოდა) გახსნა, ამოიღო ორი ღერი სიგარეტი, სამკუთხა ტაფაზე დადო, კარაქით შესწვა და მიირთვა კიდეც, რადგან ზემორემოტანილი ამბავი ცოტათი მწარე და ღვარჭნილი გახლდათ". მერე აფრედერიკ მე სიგარეტი „კარმენიდან" ღვინოს ასხამს, თვითონაც სვამს და ჩვენც გვასმევს. შემდეგ მოთხრობილია, როგორ უყვარდა კარმენს „ცეცხლთან თამაში როგორცვე სოფლად, ასევე ქალაქში", როგორ დაადგა ის მოლიპულ გზას და როგორ აუვა კონტრაბანდისტებს, როგორ მიატოვა სიგარეტის ფაბრიკა, ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული და შრომითი გზიდან სადღაც ჯაგნარში გადაუხვია. მწერალი კიცხავს მას, რომ მშობლების ზრუნვა არ დააფასა და მრუდე გზას დაადგა და ა. შ. ეს პაროდიული ლირიკული წიაღსვლა და აქ დაღვრილი იუმორი, რომელიც ზოგჯერ ძალზე ულიმღამოდ გამოიყურება, თანამედროვეობის ზოგიერთ მორალურ-ზნეობრივ საკითხს და მის ობივატელურ გააზრებასაც კილავს, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ გადამკვეთი „ლირიკული წიაღსვლის" ძირითადი მიზანი ნაწარმოებში ალოგიკური, აბსურდული ელემენტის შემოტანაა და ძირითადი სიუჟეტური ხაზის, რომლის განვითარებაც მეტ-ნაკლებად ემორჩილება სინამდვილის ახსნას და მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებს, დანაწევრებაა. ის კიდევ ერთხელ დამაჯერებლად მიგვანიშნებს, რომ ხელოვნება და, საერთოდ, ცხოვრება აბსურდია და მეტი არაფერი. აბსურდის ხელოვნებასა და თეატრში ასეთი ხერხი ძალზე ბუნებრივია და გარკვეულ აზრისა და განწყობის შესაქმნელად არის მიმართული. მაგრამ ამ მოთხრობის სტრუქტურაში, ჩვენი აზრით, მას აკლია ფუნქციური დანიშნულება და არ ემსახურება მოთხრობის ძირითადი პრობლემის ახსნას და მწერლისეული ჩანაფიქრის განვითარებას. უფრო მეტიც, ის ერთგვარად ყურით მოთრეულს ჰგავს და ხელოვნურ, ნაძალადევ შთაბეჭდილებას სტოვებს. ჩვენ პირადად გვეჩვენება, რომ ამ მხატვრული ელემენტის გაჩენას ნაწარმოებში ხელი შეუწყო მხოლოდ მწერლის განათლებამ და დასავლეთის ლიტერატურით ზედმეტმა გატაცებამ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ნაწარმოები გროტესკია, სადაც ტრაგიკული და კომიკური ერთ სიბრტყეზე ერთად არის წარმოდგენილი, საერთოდ, ტრაგიკულისა და კომიკურის ურთიერთაღრევა, როცა საშინელი სასაცილოდ არის წარმოსახული, ანდა, პირიქით, სასაცილო საშინელში გვახედებს, თანამედროვე დასავლური ლიტერატურის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ, ამჯერად, ჩვენ გვაინტერესებს ის, რომ .გ. დოჩანაშვილის ამ მოთხრობაში პაროდიული დამოკიდებულება იგრძნობა ყველაფრისადმი და განსაკუთრებით კი ტრადიციულისადმი. ასე განსაჯეთ, ირონიით არის დაგესლილი თვით იუმორიც და, რაც მთავარია, ქართული ენის ბუნებრივი ნორმები. როცა მწერალი ასეთ პოზიციას ირჩევს, ბუნებრივია, რომ მისი მხატვრული განსხეულების მთავარი იარაღი იუმორი და ნატიფი სიცილი უნდა იყოს. მაგრამ იუმორი ადამიანისათვის ისეთივე თანდაყოლილი ნიჭია, როგორც, მაგალითად, ლექსის წერის უნარი. ამიტომაც ყველას როდი ხელეწიფება იუმორის მხატვრულ დონეზე აყვანა. ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება ხოლმე ის პირი, ვისაც ვერ გაუგია, რომ იუმორის ნიჭი არა აქვს და ცდილობს საზოგადოებას ოხუნჯობით თავი მოაწონოს. შეიძლება გადაჭარბებულად მოგეჩვენოთ, მაგრამ, ჩემი აზრით, გ. დოჩანაშვილს უმეტესწილად ღალატობს იუმორის გრძნობა და ისე ხუმრობს, რომ მკითხველი უხერხულად იშმუშნება. ნაწარმოების დასაწყისშივე ავტორი გვაგრძნობინებს, რომ მისთვის იუმორი ერთ-ერთი წამყვანი საშუალებაა და ასე იწყებს წერას: „...ამ შემეცნებით გამხნევებულმა, გააპიპინა რა ლურჯი მელანით (შავი ვერ იშოვა) ზემორე— ნახსენები ფერის კალამ-კალმისტარი, მაგიდას მიუჯდა და იქავ, აღმოაჩინა, რომ ამ უკანასკნელ ავეჯის საწერობასთან ერთად ამბის ხორცშესხმისათვის საჭიროა სკამიც, და სინათლეცა და მხედველობაც. აგრეთვე მარჯვენა ხელი, და სხეულის სხვა ათასი წვრილმანიც, დაწყებული თავით და დამთავრებული იმით, რითაც სკამზე უნდა დაჯდე". არ ვიცი, სხვა მკითხველს რა გრძნობა ეუფლება ამ ადგილის წა-

კითხვის დროს (იუმორის აღქმასაც ნიჭი უნდა), მაგრამ მე პირადად მგონია, რომ ასეთი ნაძალადევი, არაფრისმთქმელი ოხუნჯობა არ ეკადრება გ. დოჩანაშვილის ნიჭს. ვინმე შეგვახსენებს, ეს იუმორზე შექმნილი პაროდიააო. კი, ბატონო! მაგრამ ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო ნატიფი იუმორის გრძნობა უნდა ამჟღავნებდეს მწერალს. ამ ნაწარმოებში კი ეს არსად არ შეიმჩნევა. ვფიქრობ, ავტორმა ვერსად ვერ შეძლო ისეთი კომიკური სიტუაციისა და ფრაზობრივი კონსტრუქციის შექმნა, რომელიც გემოვნებით დაჯილდოებულ მკითხველს გაალიმებდა. ნაწარმოებში ჩატანილია სქოლიოები და მოცემულია ახსნა, მაგალითად, „მეზამე ხაზის დამამზადებელს ნიშნავს, ხაზი კი — საჭმელია ერთგვარი", რომელიც ძირითადად გამიზნულია სიცილის გამოსაწვევად, ვერ აღწევს თავის მიზანს; ზოგჯერ მწერალი ეთიკურ ჩარჩოებს სცილდება და ამით სურს იუმორის არსში თუ დღევანდელობაში ჩაგვახედოს. აჰა, მაგალითად:

— „როგორ შემეწვევინებინა, მზარეული არ იყო...

— სად იყო. ვირიშვილი ეგ.

— აბა მე რავი, სად იყო.

— აჰ, ეგ ჩათლახი* (აქ სქოლიოში განმარტებულია, რომ ჩათლახი ცუდი სიტყვაა). აღნიშნა რექსაჩმა, მერე დასძინა.

— ნულარ ტირი, ძამიკო ხვალამდე გასძელ, და სამ ულუფას მოვაცემინებ.

— და ხვალამდე კი რა ვქნა?

— როგორ, მახათი არა გაქვს ძამიკო".

ახლა გავკადნიერდებით და ავტორის სტილითვე ვიკითხავთ: სად გავიცინოთ?! მსგავსი მაგალითის მოხმობა მრავლად შეიძლება, მაგრამ მოკლედ ვიტყვი, რომ ნაწარმოების სიცილი ვერ იძენს იმ აუცილებელ ზემოქმედების უნარს, რომელიც ასე რიგად სჭირდება ამ ტიპის ნაწარმოებს და, საერთოდ, მოთხრობაში დაღვრილი იუმორი იმ სიღრმეს მოკლებულია, ჭეშმარიტ ხელოვანს რომ უნდა ამჟღავნებდეს და უბრალო ოხუნჯობად გვევლინება, რაც დიდ ნაკლად უნდა მივიჩნიოთ.

ლიტერატურულ კრიტიკაში აღნიშნულია, რომ გ. დოჩანაშვილი ამ მოთხრობაში გაუცხოების მრავალ ხერხს მიმართავს. მართლაც, მწერალი მრავალ „ილეთს" იყენებს, რათა განცვიფრებით დასცეს მკითხველი. ჩვენ ამ ხერხებზე აღარ შევჩერდებით, რადგან სიტყვა გაგვიგრძელდა. მაგრამ ნაწარმოების ენაზე აუცილებლად უნდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, ის გარემოება, რომ გაუცხოებულია მოთხრობის ჟანრი. ეს ვრცელი ნაწარმოები დაწერილია ისე, რომ თხრობა და თავისუფალი ლექსი ურთიერთს ენაცვლება და ერთი წაკითხვით გაგიჭირდებათ აღიქვათ, სად მთავრდება პროზა და სად იწყება ლექსი; რადგანაც პროზაულ ნაწილშიც შეიმჩნევა გარკვეული რიტმი — [illegible] ლიბრში გადასვლის დროს არ არის მკვეთრი ინტონაციური მიჯნა გავლებული და არც რაიმე გრაფიკული ნიშანი მოქმედებს. აი, მაგალითად: „...ის მიდიოდა დიდი ტახტისაკენ; ბესამე კარით სუნთქვაშეკრული, მიაბიჯებდა დიდი ტახტისაკენ, რომელზედაც რომ მისი კუთვნილი, ჯერაც გემო და გულვერჩატანებული მოგრძო საკრავი, ხავერდის ნაჭრით შემოხვეული, იდო, და ეს ბესამეც გზადაგზა, იმ მცირე, მაგრამ ისე საოცრად აღმომჩენად ექვსნაბიჯოვან გზაში ბევრს რასმე უფიქრალად და უგანსჯოდ მიხვდა. იმ ნაჭერს სახოებით დასწვდა, გამოანთავისუფლა საკრავი და ხავერდი შუბლზე შემოიხვია. ირიბად გაინასკვნა საფეთქელთან. ფრთხილად ასწია ახლადშობილი თითქოს ფლეიტა, უჟურა ერთხანს, ავსო სული, მერე ტუჩებთან მიიტანა და მაშინვე მიხვდა, რომ აქ პირველად, სულ პირველად, კი, კი, პირველად, რომ ეამბორა და ავსებული სულიც შთაბერა... იმა გრძნეულმა ჯადოქარმა თავისი უცხო, სევდის ლაშქარი ბგერებად დასძრა, გამჭოლ სირბილედ მოედო ჰაერს ყველაზე მეტად კეთილშობილი ლითონი — ვერცხლი. მართლა უკრავდა ახლა ბესამე, სუყოველივე გაეცლინთა იდუმალ წუხილს, უცხო ბილვები ჩაელვარა სიზმრის რამონას, ხოლო ეზოში დიდი მოხუცი გრილ ხესთან იდგა, ხისათვის მძლავრად მოეხვია ნაცადი ხელი". ასეა დაწერილი მთელი მოთხრობა. პროზა გადადის თავისუფალ ლექსში, ლექსი კი პირიქით. ჩვენთვის გაუგებარია, რა მიზნით ჩადის ამას ავტორი. იგი უგულებელყოფს მოთხრობის დაწერის ტრადიციულ მანერას, მაგრამ რა შედეგი მოყვება ასეთი სტილით წერას? ამ მოთხრობის მხატვრული ჩანაფიქრისთვის არაფერი (მე ვფიქრობ, რომ აქ ჩართული ვერლიბრით ავტორს არ აქვს პრეტენზია — პოეტური შედევრების შექმნისა!..), გარდა იმისა, რომ მძიმე და ღვლარჭნილ სტილს, კიდევ უფრო ამძიმებს და ნაწარმოებს ძნელად წასაკითხავ მოთხრობად აქცევს. ესეც, ჩვენი აზრით, დასავლელი მწერლების მიბაძვით კეთდება. შესაძლებელია მწერალი იმ პრინციპით ხელმძღვანელობს, რომ ძნელად მოსაკრეფი ხილი, უფრო გემრიელიაო. მაგრამ განა ყოველთვის ასეა ხელოვნებაში, განა ხელოვნური გართულება ამჟღავნებს ჭეშმარიტ მხატვრულ ქმნილებას. ანდა რა პერსპექტივა აქვს ზოგადად წერის ასეთ მანერას?! ვფიქრობ, არავითარი. ყველაფერს თავის სახელი უნდა დავარქვათ — მოთხრობასაც და ლექსსაც. მათი ურთიერთში აღრევა და ამით ერთგვარი ხელოვნური სირთულის შექმნა, რაც თითქოს მწერლის მხატვრული შემოქმედებითი მეთოდის ორიგინალურობაზე მეტყველებს, უმეტეს წილად ან სათქმელის უქონლობის გამოა, ან ტენდენციის ერთგვარი საფარია, ანდა, უბრალოდ, ზედმეტი ორიგინალობის ბრალია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენშიც და

ეროვნული

ხსვაგანაც ასეთი რამ დროებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

საერთოდ, ამ ნაწარმოების ქართული იმდენად „გაუცხოებულია", რომ სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. ავტორი შეგნებულად ართულებს, შეიძლება ითქვას, ამახინჯებს ენას, მისი სინტაქსი მოკლებულია ყოველგვარ ბუნებრიობას და ისეა დახერგილი, რომ აბსურდამდე დადის და მკითხველმა თავი უნდა იმტვრიოს, რათა გაუგოს მწერალს. აი, თუნდაც ეს ადგილი: „ხოლო ფლეირეს მთავრის ხალუქი, ვერცხლად თხიური სული ედგა და, მთვარის ხილულად იდუმალ შუქზე, ღამის ციაგა ხასოებაში, მქრქალ წუხილისას უფრო ჟღერდა და, იიმ ფლეიტას შედგომილი ჩვენი ბესამე, უიმნატიფხმოდ ლამლამობითაც კი ველარ სძლებდა, და იმ განაბულჯადოქრიანი საკრავით ხელში, მიძინებული ქალაქის — ჭრელა-ჭრულა და ამოუცნობი, მომასწავებელი მრავლის — ტლანქად უწონო სიზმრები რომ არ შეეწუხებინა, სუნთქვაშეკრული ადიოდა კასერესას აღქმულ ბორცვზე და ღამის პეშვში ფრთხილად ჯდებოდა, რათა დაეკრა იქ". ასეთი სტილითაა, თუ შეიძლება ამას სტილი უწოდოს კაცმა, დაწერილი მთელი მოთხრობა. მაგრამ გ. დოჩანაშვილი უფრო შორს მიდის. ის საერთოდ უგულებელყოფს ქართული ენის ნორმებს და გრამატიკის ნომინალურ წესებს და ზოგჯერ ირონიითაც ლაპარაკობს მათზე. გ. დოჩანაშვილი ქმნის ისეთ კომპოზიტებს თუ ფორმებს, რომელთა დანიშნულება მხოლოდ ის არის, რომ გააოცონ და გააკვირონ მკითხველი, ახე, მაგალითად: სადღაცას, მაინცცოტათიოდნავთითქოსდაიქნებ, მიმოფანტასტე, მიმოიარე, ცხელიანი, გულვერჩატანებული, ექვსნაბიჯოვანი, ჟანგბადოვნად მანათოებული, კეთილად ნაშობშობილებავ, კეთილშობოვადშობილებავ, მიმოძინებული, მიმოწყენილი, ღამისღამინდელი, იქოვანი, დაწინაურაწინარეულ-ჩინმენდლებიანი, მომცრო-არშიყულ შეხლა-შემოხლით, პირ-დაბნეულ-გახარებულღიმილიანნი, გულისულშიგან შემატიკვარნი, და სხვა მრავალი...

მკითხველს ბუნებრივად გაუჩნდება კითხვა, რა მიზნით ქმნის მწერალი ასეთ ფორმებს? ეს სიტყვები იძენენ თუ არა ახალ სემანტიკურ დატვირთვას მხატვრულ კონტექსტში? ვფიქრობთ, არა. ფაქტი ერთია, გ. დოჩანაშვილი ცდილობს სიტყვას საერთოდ მოუხსნას აზრობრივი ფუნქცია, არაფრის გამომხატველად აქციოს. როცა ამას თავისი შექმნილი ლექსიკური ერთეულებით ვერ ახერხებს, მაშინ ის გვაძლევს ისეთ სიგმატიკურ წყვილებს, რომელთა შორის მოშლილია ლოგიკური კავშირი. ამავე დროს, ის უადგილოდ ხმარობს უაზრო ეპითეტებს, მაგალითად, ნატიფად უხეში, მარტივი ლოგინი, დიდად ობოლი, ხალუქად საშიში, მოთმოდ დამზრენი, ნატიფად უილაჯო, მშრალად ლბილი, უხამსოდ მოტკბო და სხვ. ამას თუ [illegible] ჭერაც გაუგონარ ზმნურ ფორმებს (შეაზუხტა, ამოესმოდა, მტკივიხარ, აწრუწმაწუნე და სხვ.) და ნაცვალსახელთა შეგნებულ არამართებულ ხმარებას, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ „ამსხვრევს" მწერალი ქართულ ენას.

რაღა თქმა უნდა, ავტორი ამას შეგნებულად აკეთებს. მას სურს ენის დეფორმაციით შექმნას გარკვეული მხატვრული ელემენტი, რომელიც მწერლის ქვეტექსტური აზროვნების ახსნას ხელს შეუწყობს. ვფიქრობთ, გ. დოჩანაშვილი იმდენად არ გაკადნიერდება, რომ საერთოდ აბუჩად აიგდოს ქართული ენა და მისი გრამატიკული ნორმების დაცვა. (თუმცაღა ის ხშირად ირონიით საუბრობს გრამატიკაზე და მის მკვლევარებზე). საკუთრივ, რას აკისრებს მწერალი ამ ენის „დამსხვრევას"? მწერალს რამდენიმე ჩანაფიქრი აქვს. ჯერ ერთი, ის ცდილობს ამ უცნაური ფორმებით თავისი ირონიული პოზიცია წარმოაჩინოს მოთხრობაში აღძრული საკითხებისადმი და თავად მკითხველიც განაწყოს ასე. მეორეც, მას სურს, ენას დააკისროს გაუცხოების ფუნქცია. მისი აზრით, ეს უცნაური ფორმები კიდევ უფრო ანელებს მოთხრობილი ამბის რეალურობის ილუზიას და, ბოლოს, რაც მთავარია, მწერალი ცდილობს შემოიტანოს აბსურდის ელემენტი, რათა მკითხველს ამ გზით კიდევ უფრო ნათლად დაანახოს სამყაროს უაზრობა და აბსურდულობა.

ზოგადად, ასეთი სტილით წერამ თანამედროვე დასავლურ მწერლობაში კარგა ხანია მოიკიდა ფეხი. ზოგიერთი მწერალი (ჯოისი, არნო შმიტი, ბეკეტი, იონესკო და სხვ.) შეგნებულად ამსხვრევდა ენას და ამ „მსხვრევას" გარკვეულ სემანტიკურ ფუნქციას აკისრებდა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ენის წინააღმდეგ „გალაშქრება" განსაკუთრებით შეიმჩნევა აბსურდის თეატრის მიმდევრებთან. მათი აზრით, ენას უკვე აღარ შეეძლო კომუნიკაციის ფუნქცია შეესრულებინა, ის კი არ აკავშირებდა ადამიანებს, არამედ აცალკავებდა მათ. ამიტომაც ისინი მიმართავდნენ ათასგვარ ხერხს, სიტყვათა აბსურდულ თხზვას და შეთანხმებას, რათა მწერალსა და აუდიტორიას შორის ურთიერთგაგება მოშლილიყო. მაგრამ, აბსურდული ხელოვნების ამ სწრაფვას, რომელმაც დიდი დავა და კამათი გამოიწვია, საფუძვლად ედო მსოფლმხედველობრივი სისტემა. მათი რწმენით, სამყარო წარმოადგენს აბსურდული ელემენტების ჯამს, რომელიც ქაოტურად არის ურთიერთთან დაკავშირებული. ისინი ფიქრობენ, რომ ყოველგვარი მოვლენა ქაოტურ და აბსურდულ ხასიათს ატარებს და არავითარ შემთხვევაში არ აიხსნება მიზეზ-შედეგობრივ მიმართებათა ლოგიკით. ამიტომ ამ უაზრო და აბსურდულ სამყაროში ყველაფერი და, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ენაც აბსურდული უნდა იყოს, რადგანაც მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

(აბსურდულ ენას) უფრო მეტად შესწევს ძალა გარეგნულად მოწესრიგებულ, მაგრამ შინაგანად უაზრო და აბსურდულ ყოფაში ჩაგვახედოს.

მაგრამ. რამდენადაც მე მესმის, გ. დოჩანაშვილი ჭერ არ დგას აბსურდული ხელოვნების მიმდევართა პოზიციაზე. ყოველ შემთხვევაში, ამ მოთხრობიდან ეს არ ჩანს. მწერლისათვის შესაძლებელია მისაღები არ იყოს ეს თუ ის კონკრეტული საზოგადოებრივი ფორმაცია, მაგრამ ზოგადად სამყარო, თავისი ყოფიერებით მისაღებია და მოხაწონია. მისი ღრმა რწმენით სიკეთე ბოლოს მაინც გაიმარჭვებს ბოროტებაზე. ამაზე მეტყველებს თუნდაც ამ მოთხრობის ფინალი. აი, ამიტომაც, ჩემი აზრით, ამ ნაწარმოების ქართულმა ვერ შეასრულა ის ფუნქცია, რომელსაც მწერალი აკისრებდა მას, და ავტორის მსოფლმხედველობას მოწყვეტილი და მოკლებული, უბრალო თვითმიზნურ კეკლუცობად იქცა. უფრო ხხვანაირად რომ ვთქვათ, შემოგვრჩა ფორმა, რომელიც მხატვრულ ფუნქციას ვერ ასრულებს ნაწილის მთელთან მიმართებაში. გამოდის, რომ მწერალმა ენის „გაუცხოებით" ვერ შესძლო ვერც ამბის გაუცხოება, ყოველშემთხვევაში, ამ „მიმოგადმოქართულით" ვერ შექმნა მხატვრული დისტანცია, რისკენაც მიისწრაფოდა ავტორი. მან ვერც იუმორი ჩააქსოვა ამ ახალ სიტყვათა თხზვაში და ვერც აბსურდული განწყობა შემოიტანა ნაწარმოებში. ერთი სიტყვით, ამ ხერხით მან თავისი მსოფლმხედველობრივი პოზიცია კი არ წარმოაჩინა, არამედ, პირიქით. სავსებით გაუგებარი გახადა მკითხველისათვის.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ამ ნაწარმოებში მწერლის წიგნიერების გამო ბევრი რამ არის დამკვიდრებული, რომელიც ხელოვნურად და უადგილოდ გამოიყურება მოთხრობის მთლიან კონსტრუქციაში. წიგნიერება უწიგნურობას სჯობია, მაგრამ ხანდახან ცოდნაც ვნებს ნიჭის თვითმყოფადობას. ხშირად სხვათა თაყვანისცემა და ზედმეტად გატაცება საკუთარს გვავიწყებს, სხვის უმნიშვნელოს ვეთაყვანებით, ჩვენს საკუთარ სიდიადეს ვერ ვხედავთ.

სიტყვა გამიგრძელდა, ამიტომ დასკვნის სახით ერთ ცნობილ ჭეშმარიტებას გავიმეორებ: ლექსი და მოთხრობა ვერც ღრმა განათლებით და ვერც წესთა ცოდნით დაიწერება, ამისათვის უბრალო რამ არის საჭირო — ნიჭი! გ. დოჩანაშვილს ნიჭი არ აკლია, მაგრამ ზომიერების გრძნობა ზოგჭერ ღალატობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ბათიაშვილი

# თამაზ ჭილაძის პიესები

თამაზ ჭილაძე 60-იანი წლების დამდეგს მოვიდა დრამატურგიაში, იმ ხანებში გამოჩნდა მისი პირველი პიესა „აქვარიუმი“ და აი, დღეს, 80-იანი წლების დამდეგს, თ. ჭილაძე ექვსი პიესის ავტორია. ამ ექვსი ნაწარმოების მიღმა ჩანს გაუნელებელი შრომა, ბრძოლა სიტყვასთან, ძიება აზრის, იდეის მაქსიმალური სიზუსტით გამოხატვისათვის. ერთ პირად საუბარში მითხრა კიდეც — „ბუდე მეცხრე სართულზე“ ექვს ვარიანტად დავწერეო. იგი საოცარი სიფრთხილით ეკიდება სიტყვას, ფრაზას, დრამატურგიულ რეპლიკას აკისრებს იგივე ფუნქციას, რასაც პოეტი — სტრიქონს. თ. ჭილაძე ცდილობს ფრაზა იყოს პოეტური, მრავლისმთქმელი, აზრის სრულად გამომხატველი და მოქნილი.

მისი პიესები, კერძოდ, „მკვლელობაც“, და „მივიწყებული ამბავიც“ ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების თვალსაჩინო ფაქტი გახდა, რადგან 60-იან წლებში თანამედროვეობაზე შექმნილ თითო-ოროლა პიესაში თუ გამოიხატა ჩვენი დროის წინააღმდეგობანი ისე მძაფრად, ისე ცხადად, რაც მთავარია, სიმართლის ისეთი მკაცრი შეგრძნებით, როგორც „მკვლელობასა“ და „მივიწყებულ ამბავში“.

მართალია, მწერლის ღირსება დროსთან ურთიერთობით, დროის მართლაც და სრულყოფილად ასახვაში გამოიხატება, მაგრამ არის კიდევ ერთი მომენტიც — რამდენად სცილდება მწერლის მიერ დასმული პრობლემა კონკრეტულ დროს, რამდენად ზოგადი და, აქედან გამომდინარე, მარადიულია იგი.

ჩვენი დღეების ყოფაზე ბევრი პიესა იწერება, მაგრამ როდესაც ვამბობთ, რომ თანამედროვე თემაზე შექმნილ თითო-ოროლა პიესაში თუ გამოიხატება ჩვენი დროის ტკივილები ისე მძაფრად, ცხადად და სიმართლით, როგორც ეს „მკვლელობასა“ და „მივიწყებულ ამბავშიო“, სწორედ ამ მომენტს ვგულისხმობთ — იმ კონკრეტულ დროში საერთოს, საზოგადოს დანახვის ღირსებას.

პიესა საგაზეთო მასალა არ არის (თუმცა, ბევრს აქტუალობა სწორედ ასე ესმის). დღეს ძალზე საინტერესო ნომერი გაზეთისა, ხვალ შეიძლება გულგრილად გადასდო გვერდზე, რადგან უკვე მოძველდა, აღარ გაღელვებს საშურხაროდ, ასევე გულგრილად გადავდებთ ხოლმე გვერდზე ზოგიერთ ისეთ პიესას, რომელიც ხუთი წლის წინათ საინტერესოდ გვეჩვენებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ იგი მხოლოდ ხუთი წლის წინანდელ ცხოვრებაში არსებულ პრობლემას ამუშავებდა და ამაზე შორს ვეღარ მიდიოდა, დღეს მხატვრული ღირებულებაც დაჰკარგა. „მკვლელობა“ და „მივიწყებული ამბავი“ თავისუფალია ამ სენისაგან, თუ მომავალს სტერეოტიპულად ვუამბეთ დღევანდელობაზე, ამით მხოლოდ ცუდ სამსახურს გავუწევთ თანამედროვეობას, რადგან, შესაძლოა, მასში ვერ აღმოვაჩინოთ მთავარი, არსებითი, ის, რითაც დიდი და საინტერესოა იგი.

დრამატურგია სიმწიფის ხანაა მწერლობისა (შემთხვევით როდი დაერქვა მას „პოეზიის გვირგვინი“). ალბათ, ესეც განაპირობებს იმას, რომ პიესის წერას მოწიფულობის ასაკში იწყებენ, მას შემდეგ, რაც პროზის ან პოეზიის სკოლას გაივლიან.

ვიდრე დრამატურგი გახდებოდა, თ. ჭილაძეს პოეზიის სკოლა ჰქონდა გავლილი — იგი დღესაც ერთ-ერთი საინტერესო პოეტია, რომელმაც თან მოიტანა თავისი ინტონაცია, თავისი ხედვა მოვლენებისა. გამოხდა ხანი და პოეტმა პროზით გამოხატა თავისი სათქმელი. დღეს უკვე ფაქტია, რომ ერთგვარი შემოქმედებითი ზრდის სკოლა გახდა თ. ჭილაძის მოთხრობები მომდევნო თაობის ახალგაზრდა პროზაიკოსებისათვის; და აი, ამ პროცესში დაიბადა პიესა „მკვლელობა“, რომელიც 60-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების, მისი აქ-

ტიური პოზიციის ერთ-ერთი ჩინებული მატარებელია. პოეტისა და პროზაიკოსის ასეთი ფერიცვალება, ცხადია, მოულოდნელიც იყო და საინტერესოც. საინტერესო იყო არამარტო შემოქმედებითი თვალსაზრისით, არამედ პროფესიულად, რადგან ჩვენ წინაშე წარმოსდგა მწერლის ორი სახე — ჭილაძე-პროზაიკოსი და ჭილაძე-დრამატურგი. „აქვარიუმისა", და „მკვლელობის" დაწერის შემდეგ თ. ჭილაძეს სულ სხვა თვალით უნდა შეეხედა თავისი პროზისათვისაც, რადგან დრამატურგიამ მას მოსთხოვა უარი ეთქვა ბევრ რამეზე, მოსთხოვა ხელახლა დაბადებულიყო მწერლად. ამ შემთხვევაში გამოსახვის საშუალებები ერთმანეთს თუ არ უპირისპირდებოდნენ, გამორიცხავდნენ მაინც. ის შემოქმედებითი არსენალი, რაც აქ, პროზაში, ოსტატობის გარკვეული დონის მიღწევისათვის საკმარისად ჩაითვლებოდა, დრამატურგიისათვის მხოლოდ ლიტერატურულ გამოცდილებას თუ ნიშნავდა. ახლა მწერალს უხდებოდა მუშაობა სრულიად სხვა ჟანრში, ეს ჟანრი კი გამოსახვის საშუალებათა სრულიად სხვა არსენალს, სრულიად სხვა ტექნიკას მოითხოვდა. ლიტერატურის ისტორიამ ხომ ბევრი იცის კარგი პოეტის ან პროზაიკოსის მარცხი დრამატურგიაში, და ეს მარცხი უმთავრესად აზროვნების არადრამატურგიული სისტემით არის გამოწვეული. სულ სხვაა ხატებით აზროვნება პოეზიაში, სხვა — პროზაში და სხვაგვარია დრამატურგიაში. ამიტომ გვგონია, რომ უპრიანია ერთი მოსაზრების გამოთქმა (ამის უფლებას გვაძლევს „მკვლელობის" შემდეგ შექმნილი თ. ჭილაძის პროზა) — თ. ჭილაძეს პროზაში მუშაობამ დაუგროვა დიდი ლიტერატურული გამოცდილება, განსაზღვრა და გამოკვეთა მისი შემოქმედებითი მისწრაფებანი. დრამატურგიამ ოსტატობის ახალ სიმაღლემდე აიყვანა იგი, გაცილებით საინტერესო გახადა მისი, როგორც მწერლის, ლიტერატურული პროდუქცია, საერთოდ, რადგან ორ ჟანრში მიღებული გამოცდილების სინთეზი, მისი გათვალისწინება შემოქმედისათვის თვისობრივი სიახლის მანიშნებელია. ამ შემთხვევაში, თ. ჭილაძის ლიტერატურული ცხოვრების პრაქტიკაში კი, ამ თვისობრივი სიმაღლის მიღწევის საიდუმლოება დრამატურგიის ჟანრობრივ თავისებურებაში იმალება — როცა უკვე გამოცდილება დაგროვდა, პრობლემების გარკვეული წრით დაინტერესებული მწერალი ღრმად ჩაწვდა და დაეუფლა დრამატურგიის თავისებურებას. დრამატურგიის სპეციფიკამ მწერალს მოსთხოვა ის, რაც პროზაულ ნაწარმოებთა შექმნისას ჯერ არ დამდგარიყო დღის წესრიგში.

„მკვლელობა" სამოციანი წლების დამლევს დაიწერა. ყოველი ჭეშმარიტი ლიტერატურული ქმნილების ღირსება ის არის, რომ შეგვიქმნას სრული სურათი თავისი დროისა. უფრო მაღალი ხარისხი ამ ღირსებისა კი ის გახლავთ, რომ თანადროულობა მარადიული პრობლემის დონემდე აიყვანოს. ეს ჭეშმარიტი ლიტერატურის ხვედრია. დღეს, როცა ჩვენში ასე აქტიურად ებრძვიან და უარყოფენ იმას, რაც მაშინ, „მკვლელობის" დაწერის დროს ხდებოდა, თ. ჭილაძის ეს პიესა გვაძლევს იმის მაგალითს, რომ მწერალმა ყოველ ვითარებაში უნდა თქვას მართალი სიტყვა. სწორედ ამით მოიპოვებს იგი საზოგადოების ქომაგის, მკურნალის რეპუტაციას.

„თვალდახუჭული სიკეთის დრამა" უწოდა ამ ნაწარმოებს თავის დროზე აკაკი ბაქრაძემ. სწორედ მაშინ, როცა დიდი თავგამოდებით იბრძოდნენ რუსთავის თეატრში განხორციელებული ამ პიესის სცენური სიცოცხლის წინაალმდეგ. აკ. ბაქრაძის ამ სიტყვებში დევს „მკვლელობის" ახსნის გასაღები. ამით აქცენტი გადატანილია არა ე. წ. უარყოფით პერსონაჟზე — გაიოზზე, არამედ ამ დრამის მსხვერპლზე — გიორგი სიხარულიძეზე. გიორგი სიხარულიძე არ არის გაიოზის მსხვერპლი. ეს პრიმიტიული გაგება იქნებოდა ამ პიესისა. გიორგი სიხარულიძე გაიოზს არ მოუკლავს, იგი მოჰკლა იმ ატმოსფერომ, რომელიც მის ირგვლივ სუფევდა. იგი მოჰკლა საზოგადოებაში გაბატონებულმა მომხვეჭელობის ატმოსფერომ. გაიოზი კი პროდუქტია ამ ატმოსფეროსი, მისი სულისკვეთების აქტიური გამომხატველი. იგი ნიჭიერი კაცია და ყველაზე მეტად ატარებს ამ საზოგადოების თვისებებს. გაიოზისთვის გაუგებარია და ასევე გაუგებარი დარჩება ის, თუ რამ უნდა აალელვოს და, უფრო მეტიც, მოჰკლას კიდეც პატიოსანი პროფესორი გიორგი სიხარულიძე, რადგან გაიოზს თავისი სიმართლე გააჩნია. საგანგაშო და საუბედურო კი ის არის, რომ გაიოზის სიმართლე არ არის მხოლოდ გაიოზის სიმართლე, ეს ცხოვრებისეული სიმართლეა. გაიოზი ერთი წარმომადგენელია ათასებისა, რომლებმაც შეიმუშავეს აქტიური პოზიცია და ნამდვილი საზოგადოებრივი აზრისადმი დაპირისპირებულ ძალად იქცნენ.

მთელი პიესის მანძილზე გაიოზი თითქმის ყველა პერსონაჟს კეთილ ანგელოზად, სიკეთისა და სათნოების განსახიერებად ევლინება. იგი ყველასათვის კარგს აკეთებს; მას შეუძლია ყველა დააპუროს, ყველას ტკივილები მოუშუშოს, და მაინც ეს კაცი ჩვენი საზოგადოებრივი ფორმაციისათვის უცხო პიროვნებად გვევლინება. ამიტომაც ბუნებრივად გაისმის გიორგი სიხარულიძის რეპლიკები, რომელიც მთელი პიესის მანძილზე ისმის — „ვინ არის გაიოზი?", „როგორ შეუძლია გაიოზს გააკეთოს ყველაფერი?" და ა. შ.

მართლაცდა, რით აღწევს გაიოზი ყველაფერ ამას? როგორ აკეთებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გაიოზის ბუნებას, მის სოციალურ არსს შემადგენელ ნაწილებად დავშლით, აღმოვაჩენთ, რომ უმთავრესი ადგილი სწორედ იმ თვალდახუჭულ სიკეთეს უჭირავს, რომელზეც აკაკი ბაქრაძე მიუთითებდა, და რომელიც გაიოზის ნიჭთან, ინიციატივიანობასთან, ენერგიულობასთან ერთად ქმნის მის პიროვნებას. თვალდახუჭულ სიკეთეს ჩადის მის მიმართ საზოგადოება (გავიხსენოთ იმ ყმაწვილის ხაზი, რომელზეც სალომე სთხოვს მამას, ყურადღებით მოექციდეო); რამდენი გიორგი სიხარულიძისმაგვარი ადამიანია ჩვენს საზოგადოებაში და ეგრე განუსჯელად ჩადის სიკეთეს, რომელიც სინამდვილეში სიკეთე კი არა, საზოგადოების,. ხალხის წინააღმდეგ მიმართული ბოროტებაა. უბედურება ის არის, რომ სიხარულიძემ არ იცის ეს, მაგრამ როცა მიხვდა თავის მიერ ჩადენილი სიკეთის არსს, სინამდვილეში კი ბოროტებისას, სულიც განუტევა, რადგან იგი პატიოსანი კაცია და ჩასწვდა, რაც წარმოშობს გაიოზის ინსტიტუტს. ასეთი გადაწყვეტა თვალდახუჭული სიკეთის მქნელი კაცის ბედისა თითქოს გაიმედებს კიდეც, და ნაწარმოების თეზა მაინც ადამიანის ადამიანური, კეთილი, პატიოსანი საწყისის რწმენას გინერგავს, მაგრამ რამდენი მიდის ამ ქვეყნიდან, ისე, რომ ამასაც ვერ ხვდება? მიხვედრა ხომ პროტესტსაც დაბადებდა, ისე, როგორც გიორგი სიხარულიძის სულში. ნაცვლად პროტესტისა, სულიერი ჯანყისა, ჩვენ სულ სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე — გაიოზობა ლამის ცხოვრების ნორმად იქცეს, კეთილშობილებად დაისახოს. ასეთია გაიოზი „მკვლელობის" თითქმის ყოველი პერსონაჟისათვის მანამ, სანამ გიორგი სიხარულიძის სიკვდილამდე არ ამოიკითხავენ ისინი გაიოზის პიროვნების არსს. ასეთი ამოკითხვა კი ყოველთვის როდი ხდება, ყოველთვის როდი ახერხებენ ადამიანები გაიოზობისგან განდგომას, მითუმეტეს რთულია ის, როცა გაიოზობა ცხოვრების ნორმად ხდება მიჩნეული. და ის, რაც ცხოვრების ნორმაა, იშვიათად იწვევს პროტესტს, ჯანყს, უარყოფას, რადგან ამ ნორმამ ყოველდღიურად, ნება-ნება, თანაც კარგა ხნით მოიპოვა თავისი ადგილი. თ. ჭილაძის ამ პიესის თვისობრივი ღირსება ის არის, რომ იგი უტრირებულად არ განიხილავს გაიოზის შექმნის საკითხს, ცდილობს ღრმად ჩაგვახედოს პრობლემის არსში. მწერალი ცხადყოფს, რომ გაიოზობა თავისთავად არ იქმნება, მას გარემომცველი სამყარო ქმნის.

როგორი არიან ის ადამიანები, რომლებიც გაიოზის ირგვლივ ტრიალებენ „მკვლელობაში", რის საფუძველზე იქმნება გაიოზის პიროვნება?

თითქმის ყოველ პერსონაჟს აკლია რაღაც ცხოვრებაში, ყოველ მათგანს თან სდევს უკმარისობის გრძნობა, ყველას გაიოზის მოხერხება სჭირდება — ვიღაცას უბინაობა აწუხებს, ვიღაცას საფლავის ქვა ვერ უშოვნია, ვიღაცას — სამსახური, და აი ამ მოუწესრიგებელ ყოფას მიჰყავთ ადამიანები გაიოზთან. ამ სურვილების აღსრულება წარმოშობს გაიოზის აღზევებას ამ ადამიანების თვალში, რადგან გაიოზი, საზოგადოების სწორედ იმ თვალდახუჭული სიკეთის მეოხებით, ყველას დააპურებს (მარტო ერთი გიორგი სიხარულიძე ხომ არ არის ქვეყნად? კიდევ რამდენია მისნაირი კეთილი კაცი, სიკეთეს რომ ეგრე განუსჯელად ჩადის). ყველას გაუჩენს ლუკმაპურს. ეს წარმოშობს გაიოზის ყოვლისშემძლეობას. საზოგადოების ყოველი წევრი რომ თავის ადგილზე იყოს, თავის საქმეს აკეთებდეს და იმას სჯერდებოდეს, რასაც იმსახურებს, ე. ი. სურვილები კი არა, შესაძლებლობები განაპირობებდნენ მათს ადგილს ცხოვრებაში, არც გაიოზი შეიქმნებოდა და, მით უმეტეს, არც მისი ინსტიტუტი დასჭირდებოდა ვინმეს. ამჯერად კი, თუ პრინციპულად განვიხილავთ ყოველ პერსონაჟს, მათს მისიას, იმ რაობას, რომელსაც თ. ჭილაძე აკისრებს მათ, შეიძლება ერთი კითხვაც დავსვათ: იქნებ გაიოზი ყველაზე ნაკლებ იყოს დამნაშავე იმაში, რაც მოხდა, რაც მის ირგვლივ ტრიალებს, რადგან ადამიანებმა განაპირობეს მისი შექმნაც და სიცოცხლეც. ამ ვარაუდის უფლებას გვაძლევს გაიოზისა და გიორგის დიალოგი პიესის დასასრულს (გაიოზი: „შეიძლება ისიც კი თქვან, რომ თქვენმა უგულობამ, თქვენმა კრისტალურმა პატიოსნებამ მიიყვანა გურამი ციხეში, რას გაიგებენ, რომ თქვენ მაღალი პრინციპით ხელმძღვანელობდით. თქვენ რას იფიქრებდით, რომ, როდესაც ინსტიტუტის კარს მიუხურავდით, ის ქუჩაში აღმოჩნდებოდა. შეიძლება ისიც თქვან, რომ თქვენი ჰაერში გამოკიდებული პატიოსნებით თქვენი შვილების ბედნიერებას წინ ეღობებით, შეიძლება ესეც თქვან"). ე. ი. გიორგი სიხარულიძეს შეუძლია გაითვალისწინოს საკუთარი ქალიშვილის თხოვნა და დაეხმაროს გოგონას, რომელიც თურმე სულაც არ იმსახურებს ამას (და ამით უნებურად ხელყოს საზოგადოებრივი ურთიერთობის ნორმები) და, ამავე დროს, თავისი პრინციპულობისა, თუ პატიოსნების გამო უმაღლესი სასწავლებლის გზა გადაუჭრას საკუთარ ვაჟიშვილს, შემდეგ ეს შვილი გზას ასცდეს, გაიოზის ხელში ჩავარდეს და ბოლოს ციხის კარამდე მივიდეს. აქ ძნელი გასარკვევია სიკეთისა და პატიოსნების არსი, რის სამსახურში დგება ეს სიკეთე? ბოროტების, სწორედ რომ ბოროტის, რადგან ანგარიშგაუწეველი, თვალდახუჭული სიკეთეა. ამიტომ გაიოზს აქვს უფლება უარყოს გიორგის პრეტენზიები (ჯერ უნებურად შექმნეს გაიოზი, მერე კი საყვედურობენ, ასეთი რატომ ხარო).

მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ ეპიზოდ-

ზეც, რომელიც სრულიად ახალ, ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის გაიოზზე:

გაიოზი: წამო, სალომე, წავიდეთ, ნუ გეშინია, მე არ მიგატოვებ. შენ არაფერი არ გითქვამს მშობლებისათვის?

მარიკა: სალომე!

სალომე: ხო, მე სხვა გზა არა მაქვს...

ნესტანი: რას ამბობ?

სალომე: მე ბავშვს ველოდები.

გაიოზი რომ სულ სინდისგარეცხილი პიროვნება იყოს, დამშვიდებული, უსიტყვოდ გავიდოდა ამ ოჯახიდან, თამამად აქცევდა ზურგს სალომეს, რომელიც მისგან ბავშვს ელოდება; მაგრამ ამ შტრიხმა გაიოზის ბუნება მთლიანი, გამოკვეთილი გახადა, ამიტომ საკითხავია: ვინ არის დამნაშავე — გაიოზი თუ გაიოზის შემქმნელი გარემო? ამ კითხვას რომ პასუხი გავცეთ, უნდა გავიხსენოთ გიორგისა და გაიოზის წინა დიალოგი:

გაიოზი: რამდენია, რომელსაც არაფერი გაუკეთებია და თქვენზე უკეთესად ცხოვრობს?

გიორგი: ეგ ჩემი საქმე არ არის.

გაიოზი: მე კი რატომღაც მეგონა, რომ ეს სწორედ თქვენი საქმე იყო.

აი შედეგი თვალდახუჭული სიკეთისა, ცაში გამოკიდებული პატიოსნებისა. ჩვენი საქმე არ არის ის, თუ რატომ ცხოვრობს მავანი და მავანი უკეთ, ვიდრე ის, ვინც საქვეყნო საქმის სამსახურში დგას. ასე რომ, სიკეთის რაობა, სიკეთის ქმნა ყოველთვის როდია ჭეშმარიტი სიკეთე. იგი ზოგჯერ ბოროტებასაც უთანაბრდება. თ. ჭილაძემ ერთობ გაბედულად და საკმაოდ ცხადად შემოგვთავაზა ეს ფრიად მნიშვნელოვანი, გასაზიარებელი თეზა. რასაკვირველია, გაიოზის საქმიანობა უპირისპირდება ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაგრამ, როცა თ. ჭილაძე ასე სვამს საკითხს, იგი თითოოროლა გაიოზს კი არა ებრძვის, არამედ უფრო ღრმად სვამს პრობლემას — ებრძვის იმას, რაც ქმნის გაიოზს, უფრო სწორად გაიოზობას.

მაგრამ ვინ არიან ის ადამიანები, ვისაც მწერალი ებრძვის, რა არის მათ არსებაში, ცხოვრების წესში, დამოკიდებულებებში, კრიტერიუმებში ისეთი, რაც მათ საწინააღმდეგო იმპულსებს აღძრავს ჩვენში? ცხადია, გაიოზი საზოგადოებრივად საშიში ელემენტია, ეს საკმაოდ თვალხილულია. ბუნებრივია, უფრო საშიში უნდა იყვნენ ადამიანები, ვინც გაიოზობას ქმნიან, რადგან თუ ჩვენ ამ ერთ გაიოზს უარვყოფთ, მისგან განთავისუფლდებით, ეს სრულიადაც არ ნიშნავს საზოგადოების სიჯანსაღეს — ეს ადამიანები კვლავ სხვა გაიოზებს შექმნიან.

მაგრამ საქმე ისაა, რომ „მკვლელობის" არცერთი პერსონაჟი (ცხადია, გარდა გაიოზისა) გარეგნულად არ ატარებს არც ერთ ისეთ თვისებას, რომ ჩვენი აქტიური პროტესტი აღძრან. ვერც ერთს ვერ დაადებ ხელს და ვერ იტყვი, რომ ეს ცუდი ადამიანი, ან საზოგადოებრივი ურთიერთობის წესის პოტენციური უარმყოფელიაო. არა, დაწყებული გიორგი სიხარულიძით, მოხამსახურე დაროთი დამთავრებული, ყველა თითქოსდა კარგი ადამიანია. გარეგნულად ასეა, არც შინაგანად არიან ისინი ე. წ. უარყოფითი პერსონაჟები, მაგრამ მაინც გვევლინებიან ყველაზე ცუდ როლში — ისინი ქმნიან ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ყველაზე საშიშ ელემენტს; თუმცა, ყოველი მათგანი ძალიან გაიოცებს, რომ განუმარტონ, თუ რას აკეთებენ. აი, ამაში ვლინდება მწერლის ოსტატობა. მას დიდი მოთმინებით, გარეგნული ეფექტების გარეშე, მიჰყავს მკითხველი იმ დასკვნამდე, რომ მორალური სიწმინდე ძალზე ფართო ცნებაა, თუ კაცი არ მოჰკალი, არ მოიპარე, არ იმრუშე, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ზნეობრივ სიწმინდეს. ჩვენს დროში სიკეთის მცნებამ სხვა თვისებებიც შეითავსა, რომელსაც პირობით მებრძოლ სიკეთეს დავარქმევდი, სიკეთეს, რომელიც დანაშაულის, ბოროტების ჩაუდენლობით კი არ იძლევა მაგალითს, არამედ იბრძვის ბოროტების წინააღმდეგ. ასე რომ, უნდა ფლობდე ზნეობის ისეთ მაღალ კრიტერიუმებს, რომ შენი სიკეთე ბოროტებას არ დაედოს სათავედ, ეს კიდევ არაფერია. გიორგი სიხარულიძის თვალდახუჭული სიკეთე ბოროტებას უთანაბრდება, მაგრამ პიესის სხვა პერსონაჟების ყოფის ოდნავი მოუწყობლობაც კი ქმნის გაიოზის კერპად გახდომის რეალურ საშიშროებას. რატომ არის, რომ გაიოზს გიორგის ოჯახში ცოტა ცინიკურადაც უჭირავს თავი? ირონიის შესამჩნევი ნიუანსებიც კი გამოსჭვივის მის პასუხებში? იმიტომ, რომ მან ჩინებულად იცის ფსიქოლოგია იმ საზოგადოებისა, რომელმაც შეჰქმნა. იგი ნიჭიერი კაცია ამიტომაც შეუძლია ისარგებლოს სხვათა თვალდახუჭული სიკეთით და ყველა ისე დააპუროს, როგორც უჭირთ: ილუზიები უნდა სალომეს, ავსებს კიდეც რეალობას ილუზიებით, რომელსაც გაიოზის სამყარო სთავაზობს, გაიოზის მეოხებით უნდა ცხოვრების პირობები გაიუმჯობესოს და ბინა მიიღოს ახალგაზრდა მეცნიერმა ბადრიმ, გაიოზის საშუალებით სცა პატივი თავის გარდაცვლილ მეუღლეს ელისაბედმა (საფლავის ქვა უშოვნა). გაიოზი ამ ცხოვრების ვარსკვლავად მიაჩნია ნუციკოს, გაიოზმა იხსნა გურამი ციხიდან, გაიოზის მეოხებით უნდა თბილისში ცხოვრება მოიწყოს აბესალომმა და ა. შ. ესე იგი, სრულიად სხვადასხვა ხასიათების, ბუნების, განათლების, ბედის, მისწრაფებების ადამიანების მეოხებით ექცევა გაიოზი ყურადღების ცენტრში. მთავარი კი ის არის, თუ რამ მიიყვანა ეს ადამიანები გაიოზთან. და აი, თამაზ ჭილაძის მწერლური სინდისიც აქეთ წარმართავს ჩვენს ყურადღებას. პიესის წაკითხვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სცენაზე ნახვის შემდეგ ჩვენ უნდა დავიწყოთ ფიქრი არა იმაზე, თუ რაოდენ საძაგელი პიროვნებაა გაიოზი, არა იმაზე, რომ ასეთი და ისეთი უარყოფითი პერსონაჟი დაგვიხატა დრამატურგმა, არამედ იმაზე თუ რამ მიიყვანა ეს ხალხი გაიოზთან, რატომ, როგორ შეიქმნა საზოგადოებაში პიროვნება, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენი ცხოვრების წესს, მაგრამ მაინც ესოდენ საჭიროა ჩვენი საზოგადოების წევრებისათვის?

ეს თეზა საკმაოდ ცხადად გამოიკვეთა თამაზ ჭილაძის „მკვლელობაში" და ეს მიიჩნევა მწერლის ოსტატობის დასტურად, რადგან იგი წარმოშობს პროტესტის გრძნობას, როგორც თავად გაიოზის, ისე მისი შემქმნელი საზოგადოების მიმართ.

„ცხოვრება კი მირბის, მირბის, მაგრად უნდა ჩასჭიდო ხელი, მაგრად!"

ნოდარი („დავიწყებული ამბავის" პერსონაჟი).

თ. ჭილაძის მომდევნო პიესაში — „დავიწყებული ამბავი" — პატიოსნება და სიკეთე ერთობ რთულ სიტუაციაშია მოხვედრილი. „დავიწყებული ამბავის" სიკეთეს „მკვლელობის" სიკეთისაგან ასხვავებს ის, რომ აქ იგი, თუ შეიძლება ითქვას, სწორ გზაზე დგას — იბრძვის, ამ ბრძოლაში მდგომარეობს სწორედ პატიოსნებისა და სიკეთის რთული ბედი „დავიწყებულ ამბავში" იგი იბრძვის (სიტყვა „იბრძვის" აქ პირობითია. იქნებ აჯობებდა — ელტვის, ცდილობს) იმიტომ, რომ თვალში სინათლე წაერთვა, პატრონი კი არავინ არის, არავის უნდა მკურნალთან წაიყვანოს მათე ბაბუა, ე. ი. იგი უარყოფილია, ეს უარყოფა განაპირობებს კიდეც ბრძოლის აუცილებლობას.

სიკეთესა და პატიოსნებას ამ პიესაში კონკრეტული პიროვნების სახე მიუღია და ისე ელაპარაკება ადამიანებს:

„— გიყვარდეთ-მეთქი ერთმანეთი, პურს ფეხს ნუ დაადგამთ და ხალხს ნუ უღალატებთ-მეთქი, ხუთი ათასი წელია ერთსა და იმავეს ვიმეორებ". — ამბობს მათე ბაბუა. იგი განივთებული, გაცოცხლებული სიკეთის სიმბოლოდ გვევლინება, სწორედ მას აკისრებს მწერალი სიკეთის ჭეშმარიტი გაგების ქადაგებას. თითქოს მათე ბაბუა არ არის მთავარი მოქმედი პირი პიესისა, მაგრამ მის სახეს უდიდესი დატვირთვა მისცა დრამატურგმა, მის სახეში ირეკლება პიესის ყოველი პერსონაჟის მოქმედება. მისი მეოხებით ხდება ყველაფრის შეფასება; მისივე მეოხებით ხდება ნათელი თვალდახუჭული და ჭეშმარიტი სიკეთის არსი, ე. ი. არსი გიორგი სიხარულიძის სიკეთისა და არსი მათე ბაბუას სიკეთისა. გიორგი სიხარულიძის სიკეთემ რა ნაყოფიც გამოიღო, უკვე ვნახეთ, მათე ბაბუას სიკეთე კი სულ სხვაგვარია, სულ სხვა თვისობრიობის მატარებელი და არასოდეს ზიანს არ მოუტანს ადამიანებს — პირიქით, ქომაგად, მრჩევლად მოევლინება, ისე, როგორც ეკას მოევლინა. ეკა მხოლოდ იმიტომ კი არ გარბის ქალაქიდან და თავისი ძმის ოჯახიდან, რომ აქ აღარ გაეჩერება. მართალია, მათე ბაბუას ზნეობრივი სიმაღლიდან, მისი სულიერი სისპეტაკის ფონზე მან დაინახა ნოდარის სულის რაობა, მიხვდა, საითაც შეიძლება ეს ოჯახი წავიდეს და განშორდა კიდეც მას, მაგრამ მთავარი აქ მაინც ის არის, რომ იგი სოფელში მიდის მათე ბაბუასთან ერთად. აქ სოფელი პატიოსნების, უბრალოების, სიწმინდის, გულწრფელობის სიმბოლოა.

პიესის დანარჩენ პერსონაჟთა ადამიანური ურთიერთობანი იმდენად გავულგარულებულია, იმდენად მკაცრ, ცხოვრებისეულ სიტუაციაში არიან ისინი მოხვედრილნი, რომ მრისხანებაზე უფრო სიბრალულს იწვევენ.

ადამიანები იმდენად ღალატობენ თავიანთ თავს — სიყვარულს, მოწოდებას, რომ უმალ ალიძვრის სიბრალული ადამიანური ღირსებების დაკარგვის გამო. ზოგი ცხოვრების დროულად მოწყობაზე ოცნებობს, ზოგსაც სიყვარული მაშინ გაახსენდა, როცა ცხოვრება მოიწყო — თანამედროვე ყოფის ჩინ-მედალი — სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. ქალს ერთი უყვარს და ცოლად სხვას გაჰყვა, კაცს, მართალია, სხვა უყვარს, მაგრამ მზად არის შეირთოს ის, ვინც არ უყვარს. ე. ი. ადამიანთა ურთიერთობანი იმდენად აბურდულია, მოუწესრიგებელია, მაგრამ ჩვენი საზოგადოებრივი სინდისის სიჯანსაღის მაჩვენებელი ის არის, რომ ახალგაზრდა ცხოვრების ნორმად არ მიიჩნევს ყველაფერ ამას, არ გაითავისებს, არ აჰყვება, პირიქით! ე. ი. სიკეთემ, პატიოსნებამ მიზანს მიაღწია. ამ რთული ლაბირინთების გასახსნელად, თუნდაც ეკას პოზიციის გასარკვევად ღირდა ამ პიესის შექმნა, რადგან მუდამ ძალზე მნიშვნელოვანია ის, თუ რას ირჩევს ახალგაზრდა, რა გზით მიდის იგი.

პიესის ყოველი სახე გამოკვეთილია, გარკვეული ფუნქცია აკისრია — იქნება ეს ნოდარი, რეზო, ანა, ეკა, თუ მათე ბაბუა, თვით მეორე რიგის პერსონაჟებს — ბაბოს და შალვასაც კი გარკვეული დატვირთვა ეძლევათ; მაგრამ ყველაზე რთული ნოდარის სახეა, რადგან გამოკვეთილად მასში შეიცნობ იმ თვისებებს, რომლებსაც უპირისპირდება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების პრინციპები.

ზემოთ ვლაპარაკობდით „მკვლელობის" პერსონაჟზე, გაიოზზე და აღვნიშნეთ, რომ იგი სრული ანტითეზაა ჩვენი საზოგადოებრივი ყოფისა. მაგრამ თუ ნოდარის, ამ ერთი „წესიერი ინტელიგენტის" სახეს, მის არსს ღრმად ჩავუკვირდებით და ამოვხსნით, შეიძლება დავასკვნათ, რომ გაიოზი პრიმიტიული კრიმინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური ტიპია ნოდართან შედარებით. ნოდარი გაცილებით დახვეწილი, რაფინირებული და მოქნილი გაიოზია. გაიოზს შეიძლება ათასჯერ წაავლო ხელი, ნოდარი კი გლუვია, მას ხელმოსაკიდი ადგილი არა აქვს. იგი მუდამ მოლიმარი, კეთილშობილური მანერების არამზადაა, რომელიც არასოდეს ტოვებს რაიმე კვალს, პირიქით, ყოვლად წესიერი, უწყინარი კაცის სახე აქვს, არასოდეს არ გაამწვავებს ურთიერთობას, მაგრამ ისე კი წარმართავს, რომ ყველაფერი თავის სასარგებლოდ დაამთავროს. მთავარი ის როდია, რომ მან ანა ჩაიგდო ხელთ, შეიძლება რეზოსთან გარიგებაც მიუტევოს ბევრმა (რადგან მას უყვარს ანა), მაგრამ საბოლოოდ იგი მაინც არამზადად ჩამოყალიბდა. მას შეუძლია დამშვიდებული შეხვდეს იმას, რომ მის ცოლს სხვა უყვარს და ამავე დროს კაცს, რომელსაც მისი ცოლი უყვარს, თავისი და შესთავაზოს ცოლად. ეს თითქოს დაუჯერებელი ამბავი — სიმდაბლე პიროვნებათა, ამდენი სისაძაგლე თ. ჭილაძეს შესაშური, ჩინებული ოსტატობით აქვს დაწერილი. პიესის ეს ადგილი ერთ-ერთ საუკეთესო სცენად მიმაჩნია არა მარტო ამ პიესაში, ამ უკანასკნელ წლებში დაწერილ ქართულ პიესებშიც, და აი, რატომ: ამ სცენაში გამოვლინდა მწერლის უნარი მთლიანად — თავით ფეხამდე გამოამზეუროს ადამიანის სულიერი საწყაო, აჩვენოს მისი არსი და სრულიად გაცხადებული სახით მოიტანოს მკითხველის განსასჯელად. თავად კი მსჯავრი არ გამოაქვს (თუ მსჯავრად არ მივიღებთ იმას, რომ პიროვნების სულიერი საწყაო უკვე სახალხოდ ცნობილია), მსჯავრის გამოტანის უფლებას მკითხველს უტოვებს.

არანაკლებ სიმპათიური არამზადაა რეზო. მას მაშინ გაახსენდა ანა, როცა ცხოვრება მოიწყო, მაგრამ უფრო უარესი ის არის, რომ მას შეუძლია ეკაზეც დაქორწინდეს, მან წინააღმდეგობა კი არ გაუწია ნოდარს, კი არ უარყო მისი სულელური აზრი, დაეთანხმა კიდეც და მორჩილად ალაგებს მაგიდაზე ჭურჭელს, თითქოს არაფერი მნიშვნელოვანი, არაფერი საგანგაშო არ ხდება.

ვინ არის რეზო? რეზო არ არის პიროვნება, რეზოს არ შეუძლია გავლენა მოახდინოს მოვლენებზე (სამწუხაროა, მაგრამ ეს თამამად ძალუძს ნოდარს, რადგან იგი პიროვნებაა — ცუდი, მაგრამ პიროვნება, თანაც ძლიერი!), იგი არსებობს. ეს არის და ეს! ხოლო თუ რაოდენ დიდი განსხვავებაა პიროვნებასა და ადამიანის არსებობას შორის ეს, საკმაოდ საცნაურჰყო თანამედროვე ფილოსოფიამ.

პიესის, როგორც ემოციური, ასევე აზრობრივი ზეგავლენა საკმაოდ ამაფორიაქებელი და მიულებელიც კი იქნებოდა, რომ არა ის, რაზეც ზემოთ ვლაპარაკობდით — ეკას საქციელი. ეკა პიროვნება გახდა, მან ამ ქაოსში იპოვნა თავისი თავი და ახლა თავისუფლად, თამამად უარყოფს ათას რეზოსა და ათას ნოდარს, რადგან ჩასწვდა ცხოვრების არსსა და აზრს. ამ შემთხვევაში მისი სოფელში გამგზავრება, მათე ბაბუასთან სოლიდარობა სიკეთისა და პატიოსნებასთან გამოქომაგების, ქირისუფლობის ნიშანია, თორემ ეკა რომ ქალაქშიც დარჩენილიყო, მაინც იმ ახალი გზით ივლიდა, რომელსაც ერთი მხრივ, ორი არამზადის და, მეორე მხრივ, მათე ბაბუის მეოხებით მიაგნო.

გადის წლები, თამაზ ჭილაძე აქვეყნებს ლექსებს, პროზაულ ნაწარმოებებს, მოთხრობებს, რომანებს, მაგრამ არავითარი ნიშანწყალი არ ჩანს იმისა, რომ იგი კვლავ მოუბრუნდება დრამატურგიას. და აი, აგერ 70-იანი წლების ბოლოს ზედიზედ ქვეყნდება და იდგმება მისი ორი პიესა — „ბუდე მეცხრე სართულზე“ და „როლი დამწყები მსახიობი გოგონასთვის“. რას ნიშნავს ასეთი ხანგრძლივი დუმილი (დრამატურგიაში, რასაკვირველია, თორემ პროზაში აკი ვთქვი — რამდენიმე ნაწარმოები გამოაქვეყნა-მეთქი)?

„დუმილის“ საბაბი კვლავ პიესებმა გაგვიმხილეს, გაგვიმხილა იგივე „ბუდემ მეცხრე სართულზე“ და იგივე „როლმა დამწყები მსახიობი გოგონასათვის“.

ამ პიესაში თ. ჭილაძე ახალ სიმაღლეებს მიადგა, იგი თურმე ჯიუტად ეძებდა დრამატურგიული გამოსახვის ფორმათა ახალ საშუალებებს, ორივე პიესაში თითქმის უგულვებელყო სიუჟეტი, როგორც მოქმედების განვითარების საშუალება. მისთვის სრულიადაც არ არის მნიშვნელოვანი სიუჟეტი, რადგან სიუჟეტის შეთხზვა ბოლოს და ბოლოს ყოველ მოკვდავს შეუძლია. ოსტატობა ის კი არ არის, რომ შექმნა წარმტაცი სიუჟეტი, არამედ ის, თუ როგორ დაამუშავებ მას, რა იდეის, რა აზრის სამსახურში ჩადგება ესა თუ ის სიუჟეტი.

ძალიან უბრალოა „ბუდე მეცხრე სართულზეს“ სიუჟეტი, მაგრამ მასში ჩადებული აზრი, პრობლემაა საინტერესო, პრობლემა ორი ადამიანის ურთიერთობისა. პიესაში სულ ორი მოქმედი პირია — მაკა და ბესო, მაგრამ ფიგურირებს მესამე, რომელიც ახლა, ამ წუთში კუბოში წევს.

ამ პიესაში თ. ჭილაძემ ერთობ რთული ფორმა აირჩია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ დიალოგი შეცვალა მონოლოგმა; აქ მოქმედი პირები ერთობ გრძელ-გრძელ მონოლოგებს წარმოსთქვამენ, მაგრამ, ამ გართულებული პირობების მიუხედავად, მწერალმა მიაღწია მიზანს — გვაჩვენა, თუ როგორ დაშორებულა თურმე ეს ორი ადამიანი ერთმანეთს, თუ როგორ გადაქცევიათ ერთმანეთის სიახლოვე ჩვეულებად, მექანიკურ ასრულებად იმისა, რასაც ადრე ურთიერთლტოლვა ერქვა.

და როდესაც მოყვარულ ადამიანთა ურთიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთობა ჩვეულებად იქცევა, ცხადია, იქ ყველაფერი დამთავრებულია.

„სიყვარული, ეტყობა, ერთადგილიანი საკანია, ორნი ვერ ვეტევით. რა გვაქვს გასაყოფი? ქვის იატაკი და ქვის კედლები. მეტი არაფერი. ამ ჩხუბში აღარც კი გვახსოვს, ერთმანეთი რომ გვიყვარდა, გვიყვარდა კი ნამდვილად? იკითხავს მაკა და როცა ეს კითხვა დაებადება ქალს, ცხადია, უკვე ყველაფერი ინერციული გამხდარა. ვერც ერთი მათგანი ველარ მიხვდა როდის დამთავრდა ამ ორ ადამიანს შორის ყველაფერი — დამთავრდა ის, რასაც ადამიანების სიყვარულიანი ურთიერთობა ჰქვია და დაიწყო ვალის მოხდა, სიყვარულის გრძნობის წინაშე (ეგონათ კი კვლავ უყვარდათ ერთმანეთი. ერთგან წამოიძახებს კიდეც მაკა: „არც სიყვარულია ადვილი, არასოდეს ეს სიტყვა არ გვიხსენებია, დღეს რა დაგვემართა? მეშინია ამ სიტყვის“). აი, ეს არის მთავარი. ეს სიტყვებია მთავარი, რადგან როცა მათ, ამ ორ ადამიანს აკავშირებდა სიყვარული, ამის თაობაზე არც ლაპარაკობდნენ, ან რა საჭირო იყო, ისედაც გასაგები გახლდათ ყველაფერი, მაგრამ ახლა, როცა საკუთარ თავში აღმოაჩინეს, თუ როგორ დაცლილან ერთიმეორის მიმართ, სიტყვა სიყვარულს, მასზე საუბარს ისე ეფარებიან, როგორც ფარლალალა ქოხში დაემალება კაცი ძლიერ ქარს; მაგრამ რა აზრი აქვს ამ დამალვას – ისედაც ხომ გასაგებია ყველაფერი?!

ეს ერთი თემაა პიესისა, რომელიც, ასე ვთქვათ, მის ზედაპირზე ძევს და საკმაოდ გასაგებიცაა, მაგრამ მის სიღრმეში, ქვეტექსტში ამოიკითხება ადამიანთა მარტოობის ამბავი, თუმცაღა, გარეგნული ნიშნების მიხედვით, ეს ადამიანები ერთობ ბედნიერნი უნდა იყვნენ, რადგან აქვთ ჩინებული საქმე, ჰყავთ მეგობარ-ახლობლები, არც სამსახურებრივ წარმატებებს არიან მოკლებულნი, მაგრამ არ არის მთავარი, არ არის ის სიხარულის მომნიჭებელი ურთიერთობა, რომელიც ადამიანის ცხოვრებას სისხლსავსეს ხდის და რომელიც ადამიანს აქცევს საზოგადოების აუცილებელ წევრად. „შეჩვეული ბედნიერება ბედნიერება არ არისო“ იტყვის მაკა ერთგან და აქ არის პიროვნული მარტოობისა და აქედან გამომდინარე დრამის სათავეც. ბედნიერებისათვის ყოველდღიური ბრძოლაა ბედნიერება, თორემ თავად ბედნიერება, კონკრეტული ბედნიერება ერთობ ეფემერულია და ძნელი დასაჯერებელია, რომ საერთოდ ადამიანს მთელი ცხოვრება ბედნიერების გარემოცვაში ეცხოვროს. მაკამ ერთ დღეს არ დაიჯერა თავისი ბედნიერებისა. ის, რაც, ჰქონდა, ერთობ ჩვეულებრივ, პროზაულ ყოფად მიიღო. მისი გაგებით, ეს იმიტომ მოხდა, რომ ბიძინას სიყვარულს შეეჩვია, ყოფა ჩვეულებრივი გახდა, რადგან ბიძინას — ადრე მეგობარს, მასთან შეზრდილს, შემდეგ ქმარს, უყვარდა. უყვარდა და ეგ იყო... მას კი რაღაც თავ[illegible]ელვარება უნდოდა, ალბათ. აი, ამიტომაცაა დღეს მაკას ირგვლივ დასადგურებული სიცივე და სიცარიელე, მარტოობა, რომელსაც, ცხადია, ვერც ბესოს საყვარლობა შეავსებს (და დღეს აღმოაჩენს, რომ თურმე ისიც სადღაც გამქრალა) და ვერც ის ინერტული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელნიც მაკას აქვს თავის გარემომცველ სამყაროსთან.

მაკას დრამატიზმი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ვერ გააკეთებს იმას, რისი გაკეთებაც საჭიროდ და აუცილებლად მიაჩნია, ან თუ გააკეთებს, ეს მხოლოდ მექანიკური შესრულება, ვალის მოხდა იქნება იმის მიმართ, რაც გულითადად, მთელი თავისი არსებით უნდა გაეკეთებინა. დღეს მას არა აქვს ბიძინას ტირილის უფლება, რადგან თვითონაც (ბესოსთან ერთად) არის მიზეზი იმისა, რაც ბიძინას დაატყდა თავს.

მაკა საკუთარი თავის მსხვერპლია. ბუმბულში გაზრდილი ადამიანის დრამაა ეს ყველაფერი, რადგან შეჩვეული ბედნიერება ბედნიერებად აღარ მიაჩნია, თითქოს ბედნიერება ის საგანი იყოს, რომელსაც ხელში აიღებ, ჯიბეში ჩაიდებ, ან გაზეთში გაახვევ. მან, როგორც მორალურად დაცემულმა ქალმა: კი არ უღალატა ბიძინას, იგი ახლებურ ცხოვრებას, შეუჩვეველ ბედნიერებას დაეძებდა და ამან «გახადა ბესოს საყვარელი. ამდენად, გაკიცხვის ღირსი სულაც არ არის, პირიქით — ამ შემთხვევაში იგი სიბრალულს, თანაგრძნობას უფრო იმსახურებს. გაკიცხვის ღირსია მისი აზროვნების კატეგორია, მრწამსი მისი.

რა როლი განეკუთვნება ამ ამბავში ბესოს? ვინ არის იგი? მაცთუნებელი სული, რომელმაც მაკა ბიძინას „წაართვა“ და საყვარლად დაისვა? სრულიადაც არა! მაკას ეს ნაბიჯი სულაც არ იყო განპირობებული ბესოს აქტიურობით, ან გნებავთ, მომხიბვლელობით, ასეთი ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობა მაკას სულში ბესოსაგან დამოუკიდებლად მომწიფდა. ეს განაპირობა მისმა ცხოვრებისეულმა მრწამსმა, როცა მან იგრძნო, რომ შეჩვეული ბედნიერება ბედნიერება აღარ არის, ბიძინას გაეყარა და სწორედ მაშინ გამოდის წინა პლანზე ბესო.

თამაზ ჭილაძის ეს პიესა ჩემთვის კიდევ ერთი გარემოების გამოა საინტერესო — აქ გამოვლინდა დრამატურგი-პოეტი, რაც მეტად უცხო ხილია ქართულ დრამატურგიაში, და არა მარტო ქართულში! რადგან ჩვენი დრამატურგიის ნიმუშთა მეტი წილი მხოლოდ სიუჟეტის აგების, პრობლემის მკაფიოდ გამოკვეთის პრიმატს იცავს (რაც თავისთავად საჭიროა), მაგრამ სიტყვის, როგორც ხელოვნებისეული ფენომენის, პოეტური ფენომენის გაგება ერთობ უგულვებელყოფილია ხოლმე, ჩვენს პიესებში უმეტესად სიტყვას ენიჭება მომხმარებლობითი ფუნქცია და წართმეული აქვს პოეტური ფე-

ნომენის, აზრის სახეობრივად გამოხატვის აუცილებლობა. იქნებ ესეც იყოს ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი პიესების დღენაკლულობისა, იქნებ ამიტომაც მოხდა, რომ პიესა, რომელიც დღეს იწვევს ინტერესს, ხვალ კარგავს ღირებულებას. თ. ჭილაძის ამ პიესებში კი აშკარაა სიტყვისადმი, ფრაზისადმი მკაცრი დამოკიდებულება. აქ ფრაზა პოეზიის ნიმუშიცაა და მოქმედების დამტევიც. ეს კი ერთობ რთული მისაღწევია. მაგრამ უფრო რთული ის არის, რომ გაძნელდება ამ პიესების სცენური ბედი. დღეს, როცა ჩვენი თეატრების მეტი წილისათვის პიესას მხოლოდ ეკისრება ერთადერთი ფუნქცია — გამოხატოს კონფლიქტი, მოქმედება და მეორე (თუ მეხუთე არა) პლანზე გადაიტანოს სიტყვის ფუნქცია, მისი პოეტური ექსპრესიის, ძალის მომხიბლაობა, თეატრი აღარ გვევლინება პოეტური აზროვნების დამკვეთად და ამიტომაც რთულდება ამგვარი პიესების ბედი. და თუ მაინც ასეთი პიესა გათამაშდება, იგრძნობა გადახრა ყოფითი დრამისაკენ (იქნებ სწორედ ამ მომენტმაც, პოეტური თეატრის უგულვებელყოფის მომენტმაც განაპირობა ის გარემოება, რომ კარგა ხანია დამდგმელს ელოდება თ. ჭილაძის ბოლო პიესა-ზღაპარი „თავფარავნელის ბალადა“). ამ დროს პიესა კარგავს თავის უმთავრეს მომხიბვლელობას და გვევლინება ერთ ჩვეულებრივ, სიყვარულის სამკუთხედზე აგებულ ნაწარმოებად და არა პოეტური ღირსებებით აღკაზმულ ნაწარმოებად. თ. ჭილაძე კი პრინციპულად მისდევს იმ გეზს, რომ პიესა ლიტერატურული ქმნილებაა და არა თეატრალური.

იგივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე თამაზ ჭილაძის მომდევნო პიესაში — „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“. „როლს“ ზოგიერთი კრიტიკოსი უკიჟინებდა, რომ იგი ერთობ ბანალურია, მოძველებულია და ა. შ. რასაკვირველია, თუ ამ პიესას განვიხილავთ მხოლოდ სიუჟეტის მიხედვით, აქ შეიძლება გაგვიჩნდეს ასეთი პრეტენზია, მაგრამ ნამდვილი მწერლობის მისია არასოდეს არ ყოფილა სიუჟეტის შექმნა. მე რომ მკითხოს კაცმა— სიუჟეტის ხელოსნები უკეთ ქმნიან, ვიდრე ნამდვილი ხელოვანნი, იმიტომ, რომ ყოველი ნამდვილი ხელოვნისათვის სიუჟეტი მხოლოდ და მხოლოდ მასალაა, აგური და ცემენტია. მაგრამ ამ აგურითა და ცემენტით ზოგი ხილეულის საწყობს აგებს, ზოგიც სრა-სასახლეს. ყოფისათვის საწყობიც საჭიროა და სრა-სასახლეც, მაგრამ ხელოვნებაში მუდამ სრა-სასახლის აგების ყოფაა უფრო რთული, ვიდრე საწყობისა.

არსებობს აზრი, რომ ადამიანი მუდამ პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე და ეს ერთობ ანგარიშგასაწევი მოსაზრებაა, რადგან პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის რეგულირების გარეშე ცხოვრება ქაოტური იქნებოდა; სწორედ პიროვნებისა და საზოგადოების მოწესრიგებული ურთიერთობა განაპირობებს ჰარმონიულ საზოგადოებრივ ყოფას, მაგრამ, დრომ ჩვენს წინაშე არანაკლები სიმძაფრით წამოსჭრა სხვა პრობლემა — უფრო სწორად მეორე მხარე ამ ცნობილი შეხედულებისა, სახელდობრ — საზოგადოების პასუხისმგებლობა პიროვნების ბედის, მისი ცხოვრების მიმართ — ის, თუ რა ზეგავლენა უნდა მოახდინოს საზოგადოებამ კონკრეტული ადამიანის ბედზე, როგორ უნდა იცავდეს მის ინტერესებს, უფრთხილდებოდეს პიროვნულ სამყაროს.

სწორედ ამ პრობლემას ამუშავებს თამაზ ჭილაძე პიესაში „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“: ერთი მხრივ ანო და მეორე მხრივ ეს ინტელიგენტური, ეს ნატიფი საზოგადოება, რომლისთვისაც ასე ახლობელი უნდა იყოს ადამიანის ბედი, ადამიანზე ზრუნვა.

ამ შემთხვევაში თ. ჭილაძე იკვლევს რატომ ჩამოეკიდა ანო თოკზე, რამ მიიყვანა ადამიანი ცხოვრების ასეთ ტრაგიკულ დასასრულამდე? საზოგადოებრივმა გულგრილობამ, საზოგადოების ყოველი წევრის მიერ საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვამ, მოყვასის ბედის გაუზიარებლობამ... მაგრამ აქ ისმის მეორე საკითხიც, საკითხი თავად ანოხი — ანოც ტრაგიკული ტონის გამომხატველი პერსონაჟია, ისიც ხომ ნაწილია ამ საზოგადოებისა და თუ მას გააჩნია მოყვასის ტკივილის გაგების, მისთვის მალამოს წაცხების უნარი (მხედველობაში მაქვს დაჭრილი ჭაბუკის სახლში შემოშვება, რომელსაც პიესის ყველა დანარჩენი პერსონაჟი კარს მიუხურავდა), მაშინ არც ისე საგანგაშოდ ყოფილა საქმე. საზოგადოებრივი აზრი, მისი ფსიქოლოგია, სამყარო არც ისე ჩაძირულა ობივატელობის წუმპეში, მაგრამ სიტუაციის დრამატულობა იმაში გახლავთ, რომ ანო მაინც უძლურია იმ ძალასთან, რომელსაც უპირისპირდება, ანო მსხვერპლია საზოგადოების ფსიქოლოგიისა.

პიესაში „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“ ავტორმა დამალა სიუჟეტი ისე, რომ დიდი დაკვირვება გმართებს მისი ტრადიციული გაგებით აწყობისა და გამართვისათვის. მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ თ. ჭილაძე პიონერია ამ ფორმისეული სიახლისა — დრამატურგის გამოცდილება გვასწავლის: ეს ეტაპი ჩავლილია უკვე. არც სიუჟეტია ახლებური ამ პიესაში და არც ის მეთოდი, რომელსაც თ. ჭილაძემ მიმართა — ე. წ. თეატრში თეატრის, ან პიესაში პიესის გამართვისა და გათამაშებისა, მაგრამ აქ საინტერესოა სინთეზი ყოფითისა და წარმოსახულისა, სინთეზი ყოფითი, ცხოვრებისეული მოვლენებისა და ნაწარმოებში „ჰამლეტის“ სულისკვეთების შემოჭრისა (ჰამლეტის სული კი აქ გვევლინება სულიერი სიწმინდის, ამაღლებულის, კდემამოსილების სიმბოლოდ, რომელიც თავს იყრის ანოს სამყაროში და შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი ანოს სახით უპირისპირდება საზოგადოებრივ გულგრილობას, ეგოიზმს. პიესაში ნატო წარმოსთქვამს: „მე ეგოიზმის მსხვერპლი ვარ, გაუბედურებული, მარტო დარჩენილი, გახრწნილი. ეგოიზმი სულის კიბო ყოფილა, რომელიც მარტო მე კი არა, სხვასაც ანადგურებს, ყველაფერს ერთი საფეხურით დაბლა სწევს, ამცირებს, აკნინებს, სიყვარულს, კეთილშობილებას, მეგობრობას, ყველაფერს, რასაც კი ცოტაოდენი სითბო და გაგება მაინც სჭირდება. აი, მე საკუთარი თავის გადარჩენისათვის ყოველ წამს მზადა ვარ ახალი და ახალი დანაშაული ჩავიდინო. განა ამ დილით საცოდავ ანოსთან არ გავიმეორე ის, რაც ოცი წლის წინ ჩავიდინე? აი, ანოც გაქრა. დავმშვიდდი, კი მაგრამ რად მინდა ეს სიმშვიდე, რად?“ ამ სიტყვებს ნატო წარმოსთქვამს, მაგრამ მას პიესის ყოველი პერსონაჟი იტყოდა, იტყოდა, რადგან ეს არის ერთსახოვანი მასა, რომელსაც ერთმანეთისაგან ასხვავებთ გამოსახვის საშუალებები, გრძნობათა გამოხატვის საშუალებები, უფრო ზუსტად — პოზა, თორემ გრძნობათა ბუნება ყველას ერთნაირი აქვს (ცხადია, ანოს გარდა), ამიტომ ყველა მსხვერპლია თავთავიანთი ეგოიზმისა, ყველას მოსდებია სულის კიბო, ყველამ მოიპოვა ის მოჩვენებითი სულიერი სიმშვიდე, რომელიც შემდეგ მათივე ტანჯვის საგანი გახდება ორი მიზეზის გამო — ჯერ ერთი ეს სულიერი სიმშვიდე სხვათა დათრგუნვის გზით იქნა მოპოვებული (ნატოს ოცი წლის წინათ მოაცილა საკუთარი შვილი, დღეს კი ფაქტიურად გასანთლული თოკი მისცა ხელში ანოს) და მეორეც ის, რასაც ნატო სულიერ სიმშვიდეს ეტყვის, სინამდვილეში სულიერი სიცარიელე უფროა, ამიტომაცაა იგი მტანჯველი, ამიტომაც წამოიძახებს: „რად მინდა ეს სიმშვიდე, რად?“ და ამ ფრაზას პიესის სხვა პერსონაჟებიც სიამოვნებით წამოიძახებდნენ; ისე იტყოდნენ, გულის მოსაოხებლად, თორემ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, არცერთი მათგანი არ შეელევა ამ თავის სულიერ სიცარიელეს, სიმშვიდეს რომ უწოდებენ. არ შეელევიან, რადგან ასეთი ყოფა გამხდარა მათი ცხოვრების ნორმა, მათი ცხოვრების რიტმი.

ამ შემთხვევაში გამონაკლისია დედა, რომელიც სახე-სიმბოლოდ მოგვევლინება ამ პიესაში, ერთობ საინტერესო, განზოგადებულ სიმბოლოდ. მართალია, დედაც მატარებელია ტკივილებისა, როგორც მშობელი პიესის ტრაგიკული პერსონაჟისა, მაგრამ იგი თავის სულში არ იტარებს იმ ჭუჭყს, ეგოიზმის იმ ტვირთს, რასაც ნატო „სულის კიბოს უწოდებს“.

ცალკეულ ეპიზოდებში ჩინებულად ჩანს დედის სულის ბიოგრაფია, მისი დრამატული წარსულიცა და დღევანდელობაც, მისი ტკივილიცა და სუფთა გულიც, მაგრამ მასაც მძიმე ტვირთი აჰკიდა გულგრილობის, ეგოიზმის საზოგადოებრივმა ფსიქოლოგიამ, ისიც ჩაითრია თავის ფერხულში და თითქმის თავისნაირი გახადა; თითქმის-მეთქი, რადგან დედის რეაქცია მაინც სხვაგვარია — ეს ყველაფერი მისი ცხოვრების წესი, ნორმა კი არ არის, არამედ შედეგია საზოგადოების გულგრილობისა.

ამ ოთხი პიესით ცხადი ხდება თამაზ ჭილაძის, როგორც დრამატურგის, ინტერესების სფერო. იგი ადამიანის სულიერი სამყაროს მკვლევარია, ადამიანის სულის საწყაოს იკვლევს და ამიტომ არის საინტერესო ის, რასაც ქმნის. შესაძლოა რომელიმე დრამისმკეთებლის პიესები უფრო რეპერტუარული იყოს, ვიდრე ზემოაღნიშნული პიესებია (თუმცა, თამაზ ჭილაძის პიესებსაც საკმაოდ მნიშვნელოვანი სცენური ბიოგრაფია აქვთ), მაგრამ ნამდვილი მწერლისათვის მთავარი ის არის, თუ რაოდენ გამძლეა პრობლემების წრე, რომელსაც ის იკვლევს, ადამიანის სული კი მუდამ მარადიული იყო — სოფოკლედან მოყოლებული დღემდე მას იკვლევდა და იკვლევს ჭეშმარიტი მწერლობა და ეს არის სწორედ ის მარადიული საწყაული, რომელიც მუდამ იქნება ჭეშმარიტი მწერლობის ინტერესების საგანი.

ბიბლიოთეკა

ვაჟა კიკნაძე

# საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან

XIV ს. პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის ეს მნიშვნელოვანი მონაკვეთი, სამწუხაროდ, დოკუმენტური წყაროების მხრივ საკმაოდ ღარიბია. ეს ეხება როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებს. ამ მიზეზითაა გამოწვეული, რომ ამ ეპოქის შეფასებისას მკვეთრი სხვაობაა ქართველ და უცხოელ მკვლევართა შორის. მაგალითად ქართველ ისტორიკოსთა საწინააღმდეგოდ, ინგლისელი ქართველოლოგი დ. ლანგი გადაჭრით ამტკიცებს, რომ ქართველებს XIV საუკუნეში გიორგი V ბრწყინვალის დროს (1818-1846), არც მონღოლთა უღელი გადაუგდიათ და არც ამერ-იმერი გაერთიანებულა.[1]

ასეთ ვითარებაში თითოეულ ახალ, ეპოქის თანადროულ ცნობასა და წყაროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამჯერად ყურადღება გვინდა შევაჩეროთ XIV ს. რამდენიმე ევროპულ წყაროზე, რომლებიც ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში არ ყოფილა.

პირველი მათგანი, ლათინურ ენაზე შედგენილი, ვრცელი, უაღრესად საინტერესო წერილია. საქმე ეხება სებასტოპოლისის (ცხუმის) კათოლიკეთა ეპისკოპოსის — პეტრე გერალდის 1330 წლის წერილს. წერილის ადრესატია კენტერბერის არქიეპისკოპოსი და ინგლისის სხვა ეპისკოპოსები.[2] წერილში, მართალია — სასულიერო ცხოვრებაზეა ძირითადად ყურადღება გამახვილებული, მაგრამ საკმაოდ მხატვრულად და დაწვრილებით არის მოცემული სოხუმისა და დასავლეთ საქართველოს ამ დროის საშინაო ვითარება.

მოსალოდნელი იყო ეს დოკუმენტი მ. თამარაშვილს გამოექვეყნებინა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მ. თამარაშვილი ამ წერილს არ იცნობდა. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ წერილი ინახებოდა არა ვატიკანში, რომლის ფონდებითაც სარგებლობდა ძირითადად მ. თამარაშვილი, არამედ ვენეციელი ისტორიკოსის — მარინო სანუტო უფროსის[3] პირად არქივში. ეს მასალები XIX ს. შუა წლებში შეისწავლა და გამოაქვეყნა ფრ. კუნსტმანმა.[4]

როგორც ირკვევა, წერილის ასლი მარინო სანუტოსთან მოხვდა, წერილშივე მოხსენიებული პირის — იახია (იახიმ) დე-კრემონას საშუალებით. ეს უკანასკნელი, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კარგა ხანია იცნობდა აღმოსავლეთს. ამას მოწმობს მისი აღმოსავლური სახელიც, ხოლო გვარის მეორე ნაწილი (კრემონა) იტალიურ წარმავლობაზე მიგვანიშნებს.[5] მეორე მხრივ, დოკუმენტურად მტკიცდება, რომ ამ პირის სამსახურით არა ერთხელ უსარგებლია მარინო სანუტოსაც. სანუტო უფროსის მოღვაწეობის ძირითად აზრსა და მიზანს კი „წმინდა მიწებისა“ და, საერთოდ, „ურწმუნოთაგან“ აღმოსავლეთის განთავისუფლება შეადგენდა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მისი დიდტანიანი შრომიდან, რომელსაც ეწოდება: „ჯვრის სარწმუნოების საიდუმლოთა შესახებ“ «*Secreta fidelium crucis*» აღნიშნულის გათვალისწინებით გასაგები ხდება, რატომ უნდა მოხვედრილიყო ეს წერილი მარინო სანუტოსთან.[5]

აი რას მოგვითხრობს წერილი (მოგვყავს სრული თარგმანი):

„ქრისტეს მამათა შორის პატივცემულო, უფალო კენტერბერის (კენტის) არქიეპისკოპოსო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთის მადლით მთელი ინგლისის სამეფოში უპირველესო, ამ სამეფოს დანარჩენო არქიეპისკოპოსებო და ეპისკოპოსებო! (მოგმართავთ) ამავე სამეფოს თანამოძმე პეტრე, ღვთის ნებით სებასტოპოლისის[6] ეპისკოპოსი ქვემო საქართველოში; თითონ ჩემს სამწყსოში, მშვიდობიანობის დროს სიუხვესა და კეთილდღეობასთან ერთად, (აქაური) ქრისტიანი ძმები სარკინოზთაგან[7] ისე არიან შევიწროვებულნი და დატანჯულნი, რომ (ლამის არის) ქრისტიანული სარწმუნოება მიატოვონ.

საერთოდ, ბნელეთის[8] შვილები, წარმოშობით ცბიერნი (გამოცდილნი) არიან (ვიდრე) ჩვენი დასავლეთის ქრისტიანეთა სინათლის შვილნი: (ეს უკანასკნელნი) წუნარად ატარებენ თავიანთ დღეებს; ისინი ბეჯითნი არიან თავისი თავისთვის, მაგრამ არა იესო ქრისტესთვის, (ამის გამო), აღმოსავლეთში ყოველდღე მცირდება ქრისტიანთა მბრძანებლობა, რადგან ქრისტიანები იჩაგრებიან, (მათ) სთელავენ ბოროტგანმზრახველი სარკინოზები (სხვადასხვა) მოქმედებით: ღალატით თუ დაპირებით, წამებით თუ საჩუქრებით, ომით — ხმელეთსა და ზღვაზე: ახლა ქრისტიანებს იმონებენ ფულით ბაზრობებზე, სადაც მათ მიათრევენ კისერზე თოკით და ცხენის კუდზე გამობმულებს; მათ ჰყიდიან, რადგან არავინაა მათი ქომაგი.

ამგვარად, აქ არის პატივმოყვარე ქალაქი, სადაც დაუმსახურებლად დანიშნული ვარ უმაღლესი მღვდელმთავრის[9] ნება-სურვილით. როგორც ხმა დადის, ერთ დროს აქ ასი ქრისტიანე მიჰყიდეს სარკინოზებს. მათ ეს ქრისტიანები სარკინოზთა ქვეყანაში წაიყვანეს და იქ სარკინოზებად აქციეს. მე, ჩემი მხრივ, ვეწინააღმდეგები ადამიანებით დანაშაულებრივ ვაჭრობას, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ აქ მბრძანებლები ქრისტიანები არიან, არც ამ საკითხსა და არც სხვაში არ მიგონებენ, რადგან ბერძნული სქიზმის[10] მიმდევრები არიან...

ამიტომ (თქვენ მოგმართავთ): თუ თქვენს სამეფოში გაბედული მორკინალები მოიძებნებიან და სურვილი აქვთ იომონ ღვთისა და სარწმუნოების სიყვარულისათვის, დატყვევებული ქრისტიანების გასათავისუფლებლად და ამასთანავე სურვილს გამოიჩენენ შეიძინონ კარგი მამული, პირველობა, სამეფო და სასახლეები — სასურველი იქნება (თუ) თქვენ მათ გააცნობთ ამ (წერილს), სამოქმედოდ ის გამოგზავნეთ, ვინც ამ საქმის მცოდნეა.

საქმე იმაშია, რომ ამ წერილის მომტანი იახია დე კრემონა, თავის დროზე, ასე, ოცდაათი წლის წინათაც, იყო (აქ), მას ვავედრებ თქვენს მამობრივ მოწყალებას. პირადად მან სარწმუნოების ერთგულებისა და ტყვე ქრისტიანი ხალხის განთავისუფლებისათვის საქართველოდან ინგლისში ამ წერილის საკუთარი ხარჯით წამოღება ისურვა. მხოლოდ იმდენად ღარიბია, რომ მე მგონი მთელი მისი ქონება საკმარისი არ იქნება ნახევარი გზისთვის. თუმცა ერთ დროს იგი ძალიან მდიდარი, გემისა და ქონების პატრონი იყო, ამჟამად კი ღარიბია. ჩემის მხრით არაფრის მიცემა არ შემეძლო, რადგან არც ეკლესია და არც სახლი არ გამაჩნია თავის შესაფარებლად და არც ერთი დინარი არა მაქვს გასაცემი, მაგრამ (ამის მიუხედავად), მუდმივად, დღე და ღამე ვუცდი მახვილს სარწმუნოებისათვის (საბრძოლველად) და ეკლესიის გაერთიანებისათვის.[11] კვირაობით, რომელიმე ღარიბი ქართველისაგან შეწირულებას ვიღებ. ასე ვატარებ ამ ცხოვრებას. მეორე მხრივ, ამ ქვეყნის მბრძანებელი, რომელიც მთელი საქართველოს ჯარის მხედართმთავარიც არის, მზად არის მთელი თავისი ლაშქრით, დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად გასალაშქრებლად.[12] იგი ასე იქცევა: რომაული ეკლესიისადმი მორჩილებასა, კათოლიკობის მიღებაზე და სარწმუნოების ერთიანობაზე თანახმაა. აქაურ კათოლიკეებს სასაფლაოც მისცა. მიუხედავად ქართველთა ორი სამეფოს (ზოგიერთი) ჩვეულებისა, (აქ) გარდაცვლილ კათოლიკეს არ ასხვავებენ სქიზმატიკოსისაგან, მაგრამ თვით კათოლიკენი ვერ შეეგუვნენ სქიზმატიკოსებს და (მიცვალებულებს მათი), სასაფლაოს გარეთ მარხავენ. ამის გამო, ზემოთ ნათქვამი სასაფლაოს მიცემით, ძალიან განაწყენებული დარჩა სქიზმატიკოსი ეპისკოპოსი და სამღვდელოება, რადგან ამ სასაფლაოს გამო, ჰკარგავენ ლათინთა დასაფლავების (უფლებას). ამის გამო, იმდენად გაიზარდა შფოთი, რომ კათოლიკე ლათინთა მიერ სასაფლაოს შუაგულში აღმართული ჯვარი ამოგლიჯეს და აგრეთვე ლათინთა მიერ აღმართული 16 საფლავის ქვა დაამტვრიეს. ლათინელებმა ხელახლა აღმართეს ისინი, აქაურმა სქიზმატიკოსებმა, ღვდლებმა და ხალხმა, სარკინოზთა და იუდეველთა ხელის შეწყობით, მესამედ აღმართული (ჯვრები, ქვები, სქიზმატიკოს ეპისკოპოსთა-ეპისკოპოსთან[13] წაიღეს. ყოველივე ამის გამო (მოგმართავთ) თქვენ (დასავლეთის ქრისტიანებო), რომლებიც სტკბებით უზრუნველი კეთილდღეობით, შეიბრალეთ აღმოსავლეთის ქრისტიანები, რომლებიც იჩაგრებიან და თავიანთ გაჭირვებაზე ტირიან. თქვენთვის ადვილია, რომ ქვეყნიერებიდან სრულიად ამოაგდოთ მაჰმადიანთა და სარკინოზთა მათრახი. ეს შესაძლებელია, უკეთუ კათოლიკენი კარგს იზამდნენ და მიბაძავდნენ დიდ მეფეს.[14]

დაწერილია ქალაქ სებასტოპოლში, ქვემო საქართველოს სამეფოში, ინგლისის მეფის წმ. ედუარდის სახელწოდების დღესასწაულზე, უფლის წელთაღრიცხვის 1330 წელს".

კათოლიკეთა ეპისკოპოსის პეტრე გერალდის წერილის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის უაღრესად დიდია. გარდა იმისა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ იშვიათია ასეთი ვრცელი, ზუსტად დათარიღებული უცხოური წყარო, აქ საქმე გვაქვს დოკუმენტაციის მხრივ მეტად ღარიბ XIV ს-ის 30-იან წლებთან, და თანაც დასავლეთ საქართველოს ვითარებასთან (წერილის მიხედვით „ქვემო საქართველო“).

პირველ რიგში, ცხადი ხდება, რომ კათოლიკური საეკლესიო კათედრა, თბილისის გარდა, ცხუმშიც არსებობდა. თბილისში კათოლიკური კათედრა გადმოტანილ იქნა სმირნიდან (დღევანდელი — იზმირი, თურქეთში) 1328 წელს,[15] სებასტოპოლში კი, ამ წერილის მიხედვით, 1330 წლისთვის იგი უკვე არსებობს. უფრო მეტის თქმაც შეიძლება: უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული უცხოური ლიტერატურიდან გაირკვა, რომ აქ პირველი ეპისკოპოსი — ბერნარ მორე ყოფილა, რომელიც ამ თანამდებობაზე 1318 წელს დაუნიშნავთ.[16] პეტრე გერალდი რომ 1330 წელს იქნა დასმული ამ პოსტზე, ესეც გახდა ცნობილი.[17] ეს მონაცემები გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ბერნარ მორე სოხუმში ეპისკოპოსობდა 1318-დან 1330 წლამდე. რაც შეეხება პ. გერალდის ეპისკოპოსობის ზედა ზღვარს, იგი უცნობია. ცნობილია მხოლოდ, რომ შემდეგი ეპისკოპოსი 1388 წელს დაინიშნა.

საყურადღებოა მთელი რიგი სხვა მომენტებიც. საინტერესოა ლათინთა, ადგილობრივი მოსახლეობისა და მთავრის ურთიერთობა. კარგად ჩანს, რომ ქალაქში რამდენიმე ეთნიკურ-რელიგიური ერთეული ცხოვრობს (ქართველები, ლათინელები, მაჰმადიანები, ებრაელები). დოკუმენტის მიხედვით ისიც დასტურდება, რომ დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის რეზიდენცია ცხუმში უნდა ყოფილიყო და არა ბიჭვინთაში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მოგვიანო საუკუნეებში.[18] საყურადღებოა აგრეთვე საქართველოს ორ სამეფოდ მოხსენიება, მაგრამ ამავე დროს აღნიშვნა, რომ ამ მხარის მბრძანებელი (უნდა ვიგულისხმოთ მამია დადიანი — 1323-1345)[19] „მთელი საქართველოს მხედართმთავარიც“ ყოფილა («qui est princeps militiae in tota Georgiania») ჩანს, მამია დადიანს, ამირსპასალარობა მიანიჭა საქართველოს მეფემ — გიორგი V, რომელიც, ვახუშტის მიხედვით, სწორედ ამ დროს გადავიდა დასავლეთ საქართველოში. მისი სიტყვით, გიორგი V „მოერთო... ნიჭითა (ე. ი. ძღვენით, ვ. კ.) დიდითა“ დადიანი მამია.[20]

საყურადღებოა ის მითითებაც, რომ წერილის ავტორი კვლავ ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ მოუწოდებს ევროპის ხელმწიფეებს, რომ ამ მხარეში უკვე ჰქონდა ადგილი ტყვეთა ხყიდვის შემთხვევებს, რომ კათოლიკე-მისიონერთა და რომის პაპის მხრიდან დაბეჯითებითი ცდები იყო რომაულ-კათოლიკურისა და მართლმადიდებლური (ამ შემთხვევაში ქართული) ეკლესიების კვლავაც გაერთიანების [illegible], რომ ამ ცდებს ცალკეულ პიროვნებათა მიმართ საკმაო წარმატებაც ჰქონია (მაგალითად, თითონ მამია დადიანი) და ა. შ.

ამგვარად, დოკუმენტზე სიტყვა რომ აღარ გავაგრძელოთ, ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს მისი მნიშვნელობა და ის გარემოება, რომ ამ წერილის სახით ეპოქის თანადროულ, უნიკალურ წყაროსთან გვაქვს საქმე.

უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, აგრეთვე შემდეგი დოკუმენტი, რომელზედაც ქვემოთ შევჩერდებით.

საქმე ეხება საქართველოს მეფის — გიორგი V წერილის ფრაგმენტს. როგორც ცნობილია, გიორგი V — ბრწყინვალის სულ ორიოდე სიგელია დღემდე მოღწეული, მაგრამ ისინიც მკვლევართა მიერ კითხვის ნიშნის ქვეშაა დაყენებული. მართალია, მ. თამარაშვილს გამოქვეყნებული აქვს რომის პაპის წერილები გიორგი V-დმი,[21] მაგრამ გიორგი ბრწყინვალის არც ერთი საპასუხო წერილი ჯერჯერობით არაა ნაპოვნი. ასეთ ვითარებაში, გასაგებია, რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ყოველ ახალ საბუთს.

ჩვენ შევეხებით უკანასკნელ დროს გამოსულ ჟან რიშარის შრომაში მოყვანილ გიორგი V წერილს, რომელიც საფრანგეთის მეფე — ფილიპე VI-ისადმი იყო მიმართული. რაც შეეხება თვით ჟან რიშარს, იგი იყენებს 1906-1927 წ.წ. ჯეროლამო გოლუბოვიჩის მიერ. გუარაჩიში, გამოქვეყნებულ ფრანცისკანელ ბერთა არქივის მასალებს (ჯ. გოლუბოვიჩის ხსენებული ნაშრომი, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და მისი, ე. ი. პირველწყაროს გამოყენება, ჩვენ ჯერჯერობით ვერ შევძელით).

წერილი დაწერილი ყოფილა 1332-33 წლებში, ლათინურ ენაზე. მოგვყავს, ჩვენ მიერ შესრულებული, წერილის ქართული თარგმანი:

„საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარაცინთა წინააღმდეგ (საბრძოლველად) მაგრამ (საქმე იმაშია, რომ) შემდეგ (ისინი) აღარ მოდიან (და) გვტოვებენ ამ მტანჯველ ომში (მარტოდ).

ამიტომ გთხოვთ (თქვენ) ამ (მიზეზის) გამო, როცა (შესაფერისი დრო) იქნება, ზღვა გადმოლახეთ (და) მყისვე მეც (იქ) გავჩნდები, ჩემი კეთილმოწყობილი (ე. ი. კარგად აღჭურვილი, ვ. კ.) ოცდაათი ათასი ჯარისკაცით“.[22]

შეუძლებელია ამ წერილის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება. წერილის ადრესატი — საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუა იყო შარლ ვალუას ძე და ფილიპე IV ლამაზის ძმა. იგი მეფობდა 1328 წლიდან 1350 წლამდე. მის სახელს უკავშირდება 1337 წელს ინგლის-საფრანგეთს შორის 100-წლიანი ომის დაწყება. სხვათა შორის, მისთვის არა ერთი ვრცელი წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილი გაუგზავნია ადრე ხსენებულ მარინო სანუტოსაც, რომლებშიც იხსენიებს სწორედ იახია დე კრემონას.

საყურადღებოა, რომ გიორგი V დელიკატურ ფორმებში, მაგრამ მაინც ახსენებს საფრანგეთის მეფეს (ჩანს მისი წერილის საპასუხოდ), რომ დასავლეთიდან ხშირად დაპირებული დახმარება (გავიხსენოთ თუნდაც რუსუდანის მეფობის ხანა), ვერასდროს ვერ იხილეს აღმოსავლელებმა და, პირველ რიგში, საქართველომ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ წერილში გიორგი V წარმოგვიდგება როგორც დამოუკიდებელი, ძლიერი მმართველი თავისი ქვეყნისა. ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს მეფე სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას საომარ მოქმედებაში „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ, ევროპასთან ერთად, მაგრამ ეს გაკეთდება საკუთარი წონის სრული შეგნებით. ამას მიანიშნებს ის ფრიად საინტერესო ცნობა, რომ ამ დროის საქართველოს შესაძლებლობა ჰქონია მხოლოდ ამ საკმაოდ გაურკვეველი მიზნებისათვის, 30.000 კარგად შეიარაღებული ჯარისკაცი გამოეყვანა. ეს ცნობა მით უფრო მნიშვნელოვანია, თუ გავიხსენებთ, რომ მონღოლებს, სულ ცოტა ხნის წინ, საქართველოში მხოლოდ 20 ათასი მეომარი ჰყავდათ.23

ის გარემოება, რომ ამ დროს საქართველოს მეფე საკმაოდ ძლიერია, სხვა უცხოური წყაროებითაც მტკიცდება. მაგალითად, იტალიელი პილიგრიმი იაკობ ვერონელი, რომელმაც 1335 წელს მოინახულა პალესტინის „წმინდა ადგილები“, აღნიშნავდა, რომ იქ ქართველებსაც ჰქონდათ მონასტერი. კონკრეტულად, საქართველოს მეფეზე იგი ასე წერდა: („უნდა ვიცოდეთ), რომ მათი (ქართველთა) მეფე არის უძლიერესიო“,24 (ციტატა ლათინური ენიდანაა თარგმნილი).

სხვა წყაროებიც რომ არ არსებობდეს, ყოველივე ზემოთქმულიც საკმარისს საფუძველს გვაძლევს ეჭვი შევიტანოთ დ. ლანგის კონცეპციაში, იმის შესახებ, თითქოს ამდროინდელი საქართველო კვლავ მონღოლთა მფლობელობაში იმყოფებოდა.

განვიხილოთ კიდევ ერთი, ბერძნულ ენაზე არსებული საინტერესო ცნობა საქართველოსა და ახლა უკვე პალესტინას შორის არსებულ ურთიერთობის შესახებ.

საბედნიეროდ, ერთ-ერთ ბერძნულ სახარებას შემოუნახავს ვრცელი მინაწერი, სადაც საქართველოსა და საბაწმიდის მონასტრის ურთიერთობაზეა ლაპარაკი. საქართველოს მაშინდელი კათალიკოსის ექვთიმეს (1298-1310; 1318-1335) საბაწმიდის მონასტრისთვის 1334 წელს შეწირულება გაუგზავნია, რაც აისახა ხსენებულ მინაწერში:

„წმიდა და ღვთისნიერი ჩვენი მამის ექვთიმეს (ხსენების) დღეს, დავადგინეთ, ...თა წმიდა და ღვთისნიერი ჩვენი ნეტარი ... ა საბას წმიდა ლავრაში (ამავე ლავრაში გარდაცვლილ) ძმათათვის, ყოვ...ლწლიურად ...ო ლამის-თევა და ტრაპეზი, ... ელ ამ წმიდა სავანეში იბერიის უწმიდე... და უმართლმადიდებლესი არქიეპისკოპოსისა და კათალიკოსის, უფალი ეფთვიმეს შეწევნით, ბერნი იქნებიან. ასევე სათითაოდ მოიხსენიებიან მოგონებით ყოველნი, ვინც წმიდა ქალაქ იერუსალიმში პატრიარქობდნენ. თვით მოხსენიებულმა არქიეპისკოპოსმა (კათალიკოსმა ეფთვიმემ, ვ. კ.) გამოგზავნა იბერიიდან მცირე ევლოგია (შეწირულება, ნუგეშინის-ცემის სიტყვა, ვ. კ.) ამავე წმიდა ლავრაში დამცრობილი ბერ...ს განსაგებებლად და გასამხნევებლად. წაკითხ... იქნა დიდი ეფვთიმეს სვინაქსარი. წესდებ... რაც მოისმინა ყოველმა ძმამ. ღმერთმან წმი...დამან, სამებაში განდიდებულმან, ყოვლად უმანკო ღვთისმშობელმან და უნეტარესმა საბამ — მისცეს მას ჯილდო განსჯის დღეს. წელსა 6842 ინდიქტ. 2 (=1334 წ.)“.

საბაწმიდის ლავრა V საუკუნეში დააარსა საბა განწმენდილმა და თავიდანვე ერთი რომელიმე ერის კუთვნილება არ ყოფილა. აქ მოღვაწეობდნენ ბერძნები, სირიელები და, თითქმის დაარსებისთანავე — ქართველებიც. ...ით რებით ინტენსიური მოღვაწეობა ქართველებს VIII-X საუკუნეებში გაუჩაღებიათ. მაგრამ შემდეგ, სამწუხაროდ, საბაწმიდაში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ ცნობები აღარ ჩანს. ამ მხრივ, ზევით მოყვანილი საბუთი, რომელიც XIX ს. მკვლევარმა პაპანდოპულო-კერამევსმა თავის დიდტანიან შრომაში — „იერუსალიმის ბიბლიოთეკაში“ დაბეჭდა, ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს (ტ. II, ს./პეტერბურგი, 1894 წ. ბერძნულ ენაზე). საბუთის საშუალებით, ნათელი ხდება ქართველების მოღვაწეობის უწყვეტობა საბაწმიდაში XIV საუკუნემდე მაინც. საბუთის მიხედვით, ამ დროს საბაწმინდელებს თუმცა კი უპირო, დამცრობილნი, შემცირებულნი არიან, მაგრამ აშკარაა, რომ ქართველები იქ კვლავ იღწვიან და საქართველოსთანაც კავშირი აქვთ.

მოყვანილი წერილები და მათში მოხსენიებული პირნი, შესანიშნავად მოწმობენ რაოდენ ცხოველი ურთიერთობა ჰქონიათ XIV საუკუნის I ნახევრის საქართველოს მესვეურებს საზღვარგარეთის ცნობილ ისტორიულ პირებთან და ქვეყნებთან. ისინი ნათელს ჰფენენ ამ ეპოქის კიდევ ერთ, მნიშვნელოვან ასპექტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენიშვნები:

1 დ. მ. ლანგი, საქართველო გიორგი ბრწყინვალის მ[illegible]ობის დროს, BSOAS № XVII/1. ლონდონი, [illegible]5 (ინ[illegible]ურ ენაზე).

2 ამ წერილის ·ესახებ, უფრო ვრცლად, ლათინური ტექსტის დართვით, ჩვენი შრომა გამოქვეყნდება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

3 სანუტო უფროსისაგან უნდა გავარჩიოთ მარინო სანუტო უმცროსი, ასევე ვენეციელი ისტორიკოსი, რომელიც შედარებით გვიან მოღვაწეობდა (1466-1536).

4. ფრ. კუნსტმანი, მარინო სანუტო უფროსის შესწავლისათვის. ბავარიის სამეფო მეცნიერებათა აკადემიის საისტორიო განხრის თხზულებანი, ტ. VII მიუნხენი, 1855 წ. (გერმანულ ენაზე, დოკუმენტი — ლათინურზეა).

5 საინტერესოა, რომ კრემონას გვარის მატარებელი მისიონერები (ანსელინო, გუიჩარდი), ახალი მონაცემებით, საქართველოში ჩანან ჯერ კიდევ XVIII ს. შუა წლებში.

6 ლაპარაკია ცხუმზე. ამ დროის უცხოურ წყაროებში ეს სახელი რამდენიმე ვარიანტითაა წარმოდგენილი, რომელთა შორის ძირითადია — სებასტოპოლისი.

7 „სარკინოზებს“ (სარაცინებს) — ჩვეულებრივ უწოდებდნენ არაბებს. აქ, ცხადია, საერთოდ „ურწმუნოთა“ აღსანიშნავადაა ნახმარი ეს ტერმინი.

8 ,ბნელეთის — ე. ი. არაქრისტიანთა, ურწმუნოთა.

9 იგულისხმება რომის პაპი.

10 სქიზმა — განხეთქილება. ლაპარაკია ბერძნული და რომაულ-კათოლიკური ეკლესიების გათიშვაზე. აქ კონკრეტულად იგულისხმებიან მართლმადიდებლები.

11 იგულისხმება ზევით დასახელებულ ეკლესიათა კვლავ გაერთიანება.

12 პეტრე გერალდი გულისხმობს ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობას. ასეთი ლაშქრობის ერთ ერთი უკანასკნელი, უშედეგო ცდა, 1323 წ. ყოფილა.

13 ე. ი. დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსთან.

14 ლაპარაკია ინგლისის ცნობილ მეფეზე — ედუარდ III (1327-1377). ედუარდ III, ფილიპე VI, საფრანგეთის მეფის თანამედროვე იყო და მათ დროს დაიწყო ინგლის-საფრანგეთს შორის 100-წლიანი ომი. ედუარდ III შევიდა ისტორიაში როგორც ძლიერი და ენერგიული მმართველი, ესე იგი ის პიროვნება, ვისი დახმარების იმედიც შეიძლება ჰქონოდა პეტრე გერალდს.

15 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ. 1902. გვ. 32.

16 ჟან რიშარი, რომის პაპები და აღმოსავლეთის სამისიონეროები შუა საუკუნეებში (XIII-XV სს.), რომი, 1977 (ფრანგულ ენაზე).

17 ო. რაინალდი, საეკლესიო ანალები ტ. XV, 1330, №57, რომი, 1691 (ლათინურ ენაზე).

18 ნ. ბერძენიშვილი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წეს-წყობილება, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. V, თბ., 1971, გვ. 98-100.

19 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.

20 ვახუშტი, იქვე.

21 მ .თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 29-34.

22 ჟან რიშარი, დასახ. ნაშრომი.

23 Заметка Эль-Калькашанди о грузинах, изд. Тизенгаузена, ЗВОРАОБ, т. I, вып. III, С/Пг 1886, გვ. 211—216.

24 დ. ლანგი, დასახ. ნაშრომი. გვ. 81.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამაზ პატარიძე

# მხატვრული მზე ვეფხისტყაოსნისა

## რათგან ღმერთმან მზედ დაგბადა

ერთხელ კვლავ გავიხსენოთ, თინათინთან განშორების ჟამს ავთანდილმა მისთვის მზეს — თინათინს სთხოვა:

„მაგრა, მზეო, თავი მზესა
ჩემთვის სრულად დააგვანე,
სიცოცხლისა საიმედო
ნიშანი რა წამატანე".

თინათინმა თავი სრულად მზესა დაამგვანა, რაკი ავთანდილს მასთან (მზესთან) კვლავ შეყრა აღუთქვა, კვლავ შეყრის აღთქმის ნიშნად ავთანდილს მარგალიტის მძივი მისცა. ამით თინათინმა ავთანდილისათვის თავი მზესა სრულად დაამგვანა.

მაგრამ გარდაუვალია თუ არა ავთანდილის კვლავ შეყრა მზესთან? ეს უკვე ღმრთის ნებაა. „ღმერთსა უნდეს" და „ღმერთმან ქმნას" კვლავ აღირსოს ავთანდილს თინათინთან შეყრის სიხარული:

701. „ქალმან მისცნა მარგალიტნი,
სრულ-ქმნა მისი საწადელი,
ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს
ლხინი ესე აწინდელი".

თინათინთან გაყრილ ავთანდილს აწ ღმერთი უნდა შეეწიოს. „ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერად", იგი უნდა შეეწიოს ავთანდილს, მას უნდა აღუვლინოს ავთანდილმა თავისი ვედრება, „სააჯო და სათხოველი".

მაგრამ, ვიდრე ღმრთისადმი ავთანდილის სავედრებელს განვიხილავდეთ, საჭიროა თინათინთან ავთანდილის პირველი გაყრა გავიხსენოთ. ორსავე გაყრას შორის ბევრი რამაა საერთოც და საგულისხმოც.

პირველ გაყრისას თინათინი ავთანდილს უცხო მოყმის მონახვასა და ამისთვის ცის კიდეთა მოლახვას ავალებს:

129. „წადი, იგი მოყმე ძებნე,
ახლოს იყოს, თუნდა შორად...
127. შენ გენუკევ მონახვასა;
კიდით კიდე მოლახო ცა".

ავთანდილი თინათინის ნება-სურვილს უნდა დაემორჩილოს, რაკი თინათინის ქვეშევრდომი ყმა და თინათინის მიჯნურია. ამას თვით თინათინი ეუბნება ავთანდილს:

129. ასრე გითხრა, სამსახური
ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ, ყმა ხარ, ხორციელი
არავინ გვყავს შენად სწორად,
მერმე, ჩემი მიჯნური ხარ,
დასტურია, არ ნაჭორად..."

ავთანდილი თინათინს პატრონყმური ურთიერთობის ურყევ წესს უდასტურებს:

133. „სხვა პასუხი რამცა გკადრე,
ანუ რამცა შევიწამე?
ვითა მონა, სამსახურად
განაღამცა წავე, წა,- მე!"

(რ ა მ ც ა შ ე ვ ი წ ა მ ე — რა მოვითხოვო? რა ვისურვო? — ნ. ნათაძე. გ ა ნ ა ღ ა მ ც ა — რა თქმა უნდა, რასაკვირველია — აკ. შანიძე; ოღონდაც, დიაღაც, ნეტავი კი, ჭეშმარიტად — იუსტ. აბულაძე; დიაღაც რომ — ნ. ნათაძე).

როცა თინათინი ავთანდილს ეუბნება:

„...პირველ, ყმა ხარ, ხორციელი
არავინ გვყავს შენად სწორად..."

ყმა ამ შემთხვევაში ნიშნავს ქვეშევრდომს, ვასალს. იგულისხმება თინათინისა და ავთანდილის პატრონყმური ურთიერთობა. საპასუხოდ ავთანდილიც იგივეს ამბობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...ვითა მონა, სამსახურად
განალამცა წავე, წა,- მე!“

მონა ამ შემთხვევაში იგივეა, რაც ყმა. აქაც თინათინისა და ავთანდილის პატრონყმური დამოკიდებულება იგულისხმება. ეს რომ მართლაც ასეა, ამას ავთანდილისავე სიტყვები ცხადყოფს, შერმადინს რომ ეუბნება:

152. „პირველ, ყმა ვარ, წასვლა
მინდა პატრონისა სამსახურად,
ხამს მეფეთა ერთგულება,
ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად...“

ხოლო ავთანდილისათვის, როგორც მიჯნურისათვის, თინათინის სამსახური უდიდესი ბედნიერებაა. ამიტომ ეუბნება ავთანდილი თინათინს:

„მე სიკვდილსა მოველოდი,
შენ სიცოცხლე გამიწამე...“

(გ ა წ ა მ ე ბ ა — სიცოცხლის რწმენის განახლება — იუსტ. აბულაძე; გ ა მ ი წ ა მ ე — გადამიწყვიტე, მომისინჯე, 2. გამიმხილე, მაცნობე — ნ. ნათაძე; გ ა წ ა მ ე ბ ა — გაწვალება, გამწარება — აკ. შანიძე. აკ. შანიძის განმარტება, ვფიქრობ, არ არის სწორი რ. პ.).

ამ პატრონყმური ერთგულებისა და სასიყვარულო თავდადების ცხადსაყოფლად, ავთანდილი თინათინს ეუბნება:

134. კვლავაც ჰკადრა: „აჰა, მზეო,
რათგან ღმერთმან მზედ დაგბადა,
მით გმორჩილობს ზეციერი
მნათობია რაცა სადა...“

ეს მეტად მნიშვნელოვანი 184-ე სტროფი საგულდაგულოდ უნდა განვიხილოთ. ავთანდილი თინათინს არა თუ მხოლოდ მზეს უწოდებს, არამედ მზე და თინათინი ავთანდილის ნათქვამში გაიგივებულია. როცა ავთანდილი თინათინს ეუბნება:

„...აჰა, მზეო, რათგან ღმერთმან
მზედ დაგბადა...“

ეს თანაბრად ეხება როგორც თინათინს, აგრეთვე, რა თქმა უნდა, მზე ზეციერს. რადგან მზე, ღმერთმან მზედ დაბადა, იგულისხმება, რომ ამით მზეს რაღაც უპირატესობა ენიჭება. მზის უპირატესობაც აქვეა განცხადებული:

„..მით გმორჩილობს, ზეციერი
მნათობია რაცა სადა...“.

ანუ მზეს ემორჩილებიან ცის მნათობები, ე. ი. ცთომილნი (პლანეტებით).

აზრი ამ ნათქვამისა ასეთია: „მზეო თინათინ, რ ა თ გ ა ნ ღ მ ე რ თ მ ა ნ მ ზ ე დ დ ა გ ბ ა დ ა, ისევე უნდა დაგემორჩილო ჩემს მზეს, როგორც მზე ზეციერს ემორჩილებიან ცის მნათობებით. როგორია ეს მორჩილება? ავთანდილი ემორჩილება თავის მზეს — მეფესა და პატრონს (თინათინს), პატრონყმური ერთგულებისა და სიყვარულის ძალით.

რაკი მზე-თინათინისა და მზე-ზეციერის იგივეობა სტროფში სრულია, მზე-ზეციერს ემორჩილებიან ცთომილნი პატრონყმური ერთგულებისა და სიყვარულის ძალით. მზე არის მეუფე და პატრონი ცთომილთა — მზის დასისა.

ცხადია, რას ეუბნება ავთანდილი თინათინს: მე ისევე უნდა დაგემორჩილო შენ, როგორც ცთომილნი ემორჩილებიან მზესო.

ავთანდილის ერთგულება და სიყვარული ღვთაებრივი და სამყაროულია და, ეს რომ მართლაც ასეა, ამას ქვემოთ დავინახავთ.

## იაჯდის მისთვის მზისავე მზობასა

პირველ-გაყრისას, თინათინის დავალების შესასრულებლად მიმავალი ავთანდილი, წასვლის წინ თინათინს მზედ სახავს და მისთვის მის მზეობას უცხადებს:

134. კვლაცა ჰკადრა: „აჰა, მზეო,
რათგან ღმერთმან მზედ დაგბადა,
მით გმორჩილებს, ზეციერი
მნათობია რაცა სადა.
მე რომ თქვენგან მოვისმინენ
წყალობანი, მედიადა,
ვარდი ჩემი არ დაჭნების,
შუქი შენი იეფად-ა“.

ახლა, მეორედ გაყრისას, ავთანდილი თავის საყვარელს იგივ მზეობას შესთხოვს: თინათინმა ავთანდილს მზეობა უნდა გაუწიოს, ხოლო ავთანდილმა პატრონყმური და მიჯნურული ერთგულება.

ავთანდილმა თინათინისაგან მზეობის დასტური მიიღო, მაგრამ შორეულ გზებზე მიმავალ ავთანდილს ღმერთი უნდა შეეწიოს, მან უნდა მისცეს ავთანდილს „მშვიდობისა გზანი“.

### ლოცვა ავთანდილისა

802. „ღმერთო, ღმერთო მოწყალეო,
არვინ მივის შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ შეწევნასა,
რაზომსაცა გზასა ვვლიდე...“

ავთანდილს არათუ მხოლოდ „მშვიდობისა გზანი“ უნდა მისცეს ღმერთმა, არამედ, რაკი იგია დამბადებელი მიჯნურობისა, რაკი „იგია მზრდელი ყოვლისა დანერგულ-დათესილისა“, უნდა შეეწიოს ავთანდილს სიყვარულში:

### ლოცვა ავთანდილისა

801. „ღმერთო, ღმერთო, გეაჯები,
რომელი ჰფლობ ქვეყნათ ზესსა,
შენ [illegible]ბადე მიჯნურობა,
შენ აწესებ მისსა წესსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე სოფელმან მომაშორვა
უკეთესსა ჩემსა მზესა,
ნუ ამოჰფხვრი სიყვარულსა,
მისგან ჩემთვის დანათესსა!“

ახლა თინათინს გაყრილი და გზად მიმავალი ავთანდილის ღმრთისადმი აღვლენილი ხვედრებილიც უნდა განვიხილოთ. ამისთვის საჭიროა სტროფი 822-ე განიმარტოს. აი, ეს სტროფიც:

822. აწყა დავიწყებ ამბავსა,
მის ყმისა წამავლობასა:
მივა და მიტირს გულ-მდუღრად,
ვერ ვიტყვი ცრემლთა მცრობასა,
წამ-წამ მობრუნდის, იაჯდის
მისთვის მზისავე მზობასა,
უჭვრეტდის, თვალი ვერ მოხსნის,
თუ მოხსნის, მიხდის ცნობასა.

სტროფის პირველი ორი ტაეპი გასაგებია და დავას არ იწვევს. უკანასკნელ ორ ტაეპს კი სხვადასხვაგვარად განმარტავენ და სხვადასხვა შინაარსს ანიჭებენ. გასარკვევია რას ნიშნავს: 1. წამ-წამ მობრუნდის; 2. იაჯდის მისთვის მზისავე მზობასა და ვის უჭვრეტს ავთანდილი, მზე-ზეციერსა თუ მზე-თინათინს.

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ სტროფის მეორე ნახევარი ასე განმარტა:

„....(ავთანდილი) დროდადრო მობრუნდებოდა (გონს მოეგებოდა) ხოლმე, ითხოვდა, მისთვის მზეს რომ მზეობა გაეწია, უყურებდა, თვალს ვერ სწყვეტდა, თუ მოსწყვეტდა, გონებას კარგავდა“.

აკადემიური განმარტებით სტროფის „წამ-წამ მობრუნდის“ დროდადრო გონთ მოსვლას ნიშნავს; მაგრამ არ ვიცით, ზეციერი მზის მზეობას იხვეწება ავთანდილი, თუ მზე-თინათინის მზეობასა; არ ვიცით, ზეციერ მზეს შეჰყურებს ავთანდილი თუ მზე-თინათინს.

ვუკოლ ბერიძე სტროფის ამავე ნაწილს ასე განმარტავს:

„(ავთანდილი) წამ-წამ მობრუნდებოდა ხოლმე, იხვეწებოდა, რომ მზე (თინათინი) მისთვის მზედ ყოფილიყო. უჭვრეტდა, ხოლმე თვალს ვერ აშორებდა, თუ მოაშორებდა, ცნობა ეკარგებოდა“ (ვ. ბერიძე, ვეფხისტყაოსნის კომენტარი, თბ., 1974 წ., გვ. 248).

ნოდარ ნათაძე სტროფის ამავე ნაწილს ასე განმარტავს:

„(ავთანდილი) წამდაუწუმ მობრუნდებოდა ხოლმე, უკან იხედებოდა. ევედრებოდა ღმერთს, რომ მზე მისთვის მზედვე ყოფილიყო. უცქერდა, თვალს ვერ აცილებდა (თუ მოაცილებდა), გონებას კარგავდა...“ (ვეფხისტყაოსნის სასკოლო გამოცემა, გვ. 278).

ახლა ვნახოთ როგორ განმარტავდნენ ამ სტროფის ჩვენი ძველი მოღვაწეები.

ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანში ეს სტროფი (821) ასეა განმარტებული.

„აწყა დავიწყებ — ვითამ მზეს თავის საყუარელს ადარებდა და იმის ყურებით (ე. ი. მზის ყურებით, რ. პ.) მის (ე. ი. თინათინის რ. პ.) სიყვარულს მოითმენდა და სძლებდა“.

თეიმურაზ ბაგრატიონი სტროფის ბოლო ნაწილს ასე განმარტავს:

„მალ მალ, ხშირ ხშირად გამობრუნდებოდა ავთანდილ, პირს თავის საყვარლისაკენ იქმოდა და იაჯდა, ესე იგი სუროდა მისთვის მზისავე მზობასა, ესე იგი საყვარლის კვალად ხილვასა. უყურებდა საითაც თავისი საყვარელი აჰყვანდა იმ მხარესა და თვალს ვერ მოაშორებდა, როდესაც თვალს მოაშორვებდა, ცნობა მიეხდებოდა“ (თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსანისა“, თბ., 1960 წ., გვ. 121).

მე მიმაჩნია, რომ სტროფის შინაარსი ყველაზე უკეთ თეიმურაზ ბაგრატიონმა განმარტა. ერთადერთი უზუსტობა თ. ბაგრატიონმა სიტყვა „იაჯდის“ განმარტებისას დაუშვა: „იაჯდის ესე იგი სუროდა“-ო (თ. ბაგრატიონს „იაჯდა უწერია).

სტროფის განმარტებისას ამ სიტყვას „იაჯდის“) რატომღაც უყურადღებოდ ტოვებენ. სიტყვას კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაკი ავთანდილის აჯა-სათხოვარი ღმრთისადმია მიმართული. ამ გარემოებას ერთადერთმა ნოდარ ნათაძემ მიაქცია ყურადღება და სწორადაც განმარტა: „იაჯდის — ითხოვდა (იგულისხმება ღმერთისაგან“-ო).

ამიტომ, ვფიქრობ, საჭიროა სტროფის ამ ბოლო ნაწილის შინაარსეული მნიშვნელობა დაზუსტდეს, რათა საბოლოოდ გაირკვეს თუ რას ევედრება ავთანდილი ღმერთს.

822: 3,4. „წამ-წამ მობრუნდის, იაჯდის
მისთვის მზისავე მზობასა,
უჭვრეტდის, თვალი ვერ მოხსნის,
თუ მოხსნის, მიხდის ცნობასა“.

სტროფის „წამ-წამ“ ვეფხისტყაოსანში კიდევ ორგზის გვხვდება.

„იგონებს წამ-წამ, მიჰყვების
ტყის პირსა შამბნარ-წყლიანსა“.

191. 4. (1937 წლის გამოცემით. 1966 წლის საიუბილეო გამოცემამ სტროფი ჩანართად მიიჩნია):

„იზახდის და წამ-წამ იკრის
გულსა ლოდი, თავსა კეტი“.

266. 3 (1966 წ. საიუბილეო გამოცემით). ვეფხისტყაოსანი ცხადყოფს, რომ სიტყვა „წამ-წამ“-ს აქვს ერთადერთი მნიშვნელობა —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალი-მალ, ხშირ-ხშირად. რუსთველოლოგებს „წამ-წამ“ ასე აქვთ განმარტებული:

თეიმურაზ ბაგრატიონი — მალ მალ, ხშირ ხშირად; იუსტინე აბულაძე — ხშირ-ხშირად, ყოველ წამს; აკაკი შანიძე — ყოველ წამს; ნოდარ ნათაძე — წამდაუწუმ.

ახლა „წ ა მ-წ ა მ მობრუნდის“ უნდა განიმარტოს.

თინათინს განშორებული და ტარიელის შესახვედრად მიმავალი ავთანდილი, ცხადია, თინათინის მიმართ ზურგშექცეულია. ამიტომ, რა გასაკვირია, წინ მიმავალი ავთანდილი მალი-მალ უკან იყურებოდეს, თვალები უკან რჩებოდეს. გავიხსენოთ, თინათინთან პირველ-გაყრისას ავთანდილი აგრეთვე უკან იხედება:

137. „ყმა წავიდა, სიშორესა
თუცა მისსა ვერ გასძლებდა,
უკულმავე იხედვიდა,
თვალთა რეტად აყოლებდა...“

„წამ-წამ მობრუნდის“ რომ მართლაც მალი-მალ უკან ყურებას ნიშნავს, ამას პოემის 828 სტროფიც ცხადყოფს:

823. 3 „ზოგჯერ დაბრუნდის, იჭვრეტდის
ღონედ პატიუთა თმენისად“.

თინათინთან განშორების სიმძიმილის გამო, ავთანდილი არა მხოლოდ უკან იყურება, არამედ ზოგჯერ უკან ბრუნდება კიდეც, ტანჯვის გაძლების მიზნით. („ღონედ პატიუთა თმენისად“).

ყოველივე ზემოთქმულის გამო, 822-ე სტროფის „წამ-წამ მობრუნდის“ დროდადრო გონთ მოსვლას არ უნდა ნიშნავდეს. ცრემლთა ღვრისა და დაბნედის შესახებ 822-ე და 828-ე სტროფებში ცალკეა საუბარი. ამიტომ, შ. ძიძიგურის ვარაუდი და აკადემიური კომისიის დასტური, რომ „წამ-წამ“ ნიშნავს „დროდადრო“, მიუღებელია, ხოლო ივ. გიგინეიშვილის ვარაუდი და აკადემიური კომისიის დასტური, რომ 822-ე სტროფის „მობრუნდის“ გონზე მოსვლას, გამორკვევას ნიშნავს, აგრეთვე, მიუღებელია.

ახლა, 822-ე სტროფის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მესამე ტაეპი: „...იაჯდის მისთვის მზისავე მზობასა“ უნდა განიმარტოს. უნდა გაირკვეს მზე-ზეციერის მზეობას ევედრება ავთანდილი ღმერთს თუ მზე-თინათინის მზეობასა. მეცნიერთაგან ზოგნი ამ ტაეპში მზე-ზეციერს ხედავენ, ზოგნი მზე-თინათინს. ამის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა.

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ. განშორების ჟამს ავთანდილი თინათინს ეუბნება:

„მაგრა მზეო, თავი მზესა ჩემთვის სრულად დააგვანე...“ ანუ: ჩემთვის მზეს ემსგავსე, რომ ჩემი შენთან გაყრა მზესთან გაყრას ჰგავდეს, კვლავ მზესვე რომ შეგეყაროო. თინათინმა ავთანდილს თხოვნა შეუსრულა და ავთანდილისათვის თავი მზესა დაამგვანა, მით მასთან, ვითარცა მზესთან, კვლავ შეყრა აღუთქვა.

რაკი ავთანდილი თინათინს მზეობას შესთხოვდა, სავარაუდოა, თინათინის მზეობას ავთანდილი ახლა ღმერთს ევედრებოდეს. როგორც ჩანს, ეს მართლაც ასეა.

„...იაჯდის (ავთანდილი) მისთვის მზისავე მზობასა“ ტაეპი ასე უნდა გავიგოთ: მისთვის ანუ ავთანდილისათვის მზე არის თინათინი; მისთვის მზედ თინათინი იგულისხმება. ამიტომ ტაეპი ისე კი არ უნდა განიმარტოს, თითქოს ავთანდილი ზეციერი მზისავე მზეობას ისვეწებოდეს, არამედ „მისთვის მზისა“ ანუ ავთანდილისათვის მზისა — თინათინის მზეობას ითხოვს ავთანდილი ღმერთისაგან. ე. ი. ავთანდილი ევედრება ღმერთს თინათინისავე მზეობასა.

მისთვის (ავთანდილისთვის) მზე არის თინათინი და არა ზეციერი მზე.

ამგვარად, თინათინის მზეობას ავთანდილი ჯერ თინათინს შესთხოვს: „მაგრა მზეო, თავი მზესა ჩემსთვის სრულად დააგვანე“. ხოლო თინათინს გაყრილი და გზად მიმავალი ავთანდილი მისთვის მზის-თინათინის მზეობას ღმერთს ევედრება:

„წამ-წამ მობრუნდის, იაჯდის
მისთვის მზისავე მზობასა.

ცხადია, ამის შემდგომ, 822-ე სტროფის ბოლო ტაეპში, „უჭვრეტდის, თვალი ვერ მოხსნის, თუ მოხსნის, მიხდის ცნობასა“. ავთანდილი მზე-ზეციერს კი არ უჭვრეტს, არამედ მზე-თინათინს. ავთანდილის მთელი არსება თინათინისაკენაა მიმართული: მალ-მალ უკან, თინათინისაკენ იყურება, ღმერთს თინათინის მზეობას შესთხოვს, გონების თვალით თინათინსავე უჭვრეტს.

ამიტომ, 822-ე სტროფის ბოლო ორი ტაეპი:

„წამ-წამ მობრუნდის, იაჯდის
მისთვის მზისავე მზობასა,
უჭვრეტდის, თვალი ვერ მოხსნის,
თუ მოხსნის, მიხდის ცნობასა“.

ასე უნდა განიმარტოს: „ავთანდილი მალი-მალ უკან იხედებოდა (იქითკენ, სადაც თინათინს გაეყარა), ღმერთს ევედრებოდა: მისთვის მზედ-მიჩნეულ თინათინს მზეობა გაეწია, (გონების თვალით) თინათინს უჭვრეტდა, თვალს ვერ სწყვეტდა. თვალს რომ მოაშორებდა, გონებას჻ ჰკარგავდა“.

ამგვარად, უნდა დავასკვნათ, რომ ავთანდილი ჯერ თინათინისაგან ითხოვს მზეობას, ხოლო შემდეგ თინათინის მზეობას ღმერთს ევედრება. შორეულ გზაზე მიმავალ ავთანდილს თინათინმა მზეობა უნდა გაუწიოს, მაგრამ რას ნიშნავს ეს თინათინის მზეობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღონედ პატიჟთა თმენისად

822-ე სტროფის განმარტების შემდგომ თინათინის მზეობა ეჭვს აღარ იწვევს.

თინათინმა ავთანდილს მზეობა უნდა გაუწიოს. როგორ გავიგოთ ეს მზეობა თინათინისა ან ავთანდილი თინათინის მზეობას ღმერთს რატომ უნდა ევედრებოდეს?

„...იაჯდის (ავთანდილი ღმრთისაგან)
მისთვის მზისავე მზობასა".

ანუ, როგორც უკვე განიმარტა, ავთანდილი მისთვის მზის — თინათინის მზეობას ღმერთს ევედრება, მაგრამ რატომ?

ცხადია, რატომ:

ღმერთმა მზე მზედ იმისთვის დაჰბადა, რომ ცთომილთ გზა წარუმართოს, გავიხსენოთ, პირველ-გაყრისას ავთანდილი თინათინს ეუბნება:

134. „კვლაცა ჰკადრა: „აჰა, მზეო,
რათგან ღმერთმან მზედ დაგბადა,
მით გმორჩილობს, ზეციერი
მნათობია რაცა სადა..."

სტროფში მზისა და თინათინის იგივეობა სრულია: რაკი თინათინი მზეა, რაკი ღმერთმა თინათინი მზედ დაჰბადა, ამიტომ ჰმორჩილებენ მზე-თინათინს ზეციერნი მნათობნი.

თინათინი ასპექტია ისეთი მზისა, რომელსაც ზეციერნი მნათობნი ანუ ცთომილნი ემორჩილებიან. რას გულისხმობს ეს მორჩილება? იმას, რომ ცთომილთა ზეციერ მსვლელობას მზე განაგებს და მათ ცთომილურ გზას მზე წარმართავს.

თინათინთან მეორედ გაყრისას, ავთანდილი ამჯერად მზე-ზეციერს იმასვე ეუბნება, რასაც პირველ-გაყრისას მზე-თინათინს ეუბნებოდა:

827. იტყვის: „ჰე, მზეო...
ვის გმორჩილებენ ციერნი
ერთის იოტის წამისად,
ბედსა ნუ მიქცევ, მიაჯე,
შეყრამდის ჩემად და მისად..."

აქ დამატებით რუსთველი იმასაც გვეუბნება, რომ ცთომილთა მორჩილება უზუსტესია და დროის უმცირეს მონაკვეთებში ხორციელდება.

მზის ასეთი გაგება (რა თქმა უნდა, ასტრონომიული) ერთ შემთხვევაში მზე-თინათინს მიემართება — (სტროფი 134), ხოლო მეორე შემთხვევაში — მზე-ზეციერს (სტროფი 726). ორივე სტროფი ლოგიკურ ურთიერთკავშირშია. ორივე სტროფში შეფარულად გაცხადებულია ის თვალსაზრისი (რა თქმა უნდა, ასტრონომიული), რომ ცთომილთა გზას ზეციერ სამყაროში მზე წარმართავს, ანუ მზე ზეციერ ცთომილთ მზეობას უწევს. მზის მზეობაც ეს არის.

რაკი ამ ასპექტით მზე და თინათინი ვეფხისტყაოსანში გაიგივებულია, რაკი თინათინი მზესა ჰგავს და მზე თინათინს, ამიტომ თინათინის მზეობაც იგივეა, რაც მზის მზეობა. თუ მზე-ზეციერი ცთომილთა გზას განაგებს, მზე-თინათინმა ავთანდილს იგივ „ცთომილური" გზა უნდა წარუმართოს.

როგორც უკვე ითქვა, მზე არის მეუფე და პატრონი ცთომილთა, ხოლო ცთომილნი მზეს (ანუ მზე-თინათინს, რაც ერთი და იგივეა) პატრონყმური ერთგულებისა და სიყვარულის ძალით ემორჩილებიან.

უნდა ვიფიქროთ, რუსთველის თვალსაზრისით, ციურ ცთომილთა მოძრაობა, ზეციერი წესრიგი და ჰარმონია სიყვარულის ძალას ექვემდებარება.

მაგრამ ავთანდილის პირველსა და მეორე გამგზავრებას შორის სხვაობაც არის. თინათინთან პირველგანშორებისას ავთანდილი თინათინს არც მზეობას შესთხოვს, თინათინის მზეობას არც ღმერთს ევედრება. რატომ ხდება ასე?

პირველ-განშორებისას ავთანდილს გზა მზე-თინათინმა წარუმართა, ავთანდილი უცხო მოყმის საძებნელად თინათინის დავალებით — „პატრონისა სამსახურად" მიემგზავრება. ცხადია, იგივეობა სრულია: თინათინმა ისევე წარუმართა ავთანდილს გზა, როგორც მზე-ზეციერი წარმართავს ცთომილთა გზას.

თინათინს განშორებული და გზად მიმავალი ავთანდილი გონების თვალით თავის მზეს-თინათინს უჭვრეტს:

146. გამოემართა ავთანდილ,
მოყმე მხნე, ლაღად მავალი.
ოც დღე იარა, ღამეცა
დღეს ზედა წართო მრავალი.
იგია ლხინი სოფლისა,
იგია ნივთი და ვალი,
არ მისცილდების თინათინ
მისი მას, ვისგან სწვავ ალი".

გზად ავთანდილის ერთადერთი საფიქრალი მისი მზე-თინათინია:

169. „მიწყივ მისად საგონებლად
მისი მკვლელი თინათინ-ა".

თინათინთან მეორედ განშორებისას სხვა ვითარებაა. ამჯერად ავთანდილი თინათინის დავალებით „პატრონისა სამსახურად" კი არ მიემგზავრება, არამედ საკუთარი მოვალეობის გრძნობით: ტარიელისათვის მიცემული ფიციც უნდა აღასრულოს და ქირში მყოფი მეგობარიც უნდა იხსნას.

სწორედ ამიტომ ითხოვს ავთანდილი თინათინის მზეობას. თუ ტარიელის საშველად გამგზავრება ავთანდილს პატრონის სამსახურად ჩაეთვლება, გზაც წარემართება. ცხადია, ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა „ცთომილური“ გზა უნდა იყოს, ხოლო ავთანდილის მოძრაობა ციური ხხეულის მოძრაობას უნდა ჰგავდეს.

ამიტომ თხოულობს ავთანდილი თინათინის მზეობას:

„მაგრა. მზეო. თავი მზესა
ჩემთვის სრულად დააგვანე!“

თინათინმა ავთანდილს ტარიელის საშველად წასვლის განზრახვა შეუქო:

697. „შენ არ-გატეხა კარგი გჭირს
ზენაარისა ფიცისა,
ხამს გასრულება მოყვრისა
სიყვარულისა მტკიცისა,
იებნა წამლისა მისისა
და ცოდნა ხამს უიცისა...“

თინათინი თანახმაა ავთანდილი ტარიელის საშველად გაემგზავროს. ამის გამო ავთანდილი შერმადინს ეუბნება:

777. „ჩემსა მზესა დავეთხოვე,
გავუშვივარ, დავდგე მე რად!“

მაგრამ მზე-თინათინის სამსახურად ჩაეთვალა თუ არა ავთანდილს ტარიელთან გამგზავრება, იმთავითვე ეს მკითხველმა არ იცის. ეს მხოლოდ შემდეგ ირკვევა, ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრისა და მათი საუბრის დროს. ავთანდილი ტარიელს ეუბნება:

921. „ჩემსა მზესა დავეთხოვე
თქვენს წინაშე წამოსავლად...“

თინათინს ავთანდილისათვის უთქვამს:

922. მან (თინათინმა) მიბრძანა: „მადლიერ
ვარ,
კარგად ხარ და მამაცურად,
შენგან მისსა გავლენასა
მე დავიჩენ სამსახურად“.

სიტყვა „გავლენა“ ზემოქმედების ძალას უნდა ნიშნავდეს და ამის შესახებ ქვემოთ კიდევ მექნება საუბარი.

ამრიგად, რაკი ტარიელის საშველად გამგზავრება ავთანდილს პატრონის სამსახურად ჩაეთვალა, ცხადია, ამიტომ, გზად მიმავალ ავთანდილს თინათინმა მზეობაც უნდა გაუწიოს და ცთომილური გზაც უნდა წარუმართოს.

მაგრამ მხატვრულად როგორ გადმოიცეს ან როგორ გამოიხატოს თინათინის მზეობა?

ზემოთ უკვე ითქვა, რომ თინათინთან პირველ-გაყრისას გზად მიმავალი ავთანდილი გონების თვალით თავის მზეს—თინათინს ჰვრეტს, მზე-თინათინი ავთანდილს თავისი მწველი ალით — სიყვარულით სწვავს:

„არ მისცილდების თინათინ
მისი მას, ვისგან სწვავ ალი“.

ახლა თინათინთან მეორედ განშორებისას, იგივე მეორდება — ავთანდილი კვლავ თავის მზეს — თინათინს უჭვრეტს (ცხადია, კვლავ გონების თვალით).

822. „წამ-წამ მობრუნდის, იაჯდის
მისთვის მზისავე მზობასა,
უჭვრეტდის. თვალი ვერ მოხსნის,
თუ მოხსნის, მოხდის ცნობასა.

თინათინთან ავთანდილის ორივე განშორების შედარება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ამ მეორე შემთხვევაშიც ავთანდილი მზე-თინათინს უჭვრეტს და არა მზე-ზეციერს. მომდევნო 823-ე სტროფი ამ გარემოებას კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობით ცხადყოფს. ხოლო მხატვრული თვალსაზრისით განვიხილავთ ორივე სტროფს:

822. აწყა დავიწყებ ამბავსა,
მის ყმისა წამავლობასა.
მივა და მიტირს გულ-მდუღრად,
ვერ ვიტყვი ცრემლთა მცრობასა,
წამ-წამ მობრუნდის, იაჯდის
მისთვის მზისავე მზობასა,
უჭვრეტდის, თვალი ვერ მოხსნის,
თუ მოხსნის, მიხდის ცნობასა.
823. რა მიეახლის დაბნედად,
ვერ ხელ-ყვის გაძვრად ენისად,
მაგრა სდის ცრემლი თვალთაგან
მსგავსად დიჯლისა დენისად,
ზოგჯერ დაბრუნდის,. იჭვრეტდის
ლონედ პატიჟთა თმენისად,
რა გაემართის, არ იცის,
მას თუ არბევდის ცხენი სად.

თქმა არ უნდა, ავთანდილის თინათინთან განშორების სიმწარე რუსთველმა შეუდარებელი ხელოვნებით აგვიწერა.

საერთოდ, მოყვარესთან გაყრის სიმძიმილი ვეფხისტყაოსანში მძაფრად განიცდება. ამის შესახებ რუსთველი განზოგადებულადაც ამბობს და, რაც ძლიერ იშვიათია, მკითხველსაც კი მიმართავს და მის თანაგრძნობასაც თხოულობს.

„ლექსთა მკითხველო, შენიმცა
თვალი ცრემლისა მღვრელია!
გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ,
თუ გული გულსა ელია?!
მოშორვება და მოყვრისა
გაყრა კაცისა მკვლელია,
ვინცა არ იცის, არ ესმის,
ესე დღე როგორ ძნელია!“

როგორც უკვე ითქვა, გზად მიმავალ ავთანდილს სიყვარულის ძალა მალიმალ უკან აბრუნებს, გონების თვალით მზე-თინათინს უჭვრეტს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

708. „მაგრამ ახლავს გონებითა
საყვარელსა, არ მოსწყდების“...

წინ მიმავალი და თინათინს ზურგშექცეული ავთანდილი, როცა თინათინს ვერ ჰვრეტს, გონებას ჰკარგავს, თინათინთან განშორების მწუხარებით ცრემლებად იღვრება.

რაც მთავარია, იგივე თინათინისადმი გაუძლისი სიყვარულის გამო, მიმავალი არა მხოლოდ უკან იყურება, არამედ ჩერდება კიდეც, „გზას აღარ აგრძელებს და ტანჯვის გაძლების მიზნით — „ღონედ პატიუთა თმენისად“, უკან ბრუნდება, რაღაც მანძილს თინათინის მიმართულებით მიდის, რომ ამით განშორების ტანჯვა შეიმსუბუქოს, ჩერდება, რომ თინათინს პირისპირ ჰვრეტდეს (რა თქმა უნდა გონების თვალით), ხოლო შემდეგ კვლავ აღმოსავლეთისაკენ იღებს გეზს, ოღონდ „რა გაემართის, არ იცის, მას თუ არბევდის ცხენი სად“.

საერთოდ, განშორებისას უკან მოხედვა საკმაოდ გავრცელებული მხატვრული ხერხია, ცნობილია აგრეთვე „უკან მოხედვის“ ბიბლიური, მითოლოგიური და საზღაპრო სხვადასხვა მნიშვნელობანი. „უკან მოხედვა“ გვხვდება უფრო ადრინდელ ლიტერატურულ ძეგლებშიც.

მაგრამ განშორებისას უკან მოხედვა და ამავე დროს უკან დაბრუნების იმიტაცია, რაც რუსთველმა აგვიწერა, ვფიქრობ, სწორუპოვარი და შეუდარებელია. რატომ?

იმის გამო, რომ ავთანდილის განშორება მზე-თინათინთან შეფარულად ცთომილთა მზის მორჩილებასაა შედარებული, ხოლო ავთანდილის არაჩვეულებრივი მოძრაობა ცთომილთა არაწესიერ ციურ მსვლელობას მიაგავს.

პოემის რეალიები ცხადყოფენ, რომ ავთანდილი არაბეთიდან ანუ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიემართება, ჯერ ტარიელის სადგომისაკენ, ხოლო შემდეგ ფრიდონის სამეფოსაკენ. გავიხსენოთ ტარიელი ავთანდილს ფრიდონის გზას რომ მიასწავლის:

936. „ტარიელ სიტყვით ასწავლის
მხარსა ფრიდონის გზისასა...
აღმოსავლითკენ წადიო,
პირსა იარე ზღვისასა“...

როგორც ცნობილია, ცთომილნი დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით მოძრაობენ. ოღონდ ცთომილთა პირდაპირი მსვლელობა აღმოსავლეთისაკენ ბრკოლდება, იწყება ცთომილის დგომა და უკუსვლა დასავლეთის მიმართულებით. შემდეგ ცთომილი კვლავ ჩერდება და ისევ აღმოსავლეთისაკენ აგრძელებს გზას.

ამგვარად, ცთომილი განუწყვეტლივ აღმოსავლეთისაკენ კი არ მიემართება, არამედ დროდადრო ცაზე ე. წ. „მარყუჟს“ შემოწერს, რომ შემდეგ ისევ პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ გაემართოს.

რა თქმა უნდა, ცთომილთა ხილული მოძრაობა ცაზე მოჩვენებითია და მზის გარშემო დედამიწისა და ცთომილთა ორბიტული მოძრაობის პერიოდების სხვადასხვაობით არის გამოწვეული.

როგორც უკვე ითქვა, მზე-თინათინს განშორებული ავთანდილის მსვლელობა ძალიან მიაგავს ცთომილთა ე. წ. არაწესიერ მოძრაობას ცაზე. გავიხსენოთ, 822-ე სტროფში ავთანდილის მსვლელობა, აღმოსავლეთისაკენ, მსგავსად ცთომილთა მოძრაობისა, უთუოდ ბრკოლდება.

822. ...მივა და მიტირს გულ-მდუღრად,
ვერ ვიტყვი ცრემლთა მცრობასა,
წამ-წამ მობრუნდის, იჯდის
მისთვის მზისავე მზობასა,
უჭვრეტდის, თვალი ვერ მოხსნის,
თუ მოხსნის, მიხდის ცნობასა“.

ხოლო მომდევნო 823-ე სტროფში უთუოდ იგულისხმება, რომ ავთანდილის მსვლელობა აღმოსავლეთისაკენ, მსგავსად ცთომილთა მოძრაობისა, წყდება. თინათინთან განშორების მწუხარება რომ აიტანოს, „ღონედ პატიუთა თმენისად“, ავთანდილი უკან ბრუნდება, ხელმეორედ ჩერდება და კვლავ აღმოსავლეთისაკენ მიემართება:

823. „ზოგჯერ დაბრუნდის, იჭვრეტდის
ღონედ პატიუთა თმენისად,
რა გაემართის, არ იცის,
მას თუ არბევდის ცხენი სად“.

ცხადია, ავთანდილი თინათინისადმი სიყვარულის გამო, „ღონედ პატიუთა თმენისად“ ცთომილურად მოძრაობს.

რითი უნდა აიხსნას ავთანდილის ცთომილური მოძრაობა? ცხადია რით! სიყვარულით! ავთანდილის სიყვარული თინათინისადმი სამყაროული სიყვარულია. მზე-თინათინი ავთანდილს მზეობას უწევს, ხოლო ავთანდილი ისევე ემორჩილება თავის მზეს, როგორც მზეზეციერს ემორჩილებიან ზეციერნი მნათობნი. სიყვარული არის ის ძალა, რომელიც ზეციერ სამყაროში მნათობთა ჰარმონიულ მოძრაობას აწესრიგებს, ხოლო ღმერთმა მზე მზედ მისთვის დაჰბადა, რომ სიყვარულის ძალის მეოხებით მნათობთ ზეციერი გზა წარუმართოს.

ახლა ისიც ცხადია, ავთანდილი თინათინის მზეობას ღმერთს რატომ ევედრება: ღმერთია დამბადებელი სიყვარულისა, ღმერთმა განაგო წესი სიყვარულისა; ძალა სიყვარულისა სრულიად სამყაროულია; ავთანდილის ლოცვა გავიხსენოთ:

801. ღმერთო, ღმერთო, გეაჯები,
რომელი ჰფლობ ქვეყნათ ზესსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ დაჰბადე მიჯნურობა,
შენ აწესებ მისსა წესსა...“

ავთანდილიც ამ სამყაროულ სიყვარულის ძალას ემორჩილება. იგი ისევე ჰმორჩილებს მზე-თინათინს, როგორც ცთომილნი ემორჩილებიან მზე-ზეციერს. ამიტომ ჰგავს მისი გზა ცთომილთა ზეციერ მსვლელობას. ამიტომ ჰგავს ავთანდილის საქმე მზის უახლოეს ცთომილს ოტარიდს (მერკურის). ავთანდილის ოტარიდისადმი ვედრება გავიხსენოთ:

251. ოტარიდო, შენგან კიდე
არვის მიგაქვს საქმე სხვასა:
მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს,
შემიყრის და მიმცემს წვასა...

მზე-თინათინი ზეციერი მზის ისეთი ასპექტია, რომელიც სიყვარულს სთესს და სიყვარულს ნერგავს. გავიხსენოთ თინათინი ავთანდილს ეუბნება: 695. მერმე ზრდა სიყვარულისა გაქვს, ჩემგან დანერგულისა...

ხოლო ავთანდილი ღმერთს ევედრება:

801. „ღმერთო, ღმერთო, გეაჯები,
რომელი ჰფლობ ქვენათ ზესსა“...
„ნუ ამოჰფხვრი სიყვარულსა,
მისგან ჩემთვის დანათესსა!“

რაკი მზე მზეობს, სიყვარულის ძალა წარმართავს ზეციერ მნათობთა გზას, მზეს მორჩილებენ „ციერნი ერთის იოტის წამისად“. რაკი მზე-თინათინი მზეობს, ავთანდილის გზას მზე-თინათინის იგივე სიყვარულის ძალა წარმართავს.

აქ, არ შეძლება დანტეს ღვთაებრივი კომედიის უკანასკნელი, დასკვნითი ხასიათის, ბოლო ტაეპი არ გავიხსენოთ:

L'Amor che move il sole e l'atre Stelle[1].

რუსთველისა და დანტეს თვალსაზრისით მსოფლიო ჰარმონიულ მოძრაობას სიყვარულის ძალა წარმართავს, ოღონდ რუსთველისა და დანტეს სამყარო სხვადასხვაგვარად არის აგებული, რის შესახებ მომდევნო წერილებში მექნება საუბარი.

1. სიყვარული, რომელიც ამოძრავებს მზესა და მნათობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღვაწლი უჩინარი, მაგრამ მნიშვნელოვანი...

თუ გავიხსენებთ ჩვენი ქვეყნის არც თუ ისე შორეულ წარსულს, ერთი შეხედვით უცნაურ რასმე შევამჩნევთ. როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის, განსაკუთრებით კი მისი ბოლო მეოთხედიდან, რუსეთსა და მთელს ცივილიზებულ ევროპას, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მოედებნენ" სწავლამოწყურებული ქართველი ახალგაზრდები. სად არ ნახავთ მათ, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში?! ხოლო რამდენიმე ქართველი თუ მაინც მოიყრიდა ერთად თავს, მყისვე იქმნებოდა პატარა საქართველოები, ე. წ. „ქართველთა სათვისტომოების" სახით. ერთობლივად ებრძოდნენ ისინი სიძნელეებს, რომლებიც, ბუნებრივია, არ აკლდათ „უცხოებაში" ყოფნის ჟამს.

მაგრამ ნიშანდობლივი აქ უფრო სხვა რამ იყო. განათლების ასეთი მაღალი საფეხურის დაუფლების შემდგომ, როგორც წესი, მათში არ ილვიძებდა რაიმე განსაკუთრებული პატივმოყვარეობა. ისინი არ თაკილობდნენ სულ უბრალო თანამდებობასაც კი, როგორც ქალაქად, ისე საქართველოს მივარდნილ კუთხეებში, ოღონდ თავისი წვლილი შეეტანათ ჩვენი ქვეყნის აღორძინების საქმეში. სხვათაშორის ასე გრძელდებოდა შემდეგაც, როცა ჩვენში უკვე არსდებოდა მაღალი რანგის კულტურული თუ სამეცნიერო ცენტრები.

აი, მართლაც ვინ იყვნენ ჭეშმარიტი „სახალხო მასწავლებლები", „სახალხო ექიმები" და საერთოდ „სახალხო მოღვაწეები", თუმცა ასეთ ტიტულებზე იმ ხანებში არც არავინ ფიქრობდა.

ბევრი მათგანის სახელი დღეს ჩვენ არც კი ვიცით, თუმცა ცხადია, რომ სწორედ მათ მხრებზე გადაიარა იმ მძიმე ტვირთმა, რომლის ზიდვაც აუცილებელი იყო მშობლიური ქვეყნის შემდგომი აღორძინებისათვის.

არც ისე დიდი ხნის წინ შეიძლება შემთხვევით შეგვევლოთ რომელიმე შორეული სოფლის პატარა აფთიაქში და, სრულიად მოულოდნელად გამოგვეგებებოდა მოხუცი პროვიზორი... მაღალი კულტურით აშკარად დაღდასმული თავაზიანი ღიმილით. საუბარიც მყისვე ისეთ სფეროებს შეეხებოდა, რომელიც უკვე გულისხმობდა განათლების გარკვეულ დონეს. საამო საუბარში ისიც გაირკვეოდა, რომ მას ციურიხში ან დერპტში, ან კი რუსეთის რომელიღაც დიდ ქალაქში ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება.

მე თვით მოვსწრებივარ და ახლოს ვიცნობდი ერთ ასეთ პიროვნებას, სახელგანთქმულ დასტაქარს ილია ეგნატეს ძე ჯაშს, რომელსაც ჩვენი საუკუნის დასაწყისში დაუმთავრებია იურიევის სახელგანთქმული უნივერსიტეტი წარჩინების დიპლომით (რაც თითქმის უპრეცენდენტო შემთხვევა იყო უცხოელთათვის), მაგრამ რიგით ექიმად განწესებულა დაბა სამტრედიაში. იგი ათეული წლების მანძილზე თავდაუზოგავად ემსახურებოდა სამტრედიის მიმდებარე სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებს. ჩვენს სახელოვან მეცნიერს აკაკი შანიძეს, რომელიც წარმოშობით ამ კუთხიდანაა, უამბნია ჩემთვის, რომ, როცა ჩვენი სოფლიდან ჩოხატაურის მიმართულებით ჩაივლიდა ილია ჯაშის ეტლი, ყველა გრძნობდა, რომ სადმე მძიმე ავადმყოფი ებრძოდა სიკვდილს ან რაიმე საშინელი სახადი მძვინვარებდა ახლო-მახლო, რადგან ცნობილ დასტაქარს უბრალო სატკივარზე აბა ვინ შეაწუხებდა — მოსახლეობამ კარგად იცოდა მისი ღირსება და განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ კიდეც.

რიცხვით კიდევ უფრო მეტნი იყვნენ ასეთივე ტიპის სახალხო მასწავლებლები. მაგრამ მაინც მთავარი ის იყო, რომ თითქმის არცერთი მათგანი, სოფლად ყოფნისას თუ ქალაქად მუშაობის დროს, არ იფარგლებოდა მარტო საკუთარი პროფესიით და, როგორც იტყვიან, განათლების სხივი შეჰქონდა უბრალო მშრომელი ადამიანების ოჯახში.

თუმცა ისიც ხომ ფაქტია, რომ ჯერ მაინც ძალზე ცოტა რამ ვიცით მათ უჩინარსა და უანგარო ღვაწლზე. რაც თავისთავად ჩვენი

---

**მალხაზ აბდუშელიშვილი. მიღვწიან, მომიგონებენ... (ვასილ აბდუშელიშვილის ცხოვრების ქრონიკა) გამ. „ნაკადული", 1980.**

ქვეყნის უახლოესი კულტურის ისტორიის შესწავლის ერთი აშკარად ჯერ კიდევ დაუძლეველი ხარვეზია.

ყოველივე ზემოთქმული კი აქ იმიტომ გავიხსენე, რომ, აი, ჩემ წინ დევს წიგნი, რომელიც აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივ მაინც ამოვსების, ჩემი აზრით, ძალზე წარმატებული ცდაა. მისი სათაურია „მიღვწიან, მომიგონებენ...". იგი ამ ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა გამომცემლობა „ნაკადულმა".

წიგნი ეძღვნება სახელოვან მამულიშვილსა და მასწავლებელს ვასილ აბდუშელიშვილს, ხოლო წიგნის ავტორია თვით ვასილ აბდუშელიშვილის ძმისწული და მისივე აღზრდილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ანთროპოლოგი მალხაზ აბდუშელიშვილი.

მე აქ წიგნის დაწვრილებით რეცენზირებას არ ვაპირებ, რადგან მას ისედაც სიამოვნებით წაიკითხავს ჩვენი ახლო წარსული კულტურის ისტორიით დაინტერესებული მკითხველი, ოღონდ ის კი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ ჩვენს წინაშეა ნამდვილად მხატვრული ოსტატობით შესრულებული მონათხრობი ერთ-ერთ ზემოაღნიშნული ტიპის სახელოვან მოღვაწეზე, მათემატიკის მასწავლებელ ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილზე — პიროვნებაზე, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ასე ბეჯითად, საქმის ფანატიკური სიყვარულით ემსახურებოდა ჩვენში ისეთი საჭირო და მნიშვნელოვანი დარგების შესწავლა-აღორძინებას, როგორიც არის მათემატიკური მეცნიერებები.

ვასილ აბდუშელიშვილს, იშვიათ აღმზრდელსა და მასწავლებელს, ძალზე კოლორიტულ პიროვნებას, კარგად იცნობდნენ ჩვენში (განსაკუთრებით დღევანდელი თბილისის უფროსი თაობის წარმომადგენლები), თუნდაც იმის გამო, რომ მის მოწაფეთა რიცხვი რამდენიმე ათასეულსაც კი აჭარბებს და აქედან ისიც ნათელია, თუ რა წვლილი აქვს მას შეტანილი დღევანდელი ქართული ტექნიკური განათლების აღორძინების საქმეში.

მაგრამ მთავარი მაინც სხვაა, და ეს კარგადაა წარმოჩენილი აღნიშნულ წიგნში. ვასილ აბდუშელიშვილი იყო ჭეშმარიტი პედაგოგი, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი და სრულყოფილი გაგებით. იგი ასწავლიდა არა მხოლოდ საგანს, ასეთ შემთხვევაში მათემატიკური დარგის მეცნიერულ საფუძვლებს, არამედ ნერგავდა იმ თვისებებს, რომელთა გარეშეც ადამიანი „ვერ კაცობს" და ვერც ჩამოყალიბდება დამოუკიდებელ პიროვნებად. პედაგოგებად რომ იბადებიან, ალბათ გრძნობდა კიდეც ამას ვასილ აბდუშელიშვილი, როცა მან, უცხოეთში სწავლამიღებულმა ახალგაზრდამ, უარყო სამეცნიერო კარიერა და საშუალო სკოლაში მასწავლებლის მძიმე ჭაპანი ირჩია. მოღვაწეობდა სწორედ იქ, სადაც ყალიბდება ... ნარეს ადამიანი და სადაც ყველაზე ... სჭირდება მას ხელის შეშველება ცხოვრების რთულსა და სახიფათო გზაზე.

აი, ეს აზრი უძევს საფუძვლად მალხაზ აბდუშელიშვილის მიერ გამოცემულ ბიოგრაფიულ ფაქტებს და წიგნის ერთი მთავარი ღირსებაც სწორედ ფართო თვალსაწიერია. აქ თხრობა არ იფარგლება მხოლოდ იმით, თუ როგორ ასწავლიდა, ან როგორი მკაცრი (მაგრამ სამართლიანი) მასწავლებელი იყო თვით ვასილ აბდუშელიშვილი, ან როგორი ოსტატობით ფლობდა იგი მათემატიკის ურთულეს დარგებს. დიდი ყურადღება ეთმობა თვით იმ გარემოს, იმ ატმოსფეროს, რომელშიც იზრდებოდა და სულიერად იწრთობოდა მომავალი საზოგადო მოღვაწე და სახალხო მასწავლებელი ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილი.

ეს არის წიგნის ერთი საუკეთესო მონაკვეთი. იშვიათი ცოდნითა და რაღაც განსაკუთრებული სიყვარულით (ეს იგრძნობა თვით სტრიქონთა შორისაც), არის აღდგენილი წიგნში მე19 საუკუნის მიწურულისა და ჩვენი საუკუნის პირველი ათეული წლების სულიერი ატმოსფერო, ჩვენი ცნობილი მოღვაწეებისა თუ უბრალო მშრომელი ადამიანების სახეები, ტკბილი და ტრადიციული ძველ-ქართული ოჯახები, ზემოიმერეთის კუთხეული მხარე...

აქ უნებლიედ მაგონდება გერონტი ქიქოძის სიტყვები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სწორედ ამავე კუთხეს ეხება: „იშვიათია ალბათ ადგილი — წერდა ბატონი გერონტი ერთ თავის ნარკვევში — სადაც ეთნიურად ქართველი ერი ასე სუფთად იყოს დაცული, როგორც ეს ყვირილასა და წყალწითელას ხეობებში, ასეთი წმინდა ქართულით მეტყველებდეს და საუცხოო ჰონას მღეროდეს. აქ მოსახლეობამ ბოლო დრომდე შეინარჩუნა თავისი ძველი სტუმართმოყვარეობა, თავისი ძველი სიმღერები და ადათები". სულ ბოლო დრომდე ეს ერთი ყველაზე პატრიარქალური კუთხე იყო დასავლეთ საქართველოში.

წიგნში მშვენიერ ეპიზოდებს გაეცნობა მკითხველი ზემოიმერეთის (კერძოდ, ერთ-ერთი ულამაზესი სოფლის შალაურის) ცხოვრებიდან, ფერადოვანი ჩანახატებია თვით აბდუშელიშვილების დიდი ოჯახის ისტორიიდან, რომელმაც არაერთი ღირსეული პიროვნება აღუზარდა ჩვენს ქვეყანას (საოჯახო არქივიდან საყურადღებოა აბდუშელიშვილების წარმომავლობის საბუთები და დაკავშირება სამხრეთ საქართველოს გამოჩენილი გვარის ჯაყელთა სახლეულობასთან და ა. შ..).

მხატვრის თვალითაა აღდგენილი აწ მივიწყებული ეთნოგრაფიული ყოფის დეტალები და, როგორც ითქვა, მთელი ის გარემო, რომელშიც იზრდებოდა და საქვეყნო ასპარეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის მწიფდებოდა მომავალი სახალხო მოღვაწე და უსპეტაკესი პიროვნება ვასილ აბდუშელიშვილი.

მართლაც, მომხიბლავია, ხოლო ეს საგანგებოდ უნდა ითქვას, მშრალ მწიგნობრულ კალაპოტს აცდენილი ქართულით ამეტყველებული მონათხრობი, რომელსაც არც იუმორი აკლია და არც ცხოვრებისეული სიმკაცრის შეგნება. ამასთან ნიშანდობლივია რაღაც ფატალურობის შეგრძნება, როცა ჩვენს თვალწინ შეუბრალებელი ისტორიული კანონზომიერებით იკვეთება ნიკო ლორთქიფანიძისეული „დანგრეული ბუდეების“ თემა, აბდუშელიშვილების პატრიარქალური ოჯახის თანდათანობით რღვევის სურათები.

ასეთივე განცდითაა დამუხტული თხრობა, რომელშიც წიგნის მთავარი გმირის შემდგომი ცხოვრებაა წარმოდგენილი: თბილისი, საგანმანათლებლო მოღვაწეობა, მეგობართა წრე და თავისი საქმით გატაცებული, მონოლითური პიროვნება — ვასილ აბდუშელიშვილი.

მე აქ შევწყვეტდი საუბარს ამ კარგსა და სასარგებლო წიგნზე, რომ არა ერთი აუცილებელი რამ, რომლის აღნიშვნა, ჩემი აზრით, უფრო მიგვაახლოვებს თვით წიგნის ერთ-ერთ თავისებურებასთან. წიგნს ჰყავს მეორე, ასევე აშკარად გამოხატული გმირი — იგი თვით მისი ავტორი მალხაზ აბდუშელიშვილია. მისი თანაარსებობა იგრძნობა წიგნის თითქმის ყოველ გვერდზე, რადგან ყოველი ეპიზოდი რაღაცნაირად თითქოს გაშუალებულია მის მიერ. ეს მომენტი კიდევ უფრო აძლიერებს მხატვრული დამაჯერებლობის სასიამოვნო ეფექტს, რომლის გარეშეც, როგორც ხდება ხოლმე, ასეთი წიგნი მშრალ ქრონიკას უფრო დაემსგავსებოდა და არა მხატვრულ მონათხრობს საყვარელ და მარადსახსოვარ ადამიანებზე.

წიგნის პათოსი კი არცერთი წამით არ ტოვებს მკითხველს: სწორედ ასეთი ჩუმი და უანგარო ადამიანები ედგნენ ბურჯებად ქვეყანას ჩვენი ისტორიის ქამთა სრბოლაში. მალხაზ აბდუშელიშვილის მიერ მკითხველისათვის შემოთავაზებული ნაშრომის მსგავსი წიგნები კი ერთხელ კიდევ განამტკიცებენ ჩვენს ისტორიაზე ზემოაღნიშნულ ერთდაერთსა და მართებულ თვალსაზრისს.

სარგის ცაიშვილი

# XX ს. ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიიდან

ქართულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ასპარეზზე სამოღვაწეოდ გამოსულ თაობათა შორის არც თუ ისე შორეული, სახელოვანი წინაპართაგანია რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის ღირსეული წარმომადგენელი, მწერალი, დრამატურგი, ლიტერატურის კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, სახელგანთქმული ექიმი ივანე გომართელი.

ამ შესანიშნავი ქართველი მოღვაწის მგზნებარე მამულიშვილური სიყვარული თავისი მშობელი ერისადმი, მისი კულტურისა და მწერლობისადმი იმდენად გულწრფელი და ძლიერი იყო, რომ შეუძლებელი გახდა მისი სახელი სამუდამო დავიწყებას მისცემოდა.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, მკვლევარმა ვლადიმერ წოწელიამ ხანგრძლივი, ნაყოფიერი საკვლევაძიებო მუშაობის შედეგად, წარმოგვიდგინა მეოცე საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რომელშიაც მოცემულია ივანე გომართელის ცხოვრება-მოღვაწეობა და ლიტერატურულ-კრიტიკული შემოქმედებითი მემკვიდრეობის დახასიათება. ამასთან ერთად, განხილულია სოციალ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-იდეოლოგიური სფერო, რომელშიც ხდებოდა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, როგორც მოქალაქის, გამოჩენილი ექიმის, საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და კრიტიკოსისა.

ავტორს თავიდანვე სწორი მიმართულება აუღია და დიდი შრომატევადი სამუშაო შეუსრულებია — შეუსწავლია მოცემული პერიოდის ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრება (ლიტერატურა, ქართულ-რუსული პერიოდიკა, მუზეუმებსა და არქივებში დაცული ხელნაწერები, დოკუმენტები და სხვ.).

ვ. წოწელიას ნაშრომი წარმოადგენს პირველ სერიოზულ ცდას თანამიმდევრულად, მთლიანობაში, მონოგრაფიულად შეისწავლოს არსებული და ახლადგამოვლენილი უცნობი საარქივო მასალა და, ლიტერატურულ პირველ წყაროებზე დაყრდნობით, ასახოს მეოცე საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკის ერთ-ერთი, თვალსაჩინო წარმომადგენლის — ივ. გომართელის ცხოვრება-მოღვაწეობა და ლიტერატურული მემკვიდრეობა.

---

ვლ. წოწელია. ივანე გომართელი. წ. I. გამ. „მეცნიერება“. თბ. 1979 წ.

ეროვნული

ვლადიმერ წოწელიას მონოგრაფიული ნაშრომი — ივანე გომართელი (მეოცე საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიიდან, წიგნი I) შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: შესავალი; ცხოვრება და მოღვაწეობა; ივანე გომართელი და მაქსიმ გორკი; ივ. გომართელი და ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობა; ივ. გომართელი და ქართული პროლეტარული მწერლობა; ნაშრომს ბოლოში დართული აქვს მოკლე რეზიუმე (რუსულად).

ნაშრომის შესავალში ავტორი იძლევა ზედმიწ მიმოხილვას გასული საუკუნის (90-იანი წლებიდან) იმ სოციალურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-იდეოლოგიური ვითარებისას, რომელშიაც ხდებოდა ივ. გომართელის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. დახასიათებულია ის ესთეტიკური პრინციპები, რომელთაც ეყრდნობა ივ. გომართელის შეხედულებანი.

ამასთან ერთად, მოცემულია გამოჩენილი რევოლუციონერისა და საზოგადო მოღვაწის ლ. წულუკიძის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების მნიშვნელობა საქართველოში მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ჩასახვისა და განვითარების საქმეში. ნაჩვენებია ივ. გომართელის შემოქმედებითი დახასიათება პირველი რევოლუციის წლებში, ავტორი გვაჩვენებს მის მხატვრულ-კრიტიკულ მეთოდს და ანალიზს მისთვის დამახასიათებელი ესთეტიკური შეხედულებების ზოგიერთ მხარეს.

ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ივ. გომართელის პირველსავე ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს იმთავითვე ეტყობა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის გავლენა. ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ ივ. გომართელი მწერლებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ლიტერატურამ უნდა გამოხატოს თავისი დროის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების მოწინავე იდეები, გადაგვიშალოს და ნათლად დაგვანახოს მომხდარი მოვლენები და ამით დაეხმაროს ხალხს ცხოვრების უკეთ მოწყობაში.

ნაშრომის მეორე თავში, ახლად მიკვლეული არქივო მასალების საფუძველზე, დოკუმენტური სიზუსტით, თანმიმდევრულად, დაწვრილებით, საინტერესოდაა ასახული ივ. გომართელის მრავალმხრივი, შინაარსიანი ცხოვრება და საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა.

ივ. გომართელის დაბადების თარიღის გარშემო მკვლევართა შორის დღემდე სამი სხვადასხვა მოსაზრება არსებობდა (1875, 1876, 1877 წ.). ავტორის მიერ არქივში ახლად მიკვლეული საარქივო მასალებით დადგინდა, რომ ივ. გომართელი დაბადებულია 1875 წლის 2 ოქტომბერს.

თვალსაჩინოდ არის გადმოცემული ივ. გომართელის სწავლის პერიოდი, საექიმო, საზოგადოებრივ-რევოლუციური და ლიტერატურული მოღვაწეობა. წარმოჩენილია, რომ ივ. გომართელის მთელ ცხოვრებას ნათელ სვეტად გასდევს რევოლუციური მუშაობით გატაცება.

რაც შეეხება ქართულ მწერლობას — ეს იყო მისი ნამდვილი მოწოდება და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე კალამი ხელიდან არ გაუგდია.

ნაშრომში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ივ. გომართელი ქართულ მწერლობაში ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც თავისი მხატვრული ნაწარმოები — „დედა სამშობლო" მიუძღვნა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას. ამ ნაწარმოებში პირველად აისახა დიდი ოქტომბრის ცხოველმყოფელი ძალა და მნიშვნელობა (გვ. 69-710).

ავტორს, სრულიად სამართლიანად, გამოაქვს დასკვნა, რის მიხედვითაც, მართლაც, „დაწყებული 1898 წლიდან მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ საქართველოში არ დარჩენილა საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი უბანი, სადაც ივ. გომართელს თავისი სიტყვა არ ეთქვას და შესამჩნევი კვალი არ დაემჩნიოს.

ივ. გომართელმა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისას თავის დევიზად გაიხადა სამშობლოს, მშრომელი ხალხის უანგარო სამსახური. მას მუდამ აღელვებდა საქართველოსა და ქართველი ხალხის ბედი" (გვ. 74-75).

მკვლევარის ასეთი დასკვნა სრულიად შეესაბამება ივ. გომართელის მთელ მრწამსს, რის შესახებაც იგი 1913 წელს წერდა: „მოსვენებით კი არ მოვისვენებ მანამდე, სანამ ჩვენი მშრომელი ხალხი ხმამაღლა არ გამოაცხადებს: ჩემთვის ქართველი ერის კულტურული განვითარება და მისი ტერიტორიის დაცვა განუყრელი და განუყოფელიაო. რომ ეს მალე იქნება და მშრომელი ხალხი სწორედ ასე გადაწყვეტს ეროვნულ საკითხს, ამაში არავითარი ეჭვი არ მაქვს" (გვ. 75).

ზემოაღნიშნულის მიხედვით, მართალია ავტორის დასკვნა, რომ ივ. გომართელის „დამსახურება მეტად დიდია ქართული ლიტერატურის კრიტიკის, ხელოვნების, ესთეტიკის სფეროში, იგი ჩვენში პროგრესული მრწამსის. ახალი კრიტიკისა და ესთეტიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება" (გვ. 75). უფრო სწორად — „ერთ-ერთ ფუძემდებლად **ითვლება**" კი არა, **ერთ-ერთ ფუძემდებლად უნდა ჩაითვალოს**".

ნაშრომში ფართოდ არის გაშუქებული ივ. გომართელის ლიტერატურული მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. რომ იგი დიდად აფასებდა კომუნისტური პარტიის დიად წამოწყებებს — როგორც სოციალისტური მშენებლობის, ასევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურის დარგში. ივ. გომართელი მოუწოდებდა ყველა პატიოსან მწერალს და მოქალაქეს, დარაზმულიყვნენ კომუნისტური პარტიის იდეების განხორციელების საქმისათვის და საკადრისი პასუხი გაეცათ შინაური და გარეშე მტრებისათვის.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ივ. გომართელმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 11 წიგნი და 150-ზე მეტი სტატია გამოაქვეყნა, რომ ამ ცალკე გამოცემულ ნაშრომთა შორის, მისი აზრით, უფრო მნიშვნელოვანია რომანი-ქრონიკა „სამი დროება", „ტვინი და სული", „გლეხის კარაბადინი", ანტირელიგიური მოთხრობა „ნიგვზიეთის ღვთისმშობელი", ევროპაში მოგზაურობის „შთაბეჭდილებანი" (მოსკოვი-ბერლინი-პარიზი), „მაქსიმ გორკის ცხოვრება და შემოქმედება", და სხვ.

ავტორი იხილავს აგრეთვე ივ. გომართელის ისეთ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებსაც, რომლებშიც გადმოცემულია რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხი და აღნიშნავს ავტორის სწორ ორიენტაციას ამ საკითხის გაშუქებისას (გვ. 73).

წიგნის ცალკეულ თავებში წარმოდგენილი და განხილული მასალის მიხედვით, საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოვლენების ანალიზის საშუალებით, ავტორი გვაძლევს დამაჯერებელ დასკვნებს. ნაშრომში, საერთოდ, ნათლად ჩანს, რომ, ივ. გომართელის გაგებით, ძირითადად იმ პერიოდის პოეზიის ღირსება — ეს არის მისი ნათლად გამოხატული რევოლუციური, პარტიული ხასიათი, რაც ემთხვეოდა ქვეყნის საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების ობიექტურობას.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის განვითარების სფეროში იმ დამსახურებაზე, რომელიც მიუძღვის ალ. წულუკიძეს და მასთან ერთად ივ. გომართელს. ლიტერატურული მოვლენების გარკვევისას იგი იყენებს და ეყრდნობა მათ შეხედულებებს, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ძირითად დებულებებს.

ნაშრომის ღირსება ისიც არის, რომ ავტორი კარგად იცნობს საკვლევ ობიექტს, მოხმობილ აქვს უხვი ფაქტიური მასალა და საარქივო პირველწყაროები; ისტორიულ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოვლენებს იგი აანალიზებს მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ ავტორს, სხვა ახალ უცნობ მასალებთან ერთად, მიუკვლევია ივ. გომართელის უცნობი ლექსი ხელნაწერი ტექსტისათვის, რომელიც ეხება ვახ. ორბელიანს. კარგი იქნებოდა ეს ლექსი განეხილა და არ დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ფაქტის აღნიშვნითა და ბიბლიოგრაფიული ხასიათის ცნობების მოწოდებით (გვ. 68).

ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ი. იმედაშვილის „თეატრი და ცხოვრების" დაარსებიდან (1910) დახურვამდე (1926 წ.) უახლოესი თანამშრომელი იყო ივ. გომართელი. იგი თანამშრომლობდა, აგრეთვე, ი. იმედაშვილის გაზ. „ხალხის ერთობაში" (1917 წ. შემდეგ „ხალხის თავისუფლება"), თუ რა მნიშვნელობისა და ხასიათის წერილები დაუბეჭდავს ივ. გომართელს, ავტორი არაფერს გვეუბნება. მათი მიმოხილვა კი უთუოდ საინტერესო იქნებოდა და ნაშრომის ეს თავი უფრო მოიგებდა.

ასევე, იქვე, ავტორი მხოლოდ გაკვრით აღნიშნავს, რომ ივ. გომართელმა გედევანიშვილისეულ ილია ჭავჭავაძის პირველ ტომს უძღვნა შესანიშნავი სტატია — „შთაბეჭდილებანი" (გაზ. „ჩვენი დროება", 1913, № 20).

წიგნში აღნიშნული ყველა წერილისა თუ სტატიის გარჩევა-მიმოხილვა და მათი ანალიზი უფრო მეტს შემატებდა ივ. გომართელის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობის შესწავლას. მომავალში ავტორმა ამას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

ნაშრომი დადებით შეფასებას იმსახურებს და მნიშვნელოვანი შენაძენია უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეში. მისი გამოცემით ახლებურად, მთელი სისრულით წარმოსდგება ქართველი საზოგადოებრიობის წინაშე ივ. გომართელის ნათელი, კეთილშობილური სახე.

შალვა გოზალიშვილი

# წიგნი «ქართველ სერვანტესზე»

მკითხველი ხელგაწვდილი ელის დავით კლდიაშვილზე ყოველ ახალ ნაშრომს. მისი შემოქმედება ეროვნული გენიის ის ნათელია, რომელიც დროის ხსოვნას სამუდამოდ რჩება და კაცობრიობას სიკეთისკენ, ჰუმანიზმისაკენ მიუძღვის

რა არის ამ დიდი მუხლისმოყრის მიზეზი? — ამ კითხვის პასუხი ისევ დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში უნდა ვეძიოთ. დიდმა მწერალმა ახალი ეპოქა შექმნა ქართულ ლიტერატურაში.

ბ. ბარდაველიძე, „დავით კლდიაშვილის მხატვრული პროზა", თბ., 1981 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვანაირად ჩაიხედა სიტყვაში. სხვა მადლი აჰყვა მის კალამს. დ. კლდიაშვილის ანკარა, დარბაისლური ქართული, მათრახივით მოკლე დიალოგები, გამჭვირვალე ფრაზა დიდი ხანია იპყრობს როგორც ლიტერატურისმცოდნეთა, ისე, საეროოდ, მკითხველის ყურადღებას...

მართალია, დავით კლდიაშვილზე ბევრი ქართველი მკვლევარის კალამი დაიღალა, მაგრამ სათქმელი და საკვლევი კიდევ ბევრზე მეტია, რადგან კლდიაშვილის შემოქმედება, როგორც ჭეშმარიტი მხატვრული მემკვიდრეობა, ყოველ დროს ახალ-ახალ საკითხავს გადაუშლის მკვლევარს. ქართველი ხალხის სულის საუნჯეა განფენილი მის თხზულებებში და რამდენად საამაყოა, რომ დღეს დიდი მწერალი ახლებურად იკითხება ჩვენი თანამედროვეობის მიერ... დავითმა თამამად გაბიჯა საქართველოდან, რათა კიდევ ერთხელ გაეცნო მსოფლიოსთვის ქართველი ხალხის სულისა და გონების ნაყოფი, ქართული სიტყვის გემო და მარილი, ქართული ეროვნული ხასიათის დარდი და სიხარული. დიახ, ვალში ვართ დიდი დავითის წინაშე, და მით უფრო დიდი სიხარულით ვხვდებით ყოველი ისეთი ნაშრომის გამოქვეყნებას, რომელიც თავის საპატიო მიზნად დავით კლდიაშვილის შემოქმედების მიმოხილვას ისახავს. ასეთია ბექან ბარდაველიძის ახლახანს გამოცემული „დავით კლდიაშვილის მხატვრული პროზა". ნაშრომი მონოგრაფიული ხასიათისაა და უკვე ამით უხმობს თავისკენ მკითხველს, იზიდავს მის ინტერესებს. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ ერთი ძირითადი ნიშანი, რომელიც ამ მეცნიერულ ნაშრომს, სხვა ფაქტორებთან ერთად, ღირსებით ავსებს.

მკვლევარს წინ ერთი ძირითადი მიზანი მიუძღვის — შეაჯამოს, ობიექტური განსჯის კეთილ ცეცხლში გაატაროს მწერლის შემოქმედების თავისებურებებზე, მის იდეურსა და მხატვრულ სამყაროზე წინა თაობების მიერ გამოთქმული შეხედულებები და, მათი შემოქმედებითად განვითარებით თუ სრულიად ახალი მოსაზრებებითა და დასკვნებით კიდევ უფრო ღრმად ჩაგვახედოს „ქართველი სერვანტესის" ეროვნულ ტალანტში.

ამ მხრივ მთავარი სიტყვა დიდი მწერლის მხატვრულ სტრუქტურაზე უნდა თქმულიყო, მკითხველს უნდა ეპოვა სტრიქონის სათავე, ეგრძნო დავითის გაღიმებული იუმორის სიკეთე, მისი კალმის პოეზია, მისი მხატვრული მატიანეების ისტორიული სიმართლე. საჭირო იყო გამოკვეთილიყო ის გარემოება, რომ დავით კლდიაშვილისთვის, როგორც ჭეშმარიტი ჰუმანისტისთვის, ადამიანი სიცოცხლის მშვენება და სიბრძნეა, მისადმი თანაგრძნობა, მისი ტკივილის, მისი მწუხარების მძიმე ტვირთის ტარება მწერლის უპირველესი ვალია, მით უმეტეს, თუ ეს ადამიანები ცხოვრების ქარბორბალას წარსულისაკენ მიაქვს. მწერლის სწორედ ეს ზოგადსაკაცობრიო თვალთახედვა არის წინ წამოწეული ბექან ბარდაველიძის მიერ, რითაც თავიდანვე სწორი გეზია აღებული.

დავით კლდიაშვილის გმირები ეროვნული ხასიათებია. ქართველი კაცის ბუნება, მისი ხასიათი საუკუნეებს უშენებია, სწორედ ის არის ჩვენი უბერებელი ერის დაუხარჯავი სიმდიდრე. ეს ტაძარი და სალოცავი მარტო ქვიდან გარეთ გამოსული ჩუქურთმა და ამომზევებული სული არ არის, ნაკლის კენჭითაც არის ნაშენები, მაგრამ ჩვენთვის ძვირფასი და ახლობელია. ქართველი კაცი ამ მხრივ მრავალი ერთმანეთის გამომრიცხავი თვისების პატრონია, მაგრამ ერთს კი ვერავინ გადაუგდებს — იგი ოჯახში დახარჯული, მოყვასი, შინაგანი პატიოსნებით გაჩირაღდნებული, სიკეთის სურვილით ანთებული ადამიანია, უპირველეს ყოვლისა... აი, თუნდაც პლატონ სამანიშვილი ვთქვათ... მისთვის უცხო არ არის აზნაურული ამპარტავნობა, საკუთარი კანიდან ამოხტომა, მაგრამ როგორი ღია კაცია, როგორ უყვარს ოჯახი... მზეს მინდორში იმიტომ ხვდება, თოხს იმიტომ მისდევს უკან, რომ ჯამიდან ლუკმა არ გაექცეს. ფეხმიშველმა სიღარიბემ მის სახლშიც არ შეიაროს. არის თუ არა ეს სოციალური ტრაგედია? — რა თქმა უნდა, არის, მაგრამ სწორედ ამის იქით იწყება დავით კლდიაშვილის ორიგინალური მხატვრული სამყარო, იწყება იქ, როცა მწერალი ქართველი კაცის საუკუნეების მიერ კარგად ჩალაგებულ ბუნებას გადმოშლის. აი, სწორედ ეს ეროვნული, ასე ორგანულად შერწყმული ზოგადსაკაცობრიო თვალთახედვასთან, კალმით ნაქერი ეს ორი ფენომენი ქმნის დავით კლდიაშვილის მხატვრულ გენიას და განუმეორებლობას ანიჭებს მის პროზას. სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა ზემოთ საკვლევი თემისადმი ორიგინალურ მიდგომაზე ჩამოვაგდე სიტყვა... სიახლის ამ სათავესთან ბექან ბარდაველიძე, საბედნიეროდ, მარტო არ მდგარა. როგორც თვითონ აღნიშნავს, ამ უვალ გზაზეც შემოხვედრია რამდენიმე კაცი და მათ შორის პირველი ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობის ერთ-ერთი ნათელმხილველი პროფესორი აკაკი გაწერელიაა. მის ნარკვევში „დავით კლდიაშვილის მხატვრული სამყარო" — ამ მხრივ უკვე განიერი ახო იყო გაჭრილი... მონოგრაფიის ავტორი ამ მართალ გზას მიჰყვა და შედეგმაც არ დაიგვიანა. მე კი, ჩემი მხრივ, იმას დავუმატებდი, რომ ჩვენი კულტურის დღევანდელობაში სასიამოვნო დამთხვევა მოხდა — ქართულმა ხელოვნებამ, ეროვნულმა თეატრმა, სწორად „მიაგნო" დავით კლდიაშვილს, რის მეცნიერულ დასაბუთებადაც შეიძლება ბექან ბარდაველიძის სარეცენზიო მონოგრაფია ჩაითვალოს.

წიგნი რამდენიმე თავისაგან შედგება. თითოეულ მათგანს თავისი სათქმელი აქვს, თავისი საკამათო და საძებნელი ჭეშმარიტება. მკვლევარი მეცნიერული გერგილიანობით, გულჩაგდებით იკვლევს დავით კლდიაშვილის საწყის პერიოდს. კითხულობ ნაშრომის ამ ნაწილს და რწმუნდები,

რომ უკვე ადრეული ხანის პატარა მოთხრობებში, ჩანახატებში მოსჩანს მომავალი მწერალი, ახალგაზრდა ბელეტრისტს უკვე შესწევს ძალა, მოსდევს სიტყვა, რომ მკითხველს ადამიანის სულის გრაგნილი წასაკითხი ეტრატივით გადაუშალოს. ეს მონაკვეთი მონოგრაფიის პროლოგის როლს ასრულებს და ნაშრომს სინათლითა და შუქით მოსავს. მონოგრაფიის ძირითადი პასაჟები დახვეწილი ლიტერატურული ეტიუდისა თუ ესსეის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგრძნობა გემოვნება, წლობით ნაფიქრი და განსჯილ-განწმენდილი აზრი. მკვლევარი შესანიშნავად „ზის“ მასალაში, გონივრულად მართავს პრობლემებს, იშვიათი უნარი შესწევს ყველაზე ძირითადი, განმსაზღვრელი საკითხი გამოყოს.

ბექან ბარდაველიძე მშვენივრად იცნობს თავისი ერის ფსიქოლოგიას, ხასიათს, ბუნებას, მის ისტორიაშიც ღრმადაა შესული. კარგად იცნობს როგორც ქართული მწერლობის განვითარების მაგისტრალს, ისე ამ მთავარ გზასთან გაყრილ ბილიკებს, ლიტერატურული მიმდინარეობების, მიმართულებების, დაჯგუფებების დამახასიათებელ მომენტებს, მათ ადგილსა და როლს ლიტერატურის ისტორიაში. ყოველივე ამან შეაძლებინა მკვლევარს, რომ ასე ობიექტურად, ზუსტად განესაზღვრა დავით კლდიაშვილის ადგილი ქართული მწერლობის ისტორიაში.

დავით კლდიაშვილის შემოქმედების კვლევისას მომარჯვებული სოციოლოგისტური მეთოდი ბლაგვი კალამი გამოდგა, მან ვერ მიაგნო მწერლის მხატვრული სამყაროს საჩინოსა და უჩინარს. სწორედ ამიტომ დავითის გლეხკაცური ციკლის მოთხრობებში ლიტერატურულმა კრიტიკამ მხოლოდ ის დაინახა, რომ უმეტეს მათგანში ეგოისტი, კერძომესაკუთრული ინსტინქტებით სავსე, ბნელი გლეხი იჯდა, მიწაზე მუხასავით დარგული, რომელიც წინ წასულ დროს კლდიაშვილის მოთხრობებში დარჩა. ასეთი შეფასებისას დავიწყებული იყო ისტორიული პერსპექტივა — როდის ცხოვრობენ ქართულ მწერლობაში ეს პერსონაჟები, რა მიზანს მისდევენ... მათ სულში ჩახედვა, მათი ხასიათის წარმოჩენა არავის უცდია.. ბექან ბარდაველიძემ ამ, სხვისთვის უნახავი მხრიდან მოუარა მათ და სავსებით სწორად შენიშნა, რომ დიდი მწერალი ამ მოთხრობებში, დიალაც, ვარდ-ყვავილს უფენს და სტრიქონს ფეხქვეშ უშლის ქართველი გლეხის მიწისადმი უბერებელ სიყვარულს. ღრმად განიცდის მათ ტრაგედიას, რადგან მიწის მცირე ნაკვეთზე გლეხი ისეც ველარ ეტეოდა და ისიც დღეს თუ ხვალ უნდა დაჰკარგვოდა. მკვლევარი აქვე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ამავე ციკლის მოთხრობებში ღრმა ფსიქოლოგიზმზე.

ყურადღებას იპყრობს კვლევის მასშტაბური მანერაც. ბექან ბარდაველიძე ამა თუ იმ საკითხზე ხან სიტყვადადინჯებით მსჯელობს, ლოგიკის სალტით კრავს სტრიქონიდან წამომდგარ დებულებას, დასკვნას. ცდილობს დავით კლდიაშვილის მხატვრული ფენომენი ორგანულად დაუკავშიროს წინაპერიოდის ლიტერატურული ცხოვრების ჯანსაღ ტენდენციებსა და ეროვნული მწერლობის განვითარების თანამედროვე ეტაპებსაც კი. ასე გაიბა ლოგიკის გაუწყვეტელი ძაფი „ოთარაანთ ქვრივსა“, „მსხვერპლს“, ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიან დედაკაცსა“ და რ. ინანიშვილის „სიკვდილი ბაბალე ბაიდაურისას“ შორის. მკვლევარი დავით კლდიაშვილის შემოქმედებას არ იხილავს განკერძოებულად, როგორც კონკრეტულ შემოქმედებით ფაქტს. ამა თუ იმ საკითხს იგი ხშირად ლიტერატურის თეორიის ზოგად პრობლემებს უკავშირებს, რითაც უფრო ხელმისაწვდენს ხდის საკვლევ პრობლემას. მაგალითისათვის დავასახელოთ რამდენიმე: „მოთხრობის ჟანრი და დ. კლდიაშვილი“, „სიუჟეტი და ჟანრი“, „დიალოგი, მონოლოგი“, „თვალთახედვის კუთხე — ხასიათები“, „მხატვრული დრო და სივრცე“, „სათაური, როგორც მხატვრული ფორმა“, „ირონია, როგორც პერსონაჟის დახასიათების საშუალება“, „უნივერსალური, ვინდა მოარული ხასიათები“ და სხვ.

როგორც ცნობილია, დავით კლდიაშვილის შემოქმედების კვლევისას ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ტრაგიკულისა და კომიკურის, ცრემლისა და ღიმილის მიმართების საკითხი, მათი ესთეტიკური ფუნქცია, სოციალ-ეკონომიკური საფუძველი... ბუნებრივია, მას ვერ გაუჩუმდებოდა ბექან ბარდაველიძეც. ვფიქრობ, სავსებით სწორი გეზი აიღო მკვლევარმა, როდესაც დავით კლდიაშვილის იუმორის ერთ-ერთ ფუნქციად მიიჩნია როგორც ცხოვრების ტრაგიზმის გამძაფრება, ისე მწერლის ჰუმანისტური მსოფლმხედველობის გამოხატვაც. დავითის შემოქმედებაში ღიმილი ვერ აშრობს ცრემლს, დიდი მწერალი თავისი გმირების ცხოვრებით ცხოვრობს, საწერ მაგიდაზე უდევს მათი გაჭირვება — ხმელი ლუკმა და დამსხვრეული აწმყო —იგიც „ღიმილით მიაცილებს“ მათ წარსულისკენ, მაგრამ ეს თანაგრძნობის სპეტაკი ღიმილია...

მკვლევარი, დავით კლდიაშვილის მოთხრობების ჟანრობრივი დახასიათებისას მთელი სიგრძე-სიგანით ითვალისწინებს მწერლის მხატვრულ ფენომენს და სამართლიანად ასკვნის, რომ ქართულ მწერლობაში დ. კლდიაშვილმა გააკეთა ის, რაც რუსულ ლიტერატურაში ჩეხოვმა დაამკვიდრა. აქ მრავალ კომპონენტთაგან იგულისხმება „ობიექტივისტური“ თხრობის მანერა, ლაკონიურობა, დეტალების სიზუსტე და სხვ. მკვლევარმა, რა თქმა უნდა, იცის, რომ ეროვნული ლიტერატურის განვითარების მაგისტრალური ხაზი მშობლიურ კულტურაში, მწერლობაშია საძებნელი და არა მის გარეთ, ამიტომ იგი დავით კლდიაშვილის, როგორც შემოქმედის, მისი სტილის, მისი მხატვრული აზროვნების ბევრ მომენტს პოულობს წარსულის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში — ილიას, ვაჟას პროზაში, ძველ ქართულ ლიტერატურაში. ამ თვალსაზრისით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ადრე ჩაიხედა დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში ჩვენმა ცნობილმა კრიტიკოსმა, რაფინირებული გემოვნების მწერალმა გურამ ასათიანმა და საკუთარი დაკვირვებანი თავის გამჭრიახ კალამს ხმამაღლაც ათქმევინა „ცისკარში“ გამოქვეყნებულ წერილში, რომელსაც „სათავეებთან“ ეწოდება. მონოგრაფიაში იგრძნობა ჭეშმარიტების პატივისცემა, მეცნიერული, მტკიცე და ხმადაბალი მსჯელობა, ლიტერატურაში გაწაფული ხელი, სიტყვის სიცხადის დანახვა.

მკვლევარი მასალას მიმოიხილავს დროისა და სივრცის თვალსაზრისითაც, განსაზღვრავს ამ კომპონენტების ადგილს „ლიტერატურულ-მხატვრულ ქრონოტიპში“. ვფიქრობ, ქართველ მკვლევართაგან ამ ბილიკით არავინ მისულა დავით კლდიაშვილთან. თანაც, მით უფრო სასიხარულოა, რომ ამ ახალმა გზამ საინტერესო შედეგებთან მიიყვანა მკვლევარი.

ერთ-ერთი კარდინალური საკითხი, რომელიც მკვლევარის წინაშე იდგა, იყო ის, თუ რით აღწევს დავით კლდიაშვილი ხასიათების ასე ღრმად, ასე კალამჩაწვდენით, ასე, მართლაცდა, ნათლად წარმოჩენას. ეს პრობლემა არც აქამდე იყო უძრავად, ბევრჯერ გასცემია კარგი პასუხი, მაგრამ ამ საკითხის გამოფხიზლება და მეცნიერულ არენაზე გამოტანა დიალაც საჭირო იყო. არა, აქ იმის თქმა კი არ გვინდა, თითქოს ბექან ბარდაველიძემ ამ საკითხს საბოლოოდ გაუჭრა კალაპოტი, მაგრამ მის მიერ მიღებული დასკვნა დამაჯერებელია.

წიგნის ერთ-ერთი საუკეთესო მონაკვეთია „შემოდგომის აზნაური — ვინაობა, წარმომავლობა, განსაკუთრებული ნიშნები“. რით იპყრობს მაინც მკითხველის თვალსა და გონებას ეს პარაგრაფი?! განსახილველი მასალის სიუხვით, ნედლი სიტყვითა და მეცნიერულ სიდინჯესთან შეხამებული პოეტური აღმაფრენით. და განა მარტო აქ, მთელი წიგნი ამ თვისებებით არის განათებული, მაგრამ ამ პარაგრაფში ეს უფრო საგრძნობია.

ბექან ბარდაველიძე მასალის მრავალმხრივი შესწავლის საფუძველზე ადგენს, თუ როგორ ჩამოყალიბდა „აზნაურული ხასიათი“. მკვლევარი შესანიშნავად იყენებს ფოლკლორს — აზნაურთა ამა თუ იმ თვისების მოწმე ხალხურ ლექსს. სარეცენზიო წიგნში არც ის არის დავიწყებული, რომ იმერელი აზნაურის ხასიათისთვის პირველად დავით კლდიაშვილის კალამს არ მიუგნია. მასზე წერდნენ აკაკი, გიორგი წერეთელი და სხვები... „იმერელი ბიჭი“ — სხვა კოლორიტს აძლევდა ქალაქურ ყოფას.

თქმა არ უნდა, კვლევის ასეთი ფართო პროფილი სარეცენზიო წიგნის უდავო ღირსებაზე ლაპარაკობს. მიუხედავად ყველაფრისა, მკვლევარს არ დაუვიწყნია ძირითადი—ცხადსა და ნათელზე გამოიტანოს ის კეთილშობილება, ეროვნული დვრიტა, რომელიც დავით კლდიაშვილის პერსონაჟებში შეიმჩნევა და ასე ორგანულად ერწყმის ყოველივე იმას, რაც ეროვნული ლიტერატურიდან გარეთ გასულ, ყველასათვის საყვარელ და ახლობელ გმირებს გვაცნობინებს.

მკვლევარი სავსებით სამართლიანად უპირისპირდება გაცვეთილ აზრს, თითქოს დავით კლდიაშვილმა ხალხოსნის თვალით შეხედა გლეხის სოფელს. მისი აზრით, დავით კლდიაშვილი თავის მოთხრობების ციკლში, სადაც გლეხობის მძიმე ცხოვრებაა აღწერილი, იმავე სამყაროში ტრიალებს, რომელიც მერე უფრო ფართოდ გადაიშალა მწერლის იმ მოთხრობებსა და დრამებში, სადაც აზნაურები ცხოვრობენ.

სარეცენზიო წიგნში წინა პლანზეა წამოწეული დავით კლდიაშვილის შემოქმედებისთვის დამახასიათებელი სხვა მხარეებიც: ორლესული ირონია, ისტორიზმის პრინციპი და ისტორიული ხასიათები, სრული ობიექტურობა და ნაზი იუმორი, უნივერსალური, გინა მოარული ხასიათები, ირონია, როგორც პერსონაჟის დახასიათების საშუალება, მტვრიანი გზებისა და ორღობეების რომანტიკა და სხვა... საკითხთა ეს რიგი რთულია და ძნელად გადასაჭრელი, მოითხოვს ფართო მომზადებას, ერუდიციას, ცოდნას არა მხოლოდ ლიტერატურის სფეროსი, არამედ მეცნიერების სხვა დარგებისაც, თუ გნებავთ ეკონომიკური მეცნიერებისაც განა წიგნის სარჩევში ტყუილად ზის ქვეთავი „პაროდია მალთუსის თემაზე?!“ ყველა შემთხვევაში მკვლევარი მოწოდების სიმაღლეზე რჩება...

ყოველივე ამით იმის თქმა სრულიად არ გვინდა, თითქოს სარეცენზიო წიგნი უნაკლოა და არსად გვხვდებოდეს ცარიელი სტრიქონი, მეჩხერი მსჯელობა, არსად შეიძლებოდეს დასკვნასთან კამათი. არა, უნაკლო წიგნი არ არსებობს. ჩვენი ფიქრით, უფრო მეტი უნდა თქმულიყო გლეხური ხასიათის იმავე ისტორიულ ძირებზე, რომელსაც მკვლევარი „აზნაურთა ციკლის“ მოთხრობების განხილვისას მიმართავს. ასევე, კარგი იქნებოდა გამოკვეთილიყო ინდივიდუალური ხასიათის შტრიხები და მკვლევარს ეჩვენებინა, როგორ ერწყმის ის ზოგადს, აზნაურთა კლასისთვის საერთოს... თქმა და ნაკლისკენ თითის გაშვერა კიდევ შეიძლება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობა გამდიდრდა გონიერი წიგნით, რომელიც ახალ მიჯნებს გადაუშლის „ქართველი სერვანტესის“ შემოქმედების მკვლევართ.

ჯემალ აფციაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ